008(075.8)
ბ-897
ფასი:

კულტუროლოგია



ადამიანები წყვეტენ აზროვნებას, როდესაც წყვეტენ კითხვას

დ. დიდრო

სანამ ვაჭრებს არ განდევნიან ტაძრიდან, ხელოვნების ტაძარი არ იქნება ტაძარი. მომავლის ხელოვნება განდევნის მათ.

ლ. ტოლსტოი

...შიში არის მიზეზი, რომლის წყალობითაც ცრურწმენა ალმოცენდება, ინახება და მხარდაჭერას პოვებს.

ბ. სპინოზა

უდიდესი ანგარიშსწორება უფრო ნაკლები დანაშაულია, ვიდრე ფანატიზმი.

ვოლტერი

ხალხი, რომელმაც არ იცის ვინ არის, რისთვის არის, საიდან მოდის და სად მიდის... ბევრად არ გამოირჩევა პირუტყვისაგან.

ი. ჭავჭავაძე

კულტუროლოგია

ЮНИТИ
UNITY
სამართლიანი საქართველო
თბილისი 2009

культурология

ЮНИТИ
UNITY
МОСКВА • 2007

კულტუროლოგია

რეკომენდებულია სასწავლო-მეთოდური ცენტრის
– „პროფესიული სახელმძღვანელო“ – მიერ სასწავლო
თვალსაჩინოების სახით უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების
სტუდენტებისათვის

სამართლიანი საქართველო
თბილისი 2009

ისტ (ქარ-ზ)
კ-837

გამომცემლობის მთავარი რედაქტორი
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, რუ მთავრობის პრემიის ლაურეატი
მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, პროფესორი ნ. დ. ერიაშვილი

კულტუროლოგია: დამხმარე სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისთვის პროფ. ა.ნ. მარკოვას რედაქტორობით, – მ.: იუნიტი-დანა;
ქართული ნაწილის პასუხისმგებელი რედაქტორი ს. ბარამიძე. 2009 წ. – 498 გვერდი.

- 96589 -

შსოფლიო კულტურის ისტორია – სავალდებულო საგანია რუსეთის ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისათვის. მისი დანიშნულებაა – დახმარება გაუწიოს *მაღალკვალიფიციურ კულტურული სპეციალისტების მომზადებას.*

დამხმარე სახელმძღვანელო მოიცავს სხვადასხვა ეპოქას – ადამიანთა პირველყოფილ საზოგადოებას, ძველ მსოფლიოს, ანტიკურს, აგრეთვე ევროპისა და რუსეთის შუა საუკუნეებს, ახალსა და უახლესი პერიოდის კულტურის ისტორიას.

წარმოდგენილია საგნის მეთოდოლოგია (კულტურის არსი, მისი შემადგენელი ნაწილები, ფუნქციები), ხელოვნების ყველა მნიშვნელოვანი დარგი (ლიტ-რა, ფერწერა, ქანდაკება, მუსიკა, არქიტექტურა, თეატრი), მეცნიერება, რელიგია, ხელოვნების სხვადასხვა სტილი და ჟანრები, მათი დიდებული წარმომადგენლები, რომელთა ნაწარმოებები (ან ქმნილებები) ითვლება ამა თუ იმ ქვეყნის ნაციონალურ სიმდიდრედ და მსოფლიო კულტურის მონაპოვრად.

ქართველი მკითხველისთვის წიგნი შევსებულია ქართული კულტუროლოგიით, რომელიც წარმოდგენილია ეპოქალური ქრონოლოგიის თანმიმდევრობით.

სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის, სკოლების, ლიცეუმების, კოლეჯების მოსწავლეებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

ISBN 978-99940-985-2-1 © სამართლიანი საქართველო

ყველა უფლება დაცულია.
ამ გამოცემის არცერთი ნაწილი არანაირი ფორმითა და საშუალებით – იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური, მათ შორის ფოტოფირის გადაღება და მაგნიტურ მოწყობილობაზე ჩაწერა, არ შეიძლება გამოყენებულ ან გადაცემულ იქნეს საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი ნებართვის გარეშე.



მ კ ი თ ხ ვ ე ლ ი ს ა დ მ ი

უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო პროგრამით ისწავლება საგანი კულტუროლოგია (მსოფლიო კულტურის ისტორია). კულტუროლოგიასა და კულტურის ისტორიაში გამოცემულია მრავალი სასწავლო ლიტერატურა.

შემოთავაზებულ სახელმძღანელოში მოცემულია მსოფლიო კულტურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა პირველყოფილიდან დღევანდლამდე (ძველი, შუასაუკუნეების, ახალი და უახლესი დროის ეპოქები, მოიცავს ევროპას, ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებსა და რუსეთს).

მასალის გაშუქების ქრონოლოგიურ ჭრილს ემატება ქვეყნისმიერი მიდგომა: თითოეულ ეპოქაში წარმოდგენილია მოწინავე ქვეყნების კულტურის განვითარების მიმოხილვა.

კულტუროლოგიის კურსი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ადამიანის მატერიალურ-პრაქტიკული, სამეცნიერო ან ნებისმიერი საქმიანობა კულტურის, კაცობრიობის სულიერი ღირებულებების ცოდნის გარეშე წარმოუდგენელია ისევე, ვითარცა წარმოუდგენელია უამისოდ თვით ადამიანის არსებობა.

არ შეიძლება კულტურულად ჩაითვალოს ადამიანი, რომელმაც არ იცის მსოფლიო კულტურის საგანძურში შესული „სიქსტის მადონას“, „საიდუმლო სერობის“ ავტორი, არ იცის ბახის ორატორია „მათეს ვნებანი“, მესსები, ქორალები, არ წაუკითხავს შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც მსოფლიო რენესანსის წინმსწრები ნაწარმოებია, არ განუცდია ანდრეი რუბლიოვის „სამების ხატის“ სულიერებითა და ადამიანობით ზემდიდარი ძალა.

საკაცობრიო კულტურის განვითარებაში თავისი ენით, სარწმუნოებით, ზნეობით, ხელოვნებით, მეცნიერებით, სამართლითა და პოლიტიკით ქართველ ერს ღირსეული ადგილი უკავია. დედამიწაზე ამჟამად არსებულ 14 დამწერლობას შორის ერთ-ერთი ქართულია.

ქართველი ხალხის არსებობა ათასეულობით (≈ 3500) წლებს მოიცავს, რომლის სამეურნეო საქმიანობაც, ძირითადად, მიწათმოქმედება იყო და ამიტომაც, ძველმა ბერძნებმა მას „გეორგია“ – „მიწათმოქმედთა ქვეყანა“ უწოდეს და მსოფლიოში ცნობილია სახელწოდებით „GEORGIA“.

ქართველი ხალხი ჩამოყალიბდა უმთავრესად სამი გვარტომისაგან – ქართველების, მეგრელების, სვანებისგან, მათი ენები ცოცხალია და აერთიანებს სრულიად სახელმწიფო ენა – ქართული ენა.

უძველეს დროში, როგორც ფესვები, არსებობდა ქართული სახელმწიფოები – დიაოხი და კოლხა, იგივე ტაო და კლარჯეთი, შემდგომ წოდებული იბერიად (ქართლი) და ეგრისად (კოლხეთი), რომელთაც მდიდარი კულტურა გააჩნდათ, რაზეც მეტყველებს არქეოლოგიური გათხრები და მითოლოგიური ძეგლები.

ქართული მწიგნობრობის აღმოცენება დაკავშირებულია იბერია-ქართლის სამეფოს მეფე ფარნავაზთან (ძვ. წ. IV-III საუკ.), თუმცა გაუთავებელი ომებისა და რელიგიური შეუთავსებლობის გამო იმ პერიოდის დამწერლობის რაიმე ნიმუშმა ჩვენამდე ვერ მოაღწია.

საქართველო ქრისტიანულ სახელმწიფოთა შორის ერთ-ერთი უპირველესია, ის ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყნად ითვლება და აქ არის დასვენებული ღვთისმშობლისა და იესო ქრისტეს კვართები – ხობის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარსა და მცხეთის სვეტიცხოველში.

ქართული ენის სრულყოფილებაზე მეტყველებს ის, რომ ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები, დაწყებული „შუშანიკის წამებით“, დღესაც აბსოლუტურად გასაგებად იკითხება და ქართულ ენას, განსხვავებით სხვა უძველესი ენებისგან, განვითარებასთან ერთად შენარჩუნებული აქვს ლექსიკური პირველყოფილება.

საქართველოს თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის, ულამაზესი რელიეფისა და მდიდარი მიწის გამო მუდამ უხდებოდა თავდაცვა მომხდურ მტერთაგან. მშვიდობიანი პერიოდი მას იშვიათად ედგა, ამიტომ მის კულტურას აყვავებასთან ერთად დაცემის ხანებიც გააჩნდა, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, მან შეინარჩუნა თავისი თვითმყოფადობა და მსოფლიო კულტურის ისტორიაში მისეული სიტყვა თქვა.

დამხმარე სახელმძღვანელოს „კულტუროლოგიის“ ავტორები

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, რფ მთავრობის პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, პროფესორი ნ. დ. ერიაშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ა.ნ. მარკოვა
ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ლ.ა. ნიკიტინი
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ნ.ს. კრივცოვა
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ნ.ო. ვოსკრესენსკაია
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ვ.ე. ნოსოვი
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ს.დ. ბოროდინა
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ე.მ. სკვორცოვა
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ფ.ი. აისინა
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ი.ი. ტოპალოვა
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ვ.ი. ჩერნოსკულოვი
უფროსი მასწავლებელი ე.მ. მურაშოვა
უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი მანანა სულხანიშვილი

ქართული ნაწილის პასუხისმგებელი რედაქტორი
სერგო ბარამიძე

კულტუროლოგია: საგანი, არსი, ძირითადი ფუნქციები

კულტურა არის სამყაროს შეცნობა.
კულტურა არის კაცობრიობის სიყვარული.
კულტურა არის სიცოცხლისა და სილამაზის შერწყმა.
კულტურა არის ამაღლებულისა და სინატიფის მიღწევის სინთეზი.
კულტურა არის სამყაროს გარსი... გადარჩენა... მამოძრავებელი ძალა... გული

ნ. კ. რერიხი

კულტუროლოგია – ესაა მეცნიერება კულტურის შესახებ და მისი კვლევის საგანია ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული კულტურული პროცესების ობიექტური კანონზომიერებანი, ადამიანთა მატერიალური და სულიერი ცხოვრების ძეგლები, მოვლენები და გამოვლინებები.

კულტუროლოგია არა მარტო შეისწავლის წინაპირობებსა და ფაქტორებს, რომელთა მეშვეობითაც აღმოცენდება, ფორმირდება და ვითარდება ადამიანთა კულტურული ინტერესები და მოთხოვნილებანი, არამედ იკვლევს მათ მონაწილეობას კულტურულ ფასეულობათა შექმნაში, გამრავლებაში, შენახვასა და გადაცემაში. კულტუროლოგია შეისწავლის სხვადასხვა საზოგადოებათა კულტურულ ცხოვრებას, ცდილობს გამოკვეთოს ძირითად კულტურულ-ისტორიულ ტიპთა თავისებურებები და მიღწევები.

კულტუროლოგების უმთავრესი ამოცანაა თანამედროვე სოციო-კულტურული გარემოს პროცესებისა და ტენდენციების ანალიზი.

კულტუროლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა – მსოფლიო კულტურის თეორიისა და ისტორიის საკითხები.

ცნება „კულტურის“ შესახებ

სიტყვა *კულტურა* პრაქტიკულად თითოეული ადამიანის ლექსიკონში გვხვდება. მაგრამ ამ ცნებაში სრულიად სხვადასხვა აზრს დებენ: ერთნი მხოლოდ სულიერი ცხოვრების ფასეულობებს გულისხმობენ, მეორენი – უფრო ავიწროებენ ამ ცნებას და მიაკუთვნებენ მხოლოდ ხელოვნების, ლიტერატურის ნიმუშებს, მესამენი ზოგადად მოიაზრებენ გარკვეულ იდეოლოგიას, მოწოდებულს მომსახურებისთვის, „შრომითი მიღწევების“, ე.ი. სამეურნეო ამოცანების უზრუნველყოფისათვის.

კულტურას, როგორც მოვლენას შეისწავლის მრავალი კონკრეტული მეცნიერება – არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ისტორია, სოციოლოგია, აგრეთვე მეცნიერებები, რომლებიც შეისწავლიან შემეცნების სხვადასხვა ფორმებს – ფილოსოფია, ხელოვნება, ესთეტიკა, მორალი, რელიგია და ა.შ. თვითოეული კონკრეტული მეცნიერება ქმნის გარკვეულ წარმოდგენას კულტურაზე, როგორც თავის კვლევის საგანზე. ასე მაგალითად, არქეოლოგიისათვის კულტურა დაკავშირებულია ჩვენამდე მოღწეული საგნების შესწავლასთან, რომლებშიც მატერიალიზებულია გარდასულ ეპოქათა ადამიანების მოქმედების შედეგი. ეთნოგრაფია შეისწავლის ამა თუ იმ ხალხის კულტურის გამოვლინებებს მთელ მის მრავალფეროვნებასა და მთლიანობაში. ხელოვნების ისტორიისათვის კულტურა უპირველეს

ყოველისა ადამიანის მხატვრული შემოქმედება და მისი შედეგებია. ასე რომ, „კულტურის სახე" სხვადასხვა მეცნიერებაში სხვადასხვაგვარადაა წარმოჩენილი.

ამრიგად, კულტურა განსაკუთრებით მდიდარი, მრავალფეროვანი, ყოველისმომცველი მოვლენაა. ამიტომ, შემთხვევითი არაა, რომ კულტურულოგებს უჭირთ მისი საერთო განსაზღვრების ჩამოყალიბება. ამერიკელი კულტუროლოგების ალფრედ კრებერის და ქლაიდ ქლაკჰონის გამოთვლით 1871-1919 წლების მანძილზე კულტუროლოგიას მისცეს შვიდი სხვადასხვა განსაზღვრება. მათ შორის ერთერთ უპირველესად მათ მიაჩნიათ XIX საუკუნის ინგლისელი კულტურის ისტორიკოსის ედუარდ ბერნეტ ტაილორის განსაზღვრება წიგნში „პირველყოფილი კულტურა". 1920-1950 წლებში გამოჩნდა ამ ცნების კიდევ 157 განსაზღვრება. ამჟამად, ზოგიერთი შეფასებით, კულტურის ცნების 500-ზე მეტი განსაზღვრება არსებობს, სხვათა აზრით კი ეს ციფრი ათასს უახლოვდება.

მაგრამ მაინც, მოცემული პრობლემის თეორიული სირთულე არ დაიყვანება თვით „კულტურის" ცნების მრავალმნიშვნელოვნებაზე. კულტურა ისტორიული განვითარების მრავალწახნაგოვანი პრობლემაა, თვით სიტყვა „კულტურა" აერთიანებს მრავალნაირ მსოფლმხედველობას.[1]

ტერმინი „კულტურა" ალმოცენდა ლათინური სიტყვიდან cultura, რაც ნიშნავდა ნიადაგის დამუშავებას, მის კულტივირებას, ე.ი. აღნიშნავს ბუნებრივ ობიექტში ადამიანის ზემოქმედებით გამოწვეულ ცვლილებებს, განსხვავებით იმ ცვლილებებისაგან, რაც გამოწვეულია ბუნებრივი მიზეზებით. ტერმინის ამ პირველად შინაარსშივე ენამ იმთავითვე აშკარად გამოხატა მნიშვნელოვანი თავისებურება — *კულტურის, ადამიანის და მისი შემოქმედების ერთობლიობა.* ეს ცნება განსხვავებით ტერმინისაგან natura (ბუნება) აღნიშნავს მოცემულ კონტექსტში „შექმნილს", „არაბუნებრივს". კულტურის სამყარო, მისი ნებისმიერი საგანი ან მოვლენა აღიქმება არა როგორც ბუნებრივი ძალების შედეგი, არამედ როგორც შედეგი ადამიანთა ძალისხმევისა, რომელიც მიმართულია უშუალოდ ბუნებისაგან ბოძებულის სრულყოფისაკენ, დამუშავებისა და გარდასახვისაკენ.

ამჟამად *კულტურის* ცნება აღნიშნავს საზოგადოების, შემოქმედებითი ძალებისა და ადამიანური შესაძლებლობების ისტორიულად განსაზღვრულ დონეს, რაც გამოხატულია

[1] მეჟუევი ვ. მ. კულტურა და ისტორია. — მ., 1977. — გვ.5.

ცხოვრების ორგანიზაციისა და ადამიანთა მოქმედების ტიპებსა და ფორმებში, აგრეთვე მათ მიერ შექმნილ მატერიალურ და სულიერ ფასეულობებში.[1]

ამიტომ კულტურის არსის გაგება შეიძლება მხოლოდ ადამიანის, პლანეტაზე მცხოვრებ ხალხთა მოღვაწეობის პრიზმის გავლით. *კულტურა ადამიანის გარეშე არ არსებობს.*[2] იგი დასაბამიდან დაკავშირებულია ადამიანთან და აღმოცენებულია იმ მიზნით, რომ ის მუდმივად მიისწრაფის თავისი ცხოვრების და მოქმედების მიზნის ძიებისკენ, საკუთარი თავის და იმ სამყაროს სრულყოფისაკენ, სადაც ცხოვრობს.

ადამიანი არ იბადება სოციალურ არსებად, ის ასეთად ყალიბდება მხოლოდ მოქმედების პროცესში. განათლება, აღზრდა — სხვა არაფერია, თუ არა კულტურის დაუფლება, ერთი თაობიდან მეორეზე მისი გადაცემის პროცესი. აქედან გამომდინარე, კულტურა ნიშნავს ადამიანის შეგუებას სოციუმთან, საზოგადოებასთან.[3]

ნებისმიერი ადამიანი, ზრდასთან ერთად, უპირველესად ეუფლება იმ კულტურას, რომელიც უკვე იყო შექმნილი მის დაბადებამდე, იძენს მისი წინაპრების მიერ დაგროვილ სოციალურ გამოცდილებას. კულტურის დაუფლება შეიძლება განხორციელდეს პიროვნებათაშორისი ურთიერთობების (ურთიერთობა სკოლამდელ დაწესებულებებში, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, დაწესებულებებში, საწარმოებში, მოგზაურობისას, ოჯახში) და თვითგანვითარების (კითხვა, მუზეუმების დათვალიერება თანმხლებლის გარეშე და ა.შ.) ფორმით. უდიდესია მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა როლი — რადიო, ტელევიზია, ბეჭდვითი სიტყვა.

ადრე დაგროვილი გამოცდილების ათვისებით ადამიანს შეუძლია საკუთარი წვლილი შეიტანოს კულტურის ფონაში.[4]

სოციალიზაციის პროცესი — ესაა კულტურის ათვისების და მასთან ერთად პიროვნების ინდივიდუალიზაციის უწყვეტი პროცესი, რამდენადაც კულტურული ფასეულობები ილექება კონკრეტულ

[1] ფილოსოფიური ენციკლოპედიური ლექსიკონი. — მ., საბჭოთა ენციკლოპედია, 1983. — გვ.292-293.

[2] სოროკინი პ. ა. ადამიანი. ცივილიზაცია. საზოგადოება. — მ., 1992. — გვ.220. ბერდიაევი ნ. ა. უთანასწორობის ფილოსოფია. — მ., 1990. — გვ.260.

[3] სოროკინი პ. ა. ადამიანი. ცივილიზაცია. საზოგადოება. — მ., 1992. — გვ.218-219.

[4] ლიხაჩოვი დ. ს. რუსული ლიტერატურა. — მ., 1973. —გვ.115.

ინდივიდუალურ ადამიანში, მის ხასიათზე, ფსიქიკურ წყობაზე. ტემპერამენტზე – *ფენტალიტეტზე*.

ამ მხრივ სამაგალითოა ნ.ა. ბერდიაევის მიერ განხორციელებული ინდივიდუალობის თვითანალიზის საინტერესო ცდა:

> მე არასოდეს არ მინდოდა და არ შემეძლო რაიმეს დავშორჩილებოდი ამ ქვეყანაზე. ყოველი შემთხვევისათვის, ამ თვისების დადებითი მხარე იყო ჩემი დიდი დამოუკიდებლობა. ჩემი არსებობის პარადოქსი იმაშია, რომ ერთი გაგებით ვიყავი ასოციალური და ანტისოციალური, სხვა გაგებით – სოციალური, რამდენადაც ვისწრაფოდი სოციალური სიმართლისა და სამართლიანობისაკენ, სოციალური თავისუფლებისაკენ, ადამიანთა ძმური ერთობისაკენ.
>
> მე ვეკუთვნი ადამიანთა იმ ტიპს და XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის თაობის იმ მცირე ნაწილს, რომელშიც პიროვნების განუმეორებელი ინდივიდუალურობის კონფლიქტმა საერთოსთან და საზოგადოებრივთან არაჩვეულებრივ სიმძაფრესა და დაძაბულობას მიაღწია.[1]

ნ.ა. ბერდიაევმა შეძლო ეჩვენებინა არა მარტო საკუთარი ინდივიდუალობა, არამედ სოციალიზაციის პროცესის და, შესაბამისად, კულტურის ზოგიერთი წინააღმდეგობები.

და მართლაც, კულტურა – რთული სისტემაა, რომელიც იწოვს და ასახავს მთელი მსოფლიოს დაპირისპირებებს. რაში გამოიხატება ყოველივე ეს?

1. პიროვნების *სოციალიზაციისა* და *ინდივიდუალიზაციის* წინააღმდეგობრივ დაპირისპირებაში: ერთის მხრივ, ადამიანი აუცილებლად სოციალიზირდება, ითვისებს რა საზოგადოების ნორმებს, მეორეს მხრივ, კი – ცდილობს შეინარჩუნოს თავისი პიროვნული ინდივიდუალობა.

2. წინააღმდეგობრივ ურთიერთობაში *კულტურის ნორმატიულობასა* და *თავისუფლებას* შორის, რასაც ის ანიჭებს ადამიანს. ნორმა და თავისუფლება – ორი პოლუსია, ორი ურთიერთშებრძოლი საწყისი.

3. *კულტურის ტრადიციულობასა* და მის ორგანიზმში მიმდინარე *განახლების პროცესს* შორის არსებულ დაპირისპირებაში.

---

[1] ბერდიაევი ნ. ა. თვითშეცნობა. – მ., – 1991. გვ320-321.

ეს და სხვა წინააღმდეგობანი შეადგენენ არა მარტო კულტურის არსებით მახასიათებელს, არამედ ამავე დროს წარმოადგენენ მისი განვითარების სათავეს.

კულტურას გააჩნია ფუნქციონირების საკუთარი კანონები. სწორედ ეს კანონები უწყობენ ხელს კულტურაში მიმდინარე ცვლილებების ახსნას, რამდენადაც ეს ცვლილებები ხშირად შეუძლებელია აიხსნას მარტოოდენ სოციალური მიზეზებით. ასეთი მიდგომა შესაძლებელს ხდის კულტურაში გამოიყოს გარკვეული ეტაპები, პერიოდები და ეპოქებიც კი. მაგალითად, ანტიკური კულტურის და აღორძინების ეპოქები. რუსეთის ისტორიაში გამოიყოფა კიევის რუსეთის კულტურა, მოსკოვის რუსეთის კულტურა, XIX ასწლეულის რუსული კულტურის ოქროს საუკუნე, XX საუკუნის პოეზიის ვერცხლის საუკუნე და სხვა.

კულტურა როგორც მრავალდონიანი სისტემა

კულტურა ერთობ რთული, მრავალმხრივი სისტემაა. მიღებულია კულტურის დანაწევრება მისი *კუთხოვრივობის* მიხედვით. ამიტომ სრულიად მართებულია, პირველ ყოვლისა, გამოვყოთ მსოფლიო და ნაციონალური კულტურები.

მსოფლიო კულტურა – ესაა ჩვენს პლანეტაზე მცხოვრები სხვადასხვა ხალხების ყველა ნაციონალურ კულტურათა საუკეთესო მიღწევების სინთეზი.

ნაციონალური კულტურა თავის მხრივ არის საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენის, კლასისა და ჯგუფის კულტურათა სინთეზი. ნაციონალური კულტურის თვითმყოფადობა, მისი განუმეორებლობა და ორიგინალობა გამოხატულია ცხოვრებისა და შემოქმედების როგორც სულიერ (ენა, ლიტერატურა, მუსიკა, ფერწერა, რელიგია), ასევე მატერიალურ (ეკონომიკური წყობის თავისებურებები, მეურნეობის წარმოება, შრომითი და საწარმოო ტრადიციები) სფეროებში.

კონკრეტულ მატარებელთა შესაბამისად გამოიყოფა აგრეთვე *სოციალურ ერთობათა* (კლასობრივი, ქალაქური, სოფლური, პროფესიული, ახალგაზრდული), *ოჯახური, ცალკეულ ადამიანთა კულტურები*. ზოგადად მიღებულია ხალხურ (არაპროფესიონალური) და *პროფესიონალურ კულტურათა გამოყოფა*.

კულტურა იყოფა გარკვეულ სახეებად და სახეობებად. ამგვარ დაყოფას საფუძვლად უდევს ადამიანური მოქმედების მრავალმხრივობის გათვალისწინება. აქედან გამომდინარე, გამოარჩევენ

მატერიალურ და სულიერ კულტურას. მაგრამ მათი ასეთი დაყოფა ხშირად პირობითია, რამდენადაც რეალურ ცხოვრებაში ისინი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული და ურთიერთგამომდინარეა.

მატერიალური კულტურის მნიშვნელოვანი მახასიათებელია მისი არაიდენტურობა არც საზოგადოების მატერიალურ ცხოვრებასთან, არც მატერიალურ წარმოებასთან, არც მატერიალურად გარდაქმნილ მოქმედებასთან.

მატერიალური კულტურა ახასიათებს ამ მოქმედებას ადამიანის განვითარებაზე მისი გავლენის თვალსაზრისით, ხსნის თუ რამდენად იძლევა იგი მისი უნარების, შემოქმედებითი შესაძლებლობების, ნიჭიერების გამოყენების საშუალებას.

მატერიალური კულტურა — ესაა შრომისა და მატერიალური წარმოების კულტურა, ყოფითი კულტურა, ტოპოსის ე.ი. საცხოვრებელი ადგილის (საცხოვრებლის, სახლის, სოფლის, ქალაქის) კულტურა, საკუთარ სხეულთან დამოკიდებულების კულტურა, ფიზიკური კულტურა.

სულიერი კულტურა — მრავალფეროვანი წარმონაქმნია და თავისთავში შეიცავს შემეცნებით და ინტელექტუალურ, ფილოსოფიურ, ზნეობრივ, მხატვრულ, სამართლებრივ, ეკოლოგიურ, რელიგიურ კულტურას.

ზოგიერთი კულტუროლოგის აზრით, კულტურის ცალკეული დარგები არ შეიძლება მიეკუთვნოს მხოლოდ მატერიალურს ან სულიერს. ისინი წარმოადგენენ კულტურის ვერტიკალურ კვეთას, მოიცავენ რა მთლიანად მის სისტემას. ესაა *ეკონომიკური, პოლიტიკური, ეკოლოგიური, ესთეტიკური კულტურა.*

შინაარსისა და ადამიანზე ზეგავლენის მიხედვით ცალკეული მკვლევარები გვთავაზობენ კულტურის დაყოფას *პროგრესულად* და *რეაქციულად.* კულტურა, როგორც მოვლენა, ახდენს ადამიანის ფორმირებას. მას შეუძლია როგორც ზნეობრივი, ისე უზნეო პიროვნების აღზრდა.

ისტორიულად კულტურას აკავშირებენ *ჰუმანიზმთან.* კულტურას საფუძვლად უდევს ადამიანის განვითარების დონე. ვერც ტექნიკის მიღწევები, ვერც მეცნიერული აღმოჩენები თავისთავად ვერ განსაზღვრავენ საზოგადოების კულტურის დონეს, თუკი მასში არ იქნება ადამიანურობა, თუ კულტურა არ იქნება მიმართული ადამიანის სრულყოფისაკენ. ამრიგად, კულტურის კრიტერიუმია საზოგადოების ჰუმანიზაცია. *კულტურის მიზანია — ადამიანის ყოველმხრივი განვითარება.*

კულტურის დაყოფის კიდევ ერთი ნიშანია — *აქტუალობა.* აქტუალურია ის კულტურა, რომელიც მასობრივ მოხმარებაშია. ყოველი ეპოქა ქმნის თავის აქტუალურ კულტურას, რის კარგ ილუსტრაციას წარმოადგენს მოდა არა მხოლოდ სამოსში, არამედ კულტურაშიც. კულტურის აქტუალურობა — ესაა ცოცხალი, უშუალო პროცესი, რომელშიც რაღაც იბადება, ძალას იკრებს, ცოცხლობს და კვდება.

კულტურის სტრუქტურა და ფუნქცია

კულტურის სტრუქტურაში შედის *სუბსტანციონალური* ელემენტები, რომლებიც საგნობრივდება მის ფასეულ ღირებულებებსა და ნორმებში; *ფუნქციონალური* ელემენტები თვით კულტურული შემოქმედებითი პროცესის, მისი ცალკეული მხარეებისა და ასპექტების მახასიათებლებია.

კულტურის სტრუქტურა რთულია და მრავალწახნაგოვანი. იგი მოიცავს განათლების სისტემას, მეცნიერებას, ხელოვნებას, ლიტერატურას, მითოლოგიას, ზნეობას, პოლიტიკას, სამართალს, რელიგიას. ამასთან, ყველა ეს ელემენტი ურთიერთქმედებაშია ერთმანეთთან და ქმნის ისეთ უნიკალური მოვლენის მთლიან სისტემას, როგორიცაა კულტურა.

კულტურის რთული და მრავალისმომცველი სტრუქტურა საზოგადოებისა და ადამიანის ცხოვრებაში განსაზღვრავს მის ფუნქციათა მრავალფეროვნებას.

კულტურა — მრავალფუნქციური სისტემაა. კულტურის ფენომენის მთავარი ფუნქცია — ესაა *ადამიანურ-შემოქმედებითი,* ანუ *ჰუმანისტური ფუნქცია.* ყველა დანარჩენი, ასე თუ ისე, დაკავშირებულია მასთან ან მისგან მომდინარეობს.

უმნიშვნელოვანესია სოციალური გამოცდილების ტრანსლაციის (გადაცემის) ფუნქცია. მას ხშირად უწოდებენ ისტორიული მემკვიდრეობითობის, ან ინფორმაციულ ფუნქციას. კულტურა, წარმოადგენს რა ნიშანთა რთულ სისტემას, იგი თაობიდან თაობაზე, ეპოქიდან ეპოქაზე, ერთი ქვეყნიდან მეორეზე სოციალური გამოცდილების გადაცემის ერთადერთი მექანიზმია. ხომ ფაქტია, რომ კულტურის გარდა საზოგადოებას არ გააჩნია კაცობრიობის მიერ დაგროვილი უმდიდრესი გამოცდილების ტრანსლირების სხვა მექანიზმი. ამიტომ, შემთხვევითი არაა, რომ კულტურას თვლიან კაცობრიობის სოციალურ მეხსიერებად. კულტურული მემკვიდრეობის

გაწყვეტა კი ახალ თაობებს უკარგავს სოციალურ მეხსიერებას (მანქურტიზმის ფენომენი) აქედან გამომდინარე მთელი შედეგებით.

კულტურის კიდევ ერთი წამყვანი ფუნქციაა – შემეცნებითი (გნოსეოლოგიური) ფუნქცია. იგი მჭიდრო კავშირშია პირველთან და გარკვეული მოსაზრებით მისგან გამომდინარეობს. კულტურა, ახდენს რა ადამიანთა მრავალი თაობის საუკეთესო სოციალური გამოცდილების კონცენტრირებას, იმანენტურად იძენს სამყაროს შესახებ უმდიდრესი ცოდნის დაგროვების და ამით მისი შემეცნებისა და ათვისებისათვის ხელსაყრელი საშუალებების შექმნის უნარს[1].

შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ საზოგადოება ინტელექტუალურია იმდენად, რამდენადაც იყენებს კაცობრიობის კულტურის გენოფონდში დაგროვილ მდიდარ ცოდნას. კულტურის სიმწიფე უმეტესწილად განისაზღვრება წარსულის კულტურულ ფასეულობათა ათვისების დონით. საზოგადოების ტიპები ერთმანეთისაგან უპირველესად სწორედ ამ ნიშნით განირჩევიან. ერთნი ამჟღავნებენ საოცარ უნარს კულტურის მეშვეობით ათვისონ ყოველივე საუკეთესო, რაც დაგროვილია ადამიანის მიერ და ჩააყენონ თავიანთ სამსახურში. ასეთი საზოგადოებები (მაგ. იაპონიაში) აღწევენ უდიდეს დინამიზმს მეცნიერების, ტექნიკის, წარმოების მრავალ სფეროში. სხვები კი, რომელთაც არ გააჩნიათ კულტურის შემეცნებითი ფუნქციების გამოყენების უნარი, ჯერ კიდევ იგონებენ ველოსიპედს და ამით თავიანთ ჩამორჩენილობას განაპირობებენ.

კულტურის რეგულირებადი (ნორმატიული) ფუნქცია უპირველესად დაკავშირებულია ადამიანის პირადი და საზოგადოებრივი შემოქმედების განსხვავებული მხარეებისა და სახეების განსაზღვრასთან (რეგულირებასთან). შრომის, ყოფით, პიროვნებათაშორისო ურთიერთობების სფეროში კულტურა ამა თუ იმ საბით ზეგავლენას ახდენს ადამიანთა ქცევაზე, არეგულირებს მათ მოქმედებებს და აგრეთვე მათ არჩევანს სულიერ და მატერიალურ ფასეულობებთან მიმართებაში. კულტურის რეგულარული ფუნქცია ეყრდნობა ისეთ ნორმატიულ სისტემებს, როგორიცაა მორალი და სამართალი.

სემიოტური ანუ *ნიშანთა* (ბერძ. semeion – მოძღვრება ნიშნებზე) ფუნქცია უმნიშვნელოვანესია კულტურის სისტემაში. წარმოადგენს რა განსაზღვრულ ნიშანთა სისტემას, კულტურა გულისხმობს მათ ცოდნას, დაუფლებას. შესაბამის ნიშანთა სისტემის შესწავლის გარეშე კულტურის მიღწევათა დაუფლება შეუძლებელია.

[1] ბერდიაევი ნ. ა. ისტორიის აზრი. – მ., 1990. – გვ. 164.

ასე მაგალითად, ენა (ზეპირი ან წერილობითი) ადამიანთა ურთიერთობის საშუალებაა, სალიტერატურო ენა – მნიშვნელოვანი საშუალებაა ეროვნული კულტურის დაუფლებისათვის. სპეციფიკური ენებია საჭირო მუსიკის, ფერწერის, თეატრის განსაკუთრებული სამყაროს შესაცნობად. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს (ფიზიკა, მათემატიკა, ქიმია, ბიოლოგია) აგრეთვე გააჩნია საკუთარი ნიშნების სისტემა.

ფასეულობითი ანუ *აქსიოლოგიური* (ბერძ. axia – ფასეულობა) ფუნქცია ასაზღვს კულტურის მნიშვნელოვან ხარისხობრივ მდგომარეობას. კულტურა, როგორც ფასეულობათა სისტემა, აყალიბებს ადამიანის სრულიად გარკვეულ ფასეულობრივ მოთხოვნილებებს და ორიენტაციებს. უმეტესწილად მათი დონისა და ხარისხის მიხედვით აფასებენ ამა თუ იმ ადამიანის კულტურულობას. როგორც წესი, ზნეობრივი და ინტელექტუალური შინაარსი შეადგენს შესაბამისი შეფასების კრიტერიუმს.

ძირითადი ტერმინები და ცნებები

სულიერი კულტურა
კულტურა
კულტუროლოგია
მატერიალური კულტურა
მსოფლიო კულტურა
ხალხური კულტურა
ნაციონალური კულტურა
კულტურის ნორმატულობა
პროფესიული კულტურა
სოციალიზაცია
კულტურის ფუნქციები:
ჰუმანისტური
ტრანსლაციის
შემეცნებითი (გნოსეოლოგიური)
მარეგულირებელი (ნორმატიული)
სემიოტური (ნიშნობრივი)
ფასეულობითი (აქსიოლოგიური)

კითხვები გამეორებისათვის

1. გვიამბეთ კულტურის ტიპოლოგიურობაზე.
2. დაასახელეთ კულტურის სახეობანი და საწყისები.
3. რა ფუნქციებს ასრულებს კულტურა?
4. დაახასიათეთ ურთიერთკავშირი: კულტურა – საზოგადოება – ადამიანი.
5. გამოთქვით თქვენი აზრი: კულტურული ადამიანი – ვინ არის ის?
6. როგორ გესმით ტერმინი „მანქურტიზმი“.

თავი 2

პირველყოფილი ეპოქის კულტურა



მეგალითების კულტურის გასაოცარ ძეგლთა რიცხვს მიეკუთვნება სთოუნჰენჯის (დიდი ბრიტანეთი) ქვის სვეტები. კომპლექსის მშენებლობა სამ ეტაპად (3000-დან 1500 წლამდე ჩვ.წ.აღ.-მდე) დიდ ტექნიკურ ოსტატობას მოითხოვდა. სთოუნჰენჯის ქვის დოლაბები ალბათ გამოიყენებოდა მზესა და მთვარეზე დაკვირვებისათვის.



ალტამირას (ესპანეთი) გამოქვაბულის კლდის ფერწერა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძეგლად ითვლება პალეოლითის ხანის ხელოვნებაში. სურათზე გამოსახული პრეისტორიული დროის ბიზონი შექმნილია ჩვ.წ.აღ.-მდე 21000-13000 წლებს შორის პერ

ადამიანის წარმოშობის ისტორია უხსოვარ დროში იწყება. თანამედროვე ანთროპოლოგია ვერ იძლევა საბოლოო და სარწმუნო წარმოდგენას მოხერხებული ადამიანის გონიერ ადამიანად გარდაქმნის დროისა და მიზეზების, ისევე როგორც მისი ევოლუციის ამოსავალი წერტილის შესახებ. ცხადია მხოლოდ ის, რომ ადამიანმა თავისი ბიოლოგიური და სოციალური განვითარების დროს გაიარა მეტად ხანგრძლივი და ერთობ მიხვეულ-მოხვეული რთული გზა.

პირველყოფილი საზოგადოების პერიოდიზაცია

კაცობრიობის განვითარების ისტორიის დიდი ნაწილი *პირველყოფილ* ადამიანთა პერიოდზე მოდის, რომელიც მრავალი ათასწლეულის მანძილზე გრძელდებოდა.

ქვის ხანა
(2 მლნ. წ. წინ – IV ათასწ. ჩვ.წ.აღ.-მდე)

ხელსაწყოებისა და იარაღის წარმოება ქვის, ხისა და ძვლისაგან

შემგროვებლობა, ნადირობა, თევზჭერა

პალეოლითი (ძველი ქვის ხანა) – 2 მლნ.წ. - XII ათასწ. ჩვ.წ.აღ.-მდე
მეზოლითი (შუა ქვის ხანა) – XII–VII ათასწ. ჩვ.წ.აღ.-მდე.
ნეოლითი (ახალი ქვის ხანა) – VII–IV ათასწ. ჩვ.წ.აღ.-მდე

სპილენძის ხანა (ენეოლითი)
(IV-II ათასწ. ჩვ.წ.აღ.-მდე)

ჭარბობს ქვის იარაღის დამუშავება, მაგრამ ჩნდება სპილენძის იარაღიც

ბრინჯაოს ხანა
(II ათასწლ დასასრული-I ათასწ. დასაწყისი ჩვ.წ.აღ.-მდე)

ბრინჯაოს მეტალურგია

მომთაბარე მესაქონლეობა სარწყავი მიწათმოქმედება

რკინის ხანა
(I ათასწ. დასაწყისი ჩვ.წ.აღ.-მდე)
რკინის მეტალურგია

ადამიანის მიერ უძველესი იარაღის დამზადება თარიღდება 2 მლნ-ზე მეტი წლის წინანდელი დროით. იარაღის დასამზადებლად გამოყენებული მასალების მიხედვით არქეოლოგები პირველყოფილი

მსოფლიოს ისტორიას ყოფენ *ქვის, სპილენძის, ბრინჯაოსა* და *რკინის* ჩანად.

პირველყოფილი ხელოვნებისათვის ყველაზე ადრეულ ეტაპზე განსაკუთრებით დამახასიათებელია *სინკრეტიზმი* (ბერძნ. synkretismos – დაკავშირება) – სხვადასხვა თვალსაზრისების შერწყმა, დაკავშირება. სამყაროს მხატვრულ ათვისებასთან დაკავშირებული ადამიანის მოქმედება იმავდროულად ხელს უწყობდა თვით Homo Sapiens-ის (ვონიერი ადამიანის) ჩამოყალიბებას.

ამ სტადიაში პირველყოფილი ადამიანის ფსიქიკური პროცესებისა და განცდების შესაძლებლობები იმყოფებოდა ჩანასახის, კოლექტიური არაცნობიერის მდგომარეობაში, ეგრეთწოდებულ *არქეტიპში* (ბერძნ. arche – საწყისი და typos – სახე) – პირველსახეში, საწყის ფორმაში. სამყაროს შეცნობა ხდებოდა სტიქიურად, ნებისმიერი ცნების უკან იდგა გამოსახულება, ცოცხალი მოქმედება.

პალეოლითის ხელოვნება

პირველყოფილი სახვითი ხელოვნების ჩვენამდე მოღწეული პირველი ნიმუშები მიეკუთვნება ორინიაკის (საფრანგეთი) ეპოქის სიმწიფის სტადიას (დაახლოებით 33-18 ათასწლ. ჩვ.წ.აღ.-მდე)[1]. ესაა ქალის პატარა სტატუეტები დამზადებული ქვისა და ძვლისაგან, სხეულის ჰიპერტროფირებული ფორმებით, სქემატიზირებული თავებით – ეგრეთწოდებული „*ვენერები*“, რომლებიც, როგორც ჩანს, დაკავშირებული იყო დედა-წინაპრის კულტთან და წარმოადგენდა ნაყოფიერების სიმბოლოს. მსგავსი „ვენერები“ ნაპოვნია იტალიაში, ავსტრიაში, ჩეხეთში, რუსეთსა და სხვა მრავალ ქვეყანაში.

ამავე პერიოდში იქმნება ცხოველების განზოგადებულად გამომხატველი გამოსახულებები – მამონტის, სპილოს, ცხენის, ირმისთვის დამახასიათებელი ნიშნებით.

ხელოვნების უძველესი ძეგლებია ნაპოვნი დასავლეთ ევროპაში. ისინი თარიღდება გვიანი პალეოლითის იმავე პერიოდით, რითაც თანამედროვე ტიპის ადამიანის გამოჩენა. პირველყოფილი ფერწერული ძეგლები აღმოჩენილია 100-ზე მეტი წლის წინათ. ესპანელმა არქეოლოგმა მ. საუტუოლამ 1879 წ. ალტამირას გამოქვაბულში აღმოაჩინა პალეოლითის ეპოქის მრავალფეროვანი გამოსახულება.

[1] ორინიაკის კულტურა – გვიანი პალეოლითის კულტურა. სახელწოდება მიიღო ორინიაკის (საფრანგეთი) მღვიმის სახელისაგან. მისთვის დამახასიათებელია კაჟის ფირფიტების რეტუშირება, ამზადებდნენ ძვლის წაწვეტებულ შუბებს. ადამიანის მთავარი საქმიანობა ნადირობაა.

1895 წ. ლა მუტის (საფრანგეთი) მღვიმეში ნაპოვნია პირველყოფილი ადამიანის ნახატები. 1901 წ. ა. ბრეილმა საფრანგეთში ვეზერის ველზე ლე-კომბატელის მღვიმეში იპოვა 300-მდე ნახატი მამონტის, ბიზონის, ირმის, ცხენის, დათვის გამოსახულებებით. აღმოჩენილია აგრეთვე ადამიანთა გამოსახულებები – უმეტესწილად ნიღბებით. იმავე წელს ფონ დე გომის მღვიმეში, ლე-კომბატელის მახლობლად არქეოლოგმა პეტრონიმ იპოვა მთელი „სამხატვრო გალერეა“: 40 ნახატი – გარეული ცხენის, 23 – მამონტის, 17 – ირმისა. ნახატები შესრულებულია ოხრათი (ყანგმიწა) და სხვა საღებავებით, რომელთა დამზადების საიდუმლო დღემდე უცნობია.

პირველყოფილი ხელოვნება, რომელიც თავდაპირველად არ იყო განკერძოებული მოქმედების ცალკეულ სპეციალურ სახეობად, დაკავშირებული იყო ნადირობასთან და შრომის პროცესთან, ასახავდა ადამიანის მიერ სინამდვილის თანდათანობით შეცნობას, გარე სამყაროს შესახებ მის პირველ წარმოდგენებს.

ზოგიერთი ხელოვნებათმცოდნე გამოჰყოფს პალეოლითის ხანის სახვითი შემოქმედების სამ ეტაპს. თითოეული მათგანი ხასიათდება თვისობრივად ახალი გამომსახველობითი ფორმის შექმნით:

- ნატურალური შემოქმედება – კომპოზიცია ტუშით, ძვლებით, ნატურალური მაკეტით;
- ხელოვნური გამომსახველობითი ფორმა – თიხის დიდი ქანდაკება, ბარელიეფი, პროფილის კონტური;
- ზედაპალეოლითური სახვითი შემოქმედება – მღვიმის მოხატვა, ძვალზე გრაფირება.

ანალოგიური ეტაპების მოკვლევა შეიძლება პირველყოფილი ხელოვნების მუსიკალური ფენის შესწავლისას. მუსიკალური საწყისი არ იყო გამოყოფილი მოძრაობისგან, ჟესტებისგან, ამოძახილისა და მიმიკისგან.

„ნატურალური პანტომიმის“ მუსიკალური ელემენტებია: *ბუნებრივი ბგერების იმიტაცია – ბგერით მიმსაძღვლოობითი მოტივები.* ხელოვნური ინტონაციური ფორმა – ესაა მოტივები ტონის ფიქსირებული სიმაღლის მდგომარეობით. ინტონაციური შემოქმედება არის ორ და სამხმიანი მოტივები.

საფრანგეთში, აღმოსავლეთ ევროპასა და რუსეთში გათხრებისას ნაპოვნია უბრალო ფლეიტები პირის სასტვენის მსგავსი, რომელსაც ჰქონდა სამი-შვიდი ნახვრეტი თითებისათვის. ამ ინსტრუმენტების ურანგული ნიმუშები გაკეთებული იყო ფრინველთა ძვლებისაგან, ხოლო აღმოსავლეთ ევროპასა და რუსეთში აღმოჩენილი ნიმუშები –

დათვისა და ირმის ძვლებისაგან. უძველესი მუსიკალური საკრავებია აგრეთვე დოლი და ფლარუნები.

პირველყოფილ ეპოქაში ჩაისახა სახვითი ხელოვნების ყველა სახეობა: გრაფიკა (ნახატები და სილუეტები), ფერწერა (მინერალური საღებავებით ფერში შესრულებული გამოსახულება), ქანდაკება (ქვისაგან გამოკვეთილი ან თიხისაგან გამოძერწილი ფიგურები), არქიტექტურა (პალეოლითური სადგომები).

საინტერესოა *მეზინის* სადგომში (უკრაინა) ნაპოვნი პალეოლითური პერიოდის ხელოვნების ნიმუშები. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ქვისა და ძვლის იარაღთან, ყურწიან ნემსებთან, სამკაულებთან, საცხოვრებლის ნაშთებთან და სხვა ნივთებთან ერთად აღმოჩენილ იქნა ძვლის ნაკეთობები მათზე ოსტატურად შესრულებული გეომეტრიული ორნამენტებით. გეომეტრიული ხაზებითა და ხვეულებითაა დაფარული მამონტის ეშვებისაგან გამოკვეთილი სამაჯურები, ყოველგვარი სტატუეტები და ფიგურები.

ძირითადად, ზიგზაგისებური ხაზების სიმრავლით შედგენილი გეომეტრიული ორნამენტი მეზინური კულტურის ძირითადი ელემენტია. ასეთი უცნაური ზიგზაგისებური ნახაზი უკანასკნელ წლებში აღმოჩენილია აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის პალეოლითურ სადგომებშიც.

რას აღნიშნავს და როგორ გაჩნდა ეს აბსტრაქტული ნახაზები? — ამ საკითხის გადასაჭრელად მრავალ მკვლელობას ჰქონდა ადგილი. გეომეტრიული სტილი მთლად ვერ შეესატყვისებოდა გამოქვაბულის ხელოვნების რეალიზმის თვალსაზრისით ბრწყინვალე ნიმუშებს. მხოლოდ, მამონტის ეშვების ჭრილის სტრუქტურის გამადიდებელი ხელსაწყოების საშუალებით შესწავლის შედეგად მეცნიერებმა შეამჩნიეს, რომ ისინიც შედგება ზიგზაგისებური ნახაზებისაგან, რაც ძალიან ჰგავს მეზინური ნაკეთობების ზიგზაგისებურ ორნამენტულ მოტივებს. ამრიგად, მეზინის გეომეტრიული ორნამენტის საფუძველი არის თვით ბუნების მიერ მოხატული ნახაზი. მაგრამ ძველი დროის მხატვრები არა მარტო იღებდნენ ბუნების ასლებს, არამედ პირველქმნილ ორნამენტებში შეჰქონდათ ახალ კომპოზიციები და ელემენტები.

მეზინური სადგომის ერთ-ერთ საცხოვრებელში აღმოჩენილი იქნა მამონტის ძვლებისაგან დამზადებული უძველესი მუსიკალური ინსტრუმენტი, რომელიც განკუთვნილი იყო ხმაურის ან რითმული ბგერების წარმოსაქმნელად.

ურალში ნაპოვნია მდიდრული ორნამენტებით შესრულებული ქვის ხანის ჭურჭელი. ხშირად ნახატებს ალბეჭდავდნენ სპეციალური ტვიფრით (შტამპით), რომელიც, როგორც წესი, მზადდებოდა ყვითელი ან მწვანე პრიალა ქვის კარგად გაგლუვებული მომრგვალებული ბრტყელი კენჭებისაგან. მათ ბასრ მხარეებზე უკეთდებოდა ჭრილები. ტვიფრებს აკეთებდნენ ავრეთვე ძვლის, ხის და სადაფისაგან (ნიჟარა). ამგვარი ტვიფრების სველ თიხაზე ალბეჭდვით მიიღებოდა სავარცხლის ნაჭდევის მსგავსი ნახატი. ამიტომ ასეთი ტვიფრის ანაბეჭდს ხშირად უწოდებენ სავარცხლისებურს ან დაკბილულს.

პირველყოფილი კულტურის განვითარების შედარებით გვიანი ეტაპები მიეკუთვნება მეზოლითის, ნეოლითის ხანას და პირველი ლითონის იარაღის გავრცელების პერიოდს. ბუნების მზა პროდუქტების ათვისებისგან პირველყოფილი ადამიანი თანდათან გადადის შრომის უფრო რთულ ფორმაზე, ნადირობასა და თევზჭერასთან ერთად იწყებს მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას.

ნეოლითისა და ბრინჯაოს ხანის ხელოვნება

ნეოლითისა და ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება გამოსახულებები, რომლებიც გადმოსცემენ უფრო რთულსა და განყენებულ ცნებებს. ჩამოყალიბდა გამოყენებითი დეკორატიული ხელოვნების მრავალი სახეობა — კერამიკის წარმოება, ლითონის დამუშავება. ადამიანები აკეთებდნენ მშვილდებს, ისრებს, თიხის ჭურჭელს. ახალი ქვის ხანაში გაჩნდა ადამიანის მიერ გამოგონილი პირველი ხელოვნური მასალა. ესაა *გამომწვარი, ცეცხლგამძლე თიხა*. ადრე კი ადამიანი თავისი საჭიროებისთვის იყენებდა მხოლოდ იმას, რასაც ბუნება სთავაზობდა — ქვას, ხეს, ძვალს.

ტონების მსუბუქი და შეუმჩნეველი მონაცვლეობა, სალებავების ერთმანეთზე დაფენა ქმნის მოცულობის შთაბეჭდილებას, ცხოველის ტყავის ფაქტურის შეგრძნებას. მთელი თავისი ცხოვრებისეული გამომსახველობით და რეალისტური განზოგადებულობით პალეოლითის ხელოვნება მაინც რჩება ინტუიციურ-სპონტანურ მოვლენად. იგი შედგება ცალკეული კონკრეტული სახეებისგან, მასში არ არის ფონი, არ არის კომპოზიცია ამ ცნების თანამედროვე მნიშვნელობით.

რუსეთის ტერიტორიაზე ლითონისგან დამზადებული პირველი საგნები დაახლოებით 9 ათასი წლის წინ გაჩნდა. ეს იყო ნაჭედი

(დურგლობა) ნაკეთობები. ლითონის ჩამოსხმა გაცილებით გვიან იქნა გამოგონებული. ურალში დაახლოებით 5 ათასი წლის წინ უკვე აშზადებდნენ სპილენძის სადგისებს, დანებს, კაუჭებს, ხოლო დაახლოებით 4 ათასი წლის წინ კი — პირველ მზატვრულ სხმულებს. მაგალითად, მდინარე კამის ნაპირზე ტურბინის სამარხიდან ამოღებული დანების ტარებზე ჩამოსხმული ცხვრის ფიგურები იმდენად დახვეწილად იყო ნაკეთები, რომ სპეციალისტებს არ გაუნელებიათ ცხოველთა სახეობის დადგენა.

ჩვ.წ.აღ.-მდე III ათასწლეულის ადრეული ბრინჯაოს ხანის ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის კულტურამ მიიღო *მაიკოპის* კულტურის სახელწოდება მისი ცნობილი ძეგლის — მაიკოპის ყორღანის მიხედვით. მაიკოპის კულტურა გავრცელებული იყო ჩრდილო-დასავლეთით ტამანის ნახევარკუნძულიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით დაღესტნამდე.

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპი ხასიათდება მეტალურგიის განვითარებით, ლითონის დამუშავებით. მოიპოვებდნენ და ადნობდნენ სპილენძს, ჩამოყალიბდა ბრინჯაოს მზა ნაკეთობების წარმოება. ამ პერიოდის ბოლოს ბრინჯაოს ნივთების გვერდით ჩნდება რკინის ნაკეთობებიც.

საწარმოო ძალების განვითარებამ ზოგიერთ მწყემსურ ტომში გამოიწვია მომთაბარე მესაქონლეობის განვითარება. სხვა ტომები კი, აგრძელებდნენ რა ბინადარი ცხოვრების წესს მიწათმოქმედების საფუძველზე, გადავიდნენ განვითარების უფრო მაღალ ეტაპზე — სასახნისე მიწათმოქმედებაზე. ამავე პერიოდში ტომების შიგნით ადგილი აქვს მნიშვნელოვან სოციალურ ძვრებსაც.

პირველყოფილი საზოგადოების გვიანდელ პერიოდში განვითარდა *მზატვრული ხელოსნობა*: მზადდებოდა ბრინჯაოს, ვერცხლის, ოქროს ნაკეთობები.

პირველყოფილი საცხოვრებლები და სამარხები

პირველყოფილი ეპოქის დასასრულს ჩნდება ახალი ტიპის არქიტექტურული ნაგებობანი — *ციხე-სიმაგრეები*, რომლებიც უმეტესწილად ნაგებია დიდი, უხეშად ნათალი ქვისაგან და შემორჩენილია დასავლეთ ევროპისა და კავკასიის ტერიტორიაზე; ხოლო ევროპის შუა ნაწილის ტყიან ზოლში ჩვ.წ.აღ.-მდე 1 ათასწლ. გავრცელდა დასახლებები — სადგომები და სამარხები.

დასახლებები იყოფა გაუმაგრებელ (სადგომები, სოფლები) და გამაგრებულ (ქალაქები) ნაგებობებად. სოფლებსა და ქალაქებს

ჩვეულებრივ უწოდებენ ბრინჯაოსა და რკინის ეპოქის ძეგლებს. სადგომები კი მიეკუთვნება ქვისა და ბრინჯაოს ხანებს. ტერმინი „სადგომი“ ერთობ პირობითია. ამჟამად იგი იცვლება ცნება „დასახლებით“. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მეზოლითის ხანის დასახლებებს, ეგრეთწოდებულ *კიოკენმედინგებს* (დანიურად), რაც ითარგმნება, როგორც „სამზარეულოთა გროვები“. ისინი მართლაც ჰგვანან ნიადაგთა ნარჩენების გრძელ გროვებს და აღმოჩენილი იქნა დანიაში. რუსეთის ტერიტორიაზე მსგავსი ტიპის დასახლებები გვხვდება შორეულ აღმოსავლეთში. დასახლებათა ნაშთები წარმოდგენას გვიქმნის უძველეს ადამიანთა ყოფა-ცხოვრების შესახებ.

ქვის ხანის მონადირეთა სადგომები, ასევე პომპეიც, ჰერკულანუმიც, ტროაც და სხვა უძველესი ქალაქები — დასახლებებს მიეკუთვნება.

დასახლებათა განსაკუთრებულ სახეობას წარმოადგენს რომაული ტერამარები (ლათ. teraa — მიწა) — ხიმინჯებზე, ბოძებზე გამაგრებული დასახლებები. მათ საშენ მასალად გამოყენებული იყო მერგელი (ნიადაგის სახეობაა). ქვის ხანის ბოძოვანი დასახლებებისაგან განსხვავებით რომაელები ტერამარებს აგებდნენ არა ტბაზე, ან ჭაობიან ადგილებში, არამედ მშრალ ადგილზე, შემდეგ კი დასახლების ირგვლივ მთელ სივრცეს წყლით ტბორავდნენ მტრისაგან თავის დასაცავად.

დასაფლავების წესი იყოფა ორ ძირითად სახეობად: *დაკრძალვა საფლავის ზემოთ აგებულ ნაგებობაში* (ყორღანი, მეგალითი, აკლდამა) და *დაკრძალვა მიწაში*, ე. ი. საფლავს ზემოთ რაიმე ნაგებობის გარეშე. შედარებით რთული ნაგებობებია — *მეგალითური სამარხები* (ბერძნ. megas — დიდი, lithos — ქვა), ე. ი. დაკრძალვა დიდი ქვებისაგან აგებულ სამარხებში — დოლმენებსა და მენჰირებში.

დასავლეთ ევროპისა და რუსეთის სამხრეთ ნაწილში გავრცელებულია *დოლმენები* (ბრეტონ. tol — მაგიდა და men — ქვა), *მენჰირები* (ბრეტონ, men — ქვა, hir — გრძელი) — ცალკეული ქვის ბოძები. გვხვდება 21 მეტრი სიგრძის და დაახლოებით 300 ტ. წონის მენჰირები. კარნაკში (საფრანგეთი) 2683 მენჰირი ერთმანეთის მიყოლებით დგას გრძელ მწკრივად ქვების ხეივნის სახით. ზოგჯერ ქვები განლაგებულია წრიულადაც, მათ *კრომლეხები* (ბრეტონ. crom — მრგვალი, lech — ქვა) ეწოდება. კრომლეხები საკულტო ნაგებობებია.

რწმენა პირველყოფილ საზოგადოებაში

ადამიანთა უძველეს საზოგადოებაში რწმენა დაკავშირებული იყო საშვაროს პიროვნულ აღქმასთან, პირველყოფილ

მითოსურ წარმოდგენებთან და ეფუძნებოდა *ანიმიზმს* (ლათ. anima – სული) – ბუნებრივი მოვლენებისათვის ადამიანური თვისებების მინიჭებას.

რელიგიის შედარებით ძველი ფორმაა *მაგია* (ბერძნ. magie – ჯადოქრობა), რაც წარმოადგენს სიმბოლური ქმედებებისა და რიტუალების მთელ რიგს სხვადასხვა შელოცვებითა და წეს-ჩვეულებებით.

ცნობილი ინგლისელი რელიგიისმცოდნე და ეთნოლოგი ჯ.ეიმს ფრეზერი თავის ნაშრომში *„ოქროს რტო“* აღნიშნავს, რომ მაგიური აზროვნება დაფუძნებულია *სიმპათიკური* მაგიის ორ პრინციპზე (სიმპათიის კანონი)[1]. პირველ პრინციპს უწოდა *ჰომეოპათიური* მაგია, ანუ მსგავსების კანონი, მეორეს – *კონტაგიოზური* მაგია (კონტაქტის კანონი), რომელიც მოიცავს შეხების კანონზე დამყარებულ ჯადოსნურ მეთოდებს. „მსგავსი წარმოშობს მსგავსს“, პრინციპის ყველაზე ჩვეულ გამოყენებას წარმოადგენს სხვადასხვა ეპოქებში მრავალ ხალხთა მიერ ნაცადი მეთოდი მტრისათვის ზიანის მიყენების, ან მისი მოსპობის მიზნით მისი გამოსახულების განადგურება.

მაგიის ერთ-ერთი ნაირსახეობაა *ფეტიშიზმი* (ფრ. fetiche – კერპი, თილისმა) – ბუნებრივი, თუ ადამიანის მიერ შექმნილი მატერიალური ნივთების ზებუნებრივი თვისებების რწმენა.

მრავალი უძველესი ხალხის ისტორიაში მიშვნელოვან როლს თამაშობდა ცხოველებისა და მცენარეებისადმი თაყვანისცემა. ველურ ადამიანებს სამყარო მთლიანობაში გასულიერებულად წარმოედგინათ: ცხოველები და მცენარეებიც არ წარმოადგენდნენ გამონაკლისს საერთო წესიდან. ველურ ადამიანს სწამდა, რომ მათ გააჩნიათ მისი მსგავსი სული და შესაბამისად ამყარებდა მათთან ურთიერთობას. როდესაც პირველყოფილი ადამიანი თავის თავს უწოდებდა ცხოველის სახელს, მას თავის „ძმას“ უწოდებდა და თავს იკავებდა მათი მოკვლისგან, ასეთ ცხოველს უწოდებდნენ *ტოტემურს* (ჩრდ.-ინდ. „ო ტოტემან“ – მისი გვარი). *ტოტემიზმი* – ესაა გვარსა და გარკვეულ მცენარესა თუ ცხოველს შორის სისხლით ნათესაური კავშირის რწმენა.

რწმენის ამ ფორმათა გადმონაშთები ფაქტობრივად შენარჩუნებულია ყველა რელიგიაში, აგრეთვე, მსოფლიო ხალხთა ტრადიციებსა და ყოფიერებაში.

[1] იხ. ფრეზერი ჯ. ოქროს რტო – მ., პოლიტგამოც., 1983 (ათეისტ. ბიბლიოთ. ლიტ.).

პირველყოფილი ეპოქის ხელოვნებამ დასაბამი მისცა მსოფლიო ხელოვნების შემდგომ განვითარებას. ძველი ეგვიპტის, შუმერების, ირანის, ინდოეთის, ჩინეთის კულტურა აღმოცენდა იმ საფუძველზე, რაც უხსოვარ დროში შექმნილი იყო მათ პირველყოფილ წინამორბედთა მიერ.

ძირითადი ტერმინები და ცნებები

ანიმიზმი
არქეტიპი
„ვენერები“
ორინიაკის კულტურა
ბრინჯაოს ხანა
დოლმენები
რკინის ხანა
ხმებსმიმსგავსებული მოტივი
ქვის ხანა
კრომპეხი
ციხე-სიმაგრეები
კიეკმედინგები
მაგია:
სიმპათიკური,
ჰომეოპათიური,
კონტაგიოზური
მაიკოპის კულტურა
სპილენძის ხანა
მეზინის სადგომი
მეზოლითი
ნეოლითი
პალეოლითი
დაკრძალვის სახეები:
ყორღანები,
მეგალითები,
საფლავები,
გრუნტოვანი (ნიადაგის ქვედა ფენა)
დასახლებები:
სადგომები,
სოფლური,
ქალაქური
რომაული ტერამარები
სინკრეტიზმი
ტოტემიზმი
ფეტიშიზმი

კითხვები გამეორებისათვის

1. გვიამბეთ პირველყოფილი ეპოქის ეტაპებზე.
2. როგორ გესმით ტერმინები „სინკრეტიზმი“ და „არქეტიპი“?
3. გვიამბეთ პირველყოფილი ხელოვნების სახვითი და მუსიკალური ფორმების შესახებ.
4. დაასახელეთ პირველყოფილი ეპოქის დასახლებებისა და დაკრძალვის სახეობები.

თავი 3

ძველი აღმოსავლეთის კულტურა



ჩინეთის პირველი იმპერატორის სამარხი აგებული საბრძოლო მწყობრით.



მღვიმური ტაძრები აჯანში (ინდოეთი)



სტუპა – ბუდისტური სიწმინდე სანჩიში (ინდოეთი)

ძველი ეგვიპტის კულტურა

ძველი ეგვიპტე – პირველი სახელმწიფოა დედამიწაზე, პირველი დიდი ძლევამოსილი სახელმწიფო, პირველი იმპერია, რომელიც პრეტენზიას აცხადებდა მსოფლიო ბატონობაზე. ეს იყო ძლიერი სახელმწიფო, სადაც ხალხი მთლიანად ემორჩილებოდა მმართველ კლასს. ძირითადი პრინციპები, რაზედაც დაყრდნობილი იყო ეგვიპტის უმაღლესი ხელისუფლება, იყო მისი შეურყევლობა და მიუწვდომლობა.

პროტესტი სიკვდილის წინააღმდეგ

ძველი ეგვიპტის კულტურის მნიშვნელოვანი ნიშანია – პროტესტი სიკვდილის წინააღმდეგ, რომელსაც ეგვიპტელები „არანორმალურობად" თვლიდნენ. უსაზღვრო სწრაფვამ *უკვდავებისკენ* მთლიანად განსაზღვრა ეგვიპტელთა მსოფლმხედველობა, მთლიანად განმსჭვალა ეგვიპტელთა რელიგიური აზროვნება, რამაც ჩამოაყალიბა ძველეგვიპტური კულტურა. კულტუროლოგი სპეციალისტები თვლიან, რომ არცერთ სხვა მსოფლიო ცივილიზაციაში პროტესტი სიკვდილის წინააღმდეგ ისე აშკარად, კონკრეტულად და დასრულებული სახით არ გამომჟღავნებულა, როგორც ეგვიპტეში[1].

უკვდავებისაკენ სწრაფვა წარმოჩინდა იმის საფუძვლად, რომ აღმოცენებულიყო *სულის მოსახსენებელი კულტი*, რომელმაც განსაკუთრებულად დიდი როლი შეასრულა ძველი ეგვიპტის ისტორიაში არა მარტო რელიგიური და კულტურული, არამედ პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისითაც. სწორედ გარდუვალი სიკვდილისადმი შეურიგებლობის საფუძველზე ეგვიპტელებში ჩამოყალიბდა რწმენა, რომლის თანახმად სიკვდილი არ ნიშნავდა დასასრულს: დედამიწაზე მშვენიერი ცხოვრება შეიძლება გაგრძელებულიყო უსასრულოდ, მუდმივად, რომ გარდაცვლილს ელოდა აღდგომა. ამისათვის, მიცვალებულის უკვდავ სულთაგან ერთერთი აუცილებლად კვლავ უნდა შეერთებოდა თავის სხეულს. ამიტომ ცოცხლებს უნდა ეზრუნათ გარდაცვლილის გვამის შენახვაზე – რისთვისაც საჭირო იყო ბალზამირება. მიცვალებულის სხეულის შენახვისათვის ზრუნვამ წარმოქმნა *მუმიის* მომზადების ხელოვნება სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის გასაგრძელებლად, ასევე მნიშვნელოვანი იყო სხეულის შესანახი სპეციალური აკლდამის აშენება.

[1] ლ. ლუბიმოვი. ძველი მსოფლიოს ხელოვნება – მ.: განათლება. 1971, გვ.54-56.

ეგვიპტელები ვარაუდობდნენ, რომ მუდმივი, მაგრამ მყოფე სულისათვის თავის ადრინდელ და აწ უკვე მუდმივ სხეულში დაბრუნება ყველაზე მოსახერხებელი იყო ვრცელ, სინათლისა და უცხო თვალისაგან დაცულ საძვალეში — *პირამიდაში*.

პირამიდები

პირამიდებს აშენებდნენ *ფარაონებისათვის* (ასე უწოდებდნენ მეფეებს ეგვიპტეში) და მაღალი წრის წარმომადგენელთათვის, თუმცა ეგვიპტელთა ქურუმების რელიგიური სწავლებით ნებისმიერი ადამიანი, არა მხოლოდ მეფე ან მდიდარი, ფლობს უკვდავ სასიცოცხლო ძალას — *კას* ანუ უკვდავებას, მხოლოდ ერთი პირობით, თუ სრულყოფილად იქნება დაცული დამარხვის რიტუალი. ღარიბთა სხეულის ბალზამირება სიძვირის გამო არ ხერხდებოდა, მათ უბრალოდ შეახვევდნენ და სასაფლაოების ბოლოს თხრილში აგდებდნენ.

პირამიდებს აგებდნენ არა მონები, არამედ გლეხები წყალდიდობისა და გვალვის პერიოდში, როდესაც თავისუფალი იყვნენ მინდვრის სამუშაოებისაგან. პირამიდების მშენებლობაზე მუშაობა ითვლებოდა რელიგიურ მოვალეობად. ჩვ.წ.აღ-მდე III-II საუკუნეებში ღმერთისათვის აღმართული ნაგებობები — პირამიდები და ტაძრები — ქვისაგან შენდებოდა. პირამიდების მშენებლობა ქვეყნის ეკონომიკისათვის გამანადგურებელი იყო, აცარიელებდა სახელმწიფო ხაზინას, ხალხის მხრიდან ძალთა კოლოსალურ დაძაბვასა და უდიდეს მსხვერპლს მოითხოვდა. როგორც ცნობილია, ისტორია ვერ ითმენს უპირობო გადაწრებს, მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეგვიპტელებს ასეთი თავგამოდებით, მსხვერპლის ფასად პირამიდების ნაცვლად გზები რომ ეშენებინათ, ეგვიპტე უფრო დინამიურად განვითარდებოდა.

ეგვიპტის პირამიდებს შორის ყველაზე ადრინდელი — *ფარაონ ჯოსერის პირამიდა* აშენებულია დაახლოებით 5 ათასი წლის წინ. იგი საფეხურებიანი წყობისაა და კიბესავით ზემოთ, ცისკენ მიემართება. ყველაზე ცნობილი და მნიშვნელოვანი თავისი ზომებით არის *ხეოფსის პირამიდა*. ცნობილია, რომ ამ პირამიდას 20 წლის მანძილზე ასი ათასობით ადამიანი აშენებდა. ზომები ისეთია, რომ შიგნით თავისუფლად მოთავსდებოდა ნებისმიერი ევროპული ტაძარი. სიმაღლე 147 მ (დღეს 137 მ), მოედანი დაახლოებით 55 000 მ^2. ხეოფსის პირამიდა ნაგებია გიგანტური კირქვის ლოდებისაგან, რომელთაგან თითოეული 2-3 ტ.-ს იწონის. მეცნიერებმა გამოთვალეს, რომ მის მშენებლობაზე გამოყენებული იყო 2300000 ასეთი ქვა. გასაოცარია ძველ ოსტატთა მშენებლობის ხელოვნება: პირამიდის ლოდები დღემდე ისე მჭიდროდაა ერთმანეთზე დაწყობილი, რომ მათ შორის ნემსის

გაძვრენაც კი შეუძლებელია. გარედან ხეოფსის პირამიდა მოპირკეთებული იყო მშვენივრად გაპრიალებული კირქვის ფილებით.

უძველესი ეგვიპტური პირამიდები ითვლება *მსოფლიოს შვიდ საოცრებათაგან* ერთ-ერთად. მოგვიანებით, ჩვ.წ.აღ-მდე II ათასწლეულში პირამიდების მშენებლობა ქვის ნაცვლად აგურისაგან დაიწყეს, რაც ნაკლებად აღარიბებდა სახელმწიფოს, თვით პირამიდები კი შედარებით მცირე ზომისაა.

ჩვ.წ.აღ.-მდე I ათასწლეულის დასაწყისისათვის პირამიდების მშენებლობა შეწყდა. ფარაონთა განსასვენებელი აკლდამებისთვის გამოყოფილი იყო ღრმა და უცხო თვალისგან დაცული სამალავები. თუმცა ეს სამალავებიც ისევე ხშირად იძარცვებოდა, როგორც პირამიდები. ფარაონთა აკლდამები მთელი ძველი ეგვიპტის ისტორიის მანძილზე იძარცვებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ძველ ეგვიპტელებს ეშინოდათ თავიანთი მეფეებისა და ალერთებდნენ მათ.

რელიგია

ფარაონთა გაღმერთებას ცენტრალური ადგილი ეჭირა ეგვიპტის *რელიგიურ კულტში*.

ეგვიპტელები თვლიდნენ, რომ ფარაონი — ესაა მზის ცოცხალი მსგავსება და გარდაცვალების შემდეგ ცურავს ცის კაბადონზე — დღისით მზის და ღამით მთვარის ეტლით. ძველ ეგვიპტეში უამრავი ღმერთი იყო, თითოეულ ქალაქს შესაძლებელია რამდენიმე ღმერთი ჰყოლოდა. უმთავრესი იყო *მზის ღმერთი* — რა, ღმერთთა მეფე და მამა. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღმერთთა შორის იყო *ოსირისი* — სიკვდილის ღმერთი, მომაკვდავი და მკვდრეთით აღმდგარი ბუნების განსახიერება. ეგვიპტელებს სჯეროდათ, რომ გარდაცვალებისა და აღდგომის შემდეგ ოსირისი გახდა მიწისქვეშეთის სამეფოს მეფე. უმნიშვნელოვანესი ქალღმერთი იყო *ისიდა* — ოსირისის მეუღლე და და, დედობისა და ნაყოფიერების მფარველი ქალღმერთი. *მთვარის* ღმერთი ერთდროულად იყო დამწერლობის მფარველი ღვთაებაც. ჭეშმარიტებისა და წესრიგის ღმერთი იყო *მაატი*. ღვთაებრიობის განსახიერებად მიიჩნევდნენ ცალკეულ ცხოველებს, მცენარეებსა და საგნებს.

ეგვიპტელთა *მრავალღმერთიანობა* ხელს არ უწყობდა სახელმწიფოს ნამდვილ ცენტრალიზაციას, უმაღლესი ხელისუფლების გაძლიერებას და ეგვიპტელთა მიერ დამონებული ტომების დამორჩილებას. ფარაონი *ამენჰოტეპ IV* (მმართველობდა ჩვ.წ.აღ.-მდე 1419 — დაახ. 1400 წლებში) იყო რელიგიური რეფორმატორი, რომელიც ცდილობდა დაემკვიდრებინა ერთი ღმერთის კულტი. ეს იყო კაცობრიობის ისტორიაში *ერთღმერთიანობის* დაწესების პირველი

მცდელობა. მან შემოიტანა ახალი სახელმწიფოებრივი კულტი, ჭეშმარიტ ღვთაებად გამოაცხადა მზის დისკო სახელწოდებით ატონი, ჭურუმების მიერ მიჩნეული, როგორც „რას სხეული“. სახელმწიფოს დედაქალაქად გამოაცხადა აქეტატონი (დღევანდელი პატარა ქალაქი ელ-ამარნა) და თვითონ მიიღო სახელი *ეხნატონი*, რაც ნიშნავს „სასურველი ღმერთ ატონისათვის“. ის ცდილობდა დაემხო ძველ ჭურუმთა და ძველ წარჩინებულთა სიძლიერე: ყველა სხვა ღმერთის კულტი გააუქმა, მათი ტაძრები დახურა, ხოლო ქონებას კონფისკაცია გაუკეთა. მაგრამ ეხნატონის ამ რეფორმებმა გამოიწვია ჭურუმთა მრავალრიცხოვანი და მძლავრი ფენის ძლიერი წინააღმდეგობა და ის ხანმოკლე აღმოჩნდა. ფარაონ-რეფორმატორის მომხრეები მალე იძულებულნი გახდნენ ჭურუმებთან დათმობაზე წასულიყვნენ. ძველ ღმერთთა კულტები კვლავ აღადგინეს და ადგილობრივ ჭურუმთა პოზიციები კვლავ გაძლიერდა.

ლიტერატურა. ხელოვნება. მეცნიერება

უძველესი ეგვიპტური ტექსტები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია — ესაა ღმერთებისადმი აღვლენილი ლოცვები და სამეურნეო ჩანაწერები.

ჩვენს დრომდე შემონახული *მხატვრული ლიტერატურის* უძველესი ძეგლები ჩვ.წ.აღ.-მდე მეორე ათასწლეულით თარიღდება. სავარაუდოა, რომ არსებობდა უფრო ადრეული ლიტერატურული ქმნილებანი, მაგრამ ისინი არ შემონახულან. მხატვრული ლიტერატურა წარმოდგენილია სხვადასხვა ჟანრებით — ეს არის მეფეთა და ბრძენთა სწავლებანი შვილებისადმი, მრავალი ზღაპარი სასწაულებსა და ჯადოქრებზე, მოთხრობები. ძველეგვიპტური ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე აბსტრაქტული თხზულებაა — *„ჭკულგატეხილის საუბარი საკუთარ სულთან“*. ცხოვრების არსში რწმენადაკარგული ადამიანი იწყებს სიკვდილის ძიებას. სული ცდილობს გადააფიქრებინოს თვითმკვლელობა, არწმუნებს იმქვეყნიური ცხოვრების იმედის უსაფუძვლობაში, ურჩევს სრულიად დატკბეს ამქვეყნიური, მიწიერი სიცოცხლით.

საბვითი და *მონუმენტური ხელოვნება* მთლიანად ატარებს ეგვიპტის კულტურის ბეჭედს. ტაძრებისა და სასახლეების წინ ეგვიპტელები აღმართავდნენ *იეროგლიფებით* — ნახატების სიმბოლური დამწერლობით დაფარულ მალალ, ვიწრო ობელისკებს, რომლებიც მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ძველი ეგვიპტური კულტურისა. შემდგომ პერიოდში ძველეგვიპტური იეროგლიფური დამწერლობა გარდაიქმნა

მარცვლოვან დამწერლობად (რაც არ მომხდარა ჩინურ იეროგლიფურ დამწერლობაში).

სამარხო ტაძრების წინ აღმართავდნენ *სფინქსებს*: ქვაში გამოთლილ არსებებს, ლომის სხეულითა და ადამიანის — ფარაონის თავის გამოსახულებით. სფინქსი ანსახიერებდა სიბრძნეს, იდუმალებასა და ეგვიპტელი მმართველის ძლიერებას. ყველაზე დიდი სფინქსი, შესრულებული ჩვ.წ.აღ.-მდე III ათასწლეულში, დღემდე დარაჯობს ხეფრენის პირამიდას. სფინქსი გამოთლილია მთლიანი კლდისაგან: თავი 30-ჯერ დიდია ადამიანის თავზე, სხეულის სიგრძე 57 მ-ია.

ძველეგვიპტური ხელოვნების სხვა შესანიშნავი და მთელს მსოფლიოში ცნობილი ძეგლებია *სკულპტურული პორტრეტები*: ფარაონ ამენემხეთ III სტატუეტი, დიდებულ ხუნენის სტელა, ფარაონ სენუსერტ III-ის[1] პორტრეტული თავი.

ჩვ.წ.აღ.-მდე II ათასწლეულის ძველეგვიპტური სახვითი ხელოვნების შედევრად ხელოვნებათმცოდნეები თლიან ძვირფასი ყუთის სახურავის *რელიეფს*, რომელზედაც გამოხატულია ფარაონი ტუტანხამონი თავის ნორჩ ცოლთან ერთად ბაღში[2].

ჩვ.წ.აღ.-მდე I ათასწლეულის ეგვიპტის მაღალი კულტურის დამამტკიცებელია ამენხოტეპ IV-ის ცოლის *ნეფერტიტის* — მსოფლიოში ცნობილი სკულპტურული პორტრეტი, კაცობრიობის ისტორიაში ქალის ერთ-ერთი ყველაზე მშვენიერი გამოსახულება.

ძველ ეგვიპტეში შემუშავებული იყო კლასიკური არქიტექტურული ფორმები: პირამიდა, ობელისკი, სვეტები და სახვითი ხელოვნების ისეთი სახეობანი, როგორიცაა სკულპტურა, რელიეფი, მონუმენტი, ფერწერა.

თუმცა სამ ათასწლეულზე უფრო მეტი ხნის განმავლობაში ეგვიპტის სახელმწიფო განიცდიდა გარკვეულ ცვლილებებს, მაგრამ მასში დამკვიდრებული *კანონი* ყოველთვის უცვლელი რჩებოდა. ძველი

---

[1] ეგვიპტელთა წარმოდგენით, სკულპტურული პორტრეტები (პორტრეტული სტატუები) ასრულებდნენ გარდაცვლილის ორეულის როლს და წარმოადგენდნენ მათი სულის სამყოფელს.

[2] ეხნატონის შვილს ტუტანხამონს, გარდაცვლილს 20 წლის ასაკში, წილად ერგო სიკვდილის შემდგომი დიდება, რაც დაკავშირებულია მისი საფლავის ხელსაყრელ გახსნასთან 1922 წელს გ. კარტერის მიერ ფივის მეფეთა ველის შემოგარენში არქეოლოგიური გათხრების დროს. ხელუხლებლად შემონახული ეს სამარხი გახდა პირველი დამამტკიცებელი იმისა, რომ იმქვეყნიურ სამყაროში ფარაონს ამგზავრებდნენ აურაცხელი განძეულობით.

მცდელობა. მან შემოიტანა ახალი სახელმწიფოებრივი კულტი, ჭეშმარიტ ღვთაებად გამოაცხადა მზის დისკო სახელწოდებით ატონი, ქურუმების მიერ მიჩნეული, როგორც „რას სხეული“. სახელმწიფოს დედაქალაქად გამოაცხადა აქეტატონი (დღევანდელი პატარა ქალაქი ელ-ამარნა) და თვითონ მიიღო სახელი *ეხნატონი*, რაც ნიშნავს „სასურველი ღმერთ ატონისათვის“. ის ცდილობდა დაემხო ძველ ქურუმთა და ძველ წარჩინებულთა სიძლიერე: ყველა სხვა ღმერთის კულტი გააუქმა, მათი ტაძრები დახურა, ხოლო ქონებას კონფისკაცია გაუკეთა. მაგრამ ეხნატონის ამ რეფორმებმა გამოიწვია ქურუმთა მრავალრიცხოვანი და მძლავრი ფენის ძლიერი წინააღმდეგობა და ის ხანმოკლე აღმოჩნდა. ფარაონ-რეფორმატორის მომხრეები შალე იძულებულნი გახდნენ ქურუმებთან დათმობაზე წახულიყვნენ. ძველ ღმერთთა კულტები კვლავ აღადგინეს და ადგილობრივ ქურუმთა პოზიციები კვლავ გაძლიერდა.

ლიტერატურა. ხელოვნება. მეცნიერება

უძველესი ეგვიპტური ტექსტები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია — ესაა ღმერთებისადმი აღვლენილი ლოცვები და სამეურნეო ჩანაწერები.

ჩვენს დრომდე შემონახული *მხატვრული ლიტერატურის* უძველესი ძეგლები ჩვ.წ.აღ.-მდე მეორე ათასწლეულით თარიღდება. სავარაუდოა, რომ არსებობდა უფრო ადრეული ლიტერატურული ჭრილებანი, მაგრამ ისინი არ შემონახულან. მხატვრული ლიტერატურა წარმოდგენილია სხვადასხვა ჟანრებით — ეს არის მეფეთა და ბრძენთა სწავლებანი შვილებისადმი, მრავალი ზღაპარი სასწაულებსა და ვაჟკაცებზე, მოთხრობები. ძველეგვიპტური ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე აბსტრაქტული თხზულებაა — „*ძალგატეხილის საუბარი საკუთარ სულთან*“. ცხოვრების არსში რწმენადაკარგული ადამიანი იწყებს სიკვდილის ძიებას. სული ცდილობს გადააფიქრებინოს თვითმკვლელობა, არწმუნებს იმქვეყნიური ცხოვრების იმედის უსაფუძვლობაში, ურჩევს სრულიად დატკბეს ამქვეყნიური, მიწიერი სიცოცხლით.

საბვითი და მონუმენტური ხელოვნება მთლიანად ატარებს ეგვიპტის კულტურის ბეჭედს. ტაძრებისა და სასახლეების წინ ეგვიპტელები აღმართავდნენ *ობელისკებს* — ნახატების სიმბოლური დამწერლობით დაფარულ მაღალ, ვიწრო ობელისკებს, რომლებიც მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ძველი ეგვიპტური კულტურისა. შემდგომ პერიოდში ძველეგვიპტური იეროგლიფური დამწერლობა გარდაიქმნა

მარცვლოვან დამწერლობად (რაც არ მომხდარა ჩინურ იეროგლიფურ დამწერლობაში).

სამარხი ტაძრების წინ აღმართავდნენ *სფინქსებს*: ქვაში გამოთლილ არსებებს, ლომის სხეულითა და ადამიანის — ფარაონის თავის გამოსახულებით. სფინქსი ანსახიერებდა სიბრძნეს, იდუმალებასა და ეგვიპტელი მმართველის ძლიერებას. ყველაზე დიდი სფინქსი, შესრულებული ჩვ.წ.აღ.-მდე III ათასწლეულში, დღემდე დარაჯობს ზეფრენის პირამიდას. სფინქსი გამოთლილია მთლიანი კლდისაგან: თავი 30-ჯერ დიდია ადამიანის თავზე, სხეულის სიგრძე 57 მ-ია.

ძველეგვიპტური ხელოვნების სხვა შესანიშნავი და მთელს მსოფლიოში ცნობილი ძეგლებია *სკულპტურული პორტრეტები*: ფარაონ ამენემხეთ III სტატუეტი, დიდგვაროვან ხუნეის სტელა, ფარაონ სენუსერტ III-ის[1] პორტრეტული თავი.

ჩვ.წ.აღ.-მდე II ათასწლეულის ძველეგვიპტური სახვითი ხელოვნების შედევრად ხელოვნებათმცოდნეები თვლიან ძვირფასი ქუთის სახურავის *რელიეფს*, რომელზედაც გამოხატულია ფარაონი ტუტანჰამონი თავის ნორჩ ცოლთან ერთად ბაღში[2].

ჩვ.წ.აღ.-მდე I ათასწლეულის ეგვიპტის მაღალი კულტურის დამამტკიცებელია ამენხოტეპ IV-ის ცოლის *ნეფერტიტის* — მსოფლიოში ცნობილი სკულპტურული პორტრეტი, კაცობრიობის ისტორიაში ქალის ერთ-ერთი ყველაზე მშვენიერი გამოსახულება.

ძველ ეგვიპტეში შემუშავებული იყო კლასიკური არქიტექტურული ფორმები: პირამიდა, ობელისკი, სვეტები და სახვითი ხელოვნების ისეთი სახეობანი, როგორიცაა სკულპტურა, რელიეფი, მონუმენტი, ფერწერა.

თუმცა სამ ათასწლეულზე უფრო მეტი ხნის განმავლობაში ეგვიპტის სახელმწიფო განიცდიდა გარკვეულ ცვლილებებს, მაგრამ მასში დამკვიდრებული *კანონი* ყოველთვის უცვლელი რჩებოდა. ძველი

---

[1] ეგვიპტელთა წარმოდგენით, სკულპტურული პორტრეტები (პორტრეტული სტატუები) ასრულებდნენ გარდაცვლილის ორეულის როლს და წარმოადგენდნენ მათი სულის სამყოფელს.

[2] ეხნატონის შვილს ტუტანჰამონს, გარდაცვლილს 20 წლის ასაკში, წილად ერგო სიკვდილის შემდგომი დიდება, რაც დაკავშირებულია მისი საფლავის სენსაციურ გახსნასთან 1922 წელს გ. კარტერის მიერ ფივის მეფეთა ველის შემოგარენში არქეოლოგიური გათხრების დროს. ხელუხლებლად შემონახული ეს სამარხი გახდა პირველი დამამტკიცებელი იმისა, რომ იმქვეყნიურ სამყაროში ფარაონს ამგზავრებდნენ აურაცხელი განძეულობით.

ეგვიპტის სახვითი ხელოვნებისათვის ყოველთვის დამახასიათებელი იყო ფიგურის მეტისმეტად სიბრტყობრივი გამოსახვა, სხეულისა და ფეხების გამოხატვაში კანონიკური პირობითობა, გეომეტრიული დეკორატიულობა სიმეტრიულად განაწილებული ნახაზით, კომპოზიციის მკაცრი ზახოვანობა. ყველა ფიგურა სტატიკურია, აუღელვებელი, პოზები პირობითია, ასევე პირობითია შეფერილობაც: მამაკაცის სხეული ტრადიციულად გამოისახებოდა წითელ-ყავისფერში, ქალის სხეული-ყვითელ-ვარდისფერში, თმები ყველას ჰქონდა შავი ფერის, ჩაცმულობა კი — თეთრი.

ასეთივე პირობითობა და მუდმივობა იყო დამახასიათებელი ხელოვნების სხვა პლასტიკური დარგებისთვის. სტატუებს და სტატუეტკებს ჰქონდათ საკულტო დანიშნულება და გარეგნობა — შეფერილობა და მდებარეობა განისაზღვრებოდა ყველა მოქანდაკისათვის სავალდებულო მკაცრი ნორმებით.

თაობიდან თაობამდე, ათასწლეულიდან ათასწლეულამდე არსებობდა ერთი და იგივე სტილი, ერთი და იგივე რელიგია, ერთი და იგივე ხელოვნება. ძველეგვიპტური საზოგადოების უძრავმა ხასიათმა განსაზღვრა ძველეგვიპტური ხელოვნებისა და კულტურის ზოგადი ერთგვაროვანი ტიპი. მათი დამახასიათებელი ნიშნები იყო სიძლიერის დამტკიცება, მისი შენახვის და გამრავლების სურვილი, უკვდავების წყურვილი. ხელოვნებას ჰქონდა გაფინული ხასიათი, იგი ჩაწერილი იყო თავის მონუმენტალობაში.

გარკვეულ წარმატებებს მიაღწია ძველი ეგვიპტის *მეცნიერებამ.* აქტიურად ვითარდებოდა ასტრონომია. ეგვიპტელმა ასტრონომებმა გამოთქვეს ვარაუდი იმის შესახებ, რომ თანავარსკვლავედები ცაზე დღისითაც იმყოფება, მაგრამ უხილავნი ხდებიან მზის სინათლის შუქის ფონზე. ექიმთა სპეციალიზაციიდან მიმდინარე, მედიცინას ჰქონდა მნიშვნელოვანი წარმატებები: განსხვავდებოდნენ „მუცლად ყოფნის", თვალის, კბილის და სხვა ექიმები. დადგენილი იყო ტვინის როლი ადამიანის ორგანიზმში.

ვითარდებოდა მათემატიკა: ჩვ.წ.აღ.-მდე XXI საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში გამოთვლილი ჰქონდათ დედამიწის სფეროს ზედაპირი. გამოგონილი ჰქონდათ კაცობრიობის ისტორიაში უძველესი საათები — წყლისა და კისერზე ჩამოსაკიდი პატარა მზის საათები.

ჩვ.წ.აღ.-მდე III ათასწლეულის დასაწყისში ძველ ეგვიპტეში საწერ მასალად გამოგონილი იქნა *პაპირუსი,* რომელიც შემდეგ გავრცელდა ხმელთაშუა ზღვის სხვა სახელმწიფოებში[1].

ჩვ.წ.აღ.-მდე II ათასწლეულის ბოლოსა და I ათასწლეულის დასაწყისიდან ეგვიპტურ კულტურაში სულ უფრო ინტენსიურად აღწევს კრეტას, სირიის, შუამდინარეთის მონათმფლობელური სახელმწიფოს კულტურა, რომლებთანაც ეგვიპტეს ფართო საეჭრო ურთიერთობა ჰქონდა.

ელინისტური ეგვიპტე

ჩვ.წ.აღ.-მდე VI საუკუნეში ეგვიპტე დაიპყრეს სპარსელებმა, რომელთა ბატონობაც გაგრძელდა ჩვ.წ.აღ.-მდე 405 წლამდე. ეგვიპტის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის პერიოდი ხანმოკლე აღმოჩნდა: უკვე ჩვ.წ.აღ.-მდე 332 წელს მაკედონიელებმა იგი დაუქვემდებარეს თავიანთ მმართველობას და დააარსეს ქალაქი *ალექსანდრია — ალექსანდრე მაკედონელის* (ჩვ.წ.აღ.-მდე 356-323) სახელობის ცენტრალიზებული სახელმწიფოს დედაქალაქად. ეგვიპტელი ფარაონები ახალ დამპყრობელს კეთილგანწყობით შეხვდნენ. ის გამოცხადდა ღმერთის ძედ. ალექსანდრეს მმართველობა ამრიგად გახდა შემოსილი ეგვიპტისათვის ჩვეული, ტრადიციული ფორმებით.

ეგვიპტეში მკვიდრდება ახალი ღმერთის — *სარაპისის* კულტი, რომელშიც შეირწყა ბერძნებისა და ეგვიპტელების უმნიშვნელოვანეს ღვთაებათა ნიშნები. სარაპისს თაყვანს სცემდა როგორც ეგვიპტელი, ისე ბერძენი მოსახლეობა. ქალაქი *ალექსანდრია* კი ძალიან მალე იქცა ბერძნულ-აღმოსავლური სამყაროს კულტურულ ცენტრად, ეგვიპტეში გავრცელდა *ელინისტური კულტურა*[2]. ალექსანდრიის ნავსადგურში შედიოდა ასობით ხომალდი ელინისტური სამყაროს ყველა კუთხიდან, ჩამოდიოდნენ უცხოელი ელჩები. ბერძენი არქიტექტორის *დეინოკრატეს* მიერ აგებულ ქალაქს ჰქონდა გრძელი, სწორი ქუჩები, თეატრი, ბიბლიოთეკა, მრავალი ტაძარი, პარკი, ბაღი, აბანო. აქ ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ იმ დროის გამოჩენილი მეცნიერები, პოეტები, მხატვრები, არქიტექტორები. კუნძულ ფაროსზე

[1] პაპირუსს აკეთებდნენ ლერწმისაგან, იგი გავრცელებული იყო ნილოსის დელტაში ჭაობიან ადგილას და მთლიანად ფარავდა დიდ ფართობს.

[2] ელინისტური კულტურა — ესაა ძველი საბერძნეთის, აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთის, წინააზიის, ცენტრალური და შუა აზიის ზოგიერთი რაიონის ჩვ.წ.აღ.-მდე IV–I საუკუნეების კულტურა. ესაა, ელინისტური მონარქიის წარმოქმნისა და ფართო ტერიტორიებზე ბერძნული კულტურის გავრცელების პერიოდი.

აიგო ცნობილი *ალექსანდრიის შუქურა* (სიმაღლე 120 მ) — სამყაროს *შვიდ საოცრებათაგან* ერთ-ერთი.

ძირითადი ტერმინები და ცნებები

ერთღმერთიანობა
ჟურუმი
სულის მოსახსენებელი კულტი
იეროგლიფი
„კა“ (უკვდავება)
მრავალღმერთიანობა
მუმია
პირამიდა
რელიგიური კულტი
მსოფლიოს შვიდი საოცრება
სკულპტურული პორტრეტი
სფინქსი
ფარაონი
ტაძარი
ელინისტური კულტურა

ღმერთები

ატონი
მთავარის ღმერთი
ისიდა
მაატი
ოსირისი
რა
სარაპისი

კითხვები გამეორებისათვის

1. გვიამბეთ ძველი ეგვიპტის რელიგიის თავისებურებებზე. როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ ეგვიპტელებს სიკვდილთან, უკვდავებასთან, ფარაონის კულტთან?
2. დაახასიათეთ ძველი ეგვიპტის არქიტექტურული და სახვითი ხელოვნების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაგებები.
3. ძველ ეგვიპტეში განათლების რომელი დარგები ვითარდებოდა ყველაზე მეტად და რატომ?

ძველი მესოპოტამიის (შუამდინარეთის) კულტურა

ჩვ.წ.აღ.-მდე IV–III ათასწლეულში *შუამდინარეთის* ტერიტორიაზე მდინარეების ტიგროსისა და ევფრატის ველზე აღმოცენდა და დამკვიდრდა ისეთივე მაღალი კულტურა, როგორიც ეგვიპტეში იყო. ეს არის კაცობრიობის ცივილიზაციის ერთ-ერთი უძველესი კერა. მაგრამ ნილოსის ველისაგან განსხვავებით, სადაც სამი ათასი წლის განმავლობაში ერთი და იგივე ხალხი ცხოვრობდა და ერთი და იგივე სახელმწიფო — ძველი ეგვიპტე არსებობდა, შუამდინარეთში

მთელი სისწრაფით (ისტორიული განზომილებით) ცვლიდნენ ერთმანეთს სხვადასხვა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები, მათ შორისაა: *შუმერი, აქადი, ბაბილონი, ასირია, ირანი,* ერთმანეთში ირეოდნენ, ვაჭრობდნენ და ერთმანეთს ებრძოდნენ სხვადასხვა ხალხები, სწრაფად აღიმართებოდა და დაფუძნებამდე ინგრეოდა ტაძრები, ციხე-სიმაგრეები, ქალაქები. შუამდინარეთის კულტურა და ისტორია, ეგვიპტესთან შედარებით, უფრო დინამიური იყო.

შუმერ-აქადური კულტურა

შუამდინარეთის უძველესი კულტურა — შუმერ აქადურია. თანამედროვე აღმოსავლეთმცოდნეთა უმეტესობის აზრით, შუმერები არიან მთელი ბაბილონური კულტურის წინაპრები. მათი კულტურული მიღწევები უდიდესი და უდავოა: შუმერებმა შექმნეს კაცობრიობის ისტორიაში პირველი პოემები — *„ოქროს საუკუნეზე“*, დაწერეს პირველი ელეგიები, შეადგინეს მსოფლიოში პირველი ბიბლიოთეკის კატალოგი. შუმერები არიან მსოფლიოში პირველი და უძველესი სამედიცინო წიგნების — რეცეპტების კრებულების ავტორები. მათ დაამუშავეს და ჩაწერეს პირველი კალენდარი ორი სეზონისათვის (ზამთრისა და ზაფხულისათვის), დაყოფილი 12 თვედ, მათ შორის თითოეული 29 ან 30 დღედ. თითოეული ახალი თვე იწყებოდა საღამოთი, მთვარის ნამგლის გაუჩინარებისას. შეადგინეს პირველი ცნობები დამცველ ნარგავებზე. ავრეთვე, მსოფლიო ისტორიაში პირველი თევზის ნაკრძალის შექმნის იდეაც წერილობით დააფიქსირეს შუმერებმა. მათ ეკუთვნით პირველი თიხის რუკაც. პირველი სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტები — ლირა და არფა — სწორედ შუმერებთან გაჩნდა.

უძველესი დამწერლობაც დედამიწაზე ამავე ხალხს ეკუთვნის — ესაა *შუმერული ლურსმული*[1] დამწერლობა. ის ძალიან დეკორატულია და, როგორც მკვლევარები ვარაუდობენ, სათავეს იღებს ნახატებიდან. სხვათაშორის, ძველი თქმულებები მოგვითხრობენ იმაზე, რომ ნახატისებური წერის წარმოშობამდე აქ არსებობდა აზრის ფიქსაციის უფრო ძველი საშუალება — თოკზე კვანძების განასკვა. დროთა განმავლობაში ნახატებით წერა დაიხვეწა და სახეცვლილებაც განიცადა: საგნების სრული, საკმაოდ დაწვრილებითი და გულმოდგინედ გამოხატვიდან, შუმერები თანდათანობით გადავიდნენ მათ არასრულ ანუ სიმბოლურ გამოსახვაზე. მსოფლიოში უძველესი წერილობითი ძეგლები — *შუმერული ლურსმული დამწერლობის დაფები* ჩვ.წ.აღ.-მდე IV ათასწლეულის შუა პერიოდს ეკუთვნის.

[1] მსოფლიო ისტორია. ტ. 1 — გვ. 220-224.

ლურსმული — ესაა დამწერლობა, რომლის ნიშნები შედგება ლურსმნის მაგვარი ხაზების ჯგუფებისაგან და აღბეჭდილია გამოუწვავ თიხაზე. ლურსმული დამწერლობა აღმოცენდა, როგორც იდეოგრაფიკულ-რებუსული დამწერლობა[1], რომელიც შემდგომში გადაიქცა სიტყვიერ — მარცვლოვან დამწერლობად. დიდი ხნის განმავლობაში მეცნიერები თვლიდნენ, რომ შუმერული ენა არა ჰგავს კაცობრიობისათვის ცნობილ არცერთ ცოცხალ ან მკვდარ ენას და ამ ხალხის წარმოშობის საკითხიც გამოცანად რჩებოდა. ამჟამად კი ითვლება, რომ შუმერთა, ისევე, როგორც ძველ ეგვიპტელთა ენა, მიეკუთვნება სემიტურ-ქამიტურ ენათა ოჯახს.

შემორჩენილია შუმერული ლიტერატურის მრავალი ძეგლი, ისინი დაწერილია თიხის დაფებზე და თითქმის ყველა მათგანის წაკითხვა მოხერხდა. ძირითადად ესაა ღმერთებისადმი მიძღვნილი ჰიმნები, რელიგიური მითები და ლეგენდები, კერძოდ, ცივილიზაციისა და მიწათმოქმედების აღმოცენებაზე, რაშიც დამსახურება ღმერთებს მიეწერება.

ჩვ.წ.აღ.-მდე დაახლოებით 2800 წლით დათარიღებულ შუმერულ დაფებზე ჩაწერილი ნაწარმოებები ეკუთვნის მსოფლიოში ცნობილ პირველ პოეტ ენხედუანს, აქადელთა მეფე სარგონის ქალიშვილს. უმაღლეს ქურუმთა რანგში ამაღლებულმა, მან დაწერა დიდი ტაძრებისა და მიწის ღმერთებისადმი მიძღვნილი რამდენიმე ჰიმნი.

შუმერული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლია — *თქმულებათა ციკლი გილგამეშზე*, ქალაქ ურუქის მეფეზე, მოკვდავისა და ქალღმერთ ნინსუნას შვილზე. გმირი გილგამეშის შესახებ არ არსებულმა გადმოცემებმა დიდი გავლენა იქონია მეზობელ ხალხთა კულტურაზე, რომლებმაც გადმოიღეს და მისი ადაპტაცია მოახდინეს თავიანთი ნაციონალური ცხოვრების შესაბამისად. მსოფლიო ლიტერატურაზე განსაკუთრებით ძლიერი გავლენა იქონია *ლეგენდამ მსოფლიო წარღვნის შესახებ*. მასში მოთხრობილია, რომ წარღვნა მოწყობილი იყო ღმერთების მიერ, რომლებმაც გადაწყვიტეს დედამიწაზე ყველანაირი ცოცხალი არსების დაღუპვა. მხოლოდ ერთმა ადამიანმა მოახერხა თავი დაეღწია დაღუპვისაგან, ეს იყო კეთილშობილი ზიუსუდრა, რომელმაც ღმერთების რჩევით წინასწარ ააგო ხომალდი.

[1] *იდეოგრაფიკული დამწერლობა* (ბერძნ. idea — იდეა, სახე, და grafho — ვწერ) — წერის პრინციპი, რომელშიც გამოიყენება იდეოგრამები — სიტყვის შესატყვისი წერილობითი ნიშნები (პირობითი გამოსახულება ან ნახატი). მაგალითად, თვალი — „ხედვა".

ბაბილონის კულტურა

შუმერ-აქადური ცივილიზაციის მემკვიდრე იყო ბაბილონი. ჩვ.წ.აღ.-მდე II ათასწლეულის შუა პერიოდში *მეფე ჰამურაპის* (მმართველობდა ჩვ.წ.აღ.-მდე 1792-1750 წლებში) დროს ქალაქმა ბაბილონმა[1] თავისი გავლენის ქვეშ გააერთიანა შუმერთა და აქაველთა ყველა ოლქი. მისი მმართველობის დროს გაჩნდა ცნობილი კანონთა კრებული, დაწერილი ლურსმული დამწერლობით ორმეტრიან ქვის სვეტზე. ამ კანონებში აისახა ძველი შუამდინარეთის მცხოვრებთა სამეურნეო ყოფა, ცხოვრება, ზნეობა და მსოფლმხედველობა. ეს უკანასკნელი განისაზღვრებოდა გარეშემო მცხოვრებ ტომებთან მუდმივი ბრძოლის აუცილებლობით. ყველა ძირითადი ინტერესი მიმართული იყო რეალური სინამდვილისაკენ. ბაბილონელი ქურუმი ხალხს სიკეთესა და სიხარულს ჰპირდებოდა არა იმქვეყნიურ სამეფოში, არამედ ამქვეყნიურ ცხოვრებაში, მხოლოდ იმ პირობით, თუ მას დაემორჩილებოდნენ. ბაბილონელთა ხელოვნებაში თითქმის არ არის ასახული დასაფლავების სცენები. მთლიანად მათი რელიგია, ხელოვნება და იდეოლოგია იყო უფრო რეალური, ვიდრე ძველ ეგვიპტელთა კულტურა.

შუამდინარეთის ძველ მცხოვრებთა რწმენაში დიდ როლს თამაშობდა *წყლის კულტი*. წყალთან დამოკიდებულება არ იყო ერთმნიშვნელოვანი. წყალი ითვლებოდა კეთილი ნების წყაროდ, მოსავლისა და სიცოცხლის მომტანად, ნაყოფიერების კულტად. მაგრამ წყალი — ასევე არის მძლავრი და არაკეთილმოსურნე სტიქიაც, ყოველგვარი ნგრევისა და უბედურების მიზეზი.

მეორე ძალიან მნიშვნელოვანი კულტი იყო *ციურ მნათობთა კულტი*. მათ უცვლელობასა და ერთხელ და სამუდამოდ დაწესებულ გზაზე მოძრაობაში ბაბილონელი მცხოვრებნი ხედავდნენ ღვთიური ნების გამოვლინებას. ვარსკვლავებისა და პლანეტებისადმი ყურადღება განაპირობებდა მათემატიკისა და ასტრონომიის სწრაფ განვითარებას. ასე მაგალითად, შეიქმნა *სამოცობითი* სისტემა, რომელიც დღესაც არსებობს დროის გამოსათვლელად — წუთებში, წამებში. ბაბილონელმა ასტრონომებმა კაცობრიობის ისტორიაში პირველად გამოთვალეს მზისა და მთვარის ბრუნვის კანონები, დაბნელების განმეორებითობა და მთლიანობაში ასტრონომიული დაკვირვებებით მნიშვნელოვნად წინ გაუსწრეს ეგვიპტელებს. მაგრამ ბაბილონელ

[1] *ბაბილონი* — შუმერულ ენაზე — კადინგირა, აქადურ — ბაბილუ, სიტყვა-სიტყვით ღმერთის კარი.

მეცნიერთა მთელი ცოდნა და გამოკვლევები დაკავშირებული იყო მაგიასა და მკითხაობასთან; როგორც მეცნიერული ცოდნა, ასევე მაგიური ფორმულები და წყევლა-კრულვანი იყო ბრძენთა, ვარსკვლავთმრიცხველთა და ქურუმთა პრივილეგია.

მეცნიერულ ცოდნას, მაგალითად, მათემატიკის სფეროში, ხშირად წინ უსწრებდა პრაქტიკული მოთხოვნები, რელიგიური თვალსაზრისები კი ზოგადოების სულიერ მოთხოვნებს პასუხობდა.

ბაბილონელ ქურუმთა სწავლების თანახმად, ადამიანები შექმნილნი არიან თიხისაგან, რათა ემსახურონ ღმერთებს. ბაბილონელებს მრავალრიცხოვანი ღმერთები ჰყავდათ. ყველაზე მთავარი მათ შორის იყო: *შამაში* — მზის ქალღმერთი, *სინი* — მთვარის ღმერთი, *ადადი* — უამინდობის ღმერთი, *იშტარი* — სიყვარულის ღმერთი, *ნერგალი* — სიკვდილის ღმერთი, *ირრა* — ომის ღმერთი, *ვილვი* — ცეცხლის ღმერთი. ღმერთები გამოისახებოდნენ, როგორც მეფის მფარველნი, რაც მოწმობს ბაბილონში ძლიერი სამეფო ხელისუფლების გალმერთების იდეოლოგიის არსებობას. ამავე დროს ღმერთებს აადამიანურებდნენ: ადამიანების მსგავსად ისინიც ისწრაფოდნენ გამარჯვებისაკენ, ჰქონდათ გამორჩენის სურვილი, აწესრიგებდნენ თავიანთ საქმეებს, მოქმედებდნენ გარემოების მიხედვით. ისინი არ იყვნენ გულგრილნი სიმდიდრისადმი, ფლობდნენ ქონებას, შეეძლოთ შეექმნათ ოჯახები და ჰყოლოდათ შთამომავლობა. ისინი ადამიანების მსგავსად ჭამდნენ და სვამდნენ, მათთვისაც დამახასიათებელი იყო სხვადასხვა სისუსტეები და ნაკლოვანებები: შური, ბოროტება, მერყეობა. ღმერთები განსაზღვრავდნენ ადამიანთა ბედს. ღმერთების ნება ცნობილი იყო მხოლოდ ქურუმებისათვის: მხოლოდ მათ შეეძლოთ და იცოდნენ სულთა გამოძახება და წყევლა, ღმერთებთან საუბარი, ციურ მნათობთა მოძრაობის მიხედვით მომავლის განსაზღვრა.

ადამიანები ემორჩილებოდნენ ქურუმებისა და მეფეთა ნება-სურვილს, სწამდათ ადამიანთა ბედის წინასწარ განსაზღვრულობა, უზუნაესი კეთილი და ბოროტი ძალებისადმი ადამიანთა დაქვემდებარება. მაგრამ ბედისადმი მორჩილება არ იყო აბსოლუტური: იგი ერწყმოდა მტრული გარემოცვის წინააღმდეგ ბრძოლაში გამარჯვების მოპოვების ნებას. ადამიანისათვის საშიშროების მუდმივ გაცნობიერებას ერთვოდა ცხოვრებით სრულად დატკბობის სურვილი. გამოცანები და შიშები, ცრურწმენა, მისტიკა, ჯადოქრობა შეერწყა ფხიზელ აზრს, ზუსტ გაანგარიშებასა და პრაგმატულობას.

ძველი შუამდინარეთის მცხოვრებლების რელიგიური რწმენა აისახა მათ *მონუმენტურ ხელოვნებაში*. ქალაქებში შენდებოდა ტაძრები, მიძღვნილი ღმერთებისადმი; მთავარი ადგილობრივი ღმერთის ტაძრის მახლობლად ჩვეულებრივ აღმართული იყო ზიკურატი — მაღალი, აგურით ნაშენები კოშკი, გარშემორტყმული გამოწეული ტერასებით, რაც ქმნიდა რამდენიმე კოშკის შთაბეჭდილებას, რომელთა ფართობი ზევით თანდათან მცირდებოდა. ასეთი — ტერასები შეიძლება ყოფილიყო 4-დან 7-მდე. ზიკურატები იყო შეღებილი, ქვედა — ტერასები უფრო მუქი იყო, ვიდრე ზედა; ტერასები როგორც წესი, გამწვანებული იყო. ზიკურატებში ზედა კოშკი ხშირად მოოქროვილი გუმბათითაა დაგვირგვინებული. აქ იყო ღმერთისათვის განკუთვნილი წმინდა ადგილი, მისი „საცხოვრებელი“, სადაც, როგორც შუმერები ფიქრობდნენ, ღმერთი ღამღამობით სტუმრობდა. ამ კოშკის შიგნით არაფერი არ იყო საწოლისა და მოოქროვილი მაგიდის გარდა. საერთოდ, მას იყენებდნენ სხვა კონკრეტული და მიწიერი საჭიროებებისთვისაც: ქურუმები აქედან ასტრონომიულ დაკვირვებებს აწარმოებდნენ.

ბაბილონელთა არქიტექტურული ხელოვნების ძეგლებმა, ეგვიპტურთან შედარებით ჩვენამდე ნაკლებად მოაღწია. ეს საკმაოდ გასაგებია: ეგვიპტისაგან განსხვავებით შუამდინარეთის ტერიტორია ქვით ღარიბი იყო და ძირითად სამშენებლო მასალად აგურს იყენებდნენ. აგური კი გაძლე მასალა არ არის, და ამ ნაგებობებმა ჩვენს დრომდე თითქმის ვერ მოაღწია. მიუხედავად ამისა, გადარჩენილმა ნაშთებმა ხელოვნებათმცოდნეებს საშუალება მისცა გამოეთქვათ თვალსაზრისი, რომ სწორედ ბაბილონელ ხუროთმოძღვართა მიერ არის შექმნილი ის არქიტექტურული ფორმები, რომლებიც შემდგომში საფუძვლად დაედო ძველი რომის, მოგვიანებით კი შუასაუკუნეების ევროპის სამშენებლო ხელოვნებას. მრავალი მეცნიერი თვლის, რომ ჩვენი დროის ევროპის არქიტექტურის წინასახეები ეგვრატისა და ტიგროსის ველზე უნდა მოვიძიოთ. ამ არქიტექტურის ძირითადი ელემენტებია გუმბათები, თაღები, გადაწნული ჭერი, ჰორიზონტალური და ვერტიკალური გადაკვეთების რიტმი განსაზღვრავდა ბაბილონის ტაძრების არქიტექტურულ კომპოზიციას.

ბაბილონი იყო დიდი და ხმაურიანი აღმოსავლური ქალაქი. მას გარშემორტყმული ჰქონდა დიდი, მაღალი და სქელი კედელი, რომელზედაც თავისუფლად შეეძლო გაევლო ოთხ ცხენშებმულ ორ ეტლს. ქალაქში იყო 24 დიდი პროსპექტი. უდიდეს

ღირშესანიშნაობას წარმოადგენდა ღმერთ ეტემენანკისათვის აგებული 90 მ სიმაღლის შვიდიარუსიანი ზიკურატი *ბაბილონის კოშკი* — *მსოფლიოს შვიდ საოცრებათაგან ერთ-ერთი*. ბაბილონის კოშკის გამწვანებული ტერასები *სემირამიდას დაკიდული ბაღების* სახელწოდებითაა ცნობილი. იგი აგებული იყო ასირიელი დედოფლისათვის, რომელიც ცხოვრობდა ჩვ.წ.აღ.-მდე IX საუკუნეში — ესეც ერთ-ერთი საოცრებაა *მსოფლიოს საოცრებათა შორის*. ბაბილონზე შექმნილია მრავალი ლეგენდა და მეცნიერებს ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი იმისთვის, რომ ერთმანეთისგან გაარჩიონ მართალი და გამოგონილი.

ბაბილონის სახვითი ხელოვნებისათვის დამახასიათებელი იყო ცხოველთა, — უფრო ხშირად ლომის და ხარის გამოსახვა. შესანიშნავია აგრეთვე *მარმარილოს სტატუეტკები ტელ-ასმარადან*, ესაა მამაკაცთა ფიგურების ჯგუფი. თითოეული ფიგურა ისე იდგა, რომ მნახველი ყოველთვის ხვდებოდა მის გამოხედვას, მზერას. ეგვიპტის სტატუეტკებთან შედარებით, ამ სტატუეტკებისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო დეტალების დამუშავების სინატიფე, გამოსახულების მეტი რეალურობა და სიცოცხლისუნარიანობა, ერთობ ნაკლები პირობითობა.

ასირიის კულტურა

ბაბილონის კულტურის, რელიგიისა და ხელოვნებისაგან ბევრი რამ გადაიღეს და განავითარეს ასირიელებმა. ასირიელი მეფის *აშურბანიფალის* (ჩვ.წ.აღ.-მდე VII საუკ.) ნინევიაში აღმოჩენილ სასახლის ნანგრევებში იპოვეს იმ დროისათვის უდიდესი ბიბლიოთეკა, რომელიც ითვლიდა მრავალ (ათი ათასობით) ლურსმული დამწერლობის ტექსტს. ვარაუდობენ, რომ ეს ბიბლიოთეკა ინახავდა ბაბილონური ლიტერატურის ყველა მნიშვნელოვან ნაწარმოებს. მეფე აშურბანიფალი განათლებული და ნაკითხი კაცი იყო. იგი ისტორიაში შევიდა, როგორც შემკრები ძველი წერილობითი ძეგლებისა, რომლებიც, მისი სიტყვების თანახმად, ჩაწერილი და დატოვებულია შთამომავლობისათვის, მისთვის დიდი სიხარულის მომნიჭებელი იყო ძველ შუმერთა ენაზე დაწერილი ლამაზი და გაურკვეველი ტექსტების გარჩევა.

2 ათას წელზე მეტი აშორებდა მეფე აშურბანიფალს ძველი შუამდინარეთის კულტურისაგან, მაგრამ ესმოდა რა ძველი თიხის დაფების უდიდესი მნიშვნელობა, აგროვებდა და ინახავდა მათ. განათლება ყველა ასირიელი მეფისათვის არ იყო ჩვეული რამ. უფრო ჩვეულებრივი და მუდმივი მათ ხასიათში იყო სწრაფვა

ხელისუფლებისადმი, მბრძანებლობა მეზობელ ხალხებზე, საკუთარი ძალაუფლების დამკვიდრების სურვილი.

ჩვ.წ.აღ.-მდე I ათასწლეულის ასირიის ხელოვნება შესრულებულია ძალის პათოსით, იგი განადიდებდა დამპყრობლების სიძლიერეს და გამარჯვებას. მისთვის დამახასიათებელია გრანდიოზული და დიდებული ფრთოსანი ხარების გამოსახვა, ადამიანის ქედმაღალი სახეებითა და მოელვარე თვალებით. თითოეულ ხარს ჰქონდა ხუთი ჩლიქი. ასეთია, მაგალითად, გამოსახულება სარგონ II სასახლიდან (ჩვ.წ.აღ.-მდე VII საუკ.). ასირიელთა სასახლის — სხვა ცნობილი რელიეფებიც ასევე ხოტბას ასხამს მეფეთა ძლიერებას, მათ დაუნდობლობასა და სიმკაცრეს. ასეთები იყვნენ ასირიელი მბრძანებლები ცხოვრებაში. ასეთივე იყო ასირიული სინამდვილეც. სწორედ ამიტომ შემთხვევითი არ იყო ასირიელთა ხელოვნების თავისებურება — მსოფლიო კულტურისათვის უმაგალითო მეფეთა დაუნდობლობის გამოსახვა: მაგალითად, გვხვდება მეფის თანდასწრებით ხარზე დასმის, ტყვეებისათვის ენის ამოგლეჯისა და გატყავების სცენები. ყოველივე ეს იყო ასირიელ მპყრობელთა ყოველდღიური ცხოვრებისეული ფაქტები და ყველა მათგანი სინანულის გრძნობის გარეშე. როგორც ჩანს, ასირიული საზოგადოების ზნეობრივი დაუნდობლობა შეერწყა მის მცირედ რელიგიურობას.

ასირიის ქალაქებში ჭარბობდა არა საკულტო ნაგებობანი, არამედ — სასახლეები და მდიდართა შენობები ისევე, როგორც ასირიელთა სასახლეების რელიეფებსა და ფერწერაში — არა საკულტო, არამედ მალალი საზოგადოების წარმომადგენელთა ცხოვრებისეული სიუჟეტები. დამახასიათებელი იყო ცხოველების, ძირითადად ლომის, აქლემისა და ცხენის მრავალრიცხოვანი და შესანიშნავი გამოსახულებები.

ასირიაში დიდი განვითარება ჰპოვა საინჟინრო ხელოვნებამ — აგებულ იქნა წყლის გაყვანილობა და არხი, 3000 მ სიგრძის და 15 იარდი სიგანის აკვედუკი.

ირანის კულტურა

ჩვ.წ.აღ.-მდე VI საუკუნეში ბაბილონი და ასირია შეცვალა *ირანის იმპერიამ*. ირანის ხელოვნება, როგორც მკვლევარები ვარაუდობენ, თავის წინამორბედებთან შედარებით უფრო მდიდრული და სასახლის კარისთვის დამახასიათებელი, მეტი სიმშვიდითაც გამოირჩეოდა. მასში თითქმის არ არის სიმკაცრე, რომელიც ასე დამახასიათებელია ასირიული ხელოვნებისათვის. მაგრამ შენარჩუნებულია კულტურის მემკვიდრეობითობა. სახვითი ხელოვნების მნიშვნე-

ლოვან ელემენტად აქაც რჩება ცხოველთა გამოსახვა — ესაა უმეტესწილად ფრთიანი ხარები, აგრეთვე ლომები და გრიფონები. გავრცელებული იყო მებრძოლთა, მეხარკეთა, ლომებით საზეიმო პროცესიის გამომსახველი რელიეფები.

ჩვ.წ.აღ.-მდე IV საუკუნეში ირანი, ისევე როგორც ეგვიპტე, დაპყრობილ იქნა *ალექსანდრე მაკედონელის* მიერ და შეუერთდა ელინისტური კულტურის გავლენის სფეროს.

III საუკუნის ირანში მმართველ დინასტიად გვევლინებიან *სასანიდები*. ისინი ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ღმერთის შთამომავლები არიან და ამ მიზნით, მათი ბრძანებებით შეიქმნა კოლოსალური რელიეფები მათი ძლევამოსილი დაპყრობითი ომების ამსახველი სცენების გამოსახულებებით. მაგრამ ყველა ომი ირანისათვის როდი იყო წარმატებული. სასანიდური ირანის კულტურის ბევრი ძეგლი ამ დაპყრობითმა ომებმა შეიწირა, ბევრი კი — მოგვიანებით განადგურდა. თუ კი რამ გადარჩა სასანიდური უმაღლესი ხელოვნებიდან, ესაა — სასახლეების და ტაძრების ნანგრევები, რამდენიმე ათეული ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი, აბრეშუმის ნაჭრების და ხალიჩების ნარჩენები. შუა საუკუნეების ისტორიამ ჩვენამდე მოიტანა ამბავი ერთ-ერთ მდიდრულ ხალიჩაზე, რომელიც მთლიანად ფარავდა ქტესიფონში ტაკ-ი-კესრა-ას სასახლის სადღესასწაულო დარბაზის იატაკს. ერთ-ერთი არაბი მხედართ-მთავრის ბრძანებით, სასახლის აღებისას მებრძოლებმა ხალიჩა ნაკუწებად დაჭრეს და დაინაწილეს როგორც ნადავლი და თითეულ ნაჭერს ჰყიდნენ 20 ათას დირჰემად[1]. სასახლის კედლები მორთული იყო დიდებულთა, სასახლის ლამაზმანთა, მუსიკოსთა და ღმერთთა პორტრეტების გამომსახველი ფრესკებით.

სასანიდურ ირანში სახელმწიფო რელიგია იყო *ზოროასტრიზმი* (სახელწოდება წარმოდგება ამ რელიგიის დამაარსებლის ბაქტრიელი ბრძენის *ზარატუშტრას სპიტამასგან* (*ზოროასტრა*, 599/598-522/521 წლები ჩვ.წ.აღ.-მდე). ეს მოძღვრება სამყაროს მიიჩნევდა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო საწყისის — ერთი მხრივ, კეთილის, სამართლიანის და მეორე მხრივ სიცრუის, ბოროტის ბრძოლის არენად. სიკეთის მთავარი ღმერთის განსახიერება იყო — *აჰურამაზდა*, ბოროტი საწყისის მატარებელი კი იყო *ანგრო მაინიუ*. ზოროასტრიზმის თანახმად ადამიანი ეთიკურ გადაწყვეტილებას იღებს

[1] კინჟალოვი რ. ვ., ლუკონინი ვ. გ. სასანიდური ირანის კულტურის ძეგლები — ლ. სახელმწიფო ერმიტაჟის გამომცემლობა 1960. — გვ. 9.

ამ ორ ძალას შორის. ზოროასტრიზმის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ცეცხლის კულტი (ცეცხლოვანი საკურთხეველი). ბრძენის მოძღვრება გადმოცემულია ზოროასტრიზმის კანონიკურ ტექსტთა კრებულ *ავესტაში 17 ნაწილად*.

ნაყოფიერების სიმბოლოდ მიაჩნდათ მითიური არსება *სენმურვა*, გამოსახული ძაღლ-ჩიტის სახით, სიყვარულისა და მიწის ქალღმერთი იყო ლამაზმანი *ანაჰიტუ*.

VII საუკუნეში გაბატონებული რელიგია შეიცვალა *ისლამით*, როდესაც ირანი დაიპყრეს არაბებმა, რომელთა ახალი რელიგიის განმტკიცების მიზნით, გაანადგურეს აყვავებული ქალაქები. ისლამის გავრცელებამ გამოიწვია შენობების ახალი ტიპის — მეჩეთების, მინარეთების, მავზოლეუმებისა და სხვათა მშენებლობა. მაგრამ, შესანიშნავმა სასანიდურმა ხელოვნებამ ძლიერი გავლენა იქონია არაბულ მუსულმანურ კულტურაზე, არაბთა გავლით კი — ესპანეთზე და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებზე. სასანიდური ხელოვნების ნაკვალევის პოვნა ახლაც შეიძლება ჩინეთიდან ატლანტიკის ტერიტორიამდე.

ძირითადი ტერმინები და ცნებები

თიხის დაფები
შუამდინარეთი
ზიკურატი
ზოროასტრიზმი
იდეოგრაფიული დამწერლობა
ისლამი
ლურსმული დამწერლობა
წყლის კულტი
ცისა და ცოცხალ მნათობთა კულტი

ღმერთები

ადადი
ანაჰიტუ
ანგჰრა მაინიუ
აჰურამაზდა
ვილგები
ირრა
იშთარი
ნერგალი
სენმურვა
სინი
შამაში

კითხვები გამეორებისათვის

1. რომელი სახელმწიფოები არსებობდა შუამდინარეთის ტერიტორიაზე?
2. როგორ აიხსნება ადამიანთა მსგავსი ღმერთებისადმი რწმენისა და ასირიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ზნეობრივი სიმკაცრის ერთობლიობა?

3. დაასახელეთ ძველი შუამდინარეთის მცხოვრებთა მნიშვნელოვანი მიღწევები და პირველი აღმოჩენები მეცნიერული ცოდნის სფეროში.
4. მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან რომლები იყო შუამდინარეთის სახელმწიფოების ტერიტორიაზე?

ძველი ინდოეთის კულტურა

ინდოეთი — კაცობრიობის ცივილიზაციის, უმაღლესი კულტურის მქონე ერთ-ერთი უძველესი კერაა. მის ტერიტორიაზე აღმოჩენილია მნიშვნელოვანი რაოდენობის მატერიალური კულტურის ნარჩენები, რომლებიც მიეკუთვნება პირველყოფილი თემური წყობილების პერიოდს და დათარიღებულია ქვედა პალეოლითით, მეზოლითით და განსაკუთრებით ნეოლითით (ესაა ნადირობის, მარცვლის დაცხვის სხვადასხვა იარაღები, ქსოვილის ნარჩენები, თიხის ჭურჭლის ნატეხები და სხვა). ზოგიერთ ძველ სადგომში ნაპოვნია კლდის ფერწერის ნიმუშები ადამიანთა და ცხოველთა ცალკეული ფიგურების გამოსახულებით. აგრეთვე, ნადირობის სცენებით.

მდინარე ინდის ველის გათხრებმა დაამტკიცა, რომ ჩვ.წ.აღ.-მდე III-II ათასწლეულებში აქ უკვე არსებობდა მკვეთრად გამოხატული თვითმყოფადი კულტურა. ჩვ.წ.აღ.-მდე III ათასწლეულის დროინდელი *მოხენჯოდაროსა* და *ხარაპის კულტურა* (ასე ეწოდა აღმოჩენილი უძველესი ქალაქური დასახლებების ადგილმდებარეობის მიხედვით) წარმოდგენელია ქვისგან გამოთლილი შრომის ტრადიციული იარაღებით, ბრინჯაოსია და სპილენძის ნაკეთობებით (ნაჯახები, ნამგლები, ხერხები, სატეხები, დანები, ანკესები, ისრის წვეტიანი ბოლოები და შუბები). ამ ველის მცხოვრებლებმა მსოფლიოში პირველებმა დაიწყეს ბამბის ჩეჩვა და რთვა. ძალიან მაღალ განვითარებას მიაღწია ძველინდურმა საშეთუნეო ხელოვნებამ და საიუველირო საქმემ. ძველი აღმოსავლეთის ქალაქთა შორის აქ ყველაზე მეტად სრულყოფილი აღმოჩნდა წყალმომარაგების სისტემა და კანალიზაცია. ქალაქებში გამომწვარი აგურით შენდებოდა ორ და სამსართულიანი შენობები.

მეცნიერება. ლიტერატურა

უძველეს დროში ინდოეთში ჩამოყალიბებას იწყებს მდიდარი და თვითმყოფადი მეცნიერება. ჩვ.წ.აღ.-მდე

III საუკუნის მეორე ნახევრიდან აქ უკვე არსებობს დამწერლობა, რომელიც 400 პიქტოგრაფს[1] და მარცვლოვან ნიშანს ითვლიდა. უძველეს წყაროებში მას ვედები ეწოდება, შემონახულია მოსაზრებები აგრიკულტურაზე (ნიადაგის განოყიერება, თესლბრუნვა, პურის მავნებლები, მიწათმოქმედების რკინის იარაღები და სხვა), ლითონის, (სპილენძი, ვერცხლი, ოქრო, ტყვია, კალა) დამუშავებაზე; მედიცინაზე (ანატომია, პათოლოგია, თერაპია, ქირურგია და ა.შ.), გეომეტრიაზე (მსხვერპლთშეწირვისათვის განკუთვნილი ნაგებობების აგებისას მართკუთხედის გვერდების თანაფარდობის გამოთვლა და ა.შ.), ჰიდრავლიკაზე.

ინდურმა კულტურამ და მეცნიერებამ ჭეშმარიტ აღმავლობას და აფეთქებას მიაღწია ჩვ.წ.აღ.-მდე IV-II საუკუნეებიდან ჩვ.წ.აღ.-ით VIII საუკუნემდე, მაურების და გუპტების დინასტიის დროს.

ამ პერიოდის ინდოელი მეცნიერების მიერ შექმნილია *თვლის ათობითი სისტემა*, დღევანდელ ციფრთა მოხაზულობა (რომელთაც მოგვიანებით რამდენადმე შეცვლილი სახით არაბული ეწოდა). ცნობილი იყო კვადრატული და კუბური ფესვის ამოღება, π (3,1416...) რიცხვის გამოთვლა, არითმეტიკული და გეომეტრიული პროგრესიები, ტრიგონომეტრიისა და ალგებრის საფუძვლები.

ასტრონომები საკმაოდ ზუსტად ახდენდნენ ცაზე სხეულთა მოძრაობის გამოთვლას. წელიწადის თორმეტი თვე (30 დღე თითოეულში) დაყოფილი იყო ექვს სეზონად. ყოველი მეხუთე წლის შემდეგ ემატებოდა მე-13 თვე. ცნობილი იყო დღე-ღამის ხანგრძლივობის განსხვავება დედამიწის სხვადასხვა განედებზე. ძველინდოელმა ასტრონომებმა იცოდნენ დედამიწის სფეროსმაგვარი ფორმის შესახებ, ვარაუდობდნენ მის ბრუნვას საკუთარი ღერძის გარშემო.

ქიმიის ცოდნა ძველ ინდოელებს აძლევდა მჟავების, საღებავების, წამლების, სუნამოების, ცემენტის, ლითონების მარილის, ვერცხლისწყლის რთული პრეპარატების და სხვათა მომზადების საშუალებას.

ჩვენამდე მოაღწია ძველინდური ლიტერატურის — *ვედებმა*, რომელიც შექმნილია ჩვ.წ.აღ.-მდე II ათასწლეულის ბოლოსა და I ათასწლეულის დასაწყისში და დაწერილია ძველ ინდურ (ვედურ) ენაზე. ვედური ლიტერატურა წარმოდგენილია ჰიმნებისა და სამსხვერპლო ფორმულათა კრებულების სახით (*„რიგვედა“, „სამვედა“, „იაჯურვედა“, „ათხარვავედა“*).

---

[1] *პიქტოგრაფი* — რაიმე შინაარსის ამსახველი ნახატი.

ვედურ ლიტერატურასთან შეიძლება დაკავშირებული „ეპოსის თქმულება“, სადაც ჩართულია *სუტრები* — სასულიერო მსხვერპლთშეწირვის რიტუალებზე, საშინაო ცხოურების კანონმდებლობასა და წესებზე (ერთ-ერთი ასეთი ნაწილია „კამასუტრა“ — ტრაქტატი სიყვარულის ხელოვნებაზე).

ძველი ინდური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობების, აგრეთვე ჩვ.წ.აღ.-მდე I ათასწლეულის I ნახევრის მეცნიერებისა და კულტურის შესწავლისათვის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს *ეპიკური ლიტერატურა*.

ეპიკური ლიტერატურის ძირითად ძეგლებად ითვლება „მაჰაბჰარატა“ და „რამაიანა“, დაწერილი სანსკრიტულით ჩვ.წ.აღ.-ის პირველ საუკუნეებში, მაგრამ თავის საფუძვლით უკვე არსებული ჩვ.წ.აღ.-მდე IV საუკუნეში.

107 ათასი ორსტრიქონიანი ლექსისაგან შემდგარი „მაჰაბჰარატას“ („*ბჰარატას შთამომავალთა დიდი ომები*“) სიუჟეტური საფუძველია ჩრდილოეთ ინდოეთში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სამეფო გვარის შიგნით არსებული ბრძოლა მმართველობისათვის, მითიური მეფის *ბჰარატის* შთამომავალთა ბრძოლა. უძველესი თქმულება სისხლისმღვრელ ომებზე დროთა განმავლობაში თანდათანობით გაიზარდა მრავალი დამატებითი ეპიზოდით, რომლებიც მოიცავდა სხვადასხვა თქმულებებსა და ლეგენდებს (მაგალითად, მითები სამყაროს შექმნაზე, წარღვნაზე), მსჯელობებს რელიგიურ-ფილოსოფიურ და სხვა თემებზე. „მაჰაბჰარატა“ თავისი არსით გახდა არა პოემა, არამედ ძველინდური ეპოსის უზარმაზარი კრებული.

კომპოზიციური წყობითა და გულმოდგინე დამუშავებით გამოირჩევა პოემა „რამაიანა“, რომელშიც შესულია 24 ათასი ორსტრიქონიანი ლექსი, სადაც მოთხრობილია ამბავი მეფის შვილ რამას გამარჯვებაზე დემონების მეფე რავანაზე. ორიათას წელზე მეტი ხნის განმავლობაში ორივე ეს პოემა ძალზე პოპულარულია. პოემის გმირები — *კრიშნა* („მაჰაბჰარატა“) და რამა („რამაიანა“) — გაღმერთებულია და ითვლება ვიშნუს — ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღვთაების — განსახიერებად.

ხალხური სიბრძნის ნიმუშები შეიცავენ მრავალრიცხოვან ინდურ ხალხურ ზღაპრებს, იგავებს, მოთხრობებს. მათში უბრალო ხალხი გაბედულებად, პატრონსებად, მოხერხებულებად არის გამოყვანილი, ხოლო ძალაუფლების მქონენი კი — კრიტიკულად, იუმორით არიან დახასიათებულნი.

ჩამოყალიბდა დრამატურგია. მის საფუძველს წარმოადგენდა მოქმედების თანხლებით მიმდინარე *საკრალური პანტომიმა*, მოგვიანებით კი მსახიობებიც ალაპარაკდნენ. ძველი ინდური დრამატურგიისა და ლირიკული პოეზიის ჭეშმარიტ კლასიკოსად ითვლება *კალიდასა* (IV-V საუკუნეები). მის დრამებში, რომლის სიუჟეტებიც ეპოსიდანაა აღებული, გახსნილია გმირთა შინაგანი სამყარო. პროზაულ დიალოგებთან და ლექს-მონოლოგებთან ერთად ისინი შეიცავდნენ სასიმღერო-საცეკვაო ინტერმედიებსაც.

მოცულობით და ისტორიული მნიშვნელობით უდიდესია კანონიკური რელიგიური ლიტერატურა, ბუდას ცხოვრების აღწერა, რელიგიური ტრაქტატები. ძველინდური ლიტერატურის ძალიან მაღალ დონეზე მოუთითებს, აგრეთვე, პოეზიისა და ლიტერატურის თეორიის საკითხებზე სანსკრიტული ენის გრამატიკოსების მიერ გულმოდგინედ დამუშავებული ნაშრომები.

სწავლულმა ბრაჰმან *პანინიმ* (ჩვ.წ.აღ.-მდე V–IV საუკუნეები) განახორციელა გვიანდელი ვედური ლიტერატურული ენის დამუშავება, რომელსაც ეწოდა *სანსკრიტი* და ქვეყანაში ფართო გავრცელება ჰპოვა, როგორც მრავალრიცხოვან ტომებსა და ხალხებს შორის ურთიერთობის მნიშვნელოვანმა საშუალებამ.

ხელოვნება. ხუროთმოძღვრება

მნიშვნელოვანი ადგილი ძველინდურ მხატვრულ კულტურაში ეკავა *მუსიკას*. ხალხური დღესასწაულების განუყოფელი ნაწილი — *თეატრი „სანჰიტი“* — გამოხატავდა სიმღერის, ინსტრუმენტული მუსიკის, მიმიკითა და ჟესტებით მდიდარი ცეკვის ერთიანობას.

სრულყოფილებას მიაღწია ძველინდურმა *საბჭითმა ხელოვნებამ* (მხატვრული ხელოსნობა, ფრესკული ფერწერა, ძერწვა) და *ხუროთმოძღვრებამ*. მისთვის დამახასიათებელია სიმდიდრე და სახეების პლასტიკური გამომსახველობა, შემოქმედებითი ფანტაზიის გაბედულობა, კომპოზიციის მრავალფეროვნება და სირთულე, მოძრაობისა და გრძნობების გადმოცემის ოსტატობა.

უძველეს დროში აღმოცენებული ინდური მხატვრული კულტურა აზიის ქვეყნების ხალხთა კულტურებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და თავისებური გახდა. დეკანსა და ქვეყნის სამხრეთით ნაპოვნია პირველყოფილი ეპოქის მხატვრული ძეგლები: გამოქვაბულის ნახატები ნადირობის სცენებით და სხვა. მოგვიანებით ინდოეთის სახვითი ხელოვნება და არქიტექტურა გამდიდრდა აგურით

ნაშენი ქალაქური ნაგებობებითა და ქანდაკებებით (ცხოველების, ადამიანთა, ღვთაებათა გამოსახულებებით), მოხატული კერამიკით, საიუველირო ნაკეთობებით.

ძველი ინდოეთის ხელოვნების აყვავება მაურებთა (დაახლოებით ჩვ.წ.აღ.-მდე 322-185 წლებში) დინასტიის მონათმფლობელობის ეპოქას ემთხვევა. მეფე *აშოკის* (ჩვ.წ.აღ.-მდე 273-232) სასახლეს პატალიპუტრაში ჰქონდა იარუსებად განლაგებული, ქვითა და ხის მასალით ნაშენი სამი დარბაზი, დამშვენებული ოქროს ყურძნის ვაზებით, მწყობრი სვეტებით. ფორმათა მონუმენტურობა შერწყმული იყო მდიდრულ მორთულობასთან, სასახლეების ფასადები თაღებით და აივნებით იყო შემკობილი. ღვთაებათა და ადამიანთა სტატუები გამოირჩეოდა უძრავი პოზებით, მონუმენტურობით და მძიმეწონიან ფორმათა სიმძლავრით.

მრავალ ძველინდურ ტექსტში აღწერილია ქალაქგარეთ გაშენებული *პარკები* ხელოვნურად მოწყობილი წყალსატევებით, შადრევნებით, აგრეთვე ლანდშაფტური პარკები. მეფე აშოკი ამაყი იყო იმით, რომ გააშენებინა ჭალები უბრალო ადამიანთა დასასვენებლად.

ბუდიზმის გავრცელებასთან ერთად დაიწყეს საკულტო ნაგებობათა — *სტუპების* მშენებლობა. ადრეული სტუპები ემსახურებოდა თვით ბუდის რელიქვიების შენახვას. ლეგენდის მიხედვით, ბუდას შეეკითხნენ, თუ როგორი უნდა იყოს მისი სამარხის ნაგებობა. ბუდამ მიწაზე დააფინა თავისი მოსასხამი და მასზე გადმოაპირქვავა მოწყალების შესაგროვებელი მრგვალი ფიალა. ასე მიიღო სტუპებმა ნახევარსფეროსებური ფორმა, ცისა და უსასრულობის სიმბოლო. ერთ-ერთი ყველაზე ძველი სტუპი იყო სანჩში (ჩვ.წ.აღ.-მდე დაახლ. 250), ჩვ.წ.აღ.-მდე I საუკუნეში ამ სტუპის წრიულ შემოღობვაში მოთავსებულია ჭიშკარი (ტარანა). ჭიშკრის რელიეფი მრავალმხრივ ასახავს ადამიანთა ცხოვრებას. მრავალფიგურიანი გამოსახულებები განმსჭვალულია სიცოცხლის სიხარულით, ბუნებისადმი სიყვარულით, მისი უსასრულო მრავალფეროვნების შეგრძნებით.

გუპტების ეპოქაში ვითარდებოდა მღვიმური ხუროთმოძღვრება. *მღვიმური კომპლექსი* — (ჩაიტი — მღვიმური ტაძარი, ვიჰარა — ბუდისტი ბერების საერთო საცხოვრებელი) ანჯანტში წარმოადგენს არქიტექტურის, ქანდაკებისა და ფერწერის დიდებულ ერთიანობას.

ჩვ.წ.აღ.-მდე II-I საუკუნეს ეკუთვნის ჩინებულად მოდელირებული და დამუშავებული ბრაჰმანული ღვთაების შივას სტატუეტკა გუდიმალამში. აქ შივა, როგორც სასიცოცხლო

ენერგიითა და ძალით სავსე ფიზიკურად სრულყოფილი ადამიანი განასახიერებს სამყაროს შემოქმედ საწყისს.

მაურების ეპოქაში, კუშანისა და გუპტების დინასტიების დროს ფართოდ გავრცელდა ქვაში გამოკვეთილი მონუმენტური ქანდაკება და ეს სტატუები დღესაც გვაოცებენ თავიანთი *მონუმენტურობითა* დასრულებულობითა და ფორმის სრულყოფილებით.

გუპტების დინასტიამ (IV–V საუკუნეებში) ინდოეთის ხელოვნებას დაუტოვა პატარა, ჰარმონიული და დახვეწილი ფორმის ტაძრები. ქანდაკებათა სიმრავლე, ჭრილებისა და მოხატულობის სიუხვე მოწმობენ სიმდიდრესა და ფუფუნებაზე. მართალი და მიზანმიმართული დაკვირვებულობა საყოფაცხოვრებო სცენებში, ცხოველთა გამოსახულებებში, არქიტექტურაში შერწყმულია დიდ დეკორატულ ოსტატობასთან, თავისებურ რითმულობასთან, ფერადოვნებასთან, მრავალფიგურიანი სცენების აგების თავისუფლებასთან, რომელთა საძირკველში აუცილებლად იდო რეალისტური ხალხური ტენდენციები.

ვარნულ-კასტური წყობა

ინდოეთის უძველესი ისტორია ბევრ ამოუცნობ საიდუმლოს მალავს. მაგრამ უძველესი ლიტერატურული წყაროები, რომლებიც ჩვ.წ.აღ.-მდე II ათასწლეულს მიეკუთვნებიან, მოგვითხრობენ მონათმფლობელური ურთიერთობების განვითარებაზე, სხვადასხვა კატეგორიის მონათა არსებობაზე. „*მანუს კანონებში*“, რომელშიც აირეკლა ინდოეთის საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი წყობა ჩვ.წ.აღ.-მდე VI საუკუნეში, პოულობენ საზოგადოებრივი შრომის დანაწილების, გაბატონებულისა და დაქვემდებარებულის ურთიერთობის საფუძველს.

ძველინდური საზოგადოების მკაცრი დიფერენციაცია, რაც განპირობებული იყო სოციალური წარმომავლობით და საქმიანობის ხასიათით, დასრულდა ჩაკეტილი საზოგადოებრივი *ჯგუფების* ფორმირებით: ფენების მიხედვით — *ვარნებით* (იყო ოთხი); პროფესიული საქმიანობის მიხედვით — კასტებით (ისინი 3,5 ათასია). ლიტერატურაში მას განზოგადებულად უწოდებენ *ვარნულ-კასტურ წყობას*. ვარნებს მოგვიანებით დაარქვეს *ჯატები*: ბრაჰმანები, კშატრები, ვაიშები და შუდრები.

გვაროვნულ-ტომობრივმა არისტოკრატიამ შეადგინა პირველი პრივილეგირებული ვარნები — *ბრაჰმანთა* (წარჩინებულ ქურუმთა გვარის წარმომადგენლები, რომლებიც ახორციელებდნენ კონტაქტებს ღმერთებთან და სახელმწიფოს მმართველები) და *კშატრიების*

(სამხედრო დიდებულთა), რომლებიც მოწოდებულნი იყვნენ ერთმანეთის დასახმარებლად.

მშრომელი მოსახლეობა შედიოდა ვაიშთა და შუდრების ვარნაში. *ვაიშები* დაკავებული იყვნენ სამეურნეო საქმიანობით: მიწათმოქმედება, ხელოსნობა, ვაჭრობა. *შუდრების* ხვედრია — უსიტყვოდ ემსახურებოდნენ სხვა კასტების წევრებს. ისინი იყვნენ უუფლებონი და მოკლებულნი კერძო საკუთრებას. კასტის გარეთ აღმოჩნდნენ ყოფილი მონები და საზოგადოების მიერ უარყოფილი პროფესიების წარმომადგენლები, რომელთაც დროთა განმავლობაში შეადგინეს *„ხელშეუხებელთა“* მრავალრიცხოვანი კასტები.

მონათმფლობელობის საბოლოო ფორმირების პროცესში ვარნული წყობილება ცხადდებოდა ოდითგანვე არსებულ წესად, ღვთიური ჩანაფიქრის შედეგად, შეჭდებოდა რელიგიით. უფრო მეტად გავრცელებული ღვთიური ვერსიით, ყოველივე არსებულის შემოქმედმა ღმერთმა — *ბრაჰმამ* — ბრაჰმანები შექმნა თავის ბაგეთაგან, კშატრები — ხელებიდან, ვაიშები — თეძოებიდან, შუდრები — ქუსლებიდან.

დროთა განმავლობაში ვარნებს შორის აღნიშნული საზღვრები კრძალავდა შერეულ ქორწინებას და ერთი ვარნადან მეორეში გადასვლას. ამან თავისი ასახვა ჰპოვა ცხოვრებისეულ კანონებში — *დჰარმებში.*

კასტური წყობა, განაპირობებდა რა ინდური საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებურებებს, თავის მხრივ ამუხრუჭებდა ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებას და ათასწლეულების მანძილზე მრავალ საზოგადოებრივ ფენას ტოვებდა სიღატაკესა და უმეცრებაში.

ფილოსოფია და რელიგია

საზოგადოების სხვადასხვა უფლებებისა და ვალდებულებების, განსხვავებული საზოგადოებრივი მდგომარეობის მჭიდრო ჩაკეტილ ჯგუფებად დანაწილებამ თავისი საყრდენი იპოვა ინდოეთის რელიგიაში, რომელმაც გაიარა ეტაპობრივი ფორმირების რთული და გრძელი გზა.

პირველყოფილი-თემური წყობილების დაშლის პერიოდმა განაპირობა ბუნების უძლეველობისადმი რწმენის ჩასახვა, ადამიანის მიერ ბუნების მოვლენათა გალმერთება. ინდუიზმის ადრეული სტადიის თავისებურ ასახვას წარმოადგენს *ვედური რელიგია.*

კლასობრივი საზოგადოების შემდგომ ფორმირებას თან სდევდა პირველყოფილი თემური წყობილების პირვანდელი რწმენის შეცვლა. ჩვ.წ.აღ.-მდე I ათასწლეულში ინდუიზმის რელიგიის განვითარების

ახალ სტადიას განსაზღვრავს *ბრაჰმანიზმი.* რელიგია გამოიყენებოდა საზოგადოებრივი უთანასწორობის გასამართლებლად. იქმნება ღმერთთა იერარქია. მათ შორის უმაღლესია — *ბრაჰმა* (სამყაროს შემქმნელი), *ვიშნუ* (მისი მცველი) და *შივა* (მისი დამანგრეველი).

ამ სარწმუნეობის საფუძველში დევს ადამიანურ უბედურებათა და ტანჯვის აღიარება არაარსებითად რამდენადაც მთელი მსოფლიო — მხოლოდ ილუზიაა. ჭეშმარიტი რეალობაა — მსოფლიო სულის (ბრაჰმის) არსებობა. *ბრაჰმანები* (ბრაჰმანები) ამტკიცებდნენ, რომ შრომაში დაუზარლობა, მორჩილება, მდიდრებისა და ცნობილი ადამიანების მიმართ მოშურნეობის არარსებობა გარდაცვლილის სულს აძლევს ადამიანის სხეულებრივ გარსში უფრო მაღალ საზოგადოებრივ მდგომარეობაში აღზევების საშუალებას და პირიქით.

ჩვ.წ.აღ.-მდე VI საუკუნეში შედარებით განვითარებული მონათმფლობელური საზოგადოების იდეოლოგია ხდება *ბუდიზმი,* რომელიც ქრისტიანობასთან და ისლამთან ერთად ერთ-ერთ უდიდეს მსოფლიო რელიგიად ჩამოყალიბდა. ბუდიზმის ზეობის პერიოდი ინდოეთში ჩვ.წ.აღ.-მდე V საუკუნიდან ჩვ.წ.აღ.-ის I ათასწლეულის დასაწყისზე მოდის. ვედურ რელიგიასთან და ბრაჰმანიზმთან მჭიდრო კავშირში მყოფი ბუდიზმი ამტკიცებდა, რომ სიცოცხლე — ბოროტებაა და ცხოვრება — ნიშნავს სატანჯველს. სწორედ ამიტომ არ ღირს სხვა არსებაში ხელმეორედ აღდგენისადმი სწრაფვა, რადგანაც ეს კვლავ ახალ ტანჯვას მოიტანს. ბუდიზმი გამოდიოდა ბრაჰმანიზმისათვის დამახასიათებელი რელიგიური ცხოვრების გარეგანი ფორმების, მათ შორის რიტუალიზმის სიჭარბის წინააღმდეგ.

ბუდიზმის ცენტრშია — მოძღვრება *„ოთხ კეთილშობილურ ჭეშმარიტებაზე“,* ესაა: ტანჯვა, მისი მიზეზები, განთავისუფლების მდგომარეობები და მისკენ მიმავალი გზა. საჭიროა სწრაფვა იდეალისაკენ — *ნირვანისაკენ.* ესაა მდგომარეობა ყოველგვარი მიწიერი სურვილების გარეშე, ყოველგვარი ამქვეყნიურისა და სასიცოცხლო მიჯაჭვულობის უარყოფა. ბუდას პიროვნება („ჭეშმარიტებით გაბრწყინებული“), განდეგილი და მოგზაური წინასწარმეტყველი, მითოლოგიურად დაკავშირებულია გადარჩენისათვის ჭეშმარიტი გზის ძიებასთან, საკუთარი თავისა და მთელი კაცობრიობისთვის ტანჯვისაგან თავის დაღწევასთან.

მსოფლიო კულტურის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და მრავალფეროვანია *ბუდისტური მითოლოგია.* იგი მოიცავს მითოლოგიური სახეებისა და ღრმა ფილოსოფიური სიუჟეტების ფართო სპექტრის ერთობ ღირებულ ერთიანობებს. დიდია მისი

გავლენა ლიტერატურასა და ხელოვნებაზე როგორც ინდოეთში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ძველი და შუა საუკუნეების ტაძრები ინდოეთში, ნეპალში, ტიბეტში, ჩინეთში, იაპონიაში, ბირმასა და აზიის სხვა ქვეყნებში შემკობილია მრავალრიცხოვანი სტატუეტებით, ბარელიეფებითა და ხატებით ბუდისტური მითოლოგიიდან.

სწორედ იმავე დროს (ჩვ.წ.აღ.-მდე VI საუკუნეში) ინდოეთში ჩამოყალიბდა *ჯაინიზმი*. მის რელიგიურ-ფილოსოფიურ ტრაქტატებში — *სუტრებში* — არის მოძღვრება *სანსარის* მარწუხებისაგან განთავისუფლების შესახებ (სულების გარდასახვა). ამის მიღწევა შეიძლება ჯაინიზმის სამი საგანძურის გავლის შედეგად: მართებული ცოდნა (სარწმუნოება), სწორი ხედვა (ჭეშმარიტება), სწორი ქცევა. ხოლო პრაქტიკული გზა გადარჩენისაკენ მდგომარეობს მხოლოდ მითითებების უმკაცრეს დაცვასა და ულმობელ ასკეტიზმში. ჩვ.წ.აღ. I ათასწლეულის დასასრულს ვედური რელიგიისა და ბრაჰმანიზმის განვითარების, აგრეთვე ხალხთა სარწმუნოებების შემდგომი ასიმილაციის პროცესის შედეგად ჩამოყალიბდა მიმდევართა რაოდენობის თვალსაზრისით მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი რელიგია — *ინდუიზმი*, მის საფუძველს წარმოადგენს მოძღვრება სულთა გარდასახვის შესახებ (*სანსარა*), რომელიც მიმდინარეობს კეთილი თუ უკეთური ქცევის შესაბამისად მიზღვევის კანონის (*კარმა*) მიხედვით; აგრეთვე უზენაეს ღმერთთა და მათ განსახიერებათა თაყვანისცემა, კასტური ყოფითი წესების დაცვა. წმინდანად ითვლება ძროხა, გველი, ლოტოსი, მდინარე განგი და ა. შ.

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲢᲔᲠᲛᲘᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲪᲜᲔᲑᲔᲑᲘ

ბრაჰმანიზმი
ბრაჰმანები
ბუდიზმი
ვაიშები
ვარნულ-კასტური წყობა
ვარნები
ვედური ლიტერატურა
ვედური რელიგია
ვედები
ჯაინიზმი
ჯატები
დჰარმები
ინდუიზმი
კარმა
კასტები
კშატრები
„ხელშეუხებელნი“
ნირვანა
მღვიმური ხუროთმოძღვრება
პიქტოგრაფები
სანსარი
სანსკრეტი
სუტრა
შუდრები

ᲦᲛᲔᲠᲗᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘ

ბრაჰმა
ბუდა
ბჰარატა
ვიშნუ
კრიშნა
რამა
შივა

ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲔᲝᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

1. დაახასიათეთ ძველი ინდოეთის კულტურის მატერიალური, სულიერი, მხატვრული თავისებურებები.
2. ახსენით ვარნულ-კასტური წყობის არსი და მისი გავლენა ინდოეთის სოციალურ-კულტურულ განვითარებაზე.
3. გვიამბეთ ინდუიზმის ფილოსოფიაზე, მის ეტაპობრივ ფორმირებაზე, თუ როგორ იყენებდნენ რელიგიას საზოგადოებრივი უთანასწორობის გასამართლებლად.

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

ჩინეთი — ყველაზე დიდია განცალკევებულთა შორის და ყველაზე განცალკევებულია დიდ ცივილიზაციათა შორის.

ძველი ჩინეთის ხალხმა, დედამიწაზე ერთ-ერთი უპირველესი სახელმწიფოს მცხოვრებლებმა, შექმნეს როგორც მატერიალური, ასევე სულიერი საინტერესო და თვითმყოფადი კულტურა. მათ სწამდათ, რომ სიცოცხლე — ესაა ღვთიური, ზებუნებრივი ძალის ქმნილება, რომ სამყაროში ყველაფერი მოძრაობაშია და მუდმივად იცვლება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო კოსმოსური ძალის — სინათლისა და სიბნელის შეჯახების შედეგად. ამ უძველეს პერიოდში (ჩვენს წელთაღრიცხვამდე ორი ათასი წელი) ჩინელებისთვის, ისევე როგორც სხვა ხალხებისთვის, დამახასიათებელი იყო *ბუნების კულტი*: ისინი ეთაყვანებოდნენ მთის, მიწის, მდინარეების, მზის, მთვარის, წვიმის, ქარის და სხვათა სულებს. მათ მიმართ ლოცულობდნენ, მოჰქონდათ შესაწირავი, შესთხოვდნენ კარგ მოსავალს. მათ შორის გამოირჩეოდა ყველაზე მთავარი, უმაღლესი ღვთაება, რომელიც ყველა სულებზე და გარდაცვლილ ადამიანთა სულებზე მაღლა იდგა.

შედარებით მოგვიანებით დაიწყო *მეფის ხელისუფლების კალმერთებაც*. მეფე ალიარებული იქნა ცის შვილად, ანუ ღმერთის წარმომადგენლად მიწაზე. უკვე ჩვ.წ. აღრიცხვამდე XIII საუკუნიდან მეფეთა აღსანიშნავად იხმარებოდა იგივე იეროგლიფები, რომლებითაც ადრე აღნიშნავდნენ მხოლოდ უმაღლეს ღვთაებას.

აგრეთვე, ძალიან ძლიერი იყო *წინაპართა კულტი*. მას საფუძვლად ედო წარმოდგენა, რომ გარდაცვალების შემდეგ სული აგრძელებს ცხოვრებას და უფრო მეტიც – მას შეუძლია ჩაერიოს ცოცხალ ადამიანთა საქმეებში. ჩინელებს სჯეროდათ, რომ გარდაცვლილის სული ინახავს ყველა ძველ თვისებას, ამიტომ გარდაცვლილ მონათმფლობელთან ერთად მარხავდნენ მის მოსამსახურეებსა და მონებს, საფლავში აწყობდნენ იარაღს, ძვირფასეულობას, სხვადასხვა საგნებს.

ჩვ.წ.აღ.-მდე I ათასწლეულის შუა ხანებში ჩინეთში ყალიბდება სამი ძირითადი იდეოლოგიური მიმართულება, რომელთაც შემდგომში განიცადეს ტრანსფორმაცია ფილოსოფიურ-რელიგიურ სისტემებში. ეს იყო დაოსიზმი, კონფუცის მოძღვრება და ბუდიზმი, რომელიც თავდაპირველად წარმოიშვა ინდოეთში, მაგრამ მალე ფართო გავრცელება ჰპოვა ჩინეთშიც. ამ მოძღვრებებმა უდიდესი როლი ითამაშეს ქვეყნის ისტორიაში და დღესაც დიდ გავლენას ახდენენ ჩინელთა ცხოვრებაზე.

დაოსიზმი

ამ მოძღვრებებიდან ერთ-ერთი იყო დაოსიზმი, რომლის დამაარსებელია ბრძენი ლაო-ძი, ავტორი „წიგნისა დაოსა და დეზე", რომელიც ცხოვრობდა ჩინეთში ჩვ.წ.აღ.-მდე VI საუკუნის ბოლოსა და V საუკუნის დასაწყისში. დაოსიზმის ძირითადი ფილოსოფიური კატეგორია – ესაა დაო - *კანონი*. მთელი მსოფლიო, დაოსიზმის თანახმად, ემორჩილება ერთიან კანონს დაოს. დაო – საფუძველი და წყაროა ყოველივე არსებულისა, მისი განმსაზღვრელი ნიშანი კი არის ბუნებრიობა. დაო უზრუნველყოფს ბუნებაში საგანთა და მოვლენათა მრავალფეროვნებას; ბუნება – რეალური სამყარო – დამოკიდებულია დაოზე და არა „ღვთიურ ნებასა" ან სხვა ზებუნებრივ ძალებზე. *ფილოსოფიური დაოსიზმი* ამტკიცებდა, რომ ადამიანს არ ძალუძს შეცვალოს საგანთა ბუნებრივი წესრიგი, მისი ხვედრია – მოვლენათა ბუნებრივი მსვლელობის პასიური ჭვრეტა და სწრაფვა დაოს მიღწევისაკენ. ამრიგად, დაოსიზმის მოშხრენი ქადაგებდნენ აქტიური ქმედების უარყოფას და წინ წამოსწევდნენ *უმოქმედობის თეორიას*. ეს თეორია დაოსიზმის[1] ძირითადი პრინციპია.

დაოსიზმის ფილოსოფიურ ბაზაზე ჩვენი ეპოქის დასაწყისში ალმოცენდა *რელიგიური დაოსიზმი*. მისი საფუძველი იყო *აბსოლუტური დაოს* ცნება, რომლის არსიც დაიყვანებოდა შემდეგ მტკიცებულებაზე: ცხოვრება – არის ილუზია, სიკვდილი – დაოსთან – უკვდავი სულის ჰეშმარიტ ყოფასთან დაბრუნება. შემდგომში დაოსისტური „მეცნიერება უკვდავებაზე" გახდა ჯადოქრობის, ასტროლოგიის, დემონოლოგიისა და შამანობის[1] ნარევი. ჩინეთში იქმნება მონასტრები, სადაც ცხოვრობდა ათეული და ასეული ათასი დაოსელი ბერი; ისინი შემოსავალს იღებდნენ მიწის დამუშავებით და თავიანთი რელიგიური მოღვაწეობით. ბერთა და ტურუმთა საქმიანობა ერთობ მრავალფეროვანი იყო: ისინი წინასწარმეტყველებდნენ მომავალს, მკითხაობდნენ (მკითხაობის მრავალნაირი მეთოდი ჰქონდათ), დევნიდნენ ბოროტ სულებს, ეაჭრობდნენ შელოცვებითა და ამულეტებით, განსაზღვრავდნენ კარგ, ე.ი. „ბოროტ სულთაგან" თავისუფალ ადგილებს მშენებლობისა და სამარხებისათვის, საზღვრავდნენ დღესა და საათს რაიმე საქმის კეთილად წარმართვისათვის, ქორწილისთვის, დასაფლავებისათვის, მგზავრობისათვის და სხვა. სჯეროდათ რა, რომ გარდაცვლილის სულს ძალა შესწევს ზეგავლენა იქონიოს ცოცხალ ადამიანთა ბედზე, ქურუმები და ბერები ცდილობდნენ მისი გული მოეგებათ სხეულის დასამარხად კარგი ადგილის შერჩევით, დაძარხვის დროს ყველა წესის ზუსტი დაცვითა და სხვა. რელიგიური დაოსიზმი, ისევე როგორც ადრეული ფილოსოფიური, ქადაგებდა უმოქმედობისა და მორჩილების იდეებს.

კონფუციანელობა

ამავე პერიოდში ჩვ.წ.აღ.-მდე VI საუკუნის ბოლოსა და V საუკუნის დასაწყისში ჩინეთში აღმოცენდა მეორე მნიშვნელოვანი რელიგიურ-მსოფლმხედველობითი სისტემა – *კონფუციანელობა*[2]. მისი დამაარსებელი იყო წინასწარმეტყველი კუნ-ფუ-ცი (ჩვ.წ.აღ-მდე 551-479), ევროპული ტრანსკრიპციის მიხედვით ცნობილი, როგორც *კონფუცი*.

საზოგადოებაში ყოველგვარი უბედურებისა და უწესრიგობის მიზეზად ის მიიჩნევდა ადამიანთა ზნეობრივ დაცემას, თვლიდა, რომ ადამიანის ძირითადი ზნეობრივი თვისებებია ერთგულება, მორჩილება, მშობლებისა და უფროსების პატივისცემა. ამიტომ კონფუცის მიერ

---

[1] ფილოსოფიური ენციკლოპედიური ლექსიკონი. – მ: საბჭოთა ენციკლოპედია. 1989. – გვ. 144.

[1] შამანი – ჯადოქარი, ექიმი, რომლის რელიგიაც ეყრდნობა სულის კულტს, მაგიას. გავრცელებულია აზიის, აფრიკის, ინდონეზიის, ოკეანეთის ზოგიერთ ტომში.

[2] იხ.: *ჭელიშ ჩინური ფილოსოფია*. – მ. – მეცნიერება, 1990. ფილოსოფიური ენციკლოპედიური ლექსიკონი. – მ.: საბჭოთა ენციკლოპედია. 1983. – გვ. 277-278.

მოცემული პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი მცნება ასე გამოითქმის: „მშობლების დაფასება და უფროსების პატივისცემა – წარმოადგენს ცხოვრების არსს“. კონფუციმ საზოგადოების ყველა წევრს მისი მდგომარეობის შესაბამისად მკაცრად რეგლამენტირებული მოვალეობა დააკისრა: „თუ კი ადამიანები შეძლებენ შეისწავლონ საკუთარი თავის მართვა და დაიცვან რიტუალი, მაშინ მთელი ცისქვეშეთი მოექცევა ჰუმანურობაში.“ იგი თვლიდა, რომ ქვეყანაში მთელი ხელისუფლება უნდა ეკუთვნოდეს იმპერატორს – „ცის შვილს“: „იმპერატორი, – ამბობს კონფუცი, – ეს ხალხის მამაა, ხალხი კი – მისი შვილები“.

კონფუცი ეყრდნობოდა წინაპართა კულტს და აუცილებლად მიიჩნევდა ტრადიციისა და წესების (რიტუალების) შენარჩუნებას, ძველი წეს-ჩვეულებების – ცერემონიების დაცვას, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ძველი ნორმების განმტკიცებას. მან არ გამოიჩინა განსაკუთრებული ინტერესი ფოფიერების ფილოსოფიური პრობლემების მიმართ, მისი მოძღვრება – ეს უპირველეს ყოვლისა არის წესების, მორალური ნორმების კრებული, რომელთა საფუძველს წარმოადგენს ასაკთა და თანამდებობით უფროსთა მიმართ მორჩილების კულტი, სიძველის იდეალიზაცია.

ჩვ.წ.აღ.-მდე II-I საუკუნეებში კონფუცის მოძღვრება ხდება მმართველ კლასთა გაბატონებული იდეოლოგია. მისი პიროვნება მოცულია სიწმინდის შარავანდედით, მის საპატივცემოდ იგება ტაძრები. ჩვ.წ.აღ.-მდე III საუკუნეში კონფუცი კანონიზებული იქნა. მისი მოძღვრებისა და უძველესი რელიგიური სარწმუნოებების საფუძველზე აღმოცენდა კონფუციანელობა – რელიგიური სისტემა, რომელიც ტოტალური ბატონობისა და მორჩილების იდეის მანათობელი იყო.

კონფუციანელობის ძირითადი შინაარსი – ესაა *იმპერატორის* გალმერთება და მისი ხელისუფლების *კურთხევა*. იმპერატორი ითვლებოდა მიწაზე ღმერთის მოადგილედ. ამ რელიგიამ ძველი სარწმუნოებიდან გადმოიღო მრავალი ღმერთი და სული, რომელთა რიცხვი სულ უფრო იზრდებოდა ცალკეულ ისტორიულ პიროვნებათა გალმერთების ხარჯზე. ღმერთები დაყოფილი იყო კატეგორიებად: უმაღლესი მოიცავდა უზენაეს ღვთაებას, *მიწას* და იმპერატორის გარდაცვლილ წინაპართა მეუფეს. საშუალო კატეგორიაში შედიოდნენ მზის, მთვარის, ქუხილის, წვიმის, ქარის ღმერთები, კონფუცი და წარსულის 188 მმართველი, დაბალში – ომისა და ცეცხლის

ღმერთები, მიწისა და მდინარეების ადგილობრივი სულები, ქალაქთა მფარველი ღვთაებები.

კონფუციანელობას არ ჰქონდა ქურუმთა განსაკუთრებული კასტები: უმაღლესი ქურუმის ფუნქციას ასრულებდა იმპერატორი, მცირე ღმერთებთან ურთიერთობა სახელმწიფო მოხელეთა, ეგრეთ წოდებული „მეცნიერთა ფენის“ პრივილეგია იყო. მოხელეებმა ძვირფასვიანად იცოდნენ კონფუციური ლიტერატურა: ეს იყო ძირითადი კრიტერიუმი სამსახურში მათი შერჩევის დროს. სწორედ ისინი არიან – კონფუცის ქადაგებათა მთავარი შემნახველები.

ამრიგად, სახელმწიფო და კონფუციანელთა რელიგია ხდება ერთიანი პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ-იდეოლოგიური სისტემა, რომლის არსიც იყო ძველი საზოგადოებრივი ნორმების განმტკიცებისკენ სწრაფვა, რათა მიეღწიათ ხალხის სრული მორჩილებისა და თავიანთი უმაღლესი ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებისათვის. ეს იდეა მომდინარეობდა ჩინეთში ძველთაგანვე არსებული უფროსებისადმი უსიტყვო მორჩილებისა და ძველებური ნორმების დაცვის იდეისაგან. ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ.-მდე II საუკუნეში ამ ტრადიციების დარღვევისათვის ისჯებოდნენ და სახელმწიფოებრივ მონებად გადაიქცეოდნენ როგორც თვით დამრღვევები, ასევე მათი ოჯახის წევრებიც. კონფუციანელობის განვითარებასთან ერთად მომდინარეობს ნებისმიერი ფოფითი თუ საელმწიფოებრივი ქცევის კრიტერიუმების შემუშავება. მაგალითად, მამაკაცს მოეთხოვებოდა მოვალეობების უცილობელი შესრულება, სამსახურის გაწევა, საგვარეულო უფროსის მორჩილება. ქალი ყოველთვის უნდა ყოფილიყო ქმრის, დედამთილისა და მამამთილის მორჩილი და დამჯერი, მისი მთავარი მოვალეობა იყო ქმრისადმი მსახურება, შრომაში გულმოდგინეობა და შთამომავლობის გაგრძელება. მისგან არ მოითხოვებოდა რაიმე ტალანტის, ჭკუა-გონების, ენაწყლიანობის ან მახვილგონიერების გამოჩენა, არ მოეთხოვებოდა არც სილამაზე და მიმზიდველობა. ქალის სრულფოფილი იდეალი იყო – მორჩილი ცოლი, რომელიც მზად იყო ქმარს თვით საფლავშიც გაჰყოლოდა.

ძველ ჩინელთა ყოფა-ცხოვრება მკაცრად რეგლამენტირებული იყო. მაგალითად, ვაჭრებს და მევახშეებს ეკრძალებოდათ ფარჩეულისა და აბრეშუმისაგან შეკერილი ტანსაცმლით შემოსვა, იარაღის ტარება, ეტლით მგზავრობა და ცხენზე ამხედრება. ეს მხოლოდ მიწის მფლობელ არისტოკრატთა უფლება იყო, მაგრამ ისინიც – ქვეყნის ყველაზე წარჩინებული ადამიანებიც კი არ იყვნენ თავიანთი ბედის სრულუფლებიანი წარმმართველნი: ნებისმიერ დროს, იმპერატორის

ბრძანებით, შეიძლებოდა ისინი ერთი მამულიდან მეორეში გადაესახლებინათ, ჩამოერთვათ ქონება, არ იყო გამორიცხული თვით სიცოცხლის ხელყოფაც.

ბუდიზმი

ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში ჩინეთში იწყება *ბუდიზმის* გავრცელება, რომელიც წარმოიშვა ინდოეთში ჩვ.წ.აღ.-მდე VI საუკუნეში. არსებობდა ბუდიზმის ორი მიმართულება: *ჰინაიანა* („მცირე ეტლი"), რომელიც წინა პლანზე წამოწეედა ადამიანის სრულყოფილებას და *მაჰაიანა* („დიდი ეტლი"), მოთმინებისა და მოყვასისადმი თანაგრძნობის მქადაგებელი. ბუდიზმის თანახმად სიცოცხლე ტრის უსასრულო გარდაქმნათა ჯაჭვი, რომელიც მუდმივად ბოროტებად და ტანჯვად რჩება. ბუდიზმის მიმდევრები გამოსავალს ხედავდნენ მხოლოდ პასიურობაში, ცხოვრებისეული სიბარულის უარყოფაში, ყოველგვარი სურვილის ჩაკვლაში. სული მუდმივია, მიაჩნდათ ბუდისტებს, მატერიას კი აქვს დასაწყისი და დასასრული. მატერიალური სამყარო დამოუკიდებლად არ არსებობს, იგი არის მისტიკური სულის გამოვლინება.

ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში ჩინეთში ბუდისტური ეკლესია ხდება დიდი ეკონომიკური, პოლიტიკური და რელიგიური ძალა, მძლავრი ეკლესიური ორგანიზაციით, რომელიც აერთიანებდა ათი ათასობით ბუდისტურ ტაძარსა და მონასტერს, ასეულ ათასობით ბერსა და მონაზონს. შემდგომში ბუდიზმმა, დაოსიზმის მსგავსად, ადგილი დაუთმო კონფუციანელობას.

ჩინეთის ყველა რელიგიურ სისტემას ბევრი საერთო ჰქონდა: ყველა მათგანისათვის არსებითია უფროსისა და წინაპრისადმი პატივისცემა, მორჩილების კულტი, „უმოქმედობის" იდეა, სინამდვილისადმი პასიური, მჭვრეტელობითი დამოკიდებულება. ადამიანი, როგორც პიროვნება, არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ ღირებულებას, საზოგადოება ცხოვრობდა პრინციპით: „პირადული — არაფერია სახელმწიფოებრივისა და კოლექტიურის წინაშე".

მეცნიერება

ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ.-მდე V საუკუნეში ძველმა ჩინელებმა გაიგეს სწორკუთხა სამკუთხედის თვისებები, ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეში შეიქმნა ტრაქტატი *„მათემატიკა ცხრა თავად"*, რომელშიც თავმოყრილია ჩინეთში რამდენიმე საუკუნის განმავლობაში დაგროვილი მათემატიკური ცოდნა. ჩინელმა მეცნიერებმა კაცობრიობის ისტორიაში პირველებმა შემოიტანეს უარყოფითი რიცხვების ცნება.

ძველ ჩინელებს ეკუთვნით აგრეთვე მრავალი ტექნიკური გამოგონება: მაგნიტური ხელსაწყო, კომპასის წინამორბედი (ჩვ.წ.აღ.-მდე III საუკუნე), წყლის წისქვილი, მიწის ზედაპირზე წყლის ამოსაქაჩი მანქანა-ტუმბო, მსოფლიოში პირველი სეისმოგრაფი.

აქტიურად ვითარდებოდა ასტრონომია. უკვე ჩვ.წ.აღ.-მდე II ათასწლეულში ჩინელები წელიწადს ყოფდნენ 12 თვედ, თვეს — ოთხ კვირად. ჩვ.წ.აღ.-მდე V საუკუნიდან ისინი აწარმოებდნენ რეგულარულ ასტრონომიულ დაკვირვებებს, ცათა კრებული დაყვეს თანავარსკვლავედებად, გამოაცალკევეს 28 თანავარსკვლავედი. ჩვ.წ.აღ.-მდე IV საუკუნეში პირველებმა მსოფლიო ისტორიაში შეადგინეს ვარსკვლავთა კატალოგი 800 მანათობელზე. ჩვ.წ.აღ.-მდე 28 წელს ჩინელებმა კაცობრიობის ისტორიაში პირველად აღწერეს ლაქები მზეზე; ორი საუკუნის შემდეგ ასტრონომმა ჩაან ხენმა შექმნა მსოფლიოში პირველი ციური გლობუსი, რომელმაც გამოსახა ციურ სხეულთა მოძრაობა.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია მედიცინამაც. ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეში შეადგინეს სამედიცინო წიგნთა კატალოგი, რომელშიც თავმოყრილი იყო მრავალ ავადმყოფობათა მკურნალობის რეკეპტები, შეიქმნა ტრაქტატები ფარმაკოლოგიაში.

დამწერლობა. ლიტერატურა

ძველი ჩინეთის რელიგიური და სულიერი ცხოვრების შესახებ მეცნიერთა თანამედროვე შეხედულებები ეყრდნობა წერილობით წყაროებს, რომელთაგან ზოგიერთი ჯერ კიდევ უხსოვარ წარსულშია შედგენილი. ცნობილია, რომ ჩვ.წ.აღ.-მდე XV საუკუნეში ჩინეთში უკვე არსებობდა განვითარებული *იეროგლიფური დამწერლობის სისტემა*, რომელიც ითვლიდა 2000-ზე მეტ იეროგლიფს. ჩვ.წ.აღ.-მდე I ათასწლეულის დასაწყისს ეკუთვნის ძველი ჩინური ლიტერატურის უძველესი ძეგლები — *„სიმღერების წიგნი"*, რომელშიც შესულია 300-ზე მეტი სიმღერა და ლექსი, და *„ცვლილებათა წიგნი"*.

ჩინელები ძალიან დიდხანს წერდნენ აბრეშუმზე ნატურალური საღებავებით, ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში გამოიგონეს ტუში და *საწერი ქაღალდი*, რომელსაც ამზადებდნენ ხის მერქნისაგან და ნაჭრის ნაკუწებისაგან. იეროგლიფების რიცხვი ამ დროისათვის უკვე 3 ათასს აჭარბებდა. განსაკუთრებით სწრაფად ვითარდებოდა ჩინური დამწერლობა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდან: მაგალითად, II საუკუნეში იეროგლიფების რაოდენობა შეადგენდა 10 ათასზე მეტს, III საუკუნეში — 18 ათასზე მეტს. ამ პერიოდში

შემოღებულ იქნა მთელი ქვეყნისათვის ერთიანი დამწერლობა, რომელიც შემდგომში საფუძვლად დაედო ჩინურ დამწერლობას. მაშინ შეიქმნა პირველი ლექსიკონები. იმპერატორის სასახლეებთან იქმნებოდა დიდი ბიბლიოთეკები.

იმ დროის გამოჩენილი პოეტები იყვნენ *ლუ ძი, ჭი შუნი, იან სიუნი, ტაო იუან მინი*. ისინი აგრძელებდნენ პირველი დიდი ჩინელი *პოეტის*, ჩინური პოეზიის ფუძემდებლის *ცუი იუანის* ტრადიციებს, (ჩვ.წ.აღ.-მდე IV-III საუკუნეები).

განსაკუთრებით პოპულარული იყო *ტაო იუან მინის* პოეზია, ძალიან ახლობელი და გასაგები უბრალო ხალხისათვის:

ადამიანის ცხოვრებას ქვეყანაზე ღრმა ფესვები არა აქვს.
გაფრთხიალდება, ვით გზის თავზე მოფარფატე მტვერი.

...მე მხოლოდ ერთი მინდა – არ ვცნობდე სიბერეს საერთოდ,
მინდა ჩემს ახლობლებს, ერთად ვხედავდე ჭერქვეშ,
თითოეული შვილი თუ შვილიშვილი ზრუნაველს ერთმანეთზე,
რომ ჩემი სურა და ჩემი სიმი თან მქონდეს მუდამ,
რომ ჩემს თასში არ თავდებოდეს ღვინო არასდროს.
სარტყლის მოშვებისას სრული სიამით დავტკბე,
და გვიან ავდგე და ადრე კი ძილს მივცე თავი...

ჩინეთის პირველი გამოჩენილი ისტორიკოსი იყო *სიმ ციანი*, *„ისტორიული ჩანაწერების“* ავტორი. მისი გადმოცემის სტილი და მეთოდი გახდა ეჭვიანური მიბაძვის საგანი, როგორც ეს საერთოდ ჩინეთში იყო მიღებული.

ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების ჩინეთის გამოჩენილი პოეტები იყვნენ: *ცაო ცაო, ცაო პი, ცაო ჩჟი, ძი კანი, ჟუან ძი*.

არქიტექტურა და ხელოვნება

ჩინეთის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ *ბუდისტური მონასტრები*. მთელს ქვეყანაში დაიწყო დიდ სამონასტრო კომპლექსთა მშენებლობა, რომლებიც ინდური ტაძრების მსგავსად კლდის სიღრმეში იყო გამოკვეთილი. შენდებოდა ხის ბუდისტური ტაძრები და მაღალი, მრავალიარუსიანი კოშკები – პაგოდები, რომელშიც ინახებოდა ბუდისტური რელიქვიები.

პაგოდები გამოირჩეოდა სიმკაცრითა და საოცარი ჰარმონიულობით. მათ შორის ყველაზე ცნობილია 60 მეტრიანი შვიდსართუ-

ლიანი გარეული ბატების დიდი პაგოდა (652 წელი). პაგოდის სილუეტის სიმაღლისაკენ ლტოლვით აღფრთოვანებულმა პოეტებმა ცენ შენმა და გაო შიმ მის საპატივცემულოდ შექმნეს ლექსები:

ვითარ უკედავების წყარო
ამოჩქეფს მიწიდან,
მარტო დგას კოშკი
მთის სიახლოვეს აალებული,
რომ შეძლო ასვლა
მაღლა და მაღლა

რაღა თქმა უნდა
მიწიერს მოშორდები
და უარს იტყვი
ალბათ ყველაფერზე...
უკუნისამდე...

პაგოდებს აგებდნენ სხვადასხვა მასალისაგან: ხისგან, რკინისაგან, აგურით. თითქმის უკანასკნელ დრომდე ძირითადად მშენებლობის ეს ტიპი იყო ჩინეთში მიღებული.

ჩვ.წ.აღ.-მდე III საუკუნეში ჩინეთში აგებული იყო 700-ზე მეტი საიმპერატორო სასახლე, რომელთაგან ერთ-ერთი უზარმაზარი იყო: მისი ცენტრალური დარბაზი 10 000-ზე მეტ ადამიანს იტევდა.

მონასტრებს რთავდნენ ბუდას და ბუდისტური ღვთაებების სკულპტურული ქანდაკებებით. ბუდას უზარმაზარი სტატუები განასახიერებდნენ ზეადამიანურისა და ღვთიურის იდეას. უფრო რბილად და სულიერების მომცველად იყო გამოსახული გულმოწყალე ღვთაებები – *ბადჰისატვები*, ბუდას დამხმარენი.

პერიოდი, როდესაც ქვეყანა გაერთიანდა ერთიან ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ (ჩვ.წ.აღ.-მდე 221-207წ.) აღინიშნა *ჩინეთის დიდი კედლის* ძირითადი ნაწილის მშენებლობით, რომელიც ნაწილობრივ დღემდეა მოღწეული.

მეფე *ჩჟენმა*, ცინების დინასტიიდან, თავისი ძალაუფლების ქვეშ მოაქცია დაქუცმაცებული სახელმწიფოები და გახდა პირველი ჩინელი იმპერატორი. მან სახელი გაითქვა ასევე თავისი სამარხითაც (თანამედროვე სიანის ახლოს), სიკვდილის შემდეგაც რომ დაყრდნობოდა სამხედრო ძალას, მან ბრძანა თავისი 6000 მეომრის და ცხენის ნატურალური სიმაღლის ფიგურების გამოქანდაკება, რომლებიც მისი გარდაცვალების შემდეგ მასთან ერთად იქნა დამარხული.

განვითარდა გამოყენებითი ხელოვნებაც: დაიწყეს ძალიან ნაზი ჩუქურთმებით შემკობილი ბრინჯაოს სარკეების დამზადება; უკვე ჩვ.წ.აღ.-მდე II ათასწლეულში განვითარება ჰპოვა ნეფრიტზე და ძვალზე კვეთამ, დაიხვეწა მხატვრული კერამიკა, რითაც მომზადდა ნიადაგი ფაიფურის წარმოებისათვის ჩვენი წელთაღრიცხვის IV

საუკუნეში. ასევე შესანიშნავია სხვადასხვა ლაქწასმული ნაკეთობანი, რომლებმაც სახელი გაითქვეს ჩინეთის საზღვრებს გარეთაც.

VII-VIII საუკუნეებში ხელოვნების სხვა დარგებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ფერწერამ. მან ასახა ხალხის თაყვანისცემა სამყაროს სილამაზისადმი, ბუნებისადმი და იმ დროის ქალაქური ცხოვრება. ფერწერის დამკვიდრებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ტრაქტატმა „*ფერწერის ექვსი კანონი*“, რომელიც შექმნილია ცნობილი ჩინელი მხატვრის სე ხეს მიერ V საუკუნეში. ჩინურ ფერწერაში დამოუკიდებელი მნიშვნელობა დაიმკვიდრეს ცალკეულმა ჟანრებმა, რომლებიც მრავალი საუკუნის მანძილზე გახდა ტრადიციული, ეს არის: „*ბალბი*“, „*ყვავილი - ჩიტები*“, „*მთები – წყლები*“ და სხვა.

უკვე ჩვ.წ.აღ.-მდე II ათასწლეულში ჩინელებისათვის ცნობილი იყო ორ ათეულზე მეტი მუსიკალური ინსტრუმენტი: დოლი, დაირა, სალამური, ლითონის ზანზალაკები[1], სიმებიანი ხემიანი ინსტრუმენტები, ბამბუკისა და თიხისგან დამზადებული ჩასაბერი ინსტრუმენტები და სხვა.

ჩაოუს სამეფო დინასტიის დროს (ჩვ.წ.აღ.-მდე 722-480) პოპულარული იყო ხის მცირე ზომის შიგნიდან გამოფუღუროვებული, ვეფხვის ფორმის დაკბილულზურგიანი ძელი. ეს „ვეფხვის ყუთი“[2], სპეციალური წკირის ნაზი, ფრთხილი შეხებით გამოსცემდა ბგერას. წკირს ბოლო 12 ფურცლად ჰქონდა დანაწევრებული.

ჩვ.წ.აღ.-მდე I ათასწლეულში ჩნდება ტრაქტატები მუსიკაზე, იქმნება სპეციალური საკადრო სამსახური, რომლის დანიშნულებას შეადგენდა მუსიკოსთა და მოცეკვავეთა სწავლება, მეთვალყურეობა სასიმღერო და საცეკვაო მუსიკის შესრულებაზე და მისი ხელმძღვანელობა. ამრიგად, რეგლამენტაციას ნაკლებად დაქვემდებარებული კულტურის ეს სფეროებიც ძველ ჩინეთში რეგლამენტირებული იყო და სახელმწიფო ხელისუფლებას ემორჩილებოდა.

ძირითადი ტერმინები და ცნებები

აბსოლუტური დაო
ბუდიზმი
დაო
წინაპართა კულტი
მახაიანა
უმოქმედობის თეორია

[1] ჩვ.წ.აღ.-მდე V ს.ს. ჩინელები ზარებს ამზადებდნენ ტონის ისეთი სიზუსტით, რომ ისინი განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ ზომისა და წონის სახელმწიფოებრივ რეგულირებაში.

[2] „ვეფხვის ყუთი“ – დანის შესანახად იყენებდნენ.

დაოსიზმი
იეროგლიფური დამწერლობა
კონფუციანელობა
პაგოდა
ხანაიანა

ღმერთები და რელიგიურ მოძღვრებათა შემქმნელები

მიწის მბრძანებელი
მზის, მთვარის,
ჭუბილის, წვიმის,
ქარის ღმერთები
ცეცხლის, ომის ღმერთები
ადვილობრივი სულები
იმპერატორის გარდაცვლილი წინაპრები
წარსულის 188 მმართველი
კონფუცი
ლაო-ძი

კითხვები გამეორებისათვის

1. გვიამბეთ ძირითად რელიგიურ-ფილოსოფიურ სისტემებზე, თუ რა გავლენა იქონიეს მათ ძველი ჩინელი საზოგადოების ცხოვრებაზე.
2. რაში მდგომარეობს ძველი ჩინელების ცხოვრების რეგლამენტურობა, როგორია მათი წყაროები და შედეგები?
3. დაასახელეთ ძველი ჩინეთის კულტურის ძირითადი მიღწევები.

კონფუციდან

ისწავლეთ წარსული, თუ გსურთ, რომ იწინასწარმეტყველოთ მომავალი.


მმართველი უნდა იყოს მმართველი, მშრომელი – მშრომელი, მამა – მამა, შვილი – შვილი.

კეთილშობილი ადამიანი მოთხოვნებს უყენებს საკუთარ თავს, მდაბალი კი მოთხოვნებს უყენებს სხვებს.

ჩემი მოძღვრება მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ გქონდეთ წრფელი გული და სხვა გიყვარდეთ ისე, როგორც საკუთარი თავი.

თავი 4

ძველის საბერძნეთის კულტურა



არქაიკის პერიოდში შეიქმნა ერთიანი არქიტექტურული ენა — ორდერული სისტემა.



ძველბერძნული ჭურჭელი

ცნება *„ანტიკური“* გაჩნდა აღორძინების ეპოქაში, როდესაც იტალიელმა ჰუმანისტებმა შემოიტანეს ტერმინი „ანტიკური“ (ლათ. antiquus — ძველი) იმ დროისთვის ცნობილ კულტურათა შორის ყველაზე ძველის — *ბერძნულ-რომაული კულტურის* განსაზღვრისათვის. ანტიკურ სახელმწიფოთა კულტურულმა მემკვიდრეობამ დიდი გავლენა იქონია ევროპის ყველა ხალხზე, მათ ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, ფილოსოფიაზე, რელიგიურ აზროვნებაზე, პოლიტიკურ და იურიდიულ შეხედულებებზე.

კრეტა-მიკენური კულტურა

საბერძნეთის ტერიტორიაზე უძველესი ცივილიზაცია *კრეტა-მიკენურის* სახელითაა ცნობილი. მისი ცენტრები იყო კუნძული კრეტა და ქალაქი მიკენე კონტინენტურ საბერძნეთში.

კრეტას (ანუ *მინოსური* — კრეტის ლეგენდარული მეფე *მინოსის* სახელთან დაკავშირებული) — კულტურა აღმოცენდა ჩვ.წ.აღ.-მდე III-II ათასწლეულის ზღვარზე. გაიარა აღზევებისა და დაცემის პერიოდები, იარსება დაახლოებით ჩვ.წ.აღ.-მდე 1200 წლამდე. კრეტაზე მთელი ცხოვრება ჩქეფდა ე. წ. *სასახლეების* ირგვლივ. XX სკ. დასაწყისში კნოსოში (კუნძულის ცენტრალური ნაწილი) ინგლისელი მეცნიერის ა. ევანსის ხელმძღვანელობით ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოაჩინეს კრეტას სასახლეებს შორის უპირველესი. ევანსმა მას, ბერძნული გადმოცემის მიხედვით, *მინოსის* სასახლე უწოდა. სწორედ იგი იყო ცნობილი ლაბირინთი, რომელიც აღწერილია ბერძნულ მითებში ხარის თავიან და ადამიანის ტანიან ურჩხულ *მინოტავრის* შესახებ.

კრეტას სასახლეები ნამდვილ ლაბირინთებს ჰგავდა, შედგებოდა მრავალი სხვადასხვა დანიშნულების ცალკეული შენობებისაგან, შიდა დაგეგმარება გამოირჩეოდა უწესრიგობით. მიუხედავად ამისა სასახლეები მაინც აღიქმებოდა, როგორც ერთიანი არქიტექტურული ანსამბლი, რასაც უმეტესწილად ხელს უწყობდა სასახლის ცენტრალურ ნაწილში დიდი სწორკუთხოვანი ეზო, რომელთანაც დაკავშირებული იყო ყველა ნაგებობა. მუდმივად მიმდინარეობდა სასახლეების გადაკეთება, რაც მათ თანდათანობით მეტ ბრწყინვალებას სძენდა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს შიდა შენობების კედლების შესანიშნავი მხატვრობა, რომელიც ამშვენებდა კორიდორებსა და პორტიკებს. *ფრესკებზე* გამოსახული იყო ცხოველები, ყვავილები, სასახლის მცხოვრებთა ყოფის ამსახველი სცენები, კერძოდ, *„თამაშობანი ხარებთან“* — რელიგიური რიტუალი, რომელიც დაკავშირებული იყო ერთ-ერთ მთავარ მინოსურ კულტთან — ღმერთ-

ხართან, რომლის სახეში განსახიერდებოდა ბუნების დამანგრეველი ძალები. ბუნების მუდმივად განახლების, დედობის, ქალურობის სიმბოლო იყო *დიდი მბრძანებელი ქალღმერთი* — მინოსის პანთეონის ცენტრალური ფიგურა.

კრეტელთა ცხოვრებაში რელიგია უდიდეს როლს თამაშობდა. იქ დამკვიდრდა სამეფო ხელისუფლების განსაკუთრებული ფორმა — *თეოკრატია*, რომლის მიხედვით საერო და სასულიერო ძალაუფლება ერთ პირს ეკუთვნოდა. მეფის სასახლე უნივერსალურ ფუნქციებს ასრულებდა, რამდენადაც ერთდროულად წარმოადგენდა რელიგიურ, ადმინისტრაციულ, სამეურნეო ცენტრს.

კრეტული ცივილიზაციის ჩვენამდე მოღწეულ ხელოსნურ და ხელოვნების ძეგლთა შორის მშვენიერი ფრესკების გარდა უნდა აღინიშნოს შესანიშნავი ბრინჯაოს სტატუეტები, იარაღი და დიდებული პოლიქრომული (მრავალფეროვანი) კერამიკა.

მინოსის კულტურამ აყვავებას მიაღწია ჩვ.წ.აღ.-მდე XVI საუკ. — XV საუკ. I ნახევარში. კუნძულის თითქმის ყველა დასახლება და სასახლე დაინგრა ერთის მხრივ კრეტასთან ახლოს კუნძულ თერაზე (დღევანდელი სანტორინი) ამოფრქვეული ვულკანის და მეორეს მხრივ კონტინენტური საბერძნეთიდან ბერძენ-აქაველთა ჯარების შემოსევების გამო.

შემდგომში კრეტას კულტურამ ვერ შესძლო მიეღწია ძველი დიდებისათვის, ცივილიზაციის ცენტრმა გადაინაცვლა კონტინენტურ საბერძნეთში, სადაც ამ დროს აყვავებას განიცდიდა ჩვ.წ.აღ.-მდე დაახლოებით 1700 წლისათვის აღმოცენებული *მიკენური (ანუ აქაველთა) კულტურა*.

ამ კულტურამ თავდაპირველად განიცადა მინოსური ცივილიზაციის ძლიერი გავლენა. გადმოღებული იქნა ზოგიერთი ღმერთის სახელი, აგრეთვე — წყალგაყვანილობა, კანალიზაცია, ტანსაცმლის მოდელები, ფრესკული ფერწერა და სხვა. მაგრამ, კონტინენტური საბერძნეთის უძველეს ცივილიზაციებთან მჭიდროდ დაკავშირებული მიკენური კულტურა საკმაო თვითმყოფადობით გამოირჩეოდა. ამ კულტურის ყველაზე ადრინდელი ძეგლია *მდიდარი სამარხები მიკენში* (პელოპონესის ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთით), აღმოჩენილი 1876 წ. გამოჩენილი არქეოლოგის გ. შლიმანის მიერ. სამარხებში მიცვალებულთა ძვლებთან ერთად ნაპოვნი იყო სამკაულები, ჭურჭელი, იარაღი, სიკვდილშემდგომი ოქროს ნიღბები.

მიკენური ცივილიზაციის აყვავების პერიოდი ემთხვევა ჩვ.წ.აღ.-მდე XV-XIII სს. კრეტას მსგავსად, კულტურის ძირითად ცენტრებს

აქაც *სასახლეები* წარმოადგენდა. მათგან მნიშვნელოვანი ძეგლები აღმოჩენილია მიკენში, ტირინთოში, პილოსში, ათენსა და იოლკოში. კრეტასგან განსხვავებით აქაველთა თითქმის ყველა სასახლე გამაგრებულია. მათი მძლავრი კედლები აგებულია უზარმაზარი ქვის ლოდებით შემაკავშირებელი მასალის გარეშე. უფრო გვიანდელ ეპოქაში ამ კედლების შემხედვარე ბერძნები მათ *ციკლოპებს მიაწერდნენ*. სასახლეები აქაც, ისევე როგორც კრეტაზე, მორთული იყო ფრესკებით, თუმცა მეომრული ხასიათის, ნაკლებად დახვეწილი მიკენური კულტურისათვის დამახასიათებელია ბრძოლისა და ნადირობის ამსახველი სცენების სიჭარბე.

აქაველთა ცივილიზაციის აღზევების პერიოდში მალაროვანი სამარხების ნაცვლად გაჩნდა სამეფო განსასვენებლის ახალი სახე — *ტოლოსი* (გუმბათოვანი სამარხი). მათ შორის ყველაზე დიდი იყო *ატრევსის სამარხი* მიკენში.

ჩვ.წ.აღ.-მდე XV ს. აქაველებმა დაიპყრეს კრეტა, მინოსელთაგან გადმოიღეს დამწერლობა (ე. წ. A — ხაზოვანი მარცვლოვანი დამწერლობა) და გამოიყენეს იგი თავიანთი ენის გადასაცემად (Б — ხაზოვანი მარცვლოვანი დამწერლობა). 1953 წ. ინგლისელმა მეცნიერმა მ. ვენტრისმა შეძლო გაეშიფრა თიხის დაფები Б — ხაზოვანი დამწერლობით, რომლებიც შეიცავდა ჩანაწერებს ბერძნულ ენაზე. ხოლო A — მარცვლოვანი დამწერლობა, რომლითაც სარგებლობდნენ არა ბერძნები, არამედ მინოსელები, ჯერაც არ არის გაშიფრული.

ჩვ.წ.აღ.-მდე XIII საუკუნის ბოლოს ჩრდილო-ბალკანეთის ბარბაროსმა ტომებმა კრეტა-მიკენის ცივილიზაციისათვის ხელშეუხებლად გადაინაცვლეს სამხრეთისაკენ. ხალხთა ამ გადასახლებაში წამყვანი როლი ბერძენთა ტომს — *დორიელებს* ეკავა. ისინი აქაველებთან შედარებით დიდ უპირატესობას ფლობდნენ — აქაველების ბრინჯაოს იარაღთან შედარებით მათ უფრო ეფექტური — რკინის იარაღი ჰქონდათ. დორიელთა მოსვლით ჩვ.წ.აღ.-მდე XII-XI სს.-ში საბერძნეთში დაიწყო *რკინის* ხანა და სწორედ ამ დროს შეწყვიტა არსებობა კრეტა-მიკენურმა ცივილიზაციამ.

ჰომეროსული პერიოდის კულტურა

საბერძნეთის ისტორიის შემდგომ პერიოდს ჩვეულებრივ ჰომეროსის ეპოქას უწოდებენ — დიდი *ჰომეროსის* სახელის შესაბამისად. მისი შესანიშნავი პოემები „ილიადა“ და „ოდისეა“, რომლებიც შექმნილია ჩვ.წ.აღ.-მდე VIII ს.-ის ბოლოს, ამ პერიოდის შესახებ ინფორმაციის

მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. ისინი მოგვითხრობენ *ტროას ომზე*, რომელიც მოხდა ჩვ.წ.აღ.-მდე XIII ს.-ის ბოლოს, და ომიდან დაბრუნებულ ტროელ გმირზე — *ოდისევსზე*. ჰომეროსმა კრეტა-მიკენური ეპოქის მოვლენების აღწერისას ისინი ისტორიულ წარსულში გადაიტანა. „ილიადა“ და „ოდისეაში“ აღწერილია საზოგადოება გაცილებით პრიმიტიული კულტურით, რაც არ ესადაგება კრეტა-მიკენური ცივილიზაციის ჩვენამდე მოღწეულ კულტურის ძეგლებს. ჰომეროსის გმირები — მეფე, მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები ცხოვრობენ ხის სახლებში, რომლებიც სრულიად არა ჰგავს კრეტა-მიკენურ მეფეთა სასახლეებს.

ჰომეროსის პერიოდის ძეგლებმა ჩვენამდე შედარებით მცირე რაოდენობით მოაღწია. იმ დროისათვის ძირითად სამშენებლო მასალად იყენებდნენ ხესა და გამოუწვავ აგურს, მონუმენტური ქანდაკებებიც ხისაგან იყო შექმნილი.

ამ პერიოდის ხელოვნების ჩვენამდე მოღწეული უფრო ნიშანდობლივი ძეგლებია გეომეტრიული ორნამენტებით მოხატული *კერამიკა*. ესაა დიდი ზომის საფლავის ლარნაკები, საოჯახო ჭურჭელი, აგრეთვე ტერაკოტული სტატუეტები და ჭურჭლის სკულპტურული მორთულობა.

ჰომეროსის პერიოდში დამწერლობა არ იყო. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ პირველი ცნობილი ბერძნული წარწერები ეკუთვნის სრულიად სხვა — არქაულ ეპოქას (ჩვ.წ.აღ.-მდე VIII ს.-ის II ნახევარი). მაგრამ უკვე იყენებდნენ არა ნ — ხაზოვან მარცვლოვან დამწერლობას, არამედ სრულიად ახალს — ბერძნების მიერ ფინიკიელებისაგან გადმოღებულ *ანბანურ დამწერლობას*.

მთლიანობაში ჰომეროსის ხანა იყო კულტურის დროებითი დაცემის, შეჩერების პერიოდი, მაგრამ სწორედ ამ პერიოდში იქმნება ხელშემწყობი წინაპირობები ბერძნული საზოგადოების მიზანმიმართული გადასვლისათვის არქაიკისა და კლასიკურ ეპოქაში.

არქაიკის პერიოდის კულტურა

არქაიკის პერიოდი მოიცავს ჩვ.წ.აღ.-მდე VIII-VI ს.ს.-ებს. ამ პერიოდში მიმდინარეობდა დიდი კოლონიზაცია — ბერძნების მიერ ხმელთაშუა, შავი და მარმარილოს ზღვების სანაპიროების დაპყრობა. ბერძნული სამყარო გამოვიდა იზოლაციის მდგომარეობიდან, რომელშიც იგი მოექცა კრეტა-მიკენური კულტურის შესურვების შედეგად. ბერძნებმა ბევრი რამ აითვისეს სხვა ხალხებისგან: ლიდიელებისგან — ფულის მოჭრა, ფინიკიელებისაგან — ანბანური დამწერლობა, მოახდინეს მისი სრულყოფა შემოიღეს რა

არა მხოლოდ თანხმოვან, არამედ ხმოვან ბგერათა ნიშნებიც. მეცნიერების, კერძოდ, ასტრონომიისა და გეომეტრიის ჩასახვასა და განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია ძველი ეგვიპტისა და ბაბილონის მეცნიერებებმა. ბერძნულ ხელოვნებაზე ძლიერი ზემოქმედება მოახდინა ეგვიპტისა და ახლო აღმოსავლეთის არქიტექტურამ და ქანდაკებამ. უცხოურ კულტურათა ელემენტები შემოქმედებითად იქნა გადამუშავებული და ორგანულად შეერწყა ბერძნულ კულტურას.

არქაიკის პერიოდში გვაროვნული თემის საბოლოო დაშლის შედეგად ხდება ანტიკური *პოლისის* — ქალაქ-სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რომლის სამოქალაქო თემს მიეკუთვნებოდა მის გარშემო მდებარე სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიაც. შედარებით მსხვილი პოლისები იყო *ათენი, სპარტა, კორინთო, არგოსი, ფივა*.

საბერძნეთი პოლიტიკური თვალსაზრისით დაყოფილი იყო მრავალ დამოუკიდებელ ქალაქ-სახელმწიფოდ და სწორედ არქაიკის ეპოქაში ბერძნების სხვა ხალხებთან ურთიერთობამ მათში გააღვიძა ერთიანობის ცნობიერება, აღმოცენდა ცნება „ელინელები“, „ელადა“, რაც მოიცავდა მთლიანად ბერძნულ სამყაროს. პოლისებს შორის მთავარ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ კავშირთა ცენტრებად გვევლინება საერთო ბერძნული ტაძრები, რომელთა აღმოცენებას ხელი შეუწყო ღვთაებათა ერთიანი პანთეონის შექმნამ ადგილობრივ კულტთა შერწყმის შედეგად.

არქაიკის პერიოდში ძირითადად ჩამოყალიბდა ძველ ბერძენთა რელიგიური და მითოლოგიური წარმოდგენები. ისინი თვლიდნენ, რომ თავდაპირველად იყო *ქაოსი*, საიდანაც გამოიყო *მიწა (ქალღმერთი გეა)* და *მიწისქვეშეთის სამყარო (ტარტაროზი)*. გეამ შობა ძე — მეუღლე *ურანოსი* (ცა). ღმერთთა მეორე თაობაა გეასა და ურანოსის შვილები — *ტიტანები*. ურანოსმა, ეშინოდა რა, რომ შვილები წაართმევდნენ ძალაუფლებას, ტიტანები ჩაყარა მიწის ქვეშ ღრმა უფსკრულში, მაგრამ მათ მოახერხეს იქიდან თავის დაღწევა და მამის დამხობა. ერთ-ერთი მათგანი — კრონოსი (დრო), რომელმაც შთანთქა თავისი შვილები, გამეფდა მთელს სამყაროზე. დაუნდობელი ბრძოლის შემდეგ *კრონოსი* დაამარცხა მისმა უმცროსმა შვილმა *ზევსმა* — ჭექა-ქუხილის, ელვისა და წვიმის ღმერთმა. გადმოცემის თანახმად, ზევსი და მისი გარემომცველი ღმერთები ცხოვრობდნენ *ოლიმპოს* მთაზე და ბერძნები მათ *ოლიმპოელებს* უწოდებდნენ.

ტიტანებზე გამარჯვების შემდეგ ჭექა-ქუხილის მბრძანებელი ზევსი გახდა უზენაესი ღმერთი, მისი ცოლი ჰერა, ქორწინების

მფარველი – ცის მპყრობელი. ზევსის სხვა ქალღმერთებთან და მოკვდავ ქალებთან კავშირისათვის ჰერასთან ქორწინებას ხელი არ შეუშლია. ლედას ცდუნება ზევსმა შესძლო იმით, რომ გედად გამოეცხადა, ევროპეს მოევლინა ხარად, დანაეს – ოქროს წვიმად.

ზევსმა თავის ძმას – *პოსეიდონს* საბრძანებლად ზღვა მისცა, *ჰადესს* – მიწისქვეშა სამეფო. სინათლისა და პოეზიის ღმერთი ზევსის შვილი *აპოლონი* გახდა, რომელსაც მუდმივად თან ახლდა *ცხრა მუზა* და – ხელოვნებისა და მეცნიერების მფარველნი[1]. ზევსის სხვა შვილები – *აფროდიტე* სიყვარულის ქალღმერთია, ცეცხლისა და სამჭედლო საქმისა – მოხერხებული *ჰეფესტო*, ომის ღმერთია – *არესი*, სიბრძნის ქალღმერთია – *ათენა*, მთვარის ქალღმერთია – *არტემიდა*. თითოეულ სამეურნეო საქმიანობასაც ჰყავდა თავისი *მფარველი ღმერთი: დემეტრე* – მიწათმოქმედებისა და ნაყოფიერების მფარველი, *ათენა* – მქსოველთა, მეღვინეობის – *დიონისე*, ეაჭრობის – *ჰერმესი*, ნადირობის, გარეულ ცხოველთა და ფეხმძიმე ქალთა მფარველი – *არტემიდე*.

საერთო ბერძნული ღმერთების გარდა, საბერძნეთის ყველა კუთხეს ადგილობრივი ღმერთებიც ჰყავდა, რომლებიც ცხოვრობდნენ ტყეებში, მთებში, წყაროებში, მინდვრებში (*რიმფები, სატირები, დრიადები* და სხვა). ბერძნები თავიანთ ღმერთებს უკვდავებად და ყოვლისშემძლეებად მიიჩნევდნენ, მათ წარმოადგენდნენ ანტროპომორფული სახით, ე. ი. ადამიანთა მსგავსად. ღმერთები, ისევე როგორც ადამიანები, არ იყვნენ უბედურებისგან თავისუფალნი. სამყაროზე ბატონობდა *გარდაუვალი ბედისწერა*, რომელიც განაგებდა ღმერთებსაც და ადამიანებსაც.

ღმერთების შესახებ მითების გარდა ბერძნებს ადამიანთა წარმოშობის სხვადასხვა ვერსიები ჰქონდათ. გავრცელებული იყო მრავალნაირი *მითები გმირებზე*, მათ შორის ყველაზე პოპულარულები გაერთიანდა ციკლებში, მაგალითად, მითები ტროას ომის, *ჰერაკლეს* გმირობების შესახებ.

ბერძნების მიერ შექმნილმა ერთობ მდიდარმა და მომხიბვლელმა მითოლოგიამ დიდი გავლენა იქონია სხვა ხალხთა კულტურაზე და

[1] ცხრა მუზა, ცხრა და – მეცნიერების, პოეზიისა და ხელოვნების ღმერთები: *ევტერპესი* – ლირიკული პოეზიის, *კლიო* – ისტორიის, *თალია* – კომედიის, *მელპომენე* – ტრაგედიის, *ტერფსიქორა* – ცეკვის, *ერატოსი* – სასიყვარულო პოეზიის, *პოლიჰიმნია* – ჰიმნის, *ურანოსი* – ასტრონომიის, *კალიოპე* – ეპიკური პოეზიის.

უკვე მრავალი ასწლეულის მანძილზე პოეტებისა და მხატვრების შთაგონების წყაროა.

ჩვ.წ.აღ.-მდე VIII-VI საუკუნეებში ჩნდება ბერძნული *ისტორიოგრაფია*, წარმოდგენილი ლოგოგრაფების შრომებით, რაც იყო მითოლოგიური სიუჟეტებისათვის რეალური საფუძვლის ძიების პირველი მცდელობა.

საბერძნეთის კულტურის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია ზოგიერთი ღმერთის საპატივცემულოდ გამართული *თამაშობები*. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო: *ოლიმპიური თამაშობანი* – სპორტული შეჯიბრებები, მიძღვნილი ზევსისადმი, რაც იმართებოდა ჩვ.წ.აღ.-მდე 776 წლიდან ოთხ წელიწადში ერთხელ; *პითიური* – სპორტული და მუსიკალური შეჯიბრებები მიძღვნილი აპოლონისადმი დელფოსში (ოთხ წელიწადში ერთხელ); *ისტმური* თამაშობები – გამართული პოსეიდონის პატივსაცემად კორინთოში (ორ წელიწადში ერთხელ).

არქაიკის ეპოქაში საბერძნეთის შედარებით განვითარებული კუთხეა იონია (მცირე აზიის დასავლეთ სანაპირო). სწორედ აქ ჩამოყალიბდა ანტიკური ფილოსოფიური სისტემა – *ნატურფილოსოფია*. მისი წარმომადგენლები ცდილობდნენ გაეანალიზებინათ ბუნება და მისი კანონზომიერებები, გამოეკვლიათ პირველსაწყისი ყოველივე არსებულისა, ამასთან, სამყაროს აღიქვამდნენ ერთ მატერიალურ მთლიანობაში. *თალესი* ყველა საგნის პირველსაწყისად მიიჩნევდა წყალს, *ანაქსიმენე* – ჰაერს, *ანაქსიმანდრე* – აპეირონს (უსასრულობას), ესე იგი, პირველ მატერიას მისი ურთიერთსაწინააღმდეგო საწყისებით: მყარით და თხიერით, სითბოთი და სიცივით. *პითაგორა* (ჩვ.წ.აღ.-მდე VI ს.ბ.) და მისი მიმდევრები ავითარებდნენ პირველსაწყისის კვლევის იმავე ხაზს, სწამდათ სულიერი ნათესაობა, ყოველივეს საფუძვლად მიიჩნევდნენ მათემატიკურ კანონებს, რომელთაც შექმნეს კოსმიური ჰარმონია. მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მათემატიკის, ასტრონომიისა და მუსიკის თეორიის განვითარებაში.

ელეელთა სკოლის მნიშვნელოვანი წარმომადგენელი იყო *პარმენიდე ელეელი* (დაბადებული ჩვ.წ.აღ.-მდე დაახლოებით 540 ან 520 წ.), მან წამოაყენა ერთიანი უცვლელი და განუყოფელი ყოფიერების ცნება. შემეცნების წყაროდ მიიჩნია აზროვნება და არა შეგრძნებები,საგანთა სიმრავლესა და მათ მოძრაობას ხსნიდა გრძნობის ორგანოთა ცთომილებით.

ერთ-ერთი უდიდესი ბერძენი ფილოსოფოსი იყო *ჰერაკლიტე* ეფესელი (ჩვ.წ.აღ.-მდე VI ს.კ. დასასრული – V ს.კ. დასაწყისი). მისი აზრით, როგორც ბუნებაში, ასევე საზოგადოებაში მუდმივი მოძრაობაა, ბრძოლაა, ყოფიერება მუდმივად იცვლება. პირველსაწყის მატერიად ჰერაკლიტე მიიჩნევდა ცეცხლს, რომელიც, როგორც ბუნების ძირითადი ფერმენტი, მატერიის ყველა სახეს ერთ მთლიანობაში აერთიანებს.

ლიტერატურული შემოქმედება საბერძნეთში ოდითგანვე არსებობდა ზეპირი ფორმით: ეპოსი, იგავები, შრომითი სიმღერები და სხვა, რამაც ნიადაგი მოამზადა პირველი ბერძნული ლიტერატურული ნაწარმოებების – ჰომეროსის „*ილიადა*“ და „*ოდისეა*“ შესაქმნელად. ეს პოემები იმდენად სრულფასოვანია, რომ ისინი დღესაც ითვლება მსოფლიო ლიტერატურის დიდ მონაპოვრად, თუმცა შექმნილია ჩვ.წ.აღ.-მდე VIII საუკუნეში.

ამავე პერიოდს ეკუთვნის *ჰესიოდეს* (ჩვ.წ.აღ.-მდე VIII-VII სს.) შემოქმედებაც, მისი პოემებია „*თეოგონია*“ (ღმერთების წარმოშობის შესახებ) და „*საქმენი და დღენი*“, სადაც პირველად ასახულია ავტორის პიროვნება და მისი ცხოვრება.

ამ პერიოდის ლიტერატურაში წარმმართველი როლი ეპოსიდან თანდათან გადადის ლირიკულ პოეზიაზე. ყურადღების მიმართვა ადამიანისადმი, მისი შინაგანი სამყაროსადმი, თანამედროვე ცხოვრების მოვლენებისადმი დამახასიათებელია *არქილოქეს* (ჩვ.წ.აღ.-მდე VII საუკუნის II ნახევარი), *სოლონის* (ჩვ.წ.აღ.-მდე 640-635 წ. შორის – დაახ. 559 წ.), *ალკეოსის* (ჩვ.წ.აღ.-მდე VII საუკუნის დასასრული – VI საუკუნის I ნახევარი), *თეოგნიდე მეცარელის* (ჩვ.წ.აღ.-მდე VI საუკუნის II ნახევარი), *ანაკრეონტის* (ჩვ.წ.აღ.-მდე დაახ. 570-478 წ.) შემოქმედებისათვის.

დღესაც არ დაუკარგავს ხიბლი *საფოს* (ჩვ.წ.აღ.-მდე VII-VI საუკუნეები) პოეზიას:

მე მიყვარს სიახლე,
მიყვარს სიჭაბუკე,
მიყვარს სიზარული
და მზე.
ჩემი ხვედრია –
ვიყო მზის შუქში
და გახვეული ლამაზ ტრფობაში.

ჩვ.წ.აღ.-მდე VI საუკუნეს მიეკუთვნება *ბერძნული თეატრის* აღმოცენება, რომელიც წარმოიშვა დიონისეს პატივსაცემად გამართულ რელიგიურ დღესასწაულებზე შესრულებული სიმღერებისაგან, გუნდური სიმღერებისა და ლოცვებისაგან. დრამატული წარმოდგენის განვითარება დაკავშირებულია გუნდიდან ერთი მოქმედი პირის – *აქტიორის* გამოცალკევებასთან. ბერძნული თეატრი – ესაა სცენა ღია ცის ქვეშ, სამი მხრიდან ზემოთკენ საფეხურებად შემაღლებული მაყურებელთა ადგილებით. ქვემოთ განთავსებული იყო მრგვალი *ორქესტრა* (მოედანი გუნდისათვის) და *სკენა* (შენობა აქტიორებისა და რეკვიზიტისათვის). აქტიორები (მხოლოდ მამაკაცები) ატარებდნენ *ნიღბებსა* და *კოტურნებს* (სქელლანჩიანი ფეხსაცმელი). თეატრში მისვლა ითვლებოდა მნიშვნელოვან კულტურულ და რელიგიურ წესჩვეულებად, რომელიც ყველა მაყურებელს განცდებით აერთიანებდა პერსონაჟებთან (*კათარსისი*).

არქაიკის პერიოდის ხელოვნებისათვის დამახასიათებელია ძიება დამაკვირებელი ფორმისა, რომელიც გამოხატავს მშვენიერების ესთეტიკურ იდეალს პოლისის მოქალაქის სხეულისა და სულის მეშვეობით. ამ პერიოდში ჩნდება განცალკევებული სკულპტურის ორი ძირითადი ტიპი. ესაა შიშველი ჭაბუკის (*კუროსი*) და შემოსილი ქალის (*კორა*) ქანდაკებები სინაზისა და მეგობრობის გამომხატველი ე. წ. *არქაული ღიმილით*. კუროსებსა და კორებს დგამდნენ გამოჩენილ ადამიანთა უკვდავსაყოფად. ამის გარდა ჩნდება მრავალფიგურიანი სკულპტურული კომპოზიციები და რელიეფები. არქაულ ხელოვნებაში ადამიანის გამოსახულება იძენს აღმოსავლური კულტურისათვის დამახასიათებელ ცალკეულ ნიშნებს, როგორიცაა გამოსახულების ერთგვარი პირობითობა, სტატიურობა, სადღესასწაულო იერი.

არქაიკის პერიოდის ქალაქმშენებლობის მთავარი სტრუქტურული ელემენტებია *აკროპოლისი* (სალოცავი) და *აგორა* (სავაჭრო ცენტრი), რომელთა ირგვლივ განთავსებული იყო საცხოვრებელი კვარტლები. ქალაქების მშენებლობაში ცენტრალური ადგილი ეკავა *ტაძრებს*, რომელთაც თავდაპირველად აგებდნენ გამოუწვავი აგურითა და ხით, შემდეგ – კირით, ჩვ.წ.აღ.-მდე VI საუკუნიდან – მარმარილოთი.

ჩვ.წ.აღ.-მდე VI საუკუნეში იქმნება *არქიტექტურული ორდერი* დორიული და იონური ვარიანტებით. მკაცრ, რამდენადმე მძიმე *დორიულ სტილს* შეესაბამება გეომეტრიულად ზუსტი კოლონის კაპიტელი. *იონური* დორიულთან შედარებით გაცილებით მოხდენილია და წარმოადგენს არა მხოლოდ საყრდენს, არამედ შეიცავს

დეკორატიულ ელემენტებს და უფრო რთულ ცოკოლს. დორიული სტილით აშენებული ნაგებობებიდან განსაკუთრებით ცნობილი იყო ოლიმპოში *ჰერას ტაძარი*, იონური ორდერის ნაგებობებიდან კი — *არტემიდას ტაძარი ეფესოში*.

არქაიკის ეპოქაში მოხდა არქიტექტურისა და ქანდაკების სინთეზი. ტაძრები გარედან ირთვება რელიეფებით, შიდა ინტერიერში იდგმება იმ ღვთაებათა სტატუები, რომელთა სახელზეცაა აგებული ტაძრები. ქანდაკებებით გამოსახულია არა მხოლოდ ღმერთები, არამედ მითოსური გმირებიც (ჰერაკლე, პერსევსი და სხვა).

არქაიკის პერიოდის ბერძნული *კერამიკა* მნახველს აოცებს ფორმის სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით, ფერწერული გაფორმების სილამაზით. განსაკუთრებით გამოირჩევა *კორინთოს ლარნაკები* — მოხატული ე. წ. ორიენტალიზებულ, ანუ აღმოსავლურ სტილში, გამორჩეული ფერწერული დეკორის ფერადოვნებითა და განსაკუთრებულობით, და *ანტიკური შავფიგურიანი*, ხოლო უფრო გვიანი პერიოდის *წითელფიგურიანი ლარნაკები* ადამიანთა ყოველდღიური ყოფის ამსახველი სურათებით.

თვითმყოფადი არქაული კულტურა კლასიკური კულტურის საფუძველია, რომელმაც ერთობ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში.

კლასიკური პერიოდის კულტურა (აღმავლობის ხანა)

ძველი საბერძნეთის ისტორიაში ერთგვარ ზღვარს წარმოადგენს *ბერძენ-სპარსელთა ომები* (ჩვ.წ.აღ.-მდე 500-449 წ.). ამით მთავრდება ანტიკური პოლისის ფორმირების — არქაული პერიოდი და იწყება აყვავების — *კლასიკური* პერიოდი. ბერძენთა გამარჯვებამ, კლასიკური მონათმფლობელობის ფორმირებამ, პოლისური დემოკრატიის განვითარებამ ხელი შეუწყო ჩვ.წ.აღ.-მდე V საუკუნეში საბერძნეთის ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების განვითარებას და ბერძნული კულტურის აყვავებას, რომლის ცენტრი გახდა *ათენი, განსაკუთრებით პერიკლეს* (ჩვ.წ.აღ.-მდე 444-429 წ.) მმართველობის დროს.

კლასიკურ პერიოდში სრულყოფილი მოქალაქის აღზრდაში მეცნიერებას და ხელოვნებას სერიოზული მნიშვნელობა ენიჭებოდა. მეცნიერებს უკვე აღარ აკმაყოფილებდა აზრი მატერიის, როგორც რაღაც ერთიანის და განუყოფელის შესახებ. *დემოკრიტემ* (ჩვ.წ.აღ.-მდე დაახლ. 470, ან 460 — გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული) მეცნიერებაში პირველმა შემოიტანა ატომის — მატერიის განუყოფელი

ნაწილაკის მცნება (პირველსხეული). იგი მიიჩნევდა, რომ სამყაროში არის მხოლოდ ატომები და სიცარიელე. ყველა ატომი არის უცვლელი, განუყოფელი, მაგრამ სხვადასხვა სხეულის ატომები განსხვავდება ფორმითა და ზომით. ერთნაირი ატომების შეხვედრისას იქმნება სხეული. დემოკრიტეს აზრით, არ არსებობს მოვლენა მიზეზის გარეშე: ბუნებას და ისტორიას არ გააჩნია მიზანი, მაგრამ ყველა მოვლენა განპირობებულია. მატერია მუდმივია და მისი აღმოცენება ახსნას არ საჭიროებს, ასახსნელია მხოლოდ ცვლილებები. ეს კი შესაძლებელია რწმენისა და ღმერთების მოშველიების გარეშეც.

ერთის მხრივ, დემოკრიტე აღიარებდა შემეცნების ობიექტურ ხასიათს, იმავე პერიოდში აღმოცენებული სხვა ფილოსოფიური მიმდინარეობა კი ამტკიცებდა, რომ ჭეშმარიტება იმდენია, რამდენი ადამიანიც არსებობს. ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები — *სოფისტები* შესაძლებლად მიიჩნევდნენ ნებისმიერი მოვლენის ახსნას. მათთვის დამახასიათებელია დადგენილი წარმოდგენების, რელიგიურის ჩათვლით, საწინააღმდეგოს მოძებნა, ადამიანის აზროვნების კანონებისადმი ინტერესი. ყველაზე მეტად ცნობილი სოფისტი *პროტაგორა* (ჩვ.წ.აღ.-მდე 480-415 წ.) ამტკიცებდა: „ადამიანი ყველა საგნის საზომია“. სოფისტების წრიდან გამოსული *სოკრატე* (ჩვ.წ.აღ.-მდე 469-399) კი ამტკიცებდა, რომ არსებობს აბსოლუტური ჭეშმარიტებები, აბსოლუტური ეთიკური ფასეულობანი, მაგრამ ისინი მხოლოდ ღმერთის განკარგულებაშია. ადამიანის არსებობის და ცოდნის გონიერების საფუძვლად სოკრატეს მიაჩნია გონება.

ძველ ბერძენთა მედიცინას სახელი გაუთქვა ექიმმა *ჰიპოკრატემ* (ჩვ.წ.აღ.-მდე დაახ. 460-370 წ.). მისი შრომები გახდა საფუძველი მედიცინის შემდგომი განვითარებისათვის. ორგანიზმის მთლიანობა, ავადმყოფისადმი და მისი მკურნალობისადმი ინდივიდუალური მიდგომა — ესაა ჰიპოკრატეს პრინციპი. მან შექმნა მოძღვრება ავადმყოფობის მიზეზების *(ეთიოლოგია)*, პროგნოზის, ტემპერამენტების და სხვათა შესახებ. ჰიპოკრატე იყო ეთიკური ქცევის ცოცხალი ნიმუში. ითვლება რომ იგია ავტორი ძველი ბერძენი ექიმების კოდექსისა — „*ჰიპოკრატეს ფიცი*“. ეს კოდექსი გახდა საფუძველი ვალდებულებებისა, რომელთაც მრავალ ქვეყანაში იღებენ ექიმები საექიმო პრაქტიკის დასაწყისში.

ჩვ.წ.აღ.-მდე V საუკუნის ლიტერატურის ძირითადი ჟანრებია ტრაგედია და კომედია. ბერძნული კლასიკური *ტრაგედიის მამამთავარია ესქილე* (ჩვ.წ.აღ.-მდე 525-456 წ.). მან მეორე მთქმელი პირის შეყვანით დრამა გამოაცოცხლა, დინამიურობა მიანიჭა,

საინტერესო გაზადა. მის სახელთანაა დაკავშირებული დეკორაციის, ნიღბების გამოყენება. ესქილეს შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი მოტივია მოქალაქეთა ქველმოქმედების, პატრიოტიზმის ხოტბა (ტრაგედია „*შეკავკუული პრომეთე*“), ესქილეს ტრაგედიებში კიდევ ერთი მთავარი თემაა შურისძიების იდეა და ბედისწერის ფაქტორი, რაც ყველაზე ნათლად გამოხატულია ტრილოგიაში „*ორესტეა*“.

ბედისწერის თემას დიდი ადგილი აქვს დათმობილი მეორე დიდი ბერძენი ტრაგიკოსის *სოფოკლეს* (ჩვ.წ.აღ.-მდე 497-406 წ.) ტრაგედიებშიც, სადაც შესანიშნავადაა გადმოცემული ადამიანის თავისუფალი ნების დაპირისპირება ბედის უკუღმართობასთან. სოფოკლე ხაზს უსვამს ადამიანის უძლურებას, რადგანაც მისი ბედი ადრევეა გადაწყვეტილი. ყველაზე მეტად ცნობილია სოფოკლეს ტრაგედიები ლეგენდარულ მეფე *ოიდიპოსზე*.

ფსიქოლოგიური დრამის შემქმნელია *ევრიპიდე* (ჩვ.წ.აღ.-მდე დაახ. 480-406 წ.). მის ნაწარმოებებში ძირითადი კონფლიქტი – ესაა ბრძოლა ვნებასა და გონიერებას შორის, რაც ისევე შეუქცევადია, როგორც თვით ბედისწერა და რასაც ადამიანი დაღუპვამდე მიჰყავს („*მედეა*“ და „*ფედრა*“).

უდიდესი კომედიოგრაფი იყო *არისტოფანე* (ჩვ.წ.აღ.-მდე დაახლ. 445-385 წ.), რომელმაც *კომედიას* პოლიტიკური სიმძაფრე და ღვარძლი შესძინა („*მშვიდობა*“, „*ძმები*“, „*ლისისტრატე*“). არისტოფანე კომედიას იყენებდა პოლიტიკურ იარაღად: აკრიტიკებდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს, პოლიტიკას, ხელოვნებას, ყოველდღიურ კონფლიქტებს.

ჩვ.წ.აღ.-მდე V საუკუნეში აქტიურად ვითარდება ბერძნული *ისტორიოგრაფია*. ჯერ კიდევ ძველი ბერძნები უწოდებდნენ *ჰეროდოტეს* (ჩვ.წ.აღ.-მდე 484-430 წ.) „*ისტორიის მამას*“. ლოგოგრაფებისგან განსხვავებით, რომელთაც არ გააჩნდათ თხრობის აშკარად გამოხატული იდეა, მან დაწერა დასრულებული, შესანიშნავად ჩამოყალიბებული ნაწარმოები „*ისტორია*“, რომლის ძირითადი სიუჟეტი იყო ბერძენ-სპარსელთა ომები.

ანტიკური პერიოდის დიდი ისტორიკოსია *თუკიდიდე* (ჩვ.წ.აღ. 460-400 წ.). ნაშრომში „*პელოპონესის ომების ისტორიები*“, მან პირველად გამოიყენა მეცნიერულ-კრიტიკული მეთოდი, ეცადა აეხსნა მოვლენათა მიზეზობრივი კავშირები და ამით ხელი შეუწყო პოლიტიკური ცოდნის ამაღლებას.

ჩვ.წ.აღ.-მდე V საუკუნის *ხელოვნების* მთავარი ამოცანა იყო ძლიერი, ენერგიული, ღირსეული, სულიერად ამაღლებული ადამიანის,

სპარსელებთან ომში გამარჯვებული მეომრის, პოლისის თავისუფალი მოქალაქის გამოსახვა.

ამ პერიოდში აყვავებას მიაღწია *რეალისტურმა ქანდაკებამ*, რომელიც ძირითადად შესრულებული იყო მარმარილოსაგან (ღებავდნენ, როგორც არქაიკის პერიოდში) და ბრინჯაოსაგან. მონუმენტურობა, ჰარმონიისაკენ, პროპორციულობისა და იდეალური სახეების შექმნისკენ სწრაფვა დამახასიათებელია ჩვ.წ.აღ.-მდე V საუკუნის ცნობილ მოქანდაკეთა შემოქმედებისათვის, როგორიცაა *ფიდიასი* („*ათენა-ფრომარი*“, „*ათენა-პართენოსი*“ ათენის პართენონისათვის, „*ზევსი*“ ოლიმპოს ტაძრისათვის), *პირონე* („*ბაღროს მტყორცნელი*“), *პოლიკლიტე* (ჰერას სტატუა, შესრულებული ოქროსა და სპილოს ძვლისაგან, „*შუბის მტარებელი*“, „*დაჭრილი ამორძალი*“). სტატუეტების სახეებზე უკვე იწყებენ გრძნობების, შინაგანი სამყაროს ასახვას, თუმცა სკულპტურული სახის იდეალად ჯერ კიდევ რჩება „ოლიმპიური“ სიმშვიდე და სილამაზე.

შიშველი ჯანმრთელი სხეულის იდეალი ვრცელდება ცხოვრებაშიც – ბერძნები მისდევდნენ ტანვარჯიშს, დიდ ყურადღებას აქცევდნენ პირად ჰიგიენას, თმებს, იკეთებდნენ ვარცხნილობას და ა. შ. განსაკუთრებით ხშირად გამოსახავდნენ შეჯიბრებაში მონაწილე შიშველი ათლეტის სახეს. ქალებს კი ჩვ.წ.აღ.-მდე თითქმის IV საუკუნემდე სამოსით გამოსახავდნენ.

ჩვ.წ.აღ.-მდე V საუკუნის ბერძენ *ფერმწერთა* შორის უნდა აღინიშნოს *პოლიგნოტე* და *პოლიგნოდორე*, რომელსაც მიეწერება შუქ-ჩრდილების თამაშის აღმოჩენა, პერსპექტივის გამოყენება. სამწუხაროდ მათი ნაწარმოებები ჩვენამდე არ არის მოღწეული.

ამ პერიოდის ფერწერის ჩვენამდე მოღწეული *ძეგლია* – უძველესი *კაშური ფერწერა*, რომელიც აგრძელებს არქაული ეპოქის რეალისტურ ტრადიციებს.

ჩვ.წ.აღ.-მდე V ს.-ის დიდებაა *არქიტექტურული* შენებლობები საბერძნეთის თითქმის მთელ ტერიტორიაზე. იქმნება ახალი კომპლექსები, ბერძენ-სპარსელთა დამანგრეველი ომების შემდეგ აღადგენენ ქალაქებსა და ძეგლებს. კლასიკურ პერიოდში საბოლოოდ ჩამოყალიბდა დორიული და იონური ორდერები და გაჩნდა ახალი – უფრო საზეიმო იერის მქონე *კორინთული ორდერი*, რომლისთვისაც დამახასიათებელია ფოთლებითა და ხვეულებით მოკაზმული კაპიტელი.

ამ პერიოდში აყვავებას მიაღწიეს ძველბერძნულმა ქალაქებმა. ქალაქთა მშენებლობაში დამკვიდრდა რეგულარული დაგეგმარების სისტემა (ქალაქის დაყოფა სწორკუთხა ქუჩების ქსელით და

საცხოვრებელი კვარტალების გაშენება ერთნაირი სიმაღლის სახლებით), რაც დაკავშირებულია არქიტექტორ *ჰიპოდამე* მილეთელის სახელთან.

საზოგადოებრივი შენობის ძირითადი ტიპი კვლავინდებურად რჩებოდა ტაძარი. ჩვ.წ.აღ.-მდე V ს. I ნახევარში შეიქმნა *დორიული სტილის* უმნიშვნელოვანესი ძეგლები, უდიდესი ტაძრები ქალაქ პოსეიდონიაში (სამხრეთ იტალია), ზევსის ტაძარი ოლიმპიაში.

ანტიკური არქიტექტურის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ნაგებობათა კომპლექსს *ათენის აკროპოლისში*. იგი ჩვ.წ.აღ.-მდე 480 წელს სპარსელების მიერ იქნა დანგრეული, მაგრამ მისი ხელახალი მშენებლობა მთელი V საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა მოქანდაკე *ფიდიასის* მეთვალყურეობის ქვეშ. მშენებლობაში მონაწილეობას იღებდნენ იმ პერიოდის გამოჩენილი ხუროთმოძღვრები *იქტინე, კალიკრატე, მნესიკლე* და სხვანი. აკროპოლისის ანსამბლი ბერძნული არქიტექტურის მწვერვალი, ათენის უდიდესი აღზევებისა და ძლიერების სიმბოლოა. იგი მოიცავდა მთელ რიგ ნაგებობებს — *პროპილეონს* (საზეიმო ჭიშკარს), *ნიკე აპტეროსის* (უფრთო გამარჯვების) ტაძარს. აქვე აღმართული იყო მთავარი — ათენა *პართენონის* ტაძარი. დორიულ ფორმებში გადაწყვეტილ ამ არქიტექტურულ ძეგლში იგრძნობა იონური სტილის გავლენაც.

იმდროინდელი ათენის არქიტექტურაში მისი პოლიტიკური როლის ამაღლებასთან ერთად ჩნდება არქიტექტურის ერთიანი სტილი. ან ორივე სტილია შერწყმული ერთ ნაგებობაში, ან დორიული სტილის პროპორციებია შემსუბუქებული, რაც ნაგებობას დიდებულებას ანიჭებს. მშვენივრად მიგნებული პროპორციები, დეტალების ფაქიზი ძერწვა, არქიტექტურული და სკულპტურული წყობის შესანიშნავი შერწყმა — ყოველივე ეს აქცევს პანთეონს არა მხოლოდ ბერძნული, არამედ მსოფლიო არქიტექტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შედევრად.

პართენონის მახლობლად იონურ სტილში იყო აგებული ათენის აკროპოლისის მეორე დიდებული ტაძარი *ერეხთეიონი* ცნობილი *კარიატიდების პორტიკით.*

კულტურა ბერძნული პოლისის კრიზისის ეპოქაში

ჩვ.წ.აღ.-მდე IV საუკუნის საბერძნეთის ისტორია პოლისის კრიზისის ისტორიაა. ამ კრიზისის პირველი ნიშნები გამოვლინდა ჯერ კიდევ *პელოპონესის ომის* (ჩვ.წ.აღ.-მდე 431-404 წწ.) წლებში, რომელიც მიმდინარეობდა ათენსა და სპარტას შორის საბერძნეთში

ბატონობისათვის და ათენის დამარცხებით დასრულდა. ბერძნული პოლისის კრიზისი კანონზომიერი მოვლენა იყო. საგაჭრო-ფულადი ურთიერთობების განვითარებამ ხელი შეუწყო კერძო მესაკუთრეობის განვითარებას მიწაზე, რამაც განდევნა კერძო საკუთრების ანტიკური ფორმა — ქალაქ-სახელმწიფოს ეკონომიკური ბაზა. კრიზისის გამო პოლისის, როგორც მოქალაქეთა კოლექტივის, იდეოლოგიამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა. ვითარდება ინდივიდუალიზმი, სწრაფვა პირადი და არა საზოგადოებრივი კეთილდღეობისაკენ. ნელ-ნელა ქრება პატრიოტული სული, რომელმაც თავის დროს დიდი როლი შეასრულა სპარსელებზე გამარჯვებაში. მოქალაქეთა ლაშქრის ნაცვლად წარმოიშვა დაქირავებული ჯარი, რომელიც მზად იყო სამსახური გაეწია ნებისმიერისათვის, ვინც მეტ თანხას გადაუხდიდა. ჩვ.წ.აღ.-მდე IV საუკუნეში ცალკეული პოლისები ცდილობდნენ თავიანთი ძალაუფლება დაემყარებინათ საბერძნეთში, მაგრამ გამუდმებული ბრძოლების გამო მათ ამისთვის ძალა აღარ შესწევდათ. საბერძნეთის საქმეებში სულ უფრო მეტად ერეოდნენ სხვადასხვა ქვეყნები, კერძოდ სპარსეთი და მაკედონია. ჩვ.წ.აღ.-მდე 338 წ. ხერონიასთან ბრძოლის დროს საბერძნეთმა დაკარგა პოლიტიკური დამოუკიდებლობა და მაკედონიის მეფე ფილიპე II-ის ქვეშევრდომი გახდა.

პოლიტიკურმა კრიზისმა, ბერძნული პოლისების საზოგადოებრივი ცხოვრების დაცემამ ჩვ.წ.აღ.-მდე IV საუკუნეში ხელი შეუწყო იმ გარემოებებს, რომ ხალხი სულ უფრო და უფრო მეტად ჩაეფლო საკუთარ სურვილებსა და საჭიროებებში, ეძებდნენ პირად ბედნიერებას თვითსრულყოფილებაში.

ამ პერიოდში განსაკუთრებით პოპულარული იყო *კინიკური ფილოსოფიური სკოლა* და მისი წარმომადგენლები *ანტისთენე* (ჩვ.წ.აღ.-მდე 435-370) და *დიოგენე სინოპელი* (ჩვ.წ.აღ.-მდე 414-323 წ.). მათი აზრით, ადამიანის მთავარი მიზანია სიკეთის კეთება, რომელიც ბედნიერებისა და მცირედით კმაყოფილების თანხვედრია, რაც განაპირობებს დამოუკიდებლობას. თუმცაღა დამოუკიდებლობა კინიკებთან ნიშნავდა აგრეთვე კულტურის, ოჯახის, ქონების, სახელმწიფოს, საზოგადოებრივი დადგენილებების უარყოფას.

პოლისის კრიზისის ეპოქაში ცხოვრობდა ორი გამოჩენილი ფილოსოფოსი — პლატონი და არისტოტელე, რომლებმაც უდიდესი გავლენა იქონიეს ფილოსოფიის, აგრეთვე ქრისტიანული თეოლოგიის შემდგომ განვითარებაზე. *პლატონი* (ჩვ.წ.აღ.-მდე 429-348 წ.) იყო სოკრატეს მოსწავლე. მასწავლებლის გარდაცვალების შემდეგ მან ათენში დააარსა საკუთარი სკოლა-აკადემია. სოკრატეს აზრით,

ჭეშმარიტი ცოდნის მიღება შეიძლება მხოლოდ სათნოების შესახებ. განავითარა რა სოკრატეს მოძღვრება, პლატონი მიიჩნევდა, რომ შეიძლება ჭეშმარიტი ცოდნის მიღება არა მხოლოდ იმაზე, თუ რა ხდება სახელმწიფოში, არამედ იმაზეც, თუ რა ხდება ბუნებაში და ეს ცოდნა განსხვავებული არ არის ცალკეული ადამიანებისათვის როგორც სოფისტები ამტკიცებდნენ, არამედ ერთიანი და საერთოა ყველასათვის. არსებობს მხოლოდ ერთი და მარადიული ცოდნა და მის მოსაპოვებლად საჭიროა ე. წ. იდეათა სამყაროს შეცნობა. ეს სამყარო, მთელი ბუნება, ყველა ხილული საგანი არის მხოლოდ ასლი ან ანარეკლი იდეალური სამყაროსი, რომელიც უხილავია და არსებობს სადღაც ზეციურ სივრცეში.

ანიჭებდა რა დიდ მნიშვნელობას საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობას, პლატონი გვთავაზობდა რეფორმას დაცემისაკენ მიმართული პოლისის გადასარჩენად. სახელმწიფოს შესახებ მოძღვრების საფუძველია სამართლიანობის იდეა, იდეალური პოლიტიკური წყობის შექმნა. პლატონის სახელმწიფო შედგება მმართველთა ფენებისაგან (ფილოსოფოსები), მებრძოლებისა და ეგრეთწოდებული მესამე ფენის — გლეხთა, ხელოსანთა, ვაჭართა და სხვათაგან. თითოეულმა ფენამ უნდა აკეთოს თავისი საქმე და სრულყოფილადაც უნდა ფლობდეს მას. სამივე ფენის მოქმედების ჰარმონიული შერწყმა, პლატონის აზრით, სახელმწიფო წყობის საფუძველია.

არისტოტელე (ჩვ.წ.აღ.-მდე 384-322 წ.) პლატონის მოსწავლეა, რომელსაც სამართლიანად უწოდებდნენ ენციკლოპედისტს. ჩვენამდე მოღწეული ნაწარმოებები მიძღვნილია მეცნიერების სრულიად განსხვავებული დარგებისადმი, როგორიცაა: პოლიტიკა, ლოგიკა, ბიოლოგია, ფიზიკა, მექანიკა, ბოტანიკა, მათემატიკა და სხვა. არისტოტელეზე დიდი გავლენა იქონია არა მხოლოდ პლატონმა, არამედ ნატურფილოსოფოსებმა, განსაკუთრებით კი დემოკრიტემ. ადრინდელი ფილოსოფიის მიღწევები არისტოტელემ კრიტიკულად გადაამუშავა, გააღრმავა და სისტემაში მოიყვანა. არისტოტელეს სწავლებაში უმთავრესია ფორმისა და მატერიის ურთიერთკავშირი. განვითარების პროცესი გამოიხატება მატერიის ფორმირებისადმი სწრაფვაში. სწორედ ფორმა არის ის საწყისი, რომელიც განსაზღვრულობას აძლევს უფორმო და მკვდარ მატერიას. ფორმა ჩადებულია ყოველ მატერიაში და განაპირობებს მის განვითარებას, იგი მატერიისაგან განუყოფელია. არისტოტელემ დაამუშავა აგრეთვე მოძღვრება ცნების ბუნების, საგანთან მისი მიმართების, აზროვნების მეთოდების, ლოგიკის შესახებ. პლატონის მსგავსად, მასაც მიაჩნდა,

რომ ადამიანს თავისი თავის რეალიზაცია შეუძლია მხოლოდ საზოგადოებაში. ყველა ადამიანური ქცევის საბოლოო მიზნად იგი თვლიდა ბედნიერებას, რომელიც მდგომარეობს ადამიანის არსის განხორციელებაში ფორმის პრინციპის შესაბამისად. არისტოტელემ დიდი ზეგავლენა იქონია შუა საუკუნეების და ახალი დროის ფილოსოფიურ მიმდინარეობებზე. მის მოძღვრებას, სადაც იგი შეეცადა დემოკრიტეს და პლატონის შეხედულებების უძლიერესი მხარეების შერწყმას, ჰყავდა მიმდევრები როგორც მატერიალისტურ, ისე ობიექტურ — იდეალისტურ მიმდინარეობებში.

ჩვ.წ.აღ.-მდე IV ს.ს. ლიტერატურაში ტრაგედიამ დაკარგა ძალა, წამყვან ადგილს იკავებს პროზა, მნიშვნელოვნად იცვლება კომედია.

განვითარების უმაღლეს დონეს აღწევს *ორატორული ხელოვნება. ისოკრატეს* (ჩვ.წ.აღ.-მდე 436-338 წ.) და *დემოსთენეს* (ჩვ.წ.აღ.-მდე დაახლ. 384-322 წ.) გამოსვლები დიდხანს რჩებოდა ლიტერატურული ოსტატობის სწორუპოვარ ნიმუშად.

ჩვ.წ.აღ.-მდე IV საუკ. მნიშვნელოვანი ისტორიკოსი იყო *ქსენოფონტე* (ჩვ.წ.აღ.-მდე 430-354 წ.) მისი საუკეთესო ნაწარმოებები „*ანაბასისი*“ და „*ბერძენთა ისტორია*“, გამოირჩევა ენის სისადავით და გადმოცემის სიცხადით, თუმც თუკიდიდემდე ვერ ამაღლდა. მას ძირითადად აინტერესებდა უდიდესი პიროვნებები და არა მიზეზ-შედეგობრივი კავშირები.

ჩვ.წ.აღ.-მდე IV ს.ს. ბერძნული *არქიტექტურა* ავითარებდა რა წინა ასწლეულის მიღწევებს, გამოირჩევა მთელი რიგი თავისებურებებით. მასში ჭარბობს დეკორატიული საწყისები და ბერძნულ არქიტექტურულ სტილებს შორის ყველაზე რთული და დახვეწილი — *კორინთული* სტილი. გამოყენებულია ახალი კომპოზიციური ხერხები, კერძოდ, მრგვალი ფორმის ნაგებობები. პირველად დიდი ყურადღება ექცევა სანახაობრივი ნაგებობების — თეატრების მშენებლობას, რომელთაც აგებენ მკვრივი მასალისაგან — ქვისაგან. ასეთებია: *თეატრი ეპიდავრეში, დიონისეს თეატრი ათენში, მავზოლეუმი ჰალიკარნასში.*

პოლისის იდეოლოგიის კრიზისმა დიდი გავლენა იქონია ბერძნული *ქანდაკების* განვითარებაზე. მშვენიერი და კეთილშობილი მოქალაქის სათნოებით გამოწვეული აღფრთოვანება, რასაც გამოხატავდნენ ჩვ.წ.აღ.-მდე V საუკუნის ოსტატები, შეიცვალა ადამიანის პიროვნებისადმი ინტერესით. ჩვ.წ.აღ.-მდე IV საუკუნის განთქმული მოქანდაკეებია *პრაქსიტელე, სკოპასი* და *ლისიპე.*

პრაქსიტელემ (ჩვ.წ.აღ.-მდე დაახლ. 390-330 წ.) ღმერთების გამოსახულებები, რომლებიც განასაზიერებდნენ იდეალურ სილამაზეს, დატვირთა სრულიად სხვადასხვა ელფერის წმინდა ადამიანური განწყობილებებით. („*აფროდიტე კნიდელი*“, „*აპოლონი კლავს ხელიკს*“). სწორედ მან პირველმა გამოაქანდაკა შიშველი აფროდიტე.

პრაქსიტელესგან განსხვავებით, სადაც გადმოცემულია მსუბუქი, სასიამოვნო ემოციები, *სკოპასის* (ჩვ.წ.აღ.-მდე IV ს.-ის II ნახ.) ქანდაკებებში ღრმა გრძნობები, დრამატული სიტუაციაა წარმოდგენილი („*პრაკლე*“, „*ეკატბანალია*“ და სხვა).

ჩვ.წ.აღ.-მდე V საუკუნეში პოლიკლეტეს მიერ შემოღებული ადამიანის გამოსახვის კანონი ახლებურად გაიაზრა ლისიპემ (ჩვ.წ.აღ.-მდე დაახლ. IV ს.-ის II ნახ.) და შექმნა ადამიანთა სხეულები უფრო თხელი, დაგრძელებული პროპორციებით. იგი მიისწრაფოდა შეექმნა სიცოცხლის გამომხატველი სტატუეტები („ჰერაკლე“, „ჰერმესი“ და სხვა) და სკულპტურული პორტრეტები (სოკრატესი, ალექსანდრე მაკედონელისა და სხვათა), წინასწარ განჭვრეტდა რა ელინიზმის ეპოქის ძირითად მხატვრულ პრინციპებს.

ელინიზმის ეპოქის კულტურა

საბერძნეთის ისტორიის მნიშვნელოვანი ეტაპია ფილიპე II-ის შვილის *ალექსანდრე მაკედონელის* (ჩვ.წ.აღ.-მდე 356-323 წ.) ლაშქრობა აღმოსავლეთის ქვეყნებში და საბერძნეთის დაქვემდებარება. ლაშქრობის შედეგად (ჩვ.წ.აღ.-მდე 334-324 წ.) შეიქმნა უდიდესი იმპერია მდ. დუნაიდან მდ. ინდიმდე, ეგვიპტიდან დღევანდელ შუა აზიამდე. იწყება *ელინიზმის* ეპოქა, ბერძნული კულტურის გავრცელების ეპოქა ალექსანდრე მაკედონელის მიერ დაპყრობილ მთელ ტერიტორიაზე. ბერძნული და ადგილობრივი კულტურების ურთიერთგამდიდრებამ ხელი შეუწყო ერთიანი *ელინისტური კულტურის* ჩამოყალიბებას, რომელიც იმპერიის დაშლის შემდეგაც იქნა შენარჩუნებული მთელ რიგ ე.წ. ელინისტურ სახელმწიფოებში (პტოლემეოსის ეგვიპტე, სელევკიდების სახელმწიფო, პერგამოსის სახელმწიფო, ბაქტრია, პონტოს სამეფო და სხვა).

ელინიზმის ეპოქაში საგრძნობლად ჭრება კლასიკური ეპოქისათვის დამახასიათებელი ნაპრალი მეცნიერებასა და ტექნიკას, თეორიასა და პრაქტიკას შორის. ამ პერიოდის ტიპიური წარმომადგენელია განთქმული მეცნიერი *არქიმედე* (ჩვ.წ.აღ.-მდე 287-212). მან შექმნა უსასრულოდ დიდი რიცხვის ცნება, შემოიტანა ასო π (პი) წრეხაზის გამოსათვლელად, აღმოაჩინა ჰიდრავლიკის კანონი, რომელიც ცნობილია არქიმედეს კანონის სახელწოდებით, არის

თეორიული მექანიკის ფუძემდებელი და ა.შ. არქიმედეს უდიდესი დამსახურება მოუძღვის ტექნიკის განვითარებაში: შექმნა ხრახნული ტუმბო, ჭანჭიკი, მრავალი თავდაცვის იარაღი, საბრძოლო სატყორცნი მანქანების კონსტრუქცია.

ახალი ქალაქების მშენებლობამ, ზღვაოსნობის განვითარებამ, საომარი ტექნიკის წინსვლამ ხელი შეუწყო მათემატიკის, მექანიკის, ასტრონომიის, გეოგრაფიის აყვავებას. ელინიზმის ეპოქის სხვა ცნობილი მეცნიერები არიან: *ევკლიდე* (ჩვ.წ.აღ.-მდე III ს.), რომელმაც შექმნა ელემენტარული გეომეტრია, *ერატოსთენე* (ჩვ.წ.აღ.-მდე 276-194 წ.), რომელმაც საკმაოდ ზუსტად განსაზღვრა დედამიწის მერიდიანის სიგრძე და ამგვარად დაადგინა დედამიწის ჭეშმარიტი ზომები; *არისტარქე სამოსელი* (ჩვ.წ.აღ.-მდე IV ს.-ის ბოლო – III ს.-ის I ნახ.), რომელმაც დაამტკიცა დედამიწის ბრუნვა ღერძის ირგვლივ და მზის გარშემო, *ჰიპარქე ალექსანდრიელი* (ჩვ.წ.აღ.-მდე 180/190-125 წ.), რომელმაც დაადგინა მზის წელიწადის ზუსტი სიგრძე და გამოთვალა მანძილი დედამიწიდან მთვარემდე და მზემდე, *ჰერონ ალექსანდრიელი* (ჩვ.წ.აღ.-მდე დაახლ. I ს.), რომელმაც შექმნა ორთქლის ტურბინების წინასახე და სხვა.

წარმატებით ვითარდებოდა ბუნებისმეტყველება, განსაკუთრებით მედიცინა. ამ დარგში უდიდესი დამსახურება ეკუთვნით *ჰეროფილეს* (ჩვ.წ.აღ.-მდე დაახლ. 300 წ.) და *ერასისტრატეს* (ჩვ.წ.აღ.-მდე დაახლ. 300- დაახლ. 240 წ.), რომლებმაც აღმოაჩინეს ნერვული სისტემა, გამოიკვლიეს პულსის მნიშვნელობა, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს ტვინისა და გულის შესწავლაში. ბოტანიკის სფეროში უნდა აღინიშნოს არისტოტელეს მოსწავლის *თეოფრასტეს* (ჩვ.წ.აღ.-მდე 372-287 წ.) შრომები.

მეცნიერული ცოდნის განვითარება საჭიროებდა დაგროვილი ინფორმაციის სისტემატიზაციასა და შენახვას. მთელ რიგ ქალაქებში იქმნება *ბიბლიოთეკები*, მათ შორის ყველაზე ცნობილი – ალექსანდრიასა და პერგამოსში. ალექსანდრიის ბიბლიოთეკა მოიცავდა ძვლიონამდე პაპირუსის გრაგნილს. ყველა ხელნაწერი სისტემაში იყო მოყვანილი, ხოლო განსაკუთრებული განყოფილება ეწეოდა სხვადასხვა ქვეყნის ავტორთა უმნიშვნელოვანესი თხზულებების თარგმნას ბერძნულ ენაზე.

ალექსანდრიაში პტოლემეოსის სასახლეში დაარსდა ე. წ. *მუსეიონი (მუზების ტაძარი)*, ეს იყო სამეცნიერო ცენტრი, რომელსაც ჰქონდა კაბინეტები, კოლექციები, აუდიტორიები და აგრეთვე უფასო

საცხოვრებელი მეცნიერთათვის. მათემატიკოსმა *ევკლიდემ* აქ შექმნა თავისი მთავარი შრომა „*ელემენტები*“.

ელინიზმის ეპოქაში განვითარდა ცოდნის ახალი დარგი, რომელიც კლასიკურ პერიოდში პრაქტიკულად არ არსებობდა, ესაა *ფილოლოგია* ამ სიტყვის ფართო გაგებით: გრამატიკა, ტექსტის კრიტიკა, ლიტერატურული კრიტიკა და სხვა. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ალექსანდრიის სკოლას, რომლის უმთავრესი დამსახურება იყო ტექსტის კრიტიკული დამუშავება და ბერძნული ლიტერატურის ისეთ თვალსაჩინო ავტორთა კლასიკური ნაწარმოებების კომენტირება, როგორიცაა ჰომეროსი, ტრაგიკოსები, არისტოფანე და სხვა.

ელინიზმის ეპოქის ლიტერატურა, მართალია, უფრო მნიშვნელოვანი ხდება, მაინც მნიშვნელოვანწილად ჩამოუვარდება კლასიკურს. ეპოსი, ტრაგედია აგრძელებს არსებობას, მაგრამ იძენს უფრო მეტად განსჯის ხასიათს. წინა პლანზე დგას ერუდიცია, გამოთქმის სინატიფე და ვირტუოზულობა. *აპოლონიოს როდოსელმა* (ჩვ.წ.აღ.-მდე დაახლ. 295-215 წ.) ჰომეროსის მიბაძვით სცადა აეღორძინებინა ეპოსი, შექმნა დიდტანიანი ნაწარმოებები, რომელიც მიუძღვნა არგონავტების ლაშქრობას ოქროს საწმისის მოსაპოვებლად. *კალიმაქემ* (ჩვ.წ.აღ.-მდე დაახლ. 310 - დაახლ. 240) შექმნა ტრაგედიები, ეპიკური პოემები, ჰიმნები, ლირიული ხასიათის ლექსები და სხვ. მაგრამ ის უფრო მეტად იყო მეცნიერ-ფილოლოგი, ვიდრე პოეტი.

ელინისტურ მოქანდაკეთა სასახლეების ყოფამ, დიდი ქალაქების ცხოვრებამ დაბადა პოეზიის განსაკუთრებული სახეობა – *იდილია*. ამ ჟანრის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო *თეოკრიტე* (ჩვ.წ.აღ.-მდე IV ს.-ის დასასრ. – III ს.-ის I ნახ.), მის იდილიებში ბუნების ფონზე სოფლის ადამიანთა, მწყემსთა ცხოვრებაა ნაჩვენები. და თუ თეოკრიტეს პოეზიაში ჯერ კიდევ არ იგრძნობა სენტიმენტალობა, შემდგომში იდილია გარდაიქმნება მწყემსური ყოფის იდეალიზაციად და იქმნება *ბუკოლიკური პოეზია*.

პოლისის რღვევასთან ერთად ჩრება პოლიტიკური კომედია. მის ნაცვლად ვითარდება *რეალისტური ყოფითი კომედია*, რაც მშვენივრადაა წარმოდგენილი ათენელი *მენანდრეს* (ჩვ.წ.აღ.-მდე დაახლ. 343-291 წ.) შემოქმედებით. ელინისტურ ეპოქაში ფართო გავრცელება ჰპოვა *მიმებმა* – უბრალო მოქალაქეთა ცხოვრების ამსახველმა პატარა დრამატულმა სცენებმა, რომლის ყველაზე ცნობილი ავტორია *ჰეროდე*.

ელინისტური *ისტორიოგრაფია* სულ უფრო მეტად ემსგავსება ბელეტრისტიკას, ძირითადი ყურადღება ექცევა გადმოცემის

მიმზიდველობას, კომპოზიციის გამართულობას, სტილის სრულყოფილებას. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს *პოლიბიოსი* (ჩვ.წ.აღ.-მდე დაახლ. 200- დაახ. 120 წ.), რომელიც მიისწრაფოდა გაეგრძელებინა თუკიდიდეს ტრადიცია და პირველმა სცადა დაეწერა ერთიანი მსოფლიო ისტორია.

ელინიზმის ეპოქის *ფილოსოფიისათვის* დამახასიათებელი იყო მთელი რიგი თავისებურებები. მათ შორის უმნიშვნელოვანესია *ეკლექტიზმი* – სწრაფვა სხვადასხვა სკოლის ელემენტთა შერწყმისკენ და ერთიანი და თანმიმდევრული სისტემის შექმნის განუხორციელებლობა. გარდა ამისა, ფილოსოფიას ძირითადად ჰქონდა *ეთიკური* მიმართულება – უპირველესი ადგილი ეკავა მორალის, ნატურფილოსოფიის საკითხებს, გნოსეოლოგიური პრობლემები კი მეორეხარისხოვანი ხდება. პოლისის კრიზისს, მისი კოლექტიური მორალის დაქვეითებას მივყავართ ინდივიდუალიზმის სულ უფრო მეტად განვითარებისაკენ ელინისტურ ეპოქაში, ამასთან, არა მარტო ფილოსოფიაში, არამედ ლიტერატურაში, ხელოვნებაში. ეს ერთის მხრივ, გვაძლევს შესაძლებლობას გავიგოთ ცალკეული პიროვნების ღირსება, ხელს უწყობს მის თვითრეალიზაციას, აგრეთვე ამავე დროს მივყავართ აპოლიტიკურობისაკენ, სამოქალაქო ქველმოქმედების შესუსტებისკენ, რაც ესოდენ დაფასებული იყო კლასიკურ ეპოქაში. საბოლოოდ, ფილოსოფოსები განცალკევდებიან გარე სამყაროსაგან და დაკავებული არიან მხოლოდ პიროვნული სრულყოფილების საკითხებით. ელინისტური ეპოქისათვის ყველაზე ტიპიური იყო ორი სკოლა: სტოიციზმი და ეპიკურეიზმი.

ეპიკურეიზმის ფუძემდებელია ათენელი *ეპიკურე* (ჩვ.წ.აღ.-მდე 341-270 წ.), რომელიც ამტკიცებდა, რომ ადამიანის მიზანი უნდა იყოს პიროვნული ნეტარება, რომლის უმაღლეს ფორმად მიჩნეული იყო *ათარაქსია*, ანუ აულელვებლობა, სულიერი სიმშვიდე. ეპიკურეს აზრით, სულიერი სიმშვიდისათვის საჭიროა ადამიანის საგანთა ბუნების შესახებ ყველა ცრუ წარმოდგენის, ყოველივე მითოლოგიურისა და რელიგიურისაგან განთავისუფლება. ფილოსოფოსმა ათენში დააარსა ფილოსოფიური სკოლა, რომელიც განკუთვნილი იყო თანაცხოვრებისა და მოსწავლეთა ყოველდღიური სწავლებისათვის, სადაც მთავარი იყო არა ცოდნის მიღება, არამედ უკვე შეძენილი ცოდნის შემოწმება ერთობლივი თანაცხოვრებით.

მეორე სისტემა – *სტოიციზმი*, ჩამოაყალიბა ზენონმა (ჩვ.წ.აღ.-მდე დაახლ. 336–264 წ.) კიტიონში, კუნძულ კვიპროსზე. მისი აზრით, იდეალია – სურვილისა და ქცევების დამოუკიდებლობა

გრძნობებისაგან. ქცევის უმაღლეს ნორმად მიჩნეულია აპათია, გულგრილობა. ბრძენი უნდა დაექვემდებაროს მხოლოდ გონებას. ამ დროს ის შესაბამისობაში მოდის ბუნებასთან, ე. ი. მსოფლიო გონთან, რომელსაც სტოიკოსები აიგივებენ ცეცხლთან.

გვიანი ელინიზმის ფილოსოფიისათვის დამახასიათებელია კიდევ ერთი ნიშანი – რელიგიური გადახრა. სტოიკოსების მსოფლიო გონი უკვე თავისთავად მიუთითებს მის თეოლოგიურ ბუნებაზე. შემდგომში რელიგიური ტენდენციები სულ უფრო მკაფიოდ ჩნდებიან.

ელინიზმის ეპოქამ *რელიგიაში* მთელი რიგი სიახლეები შემოიტანა. ესაა *მონარქია კულტი* აღმოცენებული მეფის გაღმერთების ნიადაგზე, რაც დამახასიათებელია ძველი აღმოსავლეთის ზოგიერთი საზოგადოებისათვის. ბერძენ-მაკედონელ მონარქებს ეს კულტი საერთო ჰქონდათ. მბრძანებელი მონარქები და მათი ცოლები მიჩნეული იყვნენ ღმერთებად, მათ პატივსაცემად ტაძრებს აგებდნენ, თაყვანს სცემდნენ როგორც ღმერთებს. ელინიზმის რელიგიის მეორე მახასიათებელი ნიშანია – *ბედის კულტი*. მნიშვნელოვან მოდიფიცირებას განიცდის ძველბერძნული წარმოდგენა ადამიანზე საზოგადოებისა და ბუნების ბრმა ძალების ბატონობის შესახებ. ბედი იძენს შემთხვევის, წარმატების სახეს. მაგრამ ელინიზმის ეპოქის რელიგიისათვის ყველაზე ტიპურია *სინკრეტიზმი* – ბერძნული და აღმოსავლური რელიგიური წარმოდგენების განსხვავებული ელემენტების შერწყმა.

ელინიზმის კულტურის ფორმირებას უმეტესწილად ხელი შეუწყო *განათლების ბერძნული სისტემის გავრცელებამ*. მოსწავლეები პირველ ეტაპზე იძენდნენ წერის, კითხვის, ანგარიშის ჩვევებს, დაკავებული იყვნენ მუსიკითა და ტანვარჯიშით. განათლების შემდეგი ეტაპი ითვალისწინებდა ენების, მათემატიკური დისციპლინების, ასტრონომიის, მუსიკის თეორიის შესწავლას, აგრძელებდნენ სპორტში მეცადინეობას. განათლების უმაღლესი საფეხური იყო ფილოსოფიისა და რიტორიკის შესწავლა.

ელინიზმის ეპოქაში ბევრი *ახალი ქალაქის შენება*, აგრეთვე, ძველი ქალაქების დაგეგმარება ხორციელდებოდა განსაზღვრული სისტემით: ქალაქი გარშემორტყმული იყო მასიური კედლებით, რომელთა შიგნით განლაგდებოდა გადამკვეთი ქუჩები, სწორკუთხოვანი კვარტალები. ქალაქებში იზრდებოდა საზოგადოებრივი ნაგებობების რაოდენობა: შენდებოდა *ბულევტერიები* (ქალაქის საბჭოს შენობები), *პალესტრები* (სპორტული სკოლები), *გიმნასიები* (სასკოლო შენობები), სტადიონები, ბიბლიოთეკები, აბანოები და სხვა. ელინისტური სახელმწიფოების დედაქალაქებში შენდებოდა

სასახლეები. ფართოდ გამოიყენებოდა მოზაიკა შიდა ეზოებისა და იატაკის მოსაპირკეთებლად (როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივ ნაგებობებში). კედლებს ამკობდნენ ფერწერული ნახატებით, აპირკეთებდნენ ფერადი ქვებით, ხშირად მიმართავდნენ სიუჟეტურ ფერწერას.

ელინიზმის პერიოდში ჩნდება ისეთი სპეციფიკური ნაგებობები, როგორიცაა ცნობილი *ფაროსის შუქურა* ალექსანდრიაში და *ქართა კოშკი* ათენში.

ელინიზმის პერიოდში ადგილი აქვს იმ ტენდენციების განვითარებას, როგორიც შეიმჩნეოდა ბერძნულ *ქანდაკებაში* ჩვ.წ.აღ.-მდე IV საუკუნეში. ელინელი მოქანდაკეები დიდ ინტერესს იჩენდნენ პიროვნებისადმი, მისი ემოციებისადმი. ამ პერიოდის ქანდაკების მახასიათებელი თვისებებია: დინამიურობა, გამომსახველობა. აქტიურად ვითარდება ჟანრული მიმართულება. ჩამოყალიბდა ახალი სკოლები პერგამოსში, როდოსში, ალექსანდრიაში. იმდროინდელი მნიშვნელოვანი ქმნილებებია: პერგამოსში ზევსის საკურთხეველის რელიეფი, აფროდიტე კუნძულ მელოსიდან (*„ვენერა მელოსელი“*), *„ნიკე სამოთრაკიელი“*, სკულპტურული ჯგუფები *„ლაოკოონი“*, *„ფარნეზის ხარი“*, დემოსთენეს პორტრეტი.

ჩვ.წ.აღ.-მდე 290 წ. როდოსის მოსახლეობამ მაკედონიის მეფეზე ჩვ.წ.აღ.-მდე 304 წ. გამარჯვების აღსანიშნავად როდოსის პორტის შესასვლელთან აღმართა მზის ღმერთის – ჰელიოსის ბრინჯაოს ქანდაკება (35 მ) – *როდოსის კოლოსი*, რომელიც შემდეგ აღიარებული იქნა სამყაროს ერთ-ერთ საოცრებად *7 საოცრების შორის*. ღმერთის სახე და გვირგვინი მოოქროვილი იყო. 58 წლის შემდეგ იგი მიწისძვრამ დაანგრია.

ძირითადი ტერმინები და ცნებები

აგორა
აკროპოლისი
ანტიკური
არქაული პერიოდი
ათარაქსია
ვოლუტები
გიმნასია
ჰომეროსის პერიოდი
ბერძენ-სპარსეთის ომები
დორიული ორდერი
ატიკური ლარნაკი
ბიბლიოთეკა
ბულევტერიები
ლარნაკის მოხატვა
დიდი კოლონიზაცია
კორინთული ლარნაკები
კორინთული ორდერი
კოტურნი
კუროსი
ნიღაბი

ძველბერძნული მითები
იდილია
იონური ორდერი
ისთმური თამაშობანი
კაპიტელი
კარიატიდა
კინიკელები
კლასიკური პერიოდი
კომედია
კორა
ოლიმპიელები
ორქესტრა
პალესტრა
პოლისი
სინკრეტიზმი
სკენა
სოფიზმი
სტოიციზმი
ელინიზმი
ეპიკურეიზმი

ღმერთები და გმირები

ჰადესი
აპოლონი
არესი
არტემიდა
ათენა
აფროდიტე
ჰერა
ჰერაკლე
ჰერმესი
ჰეფესტო
გეა
დემეტრა
დიონისე
დრიადები
ზევსი
ნიმფები
ოდისევსი
ორესტე
სატირები
ტარტაროზი
ტიტანები
ურანოსი
ქაოსი

კითხვები გამეორებისათვის

1. რა ეტაპებს გამოყოფენ ძველი საბერძნეთის ისტორიაში, რაში მდგომარეობს მათი ძირითადი თავისებურებები?
2. დაასახელეთ ლიტერატურის, არქიტექტურის, სკულპტურის გამოჩენილი მოღვაწეები, რომლებმაც სახელი გაუთქვეს საბერძნეთს. დაახასიათეთ მათი ძირითადი ნაწარმოებები.
3. რაში გამოიხატება მეცნიერებისა და ფილოსოფიის მიღწევები, დაასახელეთ ამ სფეროს გამოჩენილი წარმომადგენლები.

თავი 5

ძველი რომის კულტურა



კოლიზეუმი, გრანდიოზული ოვალური ამფითეატრი, განკუთვნილი პირველ რიგში გლადიატორთა ორთაბრძოლებისა და სხვა შეჯიბრებებისთვის.

ეტრუსკული სახელმწიფოები, რომლებიც აღმოცენდნენ ჩვ.წ.აღ.-მდე IV საუკუნეში შედარებით მცირე ხნის განმავლობაში არსებობდნენ. უკვე II-I საუკუნეებში ჩვ.წ.აღ.-მდე მათი უმრავლესობა დაპყრობილი იქნა რომის მიერ. ამ დროიდან ანტიკური კულტურის ცენტრად ითვლებოდა თანამედროვე იტალიის ტერიტორია.

ეტრუსკული კულტურა

აპენინის ნახევარკუნძულის ტერიტორიაზე უძველესად ითვლება *ეტრუსკების ცივილიზაცია*. ჩვ.წ.აღ.-მდე I ათასწლეულში შუა და ჩრდილოეთ იტალიის ტერიტორიაზე ეტრუსკებმა შექმნეს ქალაქ-სახელმწიფოების ფედერაცია. ქვის კედლები და შენობები, ქუჩების მკაფიო დაგეგმარება, რომლებიც სწორ კუთხედ გადაიკვეთებოდნენ და ორიენტირებული იყვნენ სინათლის მხარეს — მათი ქალაქების მახასიათებელი ნიშანი იყო. ეტრუსკებმა პირველებმა დაიწყეს გუმბათოვანი ნაგებობების შენება, რომლებსაც აგებდნენ სოლისებური კოჭებით.

არქეოლოგიურმა გათხრებმა მეცნიერებს საშუალება მისცა აღმოეჩინათ ეტრუსკების მრავალრიცხოვანი კულტურის ძეგლები: სამარხები, დამშვენებული ყოველდღიური ცხოვრების სცენებისა და რელიგიური მოტივების ამსახველი მრავალფერადი მოხატულობით. ეტრუსკებმა აითვისეს ქვის, ლითონის, ტერაკოტის დამუშავების ხელოვნება. მაღალ დონეს მიაღწია კერამიკის დამუშავებამ. ესაა გამოწვის შედეგად „გაშავებული“ და ჭიქურით დაფარული ჭურჭელი, რომელიც ქმნიდა ლითონის ნაკეთობათა იმიტაციას. ეტრუსკების სახვითი ხელოვნებისთვის დამახასიათებელი იყო რეალიზმი — ადამიანის ყველაზე მნიშვნელოვანი არსებითი მხარეების გამოსახვისაკენ სწრაფვა. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია ამ ეპოქის სკულპტურულ პორტრეტებში, რომელთათვისაც სრულიად უცხოა იდეალიზაცია. სწორედ ეტრუსკების გავლენის წყალობით მიაღწია შემდგომში *რომაულმა პორტრეტმა* ასეთ სრულყოფილებას.

გათხრების შედეგად ნაპოვნი იქნა აგრეთვე დაახლოებით 10 ათასი წარწერა, თუმცაღა ეტრუსკების ენა, რამდენიმე სიტყვის გამოკლებით, დღემდე არ არის გაშიფრული.

ქურუმები აწყობდნენ მკითხაობის განსაკუთრებულ რიტუალებს: შესაწირი ცხოველების ღვიძლზე, ფრინველების ფრენაზე, ელვის

დარტყმის მიმართულებაზე და სხვა[1]. ღმერთების პანთეონი ძირითადად შეესაბამებოდა ბერძნულს, მაგრამ ეტრუსკები ეთაყვანებოდნენ აგრეთვე მრავალ კეთილ და ბოროტ დემონს.მთავარი ღვთაება იყო *ვოლტუმნა*, რომელიც იღებდა დემონის, ან მეომრის სახეს.

ეტრუსკების თვითმყოფად კულტურაზე დიდი გავლენა იქონიეს ბერძნებმა, რომლებიც გამოჩნდნენ *დიდი კოლონიზაციის* (VIII-VI საუკუნეში ჩვ.წ.აღ.-მდე) დროს. ეტრუსკები ბაძავდნენ მათ კერამიკის ფორმებსა და ორნამენტებში, აგებდნენ ტაძრებს ბერძნების მსგავსად, ეტრუსკული ღვთაებები სულ უფრო და უფრო მეტად იძენდნენ ბერძნულ ფუნქციებსა და ხასიათს, ეტრუსკებმა აითვისეს ბერძნული მითოლოგიის სახეები, ჰომეროსის ეპოსი. თავის მხრივ ეტრუსკებმა გავლენა იქონიეს იტალიის მეზობელ ხალხებზე, კერძოდ, რომაელებზე: ეტრუსკული კულტურის გავლენა იგრძნობა არქიტექტურაზე, სკულპტურაზე, ძველ რომაულ რელიგიაზე.

რომის კულტურა სამეფო პერიოდში

ტრადიციულად რომის ისტორიის დასაწყისად მიიჩნევა 753 წ. ჩვ.წ.აღ.-მდე — ქალაქის დაარსების დრო. პირველი *სამეფო პერიოდი* მოიცავს VIII-VI სს. ჩვ.წ.აღ.-მდე. მისი დასრულების შემდეგ რომი ჩამოყალიბდა როგორც ბერძნული ტიპის ქალაქი-სახელმწიფო. გადმოცემით რომში მეფობდა შვიდი მეფე, რომელთაგან სამი უკანასკნელი ეტრუსკული წარმოშობის იყო. მათ დროს ქალაქს გარსშემოერტყა ქვის კედელი, გაიყვანეს *კანალიზაცია*, აშენდა პირველი *ცირკი* გლადიატორთა თამაშებისთვის. რომაელებმა ეტრუსკებისგან მემკვიდრეობით მიიღეს სამშენებლო და ხელოსნური ტექნიკა, დამწერლობა, ე.წ. *რომაული ციფრები*, მკითხაობა ფრინველთა ფრენისა და ცხოველების შიგნეულობის მიხედვით. გადმოღებული იყო აგრეთვე რომაელთა ჩაცმულობა — *ტოგა*, სახლის არქიტექტურა *ატრიით* — შიდა ჩაკეტილი ეზოთი განათების ღიობით და სხვ.

ადრეული რომაული რელიგია იყო *ანიმისტური*, ე.ი. აღიარებდა ყოველისშემძლე სულების არსებობას, მასვე ახასიათებდა ტოტემიზმის ელემენტებიც, რაც გამოხატული იყო კერძოდ, *კაპიტოლიუმის ძუ მგლის* პატივისცემაში, რომელმაც გამოკვება *ძმები რომული და რემი* — ქალაქის დამაარსებლები. თუმცა ეტრუსკების გავლენით, რომლებსაც ბერძნების მსგავსად ღმერთები ადამიანური სახით ჰყავდათ წარმოდგენილი, რომაელები გადავიდნენ

[1] ეტრუსკული ჰარუსპიკების სწავლება გადმოცემული იყო წმინდა წიგნებში, რომელიც ეძღვნებოდა შესაწირი ცხოველის შიგნეულობის დათვალიერების ხელოვნებას, ნიშანთა შესწავლასა და სხვა.

ანტროპომორფიზმზე[1]. რომში პირველი ტაძარი — *იუპიტერის ტაძარი* კაპიტოლიუმის ბორცვზე — აიგო ეტრუსკელი ოსტატების მიერ.

რომის კულტურა რესპუბლიკის პერიოდში

გადმოცემით ეტრუსკების ბატონობა რომში დამთავრდა 510 წელს ჩვ.წ.აღ.-მდე — ამბოხებულმა ხალხმა დააშხო უკანასკნელი მეფე *ამყო ტარკვინიუსი* (534/533-510/509 წწ. ჩვ.წ.აღ.-მდე). რომი ხდება არისტოკრატული მონათმფლობელური რესპუბლიკა. ადრეული რესპუბლიკის პერიოდი მოიცავს VI-III საუკუნეებს ჩვ.წ.აღ.-მდე, ამ დროს რომი ახერხებს დაიქვემდებაროს აპენინის ნახევარკუნძულის მთელი ტერიტორია.

ადრერომაული კულტურის განვითარებაში დიდი როლი ითამაშა სამხრეთ იტალიის ბერძნული ქალაქების დაპყრობამ, რამაც დააჩქარა რომაელების უფრო დიდ, ბერძნულ კულტურასთან დაახლოება. ჩვ.წ.აღ.-მდე IV საუკუნეში რომაული საზოგადოების მაღალ ფენებში ვრცელდება ბერძნული ენა, ზოგიერთი ბერძნული წეს-ჩვეულება, კერძოდ წვერის გაპარსვა და თმის მოკლედ შეჭრა. ამავე პერიოდში ხდება ძველი ეტრუსკული ანბანის შეცვლა ბერძნულით, რომელიც უფრო მეტად შეესაბამებოდა ლათინური ბგერების ჟღერადობას. ამავდროულად შემოდის სპილენძის მონეტა ბერძნული ნიმუშის მსგავსად.

სამოქალაქო ერთობის, რესპუბლიკური წყობის ჩამოყალიბებას უკავშირდება *ორატორული ხელოვნების* ჩამოყალიბება. სენატორების სენატში, ხოლო თანამდებობის პირების *კომიციებში* (სახალხო კრებებზე) გამოსვლა მოითხოვდა მსმენელის დარწმუნების დიდ ცოდნასა და ხელოვნებას.

ჩვ.წ.აღ.-მდე IV საუკუნეს მიეკუთვნება რომში *თეატრის* ალმოცენება — ეტრუსკების მსგავსად შემოღებული იყო სცენური თამაშები პროფესიონალი მსახიობების შესრულებით.

რომაული რესპუბლიკის შემდგომი განვითარება მიმდინარეობდა ჩვ.წ.აღ.-მდე III-I საუკუნეებში. ჩვ.წ.აღ.-მდე III საუკუნის 60-იანი წლებიდან რომი აწარმოებდა მუდმივ ომებს მთელს ხმელთაშუაზღვის-პირეთზე ბატონობისათვის. ამ ბრძოლების გადამწყვეტი ეტაპები იყო

[1] ანტროპომორფიზმი — (ბერძნ. antropos — ადამიანი, morhe — სახეობა) — ადამიანს მიმსგავსება, როდესაც ნივთებს, ბუნებრივ მოვლენებს, ცხოველებს, ციურ სხეულებს მინიჭებული აქვთ ადამიანური ფსიქიკური თვისებები.

კართაგენის (რომის მთავარი მოწინააღმდეგის) დანგრევა და საბერძნეთისა და მაკედონიის გადაქცევა რომის პროვინციებად[1].

ჩვ.წ.აღ.-მდე II საუკუნის შუაწლებში რომი ყალიბდება ხმელთაშუაზღვისპირეთის მძლავრ სახელმწიფოდ, მაგრამ სწორედ ამ პერიოდში სახელმწიფოში იცვლება შიდაპოლიტიკური ვითარება — იწყება სამოქალაქო ომები, რომელმაც გამოიწვია რესპუბლიკის დაცემა. დროებითი *სამხედრო დიქტატურა* (მაგალითად, *სულას* (138-78 ჩვ.წ.აღ.-მდე) ან *ცეზარის* (102 ან 100-44 წწ. ჩვ.წ.აღ.-მდე) ჩვ.წ.აღ. I საუკუნის ბოლოს იცვლება *პრინციპატით* — რესპუბლიკის გარსში გახვეული მემკვიდრეობითი დიქტატურით.

გვიანი რესპუბლიკური ეპოქის რომის კულტურა წარმოადგენდა მრავალი საწყისის გაერთიანებას (ეტრუსკების, ძველრომაულის, იტალიურის, ბერძნულის), რამაც განაპირობა მისი *ეკლექტიზმი*.

ჩვ.წ.აღ.-მდე III საუკუნის დასაწყისიდან რომაულ რელიგიაზე განსაკუთრებული ზემოქმედება იქონია ბერძნულმა. რომაული ღმერთები გაიგივებულია ბერძნულთან: *იუპიტერი* — ზევსთან, *ნეპტუნი* — პოსეიდონთან, *პლუტონი* — ჰადესთან, *მარსი* — არესთან, *იუნონა* — ჰერასთან, *მინერვა* — ათენასთან, *ცერერა* — დემეტრასთან, *ვენერა* — აფროდიტესთან, *ვულკანი* — ჰეფესტოსთან, *მერკური* — ჰერმესთან, *დიანა* — არტემიდესთან და სხვა. აპოლონის კულტი გადმოღებულია ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ.-მდე V საუკუნეში, მისი ანალოგი რომის რელიგიაში არ იყო. ერთ-ერთი ყველაზე პატივსაცემი წმინდა იტალიური ღვთაება იყო *იანუსი*, გამოხატული ორი სახით, როგორც ღვთაება ყველაფრის საწყისისა, შესასვლელისა და გასასვლელისა. ძველი იტალიური წარმოშობის იყვნენ სახლის ღმერთები — *ლარები*, *გენები*, *პენატები*. ღმერთებში რომაელები ახდენდნენ ბუნებრივი და საზოგადო მოვლენების, აგრეთვე აბსტრაქტული ცნებების პერსონიფიცირებას: *ფორტუნა* (წარმატება), *ვიქტორია* (გამარჯვება). აღსანიშნავია, რომ რომის პანთეონი არასდროს არ ყოფილა ჩაკეტილი, მის შემადგენლობაში იღებდნენ უცხოური წარმოშობის ღმერთებს, ითვლებოდა, რომ ახალი ღმერთები რომაელებს სიძლიერეს მატებდნენ.

ბერძნულმა ლიტერატურამ, იტალიური ხალხური შემოქმედების მსგავსად, დიდი ზემოქმედება მოახდინა რომაული ლიტერატურის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე. პირველი ლათინურენოვანი ნაწარმოებები ბერძნულიდან იყო თარგმნილი. პირველი რომაელი

[1] რომსა და კართაგენს შორის შერკინება გავლენის სფეროთა გადასანაწილებლად გადაიზარდა *პუნიკურ ომებში*.

პოეტი იყო თავისუფლებამოპოვებული ბერძენი მონა *ლივიუს ანდრონიკუსი*, რომელმაც ლათინურზე თარგმნა ბერძნული ტრაგედიები და კომედიები, ჰომეროსის „*ოდისეა*“. მისი თარგმანები ძალიან თავისუფლად იყო შესრულებული, მათში დამატებული იყო ახალი ნაწყვეტები, შეცვლილი იყო სახელები და სხვა. ლივიუს ანდრონიკუსი კომპოზიტორიც იყო და თან ხელმძღვანელობდა საკულტო საგუნდო სიმღერების შესრულებას.

იმ დროის უდიდესი რომაელი მწერალი იყო *პლაუტუსი* (ჩვ.წ.აღ.-მდე III საუკუნის შუა – ჩვ.წ.აღ. 184წ): მას მიაწერდნენ 130 კომედიის შექმნას, რომელთაგან ჩვენამდე მოაღწია 20-მა. მის კომედიებში ასახვა ჰპოვა რომაულმა რეალობამ, თუმცა გმირები ბერძნულ სახელებს ატარებენ, ხოლო მოქმედებები მიმდინარეობს ბერძნულ ქალაქებში. პლაუტუსის კომედიები იყო პირველი პიესები მკვეთრი რომაული იუმორითა და ენაწყლიანი ლათინურით.

რამდენადმე მოგვიანებით წერდა თავის კომედიებს *ტერენტიუსი* (დაახ. 195-159 ჩვ.წ.აღ.-მდე), რომელიც პლაუტუსისგან განსხვავებით ცდილობდა არ გამოეყენებინა რომაული სიუჟეტები და შემოსაზღვრულიყო ბერძენი ავტორების, განსაკუთრებით მენანდრას მონაყოლით. ბერძნულმა ტრაგედიამ თავისი ტრაგიკული იდეებითა და გარდაუვალი ბედისწერით რომაელებში ვერ ჰპოვა გამოხმაურება, რადგან ისინი ცხოვრების განსაზღვრული ნორმების წესით ცხოვრობდნენ. რომაული ტრაგედია ყოველთვის იყო მიმბაძველი, სუსტად დაკავშირებული არსებულ რეალურ სინამდვილესთან. რომაულ ტრაგედიებში შნიშვნელოვან როლს ასრულებდა გუნდი, რომელმაც შემდგომ სოლო სიმღერას დაუთმო ასპარეზი.

ჩვ.წ.აღ.-მდე I საუკუნეში ახალ, უფრო მაღალ საფეხურს მიაღწია რომაულმა პოეზიამ. იმ დროის მრავალრიცხოვან პოეტებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ლუკრეციუსსა და კატულუსს. *ლუკრეციუსს* (ჩვ.წ.აღ.-მდე I საუკუნის I ნახ.) ეკუთვნის ფილოსოფიური პოემა „*საგანთა ბუნებისათვის*“, რომელშიც გადმოცემულია ეპიკურეს სწავლებანი. *კატულუსი* (დაახ. 87-54 ჩვ.წ.აღ.-მდე) იყო ლირიკული პოეზიის ოსტატი, მის კალამს ეკუთვნის მომცრო ლექსები, რომლებშიც ასახულია სხვადასხვა ადამიანური გრძნობები.

ლათინურ ენაზე პირველი პროზაული ნაწარმოები იყო *კატონ უფროსის* (234-149 ჩვ.წ.აღ.-მდე) შრომა „*სოფლის მეურნეობის შესახებ*“. შემდეგ კატონმა ლათინურ ენაზე დაწერა რომის ისტორია.

ყველაზე გამოჩენილი მწერლები, გვიანი რესპუბლიკის პერიოდის პროზის ოსტატები იყვნენ ვარონი და ციცერონი. *ვარონის* (116-27 ჩვ.წ.აღ.-მდე) მთავარი ნაწარმოები „*სერო და საღვთო საქმეთა სიძველენი*“ თავისებური ისტორიული, გეოგრაფიული და რელიგიური ენციკლოპედიაა. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე მრავალრიცხოვანი გრამატიკული, ისტორიულ-ლიტერატურული ნაწარმოებები, ცნობილ მოქალაქეთა ბიოგრაფიები, ფილოსოფიური ნაწარმოებები.

ციცერონი (106-43 ჩვ.წ.აღ.-მდე) იყო გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, უბადლო ორატორი, იურისტი, ფილოსოფიის მცოდნე, შესანიშნავი მწერალი. თავის ფილოსოფიურ ნაწარმოებებში ის ისწრაფოდა რომაელებისთვის მშობლიურ ენაზე გაეცნო ბერძნული ფილოსოფიის ფასეულობები. ის ცდილობდა რიტორიკა დაეკავშირებინა ფილოსოფიასთან, რათა ჩაეცნებინა სახელმწიფო სამსახურში. ყველა შემდგომ თაობებს ციცერონის კლასიკური პროზა მიუწვდომელ ნიმუშად ესახურებოდა.

რომაული *ისტორიოგრაფია* პირველ რიგში ემსახურებოდა პოლიტიკური პროპაგანდის მიზნებს, რომის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განმარტებასა და გამართლებას. რესპუბლიკის პერიოდში ისტორიოგრაფიის განვითარებაში უდიდესი წვლილი მიუძღვით *სალიუსტიუსს* (86-დან 35 ჩვ.წ.აღ.-მდე) – „*კატილინის შეთქმულება*“, „*იუგურტის ომი*“ და დიდ მხედართმთავარს, დიქტატორ *იულიუს გაიუს ცეზარს* (102 ან 100-44 ჩვ.წ.აღ.-მდე) „*გალიის ომის ჩანაწერებს*“.

ბერძნული კულტურის გავლენა აისახებოდა რომის *ფილოსოფიის* განვითარებაში – განსაკუთრებით გავრცელებული იყო ეპიკურელთა სწავლება. რომში არ იყო შექმნილი დამოუკიდებელი ფილოსოფიური სისტემები.

რომაულმა *არქიტექტურამ* ეტრუსკულის და განსაკუთრებით ბერძნულის ძლიერი გავლენა განიცადა. თავიანთ ნაგებობებში რომაელები ცდილობდნენ ხაზი გაესვათ ძალის, ძალაუფლების, სიდიადესთვის, რაც თრგუნავდა ადამიანს. მათი ნაგებობებისთვის დამახასიათებელი იყო მონუმენტურობა, შენობების მდიდრული გაფორმება, უამრავი სამკაული, სწრაფვა მკაცრი სიმეტრიისაკენ, არქიტექტურის უტილიტარული მხარეებისადმი ინტერესი, უპირატესობას ანიჭებდნენ არა სატაძრო კომპლექსების შექმნას, არამედ პრაქტიკული საჭიროების შენობებსა და ნაგებობებს.

რომაელმა არქიტექტორებმა გამოიმუშავეს ახალი კონსტრუქციული პრინციპები, კერძოდ, ფართოდ იყენებდნენ თაღებს, გუმბათებს, კოლონების გვერდით გამოყენებული იყო ბოძები და პილიასტრები. ჩვ.წ.აღ.-მდე II-I საუკუნეებში ფართოდ დაიწყეს ბეტონის, თაღოვანი კონსტრუქციების გამოყენება. ჩნდება ახალი ტიპის შენობები, მაგალითად, *ბაზილიკა*, სადაც წარმოებდა სავაჭრო გარიგებები და ტარდებოდა სასამართლო, *ამფითეატრები*, სადაც ეწყობოდა გლადიატორთა ბრძოლები, *ცირკები* – სადაც მიმდინარეობდა ეტლებით შეჯიბრებები, *თერმები* – საბაზანო ნაგებობების რთული კომპლექსი, ბიბლიოთეკები, პარკებით გარშემორტყმული სათამაშო, სასეირნო ადგილები. აღმოცენდა მონუმენტური ნაგებობის ახალი ტიპი – *ტრიუმფალური თაღი*. თაღოვანი მშენებლობის ტექნიკის დახვეწამ, ხელი შეუწყო *აკვედუკების*, *ბიდების* მშენებლობის ფართო გაერცელებას.

საბერძნეთისა და ელინური სახელმწიფოების დაპყრობებს თან ახლდა ქალაქების ძარცვა. მონებთან და სხვადასხვა სახის მატერიალურ ფასეულობებთან ერთად რომში გაჰქონდათ დიდი რაოდენობით ბერძნული ქანდაკებები და ნახატები. ასე იქნა რომში გატანილი სკოპასის, პრაქსიტელის, ლისიპის, აპელესის და სხვა გამოჩენილ ბერძენ ოსტატთა ნამუშევრები. კოლექციონერობით გატაცებამ, სამკაულებისადმი სიყვარულმა და უბრალოდ სნობიზმმა გადააქცივს რომი ბერძნული ხელოვნების მუზეუმად. მიუხედავად საბერძნეთიდან შემოტანილი ორიგინალების სიუხვისა, ჩნდება დიდი მოთხოვნა ცნობილი ქანდაკებების ასლებზე.

ბერძნული შედევრების დიდი მოზღვავება და ასლების მასობრივი დამზადება ამუხრუჭებდა თვით რომაული სკულპტურის ავვაევებას. მხოლოდ *რეალისტური პორტრეტის* სფეროში, სადაც გამოყენებული იყო ეტრუსკული ტრადიციები, შეძლეს რომაელებმა თავიანთი წვლილის შეტანა სკულპტურის განვითარებაში. სწორედ *პორტრეტულ ქანდაკებებს* ენიჭებათ დომინირებული მნიშვნელობა და სწორედ მათში გამოვლინდა რომაული ხელოვნების თავისებურებები. რომაელების მიერ შექმნილი იყო „*ტოგატუს*“-ის ტიპის ქანდაკებები, რომელზეც ორატორი გამოხატული იყო ტოგაში[1] და ისეთი სკულპტურული ფორმა, როგორიცაა პორტრეტული სკულპტურული ბიუსტები, გამორჩეული პირქუში უბრალოებითა და სახეების

[1] ტოგა (ლათ. toga – გადასაფარებელი) მამაკაცის ზედა მოსასხამი, თეთრი შალისაგან დამზადებული. სავარაუდოდ ეტრუსკული წარმოშობისაა. არსებობდა რამდენიმე სახის ტოგა.

მართალი გამოსახვით. ეს იყო გმირების კულტის დრო: საზოგადოების თავშეყრის ყველა ადგილზე აღმართული იყო მმართველების, მხედართმთავრების, ფილოსოფოსების ქანდაკებები და ბიუსტები. ჩვ.წ.აღ.-მდე II-I საუკუნეებში შეიქმნა ისეთი შესანიშნავი ნამუშევრები, როგორიცაა „*ბრუტი*“, „*ორატორი*“, ციცერონისა და ცეზარის ბიუსტები.

რომაელთა აზროვნების მახასიათებელი ნიშანი იყო პრაქტიკულობა, გამოყენებითი მეცნიერებების სიყვარული. ასე მაგალითად: რომში უმაღლეს დონეს მიაღწია აგრონომიამ (ცნობილია კატონისა და ვარონის სასოფლო-სამეურნეო ტრაქტატები). რომაელმა არქიტექტორმა *ვიტრუვიუსმა* (ჩვ.წ.აღ.-მდე I საუკუნის მეორე ნახევარი) დაწერა ტრაქტატი „*არქიტექტურის შესახებ*“.

რომში ჩნდება *რიტორიკის* სახელმძღვანელო, სადაც ჩამოყალიბებული იყო ორატორული ხელოვნების ძირითადი წესები, რომლის განვითარებაშიც დიდი წვლილი მიუძღვის *ციცერონს*.

დიდად განვითარდა *იურისპრუდენცია* – მეცნიერება სამართლის შესახებ. ძველი რომის ერთ-ერთ უდიდეს მიღწევად ითვლება – რომაული სამართალი. რომაული სამართლის უძველესი წერილობითი ფიქსაციაა 12 ცხრილის კანონი (451-450 ჩვ.წ.აღ.-მდე). ეს კანონი გამოტანილი იქნა ფორუმზე, თუმცა ფილა მისი ტექსტით ჩვ.წ.აღ.-მდე 387 წ. განადგურებულ იქნა, როდესაც რომს თავს დაესხნენ გალები. პირველი სამართლებრივი გამოკვლევები გამოჩნდა ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ.-მდე II ს., ხოლო ჩვ.წ.აღ.-მდე I საუკუნეში უკვე არსებობდა ვრცელი იურიდიული ლიტერატურა. უდიდესი იურისტები იყვნენ *სალვიუს იულიანი*, *გაიუს ჰაბინიანი*, *ულპიანი*, *პაულე*.

რომის კულტურა იმპერიის პერიოდში

ჩვ.წ.აღ.-მდე 31 წლიდან რომის ისტორიაში იწყება ახალი ფურცელი – იმპერიის ისტორია. ჩვ.წ.აღ.-მდე I ს. ბოლოს – ჩვ.წ.-ით II ს. – ესაა ადრეული იმპერიის – *პრინციპატის ეპოქა*, მონათმფლობელური ურთიერთობების ავვაევების პერიოდი. რომის სახელმწიფო გარდაიქმნა უზარმაზარ იმპერიად, რომლის შემადგენლობაში შედის აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთი, ჩრდილოეთ აფრიკა, ევროპის დიდი ნაწილი.

ფილოსოფიის შემსწავლელ ცენტრად რომის იმპერიაში (როგორც კლასიკურ საბერძნეთში ელინიზმის ეპოქაში) რჩებოდა *ათენი*. რომაელებში, ისევე როგორც წინათ ჩვ.წ. I-II საუკუნეებში გავრცელებული იყო სტოიციზმი და ეპიკურიზმი. რომაელ დიდებულებში განსაკუთრებით პოპულარული იყო *სტოიციზმი*. მისი

ძირითადი წარმომადგენლები იყვნენ: რომაელი ფილოსოფოსი, პოლიტიკოსი, პოეტი, იმპერატორ ნერონის აღმზრდელი *სენეკა* (დაახ. 4 ჩვ.წ.აღ.-მდე – 65 ჩვ.წ.), რომელმაც დაწერა „*ზნეობრივი წერილები ლუცილიუსისადმი*“ და „*საბუნებისმეტყველო სამეცნიერო საკითხები*“ და იმპერატორი *მარკუს ავრელიუსი* (121-180), ფილოსოფოსი სამეფო ტახტზე, რომელმაც დაწერა თავისი ერთადერთი ნაშრომი „*ფიქრები*“. სტოიკოსები ირწმუნებოდნენ, რომ ჭეშმარიტად თავისუფალია მხოლოდ ის ადამიანი, რომელიც ხელმძღვანელობს გონებით და არა სურვილებითა და ვნებებით. საზოგადოების დაბალ ფენებში განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ *კინიკოსებს* – მოზეტიალე ფილოსოფოსებს.

პრინციპატის ეპოქის რელიგიისათვის დამახასიათებელია ახალი კულტების შექმნა – იმპერატორთა თაყვანისცემა, რომელთაც სიკვდილის შემდეგ წმინდანად რაცხავდნენ და *რომის* ქალღმერთებისა, როგორც მთელი რომის იმპერიის მფარველებისა. ძალიან პოპულარული იყო ღმერთი-მხსნელების კულტები, რომლებმაც გაიმარჯვეს სიკვდილზე და ნახეს გამოსავალი მორწმუნეთათვის ეჩუქებინათ მარადისობის იმედი იმქვეყნიურ სამყაროში.

რომის იმპერიაში მეცნიერების ცენტრები იყო უმსხვილეს ქალაქებში: *რომში, ალექსანდრიაში, ათენში, კართაგენში* და სხვ. ჩვ.წ. I-II საუკუნეებში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა გეოგრაფიულ ცოდნას – ჩნდება *სტრაბონისა* (64/63 ჩვ.წ.აღ.-მდე – ჩვ.წ. 23/24) და *პტოლემეოსის* (დაახ. 90 – დაახ. 160) ტრაქტატები. „*საბუნებისმეტყველო ისტორია*“, რომელიც იყო ფიზიკური გეოგრაფიის, ბოტანიკის, ზოოლოგიის, მინერალოგიის ენციკლოპედია, შექმნა *პლინიუს უფროსმა* (23/24-79).

დიდ წარმატებებს მიაღწია მედიცინამ. ექიმი *გალენიუსი* (დაახ. 130-დაახ.200) აწარმოებდა ცდებს სუნთქვის, ზურგის და თავის ტვინის მოქმედებების შესასწავლად. შეიქმნა სკოლები ექიმთა მოსამზადებლად. თუმცა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიღწევებთან ერთად ჩვ.წ. II საუკუნეში უკვე ჩნდება რეგრესის ნიშნებიც. ასტრონომიაში არისტარხო სამოსელის მიერ ჩვ.წ.აღ.-მდე III საუკუნეში შეთავაზებულ ჰელიოცენტრულ თეორიაზე უარს ამბობენ და იღებენ *პტოლემეოსის სისტემას* – გეოცენტრულს, რომლის თანახმადაც მზის სისტემის ცენტრად აღიარებულია დედამიწა. გარდა ამისა პრინციპატის ეპოქაში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ასტროლოგია.

რომაული კულტურის ერთ-ერთ ღირშესანიშნავ მიღწევად მიიჩნევა *ადრეული იმპერიის* ეპოქის ლიტერატურა. ის წარმოდგენილია მწერლების მთელი თანავარსკვლავედით: *აპულეუსი* (დაიბ. დაახ. ჩვ.წ. 124), ავანტიურულ-ალეგორიული რომანის „*მეტამორფოზების*“ ანუ „*ოქროს ვირის*“ ავტორი, *პლინიუს უმცროსი*, სატირიკოსები *პეტრონიუსი* (დაახ. 60-დაახ. 127), *პეტრონიუსი* (? - 66 ჩვ.წ.), *ლუკიანე* (დაახ. 120-დაახ.190), პოეტები *კურგილიუსი* (70-19 ჩვ.წ.აღ.-მდე), *ჰორაციუსი* (65 ჩვ.წ.აღ.-მდე - 8 ჩვ.წ.), *ოვიდიუსი* (43 ჩვ.წ.აღ.-მდე - 18 ჩვ.წ.). ვერგილიუსმა სახელი გაითქვა, როგორც „*ენეიდას*“ ავტორმა, რომელიც რომაული ნაციონალური ეპოსი გახდა. „*ენეიდას*“ სიუჟეტი მოგვითხრობს ტროელ ენეაზე, რომელიც ტროას დაცემის შემდეგ მოვიდა ლაციაში და გახდა რომაული სახელმწიფოს დამაარსებელი.

რომაელთა ზნეობრივ მხარეზე დიდი გავლენა იქონია ჰორაციუსის პოეზიამ, რომელიც ადიდებდა ადამიანში ტაქტის, ღირსების, ზომიერების გრძნობას.

> ის ვინც შუა ზღვარს ირჩევს,
> ბრძნულად გაურბის სიხარბეს,
> და ვისაც სხვისადმი შური აქვს – საოცარი სასახლეებისა.
> ზშირად ათრთოლებს გოლიათ ნაძვის გრიგალი,
> მაღალი კოშკების უმძიმესი ვარდნა,
> და დიდი მთები, რომელიც ხშირად
> იზიდავს ელვათა დარტყმებს.

აყვავებას აღწევს რომაული *ისტორიოგრაფია: ტიტუს ლივიუსი* (59 ჩვ.წ.აღ.-მდე – 17 ჩვ.წ.), *პლინიუს უფროსი, იოსებ ფლავიუსი, ტაციტუსი* (დაახ. 58 – დაახლ. 117) – დიდი რომაელი ისტორიკოსი, თუმცა ის ამ ეპოქაში ძირითადად ხოტბას ასხამს იმპერიას.

ჩვ.წ. I-II საუკუნეებს მიეკუთვნება რომაული არქიტექტურის ორი ყველაზე ცნობილი ძეგლი: *კოლიზეუმი*, ანტიკური სამყაროს ყველაზე დიდი ამფითეატრი, რომელიც 50 ათას მაყურებელს იტევდა და *პანთეონი* – ყველა ღმერთის სახელზე აგებული ტაძარი. პანთეონის მთავარი ნაწილია ბერძნული ტიპის მრგვალი ტაძარი, დაგვირგვინებული 43.4 მ. დიამეტრის გუმბათით, მისი ჭრილებიდან შუქი აღწევს ტაძრის შიგნით, რომელიც გასაოცარია თავისი სიდიადითა და მოპირკეთების უბრალოებით.

ტრიუმფალური თაღებისა და კოლონების მშენებლობას ჰქონდა უპირველესად პოლიტიკური მნიშვნელობა. მაგალითად, იმპერატორ ტრაიანეს 30 მეტრიან კოლონას აშენებდა 200 მ. სიგრძის

სპირალისებური ჭრილი, სადაც გამოსახული იყო ტრაიანეს სამხედრო გმირობები.

საზოგადოებრივი შენობების კედლები, ჭერი, იატაკი და აგრეთვე იმპერატორთა სასახლეები და დიდგვაროვანთა სახლები მორთული იყო ნახატებითა და მოზაიკით. რომაული ფერწერის ბრწყინვალე ნიმუშები შემონახული იყო *პომპეიში, ჰერკულანუმსა* და *სტაბიაში*, რომელიც ჩვ.წ. 79 წ. ვეზუვის ამოფრქვევის შედეგად ფერფლმა დაფარა.

იმპერიის პერიოდში განსაკუთრებით გავრცელდა პორტრეტული სკულპტურა. შემონახულია მრავალი შესანიშნავი პორტრეტული ქანდაკება, ბიუსტი, რელიეფური გამოსახულება, იმპერატორთა, მხედართმთავრების, პოეტების, მეცნიერებისა და სხვათა რეალურად გამოხატული თავისებურებებით.

ჩვ.წ. II საუკუნის ბოლოს რომის იმპერიაში იწყება კრიზისი, რომელიც III საუკუნეში – მოიცავს მთლიანად მთელ სახელმწიფოს და ატარებს ყოვლისმომცველ ხასიათს. ამის ყველაზე ნათელი გამოვლენა იყო იმპერატორების ხშირი ცვლა, პროვინციების დაშლა, იმპერიის სხვადასხვა მხარეში დამოუკიდებელი მმართველების გამოჩენა. ანტიკური კულტურის კრიზისის მახასიათებელი ნიშანია – განათლების დაბალი დონე, პესიმიზმი, ზნეობის გაუხეშება, ქრისტიანობის ფართოდ გავრცელება. უკვე III ს. არქიტექტურაში ანტიკური მიმართულებით არაფერი ახალი არ იქმნება, სრულყოფილი პორტრეტული სკულპტურა იცვლება უფრო უხეშით, ეცემა ტექნიკური ოსტატობაც.

ჩვ.წ. IV-V საუკუნეები – გვიანი იმპერიის პერიოდია. ამ დროისთვის იცვლება რომის სახელმწიფოს ფორმა, პრინციპატი ადგილს უთმობს *დომინატს* – განუსაზღვრელ მონარქიას, სადაც უგულებელყოფილია ყოველგვარი რესპუბლიკური მახასიათებელი. დომინატის დამყარებასთან ერთად სიტუაცია იმპერიაში ოდნავ ნორმალიზდება, მაგრამ ცენტრიდანული ძალები განაგრძობენ მოქმედებას და 395 წ. იმპერია საბოლოოდ იშლება დასავლეთად, რომლის ცენტრი ხდება რომი და აღმოსავლეთად – ცენტრით კონსტანტინეპოლში.

გვიანი ანტიკური პერიოდის კულტურის ისტორია მიმდინარეობს დაშლის გზაზე მდგარი ანტიკური ტრადიციებისა და ახალი, ქრისტიანული პრინციპების ბრძოლის ფონზე.

ქრისტიანობა

რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში ქრისტიანობა ვრცელდება *მესია* – მხსნელის

მოლოდინის იდეის გავრცელების საფუძველზე. შემდგომი განვითარებისას იგი იძენს აღმოსავლური რელიგიისა და კულტების, ელინური ფილოსოფიისა და სოციალური უტოპიის ელემენტებს. ქრისტიანული სისტემის ცენტრში იდგა მრწამსი – *რომ იესო ქრისტე* საზით ძე ღმრთისა განსხეულდა ადამიანში. მესია ქრისტეს (ბერძნ. Christus – ცხებული) სახე თავდაპირველად იხსენიება საერთო ფორმით და მხოლოდ რამდენადმე მოგვიანებით ჩვ.წ. I საუკუნის ბოლოს და II საუკუნის პირველ ნახევარში გამოიწვდა ახალი რელიგიის ფუძემდებლის ცხოვრების აღწერა – სახარება. პირველად შეიქმნა *მარკოზის სახარება*, მოგვიანებით – *მათესა* და *ლუკას* სახარებები. ლუკას სახარება – ეს არის ცდა გახადოს ქრისტიანობა ანტიკური განათლებისა და კულტურის სამყაროსათვის უფრო ახლობელ და გასაგებ მოძღვრებად. სხვა სახარებებისგან იგი გამოირჩევა ჰუმანური მიმართულებითა და ამაღლებული ემოციურობით.

თავისი არსებობის პირველ პერიოდში ქრისტიანობა იმპერიული ხელისუფლების მხრიდან იწვევდა მხოლოდ ეჭვსა და არაკეთილგანწყობას. III საუკუნის შუა პერიოდში იგი აიკრძალა. რომის მთელ იმპერიაში დაიწყო ქრისტიანების დევნა. თუმცა უკვე მე-IV საუკუნეში ქრისტიანობა *სახელმწიფო რელიგია გახდა*. იწყება წარმართთა საკერპო ტაძრების ნგრევა, იკრძალება ოლიმპიური თამაშები. საჭიროა აღინიშნოს, რომ ქრისტიანულ ეკლესიათა ზეიმებს თან ახლდა ანტიკური კულტურის ძეგლების ნგრევა.

გვიანანტიკური ეპოქის ქრისტიანული ლიტერატურა, რომელიც აფართოებდა და ართულებდა ქრისტიანულ სარწმუნეობას, საფუძველს უყრიდა შუასაუკუნეების სქოლასტიკას და ღვთისმეტყველებას. თუმცა იმ დროს ჯერ კიდევ ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ისეთი პოეტები, როგორიცაა *ავზონიუსი* და *კლავდიანე* (დაახ. 375-404 შემდეგ) და ისეთი გამოჩენილი ისტორიკოსი, როგორიცაა *ამმიანუს მარცელინი* (დაახ. 330-404). მათი შემოქმედებისთვის დამახასიათებელი იყო ძველი ნიმუშების მიბაძვა და გარეგნული ფორმით უზომო გატაცება.

ჩვ.წ. IV საუკუნეში იწყებენ ქრისტიანული ტაძრების – *ბაზილიკების* შენებლობას. ფორმა და დასახელება ნასესხები ჰქონდათ ადრეული ანტიკური ხანის ბაზილიკისგან, რომლებიც ადმინისტრაციულ და სასამართლოს შენობებს წარმოადგენდა. ადრექრისტიანული ბაზილიკა შიგნით სვეტების ორი რიგით სამ ნეფად იყოფოდა, რომელთაგან მთავარი ნეფი იერთებდა აბსიდას.

აოსეობდა ბაზილიკის სხვადასხვა ფორმა, ერთ-ერთი ასეთი იყო ჯვრისმაგვარი. ბაზილიკასთან ერთად ადრექრისტიანულ ეპოქაში აგებდნენ ცენტრული ტიპის საკულტო შენობებს, რომლებშიც შემდგომი განვითარება ჰპოვა ანტიკური ტრადიციების მრგვალმა ტაძარმა.

ახალი მხატვრული ნიშნები ყველაზე მკვეთრად ჩნდება ქრისტიანულ ფერწერაში. რომის კატაკომბების[1] ფრესკებში სცენის გამოსახვის თვალსაჩინოება, შინაარსის გაგება ხდება უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ფიგურის პროპორციული დამუშავება, მასშტაბურობის დაცვა.

აღმოსავლეთ რომის იმპერია არსებობდა 1453 წლამდე, როგორც ბიზანტიის იმპერია, რომლის კულტურა გახდა ბერძნულის გაგრძელება, ოღონდ ქრისტიანული ვარიანტით. დასავლეთ რომაულმა იმპერიამ არსებობა შეწყვიტა 476 წ., როდესაც დაამხეს უკანასკნელი იმპერატორი. ეს წელი ტრადიციულად *ითვლება ანტიკური, ძველი სამყაროს დასასრულად და შუასაუკუნეების დასაწყისად.* დასავლეთ რომის იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენდნენ ე.წ. ბარბაროსული სამეფოები, რომელთა მოსახლეობა ამა თუ იმ ნიშნით დაკავშირებული იყო ბერძნულ-რომაულ კულტურასთან, რომელმაც დიდი გავლენა იქონია ამ სახელმწიფოების განვითარებაზე.

ძირითადი ტერმინები და ცნებები

აკვედუკი
ანტროპომორფიზმი
ატრევსი
ბაზილიკა
დომინანტი
სახარება
კინიკელები
კომიციები
ლათინური
პორტრეტული სკულპტურა
პორტრეტული სკულპტურული ბიუსტი
პრინციპატი
რომაული პორტრეტი
რომის სამართალი
რიტორიკა
სტოიციზმი
თერმები
ტრიუმფალური თაღი
ქრისტიანობა
ცირკი

[1] კატაკომბა (ლათ. coemeteria– სასაფლაო) ხელოვნური ან ბუნებრივი წარმოშობის მიწისქვეშა ნაგებობა, გამოიყენებოდა ქრისტიანთა და იუდეველთა დასამარხად. ქრისტიანთა დევნის პერიოდში კატაკომბებში თავს იყრიდნენ გაერთიანების წევრები.

ვოლტუმნა
იუპიტერი
ნეპტუნი
პლუტონი
მარსი
იუნონა
ვენერა
ვულკანი
მერკური
მინერვა
ცერერა
დიანა
იანუსი
ლარები
გენიები
პენატები
ფორტუნა
ვიქტორია

კითხვები გამეორებისათვის

1. გვიამბეთ აპენინის ნახევარკუნძულის უძველესი ცივილიზაციის შესახებ.
2. დაახასიათეთ ძველი რომის კულტურა.
3. გვიამბეთ ძველი რომის არქიტექტურული სკულპტურის თავისებურებებზე და სკულპტურულ პორტრეტზე.
4. როგორ აღმოცენდა და ვრცელდებოდა ქრისტიანობა?

თავი 6

ძველი სლავების კულტურა
კიევის რუსეთის კულტურა
რუსეთის მიწების კულტურა



კიევის წმ. სოფიას ტაძარი. XI ს. (რეკონსტრუქცია)

წარსულის ცოდნა – სინამდვილისა და მერმისის გასაღებია. ადამიანს, რომელსაც არ უყვარს და არც იცის წარსული, არა აქვს მომავალი. ძალიან მნიშვნელოვანია წინაპართა ხმის გამოძახილი, იგრძნო თავი ისტორიული მდინარების უწყვეტი ნაკადის ნაწილად ათასწლეულების შემდეგაც.

ძველი სლავების კულტურა

ძველი სლავები ვედების კულტურას მისდევდნენ, ამიტომ ძველსლავურ რელიგიას სწორი იქნება თუ დავარქმევთ არა წარმართულ, არამედ ვედების რელიგიას. სიტყვა „ვედები“ მიესადაგება თანამედროვე რუსულ „უწყოდე“, „იცოდე“-ს. ესაა მაღალგანვითარებული კულტურის მქონე მიწათმოქმედ ხალხთა მშვიდობიანი რელიგია, მონათესავე სხვა ვედური ძირის მქონე რელიგიებისა, როგორიცაა – ძველი ინდოეთისა და ირანის, ძველი საბერძნეთის რელიგიები.

ველესის წიგნი (Велесова книга)

ძველი სლავური კულტურის ძირითადი ძეგლებია *წმინდა საგალობლები, მითები, თქმულებები*, თუმცა მეცნიერთა დიდი ნაწილი თვლის, რომ ძველ სლავთა წმინდა საგალობლების, მითების ტექსტები განადგურდა რუსეთის გაქრისტიანების შემდეგ. სამამულო ისტორიულ მეცნიერებაში იმ მცირედსაც კი, თუ რაიმე შემორჩა *ველესის წიგნის სახით*, რომელიც სავარაუდოდ ჩაწერილია ნოვგოროდელ ქურუმთა მიერ არა უგვიანეს IX ს., თვლიან ნაყალბევად[1].

ძველი სლავების სიმდიდრისა და სიბრძნის ღმერთის *ველესის*, ან *ვოლოსისადმი* მიძღვნილი ამ წიგნის ისტორია ერთობ ტრაგიკული და იდუმალებით მოცულია. 1919 წ. სამოქალაქო ომის დროს ეს წიგნი იპოვა თეთრი არმიის ოფიცერმა ფ. ა. იზენბეკმა სადგურ დიდი ბურლუკის ახლოს, ხარკოვთან, თავად კურაკინების მამულში. 1924 წ. ბრიუსელში წიგნი ხელში ჩაუვარდა მწერალ ი. პ. მიროლუბოვს. მან თხუთმეტი წლის მანძილზე მრავალჯერ გადაწერა და გაშიფრა ძველი ნაწერები, რითაც ტექსტის 75%-ის ასლი გააკეთა. 1943 წ. გერმანელთა მიერ ოკუპირებულ ბრიუსელში იზანბეკის გარდაცვალების შემდეგ დაიკარგა მთელი მისი არქივი და მათ შორის ველესის წიგნის დედანიც. დარჩა მხოლოდ ი. პ. მიროლუბოვის ჩანაწერები და ერთი ფირფიტის ფოტოგრაფია.

[1] იხ.: რუსი ვედები. ჩიტ გამაიუნის სიმღერები. ველესის წიგნი. – მ., მეცნიერება და რელიგია. 1992, – გვ.368.

დღემდე გრძელდება კამათი მატიანეში მოხსენიებულ სლავთა ღმერთების რაობის შესახებ. მიუხედავად ამისა, გამოთქმულია აზრი, რომ სლავური მითების უძველესი შრეები უკეთაა შენარჩუნებული, ვიდრე ბერძნული, ინდური და ბიბლიური. ამის მიზეზია სლავური კულტურის განვითარების განსაკუთრებული გზა. სხვა ხალხების მითიური თქმულებები ჩაწერისა და დამუშავებისას უძველეს დროშივე დამახინჯდა. *სლავური ფოლკლორი* (ინგ. folklor – ხალხური შემოქმედება) – ეს ცოცხალი ზეპირი ტრადიციაა, რამაც წერითი კულტურის გავლენით განიცადა მცირედი ცვლილებები.

სლავური ფოლკლორის საგანძურის – ხალხური სიმღერების, ზღაპრების, ბილინების, სასულიერო ლექსების შეგროვება და ჩაწერა დაიწყეს მხოლოდ XIX ს. პირველი ნახევრიდან.

ველესის წიგნი რთული და ტევადია. მისი გაყალბება ისევე ძნელია, როგორც შეუძლებელია ხელახლა შეიქმნას რიგვედა, ავესტა, ან ბიბლია. ველესის წიგნი წყვეტს დიდი ხნის დავას სლავების წარმოშობის შესახებ. იგი აღწერს სხვადასხვა ტომთა ბედს, რომლებიც მონაწილეობდნენ სლავური *ეთნოგენეზის* ჩამოყალიბებაში. უძველესი მოვლენა, რომელიც ამ წიგნშია წარმოდგენილი, არის ინდოევროპელთა ტომების წარმოშობა შვიდმდინარეთიდან, ბალხაშის ტბის ახლო მდებარე ტერიტორიიდან. ტბა დღესაც ატარებს ამ სახელს შვიდი მდინარის გამო, რომლებიც დღესაც ჩაედინებიან ბალხაშის ტბაში. არქეოლოგიური მონაცემებით ინდოევროპელთა მიგრაცია შუა აზიიდან ხდებოდა ჩვ.წ.აღ.-მდე II ათასწლეულის ბოლო მესამედში უდიდეს ტერიტორიებზე ბალკანეთიდან (ელინელები-დორიელები) ენისეისა და ჩრდილოეთ ჩინეთამდე (მასაგეტები და საკები). ველესის წიგნში აღწერილია სლავთა მითოსური და უძველესი ისტორიები ჩვ.წ.აღ.-მდე II ათასწლეულიდან I ათასწლეულის ბოლომდე.

ველესის წიგნის მიხედვით ძველ სლავებში არსებობდა არქაული *სამება – სამთავი: სვაროგი (სვაროჟიჩი)* – ცის ღმერთი, *პერუნი* – მეხთმტყორცნელი, *ველესი (ვოლოსი)* – ქვეყნიერების დამანგრეველი ღმერთი, თუმცა სლავ ქურუმთა სხვადასხვა სკოლებს სხვადასხვაგვარად ესმოდათ სამების[1] საიდუმლო.

დედათა კულტების ფართოდ გავრცელება დაკავშირებულია წინაპარ ქალთა თაყვანისცემასთან. პატრიარქატის ეპოქაში დედობის კულტები ტრანსფორმირდებიან ღმერთების ქალურ იპოსტასში და

[1] იხ.: *რუსი ვედები*. ჩიტი გამაუნის სიმღერები. ველესის წიგნი. – მ.; მეცნიერება და რელიგია, 1992.

იღებენ ერთგვარ ერთიან ფუნქციას – ისინი ხდებიან საბლის, კერის, ცეცხლის, ტერიტორიის, ქვეყნის, ადამიანთა, ოჯახის, სიყვარულის მფარველები დიასაბლისების, დედათა, ბებიათა სახით. თუმცა, მთლიანობაში ქალთა კულტები, რომელ მოდიფიკაციაშიც არ უნდა გვხვდებოდნენ, მაინც მიიწევენ ორიდან ერთ-ერთ თავიანთ გამოვლინებაში: ისინი ასახიერებენ ან ზეციურ სიყვარულს (სლავური *ლიობლე*), ან მიწიერს (სლავური *ნოტიო მიწის დედა*).

ძველ სლავთა სულიერი სიმწიფის დონე, მათი ფილოსოფიური წარმოდგენები შეიძლება რეკონსტრუირებულ იქნას მათი *კოსმოგონური მითების*[1] მიხედვით. სვაროგის სახელთან დაკავშირებულია სლავების უძველესი კოსმოგონური მითი წინაპარ როდის მიერ მიწის, *სამყაროს შექმნის შესახებ*.

სვაროგმა დედა-მიწის შექმნისას, შიგ დააარსა სამი მიწისქვეშა სამეფო.

> იმისათვის, რომ მიწა კვლავ არ ჩასულიყო ზღვაში, როდმა მის ქვეშ გააჩინა დიდძალოვანი, უცნაური გველი იუშუ. მას მძიმე ხვედრი ერგო წილად – უთვალავი წლების მანძილზე დაეკავებინა დედა-მიწა.
> ასე გაჩნდა ნოტიო მიწის დედა. გველზე დაყრდნობის შედეგად ის დაწყნარდა. თუ იუშუ – გველი შეინძრევა ნოტიო მიწის დედა შემობრუნდება[2].

ძველ სლავურ კოსმოგონურ მითებში, ისევე როგორც სხვა ძველი ხალხების მითებში, ყოველთვის გადახლართულია თქმულებები ღმერთებისა (თეოგონია) და ადამიანების (ანთროპოგონია) წარმოშობაზე, რომელთა სამყარო მეორადია კოსმოსის ძალების მიერ წარმოშობილა სამყაროსთან შედარებით, მაგრამ მათთან მჭიდროდ ურთიერთქმედებენ.

სვაროგის ძე – *პერუნი*, სლავური სამების (სამთავის) მეორე სახე, ომისა და ჭექა-ქუხილის ღმერთი, აცოცხლებდა გამოცხადებულს, თვალყურს ადევნებდა მსოფლიო წესრიგს, ატრიალებდა რა მზის ოქროს რკალს. რუსეთის გაქრისტიანების შემდეგ პერუნის კულტი შეცვალა *ილია წინასწარმეტყველმა*, ხოლო ფოლკლორულ ტრადიციაში კი – *ილია მთრომეტცმა* და *ეგორ გულადმა*. მესამე იპოსტასი – *ველესი* (მოგვიანებით *სვენტოვიტი*) – თავდაპირველად იყო დასავლეთ სლავების სინათლის ღმერთი.

[1] *კოსმოგონური მითები* – (კოსმოსი – სამყარო, გონიოს – დაბადება) – აღწერს სამყაროს სივრცობრივ-დროებით პარამეტრებში, რომელშიც მიმდინარეობს ადამიანის არსებობა.

[2] რუსი ვედები. – მ.; მეცნიერება და რელიგია, 1992 – გვ. 8-11.

ველესის წიგნი გვიამბობს სამების — სვაროგის — პერუნის — სვენტოვიტის დიდ საიდუმლოზე, რომლის ძალაც სჭვალავდა სიცოცხლის ყველა დონეს, ღმერთთა სამყაროს და ადმიანებს სიყვარულის ძალით ამრავლებდა. ძველ სლავთა სულიერი ცოდნა ასეთი სახით ატარებდა მონოთეიზმის[1] ზოგიერთ თვისებას, მაგრამ ამასთან ერთად ბევრი საერთო ჰქონდა რელიგიის პირველყოფილ ფორმებთან (ტოტემიზმთან, ფეტიშიზმთან, ანიმიზმთან და მაგიასთან).

სლავების ვედური მსოფლმხედველობა ატარებს ძველი დიალექტიკური ნატურფილოსოფიის ძიძღვრების თვისებებს. სამყაროს ალწერდნენ ძირითადი ორმაგი საპირისპირო სისტემით, რომელიც განსაზღვრავდა სივრცობრივ, დროით, სოციალურ ხასიათებს. *ჩერნობოგი* (შავი ღმერთი) და *ბელობოგი* (თეთრი ღმერთი) — ეს ორი სლავური ანტაგონისტი ღმერთი, ასახიერებდა თავის ბრძოლაში სინათლის — იავის და სიბნელის — ნავის ძალებს. *იავი*, „თეთრი სინათლე" — ესაა ის მიმდინარე, რაც შექმნილია საყოველთაო სამართლიანი *პრავის* (სიმართლის) კანონით და რაც თავის მხრივ ქმნის ადამიანის ცხოვრებას სიყვარულის ძალით. ყოველივე, რაც იყო მანამდე, მის მერე და მისგან გასული, — ეს ნავია, ბნელი ძალა, პასიური, არაშემოქმედი, მიღწეულის შემნახველი და დამშალველი, „იმ ქვეყნის" სიმბოლო. სიცოცხლეს ჩუქნის, ნაყოფიერებას და ხანგრძლივ სიცოცხლეს ანიჭებს ღვთაება როდი, სიკვდილის განსახიერებები იყვნენ *მარენა*, *ნავი*. სიცოცხლის და სიკვდილის სიმბოლოებია — ცოცხალი და მკვდარი წყალი.

ძველ სლავთა ცხოვრების წესისა და აზროვნების მნიშვნელოვანი თვისებაა ცხოვრების მანძილზე წინაპრებთან და ღმერთებთან უწყვეტი კავშირის — როგორც მიწიერ და ზეციურ სამყაროთა ჰარმონიული ურთიერთობის პირობის წარმოდგენა. ადამიანების მიერ წონასწორობის ასეთი სიმყიფის შეგრძნება გამოიხატებოდა მათ მიერ *პრავდისა* და *კრივდის* (უკულმართის) ბრძოლაში.

თეთრისა და შავის დაპირისპირება განსახიერებულია პანთეონში — ბელობოგსა (თეთრი ღმერთი) და ჩერნობოგში (შავი ღმერთი), მკითხაობებში, ნიშნებში. თეთრი დადებითის საწყისია, შავი — უარყოფითის.

ძველი სლავების მსოფლმხედველობისათვის დამახასიათებელია *ანთროპოთეოკოსმიზმი*, ანუ ადამიანურის, ღვთაებრივისა და

[1] მონოთეიზმი (ბერძ. monos — ერთი, ერთადერთი და theos — ღმერთი) — რელიგიურ რწმენათა სისტემა, დაფუძნებული ერთადერთი ღმერთის არსებობაზე (ერთღმერთიანობა).

ბუნებრივის განუყოფლობა, სამყაროს გაცნობიერება როგორც არავის მიერ შექმნილის, სამყაროსი — როგორც მუდმივი ცეცხლისა, ზომიერად რომ ქრება და ზომიერად ინთება.

ბუნების ნათელი და ბნელი ძალების განუწყვეტელი ბრძოლა და მონაცვლეობითი გამარჯვება მეტ-ნაკლებად თვალნათლივ აღიბეჭდა სლავების წარმოდგენებში წელიწადის დროთა წრიულ ბრუნვაში. მისი ამოსავალი წერტილი იყო ახალი წლის დადგომა — ახალი მზის დაბადება დეკემბრის ბოლოს. ამ დღესასწაულმა სლავებში მიიღო ბერძენ-რომაული სახელწოდება *კოლიადა* (ლათ. calendae — ახალი თვის პირველი დღე). ახალი ჭექა-ჭუხილის ზამთარზე — „სიკვდილზე" სრული გამარჯვება გაზაფხულის ბუნიობის დღეს აღინიშნებოდა „*მარენის*" დასაფლავების წესის ჩატარებით. იყო აგრეთვე მასთან (გაზაფხულის სიმბოლო) პატარა ნაძვის ხით სიარულის წესი, რომელიც მორთულ-მოკაზმული იყო ბაფთებით, კვერცხებით, ქალალდებით. მზის ღვთაებას, რომელსაც ზამთარში აცილებდნენ, უწოდებდნენ *კუპალას*, *იარილოს* და *კოსტრომას*. დღესასწაულის დროს ამ ღვთაებების ჭილის ფიტულს წვავდნენ, ან წყალში ახრჩობდნენ.

საახალწლო მკითხაობების, ყველიერის მხიარულების, „ალის კვირეულის" არქაული ხალხური დღესასწაულები ტარდებოდა *შესვლის მგიური რიტუალების* თანხლებით და იყო თავისებური თხოვნა-მუდარა ღმერთებისადმი საერთო კეთილდღეობაზე, მოსავალზე, სეტყვისაგან და ქარიშხლისაგან განთავისუფლებაზე. ელიას დღეს ჩვეულებად იყო მიღებული მთელი სოფლის მიერ კარგად გამოკვებილი ხარის დაკვლა პერუნის პატივსაცემად. მოსავლის შესახებ ახალ წელს მკითხაობის დროს იყენებდნენ განსაკუთრებულ სასმისს — *ჩარს*. მასზე ხშირად გამოსახული იყო 12 განსხვავებული ნახატი, რომელიც შეადგენდა ჩაკეტილ წრეს — 12 თვის სიმბოლოს. გაზრების დროს ნაპოვნია მისი მსგავსი სასმისები, რომელთაც იყენებდნენ თესვა-მკის, საგაზაფხულო-საზაფხულო წყლიანი რიტუალის დროს, რომელსაც წმინდა ჭალებში, წყაროებთან ატარებდნენ და დაკავშირებული იყო ნაყოფიერების[2] მფარველ ღმერთ-ქალწულთან.

ქრისტიანობის მიღების დროისათვის სლავურმა რელიგიამ ვერ მოასწრო კულტის მკაცრი ფორმების შემუშავება და ჭურუმები ვერ

[1] *მარენა* (სლავურ მითოლოგიაში) — ქალღმერთი, სიკვდილის განსახიერება, დაკავშირებულია ბუნების სიკვდილისა და აღდგომის სეზონურ რიტუალებთან.

[2] *ბაკურეთა შორის* — ჰ., ცოდნა, 1996. — გვ.15-24.

კიდევ არ იყვნენ გამოყოფილნი ცალკე ფენად. გვაროვნულ და ზეციურ ღმერთებს მსხვერპლს სწირავდნენ გვაროვნული კავშირების წარმომადგენლები, ხოლო მიწიერ უმდაბლეს დემონებთან კონტაქტისა და მათი ბოროტი ზემოქმედებისაგან ადამიანების დასაცავად ზრუნავდნენ „თაეისუფლადმოქმედი“ ვოლხვები. მსხვერპლშეწირვის ადგილი (*კაპიშჩე*) ტაძრად მაშინაც კი ვერ იქცა, როცა მასზე ღმერთების გამოსახულებების – კერპების დადგმა დაიწყეს.

კიევში *ვლადიმირის* (980-1015), *წითელ მზედ წოდებულის*, მეფობის დროს, გატარდა თავისებური წარმართული რეფორმა. ცდილობდა რა ხალხური რწმენა სახელმწიფოებრივ რელიგიასთან გაეთანაბრებინა, თავადმა ბრძანა თავის კოშკებთან, ბორცვზე დაედგათ ექვსი ღვთაების ხის კერპი: ვერცხლის თავიანი და ოქროს ულვაშებიანი პერუნის, ხორსის, დაჟდბოგის, სტრიბოგის, სემარგლისა და მოკოშის. ძველი თქმულების თანახმად ცნობილია, რომ ვლადიმირმა დააწესა ამ კერპებთან ადამიანების მსხვერპლშეწირვაც, რაც კულტს ტრაგიკულობას მატებდა, თუმცა, ამავე დროს, მას ჰქონდა დიდი სადღესასწაულო ხასიათიც. მთავარი ღმერთის – პერუნის კულტი ნოვგოროდში შეტანილი და დამტკიცებული იქნა *დობრინის* (ვლადიმირის ალმზრდელი) მიერ. პერუნის კერპის ირგვლივ ენთო რვა ჩაუქრობელი კოცონი, რის შესახებაც ხსოვნა ადგილობრივ მოსახლეობას გაჰყვა XVII საუკუნემდე.

კერპთაყვანისმცემლობის ბოლო პერიოდისათვის სამხედრო ძალების განვითარებასთან დაკავშირებით გართულდა სლავების დამარხვის წესები. გამოჩენილ რუსებთან ერთად წვავდნენ მათ იარაღს, ცხენებს, აბჯარს.

დამწერლობა

სულიერად განვითარებული ხალხის ვერანაირი კულტურა ვერ იარსებებს *დამწერლობის* გარეშე. აქამდე ითვლებოდა, რომ სლავებს *კირილეს* (დაახლ. 827-869) და *მეთოდეს* (დაახლ. 815-885) მისიონერულ მოღვაწეობამდე არ ჰქონდათ დამწერლობა. დღესდღეისობით ზოგიერთი თანამედროვე ლინგვისტისა და ისტორიკოსის აზრით, ანბანი კირილემ და მეთოდემ კი არ შექმნეს, არამედ ისინი იყვნენ რეფორმატორები უკვე არსებული ანბანისა, რომელიც დაფუძნებული იყო ბერძნულ ანბანზე და გამოყენებული იყო ველესის წიგნის ჩაწერისას. ამას გარდა, გამოითქვა აზრი, რომ ბერძნულთან ერთად სლავებს ჰქონდათ თავიანთი ორიგინალური წერის სისტემა: ეგრეთწოდებული *კვანძოვანი დამწერლობა*. მისი ნიშნები არ იწერებოდა, არამედ გადაიცემოდა ძაფზე შეკრული ნასკვების

საშუალებით, რომელიც იხვეოდა გორგალ-წიგნში. ასეთ კვანძოვან დამწერლობაზე ხსოვნა შემოგვრჩა ენასა და ფოლკლორში. ჩვენ დღემდე ვკვანძავთ „ნასკვებს დასამახსოვრებლად“, ვამბობთ „თხრობის ძაფები“, „სიუჟეტის მოხერხებული გამონასკვა“.

დამწერლობის ქურუმული პერიოდის კულტურა, შესაძლებელია, სლავებში გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე მიიღებდნენ ქრისტიანობას. ბაბა იაგას გორგალზე ზღაპარი ეხება მატრიარქატის პერიოდს. გამოჩენილი მეცნიერ-ფოლკლორისტის ვ. ი. პროპპას აზრით, ბაბა იაგა – კერპთაყვანისმცემლობის დროის ტიპიური ქურუმი ქალია, „გორგალთა ბიბლიოთეკის“ მცველი არყის ხის ქერქების ყუთებში. (შემთხვევით აქედან ხომ არ არის გამოთქმა „სამი გუდის სიცრუე?“).

ძველად კვანძოვანი დამწერლობა საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული. კვანძოვან დამწერლობას „კიპუს“ და „ვამპუმს“ იყენებდნენ ძველი ინკები და იროკეზები. ძველ ჩინეთში ცნობილი იყო დამწერლობა „ცზე-შენ“. უძველესი დროიდან ფინელები, უგრები, კარელები სლავებთან ერთად ცხოვრობდნენ რუსეთის ჩრდილოეთით, მათ ჰქონდათ კვანძოვანი დამწერლობა, რაზედაც წარმოდგენას გვაძლევს კარელია-ფინეთის ძველი ეპოსი „კალევალა“. გათხრების შედეგად ამოღებულ წარმართული დროის ძეგლებზე შეიმჩნევა რთული კონფიგურაციის არასიმეტრიული კვანძოვანი გამოსახულებები, რომელიც გვაგონებს ალმოსავლეთის ხალხთა იეროგლიფურ დამწერლობას.

ქრისტიანული პერიოდის თხზულებებში ხშირად გვხვდება რთულად გადახლართული გამოსახულებების ილუსტრაციები, სავარაუდოდ, გადახატული არქაული ეპოქის საგნებიდან. მხატვრები, რომლებიც ასე გამოსახავდნენ კვანძებს, მისდევდნენ იმ წესს, რომელიც დამკვიდრებული იყო იმხანად – რომ ქრისტიანულ სიმბოლოებთან ერთად შეეძლოთ გამოეყენებინათ კერპთაყვანისმცემლობის დროინდელი სიმბოლოები. კვანძოვანი დამწერლობის ნაშთებს ვხვდებით „ორრწმენოვანი“ ეპოქის ტაძრების კედლებზე, როდესაც ქრისტიანული ტაძრები ირთვებოდა არა მარტო წმინდანთა სახეებით, არამედ ორნამენტული კვანძებითაც.

თუ ძველ სლავებს ჰქონდათ კვანძოვან-წარმართული დამწერლობა, ის აუცილებლად იქნებოდა ძალიან რთული, მისაწვდომი მხოლოდ რჩეულთათვის – ქურუმებისა და უმაღლესი წრის წარმომადგენლებისათვის. იგი ითვლებოდა წმინდა დამწერლობად. ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად ქრება ძველ სლავთა კულტურაც, ქურუმ-ვოლხვებთან ერთად კვდებოდა „კვანძოვანი“

განასკვული დამწერლობის ცოდნა. ნათელია, რომ კვანძოვანი დამწერლობა ვერ გაუწევდა წინააღმდეგობას უფრო მარტივ და ლოგიკურ წერილობით სისტემას დაფუძნებულს *კირილიცაზე*.

მართლმადიდებლობამ დაიწყო ძველ სლავთა კულტურისა და რწმენის შევიწროება არაუადრეს XI საუკუნისა, გაცილებით გვიან, ვიდრე სხვა ევროპელ ხალხებთან. აქამდე იგი არსებობდა არა უმცირეს ათას ხუთასი წლის მანძილზე. მიღებულია მისი მიკუთვნება სკიფ-სკოლოტების[1] კულტურასთან — მაღალგანვითარებულ მიწათ-მოქმედ ხალხთან, რომლებიც ცხოვრობდნენ დნეპრისპირეთში VI-IV სს. ჩვ.წ.აღ.-მდე. სლავიან-სკოლოტელთა კულტურა დაეცა სარმატთა თავდასხმის დროს ჩვ.წ.აღ.-მდე III ს. მისი შემდგომი განვითარება რამდენიმე საუკუნის მანძილზე შეწყდა ჰუნების თავდასხმის დროს, როდესაც დაიწყო *ბალკანთა დიდი გადასახლება* IV-V სკ. მიუხედავად ამისა, სლავ-ანტების ლეგენდარულ დიდ თავად ბუსადან (იგი მოხსენებულია ეპოსში „ამბავი იგორის ლაშქრობისა" და გოთელ ისტორიკოს იორდანესთან) დაწყებული ვლადიმირ I-მდე სლავების კულტურა ვითარდებოდა თითქმის ნახევარათასწლეული.

სლავური კულტურის არქაული მემკვიდრეობა აცხადებდა და კვლავაც აგრძელებს განაცხადს თავის არსებობაზე, რაც მჟღავნდება აზროვნებაში, ფრაზეოლოგიურ თხრობასა და სტილში, მიმიკასა და ჟესტებში, სულის გაუცნობიერებელ მოქმედებაში, მშობლიურ ბუნებასთან შეხებაში. მისი მნიშვნელობა მდგომარეობს აგრეთვე იმაშიც, რომ იმ შორეული წარსული დროის პერსონაჟთა სახეებს ვეცნობით ადრეულ ასაკშივე, როდესაც ადამიანი სამყაროს უფრო ადვილად, ღიად შეიცნობს.

კიევის რუსეთის კულტურა

სლავი ხალხის ისტორიაში IX საუკუნე შლის ახალ ფურცელს. იწყება აღმოსავლეთის სლავ ტომთა გაერთიანების პროცესი ერთიანი სათავადოს ხელისუფალთა გაელენის ქვეშ,

[1] სკიფ-სკოლოტები არ შეიძლება ავურიოთ მათ სამხრეთელ მეზობლებთან ირანულენოვან სკიფებთან — მომთაბარეებთან ყირიმსა და ჩრდილო კავკასიაში.

სამხედრო ძალის დახმარებით და *გარდარიკაში*[1] იქმნება ახალგაზრდა ძლიერი სახელმწიფო. კიევის რუსეთის ეპოქის დასაწყისად ითვლება ზან მატიანეს მონათხრობის მიხედვით 862 წ., როდესაც ნოვგოროდში სათავადოდ მიიწვიეს ვარიაგი თავადები *რიურიკი, სინეუსი* და *ტრუვორი*, ხან 882 წ. — *ოლეგის* მიერ კიევზე ლაშქრობა. კიევის მთავარ იაროსლავ ბრძენით (1019-1054) მთავრდება კიევის რუსეთის პერიოდი, ზოგჯერ კი *ვლადიმერ მონომახის* (1113-1125) პერიოდამდეც ზრდიან. ამრიგად კიევის რუსეთის ეპოქის ქრონოლოგიური ჩარჩოებია IX საუკუნის შუა — XII საუკუნის დასაწყისი.

ქრისტიანობის მიღება

ამ პერიოდის კულტურული ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენაა რუსეთის გაქრისტიანება. 988 წ. მთავარმა ვლადიმირმა ისტორიული არჩევანი შემთხვევით არ გააკეთა. რუსეთის მდებარეობამ აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაჯვარედინზე, მასზე სხვადასხვა ცივილიზაციების ნაყოფიერმა ზეგავლენამ რუსი ხალხის სულიერი და კულტურული ცხოვრება აამაღლა. თუმცა, მის ისტორიაში ხშირად იქმნებოდა კრიტიკული მომენტი. მიუხედავად დასავლეთ ევროპასთან გეოგრაფიული სიახლოვისა, ძირითადად აღმოსავლეთ სლავ ტომთათვის იდეათა და ადამიანთა გაცვლა ხდებოდა სამხრეთისა და ჩრდილოეთის მიმართულებით, რომელ მხარესაც მიედინებოდა მდინარეები აღმოსავლეთ ევროპის ვაკეზე. ამ გზით, სამხრეთიდან, ბიზანტიიდან ქრისტიანობა შემოედინებოდა რუსეთში უფრო ადრე, ვიდრე ის ოფიციალურად დამტკიცდებოდა და რამაც განაპირობა თავად ვლადიმირის არჩევანი ისევე, როგორც მანამ — *ოლგას* მმართველობის პერიოდში და მასზე ადრეც — კიეველი თავადების *ასკოლდის* და *დირის* დროს. ბიზანტიასთან მჭიდრო ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული კავშირის მეშვეობით რუსეთში შემოვიდა წარმართობის ალტერნატული რელიგია-ქრისტიანობა მის ბიზანტიურ ვარიანტში, რომელმაც საკმაოდ მკაცრად განსაზღვრა კიდეც ახალი რელიგიის არჩევა.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო სხვა ფაქტორიც, რომელიც დაკავშირებული იყო ხალხის რელიგიურ ფსიქოლოგიასთან და მსოფლიოს მხატვრულ-ემოციური აღქმის თავისებურებებთან. ერთობ ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამაზე აკეთებს აქცენტს *„დროთა წლების ამბავი"*. აქ მოთხრობილია რწმენის არჩევისას ვლადიმირისა

[1] *გარდარიკა* — რუსეთის სკანდინავიური სახელწოდება, ნიშნავს „ქალაქთა ქვეყანას".

და მისი ბოიარების ყოყმანის ამბავი. მოთხრობილია, რომ რუსეთში ჩამოდიოდნენ მისიონერები ბიზანტიიდან, დუნაის ბულგარეთიდან — მუსულმანები, ხაზარეთიდან — იუდეველები და ქადაგებდნენ. მოთხრობილია იმაზე, რომ თავადი არ იყო არცერთით კმაყოფილი, ბიზანტიელთა ქადაგებების გარდა; თუ როგორ გაგზავნა თავადმა ბოიარები სხვადასხვა ქვეყანაში კარგი სარწმუნოების გასაცნობად და ასარჩევად. ელჩები იყვნენ მუსულმანებთან და თქვეს, რომ მათი კანონი არ არის სახიკეთო — მასში არ არის რაიმე სასიხარულო; იყვნენ აგრეთვე გერმანელებთან ლოცვაზე და თქვეს, რომ ვერაფერი სილამაზე ვერ ნახეს. ხოლო, როდესაც მოვიდნენ ბერძნებთან ცარგრადში, გაოცდნენ მართლმადიდებლობის ბრწყინვალებით და სილამაზით რელიგიური მსახურების დროს, ისინი ეკლესიურმა გალობამ იმდენად მოხიბლა, რომ ვლადიმირს მოახსენეს — ყველაზე კარგი რწმენა ბერძნული მართლმადიდებლური ქრისტიანობააო.

ბიზანტიურმა ღვთისმსახურებამ რუსებზე, რომლებიც პირველად გაეცნენ ქრისტიანობას, დიდი გავლენა იქონია და მოექცნენ დიდი შთაბეჭდილების ქვეშ. იღუმენ იოანე ეკონომცევის აზრით, იმდენად დამახასიათებელია რუსებისათვის მსოფლიოს სიმბოლიზირებული აღქმა, რომ მათმა მაქსიმალურმა სწრაფვამ აბსოლუტის ერთი აღტყინებით მისაღწევად მისი სასურველ ნიადაგზე დააყენა[1].

დაახლოებით 988 წ. ვლადიმირი თვითონ მოინათლა, მონათლა თავისი რაზმი და ბოიარები და დახვრის შიშით აიძულა კიეველები და მთელი რუსები მონათლულიყვნენ. ნოვგოროდში დობრინიამ, რომელიც ადრე პერუნის კულტს განამტკიცებდა, ახლა ნოვგოროდელების მონათვლა დაიწყო. ნოვგოროდელებმა ფიცი დადეს, არ მიეცათ საგინებლად მამა-პაპათა რელიგია და იარაღით ცდილობდნენ მის დაცვას, მაგრამ დობრინიამ ბრძანა გადაეწვათ ნოვგოროდი. მას შემდეგ შემორჩა გამოთქმა: „ პუტიაგა ნათლავდა ხიშტით, დობრინია კი ცეცხლით“.

„დროითი წლების ამბავში“ აღწერილია, რომ ვლადიმირი მოინათლა ნოვგოროდში, წმინდა ვასილის ეკლესიაში. ნათლობის შემდეგ იგი განიკურნა თვალის აკადმყოფობისაგან (სიბრმავისაგან), რამაც უფრო გაუძლიერა რწმენა ღმერთისადმი. კიევში დაბრუნების შემდეგ ბრძანა მონათლულიყო ქალაქის მთელი მოსახლეობა[2].

[1] იღუმენი იოანე ეკონომცევი. მართლმადიდებლობა, ბიზანტია. რუსეთი: სტატიების კრებული — მ., ქრისტიანული ლიტერატურა, 1992. — გვ.37.

[2] თავადი ვლადიმირი რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ შერაცხულია წმინდანად.

ფორმალურად რუსეთი გაქრისტიანდა. ჩაქრა პერუნის ცეცხლი, სამარხოვანთა კოცონები, მაგრამ სოფლად ისევ დიდხანს აგებდნენ წარმართულ ყორღანებს, ლოცულობდნენ სვაროჟიჩის ცეცხლზე, აწყობდნენ ძველებურ ხმაურიან დღესასწაულებს. წარმართობამ დაიწყო ქრისტიანობასთან შერწყმის დიდი გზა. ძველი რელიგიის მსახურნი — *ვოლხვები* XII საუკუნის მატიანეში მოხსენებულნი არიან, როგორც კიევის 1113 წ. აჯანყების ორგანიზატორები.

რუსი ხალხი, განვითარების ისტორიულ გზაზე შედარებით გვიან დამდგარი, ქრისტიანობის მიღებამ ბიზანტიის მრავალსაუკუნოვან და მაღალ კულტურას დააახლოვა, მაგრამ არ შეიძლება რუსი ხალხის გაქრისტიანება განვიხილოთ ისე, თითქოს იგი იყო ერთადერთი ამოსავალი წერტილი კულტურის განვითარებაში. მიუხედავად იმისა, რომ ფერწერა, მუსიკა, ხოლო მნიშვნელოვანწილად არქიტექტურა და კიევის რუსეთის მთელი ლიტერატურა იყო სწორედ ქრისტიანული აზროვნების ორბიტის გავლენის ქვეშ მოქცეული, ძველი რუსული ხელოვნების შედევრებზე დაკვირვებული მზერა აღმოაჩენს მის სიღრმისეულ ნათესაურ კავშირს არქაულ მემკვიდრეობასთან: იქნება ეს წიგნის ტექსტზე ინიციალები, ნიშნები, მატიანე, თუ ტაძრების ფრესკებზე და ქანდაკებებზე შესრულებული ორნამენტები, ან საეკლესიო საგალობლების მელოდიური წყობა.

კიევის რუსეთის ხალხი თანდათან ეუფლება ქრისტიანულ მსოფლმხედველობას, რომლის თანახმადაც გრძნობით აღქმული სამყარო ჭეშმარიტ რეალობას ვერ ფლობს. იგი არის მხოლოდ ანარეკლი უზენაეს ჭეშმარიტებათა სამყაროსი, რომელსაც გააჩნია მარადიული ყოფიერება (ანუ მუდმივი არსებობა), რომლის აზრთანაც მიახლოება შეიძლება მხოლოდ ღვთიური რწმენის გულწრფელად მიღებით, გონივრული ჭვრეტით, მისტიკური განჭვრეტით. ადამიანი ამ ჭეშმარიტებებს აღიქვამს ნიშნებით, სიმბოლოებით. ამრიგად, სიმბოლო წარმოადგენდა შემეცნების, სამყაროს ათვისების საშუალებას და იყო საკრალურისა და სამყაროსეულის არსებითად ერთადერთი შერარჩუნებული მაკავშირებელი.

მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე ისიც, რომ ქრისტიანობა ანიჭებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სიკეთისა და ბოროტების პოლარულ კატეგორიებს, აყალიბებს გამყოფ ხაზს მათ შორის თვით ადამიანში გავლით. ადამიანის სხეულის სამყარო, დაბინძურებული ცოდვებით, ვალდებულია გარდაისახოს პიროვნების ინდივიდუალური შესაძლე-

ბლობებით. *მოძღვრება ცოდვებზე და გადარჩენაზე* (ბერძნ. ხამარტიოლოგია) ქრისტიანული ღვთისმეტყველების ცენტრი ხდება.

ქრისტიანობის მიღებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ძმების კირილესა და მეთოდეს მიერ IX ს. მეორე ნახევარში *სლავური დამწერლობის* შექმნა ბერძნული დამწერლობის საფუძველზე, რამდენიმე ბგერის დამატებით. ისინი ბიზანტიიდან ჩამოვიდნენ ველიკომორავიის სახელმწიფოში თავად როსტისლავის მოწვევით და მისიონერული მიზნებით 863 წ.

911 წ. ოლეგსა და ბიზანტიას შორის ხელშეკრულება უკვე იყო დაწერილი ორ ენაზე – ბერძნულსა და სლავურზე. საზოგადოების სხვადასხვა ფენაში განათლების ფართო გავრცელებაზე მოწმობს მატიანეები და არქეოლოგიური აღმოჩენები, რომლებიც XI საუკუნეს მიეკუთვნება და ნოვგოროდის მრავალრიცხოვანი სიგელები.

ლიტერატურა

რუსული ლიტერატურა დაიბადა XI საუკუნის პირველ ნახევარში გაბატონებული კლასის წიაღში. შუა საუკუნეების რუსული კულტურა იყო ელიტარული. ძველ რუსეთში წამყვანი როლი ლიტერატურულ პროცესში ეკლესიას ეკავა. საერო ლიტერატურასთან ერთად ფართოდ განვითარდა *საეკლესიო* ლიტერატურაც.

შუა საუკუნეების სიტყვიერება რუსეთში არსებობდა მხოლოდ ხელნაწერთა ტრადიციის ჩარჩოებში. საბეჭდი დაზგის გამოჩენამაც კი ოდნავ შეკვეცა სიტუაცია XVIII საუკუნის შუა ხანამდე. საწერ მასალად იყენებდნენ პერგამენტს, ხბოს ტყავს განსაკუთრებული დამუშავების შემდეგ. ქაღალდმა საბოლოოდ განდევნა პერგამენტი მხოლოდ XV-XVI საუკუნეებში. წერდნენ *მელნით* და *სინჯარით*, XIX ს.-მდე იყენებდნენ ბატის ფრთას (ბუმბულს). მასალის სიძვირის გამო ეკონომიურად წერდნენ: ტექსტი იწერებოდა ერთ სტრიქონად სიტყვების დაშორიშორების გარეშე. ხშირად გამოყენებულ სიტყვებს ამოკლებდნენ – აქარაგმებდნენ. XI-XIII საუკუნეებში ხელწერას მეცნიერებაში ეწოდა წესდება თავისი შკაფიო, სადღესასწაულო ხასიათის გამო.

ძველი რუსული წიგნი – ყოვლისმომცველი ხელნაწერია, შედგენილი რვეულებისაგან, ხის გარეკანზე გადაკრული ამოტვიფრული ტყავით. XI საუკუნეში რუსეთში ჩნდება მდიდრული წიგნები სინგური ასოებით და მხატვრული *მინიატურებით*. აკინძული და შესრულებულია ოქროს ან ვერცხლის ჭედურობით, გადაკრულ ყდაში ჩასმული, მრთელი მარგალიტით, ძვირფასი ქვებით, მინანქრით.

ასეთია *ოსტრომიროვის სახარება* (XI ს.) და *მსტისლავის სახარება* (XII ს.).

სალიტერატურო ენის საფუძველია – ძველი რუსული ცოცხალი სასაუბრო ენა, უფრო ზუსტად – კუთხური დიალექტები (სამხრეთისა და ჩრდილოეთის) – დნეპრისპირული და დიდი ნოვგოროდული. ამასთან ერთად, ამ პროცესის ფორმირებაში დიდი როლი ითამაშა მისმა ახლო მონათესავე, თუმცა კი წარმოშობით სხვა მიწა-წყლის ძველმა სლავურმა, ანუ საეკლესიო სლავურმა ენამ. სწორედ ამ ენაზე კირილემ და მეთოდემ IX საუკუნის მეორე ნახევარში თარგმნეს წმიდა წერილი. ამის საფუძველზე რუსეთში განვითარდა *საეკლესიო* დამწერლობა და *დაიწყეს ღვთისმსახურება*. ძველბულგარული ენის ერთ-ერთ დიალექტს, შემდგომში საეკლესიო სლავურს, დიდი რაოდენობით გააჩნდა განყენებული ცნებები, რომლებიც შემდგომ განუყოფელი გახდა რუსული ენისათვის: „სივრცე“, „სამართალისო“, „გონიერება“, „ჭეშმარიტება“.

ძველი რუსული ლიტერატურა წარმოდგენილია მთარგმნელობითი და ორიგინალური სახით. თარგმანი განიხილება, როგორც საკუთარი ნაციონალური სიტყვიერების ნაწილი. ძველი რუსული ლიტერატურის ეკლესიურობა განაპირობებდა სათარგმნი თხზულებების არჩევანს, რაც სახელნაწერო ტრადიციებში არსებობდა. ძველი სლავური მთარგმნელობითი დამწერლობის საწყისი ეტაპი განისაზღვრა საღვთო წერილებით, რომლებიც ადრექრისტიანული IV-VI საუკუნეების ეკლესიის მამათა – *იოანე ოქროპირის* (350-370), *კასიელი დიდის* (დაახლ. 330-379), *გრიგოლ ნაზიანზელის* (დაახლ. 335-დაახლ. 394), *კირილე იერუსალიმელის* ნაწერებია. ითარგმნებოდა აგრეთვე მასობრივი ლიტერატურის ნაწარმოებები: იონა მალალის ქრონიკა, კოზმა ინდიკოპლოვის „ქრისტიანული ტოპოგრაფია“, აპოკრიფები, პატერიკები. უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა ფსალმუნები, საღვთისმსახურო და განმარტებითი ლიტერატურა.

პირველი ორიგინალური თხზულებანი დაწერილი აღმოსავლეთ სლავთა ავტორობით, მიეკუთვნება XI საუკუნის ბოლოსა და XII საუკუნის დასაწყისს. მათ შორისაა ისეთი ცნობილი ძეგლები, როგორიცაა *„დროითი წლების ამბავი“*, *„თქმულება ბორისსა და გლებზე“*, *„ფეოდოსია პეჩორელის ცხოვრება“*, *„სიტყვა კანონისა და წყალობის შესახებ“*.

XI-XII საუკუნეების ძველი რუსული ლიტერატურის ყანრობრივი სხვადასხვაობა დიდი არ არის: მატიანე, ცხოვრება და

სიტყვა (თქმულება, ამბავი). ძველ სლავურ ლიტერატურულ ნაწარმოებთა ჟანრებად დაყოფა საკმაოდ პირობითია. ეს იმიტომ ხდება, რომ აღმოსავლეთ სლავთა წიგნების გამომცემლებს არ ჰქონდათ საერთო წარმოდგენა ჟანრობრივ კატეგორიებზე. ერთსა და იმავე ტერმინს „*სიტყვა*“ (თქმულება, ამბავი), მწერლები ერთნაირად უწოდებენ ილარიონ მიტროპოლიტის მიერ წარმოთქმულ საზეიმო სიტყვასაც და საბრძოლო ამბავსაც.

ძველი რუსული ლიტერატურის ჟანრებს შორის *მატიანე* ვითარდებოდა რვა საუკუნის მანძილზე (XI-XVIII საუკუნეები) და ეკავა ცენტრალური ადგილი. არცერთ ევროპულ ტრადიციას არ გააჩნია იმდენი რაოდენობის ანალები, როგორც რუსულს. ძირითადად, თუმცა არა ყოველთვის, მატიანეს წერდნენ ბერები სპეციალური სასწავლო ჩვევების გავლის შემდეგ. მატიანეები იწერებოდა თავადის, იღუმენის, ან ეპისკოპოსის დავალებით, ხოლო იშვიათად, საკუთარი ინიციატივით. თუ მატიანე იწერებოდა პირდაპირი დაკვეთით, ასე თუ ისე ჰქონდა ოფიციალური ხასიათი, ასახავდა პოლიტიკურ პოზიციას, დამკვეთის სიმპათიას ან ანტიპათიას. მაგრამ არ ღირს ძველი რუსული მატიანეების ოფიციოზურობის გადაჭარბებული შეფასება, როგორც ამას ხანდახან ისტორიული მეცნიერება აკეთებს. სინამდვილეში მემატიანეები დამოუკიდებელ აზრს გადმოსცემდნენ, აღწერდნენ ფართო მასების თვალსაზრისს ამა თუ იმ მოვლენაზე, ხშირად თავადთა მოქმედებების კრიტიკაც იყო, რადგან ასახავდნენ „ყოველივე სიკეთეს და უკეთურობას“ და „არ ალამაზებდნენ ნაწერს“.

უძველესი რუსული მატიანეა „*დროითი წლების ამბავი*“, რომელსაც ორიგინალში უფრო ვრცელი სათაური აქვს: „*ესე ამბავი დროით წელთა საიდან არის და ვინ დაიწყო კიევში პირველი თავადობა, და საიდან დაიწყო რუსულმა მიწამ ყოფიერება*“. ჩვენამდე ამ მატიანეს მოაღწია ხელით გადაწერილი ასლების სახით და XIV საუკუნით თარიღდება. ამათგან საუცხოოდ ითვლება ორი: 1377 წლის კრებული, პირობითად წოდებული *ლავრენტის მატიანედ*, მწერალი-ბერის ლავრენტის სახელის უკვდავსაყოფად, რომელიც მან გადაწერა სუზდალის დიდი თავადის დიმიტრი კონსტანტინეს ძისათვის (მის შემადგენლობაში შევიდა „ამბავი“ 1110 წლამდე და სუზდალის მატიანე, აღწერა მთავრდება 1305 წლით) და კრებული XV საუკუნის დასაწყისით დათარიღებული, რომელმაც მიიღო სახელწოდება შენაბვის ადგილის მიხედვით — *იპატის მატიანე* და კოსტრომის იპატის ტაძრის

კუთვნილებაა. (მის შემადგენლობაში „ამბავის“ გარდა შედის კიევის მატიანე 1201 წლამდე და გალიცია-ვოლინის, 1201-1292 წწ.).

მთავარი განსხვავება ამ ორ „ამბავს“ შორის — მის დასასრულშია. ლავრენტის მატიანე ბოლოვდება ნახევარსიტყვაზე შეწყვეტილი მოთხრობით, განსაკუთრებულ მოვლენაზე — 1110 წ. 11 თებერვალს კიევ-პეჩორის მონასტრის თავზე გაჩენილ ცეცხლის სვეტზე. იპატის სიაში ეს ამბავი დასრულებულია და მას მოჰყვება რამდენიმე თქმულება, რომელიც 1111, 1112, 1113 წლებს ეხება. „ამბავის“ ავტორობა მიეწერება კიევ-პეჩორის ლავრის მონაზონ *ნესტორს*, რომელმაც იგი შექმნა შექმნა დაახლოებით 1113 წელს.

ნაწარმოებთა ძირითადი იდეა ღრმად პატრიოტულია — ესაა რუსული მიწის ერთიანობა. თავადთა ბრძოლები და სისხლისღვრა, რამაც შეძრა რუსული მიწა, მემატიანეთა მიერ უარყოფითად არის განხილული. ამრიგად, კიევი გახდა ადგილი, სადაც შეიქმნა საერთო რუსული მატიანის პირველი კრებული, მთლიანობაში რუსული მიწა-წყლის ისტორიის წარმომთქმელი.

ძველი რუსული ლიტერატურის ასევე გავრცელებული ჟანრია „*ცხოვრება*“ — ტერმინი სიტყვა-სიტყვით შეესაბამება ბერძნულ სიტყვას „ცხოვრება“ და ლათინურს vita. იგი წარმოადგენს გამოჩენილი ეპისკოპოსების, პატრიარქების, ბერ-მონაზვნების, მონასტერთა დამაარსებლების, იშვიათად კი, მალალი საზოგადოების იმ ადამიანთა ბიოგრაფიებს, რომელთაც ეკლესია თვლიდა წმინდანად. აქედან გამომდინარე, მეცნიერებაში „ცხოვრება“ ხშირად მოიხსენიება ტერმინით *აგიოგრაფია* (ბერძნ. agios — წმინდა და grafo — ვწერ).

„ცხოვრების“ შედგენა მოითხოვდა გარკვეული წესებისა და თხრობის სტილის დაცვას: აუცილებელი თხრობა მესამე პირში, კომპოზიციურობის სამნაწილიანი ფორმის დაცვა — შესავალი, ცხოვრება და დასკვნა. ავტორი შესავალში ითხოვს მიტევებას მკითხველისგან, რომ ვერ წერს კარგად, დასკვნაში კი აუცილებელი იყო გმირის ქება, ამიტომ განსაკუთრებით საპასუხისმგებლო იყო ავტორის მიერ რიტორიკის კარგი ცოდნა. მთავარი მომქმედი პირი გამოჰყავდათ აუცილებლად წმინდანად, უარყოფითი გმირი შეპყავდათ კონტრასტისათვის და მოქმედებდა უკანა პლანზე. „ცხოვრების“ ჟანრი უშოძრაოა, იგი გამორიცხავს ხასიათის ჩამოყალიბებას და ჩვეულებრივად მიდის იქით, რომ მასალის შეკრებისას მკვეთრი ილუსტრაციით წარმოაჩინოს გმირის წმინდანობა,

აგიოგრაფია — რეალისტურამდელი ხელოვნებაა, რომლის უახლოესი პარალელია ძველი რუსული ხატწერა. ადამიანს აშორე-

ბდნენ ინდივიდუალობის გამომსახველ ყველა ნიშანს, „დროულობას“, იგი ხდებოდა მხოლოდ სიკეთის, ან ბოროტების მატარებელი.

გადმოცემით, მემატიანე – ნესტორი ავტორია ჩვენამდე მოღწეული პირველი სამი ცხოვრებისა – ორი პირველთაგანი ქრისტიანი წამებული ძმების – თავადების ბორისისა და გლების – შესახებაა („*თქმულება ბორისსა და გლებზე*“) და მესამეა ილუმენ ფეოდოსის – კიევის ლავრის დამაარსებლის ცხოვრება („*ფეოდოს პეჩორელის ცხოვრება*“).

ეწამნიან ლაპარაკს ძველად უწოდებდნენ *ჭკუის სწავლებას* და *სიტყვას* და მიაკუთვნებენ მჭერმეტყველების ჟანრს. მისი განვითარების „ოქროს საუკუნედ“ XII საუკუნე ითვლება, XIII საუკუნეში ეს ჟანრი დაცემას განიცდის, XIV საუკუნეში კი მთლიანად ქრება ლიტერატურულ–ჟანრობრივი წესიდან. ჩვენამდე მოღწეული კიევის რუსეთში შექმნილი საეკლესიო თუ საერო მჭერმეტყველების ძეგლები შინაარსით თუ ფორმით იყოფა დიდაქტიკურად და ეპიდაქტიკურად ე. ი. სადღესასწაულო ხასიათისად.

დიდაქტიკური მჭერმეტყველება – ეს სფერო ყველასათვის მისაწვდომია, ვისაც ეხერხებოდა წერა ან მინიმალურად მაინც ჰქონდა ნაბოძები მეტყველების უნარი. მისი პრაქტიკული მიზანი იყო დამოძღვრა, ინფორმაცია, პოლემიკა. ამისი ნაოელი მაგალითია – „*ვლადიმერ მონომახის დარიგებანი*“, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია 1096 წლით დათარიღებული ლავრენტის სიით „*დროითი წლების ამბავი*“. „*დარიგებანის*“ დასაწყისში ვლადიმერ მონომახი, თავისი დროის ერთ-ერთი გამოჩენილი თავადი, თავის ვაჟებს აძლევს მთელ რიგ მორალურ მითითებებს, დარიგებებს, წმინდა წერილიდან ამოღებულ ციტატებს. ძალიან მალე ეს მორალური თემა, ეკლესიური დარიგებები, გადაიზარდა პოლიტიკურ ანდერძში, ვაჟებისათვის განკუთვნილ გაკვეთილში, თუ როგორ იცხოვრონ თავადურად, მართონ სახელმწიფო. ნაწარმოები მთავრდება თავადის ავტობიოგრაფიით.

სადღესასწაულო მჭერმეტყველება – შემოქმედებითი სფეროა, რომელიც საჭიროებს ჩანაფიქრის არა მარტო იდეურ სიღრმისეულ გააზრებას, არამედ ლიტერატურულ ოსტატობასაც. ამ ჟანრის ჩვენამდე მოღწეული უძველესი ძეგლია „*სიტყვა კანონზე და მწყალობელზე*“. მის ავტორობას მიაწერენ კიევის პირველ მიტროპოლიტს ილარიონს და ათარიღებენ 1037 წლისა და 1050 წლების შორის.

მონასტრები

რუსი ხალხის გაქრისტიანების შემდეგ დაიწყო საკულტო ნაგებობათა, ეკლესიებისა და მონასტრების მშენებლობა. ერთ-ერთი პირველთაგანი იყო XI საუკუნის შუა პერიოდში აგებული *კიევ-პეჩორის* ცენტრალური მონასტერი, დაარსებული ანტონი და ფეოდოსია პეჩორების მიერ. პეჩერები ან *პეშჩერები* – მღვიმე ადგილებია, სადაც თავდაპირველად სახლდებოდნენ ქრისტიანები, რომელთა გარშემოც იქმნებოდა დასახლებები და იქცეოდა საერთო საცხოვრებელ მონასტრად. კიევის მონასტერთან ერთად ცნობილია ჩერნიგოვის *ილინსკის მიწისქვეშა მონასტერი*, ესაა უნიკალური ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლი ბოლდინის გორის შიგნით. გადმოცემით იგი დაარსებულია ანტონის მიერ დაახლოებით 1069 წ. ასევე ცნობილია ფსკოვის ოლქის იზბორის ქვეით აგებული *პეჩერის მონასტერი*.

მჭევმეტყველობა რუსეთში ქრისტიანობასთან ერთად დაიწყო და დაკავშირებულია მის აპოლოგეტთან – უწმინდეს ანტონისთან. ქრისტიანული სასულიერო კულტურის არაორდინალური მოვლენაა ევრეთ წოდებული *ისიქია (მდუმარება, ბრძნული საქმიანობა)*, – ესაა გზა ადამიანის გარდასახვისა ასკეტიზმიდან სულიერებაში, ამქვეყნიური სამყაროდან გასვლა. რუსეთში მიწისქვეშეთის მონასტრები იყო ისიქიის კერები, სადაც არ ისმოდა სამყაროსეული ხმები და შხის შუქი ლოცვის დროს, ხელს არ უშლიდა ტრადიციულად არ იყო ასეთი მკაცრი. ადამიანებს, რომლებმაც უარყვეს ყოველდღიური ცხოვრება და წავიდნენ მონასტერში, შეეძლოთ გაეგრძელებინათ საერო საქმიანობა. მონასტრის ილუმენები ეპისკოპოსების დონეზე გამოდიოდნენ როგორც დიპლომატები, შუამავლები, მოსამართლეები. მონასტრები გახდა სასულიერო განათლების გამავრცელებელი ცენტრები. რიგით ბერს შეეძლო გამხდარიყო შემატიანე, სწორთმოძღვარი, ხატმწერი. მონასტრებმა დიდი როლი ითამაშეს რუსი ხალხის ბიზანტიის კულტურის მდიდარ მიღწევებთან დაკავშირებაში, განათლების განვითარებასა და მსხვილი ლიტერატურული და მხატვრული ფასეულობების შექმნაში.

მშენებლობა. არქიტექტურა

X საუკუნის ბოლოს, ქრისტიანობის მიღების შემდეგ, რუსეთში დაიწყო მშენებლობაში ქვის გამოყენება. ასეთი ტიპის ნაგებობები პირველად ააგეს ბიზანტიელმა ოსტატებმა. ქვის ერთ-ერთი პირველნი ნაგებობა კიევში *დესიატინის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია* (989-996), დაინგრა ბათუს

შემოსევების დროს 1240 წ. ბიზანტიური *ჯვარ-გუმბათოვანი* ტაძარი რუსეთში იქცა ძირითად არქიტექტურულ ფორმად. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოკვლეული და დადგენილია, რომ ამ უძველესი ტაძრის ნაგებობის ფართობი დაახლოებით 900 კვ. მ-ია, მემატიანეს მიერ გადმოცემულია, რომ მას 25–თავიანი გვირგვინი ჰქონდა და ჩანაფიქრითა და შესრულებით გრანდიოზული იყო.

ასევე აღსანიშნავია *კიევის სოფიის*[1] 13 ტავიანი ტაძარი, აგებული იაროსლავ ბრძენის დროს. კიევისა და კონსტანტინოპოლის ერთნაირი სახელწოდების ტაძრები მოწოდებული იყო მიენიშნებინა რუსეთისა და ბიზანტიის თანასწორობაზე. არქეოლოგიურმა გათხრებმა აღმოაჩინა, რომ ტაძარი გარშემორტყმული იყო მიტროპოლიტის ციხე-სიმაგრის კედლით. სოფიის ტაძარი – არის არა მარტო ხუროთმოძღვრული ძეგლი, არამედ სახვითი ხელოვნების ნიმუშიც. შიდა ნაგებობებში შემორჩენილია მოზაიკა, მოზაიკური იყო იატაკიც. მრავალი ფრესკა დაწერილი იყო რუსულ სიუჟეტებზე. გამოსახულია იაროსლავ ბრძენის ოჯახი, ყოფითი სცენები: სკომოროხების ცეკვები, ნადირობა დათვებზე, სამხედრო ბრძოლები.

ბიზანტიურ ნიმუშებთან შერწყმით აფსიდში გამოსახულია მლოცველი ღვთისმშობლის, მოციქულების და წმინდანთა ფიგურები. თაღის ქვედა სიცარიელე ეთმობა *ყოვლისმპყრობელის* სახეს, კედლებზე გამოსახული იყო ბიბლიური სიუჟეტები, მოციქულთა, წამებულთა ფიგურები, აგრეთვე, ბიზანტიური ტრადიციით – თავადი და მისი ოჯახის წევრები.

XI საუკუნის 30-იან წლებში აგებულ იქნა ქვის *ოქროს კიბეშარები* კარის ღვთისმშობლის ეკლესიისათვის. ამავე პერიოდში აიგო ტაძრები პოლოცკში, ჩერნიგოვში, ვიდუბიცკსა და კიევ-პეჩერის მონასტრებში. კიევთან ახლოს ვიშგოროდში, რუსეთის პირველ წმინდანთა – თავადების ბორისისა და გლების პატივსაცემად ააშენეს გრანდიოზულ ტაძარი, რომლის ფართობი დაახლ. 600 კვმ-ია.

კიევის რუსეთის ხუროთმოძღვრული შემოქმედების ცნობილი ნაგებობაა ნოვგოროდის *სოფიის ტაძარი* (1045-1050), რომლის არქიტექტურული გამომსახველობით უკვე ამოიცნობა ნოვგოროდის მომავალი არქიტექტურული სტილის ზოგიერთი ნიშანი. იგი კიევის არქიტექტურასთან შედარებით საკმაოდ მკაცრია, აქვს 5 გუმბათი განლაგებული სიმბოლური წყობით, შედარებით დიდია და უხვშად დაწყობილი ადგილობრივი კირქვისგან ნაგები კედლები. ინტერიერში

[1] წმ. სოფიო (ღვთიური სიბრძნე) – პოპულარული თეოლოგიური სახე.

არ არის მკვეთრი მოზაიკა, არამედ მხოლოდ ფრესკებია, მაგრამ არა ისეთი დინამიური, როგორც კიევში, ძველი წარმართული ორნამენტების სიჭარბის გამო მკვეთრადაა გამოკვეთილი კვანძოვანი დაწნულობა[1], იგი ნახატივით ჩანს.

ხელოსნობა

კიევის რუსეთში კარგად იყო განვითარებული ხელოსნობა: მექოთნეობა, საიუველირო, ლითონის დამუშავება და სხვა. X საუკუნეში ჩნდება მექოთნეთა წრე და დღემდე პოულობენ არქეოლოგები ყოფილი კიევის სახელმწიფოს ტერიტორიაზე არაწეულებრივ შიფერის ნართებს, სადგამს თითისტარისათვის. XI ს. შუა პერიოდს ეკუთვნის პირველი ცნობილი ხმალი რუსული წარწერით: „ხალხის საჭედი". ამ პერიოდიდან არქეოლოგიურ გათხრებში რუსული ხმლები ხშირად გვხვდება ბალტიისპირეთში, ფინეთში, სკანდინავიაში.

რუსებს ძალიან რთული საიუველირო ტექნიკა ჰქონდათ, რუსულ ნაკეთობაზე დიდი მოთხოვნა იყო იმდროინდელ მსოფლიო ბაზარზე. მრავალი მორთულობა შესრულებულია მარცვლოვანი ტექნიკის მეთოდით: ნაწარმზე ადულებდნენ ნახშს, რომელიც შედგენილი იყო ბევრი ბურთულისაგან. ხდებოდა სკანირებაც თხელი მავთულებით მიდუღებული მეტალის ზედაპირზე, შუალედებს პატარა ტიხრებს უკეთებდნენ და სხვადასხვა ფერის მინანქრით ავსებდნენ. ასე იღებდნენ ძვირადღირებულ საიუველირო ნაწარმს, *ტიბრული მინანქრის* დამუშავების ტექნიკა ტიპიური რუსული მორთულობაა.

მონღოლთა შემოსევამდე კიევის რუსეთი იქცა მაღალგანვითარებული კულტურის ქვეყნად. უკვე XI საუკუნეში მან მიაღწია ევროპის მოწინავე ქვეყნების დონეს და ორასი წლის მანძილე საბელმწიფო ჰქონდა ჩამოყალიბებული. თავად რიურიკთა კვერთხის ქვეშ ერთიანი სახელმწიფო აერთიანებდა (დაახლოებით 7000 კვმ ფართობი) აღმოსავლეთ სლავურ, ბალტიისპირეთის ლეტო-ლიტვურ და ფინეთ-უგორის ტომებს. საფუძველი ეყრება ძველი რუსი ხალხის ერთობას, რომელიც გამოიხატა გამოთქმებისა და ყველანაირი ადგილობრივი ტომობრივი დიალექტების ბაზაზე ერთიანი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში, ერის გამთლიანებაში. ეროვნულობის შეგნება, მთელი ხალხის გაერთიანება ხელს უწყობს საერთო კულტურის ფორმირებას. იმ დროისათვის მაღალი საზოგადოებრივი აზრის დონეს, ნაციონალურ თვითგანვითარებას დემონსტრირებას უკეთებს რუსული

[1] რიბაკოვი ბ. ა. კიევის რუსეთი და რუსეთის სათავადოები XII-XIII სს. – მ., 1982. – გვ.531.

მატიანეები. კიევის რუსეთის ეპოქაში ჩაისახა კულტურულ-ისტორიული განვითარება, რომელშიც ერთმანეთს გადაეკვეთა წარმართული და ქრისტიანული რელიგიები.

კიევის მთავრის თაყვად ვლადიმერ მონომახის გარდაცვალების შემდეგ რუსეთში დაიწყო შინაომები და ურთიერთშორის ანგარიშსწორება. კიევის ბატონობა სხვა ქალაქებზე შესუსტდა. დაიწყო რუსული ქალაქების განცალკევება – გალიჩი, სუზდალი, როსტოვი, ვლადიმირი. სწორედ ვლადიმირში (კლიაზმაზე) გადაიტანა სატახტო ქალაქი როსტოვ-სუზდალიდან *იური დოლგორუკის* შვილმა *ანდრეი ბოგოლუბსკიმ*. მან კიევიდან გამოაბრძანა ღვთისმშობლის ბიზანტიური ხატი – ყველაზე მთავარი წმინდანი, რუსეთის ქრისტიანობის სიმბოლო, რომელსაც ეწოდა *ვლადიმირის ღვთისმშობელი*. ვლადიმირში აიგო ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, რომელიც გახდა ჩრდილო-აღმოსავლეთ რუსეთის მთავარი ტაძარი. ღვთისმშობლის კულტის დაფუძნებით ვლადიმირი თითქოს წინ აღუდგა კიევისა და ნოვგოროდის რუსეთის ცენტრებს, რადგანაც იქ თაყვანს სცემდნენ უპირველესად წმინდა სოფიას.

კიევის გარშემო მიმდინარეობდა ბრძოლა, მთავრის ხელისუფლება ხელიდან ხელში გადადიოდა. 1169 წ. ანდრეი ბოგოლუბსკის რაზმებმა აიღეს კიევი და გაძარცვეს. სამი საუკუნის მანძილზე კიევი არსებობდა თავისი დიდებულებით და ბრწყინვალებით, ახლა იგი ხიშტით და მახვილით დაანგრიეს თანატომელებმა. ეს მოვლენა ითვლება კიევის რუსეთის ეპოქის დასასრულად.

რუსეთის მიწა-წყლის ამ მძიმე პერიოდში, მოხდა რუსეთის ისტორიისთვის მნიშვნელოვანი მოვლენა – მატიანეში 1147 წელს მოხსენებულია სუზდალის მიწა-წყლისათვის პატარა ქალაქი – *მოსკოვი*.

რუსეთის სამთავროების კულტურა XII–XIII საუკუნეებში

1132 წ. როდესაც სამთავროები გამოეყიდნენ კიევის გავლენის მფლობელობიდან, დაიწყო ფეოდალური დაქუცმაცებულობა, რომელიც გაგრძელდა XIII საუკუნემდე. ეს ის პერიოდია, რომელიც რუსეთმა გაიარა კიევის რუსეთის დაშლიდან ვიდრე თათარ-მონღოლების დაპყრობითი ომის დაიწყებამდე. ეს მონაკვეთი ხასიათდება

წარმატებული განვითარებით – რუსულ სათავადოებში ქალაქების ზრდით, შეიმჩნეოდა კულტურის აყვავება.

ლიტერატურული ძეგლები

ყველაზე პირველად ადგილობრივ ფეოდალურ ცენტრებში განვითარდა მემატიანეობა, შეიქმნა სამატიანო კრებულები. მათ შორისაა *კიევის მატიანის* კრებული (1198), *ვლადიმირის მატიანე* (1177), *გალიციის მატიანე* (XIII ს.). ამ კრებულებს დიდი მნიშვნელობა აქვთ, რამდენადაც მათში თავმოყრილი და შენახულია რუსული სიტყვიერების გამორჩეული ნიმუშები.

ლიტერატურულ ძეგლთა შორის ცენტრალური ადგილი უკავია *„ამბავს იგორის ლაშქრობის შესახებ“*, დაწერილს 1185 წ. კიევში. „ამბავის“ ხელნაწერი ნაპოვნია იაროსლავში 1792 წ., იგი შეისწავლა ნ. მ. კარამზინმა. ნაპოლეონის შემოსევის დღეებში ის მოსკოვში გაჩენილი ხანძრის დროს დაიწვა, მაგრამ დაკარგვამდე გამოქვეყნებული იყო ამ წყაროს ასლი. მალე გაჩნდა ეჭვი დედნის ტექსტის ირგვლივ. არგუმენტად მოჰყავდათ, რომ იმ პერიოდისათვის არ იყო ასეთი ლიტერატურული დონის ნაწარმოები. მაგრამ პოემის ენის ანალიზმა, მასში გამოყენებულმა ეპიჩაღურმა სიტყვებმა დაამტკიცა, რომ ძეგლი XII საუკუნეს ეკუთვნის.

„ამბავი იგორის ლაშქრობის შესახებ“ არის მხატვრულ-ლიტერატურული გამოძახილი 1185 წელს მომხდარ ამბავზე, როდესაც ჩრდილოეთის ლაშქარი თავად იგორ სვიატოსლავიჩის მეთაურობით გაანადგურა პოლოვეცკის ხანმა კონჩაკმა. პოემა მიმართულია „არა სიმარტოვისაკენ“, არამედ მტრის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ არა ცალკეული რუსი თავადების, არამედ ერთად შეერთებული ძალისა. ნაწარმოები ითვლება მსოფლიო მნიშვნელობის ლიტერატურულ შედევრად, იგი მეტაფორებისა და რიტმული პროზის ოსტატობის ნიმუშია. რუსული სიტყვიერების ლირიული სიმბოლიკის საუკეთესო ფურცელია იაროსლავნას მიერ იგორის დატირება.

XII საუკუნის რუსეთის ყოფითი ცხოვრების სხვადასხვა მხარეებია აღწერილი შესანიშნავ ნაწარმოებში *„ამბავი დანიელ ზატოხნიკისა“* (1197), რომელიც შესრულებულია აფორიზმების ფორმით. *„დანიელ ზატოხნიკის ლოცვაში“* თითქმის მთლიანადაა შესული „ამბავი“ – მაგრამ აქ მთავარია ავტორის პოზიცია, სადაც იგი გამოდის ძლიერი თავადური ხელისუფლების მომხრედ და კიცხავს ბერებს.

ბათო ყაენის და სხვა უცხოელების შემოსევებმა და თავდასხმებმა რუსულ სიტყვიერებაში ახალი თემა წარმოშვა, ესაა

ბრძოლა დამპყრობლების წინააღმდეგ და შეიქმნა ახალი ჟანრი — *დაკარგული სამშობლო მიწის დატირება*. 1236-1246 წლებში შეიქმნა *„ამბავი რუსული მიწის დაღუპვის შესახებ“*, რომელიც არის შესავალი წინათქმა ნაწარმოებისა *„თქმულება ალექსანდრე ნეველის ცხოვრების შესახებ“*, რომელმაც ჩვენამდე არ მოაღწია. 1237 წ. მოვლენები, რიაზანის მცხოვრებთა გმირული თავგანწირვა აღწერილია *„თქმულებაში ბათუს მიერ რიაზანის დანგრევაზე“*.

მთლიანობაში ამ პერიოდის ლიტერატურა არის მთელი რუსი ხალხის პატრიოტული სულისკვეთების გამომხატველი, მისი მაღალი სულიერების მატარებელი. მასში წარმოჩენილია გმირთა მაღალი ზნეობა.

ხუროთმოძღვრება

XII-XIII საუკუნეებში რუსეთის მიწა-წყალზე შექმნილია ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლები. ჩნდება მხატვრული სკოლები: ნოვგოროდის, ვლადიმირ-სუზდალის, გალიცია-ვოლინსკის, პოლოცკის და სმოლენსკის.

ნოვგოროდის არქიტექტურული ნაგებობანი ხასიათდება სიმკაცრით, ფორმის სისადავით, დეკორატიულ მორთულობათა სიძუნწით. ცნობილი ნაგებობებია — ანტონის და იურის მონასტრების ტაძრები, იაროსლავის სასახლის კარის ნიკოლის ტაძარი, ნერედიცაში მაცხოვრის ეკლესია. თათრების შემოსევების დროს ხელოსნების გამოძახებისა და ხარკის დადების გამო ასი წლის განმავლობაში შეწყდა მშენებლობა ქვის მასალისაგან და მხოლოდ 1292 წ. აიგო ლიპნში ნიკოლის სახელობის ქვის ტაძარი. მისი აგების დროს გამოყენებული იყო ახალი სამშენებლო ტექნიკა: ვოლხოვის ნათალი ქვის ფილები იწყობოდა კირისა და ქვიშის ნაჯერი ხსნარით.

XII-XIII საუკუნეების *რუსეთში* კულტურის ცნობილი მონაპოვარია *ვლადიმირის ბუროთმოძღვრული* ძეგლი. მთავარ ანდრია ბოგოლუბსკის (დაახლ. 1111-1174) ოცნება იყო მთელი რუსეთის გაერთიანება, მშენებლობა ექვემდებარებოდა საზოგადოებრივ ბრძოლას. ააგეს ოქროს ჭიშკრები, რომელიც ითვლება სამხედრო-თავდაცვითი არქიტექტურის ძეგლად, აიგო მიძინების ტაძარი, რომელსაც წილად ერგო მიწის დიდი მამულები. 1194-1197 წწ. ვსევოლოდ III-მ (ვსევოლოდ დიდი ბუდე) ააშენა დიმიტრის სახელობის ტაძარი, რომელმაც განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა თავისი მხატვრული ღირსებებით.

1158-1165 წწ. დაარსდა სამთავრო რეზიდენცია — ბოგოლუბსკის ციხე-სიმაგრე და მის სიახლოვეს ვკვარ-გუმბათოვანი ტიპის ერთთავიანი ოთხმზრიანი ტაძარი — ნერლზე პოკროვის (ღვთისმშობლის საფარველის) ტაძარი, ამჟამად შესული მსოფლიო საგანძურთა სიაში. იგი გამოირჩეოდა ჰარმონიული პროპორციითა და დახვეწილობით. მაგრამ არქეოლოგიურმა გათხრებმა გვიჩვენა, რომ შენარჩუნებულია თავდაპირველი შენობის მხოლოდ ძირითადი ნაწილი.

ვლადიმირის ხუროთმოძღვრებმა და ქვის მთლელებმა, საჭრეთელით მკვეთავებმა, ააგეს სუზდალში შობის ტაძარი და გეორგიევსკის ტაძარი იურიევ პოლსკში. ორივე ტაძარი აშენებულია არათანაბარი ფოროვანი ტუფისაგან, მხოლოდ ფასადის დეკორატიულ-არქიტექტურული დეტალებია ნათალი თეთრი ქვისაგან. ამაში გამოიხატა ახალი მხატვრული გემოვნება. გეორგიევსკის ტაძარს თანამედროვენი ადარებდნენ სპილოს ძვლისაგან გაკეთებულ ძვირფას ყუთს.

XII ს. 40-იან წლებში განსაკუთრებით ინტენსიურად განვითარდა სმოლენსკის ხუროთმოძღვრება. მსოფლიო ხუროთმოძღვრების მარგალიტი გახდა მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესია. სიმაღლისაკენ სწრაფვა ხაზგასმულია რთული პროფილის ოთხწახნაგოვანი სვეტების ვიგუფით, აგური თეთრადაა დაფერილი. მასში განსაზიერებულია ბალკანეთის, ბიზანტიის, რომანული დასავლეთის ტრადიციები. XII საუკუნის ძეგლად ითვლება *პუტრესა* და *პავლეს* ეკლესია.

მონღოლურ თავდასხმებამდე ძეგლთა რაოდენობით სმოლენსკი მესამე ადგილზე იყო კიევისა და ნოვგოროდის შემდეგ. XII საუკუნის დასასრულსა და XIII საუკუნის დასაწყისში მშენებლობის მასშტაბებით სმოლენსკი წინ უსწრებდა რუსეთის დანარჩენ ცენტრალურ ქალაქებს.

ყველაზე დიდხანს კიევის ტრადიციები შენარჩუნებული იყო *ჩერნიგოვში*. აქ გამოირჩეოდა დიდებული ექვსსვეტოვანი ტაძარი ბორისის და გლების სახელზე, ხარების ტაძარი, პარასკევა პიატნიცას ეკლესია.

გალიჩის ხუროთმოძღვრები იყენებდნენ ადგილობრივ თეთრ კირქვას. ტაძრები შენდებოდა სხვადასხვა დაგეგმარებით. XIII საუკუნის დასაწყისში გალიჩის ახლოს აიგო პანტელეიმონის ეკლესია, რომლის პერსპექტიული პორტალი და კაპიტელები შესრულებულია ამოკვეთილი ჩუქურთმებით. 1259 წ. იოანე ოქროპირის ეკლესია დეკორირებულია ფერადი და მოოქროვილი ჭრილი ქვით. ქვის ჩუქურთმა შესრულებულია რუსი ოსტატის *ავდიეშის* მიერ.

გალიც-ვოლინოს ხუროთმოძღვრებამ განიცადა დასავლეთის ადრეული გოთიკური არქიტექტურის გავლენა – ეს გამოიხატება მოძრგვალებული ეკლესიებით – როტონდებითა და ახალი ტიპის აგურით, ნაცვლად ბრტყელი კიევის ქვისა.

XIV საუკუნის შუა ხანებში გალიც-ვოლინის მიწებმა დაკარგეს დამოუკიდებლობა და შევიდნენ პოლონეთისა და ლიტვის შემადგენლობაში.

ფერწერა და გამოყენებითი ხელოვნება

XII-XIII საუკუნეებში ფერწერა ორი მიმართულებით ვითარდებოდა: ხატწერა და ფრესკა, მაგრამ ხატწერა ჭარბობდა. XII საუკუნიდან დღემდე მოაღწია *„წმინდა გიორგის“* ხატმა (ნოვგოროდში იურის მონასტრის წმ. გიორგის ტაძარი), მოსკოვის მიძინების ტაძრის *„ჩინის“*, ავრეთვე *„მაცხოვრის ხელთუქმნელმა“* ხატმა იმავე ტაძრიდან. იაროსლავის *„ხელთუქმნელი მაცხოვრის“* და *„ყოველისმპყრობელი მაცხოვრის“* ხატები თარიღდება XIII საუკუნით. აქ უკვე შეიმჩნევა ხატწერაში ყურადღების გადატანა და სწრაფვა მიწიერი, იდეალური ადამიანის წარმოჩენისაკენ. XIII საუკუნის შუა ხანებში შექმნილია *„წმინდა ნიკოლოზ სასწაულმოქმედის“* ხატი ნოვგოროდში, რომლის პატივისცემას და აღიარებას რუსეთისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. XIII საუკუნეს მიეკუთვნება *„ილია წინასწარმეტყველის“* ერთ-ერთი ადრეული ხატი. ეს არის საყოფაცხოვრებო ტიპის ხატის ნიმუში.

ხატი – მარგალიტი *„მახარებელი ანგელოზი“* (*„მთავარანგელოზი გაბრიელი“*) დაწერილია ნოვგოროდში XII საუკუნეში.

ფეოდალური დაქუცმაცების ეპოქაში განვითარდა ადგილობრივი სტილი *გამოყენებით ხელოვნებაშიც*. თუმცა ბევრი განადგურდა მონღოლთა თავდასხმების დროს, ჩვენამდე მაინც მოაღწია მცირეოდენმა ნაწარმოებებმა. ესაა: იური დოლგორუკის ვერცხლის თასი, იაროსლავ ვსევოლოდის ძის შუზარადი, ტიხრულმინანქრიანი ოქროს ტრიქომები ვლადიმირის განძიდან, მონისტო (სამკერდე მორთულობა) ჯვრებითა და ორნამენტებით (ნაპოვნია სუზდალთან ახლო სოფელში) და სხვა ნივთები.

ამრიგად, თათარ-მონღოლთა თავდასხმების დროს შეწყდა მაღალ დონეზე მყოფი ძველი რუსული ხელოვნების განვითარება. *„ამბავი იგორის ლაშქრობისა“*-ში ამაზე შემდეგნაირადაა ნათქვამი *„და დაიღვარა დარდი რუსულ მიწაზე, და პირქუში მწუხარება მიეფინება რუსულ მიწაზე“*.

ძირითადი ტერმინები და ცნებები

აგიოგრაფია
ანთროპოგონია
ველესის წიგნი
ვოლხვები
ყოფა
მარცვალი
კერპები
ისიქია
კაპიშჩე – (წარმართული ტაძარი)
სინგური – (წითელი ფერის მინერალი, იყენებდნენ სალებავში)
კოლტი (თმის ტრიქომი)
კოლიადა – (შობის წინა დღის დღესასწაული უკრაინაში სიმღერისა და რიტუალის თანხლებით)
მითი
მატიანე
მაისი
მონოთეიზმი (ერთღმერთიანობა)
პერგამენტი (საწერი მასალა)
ტიხრული მინანქარი
მღვიმური კარჩაკეტილობა
პოტირი – (დიდი თასი, ქრისტიანული წესის ჩატარების დროს გამოიყენება)
სწავლება
სკანი – (ძაფის დართვა, დაგრეხა)
სლოვო – ამბავი
ძველსლავური (საეკლესიო სლავური) ენა
თეოგონია – (ღმერთების დაბადება)
ტიტული – (სათაური, სახელწოდება, წარწერა გარეკანზე)
წესდება
კოსმოგონური
სამატიანო კრებული

კითხვები გამეორებისათვის

1. გეიამბეთ ველესის წიგნის მიხედვით აღმოსავლეთის სლავთა ძირითადი სულიერი მსოფლმხედველობის შესახებ.
2. ახსენით, ძველ რუსულ სახელმწიფოში რატომ იქნა მიღებული ქრისტიანობა? რა მნიშვნელობა ჰქონდა ამას რუსეთისათვის?
3. ძველი წარმართული ცნობიერების რომელმა მიმართულებებმა განიცადა ქრისტიანობის გავლენის ძირეული გარდაქმნა მეტად, რომელმა ნაკლებად და რატომ?
4. დაახასიათეთ ძველი სლავური კულტურის ძირითადი ეტაპები.
5. გეიამბეთ, როგორ ვითარდებოდა კიევის რუსეთის კულტურა.
6. დაასახელეთ კიევის რუსეთის ეპოქის კულტურის ძირითადი შემადგენელი სახეები.
7. ფეოდალური დაქუცმაცებულობის ეპოქაში რომელი ეტაპები შეიქმნა ლიტერატურაში, ხუროთმოძღვრებასა და ხატწერაში. რომელი მხატვრული სკოლები გამოირჩეოდა?

რუსეთის კულტურა XIV–XVII საუკუნეებში



კარვისებური ტაძრები XVI-XVII სს. ქვედა კუბიკურ ნაწილში (ოთხეულში), რომელიც ითვლებოდა ფუძედ, (საყრდენად) აგებდნენ რვაწახნაგოვან თლილ სვეტს (რვაკუთხედს), ის აგვირგვინებდა კარავს.

შობის ტაძარი პუტინკაში



ამაღლების ტაძარი კოლომნაში

XIV საუკუნის – XV საუკუნის პირველი ნახევრის კულტურა

XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება რუსული კულტურის აღმავლობა, რაც განაპირობა მეურნეობის წარმატებულმა განვითარებამ და პირველმა დიდმა გამარჯვებამ უცხოელ დამპყრობლებზე *კულიკოვოს ბრძოლაში* (1380). ეს მოვლენა იყო მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი ქვეყნის გასათავისუფლებლად თათარ-მონღოლთა უღლისაგან. აღორძინების გზას დაადგა ძველი და განვითარდა ახალი სამეურნეო ცხოვრებისა და კულტურის ახალი ცენტრები. აშკარად გამოიკვეთა მოსკოვის წამყვანი როლი, რომელიც იზიდავდა ახალ მაცხოვრებლებს ჩრდილო-აღმოსავლეთ რუსეთში მისი ცენტრალური მდებარეობის გამო, სადაც გადიოდა სამდინარო და სახმელეთო სავაჭრო გზები. მოსკოვმა ითავა მთელი რუსეთის მიწა-წყლის გაერთიანება, გაიზარდა მისი, როგორც კულტურის ერთ-ერთი ცენტრის გავლენა. მოსკოვის მთავრებმა მიიღეს სრულიად რუსეთის დიდი მთავრების ტიტული.

იმ პერიოდის *ლიტერატურულ ნაწარმოებთა* ძირითადი თემა იყო – რუსი ხალხის ბრძოლა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ. მემატიანემ შემოგვინახა *„ბათუს მიერ ქალაქ ვლადიმირის აღების ამბავი“*, *„ამბავი რუსული მიწის განადგურების შესახებ“*, *„ამბავი ბათუს მიერ რიაზანის დარბევის შესახებ“*. მათში მოთხრობილია რუსული ქალაქების განადგურების, რუს მებრძოლთა მამაცობისა და გულადობის შესახებ.

„ალექსანდრე ნეველის ცხოვრება“ გახდა იმ პერიოდის ლიტერატურული ძეგლი. მასში პოეტური ფორმით ასახულია ნევაზე ბრძოლა, ყინულზე ხოცვა-ჟლეტა, *ალექსანდრე ნეველის* (დაახლ. 1220-1263) დამოკიდებულება ოქროს ურდოსთან და მთავრის სიკვდილი. უმღერიან მის გმირობას რუსული მიწა-წყლის სადიდებლად.

„თქმულება ქალაქ კიტეჟზე“ მოგვითხრობს, თუ როგორ გახდა ქალაქი კიტეჟი მისი დამცველების დალუპვის შემდეგ უხილავი, რათა მტერს ხელში არ ჩაეგდო. ხანდახან ქალაქი ამოიმართება, როგორც ანარეკლი სვეტლოიარის ტბაზე, ამ დროს ისმის ქალაქის ზარების რეკვაც.

კულიკოვოს ველზე გამარჯვებას მიეძღვნა იმ პერიოდისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები *„ზადონშჩინა“* (ბრძოლის ადგილის მიხედვით – დონს იქით), დაწერილია ისტორიული მოთხრობის ჟანრში XIV საუკუნის ბოლოს რიაზანელი *საფონის*

მიერ. ავტორი მისი თანამედროვე პერიოდის ცხოვრებისეულ მოვლენებს ადარებს „*ამბავი იგორის ლაშქრობის*“ დროინდელისას. კულიკოვოს ველზე გამარჯვება — ესაა, თითქოს ერთგვარი შურისძიება იგორ სვიატოსლავის ძის მებრძოლთა დამარცხებაზე. ამ გამარჯვებამ კვლავ აღუდგინა რუსულ მიწას დიდება და ძლევამოსილის სახელი. კულიკოვოს ციკლს მიეკუთვნება „*თქმულება მამაევის ბოცვა-ულუტაზე*“ (XV საუკუნის პირველი ნახევარი). ნაწარმოებისათვის დამახასიათებელია მხატვრული გამომსახველობა და იდეურობა. მას ადარებენ „*ამბავს იგორის ლაშქრობაზე*“ და აყენებენ ალორძინების ეპოქის ევროპის ლიტერატურის შედევრების გვერდით.

ფართო განვითარება ჰპოვა ხუროთმოძღვრებამ, უპირველეს ყოვლისა ნოვგოროდსა და ფსკოვში — იმ ქალაქებში, რომლებიც პოლიტიკურად ნაკლებად იყო დამოკიდებული მონღოლ ხანებზე. XIV-XV საუკუნეებში *ნოვგოროდი* იყო ხელოვნების, ეკონომიკისა და პოლიტიკური ცხოვრების განვითარების ერთ-ერთი უმსხვილესი ცენტრი. იმ დროის რუსი ხუროთმოძღვრები არქიტექტურაში აგრძელებდნენ ძველ ტრადიციებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა მონღოლთა შემოსევამდე. ნაგებობებში იყენებდნენ კირქვის უხეშად ნათალ ქვებს, რიყის ქვებსა და ცოტაოდენ აგურს. ასეთი წყობა სიძლიერისა და სიმტკიცის შთაბეჭდილებას ქმნიდა. ნოვგოროდელ ხელოვანთა ასეთ განსაკუთრებულ ოსტატობას აკადემიკოსი ი. ე. გრაბერი ასე აფასებს: „ნოვგოროდელის იდეალია — ძალა და მისი სილამაზე — ძალის სილამაზე“.

ახალ ძიებათა შედეგი და ძველი ხუროთმოძღვრების ტრადიციები გამოვლინდა XIV საუკუნის ტაძრული მშენებლობის არქიტექტურაში. *ესაა მაცხოვრის ეკლესია კოვალევზე და მიძინების ეკლესია კოლოტოვოს ველზე* (დაინგრა დიდი სამამულო ომის დროს). ახალი სტილის ნიმუშებია — *თეოდორე სტრატილატოსის ეკლესია და მაცხოვრის ფერისცვალების* ეკლესია ილინის ქუჩაზე. ამ სტილისათვის დამახასიათებელია ტაძრის გარეგანი მორთულობა, ფასადის შემკობა დეკორატიული ნიშებით, სკულპტურული ჯვრებით, ნიშებისა კი — ფრესკებით. მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესია აგებული ნოვგოროდის სავაჭრო მხარეს, ტიპიური ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარია ოთხ ძლიერ სვეტზე დაყრდნობილი ერთი გუმბათით.

ტაძრების მშენებლობასთან ერთად ნოვგოროდში მიმდინარეობდა მსხვილი სამოქალაქო მშენებლობაც. ნოვგოროდელმა ოსტატებმა გერმანელებთან ერთად ააშენეს *გრანიტის* პალატა საზეიმო მიღებებისა და სახელმწიფო თათბირებისათვის. ნოვგოროდელი ბოიარები

თავიანთთვის აგებდნენ ქვის პალატებს ხის ქერქის თაღებით. 1302 წელს ნოვგოროდში აიგო ქვის კრემლი, რომელიც შემდგომ მრავალჯერ გადაკეთდა[1].

იმ დროისთვის მეორე მსხვილი სამეურნეო და კულტურული ცენტრი *ფსკოვი* ქალაქ-ციხე-სიმაგრეს ჰგავდა. ქალაქის შენობების არქიტექტურა იყო მკაცრი და ლაკონური, ყოველგვარ დეკორატიულ მორთულობას მოკლებული. კრემლის გრძელი ქვის კედელი სიგრძით თითქმის 9 კმ-ია. ფსკოველმა მშენებლებმა შენობის გადახურვის განსაკუთრებული სისტემა შეიმუშავეს ერიმანეთში გადაჯვარედინებული თაღებით, რამაც შემდგომში შესაძლებელი გახადა ტაძრის სვეტებისაგან განთავისუფლება. ფსკოველმა ოსტატებმა რუსეთში საყოველთაო აღიარება მოიპოვეს და დიდი ზეგავლენა მოახდინეს მოსკოვის მშენებლობაზე.

მოსკოვში ქვით მშენებლობა დაიწყო XIV საუკუნის მეორე მეოთხედში. ამ პერიოდს ეკუთვნის მოსკოვის კრემლის თეთრი ქვისაგან აგებული ციხე-სიმაგრე — ესაა ქალაქის ცენტრალური ნაწილი ბოროვიცკის ბორცვზე მდინარე მოსკოვის მარცხენა სანაპიროზე. 1366-1367 წწ-ში თავად დიმიტრის (შემდეგ დონელი) ბრძანებით აიგო კედლები და კოშკები თეთრი ქვისგან (კირქვა, რომელიც ჩამოჰქონდათ მოსკოვის ახლო მდებარე სოფელ მიაჩკოვოდან). 1365 წელს აიგო თეთრი ქვის *ტაძარი სასწაულმოქმედ მიქაელ მთავარანგელოზის* სახელზე, მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფრთაზე ააგეს *ხარების ტაძარი*. შემდგომ პერიოდში მოსკოვის კრემლის ტერიტორიაზე ააგეს ახალი ტაძრები და სამოქალაქო ნაგებობები.

მშენებლობები მიმდინარეობდა სხვა ქალაქებშიც — *კოლომნაში, სერპუხოვში, ზვენიგოროდში*. ამ პერიოდის უდიდესი ნაგებობა იყო *მიძინების ტაძარი* კოლომნაში — ქალაქის ექვსსვეტოვანი ტაძარი მაღალ სადგამზე შეყენებული გალერეით. მოსკოვის დღემდე შემონახული უძველესი ხუროთმოძღვრული ძეგლებია — ზვენიგოროდის *მიძინების ტაძარი, სავინ სტოროჟევსკის მონასტრის ტაძარი* ზვენიგო-

[1] კრემლი (XIV საუკუნემდე უწოდებდნენ ბრგე ვაჟს) — ძველი რუსული ქალაქის ცენტრალური ნაწილი, რომელსაც შემორტყმული ჰქონდა თავდაცვითი კედელი კოშკებით. კრემლს ჰქონდა თავდაცვითი კომპლექსი, ეკლესიისა და სასახლის ნაგებობა. საერთოდ კრემლი შენდებოდა მაღლობზე, მდინარის ან ტბის ნაპირზე და იყო ქალაქის ბირთვი. ამჟამად კრემლი შემონახულია მოსკოვში, ნოვგოროდში, ფსკოვში, ტულაში, ნიჟნი ნოვგოროდში, სმოლენსკსა და რუსეთის სხვა ქალაქებში.

როდის სიახლოვეს, სამება – სერგის მონასტრის სამების ტაძარი, ანდრონიკეს მონასტრის მაცხოვრის ტაძარი.

მოსკოვის არქიტექტურის ახალ მიმართულებად იქცა „კუბურობის" გადალახვისა და ახალი, საფეხურებად განლაგებული თაღებით ზეაღმავალი კომპოზიციის მქონე შენობების აგებისაკენ სწრაფვა.

XIV-XV საუკუნეების რუსული *ფერწერის*, ისევე, როგორც ხუროთმოძღვრების ისტორია, გახდა მონღოლთა შემოსევების პერიოდამდე არსებული ფერწერის ისტორიის ბუნებრივი გაგრძელება. *ხატწერა* ვითარდება ასევე ნოვგოროდსა და ფსკოვში. XIV საუკუნეში ნოვგოროდული ხატწერა, ფრესკისაგან განსხვავებით, უფრო ნელა ვითარდებოდა. ხატებზე, როგორც წესი, მხოლოდ წმინდანის გამოსახულებას წერდნენ. თუ რომელიმე ხატზე რამდენიმე წმინდანს გამოსახავდნენ, მათ შორის არავითარი შინაარსობრივი ან მოქმედებითი კავშირი არ იყო, ისინი გამოისახებოდნენ ფრონტალურად, განცალკევებით. ამით აღწევდნენ ზემოქმედებით ძალას. ნოვგოროდის ამ პერიოდის ხატები ხასიათდება ლაკონური კომპოზიციით, მკვეთრი მხატვრობით, ფაქიზი საღებავებითა და დახვეწილი ტექნიკით.

ხატწერასთან ერთად ძალიან გავრცელდა *ფრესკული* მხატვრობა – ფერწერა ნესტიან ბათქაშზე წყალში გახსნილი საღებავებით. ამ პერიოდის რუსეთის კედლის ფერწერას „ოქროს საუკუნეს" მიაკუთვნებენ. XIV საუკუნის ფრესკული ფერწერა გაფორმდა კომპოზიციურად, სივრცობრივად, მასში შეტანილი იქნა პეიზაჟი, გაიზარდა გამოსახვის ფსიქოლოგიზმი. ეს სიახლეები განსაკუთრებით გამოვლინდა ნოვგოროდის ცნობილ ფრესკებზე თეოდორე სტრატილატოსის ეკლესიასა და მიძინების ეკლესიაში ვოლოტოვოს ველზე.

XIV-XV საუკუნეების მხატვართა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გენიალურ *თეოფანე გრეკს* (დაახლ. 1340-1405 შემდეგ). წარმოშობით ბიზანტიელმა, მან მოიარა მთელი ბიზანტია, ყირიმი, მოხატა ეკლესიები კონსტანტინოპოლში, გალატეში, ქალკედონში, კაფეში (ფეოდოსია). მისი ტალანტი განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა რუსეთში. თეოფანე გრეკის ფრესკები, ხატები გამოირჩევა მონუმენტალობით, სიძლიერით, სახეთა გამოსახვის დრამატიზმით, გაბედული და თავისუფალი წერის მანერით.

თეოფანე გრეკის შემოქმედებაში რუსეთში ყოფნისას გამოარჩევენ ორ პერიოდს: ნოვგოროდისას და მოსკოვურს. პირველში ის გამოდის, როგორც გაბედული ნოვატორი, მეამბოხე, ქმნის იშვიათი ზეშთაგონების მქონე ნაწარმოებებს. მოსკოვურ პერიოდში კი მისი

შემოქმედება ხასიათდება როგორც მხატვრისა, რომელმაც მოიპოვა სიმშვიდე და წონასწორობა.

ნოვგოროდში თეოფანე გრეკმა მოხატა მაცხოვრის ეკლესია ილინის ჭუჭაზე. ეს მხატვრობა დღემდე შემორჩენილია ფრაგმენტების სახით. გამოხატული წმინდანები ხასიათდება მკაცრი ინდივიდუალობით, თითოეული ფიგურა ცოცხლობს განსაკუთრებული სიცოცხლით, სავსეა შინაგანი მოძრაობით. თეოფანე გრეკმა თავის პერსონაჟებში ჩააქსოვა ადამიანის სულიერება, მისი შინაგანი ძალა.

თეოფანე გრეკმა მოსკოვში მოხატა ღვთისმშობლის დაბადების ეკლესია ლაზარეს ეკვდერთან ერთად. ასევე მოხატა კრემლში მთავარანგელოზის ტაძარი, გოროდეცელ მოხუც პროხორთან და ანდრეი რუბლიოვთან ერთად მოხატა ხარების ტაძარი კრემლში. ამ ტაძრის კანკელისათვის გამოიყენა 2 მ-ზე მეტი სიმაღლის დაფები. თეოფანე გრეკმა მოსკოვში შექმნა სახელოსნო, სადაც შეიქმნა ხატი ერთ მხარეს *დონის ღვთისმშობლის*, მეორე მხარეს კი *ღვთისმშობლის* მიძინების გამოსახულებით.

ამ პერიოდის კიდევ ერთი გამოჩენილი მხატვარი იყო რუსი იზოგრაფი *ანდრეი რუბლიოვი* (დაახლ. 1360/70-1427/30) – ბერი ანდრონიკეს მონასტრისა[1], სადაც გარდაიცვალა და იქვეა დაკრძალული. მისი შემოქმედება თვალნათლივ მოწმობს რუსული ცენტრალიზებული სახელმწიფოსა და მოსკოვის ზეობის პერიოდში რუსული კულტურის აღმავლობას. მის დროს მოსკოვის ფერწერის სკოლა განვითარების უმაღლეს დონეს აღწევს. ანდრეი რუბლიოვის ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელია ღრმა ადამიანურობა, სახეთა ამაღლებული ზეშთაგონება, თანხმობისა და ჰარმონიის იდეა, მხატვრული ფორმის სრულყოფილება.

ანდრეი რუბლიოვი მონაწილეობას იღებდა მოსკოვის კრემლის ხარების ძველი ტაძრის, ვლადიმირის მიძინების ტაძრის, სერგი-სამების ლავრის – სამების ტაძრისა და ანდრონიკეს მონასტრის მაცხოვრის ტაძრის მოხატვასა და ხატწერაში.

თეოფანე გრეკისაგან განსხვავებით, ანდრეი რუბლიოვის ხელოვნება აღსავსეა ამაღლებული, ნათელი განწყობილებით, სულიერი ჰარმონიის მდგომარეობით, გამოხატავს სამყაროს მიმართ სიხარულს, ბედნიერებას, სიმშვიდეს. მისი სტილისათვის დამახასიათებელია ლირიული სიმშვიდე, პერსონაჟები უფრო ადამიანურები არიან, ვიდრე თეოფანე გრეკთან.

---

[1] ამჟამად აქ დაარსებულია ანდრეი რუბლიოვის მუზეუმი.

მის ნაწარმოებთა შორის ყველაზე ცნობილი და შესრულების თვალსაზრისით ყველაზე სრულყოფილია „*სამების*“ ხატი. იგი სპეციალურად შექმნილია სერგი-სამების მონასტრის სამების ტაძრის კანკელისათვის. ხატზე იშვიათი მხატვრული ძალითაა წარმოჩენილი ჰუმანურობის, თანხმობისა და კაცთმოყვარეობის ჰუმანისტური იდეა. მოცემულია ზნეობრივი სრულყოფილებისა და სიწმინდის განზოგადებული იდეალი. ღმერთის გამოხატულება მოცემულია სამი ანგელოზის სახით, სამივე ფიგურა წარმოადგენს მრგვალოვან კომპოზიციას თასის გარშემო. სულიერი სიწმინდე, გამომსახველობა, სინათლე, სუფთა ტონები, განსაკუთრებით „ცისფერი“, გამჭვირვალე მწვანე, ოქროსფერი, ხაზების ერთიანი რითმი დიდი ძალით ანსახიერებენ ჰარმონიისა და სიწმინდის იდეას.

ანდრეი რუბლიოვის შემონახულ ქმნილებებს ეკუთვნის აგრეთვე ვლადიმირში მიძინების ტაძრის ფრესკა თემაზე „საშინელი სამსჯავრო“. ტრადიციული გამოსახვისგან განსხვავებით რუბლიოვის ხატები სავსეა ადამიანურობით, თავისუფალია ფოველგვარი სიმკაცრისაგან. რუბლიოვმა დაწერა რამდენიმე ხატი სერგი-სამების მონასტრის სამების ტაძრის კანკელისათვის. მის ფუნჯს ეკუთვნის ხატები მოციქულ პავლესა და მიქაელის გამოსახულებით. მისი ბოლო ქმნილებაა ანდრონიკეს მონასტრის მაცხოვრის ტაძრის მოხატულობა (შემორჩენილია ორნამენტთა ფრაგმენტები).

XV საუკუნის დასასრულისა და XVI საუკუნის კულტურა

XV საუკუნის ბოლო და XVI საუკუნე რუსული მიწა-წყლის კულტურისა და ისტორიის განვითარებისათვის გარდატეხის პერიოდი იყო. მიმდინარეობდა ერთიანი რუსული სახელწიფოს ჩამოყალიბება, ქვეყანა საბოლოოდ განთავისუფლდა თათარ-მონღოლთა უღლისაგან, დამთავრდა *რუსი ხალხის* ფორმირება, რამაც არსებითი გავლენა იქონია კულტურული პროცესების ფორმირებაზე.

რუსულ კულტურაში ძლიერდება საერო და დემოკრატიული ელემენტები. *ლიტერატურაში* ჩნდება ნაწარმოებები, რომლებიც მხარს უჭერდნენ ახალ სახელმწიფო პოლიტიკას. რუსული სახელმწიფოს წარმოქმნის თეორიამ გამოხატულება ჰპოვა ნაწარმოებებში „*თქმულება ვლადიმირულ მთავრებზე*“ და „*თქმულება ვლადიმირ მონომახზე*“. მათში იყო მტკიცება, რომ რუსი ხელისუფალნი არიან რომის იმპერატორ ავგუსტინეს შთამომავალნი და აქედან გამომდინარე, უფლება აქვთ მთელი რუსეთის მიწა-წყლის მფლობელობაზე. ამ იდეას მხარს უჭერდა ეკლესია, რომელმაც იგი დაუკავშირა მოსკოვის,

როგორც „მესამე რომის“ იდეას. ფსკოვის ელიაზარის მონასტრის იღუმენი ფილოთეოსი თავის მიმართვებში დიდ მთავარს ვასილ III წერდა, რომ ადრე არსებობდა ქრისტიანული მსოფლიოს ორი ცენტრალური კერა — რომი და ბიზანტია, რომლებიც დაეცნენ „ჭეშმარიტი ქრისტიანობისაგან“ განდგომის გამო. ბიზანტიელმა ხელისუფლებმა ჭეშმარიტ ქრისტიანობას (მართლმადიდებლობას) უღალატეს, რამდენადაც, დადეს უნია[1] კათოლიკურ ეკლესიასთან, რომლის შედეგადაც მოხდა თურქების მიერ ბიზანტიის დაპყრობა (1453). მოსკოვი, რომელმაც არ სცნო ფლორენციის უნია, გახდა ქრისტიანობის ახალი მსოფლიო ცენტრი ანუ „მესამე რომი“. „მეოთხე რომი არ იქნება“, რამდენადაც, ეკლესიის აზრით, შეიძლება იყოს მხოლოდ „მსოფლიოს სამი სამეფო“, რომლის შემდეგაც დადგება „ქვეყნის დასასრული“. თეზისი *„მოსკოვი — მესამე რომი“* ემსახურებოდა რუსეთის სახელმწიფოსა და მართლმადიდებლური ეკლესიის მსოფლიო მნიშვნელობის დამკვიდრებას.

შემდგომი განვითარება ჰპოვა სამოგზაურო *ლიტერატურამ*, რომელიც XVI საუკუნემდე აღწერდა ქრისტიან მომლოცველთა სვლას წმინდა ადგილებში. XV საუკუნეში გამოჩნდა ტვერელი ვაჭრის *ათანასე ნიკიტინის* ჩანაწერები (დღიურების სახით) ინდოეთში მოგზაურობის შესახებ — „*მოგზაურობა სამ ზღვას იქით*“. ეს იყო პირველი ევროპული წერილობითი ნაშრომი ინდოეთის შეურნეობის, ზნე-ჩვეულებების, რელიგიის შესახებ.

XVI საუკუნის პირველ ნახევარს მიეკუთვნება ნიჭიერი პუბლიცისტის თავად *ივანე პერესვეტოვის* შრომები (*„თქმულება მეფე კონსტანტინეზე“, „თქმულება შუასმედ-სალთანზე“, „ლათინელ ფილოსოფოსთა და ეჟიმთა წინასწარმეტყველებანი მეფე ივანე ვასილის ძეზე“* და სხვ.), რომლებშიც მან წარმოადგინა ქვეყნის გარდაქმნის თავისებური პროგრამა. სახელმწიფოს მოწყობის იდეალად მას ესახება მეფის ძლიერი ხელისუფლება: „სახელმწიფო რისხვის გარეშე — იგივეა, რაც ცხენი უნაგირის გარეშე“, — ამტკიცებს პერესვეტოვი. ავტორი მეფის მთავარ საყრდენს ხედავს ადგილობრივ თავადაზნაურობაში. მის მიერ წამოყენებულია მოსაზრება, რომ ადამიანთა დაწინაურება მოხდეს არა სიმდიდრის და გვარიშვილობის, არამედ დამსახურების მიხედვით.

---

[1] უნია (ეკლ.) — მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესიების გაერთიანება რომის პაპის მეთაურობის აღიარებით, თავიანთი წესებისა და ღვთისმსახურების შენარჩუნებით.

მეფის ძალაუფლების შეზღუდვის მოსაზრებით თავის თხზულებებში გამოდიოდა მეფე ივანე მრისხანეს თანამოღვაწე თავადი *ანდრია კურბსკი* (1528-1583), ავტორი მრავალი ნაწარმოებისა, რომელთა შორისაა *„ისტორიები მოსკოვის დიდ მთავარზე“*, სადაც მხილებულია მეფის დესპოტიზმი და სიმკაცრე. საინტერესოა კურბსკისა და ივანე მრისხანეს მიმოწერები რუსეთის განვითარების გზების შესახებ[1].

ამ პერიოდის რუსეთის სამეურნეო და პოლიტიკურმა მიღწევებმა შესამჩნევი გავლენა იქონიეს *წიგნიერებისა და განთლების დონის ამაღლებაზე*, რაც ვრცელდებოდა, პირველ რიგში, ფეოდალთა და ვაჭართა შორის. წერა-კითხვის მცოდნენი იყვნენ გლეხთა შორისაც. წერა-კითხვას კერძო სკოლებში ძირითადად მღვდლები და დიაკვნები ასწავლიდნენ. სკოლებში შეისწავლებოდა *ფსალმი*[2] და *დავითნი*[3], ზოგან – დაწყებითი გრამატიკა და არითმეტიკა.

რუსეთის კულტურის ისტორიაში დიდი როლი ითამაშა ისეთმა სიახლემ, როგორიც *წიგნის ბეჭდვა* იყო. პირველი გამოცემები გამოჩნდა 1553 წ., მათ არ ჰყავდათ ავტორები და დათარიღებულიც არ იყო, დღემდე ცნობილია იმ დროს გამოცემული შვიდი ნაბეჭდი ძეგლი. ახალი ეტაპი წიგნის ბეჭდვის საქმიანობაში დაიწყო 1563 წ., როდესაც მოსკოვში მეფის ხაზინის ხარჯზე მოწყობილი იქნა ტიპოგრაფია. წიგნის ბეჭდვა გახდა სახელმწიფოებრივი მონოპოლია. ტიპოგრაფიას სათავეში ედგნენ დიაკვანი *ივანე ფიოდოროვი* (1510-1583) და *პეტრე მსტისლავეცი*. 1564 წლის 1 მარტს დაიბეჭდა პირველი დათარიღებული ნაბეჭდი რუსული წიგნი – *„ეპისტოლე“*[4], ხოლო 1565 წ. – *„ყანონი“*. მოგვიანებით ივანე ფიოდოროვი და პეტრე მსტისლავეცი გადავიდნენ უკრაინაში, შემდეგ – ლიტვაში, სადაც გააგრძელეს საგანმანათლებლო მოღვაწეობა. მოსკოვში წიგნის გამოცემა გააგრძელეს მათმა მოსწავლეებმა ნიკიფორე ტარასიევმა, ტიმოთე ნევეჟამ და მისმა ვაჟიშვილმა ანდრონიკე ტიმოთეს ძე ნევეჟამ. მთლიანად XVI საუკუნის ბოლომდე დაიბეჭდა საეკლესიო-რელიგიური შინაარსის დაახლოებით 20 წიგნი.

---

[1] მეფის რისხვისაგან თავის დასაღწევად, 1564 წ. კურბსკი ლიტვაში გაიქცა.

[2] *ფსალმუნი* – საეკლესიო ღვთისმსახურების წიგნი, რომელიც შეიცავს ფსალმუნებს, ლოცვებს, გალობებს და ღვთისმსახურების სხვა ტექსტებს.

[3] *დავითნი* – ფსალმუნთა, სალოცავ საგალობელთა კრებული, რომელიც შედიოდა ძველ აღთქმაში.

[4] *ეპისტოლე* – ღვთისმსახურების წიგნი, რომელიც შეიცავს თითქმის მთელ ახალ აღთქმას სახარების გარეშე.

იმ დროის ლიტერატურულ ძეგლთა შორის არის საეკლესიო ლიტერატურის დიდი 13 ტომიანი კრებული *„დიდი მინეი-ჩეტი“* („ყოველთვიური საკითხავი“) დაწერილი *მიტროპოლიტ მაკარის* (1482-1564) მიერ, ეს არის რუს წმინდანთა ცხოვრების აღწერა, თვეების მიხედვით წმინდანთა საყოველთაო ხსენების დღეთა შესაბამისად შედგენილი.

იქმნება განზოგადებული სამატიანო ნაწარმოებები, მაგალითად, *მინიატურებით შემკული გარეკანის მქონე სამატიანო კრებული*, თავისებური მსოფლიო ისტორია სამყაროს შექმნიდან XVI საუკუნის შუა ხანებამდე. რუსული ისტორიული ლიტერატურის ძეგლს წარმოადგენს ასევე *„ეტაპობრივი წიგნი“*, შედგენილი ივანე IV (მრისხანეს) მოძღვრის ანდრიას მიერ. მასში ჩამოყალიბებულია რუსეთის ისტორია ვლადიმერ 1 სვიატოსლავიჩიდან ივანე IV-მდე. წიგნი შედგენილია მატიანის, საგვარეულო წიგნებისა და სხვა მასალების მიხედვით.

ნოვგოროდელ ბოიართა და ვაჭართა გარემოში შექმნა საყოფაცხოვრებო წესებისა და შეგონებების კრებული, შეიცავს *„საბლითმშენებლობა“* (XVI ს.). ის იცავდა პატრიარქალურ წყობას ოჯახში და ოჯახის უფროსის დესპოტურ ძალაუფლებას ოჯახის წევრებისადმი. წიგნში მოცემული იყო რჩევები, თუ როგორ უნდა იყო მომჭირნე, გაუფრთხილდე მარაგს და სხვა („ცოლს კი შიში უნდა ჰქონდეს საკუთარი ქმრისა“).

XV საუკუნის დასასრულისა და XVI საუკუნის *არქიტექტურამ* ასახა რუსული სახელმწიფოს საერთაშორისო როლის ზრდა. დგება ახალი ეტაპი როგორც ტაძრის, ასევე სამოქალაქო ხუროთმოძღვრებაში. მშენებლობაში რუს ოსტატებთან ერთად მონაწილეობენ იტალიელი ოსტატებიც. იტალია ამ დროს ითვლება ევროპის ყველაზე მოწინავე ქვეყნად.

რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა დედაქალაქ მოსკოვით აღინიშნა ძველი კრემლის ადგილზე *ახალი* კრემლის მშენებლობით, რომლის ანსამბლი საბოლოოდ დასრულდა XV საუკუნის ბოლოს და XVI საუკუნეში. ამ დროს სამშენებლო მასალად იყენებდნენ აგურს და ტერაკოტს. აგურის წყობამ განდევნა ტრადიციული თეთრი კირქვა. 1485-1495 წწ. მოსკოვის კრემლის თეთრი კედლები აგურის კედლებით შეიცვალა.

ვლადიმირის მიძინების ტაძრის მიხედვით იტალიელმა ხუროთმოძღვარმა *არისტოტელე ფიორავანტიმ* ააგო ახალი *მიძინების ტაძარი*. გასაოცარია მისი პროპორციების სილამაზე, მხატვრული ხერხების ლაკონურობა. რუსი მემატიანეები მიძინების ტაძარზე

წერდნენ, რომ „საოცარია დიდებულებით და სიმაღლით, სინათლით, ჟღერადობით, სივრცობრიობით“. მიძინების ტაძარი გახდა XVI ს. მონუმენტური ტაძრული ხუროთმოძღვრების კლასიკური ნიმუში.

1484-1489 წლებში ფსკოველ ოსტატთა მიერ აივო *ბარეების* ტაძარი (დიდი მთავრების კარის ეკლესია) და *რიზპოლოჟენიის* ეკლესია.

იტალიელმა არქიტექტორმა *ალევიზ ნოვიმ* 1505-1508 წლებში ააგო *მთავარანგელოზის* ტაძარი. მის გარეგან სახეში უკვე ნათლად გამოიხატა არქიტექტურის საერო სტილი. ძირითადი კონსტრუქცია ტრადიციულია: ჯვარ-გუმბათოვანი ხუთთავიანი ტაძარი ექვს სვეტზე, რომელიც თაღებს ამაგრებდა. თუმცა გარეგან ფორმებში არქიტექტორი გასცდა ძველ რუსულ ტრადიციულ ხერხებს და გამოიყენა იტალიური რენესანსის მდიდარი არქიტექტურული მორთულობა დეკორი. მთავარანგელოზის ტაძარი გახდა ტაძარი-განსასვენებელი, სადაც გადმოასვენეს ყველა დიდი მთავარი, ივანე კალიტადან მოყოლებული აქ კრძალავდნენ მოსკოვის ყველა დიდ მთავარს, შემდეგ კი — მეფეებსაც პეტრე I-მდე.

მოსკოვის კრემლში აგებული იქნა საერო შენობებიც, მათ შორის — მთავრის სასახლე, ივი შეხგებოდა ცალკეული ნაგებობებისაგან, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული იყო გადასასვლელებით, წინკარებით, დერეფნებით. ამ სასახლიდან გადარჩა მხოლოდ *გრანიტის* პალატა, აგებული იტალიელი არქიტექტორების *ანტონიო სოლარის* და *მარკო რუფოს* მიერ 1487-1491 წლებში. გრანიტის პალატა (ასე ეწოდება იმიტომ, რომ გარედან მოპირკეთებულია გრანიტის დიდი გათლილი ქვებით) განკუთვნილი იყო სადღესასწაულო სადარბაზო ცერემონიებისთვის და უცხოელ ელჩთა მისალებად, გამოიყენებოდა სამეფო ტახტის დარბაზადაც. ესაა ვრცელი, კვადრატული შენობა შუაში დიდი ბოძით, რომელზედაც დაფუძნებული იყო ოთხი ჯვარედოვანი თაღი.

მოსკოვის კრემლის არქიტექტურული ცენტრი გახდა „*ივანე დიდის*“ სვეტებიანი ეკლესია-სამრეკლო *ი. ლესტვიჩნიკის* მიერ დაშენებული 1600 წელს. XVII საუკუნეში აგებულია *კოშკური სასახლე*, *პატრიარქის სასახლე* და მთელი რიგი ტაძრებისა (XVIII ს. — სენატის შენობა, XIX ს. კრემლის დიდი სასახლე და იარაღის პალატა).

XVII საუკუნეში მოსკოვის კრემლის კოშკმა განიცადა ცვლილება, ადრე არსებულს გაუკეთდა იარუსები და კარვისებური დაბოლოება. კოშკებს შორის მნიშვნელოვანია *მაცხოვრის კოშკი*,

მასზეა საათი — *კრემლის კურანტები* (საათი ზარის რეკვით). კრემლის ტერიტორიაზე ინახება რუსული ჩამოსხმის ხელოვნების ძეგლები *მეფე-ზარბაზანი* (XVI საუკუნე) და *მეფე-ზარი* (XVIII საუკუნე).

მოსკოვის კრემლის დასრულებულ ფერწერულ ანსამბლში ჩაქსოვილია ერთიანი რუსული სახელმწიფოს დიდებისა და ძლიერების იდეა.

ტაძრების მშენებლობა გრძელდებოდა სხვა ქალაქებშიც. მონუმენტური ტაძრები აშენდა ვოლოკოლამსკში, დმიტროვოში, უგლიჩში, როსტოვში და დიდი მონასტრები — კირილე-ბელოზერსკში და სხვ.

ასევე ვითარდებოდა ხუროთმოძღვრების სხვა მიმართულებაც, რაც დაკავშირებული იყო რაბათისა და სამემკვიდრეო სამამულო პატარა ტაძრების მშენებლობასთან. ამ დროისათვის გამოგონებული იყო აგურით გადახურვის ახალი სისტემა — ჯვრისებური თაღი, რამაც შესაძლებელი გახადა პატარა ტაძრების აგება *სვეტების* გარეშე. ამ ტაძრების არქიტექტურაში უფრო მეტად იყო გამოკვეთილი საერო ელემენტები.

XVI საუკუნის რუსული არქიტექტურის უმაღლესი მიღწევა იყო *კარვისებური* ტიპის *ტაძრების მშენებლობა*, სადაც ნათლად აღიბეჭდა რუსული ტრადიციების ნაციონალური თავისეურებანი დაფუძნებული, ხის ხუროთმოძღვრებაზე. მოსკოვის ახლოს *ქოლომენსკოეში აგებული ამაღლების ეკლესია* (1530-1532) გახდა მთელ რუსეთში პირველი ახალი ტიპის ნაგებობა ფორმითა და სიმაღლით (დაახლოებით 60 მ.). ტაძარი აივო ვასილ III ტახტის მემკვიდრის, შემდგომში მეფე ივანე მრისხანედ წოდებულის დაბადებასთან დაკავშირებით.

კარვისებური ტაძრის ვარიანტი გახდა პოკროვსკის ტაძარი (ღვთისმშობლის საფარველის ტაძარი რვუზე), რომელმაც მიიღო *ნეტარვასილის ტაძრის* სახელწოდება ცნობილი მოსკოველი სალოსის სახელზე, რომელიც დასაფლავებული იყო მისი ერთ-ერთი ეკვდერის ქვეშ. 1555-1560 წლებში რუსი ხუროთმოძღვრების *ბარმასა* და *პოსტნიკის* მიერ ყაზანის ალების სახსოვრად აგებული ტაძარი წარმოადგენს ცხრა სვეტებიანი ტაძრისაგან შემდგარ ჯგუფს, რომელიც განლაგებულია ერთ საერთო კვარცხლბეკზე — მაღალ პლატზე და შეერთებულია ერთმანეთთან შიდა გადასასვლელებით და გარე გალერეით — *სასეირნო ადგილით*. ცენტრალური ტაძარი დაგვირგვინებულია დიდი კარვით, რომლის გარშემოც განლაგებულია რვა ეკვდერის გუმბათი. ყველა მათგანს რვიანის ფორმა აქვს, რაც

მომდინარეობს რუსული, ხის ბურთითმოძღვრების ტრადიციებიდან. ტაძრის არქიტექტურულ-დეკორატიული მორთულობა მდიდრული და მრავალფეროვანია. კომპოზიციის ფერწერულობა და გარეგანი მორთულობის სიმდიდრე, აგრეთვე, ცალკეულ მინაშენთა მცირე ფართობი, სადაც ერთდროულად მხოლოდ ხუთი-ექვსი ადამიანი თუ მოთავსდება, მოწმობს იმაზე, რომ ტაძარი მოიაზრებოდა როგორც ტაძარი-ძეგლი. ის გათვლილი იყო ძირითადად გარეგნულ აღქმაზე.

XVI საუკუნეში დიდი გაქანებით დაიწყო *სიმაგრეთა* (ციხე-სიმაგრეთა) *მშენებლობა*. კრემლები აიგო ნიჟნი ნოვგოროდში, ტულაში, კოლომნაში, ზარაისკში, სერპუხოვისა და რუსეთის სხვა ქალაქებში.

1535-38 წლებში მოსკოვში აიგო სიმაგრეთა მეორე რიგი, რომელიც შემოერტყა დედაქალაქის სავაჭრო-ხელოსნურ ნაწილს *ჩინეთ-ქალაქს*. 1585-1593 წლებში არქიტექტორმა *პეტროკე მალიმ* ააგო მოსკოვის ქვის სიმაგრეების მესამე რიგი — *თეთრი ქალაქი*. ამ სამუშაოებს ხელმძღვანელობდა ცნობილი ოსტატი *თევდორე კონი*. მან 1595-96 წლებში *სმოლენსკში* ააგო კრემლი, რომლის არქიტექტურაშიც ერთმანეთს შეერწყა ტექნიკური სრულყოფილება და გაფორმების დახვეწილობა. მოსკოვის გარე გამაგრების უკანასკნელი ხაზი — ხის კედლები მიწაყრილზე (ახლა სადგოე კოლცო) — ე. წ. „სკოროდომი“ დაიდგა XVI საუკუნის ბოლოს ყირიმელი თათრების შემოსევებთან დაკავშირებით.

ძლიერი, დიდი კედლები და კოშკები აიგო ბევრ მონასტერში გამაგრების, თავდაცვის მიზნით. მოსკოვის შემოგარენში ასეთი მონასტრები იყო: ნოვოდევიჩის, პაფნუტიევო-ბოროვსკის, სერგის სამების, იოსებ-ვოლოკალამსკის, ჩრდილოეთით — კირილო-ბელოზერსკის, სოლოვეცკის და სხვა.

XV-XVI საუკუნეების ფერწერა წარმოდგენილია ნიჭიერი რუსი ოსტატის *დიონისეს* (დაახლ. 1440-1502/03) ქმნილებებით. მას ჰქონდა მხატვრის დიდი ძალა და ამოუწურავი შემოქმედებითი ფანტაზია. XV საუკუნის 70-იან წლებში დიონისემ მოსკოვთან ახლოს მოხატა პაფნუტიევო-ბოროვსკის მონასტრის ტაძარი და შექმნა ხატები. ოსტატების ჯგუფთან ერთად მოხატა მოსკოვის კრემლის მიძინების ტაძარი (შემონახულია ფრაგმენტების სახით). მათი სიუჟეტები — წამებულთა საზეები, რომლებიც დაილუპნენ რწმენისათვის, ასახავდნენ მამულის დაცვის იდეას.

მოგვიანებით დიონისე მუშაობდა იოსებ-ვოლოკოლამსკის მონასტერში, თავისი ცხოვრების ბოლო წლებში კი შვილებთან ვლადიმირთან და ფეოდოსთან ერთად მოხატა ბელოზერსკის მხარეში ღვთისმშობლის შობის ტაძარი ფერაპონტოვის მონასტერში, რაზედაც მიგვანიშნებს ტაძრის წარწერა. ეს იშვიათი შემთხვევაა, როდესაც ფრესკები თითქმის მთლიანად შემონახულია პირველქმნილ მდგომარეობაში. სულ შესრულებულია 25 კომპოზიცია ღვთისმშობლის თემაზე. („*ღვთისმშობლის ტაძარი*“, „*ღვთისმშობლის ქება*“, „*ღვთისმშობლის აკათისტო*“[1] და სხვა). ფრესკები ქმნიან საზეიმო განწყობილებას ძირითადად კოლორიტის ნაზი ნაზევარტონების წარჯზე, ესენია: ფირუზისფერი, მკრთალი მწვანე, ღია ვარდისფერი და სხვა ტონები, განფენილნი მკვეთრ ლაჟვარდისფერ ფონზე. ფრესკებზე შესრულებულია მრავალფიგურიანი კომპოზიციები სხვადასხვა პეიზაჟის ფონზე, შორს მოჩანს ნათელი ფერის მთები და წვრილი ხეები.

დიონისემ მოსწავლეებთან ერთად მოხატა ამ ტაძრის კანკელი. უშუალოდ მისი ფუნჯითაა შესრულებული ხატი „*ღვთისმშობელი ოდიგიტრია*“ (გზამკვლევი).

დიონისეს ქმნილებები — ხატები და ფრესკები — გამოირჩევა დახვეწილი ნახატით, ფაქიზი კოლორიტით, დეკორატიულად ფუფუნებით, საზეიმო ელფერით, ნათელი სიხარულის განცდით.

თანდათანობით ფართოვდება ფერწერის თემათა წრე, იზრდება არაეკლესიური სიუჟეტებისადმი ინტერესი, განსაკუთრებით იკვეთება ისტორიული თემატიკა. განვითარდა *ისტორიული პორტრეტის ჟანრი*, თუმცა რეალურ პიროვნებათა ასახვა ჯერ კიდევ პირობით ხასიათს ატარებდა. ამ მხრივ საინტერესოა მოსკოვის კრემლში *ბარების გალერეის* მხატვრობა. წმინდანებისა და მოსკოვის მთავრების ტრადიციული პორტრეტების გვერდით ჩნდება ბიზანტიელ იმპერატორთა და ანტიკური პერიოდის ბრძენთა პორტრეტებიც: ჰომეროსი რუსულ ტანსაცმელში, ვირგილიუსი — მანტიით და ფართე ფარფლებიანი ქუდით, პლუტარქე, არისტოტელე და სხვა.

XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის ფერწერა ხასიათდება რეალური ისტორიული პირებისა და მოვლენებისადმი გაზრდილი ინტერესით. ასეთივე მოტივები ჩანს კულტურის სხვა სფეროებშიც.

წარმატებით ვითარდება *დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება*. XVI საუკუნის ხეზე კვეთის რუსული ძეგლებია — ივანე მრისხანეს „*მონარქის ტახტი*“ მიძინების ტაძარში, სამეფო ჭიშკარი, კანკელები. *კერვის* დროს აბრეშუმის ძაფის ნაცვლად იყენებდნენ ოქროსა და

[1] აკათისტო — სადიდებელი გალობა.

ვერცხლის ლითონის ძაფს, ფართო გამოყენება ჰქონდა მარგალიტსა და ძვირფას თვლებს.

XVI საუკუნეში ვითარდება *ლითონის ჩამოსხმის ხელოვნებაც*, რუსი ოსტატები აკეთებენ წვრილმან ჭურჭელს, ასხამენ ზარებს.

ამ პერიოდის გამოყენებითი ხელოვნების ცნობილი ნიმუშია — სამეფო გვირგვინი — *მონარქის ქუდი*, რომლითაც რუსეთის ისტორიაში პირველად 1547 წ. მეფედ იკურთხა ივანე IV.

XIV-XVI საუკუნეებში მოსკოვის რუსეთის კულტურამ აღმავლობის პერიოდი გაიარა, რაც დაკავშირებული იყო ოქროს ურდოს განადგურებასთან და ერთიანი სახელმწიფოს შექმნასთან, რომლის ცენტრს წარმოადგენს მოსკოვი. ყოველივე ამან ასახვა ჰპოვა კულტურის ყველა სფეროს განვითარებაში, აღმავლობა შეეხო — ლიტერატურას, ხუროთმოძღვრებას, ფერწერას, გამოყენებით-დეკორატიულ ხელოვნებას, ამაღლდა განათლება, მომრავლდნენ წერა-კითხვის მცოდნე ადამიანები, რასაც ხელს უწყობდა წიგნის ბეჭდვის აღმოცენება.

XVII საუკუნის კულტურა

რუსეთის ისტორიაში XVII საუკუნეში მთავრდება შუა საუკუნეების პერიოდი. ევროპის მოწინავე ქვეყნები დაადგნენ ბურჟუაზიული განვითარების გზას, რუსეთი კი ამ დროს კვლავ რჩებოდა ფეოდალურ ქვეყნად. საბოლოოდ გაფორმდა ბატონყმური წყობა (1649), რომელმაც ძალიან გაამძაფრა კლასობრივი ბრძოლა, დაიწყო გლეხთა მღელვარებანი. ტყუილად როდი უწოდებენ XVII საუკუნეს *აშლეზებულს*. საუკუნის დასაწყისში რუსეთმა გადაიტანა *დიდი არეულობის წლები*, რომელიც დაკავშირებული იყო ცრუ დიმიტრის ლაშქრობასთან მოსკოვზე. პოლონელებმა დაიპყრეს მოსკოვი, რომელიც გაანთავისუფლა სახალხო ლაშქარმა ნიჟეგოროდელი ვაჭრის კოზმა მინინისა და თავად დიმიტრი პოჟარსკის ხელმძღვანელობით, რუსეთის მეფედ აირჩიეს მიხეილ რომანოვი, აღადგინეს სახელმწიფო ხელისუფლება ფეოდალური — წარმომადგენლობითი მონარქიის სახით, რამაც ქვეყანა მიიყვანა საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარდაქმნამდე.

რუსეთის ისტორიაში ახალი პერიოდის დაწყება იყო რუსული კულტურის ისტორიის ახალი ეტაპი. XVII საუკუნის რუსულმა კულტურამ შემოინახა შუა საუკუნეების ფეოდალური კულტურის ყველა ნიშან-თვისება, მაგრამ შეიმჩნეოდა სიახლის ელემენტებიც. ახალი ტენდენციები აშკარად გამოიკვეთა მხოლოდ საუკუნის ბოლოსათვის, რაც ძირითადად დაკავშირებული იყო პეტრე I-თან და მის მიერ სახელმწიფოში გატარებულ რეფორმებთან.

დაიწყო *რუსი ერის ჩამოყალიბება*. განზოგადდა ხალხური ტრადიციები, ძლიერდება ადგილობრივი ზნე-ჩვეულებების ურთიერთკავშირი. ვაჭრობის საშუალებით, ერთი ტერიტორიიდან მეორეზე გადასახლებით, ომში მონაწილეობით, რუსეთის სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებს შორის ნაწარმის გაცვლით ხელი შეეწყო სხვადასხვა დიალექტების ურთიერთშერწყმას, რამაც განაპირობა ერთიანი რუსული ენის ჩამოყალიბება. მისი ძირითადი დიალექტი იყო მოსკოვური, რომელსაც შეუერთდა სამხრეთულიც. *ერთიანი რუსული ენის* შექმნამ უფრო მეტად აამაღლა ხალხის, როგორც ერთიანი რუსული ეროვნების თვითშეგნება.

ამ პერიოდის კულტურულ-ისტორიული პროცესი ხასიათდება შუა საუკუნეების რელიგიური მსოფლმხედველობის ნგრევით. დაიწყო ე. წ. *კულტურის ჩამოცილება* ეკლესიური ტრადიციების გავლენიდან და ენიჭება საერო სამოქალაქო ხასიათი, მოხდა სეკულარიზაცია[1]. ეს პროცესი აისახა *განათლებისა* და *წიგნის ბეჭდვის* განვითარებაზეც.

განათლების ზრდას ხელი შეუწყო ახალი დამხმარე სახელმძღვანელოების (ხელნაწერის და ნაბეჭდის) გამოცემამ. 1634 წ. *ვასილ ბურცევის* მიერ გამოიცა პირველი ანბანი, რომელიც შემდეგ მრავალჯერ შესწორდა და იყიდებოდა მისაწვდომ ფასებში. 1648 წელს გამოვიდა *მ. სმოტრიცკის გრამატიკა*, 1687 წელს კი *„მოხერხებული ანგარიში“* — გამრავლების ტაბულა. ფართო განვითარება მოიპოვა აგრეთვე ხელნაწერმა ანბანებმა, დამხმარე სახელმძღვანელოებმა არითმეტიკაში.

განათლების გავრცელებამ გამოიწვია წიგნზე მოთხოვნილების გაზრდა. XVII საუკუნეში მოსკოვის *ბეჭდვითი წიგნის სახლმა* დაბეჭდა 483 წიგნი, რომელთა შორის იყო საერო წიგნებიც.

კვლავ გრძელდებოდა *ხელნაწერ წიგნთა* გამოშვება. ასევე გამოდიოდა თარგმნილი წიგნებიც, რომლებიც XVII საუკუნის 70-იან წლებში ითარგმნებოდა პოსოლსკი პრიკაზში[2]. ეს იყო როგორც რელიგიური, ასევე საერო თემებზე დაწერილი ნაწარმოებები.

მოსწავლეთა სწავლება 6 წლიდან იწყებოდა. ასწავლიდნენ სასულიერო პირები — „ოსტატები“. ანბანის სწავლების შემდეგ გადადიოდნენ ჟამნისა და დავითნის შესწავლაზე. დიდებულთა

[1] სეკულარიზაცია — საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ყველა სფეროს რელიგიისა და ეკლესიისაგან განთავისუფლების პროცესი.

[2] პოსოლსკი პრიკაზი — მოსკოვში საგარეო საქმეთა უწყება (ამჟამად საელჩო).

შვილები ოჯახებში სწავლობდნენ. მათი მასწავლებლები უმეტესად უცხოელები იყვნენ. შვილებს ასწავლიდნენ უცხო ენებს, ლათინურს.

დაიწყეს სკოლების მოწყობა ძირითადად მონასტრებთან. 1680 წელს მოსკოვში ბეჭდვითი წიგნის სახლში ნიკოლსკის ქუჩაზე გაიხსნა სასწავლებელი ორი საკლასო ოთახით: ერთში ასწავლიდნენ სლავურ ენებს, მეორეში — ბერძნულს. თავდაპირველად სასწავლებელში ასწავლიდა 30 მასწავლებელი, ხუთი წლის შემდეგ კი — უკვე 200-ზე მეტი. 1687 წ. ნიკოლსკის ქუჩაზე გაიხსნა პირველი უმაღლესი სკოლა — *სლავურ-ბერძნულ-ლათინური აკადემია*. იქ გადაიყვანეს უფროსკლასელები ბეჭდვით სახლთან არსებული სასწავლებლიდან, რომელიც გახდა მოსამზადებელი განყოფილება აკადემიაში ჩასარიცხად. აკადემიის დამთავრების შემდეგ იღებდნენ სამსახურებრივ წოდებებს.

XVII საუკუნის *ლიტერატურაშიც* ასევე მიმდინარეობდა გახალხურება, გამოჩნდა *რეალისტური ყოფითი* და *ისტორიული მოთხრობა*, რომელიც თანდათან კარგავდა ეკლესიურ ელემენტებს. გმირებად წარმოჩინდებოდნენ არა წმინდანები, არამედ ჩვეულებრივი ადამიანები, აისახებოდა რეალური მოვლენები.

მრავალი ნაწარმოები მოგვითხრობს არეულ დროზე: „*ძმრამ პალიცინის თქმულება*“, „*ახალი მოთხრობა რუსეთის დიდებულ სახელმწიფოზე*“ და სხვა. მათში მოცემულია მსჯელობა „დიდი ნგრევის“ მიზეზებზე და ამავე დროს წარმოაჩენდნენ რუსი ხალხის სიდიადეს, პატრიოტიზმს.

XVII საუკუნის მეორე ნახევრის ლიტერატურულ ქმნილებებში გამოჩნდა ახლებური დამოკიდებულება პიროვნებისადმი — ადამიანი საინტერესო გახდა თავისი შინაგანი სამყაროთი, თვისებებით, იმ ფასეულობებით, რაც მის ღირსებას წარმოაჩენს და აღიარებს წოდებისა და საზოგადოებრივი მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად.

XVII საუკუნეში პირველად ჩაიწერა ზეპირსიტყვიერი ხალხური შემოქმედების ნაწარმოებები — *ფოლკლორი*. ამან გავლენა იქონია წერილობით ლიტერატურაზე, მოხდა სალიტერატურო ენისა და ხალხური ენის შერწყმა. ძირითად ლიტერატურულ ჟანრებად კვლავინდებურად დარჩა, *მატიანე, თქმულება, ცხოვრების ასხვა*, მაგრამ ისინი ახალი შინაარსებით გამდიდრდა. გამოჩნდა ისტორიული მოთხრობებიც, ერმაკის მიერ ციმბირის დაპყრობა, თუ როგორ შემოარტყეს ალყა კაზაკებმა და სხვა.

ჟანრი „*ცხოვრება*“ ავტობიოგრაფიული ხასიათისა გახდა. „*მღვდელმთავარ ავაკუმის მიერ დაწერილი მისივე ცხოვრება*“

შეიძლება ითქვას, რომ რუსულ ლიტერატურაში პირველი მემუარული ნაწარმოებია. *მღვდელმთავარი ავაკუმი* (1620-1682) — საეკლესიო განხეთქილების[1] პერიოდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოღვაწეა, ის ამავე დროს იყო გამოჩენილი მწერალიც (დაწერილი აქვს 80-ზე მეტი ნაწარმოები). მისი თხზულებები დაწერილია საეკლესიო სლავურისა და ცოცხალი სალაპარაკო ენის შერწყმით. მისი ნაწარმოებების დიდი ნაწილი დაწერილია სიცოცხლის ბოლო 15 წლის მანძილზე, როდესაც სიკვდილმისჯილი იჯდა საპყრობილეში სიკვდილის მოლოდინში (დაწვეს 1682).

ჩნდება ახალი ლიტერატურული ჟანრებიც, განსაკუთრებით XVII საუკუნის მეორე ნახევარში. ესაა *სატირული ნაწარმოებები, ლექსები*. ენის სიუჟეტისა და გმირის თვალსაზრისით პრინციპულად სრულად ახალი იყო ლექსთა წყობით დაწერილი „*ამბავი ბოროტებედნიერების სიმწარეზე*“, რომელიც ასახავს მამათა და შვილთა ურთიერთობას. მოთხრობის სიუჟეტია — ვაჭრის შვილის, ახალგაზრდა კაცის (უსახელო გმირია) ტრაგიკული ბედი. მას უნდოდა გაეწყვიტა ურთიერთობა სახლთწყობის ძველ წესებთან და სურდა ეცხოვრა თავისუფლად, თავის სურვილზე, მაგრამ ვერ შესძლო. მან გადაიტანა წარუმატებლობა, მარცხი, უბედურებამ თითქმის დაღუპვამდეც მიიყვანა. მრავალი ბოროტება გადახდა თავს, ბოლოს მივიდა მონასტერში, სადაც მწუხარება ვერ დაეწეოდა. მოთხრობის სიუჟეტი გადახლართულია ბიბლიურ ამბავთან ძე ცდომილის შესახებ.

ამავე თემას მიეძღვნა *სიმეონ პოლოცკის* (1629-1680) გალექსილი კომედია „*ძე ცდომილის განკაცება*“. იგია, აგრეთვე, ავტორი სხვა გალექსილი პიესის „*შეფე ნაბუქოდონოსორზე*“, აგრეთვე მრავალი ლექსისა, რომლებიც ცოდნას, განათლებას უწევდა პროპაგანდას. მან რუსულ პოეზიაში ახალი ჟანრი შემოიტანა, იგი იყო დამწყები რუსული სილაბური ლექსთაწყობისა.

რუსული ლიტერატურის ახალი ჟანრი გახდა *დემოკრატიული სატირა*. სატირულ ნაწარმოებებში მხილებულია ფეოდალური წყობის სასამართლო თავისი გაჭიანურებული საქმიანობით, მიწურ-მოწურით, მოსამართლეთა გამყიდველობით. ესაა სატირული მოთხრობები

[1] საეკლესიო განხეთქილება წარმოიშვა პარტიარქ ნიკონის (1605-1681) მიერ საეკლესიო რეფორმის გატარების დროს, სადაც უნიფიცირებული იყო ყველა ეკლესიური წესის გადაყვანა ბერძნულ წესზე. რეფორმის მოწინააღმდეგეებს, რომლებიც ძველი ტრადიციების აღდგენას მოითხოვდნენ — სტაროობრიადცები ეწოდათ.

„*შემაკინის სასამართლოს შესახებ*“ და „*მშეტნკოვის ვაჟზე — ერშე ერშოვიჩზე*“, დაწერილი გასაგები ხალხური ენით. ეს ბოლო სატირული მოთხრობა ძალიან იყო გავრცელებული და ზღაპრის სახით გადადიოდა საუკუნიდან საუკუნეზე, როგორც გარითმული, ასევე პროზაული ფორმით.

რუსეთში გავრცელება ჰპოვა *მთარგმნელობითმა ლიტერატურამ*, რომელიც ძირითადად შემოდიოდა პოლონეთიდან და ჩეხეთიდან. თარგმნილი ლიტერატურა გამოდიოდა კრებულებში „*დიდი პარკი*“ და „*რომაული ქმედობები*“, რომელშიც შედიოდა ჭკუის სასწავლებელი მოთხრობები. რუსეთში ასევე შემოდიოდა რაინდული რომანებიც, რომელთა გმირებიც იყვნენ მეფეები, გრაფები — მაღალი წრის წარმომადგენლები. ითარგმნებოდა ყოფითი და სასიყვარულო ხასიათის ნოველები, ავანტურულ-სათავგადასავლო მოთხრობები, იუმორისტული ამბები და ანეკდოტები. ისინი ხშირად გავლენას განიცდიდნენ რუსული ფოლკლორისაგან, გადაკეთდებოდა, სახეს იცვლიდა, უკვე თვითონ ხდებოდა ხალხური შემოქმედების ახალი ნიმუში. ამისი ნათელი მაგალითია, „*მოთხრობა ძოვე მეფის ძეზე*“, რომლის საფუძველიც გახდა ფრანგული რაინდული რომანი.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში ხუროთმოძღვრებაში აისახა ეპოქის გარდამავალი ხასიათი. მიმდინარეობს ხუროთმოძღვრების გახალხურება, უარყოფდნენ მკაცრ საეკლესიო კანონიკას, სიმკაცრიდან და სისადავიდან გადავიდნენ გარეგნულ მორთულობაზე, დეკორატიულ გამოსახვაზე. ახლის ძიების ძირითადი არსი იყო — *საუცხოო მოხატულობა*, როგორც განმარტეს ეს სტილი თანამედროვეებმა. ეს ტერმინი ასახავს დეკორატიული მოტივების სიუხვისადმი სწრაფვას იქამდე, რომ იყენებდნენ აღმოსავლურ, შემდეგ კი დასავლურ ფორმებს.

XVII საუკუნის რუსული ტაძრები გამოირჩევა მდიდრული გარეგანი დეკორითა და შიდა მორთულობით. თანდათან ძლიერდება საერო მოტივები, მცირდება განსხვავება ტაძრულსა და სამოქალაქო ნაგებობებს შორის. ეკლესიები ემსგავსება საერო გასართობ ადგილებს, ძირითად შენობას უკეთებდნენ მინაშენს, შუშაბანდს, ყველა ნაგებობა ერთმანეთს უკავშირდებოდა გადასასვლელებით და ქმნიდა *ანსამბლს*.

თვალსაჩინო ხუროთმოძღვრულ ძეგლად მიჩნეულია ამ პერიოდში აშენებული მოსკოვის *შობის ეკლესია პუტინკაში* (მშენებლობა დასრულდა 1652 წელს). ეკლესიის მშენებლობაზე 500 მანეთი, იმ დროისათვის უზარმაზარი თანხა დაიხარჯა.

თავდაპირველად ფული გადაიხადა მრევლმა, მაგრამ ვერ განსაზღვრეს თავიანთი შესაძლებლობანი, მათ ორჯერ მოუწიათ მეფისათვის თხოვნა და მისგან დახმარების მიღება. ეკლესიის კომპოზიციაში აისახა ის სიახლე, რაც იმ დროის რუსეთის ქვის არქიტექტურაში შემოვიდა. მთავარ ტაძარსა და ეკვდერს შორის ჩაშენებული იქნა *სამრეკლო* — ტაძრის შემადგენელ ცალკეულ ნაგებობებს შორის მათი გამაერთიანებელი ყველაზე მაღალი ნაწილი. ეკლესია შემკობილია დეკორატიული დეტალებით, გამოირჩევა სილუეტების სიმძაფრით.

პუტინკაში აგებული ეკლესია არის უკანასკნელი კარვისებური სტილის ტაძარი მოსკოვში. 1652 წელს პატრიარქად არჩეულ იქნა *ნიკონი*, რომელმაც აკრძალა კარვისებური ტაძრების მშენებლობა, მან სანაცვლოდ ტრადიციული *ხუთგუმბათიანი* ნაგებობა შემოიღო. თუმცა კარვისებური ტაძრების მშენებლობა დედაქალაქის მოშორებით — იაროსლავლში, კოსტრომასა და სხვა ქალაქებში კვლავაც გრძელდებოდა. მოსკოვში ხუროთმოძღვრებმა ეს სტილი გამოიყენეს სამრეკლოთა მშენებლობის დროს, რომელიც წკრიალა ზარის ნაცვლად დანერგეს. ტრადიციულ სტილში აიგო *ახალი იერუსალიმის მონასტრის* ნაგებობათა კომპლექსი — ეს იყო პატრიარქ ნიკონის რეზიდენცია ქალაქგარეთ.

ძველ ტრადიციულ ფორმებთან ერთად რუსულ ხუროთმოძღვრებაში ჩნდება ახლებურიც. XVII საუკუნის მეორე ნახევარში შენობის არქიტექტურა გამოირჩევა დიდი დეკორატიულობით, გამოყენებულია სხვადასხვანაირი მორთულობა, მკვეთრი ფერის საღებავებით ღებვა, ფიგურული აგური, ფერადი ჭრილები როგორც გარეთ, ასევე შენობის შიგნით. ამ მდიდრულმა არქიტექტურამ *მოსკოვის ბაროკომ*[1] სახელწოდება მიიღო. ამ სტილის დამახასიათებელი ნიშნებია — კომპოზიციის მკაფიო სიზუსტე, სიმეტრიულობა, მრავალიარუსიანი წყობა, დეტალების გულმოდგინე დამუშავება, დეკორატიული ქვეთა და ჭრა თეთრ ქვაზე, ფასადების შეღებვა, ფერადი ჭრილების ქვეთა, შენობის ზაზგასმული სწრაფვა სიმაღლისაკენ. მოსკოვის ბაროკოს ნიმუშია *ფილიაში ღვთისმშობლის საფარველის ეკლესია*, სერგი-სამების მონასტრის სატრაპეზო, ასევე ნოვოდევიჩის მონასტრის მრავალიარუსიანი სამრეკლოც.

---

[1] ბაროკოს სხვა სახელწოდებებია — *რუსული ბაროკო*, *ნარიშკინული ბაროკო*, რომელიც წარმოიშვა ბოიარ ნარიშკინის გვარიდან, რომლის მამულებში მოსკოვსა და მის მახლობლად შენდებოდა მრავალიარუსიანი მშვენიერი ეკლესიები.

ამ სტილის ნიშნებითაა აგებული ბეჭდვითი *საშის სახლი* და *სუბარეთის კოშკი*.

რუს ოსტატთა *არტელმა ბაჟენ ოგურკოვის* ხელმძღვანელობით ააგო ტერემული[1] ტიპის სასახლე მოსკოვის კრემლში, იგი წარმოადგენდა საფეხურებიანი პირამიდის მსგავს, მრავალიარუსიან ნაგებობას, რომელიც „განასახიერებდა სამეფო ხელისუფლების ძლიერებას". ახალ სტილში იყო გადაწყვეტილი სასახლის მორთულობა — მისი ჩუქურთმებიანი თამასები და მრავალფეროვანი სარტყელები როგორც გარეთ, ისე შენობის შიგნით.

ახლებური მშენებლობა მიმდინარეობდა არა მხოლოდ მოსკოვში, არამედ სხვა ქალაქებშიც. ტაძრული მშენებლობებით, რომლებიც მდიდარ ვაჭართა დაკვეთით სრულდებოდა, გამოირჩეოდა *იაროსლავლი*. იაროსლავლის ეკლესიების უმრავლესობა სიდიდით და მორთულობით აჭარბებდა მოსკოვურს, ასეთია: *ელია წინასწარმეტყველის ეკლესია, იოანე ოქროპირის* ეკლესია. იაროსლავური ბუროთმოძღვრების მწვერვალია ტოლჩკოვოში აგებული *იოანე მაბარებლის* ეკლესია. რომლისთვისაც დამახასიათებელია მონუმენტურობა, ოქროს 15 თავი ჰარმონიულადაა შერწყმული კედლის წითელ აგურთან, რომელიც ცისფერი ჭრილებითაა შემკული.

ვითარდება *სამოქალაქო მშენებლობა*: მდიდარი აზნაურები და ვაჭრები თავიანთ სახლებს აგებენ ქვისაგან. მათში აშკარად შეიმჩნევა დაშორება ტრადიციული სისადავისა და სიმკაცრისაგან, სწრაფვა ფასადის დეკორატიული მდიდრული გაფორმებისაკენ. ასეთი სახლები შენდება, როგორც მოსკოვში, ასევე იაროსლავლში, კალუგაში, ნიჟნი ნოვგოროდსა და სხვა ქალაქებში. მოსკოვში ნარიშკინული სტილის არქიტექტურული ძეგლებია — ბერსენევის სანაპიროზე *სათათბიროს მოხელის აკურკა კირილოვის პალატები*, ხარიტონიევის შესახვევში *იოანე ზოლოტოვის სახლი*, გეორგიევსკის მოსახვევში *ბოიარ ტროეკუროვების პალატები*.

XVII საუკუნის ბოლოს მოსკოვის ბაროკოს სტილის ახალებურმა გადაწყვეტამ და ფორმებმა გავლენა იქონია შემდგომი დროის არქიტექტურაზე.

XVII საუკუნის *ფერწერა* უწვეულოდ მშფოთვარედ ვითარდებოდა. ხელოვნების სხვა დარგების მსგავსად მასაც შეეხო გახალხურების პროცესი. მიმდინარეობს რეალისტური მიმართულების

[1] ტერემული — ქოხისებური.

ჩამოყალიბება და განვითარება, ჩნდება პიროვნებისადმი ინტერესი. ვითარდება ფოფხითი ჟანრი, პორტრეტული — *პარსუნის*[1] ფერწერა.

ახალ მიმართულებას სათავეში ედგა *სიმონ თეოდორეს ძე უშაკოვი* (1626-1686) — რუსი ფერმწერი და გრავიორი. სიმონ უშაკოვის ქმნილებაში — პარსუნებსა და მინიატურებში შერწყმულია ფერწერის ტრადიციული ფორმები და ნოვატორული ძიებანი. ისინი მოასწავებენ რელიგიურიდან საერო ხელოვნებაში გადასვლას. უშაკოვი პირობითობიდან გადადის უფრო ზუსტ გამოსახულებაზე, ცდილობს ხატწერის გამოსახულებას მიანიჭოს ცოცხალ ადამიანთა ხასიათი. მის ხატებზე — წარმოდგენილია რეალისტური პეიზაჟი და სხვა გამოსახულებები, რომელთაც ხატის სიუჟეტთან არა აქვთ უშუალო კავშირი.

სიმონ უშაკოვის ყველაზე ცნობილი ქმნილებაა — „*ხელთუქმნელი მაცხოვარი*", სადაც მხატვარი შუქ-ჩრდილების საშუალებით გადმოსცემს მოცულობას, ასახიერებს არა აბსტრაქტულ წმინდანს, არამედ რეალურ ადამიანს. უშაკოვი გამოვიდა, როგორც მხატვარი — რეფორმატორი, რომელიც ხატწერის ტრადიციული სქემების გამოყენებასთან ერთად ისწრაფოდა ფორმის შუქჩრდილებით მოდელირებისაკენ, გამოსახულ სახეთა მოცულობისაკენ. 1617 წელს მან შექმნა ხატი „*სამება*", რომელშიც, ამავე სახელწოდების ა. რუბლიოვის ხატისაგან განსხვავებით, გადმოსცემს არა სულიერ სილამაზეს, არამედ მიწიერს, ანგელოზები გამოხატულია სიცოცხლით სავსე, ჯანმრთელი ჭაბუკების სახით.

XVII საუკუნის პირველ ნახევარში პარსუნებს ქმნიდნენ ძველებური ხატწერის მანერით — ცაცხვის ხის დაფებზე, კვერცხის გულის საღებავებით. ასეა დაწერილი მეფე თეოდორე ივანეს ძისა და თავად ვოევოდ (ძვ. მხედართმთავარი) მ.ვ. სკოპინ-შუისკის პარსუნები. გამოსახულებებში გამოყენებული ხატისათვის დამახასიათებელი სამეოთხედიანი მობრუნება, დიდი თვალები, ფართედ გაბელილი თვალები. ამასთან მხატვრები ცდილობდნენ რაც შეიძლება ზუსტად გადმოეცათ ორიგინალების რეალური ნიშნები.

XVII საუკუნის 80-90-იან წლებში რუსი მხატვრები ქმნიან მნიშვნელოვან პარსუნებს: პეტრე I-ის ბიძის ლ.კ. ნარიშკინის პორტრეტს მთელს სიმაღლეში და პეტრე I-ის დედის ნ.კ. ნარიშკინას პორტრეტს წელამდე. ამ ნახატებისათვის დამახასიათებულია

[1] პარსუნა — „პერსონას" დამახინჯებული ფორმა (persona — ლათ. პიროვნება, პირი).

განსაკუთრებული ყურადღება ადამიანის შინაგანი სამყაროსადმი, გამოყენებულია ნაზ ფერთა გამა.

XVII საუკუნის ფერწერაში შეიმჩნევა სწრაფვა რეალიზმისაკენ, იზრდება ინტერესი პიროვნებისადმი.

რუსეთში *თეატრი* XVII საუკუნემდე არ არსებობდა. საუკუნეების მანძილზე თეატრს ცვლიდა ხალხური ტრადიციული ჩვეულებანი — ქორწილები, დღესასწაულები, ისეთიც, როგორიცაა ყველიერის გაცილება, კოლიადები[1] სამასკარადო გადაცმული ადამიანების მონაწილეობით. ამ დღესასწაულებზე გამოდიოდნენ *სკომოროხები*[2] — მოცეკვავეები, აკრობატები, მუსიკოსები, მავთულზე მოსიარულენი, თოჯინებით მოთამაშენი და სხვა. უფრო მოგვიანებით გამოჩნდა სკომოროხების ხალხური თეატრები თავიანთი საკუთარი რეპერტუარით.

ნამდვილი თეატრი XVII საუკუნეში ჩამოყალიბდა, ეს იყო სამეფო კარისა და სასკოლო თეატრი. *სამეფო თეატრის* აღმოცენება განპირობებული იყო ევროპისადმი მაღალი საზოგადოების მიბაძვით. ეს თეატრი ჩამოყალიბდა მოსკოვში მეფე ალექსი მიხეილის ძის კარზე. პირველი წარმოდგენა 1672 წლის 17 ოქტომბერს გაიმართა, ეს იყო პიესა *„არტაქსერქსეს ქმნულება“* (ბიბლიური ესთერის ისტორია). მეფეს წარმოდგენა იმდენად მოეწონა, რომ მიყოლებით ათი საათის განმავლობაში უყურებდა. ბიბლიურ სიუჟეტებზე სხვა პიესებიც იდგმებოდა.

თავდაპირველად სამეფო თეატრს საკუთარი შენობა არ გააჩნდა, დეკორაციები და კოსტუმები გადაჰქონდათ ერთი ადილიდან მეორეზე. პირველი სპექტაკლები დადგა პასტორმა გრეგორმა, გერმანელთა გარეუბნიდან, მსახიობებიც უცხოელები იყვნენ. მოგვიანებით იძულებითი წესით იზიდავდნენ და ასწავლიდნენ რუს *„ყმაწვილებს“*. 1673 წელს ნოვომეშჩანსკის გარეუბნის 26 მცხოვრები გაამწესეს *„კომედიურ საქმიანობაზე“*, შემდგომში ეს რიცხვი გაიზარდა. ხელფასს მათ არ უხდიდნენ რეგულარულად, მაგრამ დეკორაციებისა და კოსტუმებისათვის თანხას არ იშურებდნენ. სპექტაკლები გამოირჩეოდა მდიდრულობით, ზოგჯერ მიმდინარეობდა მუსიკისა და ცეკვის თანხლებითაც. მეფე ალექსი მიხეილის ძის გარდაცვალების

[1] კოლიადა — წინა საშობაო დღესასწაული, რომელიც იმართებოდა ადრე უკრაინაში.

[2] სკომოროხები — ოინბაზები, ტაკიმასხრები, რომლებიც იყვნენ ერთდროულად მომღერლები, პოეტები, მუსიკოსები, მოცეკვავეები.

შემდეგ სამეფო თეატრი დაიხურა და წარმოდგენები განახლდა მხოლოდ პეტრე I-ის დროს.

სამეფო თეატრის გარდა რუსეთში XVII საუკუნეში სლავურ-ბერძნულ-ლათინურ აკადემიასთან ჩამოყალიბდა *სასკოლო თეატრი*. პიესებს სპექტაკლებისათვის წერდნენ მასწავლებლები და მოსწავლეთა ძალებით იდგმებოდა დღესასწაულებზე. პიესებში იყენებდნენ როგორც სახარების სიუჟეტებს, ასევე ყოფით თქმულებებს. ისინი იწერებოდა ლექსის საზით მონოლოგზე დაყრდნობით. მათში რეალური სახეების გარდა, წარმოდგენილი იყო ალეგორიული ხასიათის პერსონაჟებიც.

სამეფო კარისა და სასკოლო თეატრების გამოჩენამ გააფართოვა რუსული საზოგადოების სულიერი ცხოვრების სფერო.

მუსიკა ძირითადად საეკლესიო მიმართულებით ვითარდებოდა, მაგრამ შეიმჩნეოდა საერო მოტივებიც. გავრცელდა *სახალხო-ისტორიული მუსიკა*, უპირატესად სიმღერები სტეფან რაზინზე.

საეკლესიო *მუსიკას* აყვავება დაიწყო ივანე მრისხანეს დროს იგი თვითონაც ქმნიდა მუსიკას. ჯერ კიდევ ივანე III დროს შეიქმნა სამეფო კარის სიმღერის კაპელა, რომელიც სამუსიკო განათლების ცენტრად იქცა. *ი.ა. შიდუროვმა* დაწერა *„ნოტების გრამატიკა“*, *„ერთხმად გალობათა ანბანი“* კი შექმნა *ა. მეზენცმა*. 1668 წელს დაარსდა ძველი მუსიკალური ხელნაწერების შემგროვებელი სამუსიკო კომისია. დასავლეთიდან მოსკოვში შემოვიდა *პარტესული* (მრავალხმიანი) გალობა. სიმეონ პოლიცკის გალექსილ ფსალმუნებს *კასიან ტიტოვმა* დაუწერა მუსიკალური აკომპანიმენტი.

XVII საუკუნის რუსული კულტურის განვითარების შედეგების შეჯამებისას, უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, მისი გახალხურება, რელიგიურობიდან თანდათანობითი გადასვლა საერო, სამოქალაქო მოტივებზე. ეს გამოიხატა ადამიანის პიროვნებისადმი გაზრდილი ინტერესით ხელოვნების ყველა დარგში — ლიტერატურაში, ფერწერაში და სხვა - რეალიზმისაკენ სწრაფვით. XVII საუკუნის რუსულმა ლიტერატურამ დიდი ნაბიჯი გადადგა თავის განვითარებაში, გაჩნდა ახალი მიმართულებები, მაგრამ საბოლოო გარდატეხა მოხდა XVIII საუკუნის დასაწყისში.

ძირითადი ტერმინები და ცნებები

უსვეტო ტაძარი	ერთიანი რუსული ენა
ამბოხის საუკუნე	ერთხმიანი გალობა
საფოფაცხოვრებო მოთხრობა	ხატწერა
დიდი არეულობა, შფოთი	ისტორიული მოთხრობა
სახალხო სასეირო ადგილი	წიგნის ბეჭდვა

დეკორი
დემოკრატიული სატირა
საუცხოო მოხატულობა
მოსკოვური — (რუსული ნა-
რიშკინული) ბაროკო
ხალხური ისტორიული სიმღერა

კულტურის გახალხურება
პარსუნა — (იგივე პერსონა)
პარტესული — მრავალხმიანი
მუსიკოსები, გალობა
პალატი
სამეფო თეატრი
დაეითნი
ხუთგუმბათიანი ტაძარი
კარვისებური ტაძარი
სასკოლო თეატრი

კრემლი
სამოგზაურო ლიტერატურა
„მოსკოვი — მესამე რომი“
რუსული ხალხურობა
რუსული ნაცია (რუსი ერი)
სეკულარიზაცია — (სახელმწიფოს მიერ ეკლესიის ქონების (ძირითადად მიწის) ჩამორთმევა)
სკომოროხები — (ოინბაზები, ტაკიმასხარები, რომლებიც იყვნენ მომღერლები, პოეტები, მოცეკვავეები).
უნია—(მონარქიული სახელმწიფოების გაერთიანება ერთ-ერთი სახელმწიფოს სუვერენული მეთაურობით)
ფოლკლორი
ფრესკა
ჟამნი

❧ კითხვები გამეორებისათვის ❧

1. როგორ აისახა რუსი ხალხის ბრძოლა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ წერილობით ძეგლებსა და ხელოვნებაში?
2. რა განმასხვავებელი ნიშნებია დამახასიათებელი XIV-XV საუკუნეების პერიოდის რუსული ხუროთმოძღვრებისა და ფერწერისათვის? დაასახელეთ ამ ეპოქის ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები.
3. როგორ აისახა ერთიანი რუსული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი XV-XVI სს. ქვეყნის კულტურული ცხოვრების განვითარებაში (წიგნიერებაში, განათლებაში, წიგნის ბეჭდვის საქმეში)? რა სიახლეები გამოვლინდა ხელოვნებაში?
4. რაში გამომჟღავნდა XVII საუკუნის რუსული კულტურის ახალი თვისებები, როგორ აისახა ხელოვნებაში, ლიტერატურაში, განათლებაში რელიგიური მსოფლმხედველობის ნგრევისა და კულტურის გახალხურების პროცესები?

❧ ღირსება ❧

მშობელთა ღირსება ვაჟზე არ გადადის,
ვჯობს საქმემან შენმან გამოგაჩინოს,
ღირსება სჯობია, შენით მიიღო,
წინაპრის სახელი შენ ვერას გარგებს.

სიმეონ პოლოცკი

თავი 8 ❧

შუა საუკუნეების ევროპის კულტურა



მოტივის სტილის გოთიკური ორნამენტები

ტერმინი „შუა საუკუნეები“ დაახლოებით 1500 წელს შემოიტანეს ჰუმანისტებმა. ასე აღნიშნავდნენ ათასწლეულს, რაც მათ აშორებდა ანტიკურობის „ოქროს საუკუნეს“.

ისტორიულ-კულტუროლოგიურ ლიტერატურაში დიდი ხნის განმავლობაში იყო გაბატონებული აზრი შუა საუკუნეებზე, როგორც „ბნელ დროებაზე“. ასეთი პოზიციის საფუძვლები ჩადებული იყო განმანათლებლების მიერ. მაგრამ დასავლეთ ევროპის საზოგადოების კულტურის ისტორია სულაც არ იყო ერთმნიშვნელოვანი. ერთი რამ კი ცხადია, რომ ამ პერიოდის ევროპის საზოგადოების მთელ კულტურულ ცხოვრებას მნიშვნელოვან წილად განსაზღვრავდა *ქრისტიანობა*, რომელიც უკვე IV საუკუნეში რომში ხდება სახელმწიფო რელიგია. ამ დროს მსოფლიოს ეკლესიურ ტაძრებში იღებენ ქრისტიანული მოძღვრების მთელ რიგ წამყვან დებულებებს — რწმენის სიმბოლოს. ეს დებულებები ყველა ქრისტიანისათვის ცხადდება საეალდებულოდ. ქრისტიანული მოძღვრების საფუძველი *იყო რწმენა ქრისტეს აღდგომის, მკვდრეთით აღდგომისა და სამების ღვთაებრიობის შესახებ.*

ცნება სამების ღვთაებრიობის შესახებ განიხილებოდა იმგვარად, რომ ღმერთი ერთია ყველა სამივე სახეში: მამა-ღმერთი, სამყაროს შემქმნელი, ძე-ღმერთი, იესო ქრისტე — ცოდვების გამომსყიდველი და სული წმინდა-ღმერთი — იყვნენ აბსოლუტურად თანასწორნი და ერთმანეთს შერწყმულნი. ქრისტიანობა ასწავლიდა, რომ ბუნებით ადამიანი სუსტია და მიდრეკილება აქვს ცოდვების ჩადენისაკენ და არ შეუძლია გადარჩენა ეკლესიის დახმარების გარეშე. ეკლესიის ზეგავლენა ფეოდალურ სამყაროზე უდიდესი იყო, მაგრამ ყველა ქვეყანაში არა ერთნაირი.

აღმოსავლეთში, ბიზანტიაში, ქრისტიანული ეკლესია არსებითად დამოკიდებული იყო ძლიერ იმპერატორულ ძალაუფლებაზე. ბიზანტიელი იმპერატორები უკვე V საუკუნეში ასრულებდნენ მნიშვნელოვან როლს ეკლესიის ცხოვრებაში: თვით საეკლესიო კრების მოწვევის უფლებაც კი იმპერატორს ეკუთვნოდა, რომელიც თვითონ ადგენდა მონაწილეთა შემადგენლობას და ამტკიცებდა მათ გადაწყვეტილებებს. დასავლეთში კი ეკლესიები არა თუ არ ექვემდებარებოდნენ სახელმწიფოს, პირიქით, დიაკვენს განსაკუთრებული მდგომარეობა. რომაელმა ეპისკოპოსებმა IV საუკუნიდან პაპებად წოდებულებმა, მიისაკუთრეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფუნქციებიც.

განხეთქილება ეკლესიაში

დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის არსებობდა და

დროთა განმავლობაში უფრო გაღრმავდა დაპირისპირება, რომელმაც თანდათან უფრო და უფრო მეტად პრინციპული ხასიათი მიიღო. IX საუკუნის შუა პერიოდში ეს დავა იყო *filioque* (ფილიოკვე)-ზე, ანუ ამოსავალ საწყისზე, რომ მხოლოდ მამა-ღმერთიდანაა სული წმინდა წმიდა (აღმოსავლეთ ეკლესიის პოზიცია), თუ მამა-ღმერთიდან და ძე-ღმერთიდან (დასავლეთ ეკლესიის პოზიცია). ეს დავა საბოლოოდ დასრულდა განხეთქილებით 1054 წელს, როდესაც ეკლესიებმა საქვეყნოდ გამოაცხადეს ერთმანეთისაგან მთლიანი დამოუკიდებლობა. განხეთქილების შემდეგ ორივე ეკლესია აცხადებდა პრეტენზიას მსოფლიო ეკლესიის როლზე — კათოლიკური (დასავლეთის ტრანსკრიპციით) ან კაფოლიკური (აღმოსავლეთის ტრანსკრიპციით). ამ დროიდან დასავლეთის ეკლესია თავის თავს უწოდებს *რომაულ-კათოლიკურს*, აღმოსავლეთისა კი — *ბერძნულ-კაფოლიკურს* ანუ *მართლმადიდებლურს* (ორთოდოქსალურს, ჭეშმარიტს).

ერეტიკული მოძღვრებები

შუა საუკუნეების დასაწყისში ადგილი ჰქონდა *ერესების* (ბერძნ. hairesis — განსაკუთრებული სარწმუნოება) აღმოცენებას. ერეტიკოსთა მოძღვრების მომხრე *ნებსტორიანელები* უარყოფდნენ დოგმას ქრისტეს ღვთაებრიობის შესახებ, ამტკიცებდნენ, რომ იესო ქრისტე და ქალწული მარიამი მოკვდავი ადამიანები იყვნენ. მეორე ერეტიკული მოძღვრება — *მონოფიზიტობა*, პირიქით, ქრისტეში ხედავდა მხოლოდ ღმერთს და უარყოფდა მასში ადამიანურ ბუნებას.

VIII საუკუნეში აღმოცენებული პაპობა, ყოველთვის აქტიურად ეწინააღმდეგებოდა ერესების გავრცელებას. მათთან ბრძოლის ერთადერთი იარაღი იყო *ინკვიზიცია* (ლათ. ingusitio — ძებნა), რომელიც XIII საუკუნიდან მოქმედებდა, როგორც რეგულარული საეკლესიო სასამართლო. ერეტიკოსების მსგავსად ისჯებოდნენ თავისუფლად მოაზროვნენი, კუდიანები, ჯადოქრები, ეჭვმბაშები, წინასწარმეტყველნი და ნათელმხილველები, რომელთაც ეკლესია ადანაშაულებდა უწმინდურ ძალებთან ურთიერთობაში. ეკლესია ასწავლიდა, რომ ეშმაკი იბუდებს ადამიანებში, უპირველეს ყოვლისა — ქალებში და აიძულებს მათ ჩაიდინონ ბოროტება. ეშმაკთან კავშირის დამყარებაში დადანაშაულება საკმარისი იყო სასიკვდილო განაჩენის გამოსატანად. უბედურებს, როგორც წესი, კოცონზე წვავდნენ. ასეთი პროცესები ევროპაში თითქმის მასობრივ ხასიათს ატარებდა. მაგალითად, ესპანეთში ინკვიზიციის კოცონზე დაიღუპა 30 000 ადამიანი.

ბერ-მონაზვნობა და კათოლიკური ეკლესია

როგორც დასავლეთში, ასევე აღმოსავლეთშიც დიდი როლი შეასრულა ბერ-

მონაზონობამ ბერ-მონაზვნები თავიანთ თავზე იღებდნენ „ამ ქვეყნიდან გასვლის“, ქორწინების გარეშე ყოფნის და ქონებაზე უარის თქმის ვალდებულებას. მაგრამ, უკვე VI საუკუნეში მონასტრები გადაიქცნენ ძლიერ და ხშირად ძალიან მდიდარ ცენტრებად, უძრავი და მოძრავი ქონების მფლობელად. ბევრი მონასტერი გახდა კულტურისა და განათლების ცენტრი. ასე, მაგალითად, ინგლისში VII საუკუნის ბოლოსა და – VIII საუკუნის დასაწყისში ჩრდილო-აღმოსავლეთის ერთ-ერთ მონასტერში ცხოვრობდა *ღრმად პატივცემული* ბედა, იმ დროისათვის ერთ-ერთი მეტად განათლებული ადამიანი, ინგლისის ისტორიის შესახებ პირველი დიდი თხზულების ავტორი.

1118 წ. იერუსალიმში სოლომონის ძველი ტაძრის ადგილზე დაფუძნდა *ტამპლიერთა* (ფრ. tample – ტაძარი) ორდენი. რაინდები ორდენში შესვლისას დებდნენ აღთქმას არ შესულიყვნენ ქორწინებაში, ეცხოვრათ ღარიბულად, ყოფილიყვნენ მორჩილებაში და დებდნენ ფიცს დაეცვათ რწმენის საიდუმლოება. ჩვეულებრივი ბერებისაგან ასეთი რაინდების გარჩევა ტანსაცმლითაც შეიძლებოდა, რომელზედაც გამოსახული იყო ჯვარი.

XII საუკუნის შუა წლებში სწრაფად განვითარებად ქალაქებში თავი მოიყარა სულიერ საზრდოს მოწყურებულ მაცხოვრებელთა უფრო აქტიურმა და განათლებულმა ნაწილმა. *ლატკათა ორდენები* (დომინიკელთა, ფრანცისკანელთა და სხვ.) ქალაქის სულიერი მიმდინარეობის ნაწილს და, ამავე დროს, მათ ერეტიკულ უკიდურესობებზე რეაქციას წარმოადგენდა. ისინი მკვიდრდებოდნენ ქალაქებში, ამიტომ მათ წევრებს ეძახდნენ არა ბერებს (ბერძნ. monachos – განდეგილი), არამედ *ძმებს*. თავდაპირველად ისინი შემოწირულობათა ხარჯზე ცხოვრობდნენ. ლატკათა ორდენის საქმიანობებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარე იყო მღვდელმსახურება, უპირველეს ყოვლისა აღსარება და ქადაგება. აქედან მომდინარეობს ძმათა სწრაფვა მისიონერული (ისინი მივიდნენ ჩინეთამდეც) საქმიანობისადმი და მათი შეურიგებელი ბრძოლა ერეტიკოსებთან. XIII საუკუნეში დომინიკელები და ფრანცისკელები თაოსნობდნენ ინკვიზიციას ევროპაში. მათი წრიდან გამოვიდნენ შუა საუკუნეების უდიდესი თეოლოგები *ალბერტ დიდი* (1193 - 1280) და *თომა აკვინელი* (1225/26 - 1274). ალბერტ დიდმა დაიწყო ქრისტიანული ღვთისმეტყველების ენციკლოპედიური სისტემატიზაცია და გარდაქმნა. თომა აკვინელის *„თეოლოგიის ჯამში“* ახდენდა შუა საუკუნეობრივი მსოფლმხედველობის საფუძვლების შეჯამებას. მის მიერვე იყო ფორმულირებული ღმერთის არსებობის ხუთი მტკიცებულება.

XII–XIII საუკუნეებში საგრძნობლად გაფართოვდა კათოლიკური ეკლესიისა და პაპობის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე გავლენა. ამ პერიოდის ყველაზე გავლენიანი და ძლიერი პაპი იყო *ინოკენტი III* (1160 ან 1161-1216). მის დროს პაპობამ ძლევამოსილების ზენიტს მიაღწია. მან დააწესა ეკლესიის ყოვლისმომცველი კონტროლი ხელისუფლებასა და საზოგადოებაზე. მისი გადაწყვეტილებების შესრულებაზე მეთვალყურეობას აწარმოებდა სპეციალურად ამ საქმისათვის განკუთვნილი ადმინისტრაციული და გამწმენდი აპარატი. არცერთი სხვა პაპი არ იყო ასეთი გულუხვი *ანათემაზე* და *ინტერდიქტთა*ზე, რის გამოც შიშისა და ძრწოლის ქვეშ ჰყავდა ევროპელი მონარქები. პაპი ისწრაფვოდა ევროპის ყველა ქვეყნის ხელისუფალნი წმინდა ტახტის ვასალებად ექცია.

რომის კათოლიკური ეკლესია გამოდიოდა არბიტრის როლში სახელმწიფოთა შორის დავის დროს, იყო მსოფლიო უდიდესი ფინანსური ცენტრი, აქტიურად ეწეოდა კომერციულ და საერთო ეკონომიკურ საქმიანობას, მაგალითად, *ყიდდა ინდულგენციებს* (ლათ. indulgentia – მოწყალება) – ეს იყო სიგელი ჩადენილ და მომავალში ჩასადენ ცოდვათა მისატევებლად. ინდულგენციის ფასი დამოკიდებული იყო დანაშაულის სიმძიმეზე.

შუა საუკუნეების ევროპის საზოგადოება იყო ძალიან რელიგიური და სასულიერო ხელისუფლება მათზე ბატონობდა. ეკლესიის სწავლება იყო ამოსავალი მომენტი ყველანაირი აზროვნებისათვის, ყველა მეცნიერება (იურისპრუდენცია, ბუნებისმეტყველება, ფილოსოფია, ლოგიკა) – ყველაფერი მოდიოდა ქრისტიანობასთან დამოკიდებულების შესაბამისობაში. სამღვდელოება იყო ერთადერთი განათლებული კლასი, და სწორედ ეკლესია ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში განსაზღვრავდა პოლიტიკას განათლების სფეროში.

განათლება

V-IX საუკუნეებში დასავლეთ ევროპის ქვეყნების ყველა *სკოლა* ეკლესიის ხელში იყო მოქცეული. ეკლესია ადგენდა სასწავლო პროგრამას, არჩევდა მოსწავლეებს. *ბერ-მონაზონთა სკოლების* მთავარი ამოცანა განისაზღვრებოდა, ეკლესიის მსახურთა აღზრდით. ქრისტიანულმა ეკლესიამ შეიმოინახა და გამოიყენა ძალიან კულტურის ელემენტები, შემორჩენილი ანტიკური განათლების სისტემიდან: საეკლესიო სკოლებში ასწავლიდნენ ანტიკური ეპოქიდან მემკვიდრეობით გადმოსულ დისციპლინებს. ეს იყო „შვიდი თავისუფალი ხელოვნება“ – გრამატიკა, რიტორიკა, დიალექტიკა ლოგიკის ელემენტებით, არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია და მუსიკა. ამასთან

ერთად ანტიკური ტექსტები ხშირად ნადგურდებოდა და ძვირადღირებულ პერგამენტს იყენებდნენ მონასტრის ქრონიკების ჩასაწერად.

ასევე არსებობდა საერო *სკოლები*, სადაც სწავლობდნენ ყმაწვილები, რომლებიც არ იყვნენ განსაზღვრულნი შემდგომში საეკლესიო კარიერის გასაგრძელებლად. IX საუკუნის მეორე ნახევარში ინგლისში მრავლად იყო გახსნილი ასეთი სკოლები. აქ სწავლობდნენ დიდგვაროვანი ოჯახის შვილები, მათ ასწავლიდნენ კონტინენტური ევროპიდან მოწვეული მასწავლებლები, რომლებიც აქტიურად თარგმნიდნენ ინგლისურ ენაზე ანტიკურ ავტორთა ნაწარმოებებს.

სწავლების დონე სხვადასხვა სკოლაში და შუა საუკუნეების სხვადასხვა პერიოდში ერთნაირი არ იყო, იცვლებოდა ადამიანთა განათლების ხარისხიც. VIII-IX საუკუნეებში გარკვეული აღმავლობის შემდეგ, X საუკუნეში და XI საუკუნის დასაწყისში გონებრივი შესაძლებლობები საგრძნობლად დაბუსრუჭდა. გაუნათლებელი იყო საშვილოსნო, გავრცელდა უვიცობა. მაგალითად, ვარაუდობდნენ, რომ დედამიწა იყო ბორბლის მსგავსი, რომელსაც ყოველი მხრიდან ოკეანე ერტყმის გარს. დედამიწის ცენტრში მდებარეობს ქალაქი იერუსალიმი. დედამიწის ბურთისებური ფორმის შესახებ ანტიკური იდეა უარყოფილი იქნა: შეუძლებლად ითვლებოდა, რომ ადამიანები დედამიწის მოპირდაპირე მხარეს თავებით დადიან. დაცემისაკენ წავიდა *სკრიპტორიები* – ეკლესიებსა და მონასტრებთან არსებული სახელოსნოები, სადაც ხდებოდა ხელნაწერების გადაწერა, აგრეთვე, საეკლესიო და სამონასტრო ბიბლიოთეკები. წიგნები ცოტა რაოდენობის იყო და ძალიან ძვირად ფასობდა. მაგალითად, XI საუკუნის დასაწყისში „ჟრამატიკა“ ღირდა იმდენი, რამდენადაც იყიდებოდა სახლი ნაკვეთი. ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში კი მაინც შეინარჩუნა სწავლების მაღალი დონე. ასე მაგალითად, X-XI საუკუნეების ესპანეთის უმაღლეს სკოლებში ასწავლიდნენ ფილოსოფიას, მათემატიკას, ფიზიკას, ასტრონომიას, მედიცინას, სამართალს, მუსულმანთა ღვთისმსახურებას. აქ სასწავლებლად ჩამოდიოდნენ, როგორც დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყნიდან, ასევე წინა და შუა აზიის ქვეყნებიდან. XI საუკუნეში იტალიაში ბოლონიის იურიდიული სკოლის ბაზაზე გაიხსნა პირველი *უნივერსიტეტი* (1088), რომელიც იქცა რომაული და კანონიკური სამართლის შეწავლის დიდ ცენტრად. სტუდენტები და პროფესორები გაერთიანდნენ უნივერსიტეტებში (ლათ. universitas – გაერთიანება) იმისათვის, რათა მიეღწიათ ქალაქისაგან დამოუკიდებლობისათვის,

ჰქონოდათ თვითმმართველობის უფლება. უნივერსიტეტი იყოფოდა *მიწა-წყლის* მიხედვით – ამა თუ იმ ქვეყნის სტუდენტთა გაერთიანებებად და *ფაკულტეტებად* (ლათ. facultas –შესაძლებლობა), სადაც ისინი ეუფლებოდნენ ამა თუ იმ ცოდნას.

1167 წ. ინგლისში გაიხსნა პირველი უნივერსიტეტი *ოქსფორდში*, შემდეგ – უნივერსიტეტი *კემბრიჯში*. XIII საუკუნის ინგლისის გამოჩენილი საუნივერსიტეტო მეცნიერი იყო როჯერ *ბეკონი* (დაახლ. 1214-1292), რომელიც შემეცნების ძირითად მეთოდად მიიჩნევდა არა საეკლესიო ავტორიტეტებს, არამედ გონიერებას და გამოცდილებას.

საფრანგეთში პირველი და უდიდესი უნივერსიტეტი იყო *პარიზის სორბონა* (1160). იგი აერთიანებდა ოთხ ფაკულტეტს: ზოგადსაგანმანათლებლოს, სამედიცინოს, იურიდიულსა და საღვთისმეტყველოს. სორბონა იყო თეოლოგიის აღიარებული ცენტრი. ისევე როგორც სხვა უნივერსიტეტებში, აქაც მოედინებოდნენ სტუდენტები ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან. სწავლება, როგორც დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში, მიმდინარეობდა ლათინურ ენაზე.

შუა საუკუნეების საუნივერსიტეტო მეცნიერებას უწოდებდნენ *სქოლასტიკურს* (ბერძნ. scholastikos – სასკოლო, მეცნიერი), ე. ი. სასკოლო მეცნიერებას. მისი ყველაზე მეტად დამახასიათებელი ნიშნები იყო ავტორიტეტებზე, პირველ რიგში საეკლესიოზე, დაყრდნობისაკენ სწრაფვა, გამოცდილების როლის, როგორც შემეცნების მეთოდის როლის დაუფასებლობა, თეოლოგიურ-დოგმატური საყრდენების რაციონალურ პრინციპებთან შეერთება, ფორმალურ-ლოგიკური პრობლემისადმი ინტერესი. შუა საუკუნეებში ეკლესიის გავლენა ძალიან დიდი იყო.

ბიზანტიისათვის ადრეული შუა საუკუნეების პერიოდი ხასიათდებოდა ქრისტიანული ეკლესიის პოზიციის გაძლიერებით განათლების სფეროში, რაც გამოიხატა, მაგალითად, ანტიკური ფილოსოფიის დევნაში. VI საუკუნეში დახურეს პლატონის მიერ დაარსებული ცნობილი *ათენის სკოლა*, რომელმაც იარსება თითქმის 1000 წელი. ანტიკური ფილოსოფია შეიცვალა *ღვთისმეტყველებით*. მაგრამ IX საუკუნის შუა ხანებში კონსტანტინეპოლში დაარსდა უმაღლესი სკოლა, სადაც სწავლება მიმდინარეობდა ანტიკური მეთოდით. ამ პერიოდის ბიზანტიის კულტურის სახელოვანი წარმომადგენელი იყო *პატრიარქი ფოტიოსი* (დაახლ. 810 ან 820-890), რომელმაც შეადგინა ძირითადად ანტიკური პერიოდის ავტორების კრებული „*მირიობიბლიონი*“, სადაც თავმოყრილია 280

ნაწარმოების შეფასებების კრებული, იგი იყო საღვთისმეტყველო თხზულებათა ავტორი.

IX-X საუკუნეებში შეიმჩნევა საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო ცოდნის აღმავლობა. იქმნება ენციკლოპედიები ცოდნის სხვადასხვა დარგებში, სადაც შედიოდა მრავალფეროვანი ცნობები ბიზანტიის საზოგადოებაზე და მონათესავე ხალხებზე, მათ შორის აღმოსავლეთის სლავებზე — რუსებზე. შედგენილი იქნა სახელმძღვანელო ქირურგიაში, სახელმძღვანელოები მათემატიკაში. ზუსტ მეცნიერებებთან ერთად ფართოდ გავრცელდა *ოკულტური მეცნიერებანი*: ალქიმია, ასტროლოგია, მაგია.

ლიტერატურა

შუა საუკუნეების კულტურის მნიშვნელოვანი ელემენტია ლიტერატურა. ადრეული შუა საუკუნეების პერიოდში აქტიურად ვითარდებოდა *ზეპირი პოეზია*, განსაკუთრებით *გმირული ეპოსი*, რაც უპირველესად დამახასიათებელი იყო ინგლისისა და სკანდინავიის ქვეყნებისათვის. მომღერალი მუსიკოსები, რომლებიც ასრულებდნენ ამ სიმღერებს, ანგლოსაქსებთან დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ. ანგლოსაქსური ჰეროიკული ეპოსის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებია პოემა „*ბეოვულფი*“ (დაახლ. 700 წ.).

მაგრამ სპეციალისტები თვლიან, რომ ამ პერიოდის მთელ დასავლეთ ევროპულ ლიტერატურაში სკანდინავიის ხალხური ეპიკურ პოეზიას შინაარსობრივად და სიძლიერით ბადალი არ ჰყავდა. სკანდინავიის პოეტური ეპოსის უმნიშვნელოვანესი ძეგლია „*უფროსი ედა*“, ესაა კრებული, სადაც შედის ძველი ნორვეგიული და ძველი ისლანდიური მითოლოგიური და გმირული ხასიათის სიმღერები, თქმულებები ღმერთებზე და გმირებზე. „*ედა*“ ჩაწერილია XIII საუკუნეში, როდესაც ამ ქვეყნებში გაჩნდა ლათინური დამწერლობა, მაგრამ ნაწარმოები შექმნილია გაცილებით უფრო ადრე.

განსაკუთრებული ადგილი სკანდინავიის ხალხების ლიტერატურაში უკავია *ისლანდიურ საგებს*. განსაკუთრებით ცნობილია „*საგა წითური ერიკზე*“, სადაც მოთხრობილია ისლანდიელების მიერ გრენლანდიისა და ჩრდილო ამერიკის აღმოჩენის ამბავი.

აღმოცენდა და განვითარდა რაინდული ლიტერატურა. გამორჩეული ნაწარმოებია — ფრანგული ხალხური გმირული ეპოსის უდიდესი ძეგლი „*სიმღერა როლანდზე*“, რომელშიც უმღერიან კარლოს დიდის მხედართმთავარ გრაფ როლანდს, მის სამხედრო გმირობებს, რომელიც ესპანეთში სამხედრო ლაშქრობის დროს დაიღუპა.

XII საუკუნეში ჩნდება *რაინდული რომანები*. ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი პოეტი, რომელიც მოღვაწეობდა რაინდული ეპოპეის ჟანრში, იყო *კრეტიენ დე ტრუა* (1150-მდე — 1190-მდე). მისი რომანები („*ლანსელოტი, ანუ ურიკის რაინდი*“, „*ერიკი და ენეიდა*“, „*ივეინი, ანუ ლომის რაინდი*“ და სხვა) მიძღვნილი იყო კელტების ხელმწიფე არტურისა და მისი ვასალებისადმი — მრგვალი მაგიდის რაინდებისადმი.

დიდი პოპულარობით სარგებლობდა გერმანელი *გოტფრიდ სტრასბურგელის* (გარდ. დაახლ. 1220) რომანი „*ტრისტან და იზოლდა*“, სადაც აღწერილია ორი ახალგაზრდის მგზნებარე სიყვარული. XII-XIII საუკუნეების გერმანელი ხალხის მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლია „*სიმღერა ნიბელუნგებზე*“, ესაა ძველი თქმულება ბურგუნდიის სამეფოზე ჰუნების შემოსევების შესახებ V საუკუნეში.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში წარმატებით ვითარდება *რაინდული ლირიკული პოეზია*. გერმანიაში *მინეზინგერები*, *შენსტრელები* (მაღალ სიყვარულზე მომღერლები) თვითონვე იყვნენ თავისი ნაწარმოებების შემსრულებლები.

საფრანგეთის ლირიკულმა პოეზიამ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია *ტრუბადურთა* (პროვანსალ. trobar — პოვნა) *კურტუაზულ* (ფრანგ. cour — სასახლის კარის) პოეზიაში, რომლებიც ხოტბას ასხამდნენ რაინდ-ვასალთა კეთილ საქმეებს, იდეალურ სიყვარულს და ქალისადმი ერთგულებასა და სამსახურს. თაყვანისცემის ობიექტი თითქმის ყოველთვის იყო გათხოვილი ქალბატონი — ციხე-სიმაგრის დიასახლისი. პლატონური სიყვარული ტრუბადურების მიერ აღიქმებოდა, როგორც უმაღლესი ფასეულობა ხორციელ სიყვარულთან შედარებით. ზოგჯერ ტრუბადურები თვითონვე ასრულებდნენ საკუთარ ქმნილებებს, ხშირად ამას მათ ნაცვლად შსახიობი-ყონგლიორები აკეთებდნენ. ტრუბადურთა შორის გამოირჩევა *ბერტრან დე ბორნი* (დაახლ. 1140-1215), *გაუფრე რიუდელი* (დაახლ. 1140-1170), *არნაუტ დანიელი და გილიომ IX აკვიტანელი ჰერცოგი*.

XIII საუკუნეში ჩრდილოეთ საფრანგეთის დიდებულთა, სასახლეების კარზე გავრცელებული იყო *ტრუვერთა* ხელოვნება (ფრანგ. trouver — გამოძებნა, გამოგონება), ესენი იყვნენ მომღერლები, რომლებიც ასრულებდნენ საკუთარ ნაწარმოებებს. ერთხმიანი სიმღერის ბატონობისას, მათ შემოქმედებაში აღმოცენდა მრავალხმიანობის ადრეული ჟანრი — *მოტეტი* (ფრანგ. mot — სიტყვა). ცნობილი ტრუვერი იყო პოეტი და კომპოზიტორი *ადამ დე*

ლა ალი. მისი თეატრალიზებული პასტორალი „წარმოდგენა რობენისა და მარიონზე“, რომელშიც ჩართული იყო ხალხური სიმღერები, ითვლება საოპერო ჟანრის წინამორბედად.

XII-XIII საუკუნეების საფრანგეთის ლიტერატურაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო *ვაგანტთა პოეზია*. მოხეტიალე პოეტები – ვაგანტები (ლათ. vagantes – მოხეტიალე) სასაცილოდ იგდებდნენ კათოლიკურ ეკლესიას და სამღვდელოებას სიხარბის, მლიქვნელობის, თვალთმაქცობის გამო. ეკლესია დევნიდა და კიცხავდა მათ.

ვაგანტთა პოეზიის მაგალითად შეიძლება მივიჩნიოდ ცნობილი ლექსი „*ვაგანტთა ორდენი*“, რომლის ავტორი უცნობია და რაც შესაძლებელია იყოს კოლექტიური შემოქმედების შედეგი.

„ეი – გაისმა შეძახილი –
გაიხარეთ ერთად ყველამ!
დაივიწყე მღვდელო ლოცვა!
ბერო გადი სენაკიდან!“
პროფესორი თვითონ გარბის,
მიატოვა კლასი, სკოლა,
სისარულით გაეხვია
ნეტარების ცეცხლის ალში.
ახლა უფრო გამაგრდება ვაგანტების კავშირები
ყველა ჯურის ხალხს შეკრიბავს
განურჩევლად ერის, ნიჭის.
ყველას ერთად თავს მოუყრის–გულადს, სუსტს და უჩინოს,
ეს ვაგანტების კავშირები...
ლამაზია ეს ცხოვრება, როცა სული ლაღობს,
ლაღი სული ღმერთსაც უნდა.
ღმერთო ჩემო! არ ინალვლო
სამართალი ასეთია:
ლუდი აძლევს უძლურ სხეულს სიმკვრიეესაც, სილაღესაც.

XIII საუკუნის ინგლისური ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლებია – ცნობილი *ბალადები რობინ ჰუდზე*, რომელიც დღესაც რჩება მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ გმირად. ამ პერიოდის მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს ლიტერატურის განვითარება ინგლისურ ენაზე.

იტალიური ლიტერატურა წარმოდგენილია ძირითადად ლირიკული პოეზიით – სიმღერებით, ბალადებით, სონეტებით, რომლებიც დაწერილია იტალიურ ენაზე. XIII საუკუნის შუა ხანებში იტალიაში ჩნდება ეგრეთ წოდებული „*ახალი ტკბილმოუბარი სტილი*“, მიძღვნილი ქალის სიყვარულის ქება-დიდებისადმი. ამ

სტილის დამფუძნებელია – ბოლონიელი პოეტი *გვიდო გვინიცელი* (დაახლ. 1230-1276), უდიდესი წარმომადგენლები კი არიან – ფლორენციელები *ბრუნეტო ლატინი* (XIII საუკუნის მეორე ნახევარი) და *გვიდო კავალკანტი* (დაახლ. 1259-1300).

XIII საუკუნის ბოლოს ჩნდება პირველი პროზაული ნაწარმოებები იტალიურ ენაზე – ნოველების კრებული, რომელთა სიუჟეტებიც შემდგომში ცნობილმა ბოკაჩომ გამოიყენა „*დეკამერონის*“ შექმნის დროს.

ქალაქური კულტურა

ამ პერიოდში სწრაფად ვითარდება *ქალაქური კულტურა*, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო ქალაქის მოსახლეობის სხვადასხვა ფენის ქალაქური ყოველდღიური ყოფითი ცხოვრების რეალური ასახვა, ასევე სატირული ნაწარმოებების გამოჩენაც. ქალაქური ლიტერატურის წარმომადგენლები იყვნენ *ჩეკო ანჯოლიერი* და *გვიდო ორლანდი* (XIII საუკუნის დასასრული).

ქალაქური ლიტერატურის განვითარება მოწმობდა დასავლეთ ევროპული საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში ახალი მოვლენის – *ქალაქური კულტურის* წარმოქმნას, რამაც ძალიან დიდი როლი ითამაშა მთლიანად დასავლეთის ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში. ქალაქური კულტურის არსი მდგომარეობდა ადამიანური ყოფიერების ყველა სფეროში საერო ელემენტების მუდმივად მომძლავრებაში.

ქალაქური კულტურა დაიბადა საფრანგეთში XI-XII საუკუნეებში. ამ პერიოდში იგი წარმოდგენილი იყო, კერძოდ: *ჟონგლიორების შემოქმედებით*, რომლებიც როგორც მსახიობები, აკრობატები, ცხოველების მწვრთნელები, მუსიკოსები და მომღერლები გამოდიოდნენ ქალაქის მოედნებზე, ბაზრობებზე, ხალხური შემოქმედების დღესასწაულებზე, ქორწილებში, ნათლობებში და ხალხში სარგებლობდნენ დიდი პოპულარობით.

თვით ლიტურგიული დრამაც, ე. ი. ბიბლიური სიუჟეტების ინსცენირება ლათინურ ენაზე, რომელიც ეკლესიის შენობაში თამაშდებოდა ეკლესიის მსახურთა მონაწილეობით, ქალაქების განვითარებასთან ერთად სულ უფრო მეტად საერო ხდებოდა და სწორედ XII საუკუნის შუა წლებიდან თეატრალური წარმოდგენები თამაშდებოდა არა ლათინურ, არამედ ფრანგულ ენაზე, არა ეკლესიაში, არამედ ქალაქის მოედნებზე, როლებს უფრო და უფრო ხშირად ასრულებდნენ მოქალაქეები, პიესები კი უფრო მეტად ივსებოდა ქალაქური ყოველდღიური ცხოვრების სიუჟეტებით.

თეატრალური ხელოვნება აქტიურად ვითარდება ინგლისშიც, სადაც XIII საუკუნიდან წარმოდგენები იდგმება ინგლისურ ენაზე. აქ იწყებს განვითარებას განსაკუთრებული ჟანრი — *მორალიტე*, დამრიგებლობითი ალეგორიული დრამა, სადაც მთავარი იყო ადამიანის სულისათვის კეთილი და ბოროტი საწყისების ბრძოლის გამოსახვა. მასში მონაწილეობდნენ პერსონაჟები, რომლებიც ასახიერებდნენ ადამიანის გრძნობებსა და თვისებებს — სიყვარულს, კეთილგონიერებას, შემრიგებლობას, მოთმინებას, სინანულს, სიხარულს, მლიქვნელობას და სხვა. ინგლისში ისეთი პიესები — მორალიტე, როგორც არის „*თითოეული ადამიანი*", პოპულარული იყო XV საუკუნეში.

ახალი და განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მოვლენა, რაც მოწმობდა ქალაქური კულტურის განვითარების პროცესის გაღრმავებას, იყო *არაკლესიური სკოლების* შექმნა: ეს იყო ეკლესიისაგან მატერიალურად დამოუკიდებელი კერძო სკოლები, მასწავლებლები ცხოვრობდნენ მოსწავლეთა გადასახადების ხარჯზე. ამ პერიოდიდან მიმდინარეობდა წერა-კითხვის სწრაფი გავრცელება ქალაქის მოსახლეობას შორის. XII საუკუნის საფრანგეთის გამორჩეული მაგისტრი იყო *პეტრე აბელიარი* (1079-1142), ფილოსოფოსი და პოეტი, მთელი რიგი არაეკლესიური სკოლების დამაარსებელი. მას ეკუთვნის ცნობილი თხზულება „ჰო" და „არა", რომელშიც დამუშავებული იყო დიალექტიკური ლოგიკის საკითხები. თავის ლექციებში, რომელიც მოქალაქეებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა, ივი ამტკიცებდა ცოდნის უპირატესობას რწმენასთან შედარებით.

არქიტექტურა

ეკლესიის ძლიერი როლი იგრძნობოდა არქიტექტურაში, ქანდაკებასა და ფერწერაში. როგორც კულტურის სხვა დარგებში, იგი აქაც მოქმედებდა როგორც უნივერსალური ძალა, ეყრდნობოდა რა ნაციონალურ კულტურათა სპეციფიკას, რომელიც გამოხატულებას პოულობდა, განსაკუთრებით, არქიტექტურულ ფორმებსა და სახვითი ხელოვნების ხერხებში, ორნამენტებში, ფერთა გამების შეხამებასა და სხვა.

ბიზანტიის არქიტექტურაში ჭარბობდა *ჯვარ-გუმბათოვანი ტიპის* ტაძრების აგება, რომლის კედლებსაც აპირკეთებდნენ *მოზაიკით*. ეკლესიის ფერწერაში რეალისტური ტრადიციები ერწყმოდა პირობითობის ელემენტებს და სულ უფრო მეტ სტილიზაციას. ბიზანტიის არქიტექტურის უდიდესი ნიმუშია კონსტანტინეპოლში *წმინდა სოფიის*

ტაძარი, რომლის კედლებიც მოპირკეთებული იყო ულამაზესი ფერადი მოზაიკით, სახურავი კი მთავრდებოდა იყო დიდი გუმბათით.

V საუკუნის დასავლეთ ევროპისათვის დამახასიათებელი იყო ფუფუნება არქიტექტურასა და სკულპტურაში, განდგომა რეალისტური გამოსახვიდან ფუფუნების, სტილიზაციისა და ფორმალიზმისაკენ. პლასტიკური ხელოვნება სულ უფრო შორდებოდა ჩვეულ ანტიკურ რეალისტურ მიმართულებას და იღებდა განკერძოებულ სიმბოლურ ხასიათს. საფრანგეთში *კარლოს დიდის*[1] დროს გაშლილი იყო ფართო მშენებლობა. შენობები თავისი არქიტექტურით გვაგონებდა ბიზანტიურ ნაგებობებს. სამშენებლო ტექნიკა არ იყო სრულყოფილი და ამიტომ ნაგებობათა დიდი ნაწილი, რომლებიც აშენებული იყო ხის მასალისაგან, განადგურდა.

მუდმივად მიმდინარეობდა ფეოდალთა საცხოვრებელი ციხე-სიმაგრეებისა და ეკლესიურ ტაძართა მშენებლობები. ეკლესიათა მშენებლობა განსაკუთრებით გაძლიერდა დაახლოებით 1000 წლისათვის, რადგანაც ეკლესიური სწავლების თანახმად დგებოდა ქვეყნის დასასრული, ბოლო ჟამი.

ამ პერიოდიდან დასავლეთ ევროპაში მაღალი ნაგებობების მშენებლობაში ფართოდ დაიწყეს ქვის გამოყენება. ქვის თაღების სიმძიმისათვის შეიძლება გაეძლო მხოლოდ სქელ, დიდ კედლებს მცირერიცხოვანი და ვიწრო ფანჯრებით. სწრაფვა აელორძინებინათ რომის იმპერია, აისახა ეპოქის არქიტექტურულ გემოვნებაზე. მასიური მშენებლობები იყო არა მარტო ძველი რომის პოლიტიკური და კულტურული ძლევამოსილობის სიმბოლო, არამედ ივი მოწმობდა ევროპის ახალ მმართველთა განუსაზღვრელ ძალაუფლებებზე, ქრისტიანული ღმერთის ყოვლისშემძლეობაზე. ამიტომ რომაულ ეკლესიებს უწოდებენ „*ღმერთის ციხე-სიმაგრეებს*". ეკლესიათა დამახასიათებელი თავისებურებანია — ნახევრად ცირკულარული თაღები, გუმბათოვანი კონსტრუქცია და მასიური დასავლური სვეტებიანი შესასვლელი — პორტალები.

ასეთმა სტილმა არქიტექტურაში მიიღო *რომანულის* სახელი. რომანულ სტილშია აგებული ტაძრები: პუატიეში ნოტრ-დამი, ტაძრები ტულუზში, ორსივალში, ველეზში, არლეში (საფრანგეთი); ტაძრები ოქსფორდში, ვინჩესტერში, ნორიჩში (ინგლისი); სტანაგერში

---

[1] კარლოს დიდი (742-814) — დიდი იმპერიის, ადრეულ შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში უდიდესი სახელმწიფოს შემქმნელი, რომლისგანაც შემდგომში შეიქმნა საფრანგეთი, გერმანია, იტალია.

(ნორვეგია); ლუნდში (შვეცია); შპეიერში, მაინცში, ვორმსში (გერმანია); ფლორენციაში, პიზში და მილანში (იტალია).

რომანული სტილის სკულპტურისათვის დამახასიათებელი იყო რეალიზმის მთლიანი უარყოფა ბუნებისა და ადამიანის სხეულის გამოძერწვაში.

კედლის ფერწერაც შინაარსობრივად უშუალოდ ეკლესიური იყო – სიბრტყეზე განფენილი, უარყოფილია ფიგურის სამგანზომილებიანი გამოსახვა და პერსპექტივა. ბიზანტიის ფერწერიდან გადმოიღეს სახეებზე დიდი თვალების გამოსახვა, პორტრეტული მსგავსების არარსებობა, პოზების ხელოვნურობა. ფერწერა ასახავდა სამყაროზე იერარქიულ წარმოდგენებს: წმინდანები უფრო დიდი ზომებით იყვნენ გამოსახული, ვიდრე ხელმწიფე, ხელმწიფე კი უფრო დიდად, ვიდრე მისი ვასალები და მსახურნი.

XII საუკუნეში არქიტექტურაში ჩნდება ახალი სტილი – *გოთიკა* (იტალ. gotico – გოთური, სახელწოდება მიიღო გერმანული ტომის – გოთების მიხედვით), რომელიც რომანული სტილის შემდეგ მეორე კანონიკურ სტილად იქცა შუა საუკუნეებში. გოთიკის უცნაური სამყარო წარმოადგენდა შუა საუკუნეების ევროპის პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების (საზოგადოებრივი სტრუქტურის გართულება, ქალაქების ზრდა, მესამე ფენის გაძლიერება, რელიგიური ომები) თავისებურებების ასახვას. საფრანგეთის ჩრდილოეთ ნაწილში გოთურ სტილში აგებული პირველი ტაძრები მიეკუთვნება XII საუკუნის მეორე ნახევარს. გოთური ტაძრის საფუძველია – მაღალი და მწყობრად თანამიმდევრული სვეტები, თითქოს ერთად თავმოყრილი და გადაჯვარედინებული მაღალ სიმაღლეზე. ასეთ ნაგებობებში კედლებს არა აქვთ კონსტრუქციული დატვირთვის წამყვანი ელემენტების ფუნქცია, ისინი თანდათან თხელდება, მათში ჩნდება დიდი ფანჯრები, გალამაზებული სხვადასხვა ფერის ნათელი მინებით – *ვიტრაჟებით*. გოთიკის დამახასიათებელი ნიშანია – სწრაფვა სიმაღლისაკენ. დიდებულია გოთური ტაძრები პარიზში (ნოტრ-დამი, სენ-შაპელი), შარტრში, ბურჟში, ბოვსა და რეიმსში (საფრანგეთი).

ინგლისური გოთური ტაძრებისათვის (სოლსბერიში, იორკში, კენტერბერიში) დამახასიათებელია დიდი განფენილობა და უფრო ნაკლები სიმაღლე, ვიდრე კონტინენტზე აგებული ტაძრებისათვის და ასევე, თავისებური ისრისმსგავსი გადაკვეთა თაღების კრებულთან, რომლებიც ერთად არიან თავმოყრილნი და ქმნიან დეკორატიულ

„მარაოსნაირ“ გამოსახულებას. გოთური სტილის შედევრია – ვესტმინსტერის სააბატო ლონდონში.

გერმანიის არქიტექტურის გადასვლა გოთიკაში უფრო ნელა მიმდინარეობდა, ვიდრე საფრანგეთსა და ინგლისში. ტაძარმა ლუბეკში სათავე დაუდო *ავურის გოთიკას*, რომელიც შემდგომში ფართოდ გავრცელდა ევროპის ჩრდილოეთ ნაწილში. დასავლეთ ევროპის ყველა ქალაქში გოთური ტაძრები იყო ულამაზესი არქიტექტორული ნაგებობები, ხოლო არქიტექტორები, რომლებმაც ისინი აღმართეს, თანამედროვეთა შორის დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ.

XIV საუკუნეში გოთურმა სტილმა შემდგომი განვითარება ჰპოვა. ეს იყო *ალეძებული გოთიკა* – შენობას რთავდნენ ფაქიზად, თხლად დაჭრილი ქვის საშუალებით – ქვის მაქმანით. ამ ტექნიკითაა შესრულებული ტაძრები კორბში, ალასონში, ამბერში, კონშში (საფრანგეთი).

XIV საუკუნეში ინგლისშიც ბატონობდა გოთიკა. ეს იყო დეკორატიული გოთიკის აყვავება, რომელიც გამოირჩეოდა შენობის ტანადობით, სიდიდით და სიმაღლისაკენ სწრაფვით. იმავე დროს შეიმჩნეოდა *პერპენდიკულარული სტილისკენ* გადასვლა, რომელმაც სახელწოდება მიიღო ფანჯრის ნახატის ხაზების გამო. ქვის კედლები ვიწროვდება ფანჯრებს შორისაც, მაგრამ ეს სტილი მხოლოდ ინგლისში იყო მიღებული.

გოთური არქიტექტურის განვითარებასთან ერთად იცვლება ქანდაკება და ფერწერაც. ადამიანის ფიგურები უფრო რეალისტურია, უფრო მდიდრული ხდება ფერთა გამაც. სულ უფრო მკაფიოდ ჩანს ანტიკურობის მემკვიდრეობა. ამრიგად, XIII-XIV საუკუნეები აღორძინების პერიოდის კულტურის უშუალო წინამორბედნი არიან.

ძირითადი ტერმინები და ცნებები

ბალადა
ღვთისმეტყველება
ვაგანტები
ვიტრაჟები
გმირული, პეროიკული ეპოხა
ქალაქური ლიტერატურა
გოთიკა
ბერძნულ-კაფოლიკური ეკლესია
ჟონგლიორი
ინდულგენცია
მოტეტი
მენესტრელები
მინეზინგერები
მონაზვნობა
მონოფიზიტობა
მორალიტე
ნესტორიანელობა
ღარიბთა ორდენი
ტამპლიერთა ორდენი
ოკულტური მეცნიერებები
აალებადი გოთიკა

ინკვიზიცია
ისლანდიური საგა
აგურის გოთიკა
კურტუაზული პოეზია
რწმენის სიმბოლო
(ფილიოკვე)
სკრიპტორია
სქოლასტიკა
ტრუბადურები

მართლმადიდებლური ეკლესია
რომაულ-კათოლიკური ეკლესია
რომანული სტილი
რაინდული ლიტერატურა
ტრუვერები
უნივერსიტეტი
ფაკულტეტი
ქრისტიანობა

კითხვები გამეორებისათვის

1. რა გავლენა იქონია რელიგიამ და ეკლესიამ შუასაუკუნეებში კულტურის, განათლების, მეცნიერების განვითარებაზე?
2. გვიამბეთ შუასაუკუნეების დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ძირითადი თავისებურებების შესახებ.
3. დაახასიათეთ ქალაქების, როგორც განათლებისა და მეცნიერების ცენტრების როლი შუა საუკუნეების ევროპაში. გვიამბეთ არქიტექტურის განსაკუთრებულ ნიშნებზე.

სიმღერიდან „სიმღერა ნიბელუნგებზე“

დღე გარდასულთა სავსეა საოცრებათა ამბებით,
დიდ გოლიათთა საქმენით.
მათი ცხოვრებით, ზეობით, ღრეობითა და გოდებით,
მალე გაიგებთ შემზარავ ხმებსაც-დასჯისას ოხვრით ამოსულს.
ბურგუნდიის მიწაზე ქალიშვილი ცხოვრობდა.
მასზე ლამაზი, წარჩინებული არვის უნახავს ამ ქვეყანაზე,
ერქვა კრიმჰილდა უსათნოესს, რომლის მშვენებამ
დასაღუპავად, გასაწირად იხმო მრავალი.

„უფროსი ედა“

ყური დამიგდეთ ყველამ!
ღვთისგან ნაშობნო,
დიდო და პატარავ
შვილნო ჰეიმდალის!

მხოლოდ შენა გსურს,
გიამბო რამე
გარდასულ დროთა,
რაც კი რამ მახსოვს.

თავი 9

აღორძინების ეპოქის კულტურა



ჰ. ბრეიგელი. ნიდერლანდური ანდაზები (ფრაგმენტი).



4. სახურავსაც აქვს ჭუჭრუტანები (კედლებსაც კი ესმით). 6. კედელზე თავის მიხლა. 7. კბილებამდე შეიარაღებული. 9. ბორბლებში ჯოხების გაყრა.

XIV საუკუნის დასასრულსა და XV საუკუნის დასაწყისში, ევროპაში, კერძოდ იტალიაში, ფორმირება დაიწყო აღორძინებულმა კულტურამ, რომელმაც მიიღო *აღორძინების კულტურის (რენესანსის)* სახელწოდება. აღორძინება მოიცავს XIV-XVI საუკუნეებს იტალიაში და XV-XVI საუკუნეებს ქვეყნებში, რომლებიც მდებარეობენ ალპების ჩრდილოეთით.

ტერმინი „აღორძინება“ მიანიშნებს ახალ და ანტიკურ კულტურებს შორის კავშირზე. ამ პერიოდში იტალიური საზოგადოება აქტიურად ინტერესდება ძველი საბერძნეთის და რომის კულტურით, იწყებენ ანტიკური ეპოქის მწერლების ხელნაწერთა მოძიებას. ასე იქნა ნაპოვნი ციცერონის და ტიტა ლივიას ნაშრომები.

აღორძინების ეპოქა ხასიათდება ადამიანის გონებრივი მიგნებების მრავალი, მნიშვნელოვანი ცვლილებით შუასაუკუნეების ეპოქასთან შედარებით. ძლიერდება ევროპულ კულტურაში საერო მოტივები, ეკლესიისგან უფრო დამოუკიდებელი ხდება ხელოვნება, ფილოსოფია, ლიტერატურა, განათლება, მეცნიერება. აღორძინების ეპოქის მოღვაწეთა ყურადღების ცენტრში იყო *ადამიანი*, ამიტომ ამ კულტურის მატარებლების მსოფლმხედველობას მოიხსენიებენ ტერმინით *ჰუმანისტური* (ლათ. ჰუმანუს – ადამიანური).

აღორძინების ჰუმანიზმი

აღორძინების ჰუმანისტები ვარაუდობდნენ, რომ ადამიანში მთავარია არა მისი წარმოშობა ან სოციალური მდგომარეობა, არამედ პიროვნული თვისებები – ჭკუა, შემოქმედებითი ენერგია, საკუთარი ღირსების გრძნობა, ნებისყოფა, განათლება. იდეალურ ადამიანად აღიარებული იყო ძლიერი, ნიჭიერი, ყოველმხრივ განვითარებული პიროვნება, საკუთარი თავისა და თავისი ბედის შემოქმედი ადამიანი. აღორძინების ეპოქაში ადამიანის პიროვნება იძენს ადრე არნახულ ფასეულობას, ცხოვრებისადმი ჰუმანისტური მიდგომის უმნიშვნელოვანესი ნიშანი ხდება ინდივიდუალიზმი, რაც ხელს უწყობს საზოგადოებაში ლიბერალიზმის იდეის გავრცელებას და ადამიანთა თავისუფლების დონის საერთო ამაღლებას. შემთხვევითი არ არის, რომ ჰუმანისტები, რომლებიც არ გამოდიოდნენ რელიგიის წინააღმდეგ და სადაოდ არ ხდიდნენ ქრისტიანობის ძირითად დებულებებს, ღმერთს შემოქმედის როლს ანიჭებდნენ, რომელმაც მოძრაობაში მოიყვანა მთელი ქვეყანა და შემდგომ არ ერეოდა ადამიანთა ცხოვრებაში.

ჰუმანისტების აზრით, იდეალური ადამიანი ეს არის „უნივერსალური ადამიანი“, ადამიანი – შემოქმედი, ენციკლოპედისტი.

აღორძინების ჰუმანისტები თვლიდნენ, რომ ადამიანური ცნობიერების შესაძლებლობები განუსაზღვრელია, რამეთუ ადამიანის გონება მსგავსია ღვთაებრივი გონებისა, ხოლო თვით ადამიანი კი თითქოს წარმოადგენს მოკვდავ ღმერთს და ბოლოს და ბოლოს ხალხი შეაბიჯებს ციური მნათობების ტერიტორიაზე, იქ დაფუძნდებიან და იქნებიან ღმერთების მსგავსად. განათლებულ და ნიჭიერ ხალხს იმ პერიოდში გარს ერტყა სახალხო აღფრთოვანების ატმოსფერო, პატივისცემა, მათ ისე მიაგებდნენ პატივს, როგორც შუა საუკუნეებში – წმინდანებს. *მიწიერი ყოფიერებით გაკვირვება* – უთუოდ აუცილებელი მხარეა აღორძინების კულტურისთვის. გამოჩენილ ჰუმანისტებს შორის იცნობენ: *ფრანჩესკო პეტრარკა, ჯოვანი ბოკაჩო, ლეონარდო და ვინჩი (იტალია), მიშელ მონტენი, ფრანსუა რაბლე (საფრანგეთი), ულრიხ ფონ გუტენი, ალბერტ დიურერი (გერმანია), უილიამ შექსპირი (ინგლისი), ერაზმ როტერდამელი (ნიდერლანდები).*

ადრეული აღორძინება

იტალიაში აღორძინების სათავეებთან იდგა შესანიშნავი დანტე ალიგიერი (1265-1321). დანტეს შემოქმედების მწვერვალად იქცა ეპიკური პოემა „ღვთაებრივი კომედია“ (ეს სახელწოდება მისცა ჯ. ბოკაჩომ). „ღვთაებრივი კომედია“ მოგვითხრობს პოეტის მოგზაურობის შესახებ მიწისქვეშა სამყაროში და აღწერს ჯოჯოხეთს, განსაწმენდელს და სამოთხეს, სადაც ავტორს ხვდებიან რეალური ისტორიული პირები და მითიური პერსონაჟები. პოემაში ნაჩვენებია მძლიანი ნაცადი გზა ცდომილი სულისა, რომელიც მიისწრაფის სრული ნეტარებისაკენ. ციურ სამყაროში დანტეს თან ახლავს თავისი შეყვარებული ბეატრიჩე, ვისი სახეც პოემაში იქცევა სიბრძნისა და სილამაზის სიმბოლოდ.

ჰუმანიზმის ფუძემდებლად თვლიან პოეტს, ფილოსოფოსს *ფრანჩესკო პეტრარკას* (1304-1374) – მან პირველმა დაუპირისპირა შუასაუკუნეების ღვთის სიტყვას – დივინა სტუდიას (ღვთისმეტყველების ცოდნა) ახალი მსოფლმხედველობა – ჰუმანა სტუდია (ადამიანური ცოდნა).

პეტრარკას კალამს ეკუთვნის ფილოსოფიური ტრაქტატები, ბიოგრაფია *„წერილი შთამომავლებს“*, მაგრამ მთავარი მის შემოქმედებაში – სასიყვარულო ლირიკაა. *სონეტები, მიძღვნილი ლაურასადმი* – ეს თავისებური პოეტური დღიურია, რომელშიც ასახულია შეუსაბამობა შუასაუკუნოვან ასკეტიზმსა და სამყაროს

ახალი ხედვის დამტკიცებასთან. აი, ერთი სონეტი „*მადონა ლაურას ცხოვრებაზე და სიკვდილზე*“:

კეთილშობილი სისხლის წყალობით – თავმდაბლობაა ეს,
ბრწყინვალე გონება – გულწრფელობაა მხოლოდ,
ჩაკეტილობა – სითბოა,
სიმწიფის შედეგი – სიყმაწვილეა.

პლანეტა მისთვის ხელგაშლილია,
მეყუე ანათებდა სიმაღლით, დიდებით – სწორედ ასეა,
ყოველი ნაკვეთი
პოეტს დიდებულს ალბათ გატეხავს.
თვით ღმერთმა შეაზავა მასში სიყვარული,
ხიბლიც მიანიჭა
ბუნებრივ სილამაზეს – თვალს რომ ახარებს.

ნეტავი რა აქვს მზერაში ისეთი
ღამით, რომ ანათებს დილის ნათელით,
აბზინდას მოგცემს თაფლში არეულს – სიტკბოა იცოდე

პეტრარკას მიმდევარი იყო *ჯოვანი ბოკაჩო* (1313-1375), „*დეკამერონის*“ ავტორი. ესაა რეალისტური ნოველების კრებული, რომელშიც გაერთიანებულია საერთო ჰუმანური იდეალები და წარმოდგენილია, როგორც ერთი მთლიანი. „*დეკამერონი*“ – ეს არის 100 ნოველის ნაკრები, რომელშიც მოთხრობილია თუ როგორ განცალკევდა „შავი სიკვდილის“ (ჭირი) დროს 1348 წ. ფლორენციაში 10 ახალგაზრდა ადამიანი (ჭაბუკი და გოგონა) ქალაქგარეთ აგარაკზე და იქ, 10 დღის განმავლობაში (დეკამერონი – ათდღიური) სხვა გართობებთან ერთად, ყოველი მათგანი ყვებოდა თითო ნოველას დღეში.

დანტე, პეტრარკა და ბოკაჩო იყვნენ იტალიური ლიტერატურული ენის შემქმნელები. მათმა თხზულებებმა სიცოცხლეშივე მოიპოვა აღიარება არა მხოლოდ იტალიაში, არამედ შორს, მის საზღვრებს გარეთაც, ნაწარმოებები შევიდა მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში.

აღორძინების ეპოქის ადამიანთა ცხოვრება მჭიდრო კავშირშია ხელოვნებასთან. ხელოვნება იყო მათთვის ის, რაც მანამდე იყო რელიგია, ხოლო ახალ დროში გახდა მეცნიერება და ტექნიკა. ფერმწერები და სკულპტორები ადიდებდნენ ადამიანის სხეულის სილამაზეს, მისი სახის სულიერებას, ინდივიდუალურ თავისებურებებს. არქიტექტორებმა დაიწყეს ელიტარული შენობების,

შენება, შეიცვალა საეკლესიო არქიტექტურაც. თუ გოთური ტაძარი მისი გიგანტური ზომებით რთულად აღიქმება, აღორძინების პერიოდის შენობები ერთი თვალის შევლებით შეიცნობა, რაც საშუალებას იძლევა შეაფასო მისი ნაწილების გასაოცარი პროპორციულობა.

აღორძინების მხატვრების ყურადღება მიიპყრო რეალურმა მიწიერმა სამყარომ. მათ ესმოდათ ბუნება და მას გამოხატავდნენ სამეცნიერო მიღწევების გამოყენებით (მაგ., პერსპექტივის კანონის გამოყენებით, რომელიც აღმოაჩინა *ბრუნელესკიმ*). ადამიანში მათ აინტერესებდათ ინდივიდუალურობა.

ევროპული სახვითი ხელოვნების ახალი მიმართულების ფუძემდებელია – *ჯოტო* (1266-1337). გაწყვიტა რა კავშირი ვენეციური სკოლის სქემატიზმთან, ჯოტომ შეცვალა ნახატის პირობითი სიბრტყე სამგანზომილებიანი სივრცით და შუქჩრდილების გამოყენებით დაიწყო დიდი მოცულობის ფიგურების ხატვა. მას ეკუთვნის ეკლესიების მოხატვა ასიზში საბარების სიუჟეტებზე, აგრეთვე, წმ. ფრანცისკო ასიზელის ცხოვრების ასახვაც. ტუნწ პლასტიკურ ფორმებში ჯოტო გადმოსცემდა ადამიანის განცდების სიღრმეს და ადამიანური ღირსებების ახალ შეგრძნებებს, რაც ასე დამახასიათებელია ადრეული აღორძინების ფერწერისთვის.

ადრეული იტალიური აღორძინების ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელია – *მასაჩო* (1401-1428). მისი ფრესკები ფლორენციაში, სანტა მარია დეი კარმინეს ეკლესიაში, მეტყველებს გოთურ ტრადიციებთან კავშირის შეწყვეტაზე. მან პირველმა გამოიყენა ფერწერაში პერსპექტივის სამეცნიერო კანონები, რომელიც აღმოაჩინა ბრუნელესკიმ. მისი ფრესკები გამოირჩევა მონუმენტალიზმით, მოკლებულია გოთურ დეკორს, ხოლო გამოსახული ფიგურები მოცულობით დიდია. საკურთხევლის კომპოზიციის კლასიკური ნიმუში გახდა მისი „*სამება*“, რომელიც შეიქმნა ფლორენციაში სანტა-მარია ნოველას ეკლესიისთვის. საბეთა დიდებული განდგომილება აქ ერწყმის აქამდე არნახულ სივრცის რეალობას, ფიგურათა მოცულობას, დონატორების[1] მეტყველ პორტრეტულ დახასიათებას და სახის საოცარი ძალით შეკავებულ გრძნობას.

პერსპექტივის მკაცრ კანონებს იყენებდა თავის ნაშრომებში სკულპტორი *დონატელო* (1386-1466), მაგ., „*წმინდა გიორგი, რომელიც კლავს დრაკონს*“. მისი ახალგაზრდა დავითის გრაციოზული

[1] დონატორები – მდიდარი ხალხი, რომელთა შეკვეთითაც იქმნებოდა ესა თუ ის ნაწარმოები. როგორც წესი, მხატვრებს თავისი სურათების სიუჟეტში შეჰყავდათ დონატორების სახეები.

სტატუა ანტიკური ხანიდან მოყოლებული ითვლება პირველ თავისუფლად მდგარ შიშველ სკულპტურად მთლიანი ტანის სიმაღლით.

ამ პერიოდში არქიტექტურაში ჩნდება ინტერესი ჰარმონიული კონსტრუქციების შექმნისა, იმ გოთური ტაძრების საწინააღმდეგოდ, რომლებიც აგებული იყო სულიერი სიმშვიდისაკენ სწრაფვით. არქიტექტორ *ბრუნელესკის* (1377-1446) სახელს უკავშირდება შუასაუკუნეების სტერეოტიპების და პროპორციების თამამი მსხვრევა და მიმართვა ანტიკური ხუროთმოძღვრების ორდერის ტრადიციებისკენ. უბრალო გეომეტრიული ფორმები და შემოქმედებითად გააზრებული ანტიკური პრინციპები ანიჭებდნენ ბრუნელესკის მიერ აგებულ შენობებს დიად სიმშვიდეს. ფლორენციაში მან აგო პაცის კაპელა და ოსპედალეს დელი ინოცენტი (აღმზრდელობითი სახლი).

მაღალი აღორძინება

ეს არის იტალიის ჰუმანისტური კულტურის უმაღლესი აყვავების პერიოდი. სწორედ ამ დროს მთელი სისრულით და ძალით გამოითქვა იდეები ადამიანის პატივისცემასა და ღირსებაზე, დედამიწაზე მისი უმაღლესი დანიშნულების შესახებ. *აღორძინების ტიტანებს* კაცობრიობა დაარქმევს ლეონარდო და ვინჩის, რაფაელ სანდის და მიქელანჯელო ბუონაროტის.

ლეონარდო და ვინჩი (1456-1519) ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი ადამიანია კაცობრიობის ისტორიაში, შემკული მრავალმხრივი შესაძლებლობებითა და ნიჭიერებით. იგი იყო მხატვარი, ხელოვნების თეორეტიკოსი, სკულპტორი, არქიტექტორი, მათემატიკოსი, ფიზიკოსი, ასტრონომი, ფიზიოლოგი, ანატომი და ეს არის არასრული ჩამონათვალი მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისა. მან მეცნიერების თითქმის ყველა სფერო გაამდიდრა გენიალური მიხვედრილობებით.

მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხატვრული ნაშუშევარია *„სათუმლო სერობა“* – ფრესკა მილანის სანტა მარია დელა გრაციას მონასტერში, რომელზეც გამოხატულია სერობის ის მომენტი, როცა ქრისტემ თქვა: „ერთ-ერთი თქვენგანი გამცემს მე“. შინაგანი დაძაბულობა, დრამატიზმი სურათს აძლევს კონტრასტს აღგზნებულ მოსწავლეებსა და იესო ქრისტეს ამაღლებულ სიმშვიდეს შორის, რომლის სხივოსნობას გამოხატავს ნათელი ტონები პეიზაჟის უკანა პლანზე. მსოფლიოში აღიარებულია ოსტატის კიდევ ერთი შედევრი – ახალგაზრდა ფლორენციელი ქალის *მონა ლიზას* პორტრეტი, რომელსაც ჰქონდა კიდევ ერთი სახელწოდება – „ჯოკონდა“, მისი

ქმრის სახელის ჯოკონდის მიხედვით. არაჩვეულებრივმა სიღრმემ და მნიშვნელობამ „ჯოკონდა“ აღორძინების ეპოქის სიმბოლოდ აქცია.

უდიდეს ფერმწერს *რაფაელ სანტის* (1483-1520) მიეკუთვნება მსოფლიო ფერწერის უდიდესი ნაწარმოები *„სიქსტის მადონა“*: ახალგაზრდა მადონა, რომელიც მსუბუქად, ლაღად, შიშველი ფეხებით აბიჯებს ღრუბლებზე, მიჰყავს ხალხთან თავისი პაწაწინა შვილი - ჩვილი ქრისტე, წინასწარ გრძნობს მის სიკვდილს, დამწუხრებულია, მაგრამ ესმის ამ მსხვერპლის გაღების აუცილებლობა – კაცობრიობის ცოდვების გამოსყიდვის გამო.

მაღალი აღორძინების კულტურის უდიდესი წარმომადგენელია *მიქელანჯელო ბუანაროტი* (1475-1564) – სკულპტორი, ფერმწერი, არქიტექტორი და პოეტი, ცნობილი სტატუის – *დავითის* შემქმნელი, ავრეთვე სკულპტურული ფიგურებისა *„დილა“*, *„საღამო“*, *„ღამე“*, *„ლამე“*, რომლებიც შეიქმნა აკლდამებისთვის მედიჩების კაპელაში.

მიქელანჯელომ მოხატა სიქსტის კაპელის ჭერი და კედლები ვატიკანის სასახლეში; მისი ფრესკებიდან ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავია *საშინელი სამსჯავროს სცენა*. მიქელანჯელოს ხელოვნებაში უფრო მკვეთრად, ვიდრე მისი წინამორბედების – ლეონარდო და ვინჩის, რაფაელ სანტის შემოქმედებაში – ჟღერს ტრაგიკული ნოტები, გამოწვეული იმ ზღვარის გაცნობიერებით, რომელიც უდევს ადამიანის შესაძლებლობებს, რომ ადამიანს არ შეუძლია „გადააჭარბოს ბუნებას“.

აღორძინების ხანის შესანიშნავი მხატვარი იყო *ჯორჯონე* (1477-1510). ცნობილ ტილოებში *„მძინარე ვენერა“*, *„იუდითი“*, *„ჭექა-ქუხილი“* მან აჩვენა ადამიანისა და ბუნების ერთიანობა.

ადამიანისა და ბუნების სიცოცხლისუნარიანობის სილამაზე არის მთავარი თემა ეპოქის გამოჩენილი მხატვრის *ტიციანის* (1477-1576) შემოქმედებაში. იგი თავის შემოქმედებაში იყენებდა მითოლოგიურ სიუჟეტებს (*„დანაია“*, *„ვენერა სარკის წინ“*, *„ვენერა და ადონისი“*).

მითოლოგიურ თემებზე ხატავდა თავის ტილოებს *ბოტიჩელიც* (1445-1510). მის მიერ შექმნილი პოეტური განზოგადოებები, მგრძნობიარე წარმართული რელიგიის გამოსახულებები გამსჭვალულია ამაღლებული სულიერებით (*„გაზაფხული“*, *„ვენერას დაბადება“*).

ამ პერიოდს უკავშირდება შესანიშნავი იტალიელი პოეტის *ლუდოვიკო არიოსტოს* (1474-1537) შემოქმედების აღმავლობა. იგი ავტორია ფორმით ზღაპრული და სულით ოპტიმისტური პოემისა *„შმაგი როლანდი“*. პოემა ეძღვნება როლანდის უპასუხო სიყვარულს

ანქელიკასადმი. მოქმედება მიმდინარეობს სარაცინებთან (არაბები) ბრძოლის ფონზე კარლოს დიდის მმართველობის პერიოდში. შექსპირმა და ბაირონმა პოემიდან დიდი შთაგონება მიიღეს. პოემა ითვლება აღორძინების ეპოქის უდიდეს ნაწარმოებად.

გვიანი აღორძინება

როგორც ითვლება, იგი გრძელდებოდა XVI საუკუნის 40-იანი წლებიდან – XVI საუკუნის ბოლომდე და XVII საუკუნის პირველ წლებამდე. იტალია აღორძინების სამშობლოა. იგი პირველი ქვეყანაც, სადაც დაიწყო კათოლიკური რეაქცია. XVI საუკუნის 40-იან წლებში აქ იყო რეორგანიზებული და გაძლიერებული ინკვიზიცია, რომელიც დევნიდა ჰუმანისტური მოძრაობის მონაწილეებს. XVI საუკუნის შუახანებში პაპმა პავლე *IV* შეადგინა *„აკრძალული წიგნების ინდექსი“*, რომელიც შემდგომში ივსებოდა ახალი ნამუშევრებით. ამ სიებში შევიდა ის ნაწარმოებები, რომელთა კითხვა ეკრძალებოდათ მორწმუნეებს, რის შემდეგაც მათ ელოდათ ეკლესიიდან განდევნა, რადგან ეს ნაწარმოებები, ეკლესიის აზრით, ეწინააღმდეგებოდა ქრისტიანული რელიგიის ძირითად მოთხოვნებს და დამღუპველად მოქმედებდა ადამიანის გონებაზე. *„ინდექსში“* შევიდა ზოგიერთი იტალიელი ჰუმანისტის ნაწარმოები, კერძოდ ჯ. *ბოკაჩოსი*. აკრძალულ წიგნებს წეავდნენ, ასეთივე ბედი შეიძლებოდა გაეზიარებინათ მათ ავტორებსაც, სხვა მათ მსგავსად სხვაგვარად მოაზროვნეებსაც, თავისი შეხედულებების აქტიურ დამცველებს და მათ, ვისაც არ ჰქონდათ სურვილი წასულიყვნენ კომპრომისზე კათოლიკურ ეკლესიასთან. მრავალი მოწინავე მოაზროვნე და მეცნიერი დაიწვა კოცონზე. 1600 წ. რომში ყვავილების მოედანზე დაწვეს უდიდესი *ჯორდანო ბრუნო* (1548-1600), ავტორი შესანიშნავი ნაწარმოებისა *„სამყაროსა და მსოფლიო უსასრულობის შესახებ“*.

მრავალმა ფერმწერმა, პოეტმა, სკულპტორმა, არქიტექტორმა უარი თქვა ჰუმანიზმის იდეაზე, ისწრაფოდნენ აეთვისებინათ აღორძინების გამოჩენილი მოღვაწეების მხოლოდ „მანერა“. ასე აღმოცენდა ევროპულ ხელოვნებაში მხატვრული სტილი, რომელიც დაკავშირებული იყო რენესანსის კრიზისთან და რომელსაც ხელოვნების ისტორიკოსმა და მხატვარმა *ჯ. ვაზარიმ უწოდა მანერიზმი*. ეს სტილი გამოირჩევა სუბიექტივიზმით, ძიებული გამომსახველობითი ფორმით. ყველაზე მეტად გამორჩეული მხატვარ-მანერისტები იყვნენ: *პონტორმო* (1494-1557), რომელსაც გამომუშავებული ჰქონდა დრამატული სტილი უცნაური ფერების გამოყენებით („საფლავად დადება“), *ბრონზინო* (1503-1572)

მოხდენილი, ცივი პორტრეტების ავტორი („ალეგორია პანჩატიკი“ და სხვ.), სკულპტორი და ოქროს ოსტატი *ბ. ჩელინი* (1500-1573).

ფერწერაში რეალისტური ტრადიციებს აგრძელებდნენ *კერონეზე* (1528-1588), *ტინტორეტო* (1518-1594), *კარავაჯო* (1573-1610). ნოვატორობა და სითამამე გამოარჩევს ვერონეზეს ნამუშევრებს (ვენეციაში დოჟების სასახლეში მოხატული ჭერი). რა თემაზეც არ უნდა ყოფილიყო შექმნილი მისი ნახატები (რელიგიურ, მითოლოგიურ, ისტორიულ ან ალეგორიულ) ყველგან იგი ადიდებდა ვენეციის სიძლიერეს და დიდებულებას. ტინტორეტოს დრამატული ტილოები რელიგიურ თემაზე გაჯერებულია დინამიკით, შუქისა და ჩრდილის კონტრასტით, სულიერების გამოხატულებით. კარავაჯო – მძლავრი ფერწერული სტილის შემქმნელი იყო, რომელიც ეყრდნობოდა შუქ-ჩრდილების გამოყენებას. მისი ნამუშევრები გამოირჩევა მონუმენტურობით, იგი ქმნილებებს დიდი მოცულობის ენერგიული ძერწვის საშუალებით ქმნიდა. მხატვარს მრავალი მიმბაძველი ჰყავდა *(კარავაჯისტები)* ჰოლანდიაში, ფლამანდიაში, საფრანგეთში, ესპანეთში. კულტურათა ურთიერთშეღწევადობა სულ უფრო და უფრო ღრმა ხდება, ასე ჩამოყალიბდა *საერთო ევროპული კულტურა*, საერთო ევროპული ცივილიზაცია.

ჰუმანისტური მოძრაობა იყო საერთო ევროპული მოვლენა. XV საუკუნის ჰუმანიზმი სცდება იტალიის საზღვრებს და სწრაფად ვრცელდება ყველა დასავლეთევროპულ ქვეყანაში. ყველა ქვეყანას აღორძინების კულტურის ჩამოყალიბებაში ჰქონდა საკუთარი თავისებურებები, საკუთარი ნაციონალური მიღწევები, ჰყავდა საკუთარი ლიდერები.

რეფორმაცია გერმანიასა და შვეიცარიაში

გერმანიაში ჰუმანიზმის იდეები ცნობილი ხდება XV საუკუნის შუა პერიოდში, რამაც დიდი გავლენა მოახდინა საუნივერსიტეტო წრეებსა და პროგრესულ ინტელიგენციაზე.

გერმანული ჰუმანისტური ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენელი იყო *იოჰან რეიხლინი* (1455-1522), რომელიც ისწრაფვოდა ეჩვენებინა ღვთაებრივი თვით ადამიანში. რეისლინი იბრძოდა კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ, რათა დაეცვა სამეცნიერო გამოკვლევების თავისუფლება. ამ ბრძოლაში მას მრავალი მხარდამჭერი ჰუმანისტი ჰყავდა.

გერმანული აღორძინების თვალსაჩინო ფიგურა იყო *ულრიხ ფონ გუტენი* (1488-1523) – მწერალი, განმანათლებელი და პოლი-

ტიკური მიღვაწე. იგი ავტორია ფართოდ გავრცელებული სატირისა *„ბნელი ბალბის წერილები“*, სადაც ამხელდა მორალურ გაბრუნას, ღვთისმსახურთა უცოდინარობას, სქოლაქტიკურ მეცნიერებას. იგი ავტორია გესლიანი *„დიალოგების“* და პამფლეტებისა.

ალორძინება გერმანიაში განუწყვეტელ კავშირშია *რეფორმაციის* (ლათ. რეფორმატიო – გარდაქმნა) მოვლენასთან – მოძრაობასთან კათოლიკური ეკლესიის რეფორმისთვის, „იაფი ეკლესიის“ შექმნისათვის, წეს-ჩვეულებების უფასოდ აღსრულებისათვის, ქრისტიანული სწავლების განწმედისათვის ყოველგვარი არასწორი მიდგომისაგან, რაც გარდაუვალი მოვლენებია მრავალსაუკუნოვანი ქრისტიანული ისტორიისთვის. რეფორმაციის მოძრაობას ხელმძღვანელობდა *მარტინ ლუთერი* (1483-1546) ღვთისმეტყველების დოქტორი და ავგუსტინეს მონასტრის მონაზონი. იგი თვლიდა, რომ რწმენა ადამიანის შინაგანი მდგომარეობაა, რომ გადარჩენა ადამიანს უშუალოდ ღმერთისგან ებოძება და ღმერთამდე მისვლა შესაძლებელია კათოლიკური სამღვდელოების შუამავლობის გარეშე. ლუთერმა და მისმა მომხრეებმა უარი გამოთქვეს კათოლიკურ ეკლესიაში დაბრუნებაზე და პროტესტი გამოთქვეს მოთხოვნაზე – უარი ეთქვათ თავიანთ მოთხოვნებზე, ამით საფუძველი ჩაეყარა ქრისტიანობაში *პროტესტანტულ* მიმართულებას. ლუთერმა პირველმა თარგმნა გერმანულ ენაზე ბიბლია, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა რეფორმაციის წარმატება.

რეფორმაციის გამარჯვებამ XVI საუკუნის შუა პერიოდში გამოიწვია საზოგადოების აღმაფრენა და ნაციონალური კულტურის ზრდა. მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია სახვითმა ხელოვნებამ. ფერმწერმა და გრავიურისტმა *ალბერტ დიურერმა* (1471-1528) შექმნა გრავიურების ციკლი *„აპოკალიფსი“*, რაშიც მან მიაღწია არნახულ გამომხატველობას. მართალია, აპოკალიფსის თემა ანათესავებს ამ ციკლს გვიანდელ გოთურ ხელოვნებასთან, რეალისტური სახეების გახსნის მეთოდი მეტყველებს იტალიური აღორძინების ზემოქმედებაზე. დიურერი პორტრეტებში აფუძნებდა ადამიანის ახალ რენესანსულ გაგებას.

გერმანული აღორძინების ერთ-ერთი წამყვანი ფიგურაა – *ლუკას კრანახ უფროსი* (1472-1553). სურათი *„ვაჭკნება ევროპელში“* – მისი ფერწერის მახასიათებელი ნიმუშია. მისი ნახატების რელიგიური სიუჟეტები ვითარდება შესანიშნავი პეიზაჟის ფონზე, იგი ხატავდა აგრეთვე გაშიშვლებულ ნატურას და დეტალიზებულად იდეალიზებულ პორტრეტებს, კერძოდ ასეთია მარტინ ლუთერის პორტრეტი.

მნიშვნელოვან აღმავლობას მიაღწია გერმანულმა ლიტერატურამ. რეფორმაციის ეპოქის უმსხვილესი გერმანელი იყო მეისტერზინგერი *ჰანს საქსი* (1494-1576), რომელმაც შექმნა მრავალი სამოძღვრებო იგავ-არაკი, სიმღერა, *შვანკი*[1], დრამატული ნაწარმოები და *იოჰან ფიშარტი* (1546-1590) – ავტორი მახვილი სატირული ხასიათის ნაშრომებისა, რომლებიც გერმანული აღორძინების უკანასკნელი წარმომადგენლები არიან.

რეფორმაციის ფუძემდებელი *შვეიცარიაში* გახდა *ულრიხ ცვინგლი* (1484-1531). 1523 წ. მან ციურიხში ჩაატარა საეკლესიო რეფორმა, რის შედეგადაც გაადვილდა საეკლესიო მსახურება და წეს-ჩვეულებები, გაუქმდა მთელი რიგი საეკლესიო დღესასწაულები, დაიხურა ზოგიერთი მონასტერი, ჩატარდა საეკლესიო მიწების სეკულარიზაცია. შეგვიანებით შვეიცარიის რეფორმირების ცენტრმა გადაინაცვლა ჟენევაში, ხოლო რეფორმაციულ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა *ჟან კალვინი* (1509-1562), რომელიც უფრო თანმიმდევრული რეფორმაციული მოძრაობის შემქმნელია. კალვინი გამოდის იმ იდეიდან, რომ ღმერთი აბსოლუტურად წინასწარ განსაზღვრავს ადამიანის გადარჩენას ან სიკვდილს. ეს წინასწარი განსაზღვრა მიუწვდომელი და უკუქცევადია; იმის მაჩვენებლად, რომ ადამიანი სწორ გზაზე დგას, რომ ის „ღმერთის რჩეულია“, არის ადამიანის წარმატება პროფესიულ საქმიანობაში, რაც ბევრად დამოკიდებულია მისსავე ჰირად სურვილზე და გულმოდგინებაზე. რეფორმაციამ შვეიცარიაში გაიმარჯვა XVI საუკუნის 40-იან წლებში და ამ გამარჯვებამ განსაზღვრა საზოგადოებაში საერთო კულტურული ატმოსფერო: გადამეტებული ფუფუნება, მდიდრული დღესასწაულები და გართობები იგმობოდა, იწონებდნენ პატიოსნებას, შრომისმოყვარეობას, მიზანმიმართულობას, მკაცრ ზნეობას. ამ იდეებმა ფართო გავრცელება ჰპოვა ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში.

აღორძინება ნიდერლანდებში

ნიდერლანდებში აღორძინების კულტურის უდიდესი წარმომადგენელი *იყო ერაზმ როტერდამელი* (1496-1536). დიდია ჰუმანისტის და განმანათლებლის ნაშრომების მნიშვნელობა, მათ შორის მისი ცნობილი *„ქება სისულელისა“* თავისუფალი აზრის გამოსამუშავებლად სქოლასტიკისადმი, ცრუმორწმუნეობისადმი კრიტიკული დამოკიდებულებისათვის,

[1] შვანკები – შუასაუკუნოვანი ქალაქური (გერმანული) ლიტერატურის ჟანრი. მოკლე კომიკურობით საცხე მოთხრობა (ხანდახან პიესა), ლექსი ან პროზა, ხშირად სატირული ან ჭკუის სასწავლებელი ხასიათის.

ჭეშმარიტად შეუფასებელია. სატირული ხასიათის ნაწარმოებებმა მას დიდი წარმატებები მოუტანა და სახელი გაუთქვა გერმანიაში, საფრანგეთში, ესპანეთში, ინგლისში. შესანიშნავი ფორმით, ღრმა შინაარსით, ისინი არა ერთი ასწლეულის შემდეგ კვლავ პოულობენ მკითხველს. ერაზმ როტერდამელს დიდი წვლილი მიუძღვის პირველად ნაბეჭდი ახალი აღთქმის გამოცემაში ბერძნულ ენაზე და მის ლათინურად თარგმნაში. მან შექმნა საკუთარი სწავლება *„ქრისტეს ფილოსოფია“*, რომელსაც საფუძვლად ედო იდეა – ადამიანის პირადი კავშირი ღმერთთან.

ლიბერალიზმის ერთ-ერთ ფუძემდებლად შეიძლება ჩაითვალოს *დირკა კოორნჰერტა*, თავისუფლების იდეის გამომხატველი, მომთმენი მორწმუნე და კოსმოპოლიტი. ამავე პერიოდს მიეკუთვნება *ფილიპ ალდეგონდეს*, ნიდერლანდების ნაციონალური ჰიმნის ავტორის – შემოქმედება.

ნიდერლანდების ადრეული აღორძინების წარმომადგენელია – *იერონიმ ბოსბი* (დაახლ. 1450-1516). მისი სურათები სავსეა ეშმაკისეული ქმნილებების უცნაური სახეებით, რომლებიც შნახველს ანცვიფრებენ დამახინჯებული წარმოსახვით (*„გასცბრომის ბაღი“*), რელიგიური სიუჟეტები გამოხატავენ არა წმინდანებს, არამედ უბრალო ხალხს, მათი მოქმედებები თითქოს გადატანილია თანამედროვეობაში, მათში კარიკატურის სახით გადმოცემულია ადამიანური მანკიერებები.

თავისი დროის უდიდესი მხატვარი იყო *პიტერ ბრეიგელ უფროსი* (1525-1569). მისმა გლეხური ყოფის ამსახველმა სურათებმა სათავე დაუდო *ჟანრულ ფერწერას*. მხატვარი თემებს იღებდა ცხოვრებიდან, ყოფიდან (*„მონადირეები თოვლზე“*, *„ფარას დაბრუნება“*, *„გლეხური ქორწილი“*, *„თიმჟა“* და სხვა ტილოები შესულია სერიაში „თვეები“). მის სურათებში ხშირად ელერს ტანჯვისა და სიკვდილის თემა (*„ბრძოლა“*, *„სიკვდილის ტრიუმფი“*). მის ერთ სურათზე „ნიდერლანდული ანდაზები“ განთავსებულია 100-ზე მეტი ილუსტრაცია ხალხურ ანდაზებსა და გამოთქმებზე. მრავალი მათგანის აზრი ჩვენთვისაც გასაგებია *(„კბილუკმაზე შუაღამეულია “*, *„კედელზე თავის ბიბლა“*, *„თითებს შორის ხედვა“* და ა. შ.).

პიტერ ბრეიგელის მეტსახელი იყო *„მუჟიკი“*, მისი შვილები *პიტერ უმცროსი*, *„ცოვცოხეთური“* ბრეიგელად წოდებული, მუშაობდა რელიგიურ თემებზე, ხოლო *იანი*, წოდებული *„ბაკურდოვან“* („ყვავილოვან“) ბრეიგელად, ხატავდა ნატურმორტებს ყვავილებით, რომლებიც გაჯერებული იყო ფერების ჰარმონიით.

ნიდერლანდების კულტურული ცხოვრების თავისებურება იყო *რიტორიკული საზოგადოებები*, რომლებიც ორგანიზებული იყო არა მხოლოდ ქალაქებში, არამედ სულ პატარა სოფლებშიც. ამ საზოგადოებების წევრები (მათ შემადგენლობაში ყველას შეეძლო შესვლა) ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ლექსების, პიესების, მოთხრობების, სიმღერების შექმნაში. რიტორიკული საზოგადოება ხელს უწყობდა საზოგადოებაში განათლების გავრცელებას, მისი კულტურული დონის ამაღლებას.

აღორძინება ინგლისში

ინგლისში ჰუმანისტური იდეების თავმოყრის ადგილი იყო *ოქსფორდის უნივერსიტეტი*, სადაც მუშაობდნენ იმ დროის .მოწინავე მეცნიერები – *გროსინი*, *ლინაკრი*, *კოლეტი*. სოციალური ფილოსოფიის სფეროში ჰუმანისტური მსოფლმხედველობის განვითარება დაკავშირებულია *თომას მორის* (1478-1535) – *„უტოპიის“* ავტორის სახელთან, რომელმაც მკითხველთა სამსჯავროზე გამოიტანა მისი აზრით იდეალური, ადამიანური საზოგადოება: მასში ყველა თანასწორია, არ არის კერძო საკუთრება და ოქროც არ ითვლება ძვირფასად – მისგან აკეთებენ ბორკილებს დამნაშავეებისთვის.

ინგლისური კლასიკური ლიტერატურის და თანამედროვე ინგლისური ენის ფუძემდებელია *ჯეფრი ჩოსერი* (დაახლ. 1340-1400). განსაკუთრებით ცნობილია მისი ლექსებისა და პროზაული ნოველების კრებული *„კენტერბერიული მოთხრობები“*, კენტერბერში მიმავალი მომლოცველების ნაამბობი. მათში ჩოსერმა გამოავლინა თავისი თავი როგორც დახვეწილმა ფსიქოლოგმა და სტილისტმა.

ინგლისური აღორძინების უდიდესი ფიგურაა – *უილიამ შექსპირი* (1564-1616), მსოფლიოში ცნობილი ტრაგედიების – *„ჰამლეტი“*, *„მეფე ლირი“*, *„მაკბეტი“*, *„ოტელო“*, ისტორიული დრამების – *„ჰენრიხ VI“*, *„რიჩარდ III“*, კომედიების *„უთანხორცო მზითვი“*, *„ყურშაური არაფრის გამო“* და ცნობილი სონეტების ავტორი.

დრამატურგის მსოფლმხედველობა მისი შემოქმედების განმავლობაში იცვლებოდა. ოპტიმიზმით გაჯერებული იყო მისი პირველი კომედიები, მოგვიანებით ისტორიულ დრამებში იგი წყვეტს პრობლემას კანონსა და ხელისუფლებას შორის და მისი მსოფლმხედველობა ხდება უფრო პესიმისტური. მისი პიესები დაწერილია თეთრი ლექსით, პროზაში ჩართვით.

შექსპირი იყო ლონდონის *თეატრ „გლობუსის“* დრამატურგი, რომელიც მოსახლეობაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. იმ დროის ინგლისურ თეატრებს ყველა ფენის ადამიანი სტუმრობდა. თეატრალური ხელოვნების ამაღლებამ, მისმა ხელმისაწვდომობამ, დემოკრატიულმა ხასიათმა, ინგლისურ საზოგადოებაში განსაზღვრა დემოკრატიული სტრუქტურების განვითარება.

აღორძინება ესპანეთში

აღორძინება ესპანეთში უფრო წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებდა, ვიდრე სხვა ევროპულ ქვეყნებში. აქ მრავალი ჰუმანისტი არ გამოდიოდა კათოლიციზმისა და კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ. ფართო გავრცელება ჰპოვა *რაინდულმა* და *თაღლითურმა რომანებმა*. ამ ჟანრში პირველი გამოვიდა *ფერნანდო დე რომასი*, ცნობილი ტრაგიკომედიის *„სელესტინას“* ავტორი.

ეს ხაზი გაავრცელა და განავითარა უდიდესმა ესპანელმა მწერალმა *მიგელ დე სერვანტესმა* (1546-1616) მისი მთავარი ნაწარმოებია უკვდავი რომანი *„დონ კიხოტი“*, რომელშიც ორგანულად ერწყმის ერთმანეთს რეალიზმი, ჰეროიკა და რომანტიზმი. მწერალმა რაინდული რომანის პაროდირებისას შექმნა ესპანური საზოგადოების ყოვლისმომცველი პანორამა.

ესპანური ნაციონალური დრამის ფუძემდებელია – დიდი *ლოპე დე ვეგა* (1562-1635), 1500-ზე მეტი ლიტერატურული ნაწარმოების ავტორი, მათ შორის *„ძალღი თივაზე“*, *„ცეცხლის მასწავლებელი“*. თავისი შეხედულებები მან გადმოსცა ესპანური რენესანსული დრამის მნიშვნელოვანი პრინციპების ფორმით შესრულებული ლექსთწყობის ტრაქტატში *„ახალი ხელოვნებაა კომედიების შექმნა ჩვენს დროში“*. მისი პიესა *„ფუენტე ოვეხუნა“* (*„ცხვრის წყარო“*) დასახელებული იქნა პირველ სახალხო დრამად.

დიდ წარმატებებს მიაღწია ესპანურმა ფერწერამ. მასში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია *ელ გრეკოს* (1541-1614). მისი სურათები რელიგიურ თემაზე სავსეა ემოციური დაძაბულობით. გრეკოს ტილოების პერსონაჟები განათებული არიან მოციმციმე შუქით (*„ჯვრაფ ორგასის დაკრძალვა“*).

აღორძინება საფრანგეთში

საფრანგეთში ჰუმანისტური მოძრაობა გავრცელებას იწყებს მხოლოდ XVI საუკუნის დასაწყისში. ფრანგული ჰუმანიზმის ბუმბერაზი წარმომადგენელი იყო *ფრანსუა რაბლე* (1494-1553), რომელმაც დაწერა სატირული რომანი-ალეგორია *„გარგანტუა და პანტაგრუელი“* რომელშიც მოთხრობილია ორ გოლიათზე – მამასა და შვილზე.

XVI საუკუნის 40-იან წლებში საფრანგეთში იქმნება ახალი ლიტერატურული მიმართულება, რომელიც ისტორიაში შევიდა *„პლეადების“* სახელით. ამ მიმართულებას სათავეში ედგნენ ისეთი გამოჩენილი პოეტები, როგორიც იყვნენ *პიერ დე რონსარი* (1524-1585) და *ჟოაკენ დიუ ბელე* (1522-1566). „პლეადების“ („თაობა“) პოეტები ხედავდნენ მთავარ ამოცანას იმაში, რომ ფრანგული ენა ამაღლებულიყო კლასიკური ბერძნულის და ლათინურის დონეზე.

პოეზიის უმნიშვნელოვანესი თემა იყო სიყვარულისათვის ხოტბის შესხმა. ამ ფონზე აღსანიშნავია *პიერ რონსარის სონეტები*, რომელსაც „პოეზიის პრინცს“ უწოდებდნენ და რომელმაც დიდი ზეგავლენა იქონია მთლიანად ფრანგულ პოეზიაზე.

და სიყვარული მოვიდა მაშინ
როცა ქაოსი გააპო სხივმა
შეუქმნელი დაფუთფუთებდა
თვით უსაზობა და უფორმობა.

სულში შეფობდა ბნელის სიმძიმე
და უდიადეს ულოდა ძალას
და ჰე, მესტუმრა ტრფობის ნექტარი
შენი თვალების ციმციმით, ქალავ.

უკვე განწმენდილს სურს რომ გეახლოს,
სულს მიძინებულს უნდა განცხრომა
და სიყვარულის ძალით დათრობა.

ის სიტკბოების მოლოდინშია,
სულმა შეიტყო ფრენა ტრფობისა,
წყურვილიც გაჩნდა კვლავ სიცოცხლისა!

XVI საუკუნის ფრანგული კულტურის უდიდესი წარმომადგენელი იყო *მიშელ დე მონტენი* (1533-1592). მას დიდება მოუტანა მშობლიურ ციხე-სიმაგრეში განმარტოებით ცხოვრების დროს დაწერილმა *„ცდებმა“*, რომელმაც მთელს ევროპულ ლიტერატურულ მიმართულებას დაუმკვიდრა დასახელება – *ესსეისტიკა* (ფრ. ესსაი – ცდა). ნატიფმა და თავისუფალი ფორმის თითქოს და ერთმანეთთან არაფრით დაკავშირებულმა მონტენის ესსეებმა დასაბამი მისცა ფრანგული თავისუფალი აზროვნების ტრადიციების განვითარებას აღორძინების ეპოქაში. ბუნებასა და საზოგადოებაზე მსჯელობისას მონტენი ამბობს: – ადამიანი მწვერვალია!

პირველი ფრანგი მხატვარი, რომელმაც თანამიმდევრულად განახორციელა ადრეული აღორძინების ესთეტიური პრინციპები, იყო *ჟან ფუკე* (დაახლ. 1420-1480). რეალისტური მანერით მან შექმნა მინიატურები და წიგნის ილუსტრაციები, მათ შორის ბოკაჩოს *„დეკამერონისთვის“*.

აღორძინების ეპოქა დასრულდა. დასავლეთ ევროპამ შეაბიჯა თავისი ისტორიის ახალ პერიოდში და გასწია ახალი დროებისკენ.

ძირითადი ტერმინები და ცნებები

აღორძინება	ადრეული აღორძინება
მაღალი აღორძინება	რენესანსი
ჰუმანისტი	რეფორმაცია
სილამაზის კულტი	რიტორიკული საზოგადოება
აღორძინების კულტურა	სონეტი
ლიბერალიზმი	აღორძინების ტიტანი
მანერიზმი	უტოპია
თაღლითური რომანი	შვანკი
გვიანი აღორძინება	ესსე
პროტესტანტიზმი	ესსეისტიკა

კითხვები გამეორებისათვის

1. ახსენით ჰუმანიზმი როგორც კულტურისა და ხელოვნების მახასიათებელი ნიშანი აღორძინების ეპოქაში.
2. გვიამბეთ იტალიური ჰუმანისტური კულტურის გავრცელების შესახებ ევროპის ქვეყნებში. დაახასიათეთ აღორძინების თავისებურებები ამ ქვეყნებში.
3. დაახასიათეთ დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ძირითადი მიღწევები აღორძინების ეპოქაში.
4. დაასახელეთ მხატვრები – აღორძინების ტიტანები, მოყევით მოკლედ მათ შემოქმედებაზე.

დანტეს „ღვთაებრივი კომედიიდან“

მიწიერი საცხოვრისის სანახევროდ გავლისას
თავი უცბად ამოვყავი უსიერ ტყის ხლართებში,
ორიენტირს ვერ ვპოულობ – ველიც ბნელმა დაფარა,
გზასავალი დამიკარგავს, არც გეზი მაქვს, არც გეში,
იმ შორეულ სატანჯველის ხსოვნა დღესაც მაგოდებს,
თვით სიკვდილი ეტკბილება მოგონების აკორდებს.

თავი 10

ევროპის კულტურა XVII ს.



ვერსალი

გრანდიოზული სამეფო ქალაქი,
აბსოლუტური მმართველობის ტაძარი,
სადაც ეტიკეტს ლიტურგიის მსგავსად
განაგებდა მსოფლიოს პირველი მონარქი.
აგებულია არქიტექტორების ლ. ლევოს,
ფ. დ'ორბეს, ჟ. არდუენ-მანსარის და ლანდშაფტების
შემქმნელის ა. ლენოტრომის მიერ.

კაცობრიობის განვითარებისათვის XVII საუკუნე გარდატეხის ეპოქაა: მთავრდება შუასაუკუნეობრივი და იწყება ახალი დრო. გასული ასწლეულების ცენტრალური მოვლენებია — დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენათა დამამთავრებელი ეტაპი, პირველი სამეცნიერო რევოლუცია, ასევე სოციალური, ბურჟუაზიული რევოლუცია ინგლისში. ამ მნიშვნელოვანმა ძვრებმა განაპირობა მსოფლიო ბაზრის შექმნა, როდესაც ყველა კონტინენტს შორის მყარდება რეგულარული ეკონომიკური კავშირები, ევროპაში ფეხს იკიდებს კაპიტალისტური ურთიერთობანი.

ბუნებრივია, ასეთმა პროცესებმა გავლენა იქონია XVII საუკუნეში ევროპის კულტურის განვითარებაზე.

XVII ს. სხვადასხვა სულიერ კულტურათა შორის განსაკუთრებული ადგილი დაიკავა მეცნიერებამ, რომელიც არა თუ განვითარდა, არამედ მოახდინა გარღვევა, რომელსაც კაცობრიობის ისტორიაში *ეწოდა პირველი სამეცნიერო რევოლუცია*. მისი შედეგია ახალი დროის მეცნიერების ჩამოყალიბება. (დაწვრილებით იხილეთ თავი 15).

რამდენადაც მოქმედებდნენ ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციები და ძველს არ სურდა დაეთმო გზა ახლისათვის, მიმდინარეობდა ბრძოლა არა მარტო შუა საუკუნეობრივ და ახლად წარმოშობილ ტენდენციებს შორის, მეცნიერებასა და რელიგიას შორის, არამედ განსხვავებულ რელიგიურ მიმდინარეობებშიც.

სულიერი კულტურის ბრწყინვალე წარმომადგენლების თამამმა ნოვატორულმა შეხედულებებმა განიცადეს დევნა, სასამართლო, მტრული თავდასხმები. *კოცონზე დაწვეს ჯორდანო ბრუნო, გალილეი* გადაასახლეს, *სპინოზა* გადასცეს წყევლა-კრულვაზე — ეს არის არასრული ჩამონათვალი მათი წამებისა და შევიწროებისა, რომლებმაც თავი ჩაიგდეს საფრთხეში და გაუსწრეს დროს.

სწორედ ამ წინააღმდეგობრივ ბრძოლაში იქმნებოდა მნიშვნელოვანი ნაწარმოებები სულიერი კულტურის სხვადასხვა სფეროში — ფილოსოფიაში, ლიტერატურაში, ფერწერაში, მუსიკაში.

XVII საუკუნის მხატვრული სტილი

XVII ს. ჩამოყალიბდა და გაბატონდა მხატვრული სტილის ორი სახე — *ბაროკო და კლასიციზმი*.

ბაროკოს სტილმა ევროპაში 1660 წლიდან 1750 წლამდე იარსება. მისთვის დამახასიათებელია გამომსახველობა, დიდებულება, დინამიურობა. რეფორმაციასთან დაკავშირებით კათოლიკური ეკლესიის მხარდაჭერაზე მიმართული ბაროკოს ხელოვნება ცდილობდა

მნახველზე უშუალოდ მოეხდინა შთაბეჭდილება. გრძნობების დიდი გამომსახველობის ნიშუშად ითვლება მოქანდაკე *ბერნინის „წმინდა ტერეზას ეკსტაზი“*. ფერწერა, ქანდაკება, დეკორი, არქიტექტურა მთლიანობაში დრამატულ ეფექტს ქმნიან. თავდაპირველად რომის ეკლესიაში დანერგილი სტილი, მალე მთელს ევროპას იპყრობს და, ამავე დროს, ახალ შტრიხებსაც იძენს.

იტალიაში ბაროკოს სტილი წარმოდგენილია *კარავაჯოს* ფერწერაში, ფლანდრიაში — *რუბენსისა და ვან დეიკის ნაწარმოებებში*, ესპანეთში — *ველასკესის* და *რიბერის* ტილოებში, ჰოლანდიაში — *რემბრანდტისა და ჰალსის* ქმნილებებში.

არქიტექტურაში სწორი ხაზები შეიცვალა ტეხილით, ხვეულებით, დეკორმა დიდი როლი და დახვეწილობა შეიძინა. განხორციელდა ფართომასშტაბიანი პროექტები, მაგალითად, წმინდა პეტრეს ტაძრის მოედნები რომში (*არქიტექტორია ბერნინი*).

ტერმინი „ბაროკო“ პირველად იხმარა XIX საუკუნეში ისტორიკოსმა *ი. ბურკჰარდტმა*, მან ის გამოიყენა უპატივცემულობის მნიშვნელობით, როგორც „უცნაური“, „მიჩხიბულ-მოჩხიბული“.

XVII საუკუნეში საფრანგეთში დამკვიდრდა მონარქის შეუზღუდავი ძალაუფლება, რომელმაც აპოგეას მიაღწია ლუდოვიკო XIV დროს. ამ დროს ჩამოყალიბდა კლასიკური მიმართულება, რომელმაც მთლიანად მოიცვა მხატვრული შემოქმედების ყველა სფერო. *კლასიციზმი* დაფუძნებულია ანტიკური ხელოვნების პრინციპებზე. ესენია: რაციონალიზმი, სიმეტრია, მიზანშიმართულება, თავშეკავება და ქმნილების შინაარსისა და ფორმის მკაცრი შერწყმა. მისი წარმომადგენლები იღწვიან გამოხატონ ამაღლებული, პროიკული და ზნეობრივი იდეალები, შექმნან ნათელი, ორგანული სახეები. ამავე დროს, კლასიკურობა თავის თავში ატარებდა უტოპიის, იდეალიზაციის, განყენებულობის, აკადემიზმის ნიშნებს, განსაკუთრებით მომეტებულად — მისი კრიზისის დროს.

კლასიციზმმა დაადგინა მხატვრული ჟანრის იერარქია — მაღლისა და დაბლის. ასე მაგალითად, ფერწერაში მაღალ ჟანრად ითვლებოდა ისტორიული, მითოსური, რელიგიური სურათები. დაბალს მიეკუთვნებოდა პეიზაჟი, პორტრეტი, ნატურმორტი. ასეთსავე იერარქიას იცავდნენ ლიტერატურაშიც. მაღალი ლიტერატურული ჟანრი იყო — ტრაგედია, ეპოპეა, ოდა; დაბალი კი — კომედია, სატირა, იგავი. მკვეთრი გამიჯვნა და ფორმების გასწორება მხოლოდ ფერწერასა და ქანდაკებაში იყო დადგენილი. თუ ფიგურებში იყო მოძრაობა, მაშინ ის არ არღვევდა მათ მშვიდ სტატუირებას,

პლასტიკურ ჩაკეტილობას. საგნების მკვეთრი გამოსახვისათვის იყენებდნენ ლოკალურ ფერს: ახლო პლანისთვის – ყავისფერს, შუა მდგომარეობისათვის – მწვანეს, შორი პლანისთვის კი – ცისფერს.

კულტურის საერთო განვითარების თვალსაზრისით წინ წავიდა საფრანგეთი, მსოფლიო დონის მხატვრები შესძინა კაცობრიობას ფლანდრიამ, ჰოლანდიამ, ესპანეთმა. ამ პერიოდში მუსიკის სამყაროში ჩამოყალიბდა სწავლება ჰარმონიის შესახებ და დაიბადა მუსიკის ახალი ჟანრი – ოპერა, რომლის სამშობლოა იტალია. იტალია და საფრანგეთი იყვნენ შესანიშნავი არქიტექტურული ანსამბლების, სასახლეებისა და პარკების ნაგებობათა მშენებლობის ლიდერები.

ინგლისის კულტურა

ინგლისელი ფილოსოფოსი *თომას გობსი* (1588-1679) ითვლება მექანიკური მატერიალიზმის პირველი დასრულებული სისტემის შემქმნელად. გობსი ერთ-ერთი წარმომადგენელია საზოგადოებრივი ხელშეკრულებით სახელმწიფოს აღმოცენების შესახებ თეორიისა, ან სახელმწიფოს კონტრაქტური თეორიისა. ამ თეორიის თანახმად, სახელმწიფო იმ თავისებური ხელშეკრულების რეზულტატია, რომელიც დადებულია სუვერენულ ხელისუფალსა და ქვეშევრდომებს შორის. გობსის აზრით, ასეთი ხელშეკრულების დადებას განაპირობებს სხვა ადამიანების მხრიდან აგრესიის და საკუთარი სიცოცხლის, თავისუფლებისა და ქონების დაკარგვის შიში. სახელმწიფოს დაარსებამ ბოლო მოუღო იმ ბუნებრივი მდგომარეობის არსებობას, რაც გამოიხატება თეზისში „ყველას ომები, ყველას წინააღმდეგ“, რომელსაც, გობსის აზრით, ადგილი ჰქონდა სახელმწიფოებრიობის შექმნამდე. გობსმა პირველმა გაილაშქრა სამეფო ხელისუფლების ღვთიურ წარმოშობაზე. თავისი თეორია ჩამოაყალიბა მთავარ ქმნილებაში „*ლევიაფანი*“. მისი ფილოსოფიური შრომებია – „*ფილოსოფიის საფუძვლები*“ („*სხეულის შესახებ*“, „*ადამიანის შესახებ*“, „*მოქალაქის შესახებ*“).

იმ დროის დიდმა ინგლისელმა პოეტმა *ჯონ მილტონმა* (1608-1674), პოემებში „*დაკარგული სამოთხე*“ და „*დაბრუნებული სამოთხე*“ ბიბლიურ სიუჟეტთა ალეგორიულ სახეებში აღწერა ინგლისის რევოლუციის დროინდელი ამბები. მილტონი ავტორია პოემისა „*ბრიტანეთის ისტორია*“ და შთამბეჭდავი, მაგრამ დადგმისათვის მოუხერხებელი ტრაგედიისა „*მებრძოლი სამსონი*“, სადაც შეეხო ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემას.

მილტონი – პროგრესული საზოგადო მოღვაწე, ბრწყინვალე პუბლიცისტი, თავგამოდებით იცავდა ინგლისის რესპუბლიკის

სუვერენიტეტს, რეველუციური ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას (პამფლეტი „*ინგლისელი ხალხის თავდაცვა*“, „*არეოპაგიტიკა*“).

სტიუარტების დინასტიის რესტავრაციის შემდეგ ინგლისში ხელახლა აღორძინდა მაღალი საზოგადოების ხელოვნება, ინგლისურ თეატრსა და ლიტერატურაში იყო კლასიციზმის კანონების დამკვიდრების მცდელობა, მაგრამ ტრაგედიის სტილის შექმნა აქ არ მოხერხდა. კომედიოგრაფებიდან გამოირჩეოდნენ *უილიამ უიჩერლი* (1640-1716) და *უილიამ კონგრივი* (1670-1729). კონგრივის კომედიები „*ორმაგი თამაში*“, „*სიყვარული სიყვარულისათვის*“ და სხვები კიცხავენ მაღალი საზოგადოების მოჩვენებით საქციელს, მათთვის დამახასიათებელია დახვეწილი იუმორი და სიტყვათა თამაში, ინტრიგების ხლართვა.

XVII საუკუნის ინგლისში ყალიბდება მუსიკალური თეატრი. საუკუნის დიდი ინგლისელი კომპოზიტორი *გ. პორსელი* (დაახლ. 1659-1695) ავტორია პირველი ინგლისური ოპერებისა „*დიდონა და ენეა*“, „*მეფე არტური*“. მისი მუსიკა არის ტექნიკურად რთული და შერწყმულია ექსპრესიულ მელოდიასთან.

ჰოლანდიის კულტურა

XVII საუკუნის ევროპის მოწინავე სახელმწიფოა ჰოლანდია – ევროპის კულტურის ცენტრი, თავისუფლად მოაზროვნეთა *ლეიდენის უნივერსიტეტი*.

ჰოლანდიაში თავისი დიდი მიღწევებით სახელი გაითქვა სახვითმა ხელოვნებამ, განსაკუთრებით დაზგურმა ფერწერამ, რომელიც მნიშვნელოვნად განვითარდა XVII საუკუნეში და უკანა პლანზე გადაწია მონუმენტურ-დეკორატიული ნახატები. ჰოლანდიელ მხატვართა ყურადღების ცენტრში იყო ადამიანი და ბუნება. წამყვანი ჟანრია – *ჟოფითი ფერწერა, პეიზაჟი*, რომელიც XVII საუკუნეში დამოუკიდებელ ჟანრად იქცა.

ფრანს ჰალსი (დაახლ. 1580-1666) – მხატვარი-პორტრეტისტი, მის ჯგუფურ პორტრეტებში გადმოცემულია ამხანაგური გრძნობები, თანასწორობა, თავისუფლება. ინდივიდუალური პორტრეტისათვის დამახასიათებელია დემოკრატიულობა, სიცოცხლით სავსე და დინამიური, თავისუფალი და არტისტიზმით დამუხტული გამომსახველობა („*ბოშა ქალი*“, „*მალე ბაძე*“, „*მომღიმარი კავალერი*“).

იაკობ ვან რეისდალის (1628/29-1682) შემოქმედებისათვის დამახასიათებელია დრამატიზმი, ბუნების დიდებულების პოეტური გახსნა. იგი წერდა სოფლურ პეიზაჟებს, განსაკუთრებით კარგად გამოსდიოდა დაკოქრილი, ცუდი ამინდის გამო მიგრეხილ-

მოგრეხილი ხეების ხატვა. მისი საუკეთესო ტილოებია „ტყის ჭაობი“, „ჩანჩქერი“, „ებრაელთა სასაფლაო“.

XVII საუკუნეში ჰოლანდიური ხელოვნების მწვერვალია რემბრანდტის ტილოები, რომლებიც მსოფლიო ხელოვნების საგანძურში შევიდა. *ჰარმენს ვან რეინ რემბრანდტი* (1606-1669) – ფერმწერი, მხატვარი, ოფორტისტი. რემბრანტის ნახატებში ფერწერის დახვეწილ ოსტატობასთან შერწყმულია ღრმა ფსიქოლოგიური ხასიათი. მისი ხელოვნება ნოვატორულია, გამოირჩევა სიცოცხლისუნარიანი გამომხატველობით, დემოკრატიულობით.

ერთ-ერთი შესანიშნავი და განთქმული ქმნილებაა რემბრანტის „*ლამის მზირნი*“ – მსროლელთა რაზმეულის ჯგუფური პორტრეტი, რომლებიც მიდიან ამსტერდამის დასაცავად და ეს მარტო პორტრეტი არ არის, აქ ჩანს ნიდერლანდის რევოლუციის გმირული ეპოქის მებრძოლი სული. დაკვირვებით, ყურადღებით თუ შეხედავთ, ნათლად ჩანს არა განყენებული, ცალკე სტატიკურ პოზაში, როგორც ადრე იყო, არამედ მოძრაობაში მდგომი ხალხი. დიდმა ხელოვანმა შექმნა ჯგუფური პორტრეტის ახალი ტიპი.

რემბრანდტის ნახატები თემატურად მრავალფეროვანია. ესაა რელიგიური („*წმიდა ოჯახი*“), მითოლოგიური („*დანაია*“), ისტორიული („*იულიუს ცივილისუსის შეთქმულება*“) ტილოები. ადამიანთა ფსიქოლოგიური სახეები ახლოსაა მხატვრის შინაგან ბუნებასთან. ბაროკოს სტილში, ყველა წესის დაცვითაა დახატული „*აბრაამის მსხვერპლთშეწირვა*“, თუმცა აქაც ნათლად ჩანს თუ რაოდენ დიდ ყურადღებას აქცევს მხატვარი აბრაამის სულიერ მდგომარეობას. აქ რემბრანდტი ფერმწერიცაა და ფსიქოლოგიც. განსაკუთრებულ სიფაქიზეს, სილრმეს აღწევს რემბრანტი ავტოპორტრეტებში („*ავტოპორტრეტი სასკიასთან*“). მხატვრული თვალსაზრისით სრულყოფილი, ტილოა ყველასათვის ცნობილი „*ძე ცდომილი*“.

რემბრანდტმა – ოფორტისტმა 2000-ზე მეტი უნიკალური ნახატი შეასრულა, რომლებიც მნიშვნელობით არ ჩამოუვარდება მის ფერწერულ ქმნილებებს. მსოფლიო თვალსაზრისით რემბრანდტი სწორუპოვარია ოფორტების შექმნაში.

რემბრანდტის ხელოვნებამ დიდი გავლენა იქონია ფერწერის შემდგომ განვითარებაზე.

XVII საუკუნის დიდი ფილოსოფოსია *ბენედიქტე სპინოზა* (1632-1677), პანთეისტი და მატერიალისტი. ის სამყაროს განიხილავდა, როგორც კანონზომიერ სისტემას, რომელიც შეცნობადია. ბუნება – ერთიანი, მუდმივი, უსასრულო სუბსტანციაა,

თავისსავე თავის მიზეზი. ამ სისტემის თვისებაა აზროვნება და განფენილობა, მისი ერთეული გამოვლინებებია – ცალკეული საგნები და იდეები. სპინოზასათვის ადამიანი ბუნების ნაწილია, მისი სული – აზროვნების მოდუსია, სხეული – განფენილობის მოდუსი. სპინოზას მოძღვრებამ დიდი ზეგავლენა იქონია ათეიზმისა და მატერიალიზმის განვითარებაზე.

თავისუფალი აზროვნების გამო იგი 1656 წელს ჩამოაცილეს რელიგიურ თემს და გადასცეს ანათემაზე, სადაც შეაჩვენეს. მისი შრომების გამოქვეყნება აიკრძალა, მისი მთავარი ნაწარმოები „*ეთიკა*“ მეგობრებმა გამოსცეს სპინოზას სიკვდილის შემდეგ. ჰოლანდიელი მეცნიერი თვლიდა, რომ საჭიროა ძლიერი სახელმწიფოს მმართველი, რომელიც უნდა იყოს ადამიანის მფარველი, იცავდეს მის განუყოფელ, კუთვნილ უფლებებს – კერძო საკუთრებას, სინდისისა და აზრის თავისუფლებას. ეს იდეები სპინოზამ ჩამოაყალიბა „*ხალვათისმეტყველო-პოლიტიკურ ტრაქტატში*“.

ფლამანდიური ფერწერა

XVII ს. – ოქროს საუკუნეა ნიდერლანდელთა ცხოვრებაში: ნაციონალური ხელოვნების სკოლებში არ არსებობდა სასახლის კარის ხელოვნება, ეკლესიაც არ ერეოდა ხელოვანთა შემოქმედებაში. ოდნავ განსხვავებული ნიშნებითა და გზით ვითარდებოდა ფლამანდიური ხელოვნება. ნიდერლანდების ქვეყნის ჰოლანდიად და ფლამანდიად გაყოფის შემდეგ ამ უკანასკნელში ხელოვნების ნაწარმოებების ძირითადი დამკვეთები იყვნენ მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები – თავადები, უმაღლესი ბიურგერები და კათოლიკური ეკლესია. სოციალურმა დაკვეთამ წინასწარ განაზღვრა მხატვრული შემოქმედების დანიშნულება, რაც ძირითადად იყო სასახლის, ცივე-სიმაგრეთა, პატრიციების სახლების, საკულტო შენობების მორთვა-მოკაზმვა. ამიტომ საერო ხელოვნებაში ჭარბობდა ფერწერული ტილოები გამოჩენილი და მდიდარი დამკვეთების პორტრეტებით, ნადირობის სცენები, დიდი ზომის ნატურმორტები.

ფლამანდიის ამ პერიოდის დიდი მხატვრებია – რუბენსი, ვან დეიკი, იორდანსი და სნეიდერსი.

პიტერ პაულ რუბენსი (1577-1640) უნივერსალური ტალანტის მქონე ფერმწერია. მრავალფეროვანია მისი ტილოების სიუჟეტები (რელიგიური, მითოლოგიური, ალეგორიული, პეიზაჟები, გლეხთა ყოფითი ცხოვრების სცენები, პორტრეტები), ყველა შათგანი განმსჭვალულია სიცოცხლის დამკვიდრების საწყისით. მის ნახატებში შერწყმულია რეალისტური დაკვირვებების და სილამაზის გამოხატვის

უნარი, დრამატიზმი. ბაროკოს სტილის სურათებში იგრძნობა აშალებული სული, პათეტიკა, აღელვებული მოძრაობა. ტილოები სავსეა დეკორატიული ბრწყინვალებითა და კოლორიტით. რუბენსის ყველაზე ცნობილი ნახატებია – *„კვერის აღმართვა“*, *„კვერიდან გარდამოხსნა“*, *„პერსევსი და ანდრომედა“*, *„მარია მედიჩის ისტორია“*, *„მომკლულთა დაბრუნება“*, *„ვერსაია“*, პორტრეტები – *„მაახლე ქალი“*, *„ქურჭი“*, ავტოპორტრეტები.

რუბენსმა შექმნა თავისი სამყარო – ღმერთებისა და გმირების შესაბამისი ფ. რაბლეს *„გარგანტუა და პანტაგრიუელის“*. ჰიპერბოლური სახეებისა. მისი ტილოების კოლორიტი აგებულია შიშველი სხეულისა და ნათელი სამოსის ტონების კონტრასტზე.

სახვითი ხელოვნების ისტორიაში შევიდა ჰ. რუბენსის გამოჩენილი მოსწავლე, ბრწყინვალე პორტრეტისტი *ანტონიო ვან დეიკი* (1599-1641). იგი ავტორია არისტოკრატთა, პოლიტიკურ მოღვაწეთა, ეკლესიის მსახურთა, მდიდარ ბიურგერთა, ადგილობრივ ლამაზმანთა, მხატვარ-ამხანაგთა, მეფის ოჯახის წევრთა პორტრეტებისა. მიუხედავად პორტრეტთა სიმრავლისა, თითოეულში ჩანს მოდელის ინდივიდუალური თავისებურება და ბრწყინვალე ოსტატობა. მისი დახვეწილი პერსონაჟები უშუალონი არიან, სისადავეა გარშემო, ყველაფერი მორთულია. ვან დეიკს ეკუთვნის ლირიზმით აღსავსე ტილოები ქრისტიანულ და მითოლოგიურ სიუჟეტებზეც. (*„სუსანა და ბერიკაცები“*, *„წმ. იერონიმია“*, *„მადონა კაკბებით“*).

იაკობ იორდანსი (1593-1678) ფლამანდიელი ცნობილი მხატვარია. მისი დიდმასშტაბიანი ტილოები მითოლოგიური, ალეგორიული, გლეხთა ყოფა-ცხოვრების ამსახველი სცენებია. საყვარელი ჟანრია – ყოფითი სურათები (*„სატირი სტუმრად გლეხთან“*, *„მწყემსების თაყვანისცემა“*, *„ლობიოს მეფე“*), რითაც გამოხატა ნაციონალური კოლორიტი და ნაციონალური ტიპი.

ნატურმორტებით და ნადირობის სცენებით თავი იხსნელა *ფრანს სნეიდერსმა* (1579-1657). მისი ნატურმორტები მონუმენტურია, დეკორატული, ლამაზი. არაჩვეულებრივად ხატავდა ბუნების ნობათს – თევზს, ხორცს, ხილს (სერიიდან *„დაბლები“*), ბეწვეულს, ფრთებს, ცხოველთა მტაცებლობას.

ესპანური კულტურა

ესპანეთის XVII საუკუნის მხატვრობას ისტორიაში უკავია განსაკუთრებული ადგილი: ამ მოკლე ისტორიულ

მონაკვეთში მოღვაწეობდნენ შესანიშნავი მხატვრები – რიბერა, სურბარანი, ველასკესი და კანო.

გამოჩენილი მხატვარი *დიეგო როდრიგო დე სილვა ველასკესი* (1599-1660) თითქმის არ წერდა რელიგიურ თემაზე. 40 წელი იყო ესპანეთის მეფის სასახლის კარის ფერმწერი მადრიდში, სადაც მეფის ოჯახის წევრთა პორტრეტები შექმნა, რომელთაგან მნიშვნელოვანია *„მენინები“* (*„ფრეილიწები“*), ისტორიული სურათია *„ძრედის ჩაბარება“*, სადაც ღირსების გრძნობითაა დახატული არა მარტო გამარჯვებულები, არამედ დამარცხებულებიც, რაც იმ დროისათვის იყო უჩვეულო, ნოვატორული.

ველასკესი – ბრწყინვალე პორტრეტისტია, შეუძლია ლაკონურად, მონუმენტურად, მრავალნაირი ხერხებით გამოხატოს სახეების მრავალმხრივობა. მნიშვნელოვანია *პაპა ინოკენტი X* პორტრეტი, აქ გამოყენებულია ორი ფერი (თეთრი და წითელი). მნახველი ხედავს მიზანმიმართულ, მკაცრი ხასიათის, დაუმორჩილებელი ნების, აქტიური ტემპერამენტის, ნებისმიერი წინააღმდეგობის გადამლახავ, თავისთავში დარწმუნებულ კაცს. ეს ნახატი შესულია მსოფლიო ხელოვნების საგანძურში როგორც კოლორიტული ოსტატობის ნიმუში.

ერთ-ერთი ყველაზე განთქმული სურათია ველასკესის – შიშველი ქალის ნატურა – *„ვენერა პარკით“*. რეალისტური ყოფითი სცენებია აღბეჭდილი მის ნახატებში: *„საუზმე“*, *„წყლის მზიდავი“*, *„მრთველები“*. მისი ფუნჯი პეიზაჟსაც შეეხო, მისი ნათელი ფერები სინათლითა და ჰაეროვნებით XIX საუკუნის ფერწერასაც აჭარბებენ.

ბუსკეტ რიბერას (1591-1652) ყველაზე უფრო ცნობილი ნახატებია *„კოჭლი“*, *მომხიბლავი სილამაზის „წმ. ირენა“*, *„წმ. სებასტიანი“*, რომლებიც დატვირთულია ბიბლიური და სახარებისეული სახეებით, აღვსილნი ღირსებითა და მამაცობით, ხალხთა ყოფითი, ცხოვრების ამსახველი სცენებით. მისი ხელოვნება დემოკრატიულია, გამსჭვალულია ხალხის ცხოვრების ცოდნით.

ფრანცისკო სურბარანის (1598-1664) ნახატების თემა ძირითადად რელიგიურია. დახატულია ძლიერი, უბრალო სტილით და ხშირად ფოკუსირებულია მუხლმოდრეკილ ფიგურაზე. რბილი ფერთა გამა შეხამებულია მკაცრ, დიდებულ და უბრალო კომპოზიციასთან *(„წმ. ლავრენტი“)*. სურბარანს აქვს ნატურმორტებიც.

ბართოლომეო ესტებან მურილიო (1618-1682) მხატვარი, სევილიაში ფერწერის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მის ნახატებს სენტიმენტალური ხაზი შეჰყვება, როგორც წესი ხატავდა ღვთისმშობელს *(„მადონა ყრმითურთ“*,

გერმანიის ხელოვნება

XVI სკ. გერმანიის გლეხთა ომმა დიდი გავლენა იქონია ეკონომიკურ განვითარებასა და კულტურაზე. XVII საუკუნეში გერმანიის ხელოვნება განიცდიდა ომით გამოწვეულ მძიმე შედეგებს.

XVI-XVII საუკუნეების ზღვარზე გერმანიის არქიტექტურა ვითარდება ბაროკოს სტილში, მხოლოდ, იყენებს რთულ, მდიდრულ ფორმებს. ასეთია ქ. კიოლნის რატუშის პორტალი[1], გეიდელბერგის ციხე-სიმაგრის ნაგებობები. არქიტექტორ *ე. გოლას* (1573-1646) მიერ განსაკუთრებულად დიდი ოსტატობითაა შესრულებული აუგსბურგის რატუშა.

მუსიკის დარგში კომპოზიტორ ბახის პერიოდამდე დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ვოკალურ-ინსტრუმენტული ჟანრის დამუშავება (ორატორიის, სასულიერო ხასიათის კონცერტები) *ჰ. შუტცის* (1585-1672) მიერ, პირველი გერმანული ოპერის „დაფნა“, ოპერა-ბალეტის *„ორფეოსი და ევრიდიკა“* შექმნა. კომპოზიტორმა ასევე შექმნა მადრიგალების, მოტეტებისა და საგუნდო კონცერტების შესანიშნავი ნიმუშები.

1678 წელს ქ. ჰამბურგში გაიხსნა პირველი მუდმივმოქმედი საოპერო თეატრი. გერმანულ მუსიკაში, საზოგადოდ, ბატონობდა „ენებათა“ სასულიერო კონცერტის ჟანრი, საორღანო მუსიკა. ვითარდებოდა საკლავესინო მუსიკა, მისი წამყვანი ჟანრი — *სუიტა*.

მ. ოპიცის (1597-1639) ლიტერატურულ შემოქმედებაში ჩნდება კლასიციზმის ჩანასახები. თავის ქმნილებაში *„წიგნი გერმანული პოეზიის შესახებ“* იგი რჩება უცხო ქვეყნის კულტურის ტრადიციათა მიმბაძველი, მაგრამ შეზღუდულ ფორმებში აყალიბებს გერმანული ალორძინების ისტორიას, რომელიც შეწყდა ოცდაათწლიანი ომის გამო. პოეტისა და დრამატურგის *ა. გრიფიუსის* (1616-1664) შემოქმედების ძირითადი მოტივია — სიცოცხლის არსის ძიების პრობლემა. მიუხედავად პესიმიზმისა და მისტიკისა, მის ნაწარმოებებში აისახა ომის საწინააღმდეგო და ჰუმანური მოტივები.

გალანტური, ე.წ. პრეციოზული პოეზიის[2] წინააღმდეგ გამოდიან ბიურგერელი რეალისტი მწერლები: *მ. მოშეროტი* (1601-1669) და *გ. გრიმელჰაუზენი* (დაახლ. 1621-1667). რომანში *„მიტქვალდული ფილანდერას მოჩვენებანი“* მოშეროტმა ასახა ქვეყნის ცხოვრება ოცდაათწლიანი ომის პერიოდში. გრიმელჰაუზენმა რომანში *„სიმპლიცისიმუსის თავგადასავალი“* გადმოსცა უსახლკარობით დაჩაგრული ხალხისადმი თანაგრძნობა და პროტესტი გერმანიის პოლიტიკური დანაწევრების წინააღმდეგ.

საფრანგეთის კულტურა

საფრანგეთის ლიტერატურაში *კლასიციზმში* ოფიციალურ მიმდინარეობად იქნა აღიარებული იმ მომენტიდან, როდესაც 1635 წ. საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში დაარსდა *ლიტერატურის აკადემია*.

ლიტერატურაში კლასიციზმის ფუძემდებელია *პიერ კორნელი* (1606-1684), ავტორი ტრაგედიებისა *„სიდი“*, *„ჰორაციუსი“*, *„ცინა“*, *„პოლიევქტოსი“*, *„ოიდიპოსი“* და სხვა, რომელიც ადიდებს ნებისყოფას, რასაც მართავს გონიერება. კორნელი ითვლება ფრანგული თეატრის დამფუძნებლად. მის პიესებში ძირითადია — ვნებებისა და მოვალეობის ტრაგიკული კონფლიქტები, მათში მოქმედებს გმირული ხასიათები, უდიდესი პოეტი ამხელს დესპოტიზმს.

ფრანგული პროზის ნიმუშად იქცა *ფრანსუა დე ლაროშფუკოს* (1613-1680) და *მარი მადლენ დე ლაფაიეტის* (1634-1693) ნაწარმოებები. აფორიზმებისა და სენტენციების კრებულში *„მსჯელობანი, ანუ მორალური გამონათქვამები“* შედის პატარა, ენამახვილური და ცინიკური დაკვირვებანი ადამიანებზე და ცხოვრებაზე, სადაც ლაროშფუკო აკრიტიკებს თავის თანამედროვე არისტოკრატთა საზოგადოებას. მარი ლაფაიეტი ავტორია საფრანგეთში პირველი ფსიქოლოგიური ხასიათის რომანისა *„კლევლი დედოფალი“*, რომელიც მკითხველთა შორის დიდი წარმატებით სარგებლობდა.

კლასიციზმის თეორეტიკოსად გამოვიდა *ნიკოლა ბუალო* (1636-1711) ტრაქტატით *„პოეტური ხელოვნება“*, სადაც ჩამოყალიბებული იყო კლასიციზმის წესები და ნორმები. ტრაქტატი დაწერილია პოემის ფორმაში. ბუალო ავტორია ენამახვილური *„სატირის“*, სადაც დასცინის რელიგიას, სახელმწიფო მოღვაწეებს. მის პოეტურ ნიჭიერებას დიდად აფასებდა ა.ს. პუშკინი.

ჟან რასინი (1639-1699), დიდი ფრანგი დრამატურგი, ავტორია ტრაგედიების: *„ანდრომაქე“*, *„ბრიტანიკუსი“*, *„ბერენიკე“*, *„მითრიდატე“*, *„იფიგენია“*, *„ფედრა“*, *„ათალია“* და სხვა. რასინმა

[1] პორტალი — დიდი არქიტექტურული ნაგებობის მთავარი შესასვლელი.

[2] პრეციოზული — (ფრანგ. preieux– ძვირფასი, დაბეჭდილი), ბაროკოს არისტოკრატიული განშტოება XVII საუკუნეში ფრანგულ ლიტერატურაში. ენათესაება იტალიურ მარინიზმს, ესპანურ გონგორიზმს, გერმანულ სილეზიურ სკოლას. წარმოიშვა მაღალი წრეების სალონებში.

სიუჟეტები აიღო ბერძნული მითოლოგიიდან და ყველა ნაწარმოები შექმნა ბერძნული კლასიკური დრამის ყველა კანონის დაცვით. მისი პიესები გაწყობილია ლექსად მუსიკალურ და ჰარმონიულ ფორმაში, გარეგნული ზომიერების დაცვით გადმოცემულია მძაფრი დრამატული კონფლიქტები, ადამიანთა სულიერი ტრაგედია, გრძნობების მსხვერპლად შეწირვა საზოგადოებრივი მოვალეობისათვის.

მხოფლიო დრამატურგიის განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია *მოლიერის* (ნამდვილი სახელია ჟან ბატისტა პოკლენი, 1622-1673) შემოქმედებამ. ის არის სასცენო ხელოვნების რეფორმატორი, კომედიოგრაფი, აქტიორი. მისთვის შთაგონების მნიშვნელოვანი წყაროა – *ფარსის დრამატურგია*. კლასიციზმისა და ხალხური თეატრის ტრადიციების შერწყმით მან შექმნა სოციალურ-ყოფითი კომედიის ჟანრი. მის ნაწარმოებებში „*ტარტიუფი, ანუ მატყუარა*“, „*ცაცაზნაურებული მზაძიო*“, „*მიზანთროპი*“, „*უნებური ქორწინება*“, „*ცოლების სკოლა*“, „*სასაცილო პრანჭიები*“, „*ძუნწი*“, „*ვითომდა ავადმყოფი*“, მხილებულია, როგორც ო. ბალზაკი წერდა, ულმერთობა, გესლიანობა, შეუფერებელი ქორწინებანი, სიძუნწე, გამყიდველობა, მოსამართლეთა თავაშვებულობა, ქედმაღლობა, მოხუცებულ კაცთა სამარცხვინო სივგარული, ამპარტავნობა, ხალხის გახრწნილება, არაადამიანურობა, კაცთმოძულეობა.

ჟან ლაფონტენი (1621-1695) მეოგავე, სატირიკოსი პოეტია, მთელი მისი შემოქმედებითი უნარი, გამოსახვის ხერხები, დაფრდნობილია ანტიკურ ნიმუშებსა და ხალხურ ტრადიციებზე (ეზოპეს იგავები), ეგრეთწოდებულ ცხოველთა ეპოსზე, მათი საშუალებით ასახიერებს რეალისტურ, სოციალურ სიმძაფრეს, აბსოლუტურ მონარქიას, არისტოკრატულ საზოგადოებას ადარებს სისხლისმსწოველ და მტაცებელ ცხოველთა სამეფოს; კიცხავს ეკლესიას, სკეპტიკურად უყურებს რელიგიას და მასთან ერთად აფასებს ადამიანურობას („*შეწალე და მყიდველი*“, „*ვლები დუნაიდან*“, „*ვაჭარი, მეუზოვე, მწყემსი და მეფის შვილი*“ და სხვა).

XVII ს. II ნახევარში ფრანგული ლიტერატურის უპირველესი წარმომადგენელია *ანტუან ფიურეტერი* (1620-1688). მისი ძირითადი ნაწარმოები – „*ბურჟუაზიული რომანი*“ რეალიზმის განვითარებაში წინ გადადგმული ნაბიჯია.

ამ პერიოდში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მეზღაპრე *შარლ პერო* (1628-1703). მისი კრებული „*დედილო ბატის ზღაპრები*“ *მოიცავს* ზღაპრებს „*მძინარე მზეთუნახავი*“, „*წითელქუდა*“, „*ჩექმებიანი კატა*“, „*კონკია*“ და სხვა. ზოგიერთ მათგანში მწერალმა

გამოიყენა ევროპის ქვეყნების ხალხური სიუჟეტები („კონკიას“ 700 ვარიანტი არსებობს).

ფერწერაში კლასიციზმის დამფუძნებელია *ნიკოლა პუსენი* (1594-1665), რომელიც სურათებს წერდა მითოლოგიურ და ლიტერატურულ თემებზე. კომპოზიციის მკაცრი გაწონასწორება, ბუნების კულტი და ანტიკურობისადმი თაყვანისცემა – მხატვრის შემოქმედების ძირითადი დამახასიათებელი შტრიხებია. („*ჭერმანიკუსის სიკვდილი*“, „*ტანკრედი და ერმინია*“, „*მძინარე ვენერა*“, „*პეიზაჟი პოლიფემესთან ერთად*“; ციკლი „*წელიწადის დროები*“, „*არკადიელი მწყემსები*“). პუსენი აკეთებდა სანთლის პატარა ფიგურებს თავისი ნახატებისათვის, სხვადასხვა განათებებით, კომპოზიციებით ატარებდა ექსპერიმენტებს.

ლირიკული პეიზაჟის ოსტატია მხატვარი *კლოდ ლორენი* (1600-1682). მისი ნათელი, ღია ფერის ფერწერა, კლასიკურ სტილში შესრულებული, დიდ ზეგავლენას ახდენდა XVII-XVIII საუკუნეების მნახველთა გემოვნებაზე. მისი ნახატების პერსონაჟები (როგორც წესი, მითოლოგიური ან ისტორიული) ხშირად იკარგებოდნენ პეიზაჟის გარემოცვაში („*მოგზაურობა ციხე-სიმაგრეზე*“). განათების მკრთალი ეფექტებით ლორენმა შეძლო დაეხატა ბუნების სხვადასხვა მოვლენათა შეგრძნებები დღის სხვადასხვა მონაკვეთში („*დღე-ღამის დროები*“).

მართალია, არქიტექტურაში ჯერ კიდევ შეინიშნებოდა გოთიკისა და რენესანსის ელემენტები, მაგრამ უკვე ნათელი იყო კლასიციზმის ელემენტების გამოჩენა, მაგალითად, ლუქსემბურგის სასახლის ფასადი (არქიტექტორი *ს. დე ბროსი*); დანაწევრებულია ორდერით, რომელიც მნიშვნელოვანი ხდება ამ სტილისათვის; ლუვრის კოლონადის სამხრეთი ფასადი (არქიტექტორი *პერო*) ხასიათდება ორდერის უბრალოებით, სტატიურობით, გაწონასწორებული მასით, რითაც მიიღწევა სიმშვიდე და დიდებულება.

XVII საუკუნის უმსხვილესი სასახლის არქიტექტორული ნაგებობაა *ვერსალი*. აქ მიღწეულია მთელი გრანდიოზული ანსამბლის სიმწყობრე და თანაზომიერება. სასახლეს აშენებდნენ არქიტექტორები *ლ. ლევო* (1612-1670) და *ჟ. არდუენ-მანსარი* (1646-1708). არდუენ-მანსარი ამავე დროს აგებდა ბრწყინვალე საზეიმო ნაგებობებს: ტრიანონის დიდ სასახლეს, ინვალიდების სახლს, ვანდომის მოედანს, ხოლო ლევო აპროექტებდა ტიუილრის სასახლეს.

ვერსალის და *ტიუილრის* პარკების შემქმნელი, არქიტექტორი, საბაღო-საპარკო ხელოვნების ოსტატი *ანდრე ლენოტრია* (1613-1700).

ვერსალის პარკი არაჩვეულებრივად მიესადაგება სასახლის არქიტექტორულ ფასადს. ფასადის სიმეტრიულობა მიმართულია პარკისაკენ, თითქოს გრძელდება პარტერების სივრცეში (ბაღში, კლუმბებში, ბილიკებში, რომლებიც ქმნიან ნახატს) გამავალ ხეივნებსა და ღია პერსპექტივაში.

XVII საუკუნის საფრანგეთში პირველ ადგილზეა საერო მუსიკა, იგი აჭარბებს სასულიეროს. ვითარდება ოპერა და ბალეტი. პირველი ნაციონალური ოპერებია *„სიყვარულის ტრიუმფი“*, *„პასტორალი“*. ნაციონალური საოპერო სკოლის დამფუძნებელია – კომპოზიტორი, მოცეკვავე *ჟ. ბ. ლიული* (1632-1687), ოპერების *„ალცესტას“*, *„თეზეის“* ავტორი. მანვე შექმნა საოპერო უვერტიურები, მუსიკა მოლიერის სპექტაკლებისათვის.

ამ პერიოდში განვითარდა *საინსტრუმენტო სკოლებიც* – საკლავესინო, სავიოლინო, ბარბითის.

ძირითადი ტერმინები და ცნებები

ბაროკო
ინსტრუმენტალური სკოლა
კლასიციზმი
ლირიკული პეიზაჟი
მარინიზმი
ნატურმორტი
ოპერა
ორტორტი
პატრიციატი
პირველი სამეცნიერო რევოლუცია
პრეციოზული პოეზია
სუბსტანცია
სუიტა

კითხვები გამეორებისათვის

1. რომელი მხატვრული სტილია წამყვანი XVII საუკუნეში; როგორია მისი ძირითადი წესები და ნორმები; რომელ ქვეყანაში ჩაისახა, ვინაა მისი თეორეტიკოსი? დაასახელეთ ამ სტილის ნაწარმოებების სახელწოდებები, მათი ავტორები ხელოვნების სახეობების მიხედვით.
2. გვიამბეთ ესპანეთის კულტურის განვითარების მიღწევებზე XVII საუკუნეში; რაში გამოიხატება მისი თავისებურებანი.

3. დაახასიათეთ ჰოლანდიისა და ფლამანდიის სამხატვრო კულტურისა და მეცნიერების განვითარების თავისებურებანი XVII საუკუნეში, გვიამბეთ დიდი მხატვრების შემოქმედებაზე.
4. რაში მდგომარეობს საფრანგეთის კულტურის განვითარებისა და მიღწევების თავისებურება – XVII საუკუნეში, მხატვრული შემოქმედების რომელ სახეობებში პირველობდა, ვინ არიან ის მხატვრები და მწერლები, რომლებსაც მსოფლიო კულტურის ისტორიაში ყველაზე მაღალი საფეხური უკავიათ?
5. XVII საუკუნის ევროპის კულტურის განვითარებაში რა წვლილი შეიტანეს ინგლისმა და იტალიამ?

პოეტური ხელოვნება

დაემორჩილეთ ენის კანონებს, იყავით მშვიდნი.
წყობა ლექსისა, ჰარმონია ვერ მიმიზიდავს,
თუ კი ყურს ესმის უცნაური და უცხო რამ.
ერიდეთ სიტყვებს უცხო ენისას, როგორც სენს,
ააგეთ ფრაზა სწორედ და ნათლად.
ენა იცოდეთ, ვალდებული ხართ...

ნიკოლა ბუალო

თავი 11

განმანათლებლობის ეპოქის კულტურა

გონიერება – სიცოცხლის მთავარი მამოძრავებელი



დ. დიდრო



ი. კანტი



გ.ე. ლესინგი



ვოლტერი



ა. რადიშჩევი



ი. ნოვიკოვი

განმანათლებლობა – ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში იდეური და საზოგადოებრივი მოძრაობაა, რომელიც დაკავშირებულია ფეოდალურ ურთიერთობათა რღვევასა და კაპიტალისტურ საწარმოო ძალთა დამკვიდრებასთან. პირობითად განმანათლებლობის ეპოქის ჩარჩოები შეიძლება შემოიფარგლოს 1689-1789 წწ. პირველი თარიღი 1688 წ. – ინგლისის „საზეიმო რევოლუციაა“, როგორც მას დასავლეთ ევროპის ისტორიკოსები უწოდებენ და მეორე – 1789 წ. საფრანგეთის რევოლუცია, რომელიც თანამედროვე ხალხმა მიიღო, როგორც განმანათლებლობის იდეების – თავისუფლების, თანასწორობის, ძმობის განსახიერება.

განმანათლებლობამ წარუშლელი კვალი დატოვა მეცნიერებაში, ლიტერატურაში, ხელოვნებაში, პოლიტიკაში (განათლებული აბსოლუტიზმი), ძირითადად კი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცნობიერების ისტორიასა და საზოგადოებრივ მოძრაობაში.

განმანათლებლობის შემოქმედი ძალები იბრძოდნენ *„გონიერი სამეფოს“* დამკვიდრებისათვის, რომელსაც, უპირველესად, მეცნიერების განვითარება უზრუნველყოფდა. მისი საფუძველი უნდა ყოფილიყო „ბუნებრივი თანასწორობა“, აქედან გამომდინარე კი, პოლიტიკური თავისუფლება და სამოქალაქო თანასწორობა.

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, მოაზროვნეთა დიდი ნაწილი განმანათლებლობას აფასებს მოწინავე ნოვატორულ მოვლენად. *ემანუილ კანტს* განმანათლებლობა მიაჩნდა ცდად, გამოეყენებინათ გონება პიროვნების მორალური და ინტელექტუალური ინტერესებისგან გასათავისუფლებლად. *ფრიდრიხ ენგელსი* მასში ხედავს ბურჟუაზიული რევოლუციისათვის მზადების იდეოლოგიას.

განმანათლებლები იყვნენ მატერიალისტები და იდეალისტები, რაციონალიზმის (გონება ადამიანთა აღქმისა და საქციელის ძირითადი საფუძველია), სენსუალიზმის (შეგრძნების აღიარება) მომხრეები და თვით ღვთისმოსავები (ღმერთსმინდობილები). ერთ ნაწილს სჯეროდა კაცობრიობის პროგრესის (წინსვლა), მეორე კი ისტორიას განიხილავდა, როგორც საზოგადოების რეგრესისაკენ სვლას.

განმანათლებლობა როგორც საზოგადოებრივი აზრის მიმდინარეობა

როგორც საზოგადოებრივი აზრის მიმდინარეობა, განმანათლებლობა წარმოადგენდა ერთგვარ ერთობლიობას, რაც მდგომარეობდა განსაკუთრებულ გონებაგანწყობილებაში და ინტელექტუალურ მიდრეკილებებში. განმანათლებლობის მიზანი და იდეალია თავისუფლება, კეთილდღეობა და ადამიანთა ბედნიერება,

მშვიდობა, რელიგიური შემწყნარებლობა, ძალადობის გარეშე ურთიერთობა და სხვა, აგრეთვე თავისუფალი აზროვნება, კრიტიკული დამოკიდებულება ნებისმიერ ავტორიტეტებთან, არასასურველ დოგმებთან. მეცნიერული ცოდნა, ადრე თუ მხოლოდ მეცნიერთა გარკვეულ ვიწრო წრისათვის იყო ხელმისაწვდომი, ახლა უკვე ხდება მსჯელობის საგანი, სცილდება ლაბორატორიებისა და უნივერსიტეტის კედლებს, ლონდონისა და პარიზის მაღალი წრის სალონებშიც აღწევს. იგი ხდება არა მხოლოდ მეცნიერების, არამედ ლიტერატორების განხილვის საგანი, რომლებიც პოპულარულად აყალიბებენ მეცნიერებისა და ფილოსოფიის უახლეს მიღწევებს.

განმანათლებლობის ეპოქის პათოსია – ადამიანის გონების უსაზღვრო შესაძლებლობანი, მეცნიერების პროგრესი, რომელიც ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის წინაპირობაა.

განმანათლებლები ირწმუნებოდნენ, რომ განათლება მონარქებს შეუცვლიდა აზრს და მოსპობდა უსამართლობას და უუფლებობას.

განმანათლებლები სხვადასხვა კლასებისა და ფენების წარმომადგენლები იყვნენ, როგორიცაა: არისტოკრატია, თავადობა, სასულიერო, მოსამსახურეთა, ვაჭარ-მრეწველთა წრე; მათ ცხოვრების სხვადასხვა პირობები ჰქონდათ. ყველა ქვეყანაში განმანათლებელთა მოძრაობა ნაციონალურ ანაბეჭდს ატარებდა.

განმანათლებლობა ინგლისსა და შორტლანდიაში

XVII-XVIII საუკუნეების ინგლისის რევოლუციის და სამოქალაქო ომის, მკვეთრი დაპირისპირების შემდეგ საზოგადოება დაშოშმინდა. პარლამენტარიზმის განვითარებამ ხელი შეუწყო პოლიტიკური ბრძოლის უფლებრივ ფორმებს. ინგლისის ეკლესია არ ეწინააღმდეგებოდა განმანათლებლობას და იწონდა რელიგიურ შემწყნარებლობას. ეს ხელს უწყობდა ქვეყნის კულტურულ განვითარებას, რამდენადაც იძლეოდა წონასწორობის შენარჩუნების საშუალებას ეკლესიის მიერ დაცულ ძველ ტრადიციულ ღირებულებებსა და იმ ნოვატორული იდეებს შორის, რომელიც მოჰქონდა განმანათლებლობას.

ინგლისის განმანათლებლობის პოლიტიკური პროგრამის ძირითადი ხაზი ჩამოაყალიბა ფილოსოფოსმა *ჯონ ლოკმა* (1632-1704). მისი ძირითადი თხზულება – „*აზრი ადამიანის შეგნების შესახებ*“, შეიცავდა პოზიტიურ პროგრამას, რომელიც მიიღეს არა მარტო ინგლისელმა, არამედ ფრანგმა განმანათლებლებმაც. ლოკი გამოყოფდა სამ ძირითად განუყოფელ ადამიანურ უფლებას:

სიცოცხლეს, თავისუფლებას და კერძო საკუთრებას. ის ქონებრივ კერძო საკუთრებას მკვეთრად უკავშირებდა ადამიანის შრომის მაღალ შეფასებას. ლოკის თვალსაზრისი ახლოს დგას ღირებულების შრომითი თეორიის ადამ სმიტისეულ თვალსაზრისთან. ლოკი, ისევე როგორც კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტეკონომიის წარმომადგენლები, დარწმუნებულია, რომ თითოეული ადამიანის საკუთრება არის გაწეული შრომის რეზულტატი. ინდივიდების სამართლებრივი თანასწორობა არის გარდაუვალი შედეგი სამი განუყოფელი უფლების მოპოვებისა. ისე როგორც განმანათლებელთა უმრავლესობის, ლოკის იდეების ამოსავალია იზოლირებული ინდივიდების ხელშეუვალი უფლებები და მათი კერძო ინტერესები; სამართლებლებრივმა წესრიგმა უნდა უზრუნველყოს ყველასთვის სარგებლობის მიღების შესაძლებლობა, მხოლოდ ისე, რომ დაცული იყოს ყველა დანარჩენის თავისუფლება და ინტერესი.

განმანათლებლობამ ინგლისელებს განუმტკიცა ხასიათში ისეთი თვისებები, როგორიცაა გამომგონებლობა, პრაქტიკულობა, თაოსნობის გრძნობა.

შოტლანდიელთა განმანათლებლობაზე დიდი ზეგავლენა იქონია ედინბურგის ფილოსოფიურმა საზოგადოებამ, რომელმაც იმ დროის საუკეთესო მოაზროვნენი გააერთიანა, კერძოდ, *დეივიდ იუმი* (1711-1776) და *ადამ სმიტი* (1723-1790). სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა გამოჩენილმა თეორეტიკოსმა ადამ სმიტმა თავის თეორიაში დიდი ადგილი დაუთმო ბაზარს. იგი თვლიდა, რომ სწორედ ბაზარმა გაათავისუფლა ადამიანი ფეოდალიზმის დამაჩლუნგებელი სისტემისაგან. ადამ სმიტი ყველანაირად იცავდა და პროპაგანდას უწევდა ამ თეორიას მორალურ-ეთიკური მოსაზრებების გამოც.

განმანათლებლობა საფრანგეთსა და გერმანიაში

ფრანგული განმანათლებლობის გამოჩენილი წარმომადგენლები არიან *ვოლტერი* (1694-1778), *ჟან-ჟაკ რუსო* (1712-1778), *დენი დიდრო* (1713-1784), *შარლ მონტესკიე* (1689-1755), *პოლ ანრი გოლბახი* (1723-1789), *ჟორჟ ლუი დე ბიუფონი* (1697-1788) და სხვა.

ფრანგულ განმანათლებლობას სხვა გზა და ბედი ჰქონდა. ეს იყო ერთგვარად „განცალკევება“, რამაც გამოიწვია პოლიტიკური რადიკალიზმი და მესიანურად განწყობა – არსებული წყობილების მიმართ ოპოზიციური დამოკიდებულება. ხანდახან მათი პროტესტი ათეისტურ ფორმას იღებდა, ხან გამოვლინდებოდა წარსულის. მაგა-

ლითად, ანტიკური სახელმწიფოთა რესპუბლიკური წყობის გაიდეალებაში.

რუსოს სახელთანაა დაკავშირებული საფრანგეთში განმანათლებლობის განვითარების მთელი ეტაპი — მისი ზოგიერთი ფუნდამენტური იდეის და მიზნების რადიკალური გადასინჯვა. რუსოს რადიკალიზმი ეფუძნებოდა მის ეთიკურ შეხედულებებს. ფილოსოფოსთა საწინააღმდეგოდ, რომლებიც შესაძლებლად მიიჩნევდნენ თავმოყვარეობისა და ეგოიზმის საზოგადოებრივ სიკეთესთან შეთავსებას, ის მოითხოვდა საზოგადოების სიკეთისათვის პიროვნების დამორჩილებას.

ფრანგი განმანათლებლები ისტორიაში შევიდნენ, როგორც *ენციკლოპედისტები*, ფრანგული *ენციკლოპედიის, ანუ მეცნიერების, ხელოვნებისა და ხელოსნობის განმარტებითი ლექსიკონის* შემქმნელები, რომელმაც დაიწყო ახალი ეპოქა, შესაძლებელი გახადა ბუნებისა და საზოგადოების შეცნობა და განმარტება. ენციკლოპედიის ერთ-ერთი ორგანიზატორი და რედაქტორი დენი დიდრო იყო მოწინააღმდეგე აბსოლუტიზმის, ეკლესიის, კლერიკალური მსოფლმხედველობისა. ერთ-ერთმა ენციკლოპედისტმა, ბუნებისმეტყველების მკვლევარმა ბიუფონმა, *საბუნებისმეტყველო ისტორიის* ჩრაველტომეულის ავტორმა, წამოაყენა დებულება მცენარეთა და ცხოველთა თანაარსებობის შესახებ.

განმანათლებლობის ეპოქას საფრანგეთში ხშირად ვოლტერის ეპოქას უწოდებენ, აბსოლუტიზმის კრიტიკამ, გონების ქება-დიდებამ, რელიგიური შეწყნარებლობისა და ადამიანთა უფლებებისათვის ბრძოლამ ის სამეფო კარისათვის საძულველ პიროვნებად აქცია. თავის ისტორიულ შრომებში მან პირველმა წარმოაჩინა ისტორია არა როგორც სახელმწიფოსა და მის მმართველთა ბედ-იღბლის აღწერა, არამედ როგორც თვით ხალხთა, მათი ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის, პოლიტიკის განვითარების ანალიტიკა.

მონტესკიეს ტრაქტატში „კანონთა სულის შესახებ“ ვგებულობთ, რომ ნებისმიერი ფორმის სახელმწიფოს მიზანი უნდა იყოს თავისუფლების დაცვა კანონის საფუძველზე, სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთა ინტერესების ბალანსი, რაც ხელს უწყობს ქვეყნის სტაბილურობას. აუცილებელია სახელმწიფოში ძალაუფლების დაყოფის პრინციპი — ესაა ტრაქტატის ძირითადი დებულებები.

გერმანული განმანათლებლობის დიდი წარმომადგენელია *ემანუელ კანტი* (1724-1804). კანტის ცნობილი კითხვები: „რა შემიძლია ვიცოდე?“, „რა უნდა ვაკეთო?“, „რისი იმედი შეიძლება მჰონდეს?“ — მომზადებული იყო ადრინდელი ფილოსოფიის მიერ.

მოდურ მწერალს დიდება მოუტანა ნაშრომმა *„დაკვირვებანი მშვენიერის და ამაღლებულის გრძნობებზე“*. მშვენიერი და ამაღლებული მისთვის ღირებია, რომელზედაც ის ატარებს თავის დაკვირვებებს ადამიანზე თვით ადამიანში. კანტის მიხედვით თეორიული ფილოსოფიის საგანი უნდა იყოს ბუნების, სამყაროს, ადამიანის არა როგორც ნივთების შესწავლა, არამედ შემოქმედების კვლევა, ადამიანის გონებრივი შესაძლებლობების და მისი საზღვრების კანონთა დადგენა.

ტრაქტატში *„პასუხი კითხვებზე: რა არის განმანათლებლობა?“* კანტი ძირითად იდეათა დასკვნას აკეთებს. განმანათლებლობა მიისწრაფის ხალხთა განთავისუფლებისაკენ უღლისაგან და მოუწოდებს მათ, რომ გადაწყვეტილების მისაღებად საზომ ერთეულად მიიღონ და ენდონ საკუთარ გონებას. „იყავი გაბედული... და გამოიყენე საკუთარი გონება. ესაა განმანათლებლობის დევიზი“.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კანტის წვლილი სამართლებრივი სახელმწიფოს თეორიის დამუშავებაში. მან დააფუძნა სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი წყობის სამართლებრივი ფორმები და ბრძოლის მეთოდები, რომელიც უწვენებს თანდათანობითი რეფორმების სავარაუდო გზას და გამორიცხავს უხეშ ძალადობას. შემთხვევითი არ არის, რომ XVIII ს.-ის გერმანიას „კანტის საუკუნეს“ უწოდებენ.

განმანათლებლობა რუსეთში

რუსულმა განმანათლებლობამ მემკვიდრეობით მიიღო ევროპული განმანათლებლობის პრობლემატიკა, გააზრებულად განავითარა თავისებურად, იმ უნიკალური ისტორიული სიტუაციის გათვალისწინებით, რომელიც იმდროინდელი რუსეთის საზოგადოებაში სუფევდა.

განმანათლებელთა აზრით, ადამიანის დიდებულებაა მისი არსებითი განსხვავება სხვა არსებებისაგან, რაც ბუნებისაგანაა ბოძებული და გონებაში გამოიხატება. გონებით დაჯილდოებულ ადამიანს შესწევს ძალა შემოქმედებითად იმუშაოს, ამით უზრუნველყოს კაცობრიობის პროგრესი. ეს ალტაცება, გამოწვეული ბუნების მიერ შექმნილი სრულყოფილებით, რასაც ჰქვია ადამიანი. დამახასიათებელია განმანათლებლობისათვის. ეს ნათლად ჩანს პოეტის, განმანათლებლის, ა.ნ. რადიშჩევის მიმდევრის *ი.პ. პნინის* (1773-1805) ოდაში *„ადამიანი“*. იგი თავისებური ჰიმნია მისი უდიდებულესობისა იმ ქმედობებზე, რომლის შესრულებისას ადამიანი თავის თავში გადალახავს მონას.

განმანათლებლები ქმნიან განსაკუთრებულ *ზნეობრივ ფილოსოფიას*, რომლის საშუალებითაც ისინი არკვევენ ეთიკის ძირითად პრინციპებს, ანუ ადამიანთა ქცევას საზოგადოებაში. ზნეობრივი ფილოსოფიის მთავარი დებულება ჩამოყალიბებულია *ა.პ. კუნიცინის* (1783-1840) შრომაში „*არსობრივი სამართალი*“. ამ თხზულებაში ზნეობა განხილულია, როგორც ადამიანის ბუნების ბუნებრივი გამოვლენა. რუსი განმანათლებლები დაფიქრდნენ, თუ რატომ ხდება ისე, რომ თავისუფლად მოაზროვნეობა, როგორც ადამიანისათვის სიღრმისეული მოთხოვნა, ასე ძნელად სრულდება რეალურ პირობებში. თავისუფლების სიყვარული რუსი განმანათლებლების მიერ განიხილება, როგორც აბსოლუტური ღირებულება. თავისუფლების გარეშე ადამიანს არსებობა არ შეუძლია. ყველა მისი საქციელი ნაკარნახევია თავისუფლების მისწრაფებით.

რუს განმანათლებელთა შრომებში დიდი ადგილი ეთმობოდა საზოგადოების გარდაქმნას. თავისუფალი საზოგადოების მიზანი, განმანათლებელთა აზრით, მოქალაქეთა კეთილდღეობაა. „სახელმწიფო მხოლოდ მაშინ არის ბედნიერი, რიდესაც სარგებლობს თანამემამულეთა სიყვარულით“, — წერდა *ა.ფ. ბესტუჟევი* (1761-1810), ძმები დეკაბრისტების, ბესტუჟევების მამა. თავისუფალ და ბედნიერ საზოგადოებაში ცხოვრებით ადამიანი უნდა იყოს ღირსეული მოქალაქე. ამიტომ განმანათლებლების დიდი პრობლემა იყო პიროვნების ღირსეულად, ზნეობრივად აღზრდა. ამ თემას მიეძღვნა ა.ფ. ბესტუჟევის ტრაქტატი „*აღზრდის შესახებ*“, რომელიც გამოქვეყნდა „სანკტ-პეტერბურგის ჟურნალში“, რომელსაც იგი ი.პ. პნინისთან ერთად გამოსცემდა.

რუს განმანათლებელთა ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური აზრი გამოირჩეოდა მნიშვნელოვანი მრავალფეროვნებით, სიღრმითა და თვითმყოფადობით. იგი ფართო სპექტრით მოიცავდა პოლიტიკურ, მსოფლმხედველურ და ზნეობრივ პრობლემებს და რუსეთის სინამდვილის ისეთ მწვავე პრობლემას, როგორიც იყო გლეხთა მდგომარეობა.

განმანათლებლობის განვითარებას რუსეთში სათავე დაუდო *მ.ვ. ლომონოსოვმა*, რომლის ძალისხმევითაც მოსკოვში გაიხსნა უნივერსიტეტი.

განმანათლებელთა იდეებმა ფართო განვითარება ჰპოვა რუსულ ლიტერატურაში — *დ.ი. ფონვიზინის, გ.რ. დერჟავინის, ვ.კ. ტრედიაკოვსკის* ნაწარმოებებში. რუსულ ფერწერაში — *ფ.ს. როკოტოვის, დ.გ. ლევიცკის* (იხ. თ. 12) ტილოებში.

რუსეთში რევოლუციური განწყობის წინასწარმეტყველი იყო *ა.ნ. რადიშჩევი* (1749-1802), მან თავის ნაწარმოებებში (ოდა „*თავისუფლებას*“, „*მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვში*“) მოიცვა რუს განმანათლებელთა იდეების ფართო წრე, უპირველესად, მკაცრად აშხილა თვითმპყრობელობა და ბატონყმობა.

რუსული განმანათლებლობის უდიდესი წარმომადგენელია პუბლიცისტი, სატირულ ჟურნალთა გამომცემელი, ტიპოგრაფიის ორგანიზატორი, ბიბლიოთეკების დამაარსებელი, წიგნების მაღაზიათა მფლობელი (16 ქალაქში) *ნ. ი. ნოვიკოვი* (1744-1818). მის მიერ გამოშვებული წიგნები მოიცავდა ცოდნის ყველა სფეროს.

თვითმპყრობელობა მკაცრად უსწორდებოდა განმანათლებლებს. რადიშჩევის წიგნი „*მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვში*“ აკრძალა, მოახდინეს მისი კონფისკაცია (მხოლოდ 1905 წ. გამოიცა ხელახლა), ავტორი გადაასახლეს. შლისელბურგის ციხეში იყო დაპატიმრებული ნოვიკოვიც.

განმანათლებელთა აზრთა სხვადასხვაობა, გაერთიანებული საერთო მიზნებითა და იდეალებით, განსაკუთრებულ ნაყოფიერ წინაპირობად წარმოიჩნდა მათ შემოქმედებით მოღვაწეობაში. ურთიერთშორის დაუსრულებელ კამათში იბადებოდა ადამიანისა და მოქალაქის უფლებების მთელი რიგი თანამედროვე კონცეფციები, რაც მოიცავდა მოქალაქეთა საზოგადოებასა და პაერალისტურ დემოკრატიას, სამართლებრივ სახელმწიფოსა და ხელისუფლების დაყოფას, საბაზრო ეკონომიკასა და ინდივიდუალიზმის ეთიკას. მრავალი ქვეყნის ხალხს ძვირად დაუჯდა მემკვიდრეობით მიღებული ამ მცდელობის არაფრად მიჩნევა.

XVIII საუკუნემ მოამზადა ნიადაგი *ბურჟუაზიული კულტურის* ბატონობისათვის. ძველი, ფეოდალური იდეოლოგიის დრო წავიდა, დადგა ახალ ფილოსოფოსთა, სოციოლოგთა, ეკონომისტთა, ახალი საუკუნის ლიტერატორთა, ანუ განმანათლებელთა დრო. ასწლეულის ესთეტიკურმა ნოვატორობამ თავი აჩინა არა იმდენად ტრადიციული ფორმების მსხვრევის ან რეკონსტრუქციის სურვილით, რამდენადაც ტრადიციების გვერდის ავლით სხვაგვარი ფორმების შექმნით, მათგან რამდენადმე დამოუკიდებლად.

განმანათლებლობის მხატვრული სტილი

XVIII საუკუნის ევროპულმა ხელოვნებამ შეიერთა *კლასიციზმი* და *რომანტიზმი*. რომანტიზმი აღმოცენდა განმანათლებლობის იდეებით გამსჭვალულ ატმოსფეროში, როდესაც მოხდა როვოლუციები, იყო მოჭარბებული ემოციები,

გაიზარდა ხელოვანის სულიერება, შემოქმედებითი წარმოსახვა ხალხზე დიდ ზეგავლენას ახდენდა. იყენებდა რა კლასიციზმის ძველ სტილისტურ ფორმებს, განმანათლებლობის ხანის ხელოვნება მათი დახმარებით სრულიად ახლებური და შინაარსობრივადაც სრულიად სხვანაირი გახდა. სხვადასხვა ქვეყნებისა და ხალხთა ხელოვნებაში კლასიციზმმა და რომანტიზმმა შექმნა ის გარკვეული სინთეზი, რაც არსებითად სხვადასხვა კომბინაციებისა და შერევის გზით მიიღება.

XVIII საუკუნის ხელოვნებაში წარმოიშვა ახალი მნიშვნელოვანი მიმდინარეობები, რომელთაც არ გააჩნდა საკუთარი სტილისტური ფორმები და არც მცდელობა მათ გამოსამუშავებლად. ასეთი დიდი კულტუროლოგიური მიმდინარეობა პირველ რიგში იყო *სენტიმენტალიზმი* (ფრანგ. sentiment – გრძნობა), რომელმაც მთელი სისრულით ასახა ადამიანის დასაბამისეული სისუფთავე და სიკეთე, რაც დაიკარგა მას შემდეგ, რაც საზოგადოება დაშორდა ბუნებას. დღიურებში, რომანებში, წერილებში, ლექსებში სენტიმენტალისტი მწერლები დიდი სიფრთხილით აანალიზებდნენ საკუთარ განწყობას და გრძნობას.

XVIII საუკუნის ევროპულ ხელოვნებაში იყო კიდევ ერთი მიმდინარეობა – *როკოკო*, რომლისთვისაც დამახასიათებელია დახვეწილობა, სიფაქიზე, სიმსუბუქე, სიკოხტავე და ფინიანი ორნამენტური რიტმი. როკოკოს მთელი ხელოვნება აგებულია ასიმეტრიულ წყობაზე, რაც ქმნის მოუსვენარ, მოძრავ, დამცინავ, მიგრეხილ-მოგრეხილ ფორმას და იწვევს გამაღიზიანებელ გრძნობას. „როკოკოს" ტერმინის წარმოქმნა შემთხვევითი არაა, უახლოვდება ფრანგულ სიტყვას „როკაილ" (სიტყვასიტყვით ბრილიანტი და ნიჟარებით გალამაზებული), რაც აღნიშნავდა ინტერიერის გაფორმების სტილს, ეყრდნობოდა S – მსგავს მიხვეულ-მოხვეულ სპირალისებურ ფორმას. როკოკო XVIII საუკუნის საფრანგეთის ხელოვნებაში გახდა მთავარი მიმართულება, შემდეგ მიიღო ფართო გაქანება ევროპაში, განსაკუთრებით სამხრეთ გერმანიისა და ავსტრიის ეკლესიებსა და სასახლეებში.

XVIII საუკუნის ევროპული ხელოვნების განვითარება მიმდინარეობდა არათანაბრად და რთულად. იტალიაში უმაღლეს მწვერვალს მიაღწია ვენეციურმა სკოლამ. საფრანგეთში შეიმჩნეოდა ევოლუცია როკოკოდან პროგრამირებულ-მოქალაქეობრივი მიმართულებისაკენ ხელოვნებაში და განსაკუთრებით, ინგლისის ლიტერატურაში უკვე იკვეთებოდა *რეალიზმისათვის* დამახასიათებელი ნიშნები.

ახალგაზრდა *გოიამ* (1746-1828) ესპანეთში, მთელი თავისი შემოქმედებით მოამზადა ნიადაგი *რომანტიზმისათვის*.

XVIII საუკუნის უდიდესი მნიშვნელობის მემკვიდრეობას წარმოადგენს მასში *ესთეტიკისა* და *ხელოვნებათმცოდნეობის*, როგორც ნამდვილი საშეცნიერო დისციპლინების, საფუძვლების ჩადება, რომლის განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული ფილოსოფიის წარმატებებთან.

ლიტერატურა

განმანათლებლობის ეპოქის ძირითადი ლიტერატურული ჟანრია – *რომანი*. რომანის წარმატებას, რაც განსაკუთრებით გამოვლინდა ინგლისში, ნიადაგი მოუმზადა საგანმანათლებლო პუბლიცისტიკის წარმატებამ. მწერალი – განმანათლებლები ბრწყინვალედ გრძნობდნენ, რამდენად არასრულყოფილია თანამედროვე საზოგადოება და ბიწიერია ადამიანი, მაგრამ მაინც იმედოვნებდნენ, რომ რობინზონ კრუზოსავით, *დანიელ დეფოს* (დაახლ. 1660-1731) რომანიდან, კაცობრიობა გონებასა და შრომისმოყვარეობაზე დაყრდნობით აუცილებლად ავა ცივილიზაციის მწვერვალებზე, სადაც მას ელის ბედნიერება.

შეიძლება ეს იმედი ილუზიაა, რასაც არაორაზროვნად ამტკიცებს *ჯონათან სვიფტი* (1667-1754) წიგნში „*გულივერის მოგზაურობა*", როცა თავის გმირს აგზავნის გონიერ ცხენთა კუნძულზე. როგორ უკანდაუბრუნებლად წავიდა ადამიანი შორს ამ პატრიარქალურ-სამართლიანი ცხოვრებიდან და მეოცნებე გონებრივ იდეალზე, არ გვაგონებს ბოროტ იეხუს, რომლისთვისაც უმაღლესი ბედნიერებაა ხარბად გადაარჩიოს ძვირფასი ქვები? სევდა და სიცილია მისი შემოქმედების ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები.

განმანათლებლები თავიანთ წიგნებში ფართოდ ავითარებდნენ დადებით პროგრამას, მაგრამ არც ის გამორჩენიათ, თუ როგორ ცხოვრობს ადამიანი, ატყუებს და იტყუებს თავს.

ზნეობრივი იდეალი უცვლელად მეზობლობს სატირასთან. რომანებში (მაგალითად, *„ტომ ჯონსის, ნაპოვარას ისტორია"* *ინგლისელი მწერლის ჰ. ფილდინგის* ნაწარმოებია) ხშირად მიმართავდნენ პარალელური სიუჟეტის განვითარებას ზღაპრის მსგავსად: კეთილ და ბოროტ ძმებზე, რომელთაც დამსახურების მიხედვით მიეზღვევათ. პირველად ინგლისურ ლიტერატურაში ფილდინგმა (1704-1754) შეძლო დემონსტრირება შეექმნა შთამბეჭდავი სახეები, განევითარებინა სიუჟეტი გამჭრიახი დაკვირვების შედეგად.

ჟ. ჟ. რუსოს (1712-1778) თავის რომანებში „*იულია, ანუ ახალი ელოიზა*", „*ემილი, ანუ აღზრდის შესახებ*" და ტრაქტატებში წამოაყენა თეორია ადამიანის ჭეშმარიტი აღზრდის შესახებ.

განმანათლებლებისათვის ყველანაირი სიკეთისა და მშვენიერების ნიმუშია *ბუნება*, რომლის კულტიც შექმნეს XVIII საუკუნის 60-იან წლებში სენტიმენტალისტებმა, მაგრამ ბუნებრიობით გატაცება, ბუნების ჭვრეტა დაიწყო განმანათლებლობის ხანის პირველივე ჩანასახიდან.

ეს იყო ახალი ფილოსოფიური მრწამსის დრო, როცა იდეებს არა მხოლოდ ტრაქტატებში აყალიბებდნენ, არამედ თავისუფლად გადაჰქონდათ რომანებში და პოეტებისათვის შთაგონების წყარო იყო. განმანათლებლური აზრი დიდი დიაპაზონით წარმოჩინდა ინგლისელი პოეტის და სატირიკოსის *ა. პოპის* (1688-1744) შემოქმედებაში. მისი დიდაქტიკური ხასიათის პოემა *„ცდები ადამიანის შესახებ“* გახდა ევროპელთათვის ახალი ფილოსოფიის სახელმძღვანელო. მისი რუსული გამოცემით 1757 წ., ფაქტიურად დაიწყო რუსული განმანათლებლობა.

გერმანიაში განმანათლებლობის იდეების გავრცელება განაპირობა ფ. კლოპშტოკის (1722-1803) პოემამ *„მესიადა“*, სადაც ავტორი ისწრაფვის გადმოსცეს ინტიმურ-რაციონალური საწყისები, რომელიც საფუძვლად უდევს ადამიანის მრავალ საქციელს, ავრეთვე *„მიმართვა ადამიანებს“* — *ა. ფონ კნიგეს* (1753-1796) ყველაზე აღიარებულმა ნაწარმოებმა. აქ ჩამოყალიბებულია მაღალი წრის არისტოკრატთა და ბურჟუაზიის ყოველდღიური ცხოვრება და ღირებულებები, მოცემულია ცხოვრებისეული პრაქტიკული რჩევები დაფუძნებული ცოდნასა და ცდებზე, ადამიანის საქციელზე.

მუსიკა

XVII საუკუნის ბოლოს და XVIII საუკუნეში ყალიბდება ის მუსიკალური ენა, რაზედაც შემდეგ ალაპარაკდება მთელი ევროპა. პირველნი იყვნენ გერმანელი კომპოზიტორები *იოჰან სებასტიან ბახი* (1685-1725) და *გეორგ ფრიდრიხ ჰენდელი* (1685-1759).

დიდი გერმანელი კომპოზიტორი და ორღანისტი ბახი მუშაობდა მუსიკის ყველა ჟანრში, ოპერის გარდა. იგი *პოლიფონიის* შეუდარებელი ოსტატია. მისი საორკესტრო მუსიკა მოიცავს კონცერტებს კლავიშიანი ინსტრუმენტებისა და ვიოლინოსათვის, საორკესტრო სუიტებს. მნიშვნელოვანია ბახის მუსიკა კლავირისა და ორღანისათვის, მისი *ფუგები* და *ქორალები*.

ბახი და ჰენდელი წერდნენ ბიბლიურ სიუჟეტებზე. ჰენდელის ცნობილი ნაწარმოებებია — *ორატორიები „საული“, „ისრაელი ეგვიპტეში“, „მესია“*. ჰენდელმა დაწერა 40 ოპერა, აგრეთვე საორღანო კონცერტები, სონატები, სუიტები.

ევროპის მუსიკალურ ხელოვნებაზე უდიდესი გავლენა იქონია *ვენის კლასიკურმა სკოლამ* და მისმა დიდმა ოსტატებმა — ჰაიდნმა, მოცარტმა და ბეთჰოვენმა. ვენის კლასიკოსებმა გაიაზრეს და აბლებურად ააჟღერეს ყველა ჟანრისა და ფორმის მუსიკა.

„სიმფონიის მამად“ წოდებულია *იოზეფ ჰაიდნი* (1732-1809) მოცარტისა და ბეთჰოვენის მასწავლებელი. მან შექმნა 100-ზე მეტი სიმფონია, ბევრი მათგანის საფუძველია ხალხური სიმღერის და ცეკვის თემები, რომელსაც კომპოზიტორი ამუშავებდა გასაოცარი ხელოვნებით. მისი შემოქმედების მწვერვალია *„ლონდონის 12 სიმფონია“* დაწერილი ინგლისში ტრიუმფალური მოგზაურობის დროს 90-იან წლებში. ჰაიდნს შექმნილი აქვს მრავალი კვარტეტი, სონატები კლავირისათვის, 20-ზე მეტი ოპერა, 14 მესა, უამრავი სიმღერა და სხვა თხზულებანი, სიმფონიები, რომლებიც დაბეჭდა და აამაღლა კლასიკური სრულყოფილების დონემდე. შემოქმედების ბოლო წლებში შექმნა ორი მონუმენტური ორატორია — *„წელთწადის დრონი“* და *„სამყაროს შექმნა“*, რომელშიც გამოთქმულია აზრი კაცობრიობის ცხოვრების სიდიადეზე.

ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი (1756-1791) ჯერ კიდევ ბავშვობაში გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი მონაცემებით: იყო ვირტუოზი შემსრულებელი, თხზავდა უამრავ მელოდიას. მისი განსაკუთრებული შესაძლებლობანი ვითარდებოდა მევიოლინე და კომპოზიტორი მამის — ლეოპოლდ მოცარტის ხელმძღვანელობით. 1781 წლიდან ცხოვრობს ვენაში. აქ გაიფურჩქნა მისი შემოქმედებითი გენია. ოპერებში *„გატაცება სერალიდან“*, *„ფიგაროს ქორწინება“*, *„დონ ჟუანი“*, *„ჯადოსნური ფლეიტა“* მოცარტმა გასაოცარი ოსტატობითა და სხვადასხვა გამომსახველობითი ხერხებით შექმნა ადამიანთა ხასიათები, უჩვენა კონტრასტულობა, ზუმრობიდან ღრმა სერიოზულობამდე გადასვლა, მხიარულიდან ფაქიზ, პოეტურ ლირიკამდე ამაღლება.

ეს თვისებები დამახასიათებელია მისი სიმფონიების, სონატების, კონცერტების, კვარტეტებისათვის, რომლებშიც ის ქმნის კლასიკური ჟანრის უმაღლეს ნიმუშებს. კლასიკური სიმფონიზმის უმაღლესი მწვერვალია მისი სამი სიმფონია (მოცარტს სულ დაწერილი აქვს 50-მდე სიმფონია); *„მი ბემოლ მაჟორი“* (№39) — ადამიანის ცხოვრება სავსეა სიხარულით, თამაშით, მხიარული საცეკვაო მოძრაობით; *„სოლ მინორი“* (№40) — არის ადამიანის სულიერ მოძრაობათა ღრმა ლირიკული პოეზია და მის სწრაფვათა დრამატულობა. *„დო მაჟორი“*, რომელსაც (№41), თანამედროვეებმა

„იუპიტერი“ უწოდეს, გულში იკრავს მთელ სამყაროს მისი კონტრასტებით და წინააღმდეგობებით, ამტკიცებს რა მისი წყობის გონივრულობასა და ჰარმონიულობას.

მოცარტის მუსიკა კლასიციზმის უმაღლესი მიღწევაა თავისი მელოდიურობით, ფორმით, დახვეწილობით.

„მუსიკამ ადამიანის გულებიდან ამოსული ცეცხლი უნდა დაანთოს“ – ამბობდა *ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი* (1770-1827), რომლის შემოქმედებაც ადამიანის გენიის უმაღლესი მიღწევაა. რესპუბლიკური შეხედულებების მატარებელი ბეთჰოვენი ამტკიცებდა ხელოვანი-შემოქმედის პიროვნების ღირსეულობას. ივი შთაგონებული იყო გმირული სიუჟეტებით. ასეთია მისი ერთადერთი ოპერა „ფიდელიო“ და უვერტურები „*ეგმონტი*“ (ი.ვ. გოეთეს დრამისათვის) „*ლეონორა*“, „*კორიოლანი*“, *საფორტეპიანო სონატა* №23 („*აპასიონატა*“). შეუპოვარი ბრძოლის შედეგად თავისუფლების მოპოვება მისი შემოქმედების მთავარი იდეაა.

ბეთჰოვენის მთელი შემოქმედების სიმწიფის პერიოდი დაკავშირებულია ვენასთან, სადაც ჯერ კიდევ ჭაბუკმა ალაფრთოვანა თავისი დაკვრით მოცარტი, მეცადინეობდა ჰაიდნთან, აქ მოიპოვა სახელი როგორც პიანისტმა. სტიქიური ძალის დრამატულთან შეჯახება, ამაღლებული ფილოსოფიური ლირიკა, ხავერდოვანი, ხანდახან უხეში იუმორი – ყველაფერი ეს შეგვიძლია დავინახოთ მის უსაზღვროდ მდიდარი *სონატების* სამყაროში (სულ დაწერილი აქვს 32 სონატა). ლირიკულ-დრამატული ხასიათისაა *მეთოთხმეტე („მთვარის“)* და *მეჩვიდმეტე სონატები*, რომელშიც კომპოზიტორმა გამოხატა სასოწარკვეთა, უიმედობა თავისი ცხოვრების უმძიმეს პერიოდში, როცა გადაწყვეტილი ჰქონდა თავის მოკვლა სმენის დაკარგვის გამო. კრიზისი გადალახა, გაჩნდა *მეცამე („გმირული“)* სიმფონია ადამიანის თავისუფლების გამარჯვების აღსანიშნავად. 1803-1813 წლებში შექმნა სიმფონიები. მისი მრავალნაირი, უსასრულო ძიებანი შეეხო ყველანაირ მუსიკალურ ჟანრს (ვოკალური ციკლი „შორეულ სატრფოს“). ბეთჰოვენი ცდილობს შეაღწიოს ადამიანის შინაგან სამყაროში.

ბეთჰოვენის შემოქმედების აპოთეოზია მეცხრე („*ქორალური*“) სიმფონია და *სადღესასწაულო მესა*. მეცხრე სიმფონიაში ჩართულია ნაწყვეტი შილერის ნაწარმოებიდან „*ოდა სიხარულისაკენ*“, ამორჩეული ევროპის ჰიმნად.

საბვითი ხელოვნება XVIII ასწლეულის საბვითი ხელოვნების დიდი ქმნილებებისათვის დამახასიათე-

ბელია ადამიანთა განცდების ფაქიზი ანალიზი, გრძნობისა და განწყობის ნიუანსთა ასახვა. ინტიმურობა, ლირიული გამომსახველობა, ანალიტიკური დაკვირვება (ზშირად დაუნდობელი) – მთლიანად XVIII საუკუნის ხელოვნების მახასიათებელი ნიშნებია. ცხოვრების მხატვრულად აღქმამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მსოფლიო მხატვრული კულტურის განვითარებაზე.

XVIII საუკუნის *იტალიის ხელოვნებამ* უმაღლეს მწვერვალს მიაღწია მხოლოდ *ვენეციაში*.

ვენეციური სულის გამომხატველი იყო *კოვანი ბატისტა ტიეპოლო* (1696-1770), XVIII საუკუნის დიდი ფერმწერი, იტალიური როკოკოს ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი. ტიეპოლოს ეკუთვნის გიგანტური მასშტაბის როგორც საეკლესიო, ასევე საერო ფერწერული ნამუშევრები, რომლებიც სავსეა რბილი და ნათელი ფერებით, გამოირჩევა მსუბუქი დინამიური სტილით (კლეოპატრას ცხოვრებისეული სცენები ლაბნას პალაცოში, ვენეცია).

ვენეციამ XVIII საუკუნის მსოფლიოს მისცა ვედუტის – ქალაქის არქიტექტურული პეიზაჟის ორი დიდოსტატი, ესენია: *ანტონიო კანალეტო* (1697-1768), რომელმაც სახელი გაითქვა ვენეციის სადღესასწაულო ცხოვრების ამსახველი სურათებით, რომლის ფონადაც გამოყენებული იყო ზღაპრული თეატრალური არქიტექტურა. მეორე კი იყო *ფრანჩესკო გუარდი* (1712-1793), პოეტური, რომანტიკოსი ხელოვანი ოსტატი, ხატავდა მშობლიური ვენეციის სხვადასხვა ადგილებს, რაშიც ოსტატურად იყენებდა სინათლის ანარეკლის გამომსახველ ეფექტებს („*ვენეციული მეცამოვე*“).

ინგლისის ნაციონალური ფერწერის სკოლის აღზევება დაიწყო *უილიამ ჰოგარტთან* (1697-1764), ეს იყო მხატვარი, გრაფიკოსი, ხელოვნების თეორეტიკოსი, ავტორი გრავიურათა სერიისა „*მზეთანგვეშის კარიერა*“, მამხილებელი ჟანრული ჩანახატებით „*მოხეტიალის კარიერა*“. ჰოგარტი იყო ერთადერთი მხატვარი ინგლისში განმანათლებლობის პერიოდში და პირველი ფერმწერ-განმანათლებელი ევროპაში. მისი ხელოვნება მჭიდროდაა დაკავშირებული თეატრის ხელოვნებასთან, სატირულ ჟურნალებთან, განმანათლებლობის ლიტერატურასთან. თავისი ესთეტიკური შეხედულებები ჩამოაყალიბა ტრაქტატში „სილამაზის ანალიზი“, სადაც დაგმო ხელოვნებისადმი არაკრიტიკული მიდგომა და ესთეტიკური სილამაზის აღქმის კრიტერიუმის ჰარისხის აღმნიშვნელ ნიშნად ორმაგად დაკლაკნილი ხაზები წამოაყენა. ჰოგარტმა დიდი შრომა გასწია იმისთვის, რომ პრაქტიკაში დაენერგათ მხატვრული გამოფენები.

გამოჩენილი პორტრეტისტი-მხატვარი *იყო თომას გეინსბორო* (1727-1788). იგი პორტრეტის ფონად ხშირად იყენებდა იდეალურ მსუბუქ ლანდშაფტს. მისი შემოქმედებისთვის დამახასიათებელია სინატიფე, პოეტურობა და აღფრთოვანება. მნიშვნელოვანია, რომ ამ ჟანრმა ღირსეული ადგილი დაიკავა სამეფო ხელოვნების აკადემიის კედლებში (გაიხსნა 1768 წ.), რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელთაგანი იყო გეინსბორო. იგი ფერწერულ პეიზაჟში ინგლისელ ოსტატთა შორის პირველი მხატვარია, რომელიც მიჰყვება რეალისტურ ტრადიციებს.

XVIII ს. პირველ ნახევარში, როდესაც ასე აქტიურად ავითრებდა რელიგიურ კულტურას საერო, *საფრანგეთში* ხელოვნების წამყვანი მიმდინარეობა ხდება *როკოკო*. მხატვართა ტილოების სიუჟეტები მხოლოდ სასიყვარულო, ეროტიკულია, საყვარელი გმირებია – ნიმფები, ვაკხი ქალები, დიანები, ვენერები, რომლებიც დაუსრულებლად ახდენდნენ თავიანთ „ტრიუმფებს“ და ასრულებდნენ „ტუალეტებს“.

როკოკოს ფერმწერი იყო *ჟან-ანტუან გატო* (1684-1721). მან დაამუშავა და განავითარა სურათის ახალი ჟანრი – *გალანტური ზეიმები*: უცნაური პატარა სცენები, ბუნების წიაღში („*გემით გაცურვა კუნძულ კითერუსთან*“) ელეგანტურად ჩაცმული ახალგაზრდა ადამიანთა გამოსახულება. ფრანგული *როკოკოს* თვალსაჩინო წარმომადგენელია *ფრანსუა ბუშე* (1703-1770), „მეფის პირველი მხატვარი“, აკადემიის დირექტორი, ბუშე თავისი ეპოქის ჭეშმარიტი შვილი იყო, პირადად ყოველისშემძლე და მკეთებელი: სასტუმროსათვის პანო, ნახატები მდიდართა სახლებისა და სასახლეებისათვის, მუყაო გობელენის მანუფაქტურისათვის, თეატრალური დეკორაციები, წიგნების ილუსტრაციები, მარაოების, შპალერის, ბუხრის საათების, ეტლების ნახატები, კოსტუმების ესკიზები და ა.შ. მისი ტილოების ტიპიური სიუჟეტებია – „*ვენერას ტრიუმფი*“ ან „*ვენერას მორთულობა*“, „*ვენერა ამურთან ერთად*“, „*დიანას ბანაობა*“ და ა.შ.

სურათები სასიყვარულო სიუჟეტებზე, ხშირად ეროტიკულიც („*საჩუქრები*“), დახატული აქვს *ჟან-ონორე ფრაგონარს* (1732-1806), იგი *როკოკოს* წამყვანი წარმომადგენელია.

განმანათლებლობის იდეები არა მარტო გავლენას ახდენდა მთლიანად ხელოვნების განვითარებაზე, არამედ მის მსვლელობაშიც ერეოდა. *დენი დიდროს* (1713-1784) „*სალონებში*“ იყო ხელოვნების შესახებ კრიტიკული ლიტერატურის პირველი ფორმა.

ხელოვნებაში ახალი ესთეტიკური იდეები განავითარა თავის შემოქმედებაში *ჟან ბატისტა სიმონ შარდენმა* (1699-1779), მხატვარმა, რომელმაც შექმნა არსებითად ახალი ფერწერული სისტემა. მან დაიწყო ნატურმორტით, ხატავდა სამზარეულოს სახმარ ნივთებს – ქვაბებს, კასრებს, შემდეგ გადავიდა ჟანრულ ფერწერაზე („*ლოცვა სადილობის წინ*“, „*მრეკბაკი*“), შემდეგ კი პორტრეტებზე.

XVIII საუკუნის ფრანგულმა მხატვრულმა ქანდაკებამ გაიარა იგივე ეტაპები, რაც ფერწერამ. ეს უმთავრესად როკაული ფორმებია საუკუნის პირველ ნახევარში და კლასიკური ხაზები – მეორე ნახევარში. სიმსუბუქე, თავისუფლება, დინამიკა ჩანს *ჟან ბატისტა პიგალის* (1714-1785) ქანდაკებაში, მის მთლიან ბრწყინვალებაში, მსუბუქ, მიზანსწრაფულ მოძრაობაში, უშუალობასა და სინატიფეში „*ბანდალის შემკვრელი მერკური*“.

ჟან ანტუან გუდონი (1741-1828) – ფრანგული საზოგადოების ჭეშმარიტი ისტორიოგრაფი, თავის სკულპტურულ პორტრეტთა გალერეაში ასახავს ეპოქის სულიერ ატმოსფეროს. მისი „*ვოლტერი*“ – ფრანგული ხელოვნების უმაღლესი დონის დამამტკიცებელია.

თეატრი

საბვითი ხელოვნების სწრაფვამ სწავლისაკენ, თხრობისა და ლიტერატურისაკენ, განაპირობა მისი დაახლოება თეატრთან. XVIII ასწლეულს ხშირად უწოდებენ „თეატრის ოქროს საუკუნეს“. თეატრი მოწოდებულ იქნა ყოფილიყო დროის მთელი რიგი ამოცანების შესასრულებელი ადგილი. ბომარშე მას თვლიდა „ისპოლინად[1], რომელიც სასიკეთილოდ დაჭრის ფველას, ვისკენაც მიმართულია მისი დარტყმები“.

ადამიანთა ყოველდღიურ ფოფაზე წერა, ნიშნავდა იმავდროულად წერას ცხოვრებაზე, რომელმაც ისინი ჩამოაყალიბა. ამავდროულად წერდნენ არათვალთმაქცურად – განმანათლებლობის ხანის დრამატურგები ამოდიოდნენ დიდი საზოგადო და ადამიანური იდეალებიდან და მტკიცე გადაწყვეტილებით არ იღებდნენ არაფერს, რაც მათ ეწინააღმდეგებოდა. ტრაგედიებში აღშფოთებას გამოხატავდნენ, კომედიებში – დაცინვას.

ინგლისში დრამატურგიის დიდი წარმომადგენელი იყო რიჩარდ *ბრინსლი შერიდანი* (1751-1816). მისი სატირული კომედიები ზნეჩვეულებებზე („*მოწინააღმდეგენი*“, „*მე ბაუროზა სკარბოროში*“ და

[1] ისპოლინი – გოლიათი. გადატანითი მნიშვნელობით დიდი ადამიანი, გენიოსი.

„ავყიათა სკოლა“) მიმართულია მაღალი საზოგადოების უზნეო ცხოვრების, ბურჟუაზიული პურიტანული პირფერობის წინააღმდეგ.

ერთ დროს ვენეციის გაჭართა დიდმა ხელისუფლებამ XVIII საუკუნეში განიცადა ეკონომიკური ჩავარდნა, მაგრამ არა თუ შეინარჩუნა, არამედ განავითარა კიდეც თავისი კულტურა. ამ პატარა ქალაქში მუშაობდა შვიდი თეატრი – იქდენი, რამდენიც იყო პარიზსა და ლონდონში ერთად აღებული. ვენეციაში გამართულ კარნავალზე თავს იყრიდა მთელი ევროპა. ამ ქალაქში მოღვაწეობდა *კარლო გოლდონი* (1707-1793), შემქმნელი 267 დრამატული ნაწარმოებისა, მაგრამ მას სახელი გაუთქვა საუკეთესო კომედიებმა – „*ორი ბატონის მსახური*“ და „*სასტუმროს დიასახლისი*“.

გოლდონის თანამედროვეა *კარლო გოცი* (1720-1806). მისი ზღაპრების – *ფიაბების* სიუჟეტები აღებულია ფოლკლორიდან და *დელ არტეს*[1] კომედიების ტრადიციებიდან („*სამი ფორთოხლის სიყვარული*“, „*ტურანდოტი*“ და სხვანი ვენეციის თეატრალური ცხოვრების შესახებ).

საფრანგეთში ზნეობრივი ჟანრის კომედიის მწვერვალი იყო *პიერ ბომარშეს* (1732-1799) – დიდი ფრანგი დრამატურგის პიესა „*ფიგაროს ქორწინება*“. ფიგარო აღმოჩნდა ძველ რეჟიმთან საერთო სახალხო ოპოზიციის მატარებელი გმირი, იმ ოპოზიციისაა, რომელმაც ხალხი მიიყვანა რევოლუციამდე. სწორედ ამიტომ მხოლოდ ორი ადამიანი ვერ იტანდა ამ პიესას – ლუდოვიკ XVI, რომელიც შიშისაგან კანკალებდა რევოლუციის წინაშე და ნაპოლეონ ბონაპარტე, რომელმაც თავისი იმპერია ააგო რევოლუციის ნანგრევებზე.

ქვეყანა, სადაც „სერიოზულმა ჟანრმა“, როგორ მას უწოდებდნენ XVIII საუკუნეში, შემდეგ კი ტრაგედიამ დიდ წარმატებებს მიაღწია გერმანიაში. თუმცა განმანათლებელთა თეატრი *გერმანიაში* ჩნდება მხოლოდ XVIII საუკუნის 50-იან წლებში (ორმოცი-ორმოცდაათი წლით გვიან, ვიდრე ინგლისსა და საფრანგეთში), სამაგიეროდ, წინაპართა გამოცდილებამ შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო.

გოთხოლდ ეფრაიმ ლესინგი (1729-1781) იყო სახვითი ხელოვნებისა და დრამატურგიის თეორეტიკოსი, შემქმნელი შესანიშნავი პიესების („*სარა სამპსონი*“, „*ემილია გალოტი*“).

[1] *კომედია დელ არტეს* (ნიღბების კომედია) – იტალიური ხალხური კომედია-იმპროვიზაციების ფორმა, სრულდებოდა პროფესიონალი აქტიორების მიერ, ასახიერებდნენ ტრადიციულ სიუჟეტებსა და პერსონაჟებს.

თხზულებაში „*ჰამბურგული დრამატურგია*“ ის თავისებურად ხსნის არისტოტელეს და აკრიტიკებს ფრანგული კლასიკური დრამის გაყინულ ფორმებს, წინააღმდეგობრივად უდგება რა თავისუფლად მოაზროვნე შექსპირს და ამტკიცებს მესამე ფენის უფლებებს, რათა გახდნენ ნაწარმოების გმირები.

ლესინგის ესთეტიკურ თხზულებებს („*ლაოკოონი, ანუ ფერწერისა და პოეზიის საზღვრების შესახებ*“, „*ჰამბურგული დრამატურგია*“) დიდი რეზონანსი ჰქონდა მთელი ევროპის ქვეყნებში. ძირითადი კითხვა, რომელსაც ლესინგი აყენებს „*ლაოკოონში*“ – პოეზიისა და ფერწერის სპეციფიკური ბუნების და შესაბამისად მათ შორის განსხვავებისა და არსებული ზღვარის შესახებაა. სახვითი ხელოვნება და პოეზია არის „სინამდვილისადმი მიმმაძველობა“, – აცხადებს ლესინგი. იგი უჩვენებს, რომ სახვით ხელოვნებასთან შედარებით პოეზიას უფრო მეტად შესწევს უნარი გამოხატოს ადამიანთა განცდები და ხასიათები. მწერლის ამოცანაა, თვლის ლესინგი, ცხოვრების ასახვა მოძრაობასა და ბრძოლაში.

იოჰან გოლფგანგ გოეთე (1749-1832) „უნივერსალური გენიოსი“, სწავლული, მეცნიერი, თეორეტიკოსი და ხელოვნების მცოდნე, რომანისტი, დიდი პოეტი, შესანიშნავი დრამატურგია, მან თითქოს შეისისხლხორცა გერმანიის მთელი კულტურა. პიესა „*ეგმონტი*“ (1775-1787) – ერთ-ერთი შესანიშნაია მის თეატრალურ ქმნილებათა შორის. ყველაზე დიდი მიზანი, გოეთეს მიხედვით, მდგომარეობს ადამიანურობის დამტკიცებაში, რის განსახიერებას წარმოადგენს ეგმონტი.

თავისუფლებისმოყვარე ადამიანის, პიროვნების აღზრდა გერმანიისათვის რევოლუციურ ამოცანად იქცა. ამ ამოცანას მიუძღვნა მთელი შემოქმედება *ფრიდრიხ შილერმა* (1759-1805) – მეცნიერმა, ისტორიკოსმა და ესთეტმა, დიდმა პოეტმა და დრამატურგმა. მის შემოქმედებაზე დიდი გავლენა იქონია განმანათლებლობამ, მის დროს შექმნილმა ლიტერატურამ. სწრაფვამ თავისუფლებისაკენ, ადამიანური ღირსებების დამტკიცებამ გამოხატულება პოვა შილერის ჯერ კიდევ ადრეულ ნაწარმოებში – დრამაში „*ყაჩაღები*“, დრამით „*ცბიერება და სიყვარული*“ შილერმა თითქოს შეაჯამა XVIII საუკუნის დრამატურგიის ერთ-ერთი მთავარი ხაზი და გზა გაუკაფა ახალ დრამას. თვითონაც ხომ ახალი დრამის მიმდევარი იყო. XX საუკუნის თეატრი შილერთან პოულობს ახლებურ მიდგომებს, მას თვლის თანამედროვე ავტორად – ძლიერი ხასიათებისა და სოციალური

ძვრებისადმი ინტერესმა განაპირობა შილერის ტრადიციების დაძაბული დრამატიზმი ყველა დროში.

გერმანულმა ლიტერატურულმა მოძრაობამ „ქარიშხალი და შეტევა“ განმანათლებლობის რაციონალიზმს დაუპირისპირა ფანტაზია, ვნება, ჯანყისა და ინდივიდუალიზმის გამომსახველი ელემენტები. ამ მოძრაობამ თვითგამოხატვის მთავარ ფორმად დრამა აირჩია. გერმანელმა დრამატურგმა *ფრიდრიხ კლინგერმა* (1752-1831) დაწერა დრამა *„ქარიშხალი და შეტევა“*, გერმანიაში თავისუფლებისადმი მოძრაობას მისი დრამის სახელი ეწოდა, სადაც ავტორმა უმღერა ადამიანის სწრაფვას თავისუფლებისაკენ.

საფრანგეთის რევოლუციამ და მის მიერ გამოწვეულმა სოციალურ-პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა XVIII-XIX საუკუნეების ზღვარზე ევროპის კონტინენტზე დაასამარა განმანათლებელთა რწმენა თანდათანობითი, ძალდაუტანებელი პროგრესის შესაძლებლობაზე. ამ მოვლენამ განმანათლებლური მოძრაობა სასწრაფოდ დაშალა პოლიტიზირებულ და ცალ-ცალკე მდგომ ურთიერთსაწინააღმდეგო ჯგუფებად და მიმდინარეობებად. განმანათლებლობის კრიზისმა გააღრმავა მისი ამოცანებისა და იდეალების კონსერვატორული კრიტიკა. მათ ადანაშაულებდნენ იმაში, რომ ადამიანთა გონებაში არევ-დარევა შეიტანეს, საზოგადოებაში კი – შფოთი; დაარღვიეს ქვეყნისა და ხალხის ბუნებრივი, ორგანული განვითარება. ამ დარტყმების შემდეგ განმანათლებლობა ვერ გაიმართა. იგი უეცრად გაქრა ისტორიის ხარაჩოებიდან, აიძულა რა შთამომავლობა დაფიქრებულიყო, თუ რაში მდგომარეობდა მისი ისტორიული დანიშნულება.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, განმანათლებლობის შედეგი შეაჯამა ი.ვ. გოეთემ ტრაგედიაში „*ფაუსტი*“, სადაც შეაფასა აწალი ადამიანის ისტორიული ტიპი, რომელიც დაძაბული ეძებს ჭეშმარიტებას გონებაზე დაყრდნობით, სწამს თავისი შემოქმედებითი საქმიანობის, მაგრამ ამასთანავე ცდება და ჯერჯერობით უმწეოა მის მიერვე სიცოცხლისათვის გამოწვეული მძლავრი ძალების წინაშე.

ეს იყო დიდებულ აღმოჩენათა და დიდ ცდომილებათა საუკუნე, რომელზედაც რუსი განმანათლებელი *ა.ნ. რადიშჩევი* გამჭრიახად და აფორიზმულად ამბობს ლექსში „*ათმეჩვიდმეტე ასწლეული*“.

არა, შენ არ იქნები ასწლეულებში მივიწყებული
უაზროდ, ბრძნულად,
წყეულიმც იყავ უკუნისამდე, ყველას გასაცრად მუდამ.

XVIII საუკუნის კულტურის მემკვიდრეობა დღესაც გვაოცებს საოცარი მრავალფეროვნებით, ჟანრების და სტილების სიმდიდრით, ადამიანის ვნებებში სიღრმისეული შეღწევით, დიდი ოპტიმიზმით და ადამიანისა და მისი გონებისადმი რწმენით.

ძირითადი ტერმინები და ცნებები

ბურჟუაზიული კულტურა
ვედუტა
ვენის კლასიკური სკოლა
გალანტური დღესასწაულები
კლასიციზმი
კომედია დელ არტე
ზნეობის კომედია
ორატორია
პოლიფონია
განმანათლებელი
როკოკო
რომანტიზმი
სენტიმენტალიზმი
სიმფონია
სონატა
ფუგა
ფიასბი
ქორალი
„გონიერების საშეფო“

კითხვები გამეორებისათვის

1. თქვენი შეხედულებებით რაში მდგომარეობს განმანათლებლობის ეპოქის ისტორიული გააზრება?
2. რით შეიძლება აიხსნას ევროპის ქვეყნების განმანათლებელთა შორის აზრთა სხვადასხვაობა? დაახასიათეთ განმანათლებლობის კულტურის ნაციონალური სპეციფიკა.
3. განმანათლებლობის ეპოქისათვის რა სულიერი წინააღმდეგობებია დამახასიათებელი?
4. რუსული განმანათლებლობის სპეციფიკა?
5. ახსენით – ლესინგმა თავისი ესთეტიკური ნაწარმოების „*ლაოკოონი, ანუ ფერწერისა და პოეზიის საზღვრების შესახებ*“ სახელწოდებაში რატომ შეიცვალა ძველი ბერძენი ქურუმის ლაოკოონის სახელი? (იხ. წიგნის ყდა).

თავი 12

რუსეთის კულტურა XVIII საუკუნეში



სმოლნის ტაძარი ნევის შესართავთან 12 კუნძულზე პეტრე I ააგო სანკტ-პეტერბურგი





დიდი სასახლე პეტერგოფში

XVIII საუკუნე რუსეთისათვის გვიანი ფეოდალიზმით ხასიათდება. იგი ჩამორჩებოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, რის გამოც ცდილობდა არსებითი გარდაქმნები განეხორციელებინა ცხოვრების ყველა სფეროში. გარდაქმნების დასაწყისი დაკავშირებულია *პეტრე I-ის* (1672-1725) მიერ ჩატარებულ რეფორმებთან. რუსეთში მყარდება თვითმპყრობელური ხელისუფლება — *აბსოლუტური მონარქია.*

XVIII საუკუნეში ვითარდება საგარეო ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობანი დასავლეთის ქვეყნებთან, რაც ხელს უწყობდა მის შესვლას მსოფლიო ისტორიულ-კულტურულ პროცესში. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ფეოდალური ეკონომიკის წიაღში კაპიტალისტური წყობა ყალიბდება.

XVIII საუკუნის ბოლოს მთავრდება *რუსი ერის* ჩამოყალიბების პროცესი. რუსი ერის ფორმირება ხდება უკვე ჩამოყალიბებული მაღალი კულტურისა და ნაციონალური ერთიანობის თვითშეგნების ბაზაზე. ამ პერიოდში, ისტორიულ-კულტურული პროცესის ძირითადი შინაარსი იყო *ნაციონალური რუსული კულტურის ფორმირება* და განვითარება. გამოჩნდა კულტურის ახალი სფეროები — მეცნიერება, მხატვრული ლიტერატურა, საერო ფერწერა, თეატრი და სხვა.

პეტრე I-ის რეფორმებმა ხელი შეუწყო სახელმწიფოში ეკონომიკურ და პოლიტიკურ აღმავლობას. გაცილებით წინ წავიდა განათლება, რამაც დიდი გავლენა იქონია კულტურის შემდგომ განვითარებაზე. მოხდა სწრაფი, მკვეთრი გარდატეხა კულტურულ ცხოვრებაში, რამაც ასევე დიდი გავლენა იქონია მის შემდგომ განვითარებაზე.

განათლება

1700 წლის 1 იანვრიდან ბიზანტიური წელთაღრიცხვის ნაცვლად, რომლის მიხედვითაც აღრიცხვა იწყებოდა „სამყაროს შექმნიდან", პეტრე I-ის ბრძანებით შემოღებულ იქნა *ახალი წელთაღრიცხვა* „ქრისტეს დაბადებიდან". 1719 წელს შეიქმნა პირველი საბუნებისმეტყველო-ისტორიული მუზეუმი რუსეთში — *კუნსტკამერა.*

პირველად პეტრე I-ის დროს *განათლება* გახდა სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, რადგანაც იმ ჩაფიქრებული რეფორმების ჩასატარებლად საჭირო იყო განათლებული ადამიანები. ამ პერიოდში გაიხსნა ზოგადი და სპეციალური სკოლები, შეიქმნა პირობები მეცნიერებათა აკადემიის დასაარსებლად. ახალგაზრდებს სასწავლებლად საზღვარგარეთ გზავნიდნენ, ძირითადად გემთშენებლობისა და საზღვაო საქმის შესასწავლად.

1701 წელს მოსკოვში გაიხსნა *ნავიგაციის სკოლა* — პირველი საერო სახელმწიფო სასწავლო დაწესებულება. სკოლის მოსწავლეები

სწავლობდნენ მათემატიკურ და სანავიგაციო მეცნიერებებს (არითმეტიკას, გეომეტრიას, ტრიგონომეტრიას, ნავიგაციას, ასტრონომიას). საელჩო სამსახურთან შეიქმნა სკოლა უცხო ენების შესასწავლად, მოგვიანებით — კანცელარიის მოსამსახურეთა საქმიანობის შესასწავლი სკოლა.

მოსკოვსა და სხვა ქალაქებში იქმნებოდა *პროფესიული სკოლები* — საარტილერიო, საინჟინრო, სამედიცინო; ურალის ქარხნებში — სამთოსაქარხნო სასწავლებლები. ყველა პროფესიულ სკოლას ჰქონდა მოსამზადებელი განყოფილება, სადაც ასწავლიდნენ წერა-კითხვას, არითმეტიკას. მეცნიერებათა სწავლება მიმდინარეობდა თანმიმდევრულად: თითოეული მეცნიერების შესასწავლად ჩამოყალიბებული იყო ცალკეული კლასი. მოსწავლეები კლასიდან კლასში გადადიოდნენ უგამოცდოდ. თავდაპირველად მაღალი წრის შვილებთან ერთად სკოლებში რაზნოჩინცების შვილებიც სწავლობდნენ, მაგრამ თანდათანობით სკოლები გადაიქცა დახურულ სასწავლო დაწესებულებად, მხოლოდ დიდგვაროვანთა შვილებისათვის.

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში დაიწყეს ეგრეთწოდებული *ციფრული სკოლების* — სახელმწიფო დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაარსება ნებისმიერი ფენის ვაჟებისათვის, გარდა გლეხთა შვილებისა. მათ, ვისაც არ ჰქონდა ციფრული სკოლის დამთავრების მოწმობა, დაქორწინებაც კი ეკრძალებოდათ. ამ სკოლათა რაოდენობა თანდათანობით შემცირდა, შემდეგ კი საერთოდ შეწყვიტა არსებობა. იმ დროისათვის იყო *საკლესიო-სამრევლო სასწავლებლებიც*, სადაც იღებდნენ ბავშვებს ნებისმიერი ფენიდან. არსებობდა აგრეთვე სასულიერო სემინარიები და სკოლები. 1786 წელს გამოვიდა *სახალხო სასწავლებლების წესდება* — პირველი კანონმდებლობითი აქტი განათლების სფეროში. პირველად შეიტანეს სასწავლებლებში ერთიანი სასწავლო გეგმები, საკლასო-საგაკვეთილო სისტემა.

XVIII საუკუნის შუა ხანებისათვის რუსეთში საგანმანათლებლო დონე მაღალი არ იყო, მარამ იგი მეტად მოდური გახდა თავად-აზნაურთა წრეში. დიდგვაროვანთა შვილები სწავლა-განათლებას უმეტესწილად ოჯახებში იღებდნენ, მათი მასწავლებლები ძირითადად უცხოელები და სკოლადამთავრებული სპეციალისტი-პრაქტიკოსები იყვნენ. მაღალი წრის ბავშვებისათვის დაიწყეს დახურული წოდებრივი სასწავლებლების დაარსება: *პაჟთა კორპუსი*, სადაც თავად-აზნაურთა შვილებს ამზადებდნენ სასახლის კარზე სამუშაოდ; *კეთილშობილ ქალთა ამზრდელობითი საზოგადოება* პეტერბურგში სმოლნის მონასტერში; *შლიახტთა კორპუსი* ოფიცერთა მოსამზადებლად.

საშუალო და უმაღლესი განათლების ორგანიზაცია მჭიდროდ იყო დაკავშირებული *მეცნიერებათა აკადემიის* შექმნასთან (ოფიციალურად 1724 წ.-დან). იქ შედიოდა აკადემია, უნივერსიტეტი და გიმნაზია. აკადემია სამ კლასად იყოფოდა: მათემატიკის, ფიზიკის და ჰუმანიტარული კლასი. დასწყისში აკადემიკოსთა შორის არცერთი რუსი არ იყო. პირველი რუსი აკადემიკოსია *მიხეილ ვასილის ძე ლომონოსოვი* (1711-1765), მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერი, მეცნიერ-უნიკალოპედისტი. ლომონოსოვის მრავალმა მეცნიერულმა აღმოჩენამ გაუსწრო XVIII-XIX საუკუნეების მეცნიერების რიგ მნიშვნელოვან აღმოჩენებს. იგი ასევე დიდი რუსი პოეტია, მან სათავე დაუდო თანამედროვე სალიტერატურო რუსულ ენას. ლომონოსოვმა ძალიან ბევრი გააკეთა რუსული მეცნიერების განვითარებისა და განათლების ორგანიზებისათვის. ლომონოსოვის გულმოდგინებითა და ძალისხმევით 1755 წელს დაარსდა *მოსკოვის უნივერსიტეტი*, რომელსაც ჰქონდა ფილოსოფიის, იურიდიული, სამედიცინო ფაკულტეტები. უნივერსიტეტთან შექმნილ ტიპოგრაფიაში გამოდიოდა გაზეთი „*მოსკოვსკიე ვედომოსტი*“ (გამოდიოდა 1917 წლამდე).

გაჩნდა პროფესიულ-მხატვრული სასწავლო დაწესებულებები: პეტერბურგში — *ცეკვის სკოლა*, მოსკოვში — *სამალეტო სასწავლებელი* და *ხელოვნების აკადემია*.

XVIII საუკუნის ბოლოს რუსეთში იყო 550 სასწავლო დაწესებულება და 62 ათასი მოსწავლე.

წიგნის გამოცემა. ლიტერატურა

წარმატებით ვითარდებოდა *წიგნის გამოცემის საქმე*. 1708-10 წლებში გატარდა შრიფტის რეფორმა, რამაც გააამარტივა რთული კირილიცა. *სამოქალაქო* (საეკლესიოსაგან განსხვავებით) *ანბანის* და *სამოქალაქო ტიპის* შემოღებამ ხელი შეუწყო საერო, სამოქალაქო წიგნების, მათ შორის სახელმძღვანელოთა გამოცემების მატებას. სახალხო სასწავლებლებისათვის გამოიცა *ანბანი*, *ფ. პროკოპოვიჩის* „*პირველი სწავლება ყრმათათვის*“, *ლ. მაგნიცკის* „*არითმეტიკა*“, *მ. სმოტრიცკის* „*გრამატიკა*“, *ყაიდა* და *დაკითხი*. 1708-1725 წლებში დაიბეჭდა დაახლ. 300 სამოქალაქო წიგნი, მაგრამ მათი ტირაჟი დიდი არ იყო.

რუსული წიგნის გამოცემის საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის რუს განმანათლებელს, მწერალს, ჟურნალისტს *ნ.ი. ნოვიკოვს* (1747-1818). მის სტამბებში იბეჭდებოდა XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედში მთელი გამოცემული წიგნების დაახლ. ერთი მეხამეჯდი ნაწილი (დაახლოებით ათასამდე დასახელების). იგი გამოსცემდა

ცოდნის ყველანაირი სფეროს მომცველ წიგნებს, აგრეთვე *სატირიკულ ჟურნალებს „ტრუტენ“, „ყოყოპისეც“, „კოშელიოკ“*, რომლებშიც გამოდიოდა ბატონყმობის აშკარა მოწინააღმდეგედ. ნოვიკოვი მოსკოვში ბიბლიოთეკებისა და სკოლების და რუსეთის 16 ქალაქში წიგნების მაღაზიების ორგანიზატორია. იგი საზელმძღვანელოებსაც გამოსცემდა. 1757 წელს გამოსცა *მ.ვ. ლომონოსოვის „რუსული გრამატიკა“*, რომელიც ძირითად წიგნად იქცა და განდევნა მ. სმოტრიცკის მოძველებული „გრამატიკა“.

1703 წელს გამოდიოდა პირველი *ნაბეჭდი გაზეთი „ვედომოსტი“* (უწყებანი), რომელშიც ქვეყნდებოდა საშინაო და საზღვარგარეთის ცხოვრების ქრონიკა.

წიგნების გამოცემის საქმიანობის გაფართოებამ, ბევრად დააჩქარა *ლიტერატურის* განვითარება. სამოქალაქო შრიფტის შემოღებამ განამტკიცა საერო სალაპარაკო ენა, თუმცა ჯერ კიდევ ფართოდ იყო გავრცელებული საეკლესიო სლავური ენა.

პოპულარული იყო რუსი პოეტისა და განმანათლებლის ა. კანტემირის (1708-1744) სატირები, ოდები, იგავები, ეპიგრამები, იგი გალექსილი სატირის ჟანრში რუსული კლასიციზმის ერთ-ერთი ფუძემდებელია.

პოეტი-ფილოლოგი *გ.კ. ტრედიაკოვსკი* (1703-1768) გახდა რუსული ენისა და ლექსთწყობის რეფორმატორი. ნაშრომში *„რუსული ლექსების წყობის ახალი მოკლე საშუალება“* მან ჩამოაყალიბა რუსული *სილაბურ-ტონური ლექსთწყობის*[1] პრინციპი, რამაც დიდი ბიძგი მისცა რუსეთში ლიტერატურის შემდგომ განვითარებას.

რუსული დრამატურგიის ფუძემდებელია *ა.პ. სუმაროკოვი* (1717-1777), პოეტი, პირველი რუსული კომედიებისა და ტრაგედიების ავტორი, პეტერბურგის რუსული თეატრის დირექტორი. იგი წერდა სხვადასხვა ჟანრში: ლირიულ სიმღერებს, ოდებს, ეპიგრამებს, სატირებს, იგავებს.

რუსული ზნე-ჩვეულებანი და ადათ-წესები *დ.ი. ფონვიზინმა* (1744/45-1792) გადმოსცა თავის *სოციალურ კომედიებში „ბრიგადირი“* და *„უმწიფარი“*. მისმა კომედიებმა, სადაც სატირულადაა გაშუქებული თავად-აზნაურთა ფენის ზნე, მხილებულია ბატონყმური წყობა, როგორც ქვეყანაში ყველა ბოროტებისა და

[1] დაფუძნებულია ლექსში მახვილიანი და უმახვილო მარცვლების მოწესრიგებულ განლაგებაზე. სილაბურ-ტონური ლექსთწყობის ძირითადი მეტრებია – იამბური (ямб), ჭორეული (хорей), დაქტილური (дактиль), ამფიბრაქული (амфибрахий), ანაპესტური (анапест).

უბედურების საფუძველი, სათავე დაუდეს *სამხილებელ-რეალისტურ* მიმართულებას რუსულ ლიტერატურაში.

XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედი პოეტის, სახელმწიფო მოღვაწის *გ.რ. დერჟავინის* (1743-1816) შემოქმედების გაფურჩქნის ხანაა. რუსული კლასიციზმის წარმომადგენელმა, მან ლიტერატურაში ბიძგი მისცა და განამტკიცა *რეალიზმის* დასაწყისი. მისი ნაწარმოებების ძირითადი ჟანრია – ოდა. მათში ავტორმა ფართოდ ასახა მისი თანამედროვე ცხოვრების სურათები: პეიზაჟური და ცხოვრებისეული ჩანახატები, ფილოსოფიური მსჯელობანი, სატირა დიდებულებზე. ცნობილი ოდა „ფელიცა“ გაჟღენთილია ძლიერი სახელმწიფოებრივი ძალაუფლების იდეით. აქ ის უჩვენებს იდეალური მონარქის სახეს და მოუწოდებს „ჭეშმარიტად მეფური ღიმილით ილაპარაკოს“. დერჟავინის ლექსებში ერთმანეთთან თამამადაა შერწყმული „მაღალი“ და „დაბალი“ სტილები, რუსულ ენაში მან შეიტანა ცოცხალი მეტყველების ელემენტები.

XVIII საუკუნის 80-90-იან წლებში გამოქვეყნდა დიდი რუსი მოაზროვნის, მწერლის *ა. ნ. რადიშჩევის* (1749-1802) ფილოსოფიური ნაწარმოებები. ოდა *„თავისუფლება“*, მოთხრობა *„ფვ. უშაკოვის ცხოვრება“* და მთავარი ნაწარმოები – *„მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვში“* – განმსჭვალულია რუსული განმანათლებლობის იდეებით, ბატონყმური წყობისა და თვითმპყრობელობის მხილებით, ხალხისადმი, მათი ცხოვრებისადმი თანაგრძნობით. წიგნი მოგზაურობა *„პეტერბურგიდან მოსკოვში“* კონფისკებულ იქნა და 1905 წლამდე ვრცელდებოდა ხელნაწერებით, ავტორი გადაასახლეს ციმბირში.

რუსული სენტიმენტალიზმის ფუძემდებელია *ნ. მ. კარამზინი* (1766-1826), მოთხრობა *„საწყალი ლიზა“* სენტიმენტალიზმის მწვერვალია. იგი ავტორია *„რუსი მოგზაურის წერილები“*-სა. კარამზინის ძირითადი თხზულებაა *„რუსეთის სახელმწიფოს ისტორია“* (12 ტომად), რაც რუსული ისტორიული მეცნიერების განვითარების ახალი ეტაპია და მასთან ერთად, რუსული პროზის ნიმუში.

არქიტექტურა. მშენებლობა

პეტრე I-ის ეპოქაში არქიტექტურასა და მშენებლობაში დაინერგა სიახლე, გამოწვეული მთავრობის მოთხოვნით: არქიტექტურულ ნაგებობებში უნდა გამოსახულიყო რუსული იმპერიის სიძლიერე, დიდებულება და სიდიადე. მთავრობა აფინანსებდა მხოლოდ მსხვილ მშენებლობებს.

ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურმა განვითარებამ სამოქალაქო მშენებლობას წამოუყენა ახალი მოთხოვნები. სამრეწველო მაინფაქტუ-

რების გამოჩენამ, სენატის დაარსებამ, კოლეგიებმა მოითხოვა ახალი ტიპის მშენებლობები.

მოსკოვის მშენებლობა გამოირჩეოდა ქალაქური შენობების მრავალფეროვნებით. მომრავლდა დიდგვაროვნული კარ-მიდამოები, განლაგებული ფართო სივრცეში, ერთმანეთისაგან შორი-შორს განცალკევებული. ყველაზე საინტერესო ნაგებობები იმ დროისათვის მოსკოვში იყო *ტალიზინის ეზო, მაზეპის ეზო, ქვის დიდი ბიჭი, არსენალი* კრემლში, აგრეთვე მთავარი აფთიაქის სამსართულიანი შენობა, სადაც ადრე რუსეთის პირველი უნივერსიტეტი იყო.

XVIII ს. დასაწყისის *ტაძრულ ბუროთმოძღვრებაში განსაკუთრებით გამოირჩევა გაძრიელ მთავარანგელოზის (მენშიკოვის კოშკი)* ეკლესია, აგებული ნიჭიერი რუსი არქიტექტორის *ი.პ. ზარუდნის* (?–1727) მიერ. ეკლესიის ტრადიციული კომპოზიცია (რვიანი ოთხიანზე) მას ახლოვებს XVII საუკუნის ნაგებობებთან, მაგრამ მისი დაბოლოება 30 მეტრიანი სიმაღლის წვეტის სახით ანგელოზის ქანდაკებასთან ერთად (წვეტი არსებობდა 1723 წლის ხანძრამდე) და თიხისგან ნაბერწი მდიდრული მორთულობა ევროპული ბაროკოს სტილში მეტყველებს ახალ ტენდენციებზე არქიტექტურაში, რომელიც შემოვიდა პეტრე I რეფორმებთან ერთად. მენშიკოვის კოშკი გამოირჩევა გაბედული მაღლივი კომპოზიციური გადაწყვეტილებით, დეკორის ორიგინალურობით. ამასთან ერთად ეს არის გარდამავალი პერიოდის ნიმუში XVII საუკუნის იარუსიანი კომპოზიციისა და XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ბაროკოს სტილს შორის.

XVIII ს. 50-იან წლებში მოსკოვის გამოჩენილი ბუროთმოძღვარია *დ.ვ. უხტომსკი* (1719-1774), რუსული ბაროკოს სტილის წარმომადგენელი. მისი პროექტით ხის *ტრიუმფალური წითელი ჭიშკარი* 1753 წ. შეიცვალა ქვის ჭიშკრით. ისინი მორთული იყო სკულპტურული ფიგურებით, სვეტების ჯგუფებით, დეკორატიული ლარნაკებით.

უხტომსკის განსაკუთრებით გამორჩეული ქმნილებაა – *ბერვის სამების ლავრის სამრეკლო*, რომელიც გამოირჩევა მრავალიარუსიანი კომპოზიციით და მდიდრული დეკორატიული მორთულობით. კოლონის ფიგურული გუმბათი განლაგებულია ყოველ იარუსში თავისებურად, დეკორატიული ლარნაკები ქმნიან შესანიშნავ მორთულობას ამ ცნობილი ქმნილებისათვის.

1749 წელს დ.ვ. უხტომსკიმ მოსკოვში გახსნა საარქიტექტურო სკოლა, სადაც მისი ხელმძღვანელობით განათლება მიიღეს ისეთმა

გამოჩენილმა რუსმა არქიტექტორებმა, როგორიც იყვნენ ვ.ი. ბაჟენოვი, მ.ფ. კაზაკოვი, ი.ე. სტაროვი და სხვა.

ვ.ი. ბაჟენოვის (1737/38-1799) მიერაა აგებული *სასახლისა და პარკის ანსამბლი ცარიცინოში, პაშკოვის სახლი* მოსკოვში, *მიხაილოვსკის ციხე-სიმაგრე* პეტერბურგში. მისი ქმნილებები გამოირჩევა გაბედული კომპოზიციით, ჩანაფიქრის მრავალფეროვნებით, ევროპულისა და რუსული სტილის შერწყმით.

მ.ფ. კაზაკოვის (1738-1812) პროექტითაა აგებული მოსკოვის კრემლის *სენატი, მოსკოვის უნივერსიტეტი, გალიცინის საავადმყოფო* (ამჟამად ქალაქის პირველი), *პეტრეს სასახლე*, აგებული ფსევდო გოთიკურ სტილში, *თავადთა საკრებულო* დიდებული *სვეტებიანი* დარბაზით. კაზაკოვი ხელმძღვანელობდა მოსკოვის გენერალური გეგმის შედგენას, დააარსა არქიტექტურის სკოლა.

ი.ე. სტაროვი (1745-1808) ავტორია მთელი რიგი შესანიშნავი არქიტექტურული ქმნილებებისა პეტერბურგში – *სამების ტაძარი, ალექსანდრე ნეველის ლავრა* და *თაურიზის სასახლე* – რუსეთ-თურქეთის ომში გამარჯვების ძეგლი.

პეტრეს ეპოქა, უპირველესად ესაა ახალი დედაქალაქის – *პეტერბურგის* (1703) მშენებლობა, რისთვისაც მოწვეულნი იყვნენ უცხო ქვეყნის ხუროთმოძღვრები ტრეზინი, რასტრელი. პირველ ეტაპზე მშენებლობას ხელმძღვანელობდა დ. *ტრეზინი* (დაახლ. 1670-1734). ახალი დედაქალაქის აგება ჩაფიქრებული იყო, როგორც *რეგულარული* (დაგეგმილი) ქალაქისა, გრძელი სხივისებური პროსპექტებით, კვარტალებისა და ქუჩების ანსამბლებით, მოედნებით, თანაბარი სიმაღლის ქვის სახლებით. ტრეზინი იყო აუტორი საცხოვრებელი შენობების „ტიპური პროექტების“ სამი კატეგორიისა: სახელოვანი მოქალაქეებისათვის, მდიდართათვის და უბრალო („მდაბიო“) ხალხისათვის.

ტრეზინის მიერ დაპროექტებული საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობანი გამოირჩეოდა სტილის სისადავით – *ადრინდელი სადმირალოს შენობა, თორმეტი კოლეგიის შენობა*. მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაგებობაა – *პეტრე-პავლეს ციხე-სიმაგრის ტაძარი* (1712-1733), რომელიც გამოირჩეოდა მაღალი ვიწრო წვეტიანი სამრეკლოთი.

პეტერბურგის მშენებლობასთან ერთად მიმდინარეობდა საგარეუბნო სასახლეების მშენებლობა საუცხოო ბაღების ანსამბლებით, აგრეთვე *კრონშტადტისა* და *ურალზე ეკატერინბურგის* მშენებლობანი. *პეტერგოფი* ჩაფიქრებული იყო, როგორც პეტრე I-ის რეზიდენცია

ქალაქგარეთ, ვერსალის სასახლის მსგავსი, განსაკუთრებით მისი ცენტრი შადრევნების კასკადით და სამსონის სკულპტურული ფიგურით.

რუსული ბაროკოს განვითარების ზეობაა მამა-შვილი რასტრელების შემოქმედება. იტალიელი მოქანდაკე *ბ. კ. რასტრელი* (1675-1744) 1716 წლიდან მუშაობდა პეტერბურგში, მონაწილეობას იღებდა პეტერგოფის დეკორატიულ გაფორმებაში. იგი პეტრე I-ის ბრინჯაოს ქანდაკებისა და ქანდაკებების ჯგუფის სახელწოდებით *„იმპერატრიცა ანა იოანეს ასული და ბავშვი ბიჭი“-ს* ავტორია.

რასტრელის ვაჟი *ძ. რასტრელი-უმცროსი* (1700-1771) უკვე რუსი არქიტექტორი იყო, რომლის შემოქმედებაშიც ერთმანეთს შეერწყა რუსული და დასავლური ტრადიციები. მისი პროექტებითაა აგებული პეტერბურგში *სმოლნის მონასტერი* და *ზამთრის სასახლე*, პეტერგოფში *დიდი სასახლე*, ცარსკოე სელოში *ეკატერინეს სასახლე* და სხვა. რასტრელს უყვარდა ბრწყინვალება, ნათელი საღებავები, მდიდარი სკულპტურული მორთულობები, თავისებური ორნამენტები.

XVIII ს. 60-იან წლებში რუსულ ბაროკოს ჩაენაცვლა *რუსული კლასიციზმი*, რომელმაც თავისი განვითარების მწვერვალს XIX ს. დასაწყისში მიაღწია. ის განსაკუთრებით გამომჟღავნდა *სამამულო ომის* მშენებლობაში, რაც წარმოადგენდა მყუდრო და დახვეწილ სვეტებიან სახლებს, რომელიც კარგად ესადაგებოდა რუსულ პეიზაჟს.

კლასიციზმის მთავარი მიღწევაა – *ანსამბლურობა*, სივრცის ორგანიზება: მკაცრი სიმეტრია, სწორი ხაზები, სვეტების პირდაპირი რიგები. ამის ნათელი მაგალითია პეტერბურგის *სასახლის მოედანი*, რომელიც აშენებულია არქიტექტორ *კ.ი. როსის* (1775-1849) პროექტით. იგი წარმოადგენს მოედნის შუაგულში აღმართულ ალექსანდრესეულ სვეტზე შემდგარ მთავარი შტაბის შენობას ორმაგი თაღით და მოცურავე ჩამკეტი რკალით, იქვე დგას ბაროკოს ფასადით დამშვენებული ზამთრის სასახლე.

XVIII ს. რუსეთში არქიტექტურა და მშენებლობა განვითარების ზენიტშია, შემონახული შენობები დღესაც არა მარტო რუსეთის ქალაქების მშვენებაა, არამედ მსოფლიო მნიშვნელობის შედევრები.

სახვითი ხელოვნება

XVIII საუკუნეში სახვითი ხელოვნებაც – ფერწერა, ქანდაკება და სხვა განიცდის ცვლილებას. ეს არის *პორტრეტული ფერწერის* აყვავების პერიოდი. რუსულმა პორტრეტმა შეინარჩუნა თავისი ყოფითი მხატვრული ხაზი და ამასთან ერთად შეითვისა დასავლური ტრადიციებიც.

პეტრეს ეპოქის ყველაზე ცნობილი მხატვრებია *ა. მატვეევი* (1701-1739) და *ი. ნიკიტინი* (დაახლ. 1690-1742) – რუსული საერო ფერწერის ფუძემდებლები. ისინი ფერწერის ხელოვნებას დაეუფლნენ საზღვარგარეთ. მატვეევის პორტრეტებისათვის დამახასიათებელია ძალდაუტანებელი ბუნებრივი პოზები და სახასიათო სიწრფელე. მას ეკუთვნის რუსულ ხელოვნებაში პირველი *ავტოპორტრეტი „ავტოპორტრეტი ცოლთან ერთად“*. თავის პორტრეტებში ი. ნიკიტინი ცდილობდა გადმოეცა მოდელის ინდივიდუალური სახასიათო ხაზები, საგნები გადმოეცა გამომსახველობით. პორტრეტებში *„პეტრე პირველი სიკვდილის სარეცელზე“* და *„ყვლეის კაზაკთა გეტმანი“* მან ბევრად გაუსწრო წინ თავის თანამედროვეებს მხატვრული გამოსახვის სიღრმითა და ფორმით.

პეტრეს ეპოქაში პორტრეტის გამოჩენა აკადემიკოს ი.ე. გრაბარის სიტყვებით „იყო ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელმაც გადაწყვიტა რუსული ფერწერის ბედი“.

20-იანი წლების ბოლოს ფერწერაში შეიმჩნეოდა გადახრა *სასახლის კარის* მიმართულებით. ეს იყო დრო, როდესაც მიმდინარეობდა პიროვნების ინტენსიური განვითარება, რამაც ასახვა პოვა XVIII ს. საუკეთესო პორტრეტისტების – ანტროპოვის, როკოტოვის, ლევიცკის, ბოროვიკოვსკის, მოქანდაკეების შუბინის და კოზლოვსკის შემოქმედებაში.

ა.პ. ანტროპოვის (1716-1795) პორტრეტებმა შეიძლება ვერ კიდევ შეინარჩუნეს კავშირი პარსუნასთან, მაგრამ გამოირჩევიან ადამიანის პიროვნული მახასიათებლების რეალური გამოსახვით (პეტრე III-ის პორტრეტი).

ღრმა პოეტურობით და ფერწერული სინაზით გამოირჩევა *ფ. როკოტოვის* (1753-1808) მიერ შესრულებული პორტრეტები, რომლებიც გამსჭვალულია სულიერებითა და ფიზიკური სილამაზის შეცნობით (*„ჯავრდისფურკაბიანი უცნობი ქალი“, „ე.ე. ნოვოსილცევას პორტრეტი“*).

იმ პერიოდის უდიდესი პორტრეტისტია *დ.გ. ლევიცკი* (1735-1822), მან შექმნა საზეიმო – სადარბაზო პორტრეტების დიდებული სერია – ეკატერინე II-დან დაწყებული მოსკოველ ვაჭართა პორტრეტებამდე. მის ტილოებში საღღესასწაულო განწყობა შერწყმულია მდიდრულ სილამაზესთან, მიმზიდველობითაა აღსავსე ქალთა პორტრეტები, განსაკუთრებით გამოირჩევა სმოლნის ინსტიტუტის აღზრდილები – სმოლნელი ქალიშვილები.

ვ.ლ. ბოროვიკოვსკის (1757-1825) შემოქმედება გამოირჩევა დეკორატიული სიფაქიზისა და დახვეწილობის შერწყმით სასიათის ნამდვილ გადმოცემასთან. ის პორტრეტს ხატავს ჰაეროვანი პეიზაჟის ფონზე. საუცხოოა მისი მომხიბლავი ახალგაზრდა ქალის *მ.ი. ლოპუხინას* ლირიული პორტრეტი.

ცნობილი მოქანდაკე *ფ. შუბინი* (1740-1805), მ.ი. ლომონოსოვის მიწა-წყლიდან, ხოლმოგორელი გლეხი იყო. 19 წლის უნიჭიერესი ახალგაზრდა ჭაბუკი გაემგზავრა პეტერბურგში. ჯერ იყო შეგირდი, შემდეგ სამხატვრო აკადემიის მოსწავლე, მხატვრობაში დაოსტატდა საზღვარგარეთ. შუბინმა შექმნა ფსიქოლოგიური გამომსახველობის სკულპტურული პორტრეტები — *ა.მ. გალიცინის, მ. რ. პანინის, ი.ვ. ორლოვის, მ.ვ. ლომონოსოვის* ბიუსტები.

კლასიკური მიმართულების მხატვარი და მოქანდაკეა *მ. კოზლოვსკი* (1753-1802). მისი შემოქმედება გამსჭვალულია განმანათლებელთა იდეებით, ამაღლებული ჰუმანიზმით, მკვეთრი ემოციურობით. ეს განსაკუთრებით აშკარად გამომჟღავნდა პეტერგორფის შადრევნების კასკადის სკულპტურულ ჯგუფში *„სამსონი, ხაბას უპობს ლომს“* — ალეგორიაა, რაშიც განსახიერებულია რუსების გამარჯვება შვედებზე. საინტერესოა *ა.ე. სუვოროვის* ძეგლი (მარსის სახით) პეტერბურგში.

ცნობილი ფრანგი მოქანდაკე *ე.მ. ფალკონე* (1716-1791) მოსკოვში ჩამოვიდა სპეციალურად პეტრე I ძეგლის შესაქმნელად. 12 წელი იმუშავა ქანდაკებაზე *„პეტრეს მხედარი“*. ძეგლის გახსნა მოხდა 1782 წ. სენატის მოედანზე. „პეტრეს მხედარში“ იგულისხმება ნევაზე ქალაქის დამაარსებლის სახე, გარდამქმნელის გამოსახულება: მალაყზე შემდგარი ცხენი თვითნებურად ემორჩილება ყოვლისმძლე მხედრის ძლიერ, ღონიერ ხელს. ძეგლი ნევაზე მდებარე ქალაქის სიმბოლოდ იქცა.

XVIII საუკუნის ბოლოს იქმნება მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი სამხატვრო კოლექცია — *ერმიტაჟი*. მისი საფუძველი იყო ეკატერინე II მიერ შეგროვილი დასავლეთ ევროპის მხატვართა ნამუშევრების კოლექცია. ერმიტაჟში იმართებოდა, აგრეთვე, სპექტაკლები, მუსიკალური საღამოები. XVIII საუკუნის სახვითმა ხელოვნებამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ საერო მხატვრობის განვითარებაში.

თეატრი. ბალეტი. მუსიკა

XVIII ს. გრძელდებოდა *თეატრის* განვითარება. 1702 წ. პეტრეს სურვილით შეიქმნა *საზოგადოებრივი თეატრი* მასობრივ საზოგადოებაზე გათვლით. სპეციალურად ამისათვის მოსკოვში წითელ მოედანზე აშენდა „კომედიური ტაძარი“, სადაც სპექტაკლებს მართავდა გერმანელთა დასი *ი.ბ. კუნსტის* ხელმძღვანელობით, რომელიც შემდგომში „რუს ყმაწვილებსაც“ ასწავლიდა. რეპერტუარში იყო საზღვარგარეთული პიესები, რომლებსაც რუს მაყურებელში აღფრთოვანება არ გამოუწვევია, ამიტომ თეატრმა არსებობა შეწყვიტა, რამდენადაც შეუწყდა პეტრე I-ის სუბსიდიები.

XVIII ს. დასაწყისში მოღვაწეობას აგრძელებდა სლავურ-ბერძნულ-ლათინურ აკადემიასთან არსებული *სასკოლო თეატრი*, სადაც იდგმებოდა სპექტაკლები პეტრე I-ის საქმეთა მადიდებელ თემებზე.

პეტრეს ოფიციალური თეატრი დაიშალა რამდენიმე ცალკეულ თეატრად. თეატრალური დასები აგრძელებდნენ თავიანთ მოღვაწეობას დედაქალაქსა და პროვინციებში.

XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან პეტერბურგში კვლავ აღმოცენდა ოფიციალური თეატრი. 40-იან წლებში შლიახტის კადეტთა კორპუსთან შეიქმნა სასკოლო თეატრი, სადაც მსახიობებად გამოდიოდნენ კორპუსის მოსწავლეები. თეატრის სული და გული იყო *ა. სუმაროკოვი*, რომელიც იქ დგამდა რუსულ პიესებსაც. სწორედ აქ დაიდგა პირველი რუსული ტრაგედია, სუმაროკოვის *„ხორევი“*.

XVIII საუკუნის შუა ხანებში რუსეთის იმპერიის ბევრ ქალაქში გამოდიოდნენ უცხო ქვეყნების მსახიობთა დასები — ფრანგული, გერმანული და სხვა. მაგრამ საზოგადოების ინტერესი მაინც რუსული თეატრისადმი იყო მიმართული, რაც დაკავშირებული იყო ნაციონალური თვითშეგნების ზრდასთან.

1750 წ. *იაროსლავში* სპექტაკლების დადგმა დაიწყო რუსი მსახიობებით, მხატვრებით, მუსიკოსებით დაკომპლექტებულმა პირველმა პროვინციულმა საზოგადოებრივმა თეატრმა. მის რეპერტუარში რუსული პიესებიც შედიოდა. თეატრს ხელმძღვანელობდა პირველი ცნობილი რუსი მსახიობი *ფიოდორ ვოლკოვი* (1729-1763). დედოფალმა ელიზავეტა პეტროვნამ 1752 წ. ფიოდორ ვოლკოვი მთელი დასით მიიწვია სასახლეში და თეატრი პეტერბურგში გადასახლდა. 1756 წ. ამ დასის საფუძველზე დედოფლის ბრძანებით შეიქმნა თეატრი „ტრაგედიისა და კომედიის წარმოსადგენად“. მისი დირექტორი გახდა სუმაროკოვი, სასახლის კარის პირველი მსახიობი კი — ფ. ვოლკოვი. ამრიგად შეიქმნა პირველი მუდმივმოქმედი *პროფესიული* სახელმწიფო საზოგადოებრივი თეატრი სახელწოდებით *რუსეთის* თეატრი (1832 წლიდან ალექსანდრეს თეატრი).

1779 წ. შეიქმნა *კერძო თეატრი ცარიცინის მდელოზე* (მარსის ველი), რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი რუსი მსახიობი *ი. ლ. დმიტრიევსკი* (1734-1821). მან სამსახიობო მოღვაწეობა დაიწყო იაროსლავლში ფ. ვოლკოვის თეატრში, შემდეგ გახდა რუსეთის თეატრის მსახიობი. დმიტრიევსკი იყო აგრეთვე რეჟისორიც და პედაგოგიც, რუსეთის აკადემიის ნამდვილი წევრი. ცარიცინის მდელოზე მისი თეატრის სცენაზე პირველად დაიდგა დ. ი. ფონვიზინის პიესები. 1783 წ. ეკატერინე II-ის ბრძანებით თეატრი დაიხურა.

1780 წ. მოსკოვში გაიხსნა *პეტროვსკის (პეტრეს) თეატრი*, სადაც იდგმებოდა დრამატული, საოპერო და საბალეტო სპექტაკლები.

XVIII ს. ბოლოს აღმოცენდა *ბატონყმური თეატრი* – თავადაზნაურთა თეატრები ყმა მსახიობთა დასებით. ასეთი თეატრები ძირითადად იქმნებოდა მოსკოვსა და მის გარეუბნებში (შერემეტევის, იუსუპოვის და სხვა). რუსული თეატრალური ხელოვნების ისტორიაში შევიდა ყმა მსახიობების *პრასკოვია ჟემჩუგოვას* (1768-1803), *ტ.ვ. შლიკოვა-გრანატოვას* სახელები. თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის დასაწყისში ყმა იყო რუსული დრამატული თეატრის გამოჩენილი მსახიობი *მიხაილ სემიონოვიჩ შჩეპკინი* (1788-1863). ბატონყმური თეატრები გახდა რუსული პროვინციული სცენის ძირითადი საფუძველი.

რუსეთში *ბალეტი* ჩაისახა, როგორც დამოუკიდებელი საცეკვაო ნომრები, რომელსაც ასრულებდნენ თავდაპირველად დრამატული სპექტაკლების, შემდეგ საოპერო სპექტაკლების ანტრაქტების დროს. თანდათანობით იქმნებოდა საბალეტო დასები. სასახლის ბალეტის მოცეკვავეთა ჯგუფებისათვის მოცეკვავეთა მოსამზადებლად 1738 წ. დამტკიცდა სპეციალური პროექტი „მისი უდიდებულესობის საკუთარი საცეკვაო სკოლისათვის".

1741 წ. პეტრე I-ის ქალიშვილის ელიზავეტას რუსეთის ტახტზე ასვლასთან დაკავშირებით, გამოვიდა ბრძანება პეტერბურგში რუსული საბალეტო დასის დასაარსებლად. მოწვეული იყო ავსტრიელი ბალეტმეისტერი გილფერდინგი, რომელმაც 1760 წ., დადგა ბალეტი „*ფლორას გამარჯვება ბორეემზე*", რომლის შემდეგაც *სიუჟეტური* ბალეტი მყარად დამკვიდრდა რუსეთში. პირველი რუსული ბალეტის ლიბრეტოს ავტორია *ა.პ. სუმაროკოვი*.

უცხოელ მოცეკვავეებთან ერთად სახელი მოიხვეჭეს რუსმა არტისტებმაც. პეტერბურგში პირველი მოცეკვავე გახდა *ტიმოფეი ბუბლიკოვი*, მან მოიპოვა სასახლის კარის მოდელის ხარისხი და წოდება – კარის ტანცმეისტერი. მოსკოვში ბალეტის გამოჩენილი

მსახიობები იყვნენ *თან ეროჰკინი, ვასილი ბალაშოვი, გავრილო რაიკოვი*. პირველი რუსი ბალეტმეისტერები ბალაშოვი და რაიკოვი დგამდნენ კომიკურ ბალეტებსა და დივერტისმენტებს. წამყვანი მოსკოველი მოცეკვავე იყო *არინა პოპაკინა*.

XVIII საუკუნეში ფართოდ გავრცელდა საერო *მუსიკალური ხელოვნება* – სამოყვარულო მუზიცირება, საოჯახო და საზოგადოებრივი კონცერტები რუსი და საზღვარგარეთელი შემსრულებლების მონაწილეობით. 1772 წ. პეტერბურგში დაარსეს „*მუსიკალური კლუბი*", 1802 წ. კი *ფილარმონიული საზოგადოება*, ამ კონცერტებზე სრულდებოდა ძველებური და კლასიკური მუსიკა.

XVIII ს. ბოლო მესამედში ჩამოყალიბდა *რუს კომპოზიტორთა სკოლა*, გამოჩნდნენ პირველი რუსი კომპოზიტორებიც – საოპერო, საგუნდო, ინსტრუმენტული, კამერული მუსიკის ავტორები.

იმ დროის რუსული სამუსიკო კულტურის თვალსაჩინო მიღწევად უნდა ჩაითვალოს *ე. ი. ფომინის* (1761-1800) მუსიკალური მელოდრამა „*ორფეოსი*", კომპოზიტორმა, რუსულ ნაციონალურ სიუჟეტზე შექმნა ოპერა „*შეყვარებული სადგომზე*", ოპერა „*ამერიკელები*" და სხვა. წამყვანი სამუსიკო ჟანრი გახდა ოპერა.

XVIII ს. ბოლოს და XIX ს. დასაწყისში გაჩნდა კამერული ლირიკული სიმღერის ახალი ჟანრი - *რუსული რომანსი*. რუსული რომანსის ერთ-ერთი შემქმნელი იყო *ო.ა. კოზლოვსკი* (1754-1831), რომელმაც დაწერა „*რუსული სიმღერები*", ჰეროიკულ-პატრიოტული პოლონეზები. ერთი მათგანი, შექმნილი გ.რ. დერჟავინის სიტყვებზე - „*ჟამარჯვების შემო, დასტკბე*" - დიდხანს რუსული ეროვნული ჰიმნი იყო.

საეკლესიო მუსიკას ამ დროს წარმოადგენდა *კომპოზიტორი დ.ს. ბორტნიანსკი* (1751-1825) – საიმპერატორო კარის სასიმღერო კაპელის დირექტორი, კამერულ-ინსტრუმენტული ანსამბლების, ლიტურგიების, საგუნდო კონცერტების ავტორი. ბორტნიანსკის ეკუთვნის ოპერა „*შეყვარულნი*", „ *მეტოყე-ვაჟიშვილი*" და სხვა.

XVIII ს. რუსეთის ისტორიულ-კულტურული განვითარების შედეგები ერთობ მნიშვნელოვანია. ხელოვნების ნებისმიერ სახეობაში ვითარდებოდა რუსული ნაციონალური ტრადიციები და მასთან ერთად იგრძნობოდა ურთიერთობის გაფართოება საზღვარგარეთის ქვეყნებთან, რამაც საგრძნობი გავლენა იქონია რუსულ კულტურაზე.

რუსული სახელმწიფოს ძლევამოსილების გაძლიერებამ, რომელიც გახდა მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი სახელმწიფო, ხელი შეუწყო რუსი ერისა და ერთიანი რუსული ენის

ჩამოყალიბებას, რაც რუსი ხალხის დიად კულტურულ სიმდიდრედ იქცა. განვითარდა კულტურის ყველა მიმართულება – განათლება, წიგნის ბეჭდვა, ლიტერატურა, არქიტექტურა, სახვითი ხელოვნება.

მოხდა კულტურის სეკულარიზაცია, გამსოფლიურება, რუსეთში შემოვიდა განმანათლებლობის იდეები. ამან ხელი შეუწყო კულტურის ახალი სახეობების დანერგვას – გაჩნდა პირველი ლიტერატურული ჟურნალები, მხატვრული ლიტერატურა, ყველასათვის მისაწვდომი თეატრი, საერო მუსიკა. საგრძნობლად ამაღლდა რუსი ხალხის სულიერი შემოქმედების სფერო.

XVIII საუკუნის რუსეთის კულტურის განვითარებამ მოამზადა XIX საუკუნის რუსული კულტურის ბრწყინვალე აღმავლობის ნიადაგი, რომელიც იქცა მსოფლიო კულტურის განუყოფელ ნაწილად.

ძირითადი ტერმინები და ცნებები


აბსოლუტური მონარქია
ავტოპორტრეტი
ანსამბლი
ბატონყმური თეატრი
ნაციონალური რუსული კულტურა
ოდა
რეალიზმი
რუს კომპოზიტორთა სკოლა
რუსი ერი
რუსული რომანსი
რუსული სენტიმენტალიზმი
რუსული ბაროკო
სილაბურ-ტონური ლექსწყობა
სოციალური კომედია
საკარმიდამო მშენებლობა
საეკლესიო-სამრევლო სასწავლებელი
ციფრული სკალა
სასკოლო თეატრი

კითხვები გამეორებისათვის

1. გვიამბეთ განათლების განვითარების შესახებ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში.
2. დაახასიათეთ წიგნის გამოცემის საქმიანობა რუსეთში XVIII საუკუნეში.
3. რომელი მიმართულებები აღმოცენდა ამ პერიოდში ხელოვნებაში, ლიტერატურაში, არქიტექტურაში? დაასახელეთ ამ მიმართულებების გამოჩენილი წარმომადგენლები.
4. გვიჩვენეთ XVIII საუკუნის ბოლოსათვის რუსი ერის ჩამოყალიბების პროცესის დამთავრების ურთიერთკავშირი, კულტურის ახალი სფეროების (მეცნიერების, მხატვრული ლიტერატურის, საერო ფერწერის, თეატრის) გამოჩენა, განათლების განვითარება.

თავი 13

ევროპის კულტურა XIX საუკუნეში



პარიზის ოპერა – არქიტექტურის ნამდვილი შედევრი, გვაოცებს განსაკუთრებული დეკორატიული მორთულობის სიმდიდრით.

XIX საუკუნე ევროპული ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების განვითარების ის პერიოდია, როცა შეიქმნა და გამოჩნდა ნაწარმოებები, რომლებიც არის კულტურის და კაცობრიობის გენიის დიდი მონაპოვარი, თუმცა მისი განვითარების პირობები იყო რთული და წინააღმდეგობრივი.

ფაქტორები, რომლებმაც ზეგავლენა იქონიეს მხატვრული შემოქმედების ძირითად პროცესებსა და მიმართულებებზე იყო სხვადასხვანაირი. ისინი მოიცავდნენ ცვლილებებს ბაზისურ ურთიერთობებში, პოლიტიკურ ცხოვრებაში, მეცნიერების განვითარებაში, საძრეწველო რევოლუციასა და მის შედეგებში, რელიგიურ ასპექტებში.

XIX საუკუნე მრავალი ევროპული ქვეყნისთვის ბურჟუაზიული რევოლუციების საუკუნეა, რომელმაც მოიტანა მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის დამტკიცება, დაფუძნებული მეწარმეობის თავისუფლებაზე, ეკონომიკის ყველა სფეროში დაქირავებული მუშახელის გამოყენებასა და სახელმწიფოებრივი წყობის ფორმების შეცვლაზე.

XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა ინდუსტრიული ცივილიზაცია – დამთავრდა საწარმოო გადატრიალება დაფუძნებული საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ცვლილებებსა და დასაქმების საწარმოო ფორმაზე. მოგლიჯა რა უზარმაზარი ხალხის მასა ძველ სოციალურ სტრუქტურებს, ამასთან ერთად ამ სტრუქტურების რღვევით, ინდუსტრიალიზაცია გახდა ის მამოძრავებელი ძალა, რომელმაც მასები მიიყვანა ახალ ურთიერთობებთან, ასწავლა ცხოვრების ახალი წესი, შრომის რითმი, დისციპლინა, მნიშვნელოვნად გაზარდა რა წიგნიერება და ყოფითი ცხოვრების ჰორიზონტები.

XIX ს. გახდა მეცნიერებაში უწყვეტი, რევოლუციური გადატრიალებების საუკუნე. პირველ ყოვლისა ეს არის კლასიკური ბუნებისმცოდნეობის აღორძინების, მეცნიერების ერთიანი სისტემის შექმნის ხანა. მტკიცდება კავშირი მეცნიერებასა და წარმოებას შორის, მეცნიერება მცირედან გარდაიქმნება დიდად – აქ გაცილებით მეტი პერსონალია დაკავებული, ვიდრე ადრე. მიღწეულ იქნა ფილოსოფიური აზრის მნიშვნელოვანი განვითარება, ისტორიული მეცნიერებების მიმართ გამოვლინდა საყოველთაო დაინტერესება, წინ წაიწია ენათმეცნიერებამ, არქეოლოგიამ; საფუძველი ჩაეყარა მეცნიერულ ფოლკლორისტიკას, ხელოვნებათმცოდნეობას, ლიტერატურათმცოდნეობას.

საზოგადოებაში ათეისტური ტენდენციების გაძლიერებამ გამოიწვია ეკლესიის სერიოზული კრიზისი – ევროპაში ჩნდება ახალი რელიგიები, იბადება ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის კონცეფციები, სინდისის, სარწმუნოების თავისუფლება, განათლების

სეკულარიზაცია და სხვა. ყოველივე ეს არყევს რელიგიის, როგორც ინტეგრირებული საწყისის გავლენას, ცვლის საზოგადოებრივი კავშირების ხასიათს – საზოგადოების ერთიანობა, როგორც ნაციონალური და პროფესიონალური ერთიანობა, კულტურული დაახლოების ვერტიკალზე, ერთი და იგივე პროფესიონალური საქმიანობის ჩარჩოებში ხდება.

ეკონომიკურ ბაზისზე XIX საუკუნეში მომხდარმა ძლიერმა ძვრებმა, ფილოსოფიის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ, დიდი ზეგავლენა იქონიეს ევროპული ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაზე.

XIX საუკუნის ევროპული კულტურის განვითარების თავისებურება იყო მხატვრული შემოქმედების მიმართულების და ჟანრის განსაკუთრებული მრავალფეროვნება. კლასიციზმი, სენტიმენტალიზმი, რომანტიზმი, რეალიზმი, სიმბოლიზმი, ნატურალიზმი, იმპრესიონიზმი, პოსტიმპრესიონიზმი – ეს ის ძირითადი მიმართულებებია, რომლებმაც მოიცვა ხელოვნების პრაქტიკულად ყველა სფერო – ლიტერატურა, ფერწერა, მუსიკა XIX საუკუნის ევროპაში. მიუხედავად სტილის მრავალფეროვნებისა, რომელიც იმ ასწლეულში ჩამოყალიბდა, მაინც უპირველესად ითვლება რეალისტური მხატვრული მიმართულება, რომელმაც ხელოვნების ყველა სფეროში და ყველა ქვეყანაში ბრწყინვალე შედეგები მოგვცა.

კლასიციზმი (ლათ. classicus – სანიმუშო)

ამ მიმართულების საწყისია XVII საუკუნე, ძირითადად ფრანგულ კულტურაში გამოხატული აბსოლუტიზმის იდეების სახით. XVIII საუკუნეში კლასიციზმი დაკავშირებული იყო ბურჟუაზიულ განათლებასთან და გამოხატავდა საზოგადოების ბურჟუაზიულ-რევოლუციურ მისწრაფებებს. კლასიციზმის სტილი, დაფუძნებული რაციონალიზმის იდეებზე, ისწრაფვოდა გამოეხატა ამაღლებული, ჰეროიკული და ზნეობრივი იდეალები, ცდილობდა შეექმნა მკაფიო, ორგანული ნიმუშები. ამასთან ერთად, კლასიციზმს მისი კრიზისის ხარდის პერიოდში ახასიათებდა უტოპიზმის, იდეალიზაციის, აკადემიურობის, განყენებულობის თვისებები.

ლიტერატურაში კლასიციზმი წარმოდგენილია გერმანული კლასიკური ლიტერატურის ფუძემდებლების ი. ვ. გოეთეს და ი. ფ. შილერის შემოქმედებაში.

დიდმა *იოჰან ვოლფგანგ გოეთემ* (1749-1832) თავისი ლიტერატურული საქმიანობა დაიწყო მეამბოხეობით (ლიტერატურული მიმართულების *„ქარიშხალი და შტურმი“* ერთ-ერთი ორგანი-

ხატორია), სენტიმენტალური რომანტიზმით („აბალგაზრდა გერტერის ვნებანი"), გაიარა ე.წ. ვაიმარის კლასიციზმის პერიოდი.

ამ პერიოდში მან შექმნა „რომაული ელეგია", სტიქიური მატერიალიზმით გაჟღენთილი ნაწარმოები, ავრეთვე დრამა „ეგმონტი", რომელიც შეიცავდა ტირანიასთან ბრძოლისა და ანტიფეოდალურ იდეებს. XIX საუკუნეში გოეთე აგრძელებს არა მარტო აქტიურ მუშაობას (რომანი „ვილჰელმ მეისტერის მოგზაურობის წლები", ლირიკული ლექსების კრებული „დასავლურ-აღმოსავლური დივანი"), არამედ ტრაგედია „ფაუსტში" იგი მივიდა ცხოვრებისეული პრობლემების ფილოსოფიურ გააზრებასთან. ეს გოეთეს შემოქმედების მწვერვალია.

იოჰან ფრიდრიხ შილერი (1759-1805) — გერმანელი პოეტი, დრამატურგი, გამანათლებლობის ხელოვნების თეორეტიკოსია (იხ. თ. II). მისი ცხოვრების ძირითადი ნაწილი მოდის XVIII საუკუნეზე. იგი თანაგრძნობით შეხვდა დიდ ფრანგულ რევოლუციას, მაგრამ გმობდა რევოლუციონერების სისასტიკესა და ტერორს. მისი პირველი დრამა „ყაჩაღები" რესპუბლიკური ხელისუფლების მიერ შეფასებული იყო მაღალ დონეზე. პიესაში „ვერაგობა და სიყვარული" შილერმა წამოსწია წოდებრივი უთანასწორობის პრობლემა, რომლის შედეგადაც იღუპებიან ახალგაზრდა გმირები. შილერი არის ავტორი ტრაგედიებისა „დონ კარლოსი" და „ფიესკოს შეთქმულება", რომლებშიც ისმის ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლის თემა. მან დაწერა ისეთი შესანიშნავი ტრაგედიები, როგორიცაა „მარია სტიუარტი", „ორლეანელი ქალწული" და ხალხური დრამა „ვილჰელმ ტელი", რომელიც შეფასებულია როგორც ბრძოლებში მოპოვებული თავისუფლების ჰიმნი.

დიდი ფრანგული რევოლუციის გავლენა აისახა საფრანგეთის ლიტერატურაში, სადაც გამოვლინდა *რევოლუციური კლასიციზმი*. მისი წარმომადგენლები არიან ბეჭები შენიეები. *ანდრე შენიე* (1762-1794) უმღეროდა რევოლუციის ეპოქას. ქმნიდა ელეგიებს სივყვარულზე, წერდა პოლიტიკურ ოდებს (ციკლი „იამბები"). მისი ძმა *მ. ჟ. შენიე* (1764-1811) — რევოლუციის პოეტი, ტრაგედიების ახალი სახეობის შემქმნელი იყო. პოლიტიკურ მოვლენად იქცა მისი ტრაგედიის „კარლ IX, ანუ გაკვეთილი მეფეებს" დადგმა.

ფერწერაში კლასიკური სტილი წარმოდგენილია ფრანგი მხატვრების დავიდის და ენგრას შემოქმედებაში. *ჟან ლუი დავიდის* (1748-1825) ნახატი, „ჰორაციუსების ფიცი", შექმნილი 1784 წ. საზოგადოების მიერ აღქმული იყო, როგორც მოწოდება რევოლუციური ბრძოლისაკენ. დიდი ფრანგული რევოლუციის იდეებით განმსჭვალულმა დავიდმა, კონვენტის წევრმა, დახატა მთელი რიგი ისტორიული სურათებისა თანამედროვე თემაზე („მარატის სიკვდილი", „ფიცი ბურთის სათამაშო დარბაზში") და ლუვრში შექმნა ნაციონალური მუზეუმი.

ჟან ოგიუსტ ენგრი (1780-1867) — კომპოზიციის ბრწყინვალე ოსტატი, მკაცრი, დახვეწილი ნახატების უბადლო შემსრულებელია. თავისი მოხდენილი, უმცირეს დეტალებამდე ალალ-მართალი პორტრეტებით, ენგრამ დაიმსახურა დიდება, როგორც XIX საუკუნის ერთ-ერთმა საუკეთესო პორტრეტისტმა („ბერტენის პორტრეტი", „მადამ რივიერის პორტრეტი" და სხვა). იგი ხშირად ხატავდა სურათებს მითოლოგიურ სიუჟეტებზე და უყვარდა გაშიშვლებული ქალის სხეულის ხატვა („წყარო", „თურქული აბანო"). იგი იყო საფრანგეთში კლასიციზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი („ჰომეროსის აპოთეოზი").

გერმანული კლასიციზმის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო სკულპტორი *გოტფრიდ შადოვი* (1764-1850). მის ნამუშევრებში რეალიზმი ერწყმის ფორმის იდეალურ სილამაზეს. მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნამუშევრებია — კვადრიგა გამარჯვების ფიგურით ბრანდენბურგის ჭიშკარზე ბერლინში და სკულპტურული ჯგუფი „ქრონპრინცესა ლუიზა და პრინცესა ფრედერიკა", ავრეთვე გამოჩენილ თანამედროვეთა ბიუსტები (ი. ვ. გოეთე და სხვები).

კლასიციზმი წარმოდგენილია ავრეთვე გერმანელი არქიტექტორისა და მხატვრის *კარლ ფრიდრიხ შინკელის* (1781-1841) შემოქმედებაში. ბერლინის თეატრისთვის მან შექმნა დეკორაციები მოცარტის ოპერისათვის „ჯადოსნური ფლეიტა". როგორც არქიტექტორმა აღიარებას მიაღწია თავისი მკაცრი ფორმის ნაგებობებით (დრამატული თეატრი ბერლინში, ახალი საგუშაგო და სხვა).

პლასტიკური დაბოლოება, ცივი თავშეკავება და სახეების იდეალიზაცია („იანსონი", „მერკური სალამურით") დამახასიათებელია დანიელი სკულპტორის *ბ. ტორვალდსენის* (1768-1844) ნამუშევრებისთვის.

ბერძნული და რომაული ანტიკურობის უბრალოებასა და თავშეკავებულობაზე იყო ორიენტირებული იტალიელი სკულპტორი *ა. კანოვა* (1757-1822), რომელმაც უარი თქვა ბაროკოს დეკორატიულობაზე. მისი ქმნილებებიდან ყველაზე სახელგანთქმული არის „პაოლინა *ბორგეზე ვენერას სახით*" და „ამური და ფსიქეა".

XIX საუკუნის შუა პერიოდში კლასიციზმი გარდაიქმნა *პურეტუაზიულ აკადემიზმად* და დაკარგა თავისი მნიშვნელობა.

რომანტიზმი (ფრ. romantisme, შუა საუკუნეებიდან romant — რომანი)

ამ იდეურ-მხატვრულმა მიმართულებამ, გავრცელებულმა ევროპის ყველა ქვეყანაში და ჩრდილო ამერიკაში, ასახვა ჰპოვა მეცნიერების სხვადასხვა სფეროში, ლიტერატურაში, ხელოვნებაში.

რომანტიკული მოძრაობის წარმომადგენლები ავლენდნენ მნიშვნელოვან ინტერესს ნაციონალური წარსულისადმი (ხშირად აიდეალებდნენ მას), თავისი და სხვა ხალხების ფოლკლორული ტრადიციებისა და კულტურისადმი, ისწრაფოდნენ შეექმნათ მსოფლიო უნივერსალური სურათი (უპირველესად ისტორიის და ლიტერატურის სფეროში). რომანტიზმმა აყვავებას მიაღწია XIX ს. 20-30 წწ.

რომანტიზმის ჭეშმარიტი სამშობლო იყო გერმანია. რომანტიზმის მწვერვალს მიაღწია *ერნსტ თეოდორ ამადეი გოფმანმა* (1776-1822). მისი ნაწარმოებებისთვის დამახასიათებელია დრამატიზმი და სარკაზმი, ლირიკა და გროტესკი („*ეშმაკის ელექსირი*"). იგი კრიტიკულად ალიქვამდა ყოფითი ცხოვრების რეალობას („*ოქროს ქოთანი*", ზღაპრები „*ციცქნა ცახესი*", „*რწყილების მბრძანებელი*"). გოფმანი — ერთ-ერთი ფუძემდებელია გერმანული რომანტიკული მუსიკალური ესთეტიკისა და კრიტიკის, ავტორია ერთ-ერთი პირველი რომანტიკული ოპერისა „*უნდინა*". გოფმანის პოეტურმა სახეებმა შთააგონეს კომპოზიტორები რ. შუმანი (ბალეტი „*კრეისლერიანა*"), ჟ. ოფენბახი (ოპერა „*გოფმანის ზღაპრები*"), პ.ი. ჩაიკოვსკი (ბალეტი „*მაკნატუნა*").

XIX საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწეობდა *ჰაინრიხ ჰაინე* (1797-1856), გერმანიის უდიდესი პოეტი. მისი ლირიკა ადასტურებს იმას, რომ მისი ირონია იყო ახალგაზრდობაში რომანტიკული იმედების გაწბილების ფორმა და ილუზიებთან განშორების საშუალება:

ქალწული ზღვასთან მდგომი,
მიფოლებოთ ასჯერ — ხენეშოდა —
მას ასეთ წუხილს გვრიდა
დაიხის შხის ჩასვენება

ქალწულო, იყავით მშვიდად,
არ ღირს ამაზე ოხვრა, —
ის აქ, ჩვენს წინ იძირება
და კვლავაც ამოვა ზურგს უკან.

თავის შემოქმედებაში ჰაინე ეცნობა ხალხურ სიმღერას. ავითარებს რა მის მოტივებს, გერმანელი პოეტი აღწევს ბუნებრივობას, სიცხადეს და უბრალოებას.

1830 წლის ივლისის რევოლუციის შემდეგ ჰაინეს პოეზიაში აჟღერდა რევოლუციური ნოტები. თავისი იდეური განვითარების მწვერვალს ჰაინემ მიაღწია „*თანამედროვე ლექსებში*" და პოემაში „*გერმანია, ზამთრის ზღაპარი*". ლექსების უკანასკნელი წიგნი გახდა „*რომანსერო*". თავის ლექსებსა და პროზაში პოეტი დასცინოდა რევოლუციის შემდგომ რეაქციას, იცავდა ყველას და თითოეულის უფლებას გამოეხატათ თავისი აზრი, აკრიტიკებდა რევოლუციის შეცდომებს.

ჯორჯ ნოელ გორდონ ბაირონის (1788-1824) ლირიკულმა რომანტიზმმა უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ინგლისში. მისმა პოემამ „*ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობა*" წარმოადგინა რევოლუციური მეამბოხე — ინდივიდუალისტი, ნაპოლეონის შემდგომი ხანის ტიპიური იმედგაცრუებული გმირი.

ბაირონის კალამს ეკუთვნის ფილოსოფიური პოემები — დრამები „*მანფრედი*" და „*კაენი*". ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო ნაწარმოებად აღიარებულია ბაირონის „*დონ ჟუანი*" — რომანი ლექსად, თუმცა იგი დაუმთავრებელი დარჩა.

პოეტი მონაწილეობდა იტალიაში კარბონარიების მოძრაობაში, საბერძნეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, სადაც დაილუპა კიდეც. აქტიურმა ჰუმანიზმმა, თავისუფლებისმოყვარეობამ, წინასწარჭვრეტამ გახადა ბაირონი იმდროინდელი ევროპის ფიქრთამპყრობელი.

ინგლისური რომანტიზმის წარმომადგენლები არიან აგრეთვე ჯ. კიტსი და ბ. შელი. *ჯონ კიტსი* (1795 –1821) — არის უმალლესი პოეტური ნიჭით დაჯილდოებული პოეტი. მისი ლექსის სიმდიდრე აისახა პატრიარქალურ — უტოპიურ იდილიაში „*ენდიმიონი*", რომელშიც გამოხატულია პროტესტი პურიტანული ფარისეველებისადმი, ოდებში „*ცქვიტა*", „*ფსიქეა*", „*ოდა ბულბულისადმი*", „*ოდა ბერძნულ ლარნაკს*" ხოტბა აქვს შესხმული სილამაზის კულტს და ჰარმონიას ბუნებაში. იგი ავტორია სიმბოლურ — ალეგორიული პოემისა „*ჰიპერიონი*".

პოეტი — *ლირიკოსი პერსი ბიშუ შელი* (1792 — 1822) ავტორია ალეგორიული პოემისა „*დედოფალი მაბი*", სადაც მხილებულია მისი თანამედროვე საზოგადოების მანკიერებანი. პოემაში „*თხლამის აჯანყება*" შელი ამართლებს დესპოტიის ძალადობრივ დამხობას. ტრაგედიაში „*ჩენჩი*" და ლირიკულ დრამაში „*განთავისუფლებული პრომეთე*" მან გადმოსცა თავისუფლებისა და ტირანიის პრობლემის ფილოსოფიური გააზრება.

კიტსის და შელის ცხოვრებიდან ნაადრევად წასვლით ინგლისურმა რომანტიულმა მოძრაობამ ჩაქრობა დაიწყო.

XIX საუკუნის პირველ მესამედში რომანტიზმი იქცა ფრანგული ლიტერატურის ძირითად მიმართულებად.

პირველ ეტაპზე მას წარმოადგენდა *ფრანსუა რენე დე შატობრიანი* (1768–1848). რამდენადაც მისი ყველა ნაწარმოები

შეიცავს განმანათლებლობისა და რევოლუციის იდეების პოლემიკას, ტრაქტატში *„ქრისტიანობის სული“* ქება-დიდება აქვს შესხმული *„რელიგიის სილამაზეს“*, ხოლო კათოლიციზმი საქვეყნოდ ცხადდება ხელოვნების საფუძვლად და შინაარსად, შატობრიანს მიაკუთვნებენ რომანტიზმის კონსერვატორულ ფრთას. მისი ნაწარმოებებისთვის დამახასიათებელია მდიდრული სტილი, თუმცა სწორედ ამისთვის, მრავალი გამორჩენილი მწერალი აქებდა შატობრიანს.

რომანტიზმის პრინციპები დაამკვიდრა *ჟერმენა დე სტალმა* (1766–1817), ლიბერალური იდეების მომხრე, იგი ქალების გრძნობათა თავისუფლების დამცველია (რომანები *„დელფინა“*, *„კორინა, ანუ იტალია“*). იგი იბრძოდა აგრეთვე პოლიტიკური თავისუფლების პრინციპებისთვისაც. მონტესკიეს მოსწავლე, ოცნებობდა *„განათლებულ რესპუბლიკაზე“*, რომელსაც სათავეში ჩაუდგებიან მეცნიერები და ლიტერატორები.

კონსერვატული მიმართულების რომანტიკოსად თვლიან *ალფრედ დე ვინის* (1797–1863). მისი ისტორიული რომანის *„სენ მარის“* ცენტრში არის მარტოხელა ამაყი პიროვნება, ბრბოსადმი ზიზღით განწყობილი.

ლიტერატურათმცოდნეები, ფრანგულ რომანტიზმში განსაკუთრებულ ადგილს ანიჭებენ *ალფრედ დე მიუსეს* (1810–1857). *„ესპანურ და იტალიურ ზღაპრებში“* მას ირონიულად აქვს გადმოცემული რომანტიკული მოტივები, მაგრამ მისი ახალგაზრდა გმირები, სინამდვილით უკმაყოფილონი, უთანხმოებაში არიან მასთან. ახალგაზრდა თაობის იმედგაცრუება ბურჟუაზიული საფრანგეთის პროზაულ სინამდვილესთან ასახულია მის რომანში *„საუკუნის შვილის აღსარება“*. მიუსე ავტორია პიესისა *„სიფხარულთან არ ხუმრობენ“*.

XIX ს. საფრანგეთის ორ უდიდეს მწერალს ჰიუგოს და ჟორჟ სანდს მიიწვევენ *პროგრესული რომანტიზმის* წარმომადგენლებად.

ვიქტორ ჰიუგოს (1802-1885) 1827 წელს ჩამოაყალიბა ახალი რომანტიკული დრამატურგიის პრინციპები. იგი გამოდიოდა ბუნებრიობისა და თავისუფლებისათვის, *„ადგილობრივი კოლორიტის“* გათვალისწინებისთვის, ჟანრების მკაცრი გამიჯვნის წინააღმდეგ, რომლებიც დამტკიცებული იყო კლასიციზმში, აღიარებდა კომიკურის და ტრაგიკულის შერევას, შერწყმას.

მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა ათეულ ტომზე მეტს მოიცავს. ჰიუგო XIX საუკუნის უდიდესი პოეტია, იგი ის დრამატურგია, ვისი პიესების სიუჟეტებიც ცნობილი ოპერების ლიბრეტოები გახდა. მისი პიესა *„მარიონ დელორმი“* აღიარებულია რომანტიკული

დრამატურგიის შედევრად. ჰიუგოს ცნობილ, აღიარებულ რომანებს შორის (*„პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“*, *„ზღვის მუშაკნი“*, *„კაცი, რომელიც იცინის“*), განსაკუთრებული ადგილი უკავია რომანს *„ვანკობულინი“*, რომელშიც წამოჭრილია XIX საუკუნის ყველაზე მძაფრი სოციალური პრობლემები. აკრიტიკებდა რა საზოგადოებრივი წყობის ნაკლოვანებებს, ჰიუგო რჩებოდა ჰუმანისტურ პოზიციებზე, იმედს არ კარგავდა ადამიანის ზნეობრივი გარდაქმნის შესაძლებლობებში.

ჟორჟ სანდი (სამდეული სახელია ავრორა დიუდევანი, 1804-1876) თავის რომანებში (*„ინდიანა“*, *„კონსუელო“*, *„შეწისქვილე ანიბოდან“*) ასახავდა მწვავე სოციალურ საკითხებს – ქალის მდგომარეობას ოჯახში და საზოგადოებაში, ბურჟუაზიულ მორალს, მესაკუთრეების ეგოიზმს, სიმპათიით წარმოაჩენდა ხალხიდან გამოსული გმირების საზეებს.

მუსიკაში, რომანტიკულმა მიმართულებამ განსაკუთრებულ სიმაღლეს გერმანიაში მიაღწია. ასეთია გერმანელი კომპოზიტორი, მუსიკის კრიტიკოსი, რომანტიზმის ესთეტიკის გამომხატველი *რობერტ შუმანი* (1810-1856) – პროგრამირებული საფორტეპიანო ციკლების (*„პეპლები“*, *„კრეისლერიანა“*, *„ფანტასტიური პიესები“*, *„კარნავალი“*), ლირიკულ-დრამატული ვოკალური ციკლების, ოპერის *„გენოვეფა“*, ორატორიების *„სამოთხე და პერი“* და სხვა მრავალი ნაწარმოების შემქმნელი.

რომანტიკული ოპერის პირველი წარმომადგენელი გერმანიაში გოფმანის გვერდით იყო *კ.მ. ვებერიც* (1786-1826). ვებერის შემოქმედებაში ასახულია გერმანელი ხალხის მისწრაფება თავისუფლებისა და ქვეყნის გაერთიანებისაკენ. მან განსაზღვრა გერმანულ საოპერო ხელოვნებაში ძირითადი მიმართულებები: სახალხო-ლეგენდარული და ზღაპრული ოპერა (*„თავისუფალი მსროლელი“*, *„ობერონი“*, შუა საუკუნეების დროის რაინდული სიუჟეტით ოპერა *„ევრიანტა“*).

რომანტიკული ოპერები *„ალექსანდრო სტრადელა“*, *„მარტა“* შექმნილია გერმანელი კომპოზიტორის *ფ. ფლოტოვის* (1812-1883) მიერ. კომიკური ოპერა *„ვინძორელი მხიარული ქალები“* (უ. შექსპირის მიხედვით) შექმნა *ო. ნიკოლაიმ* (1810-1849).

რომანტიკული მიმართულება წარმოდგენილია, აგრეთვე, გერმანელი კომპოზიტორის, დირიჟორის, მუსიკალური მწერლის, საოპერო ხელოვნების რეფორმატორის *რიხარდ ვაგნერის* (1813-1883) შემოქმედებაში. საქვეყნოდ ცნობილია მისი ოპერები *„რიენცი“*, *„მფრინავი*

ჰოლანდიელი“, „*ტანჰაიზერი*“, „*ლოჰენგრინი*“, „*ტრისტანი და იზოლდა*“ და სხვა მუსიკალური ნაწარმოებები. ვაგნერის ოპერები არის გიგანტური ვოკალურ-სიმფონიური პოემები, რომლებსაც არა აქვთ ანალოგი ოპერის ისტორიაში. ვაგნერის მუსიკა გამოირჩევა უზარმაზარი გამომხატველობით, საორკესტრო და ჰარმონიული სიმდიდრით. მის შემოქმედებას განსაზღვრავდნენ მის მიერვე ფორმირებული პოსტულატები „მხატვრული ნაწარმოების მთლიანობა“, ხელოვნების ყველა სფეროს – მუსიკის, პოეზიის, სამსახიობო ოსტატობის, ცეკვის, ფერწერის, არქიტექტურის კავშირი. თავის ოპერებში მან გააერთიანა ბუნების მუსიკა, თავისუფლებისათვის რომანტიკული ნაღველი და ნაციონალური პათოსი.

საფრანგეთში, მუსიკალურ ხელოვნებაში, რომანტიული მიმართულების წარმომადგენელი იყო კომპოზიტორი და დირიჟორი *ჰექტორ ბერლიოზი* (1803-1869). „*ფანტასტიური სიმფონიის*“, „*საშვლოვიარო-ტრიუმფალური სიმფონიის*“, ოპერა დილოგიის „*ტროელები*“ (ვირგილიუსის მიხედვით), რექვიემის, დრამატული სიმფონიის „*რომეო და ჯულიეტას*“, იუმორით და მოხდენილობით გაჯერებული კომიკური ოპერის „*ბეატრიჩე და ბენედიქტეს*“ (შექსპირის პიესის „*აურზაური არაფრის გამო*“-ს მიხედვით) – ავტორი.

რომანტიზმის იდეებმა ასახვა ჰპოვა, ავრეთვე, უნგრელი კომპოზიტორის, პიანისტის, დირიჟორის *ფერენც ლისტის* (1811-1886) შემოქმედებაში. მან შექმნა ორატორია „*ფაუსტ-სიმფონია*“, 13 პროგრამული სიმფონიური პოემა, 19 რაფსოდია, ეტიუდები, ვალსები და დაახლოებით 70 სხვა მუსიკალური ნაწარმოები. მის ნამუშევრებს შორის არის მრავალი პროგრამული ნაწარმოები. იგი ფუძემდებელია ავრეთვე *სიმფონიური პოემის* ჟანრისა.

რომანტიკული მიმართულების წარმომადგენელი იყო პოლონელი კომპოზიტორი და პიანისტი *ფრედერიკ შოპენი* (1810-1849). მან დაწერა 2 კონცერტი, 3 სონატა, 4 ბალადა, სკერცო, რიგი ექსპრომტებისა, ნოქტიურნები, ეტიუდები, სიმღერები, პოლონეზები. მისი საფორტეპიანო ნაწარმოებები გამოირჩევიან განწყობის ცვალებადობით, ჰარმონიის და რითმის ნარნარი გადასვლებით.

ფერწერაში რომანტიზმის მანიფესტია – ფრანგი მხატვრის *თეოდორ ჟერიკოს* (1791-1824) ნახატი „*მედუზას ტივი*“. კლასიციზმის გავლენისგან განთავისუფლებულმა ჟერიკომ რეალურ ცხოვრებაში იპოვა გმირული და მნიშვნელოვანი – იმ ხალხის ასახვა, რომლებიც გმირულად უძლებენ გაჭირვებას. მან ხორცი შეასხა მოქმედების განსაკუთრებულ სიმძაფრეს – სურათში წარმოდგენილია

სწრაფი რითმი, შუქჩრდილთა კონტრასტი, გაჯერებული ფერი. ნახატზე მუშაობისას მხატვარი დადიოდა საავადმყოფოში და აკეთებდა ავადმყოფების და მომაკვდავთა ჩანახატებს, სწავლობდა ზღვის ტალღების მოძრაობას. ჟერიკოს მიეკუთვნება აგრეთვე სულით დაავადებულ ავადმყოფთა შესანიშნავი პორტრეტები, სადაც რეალისტური ძალით აქვს გამოხატული ტკივილი ადამიანის გამო. იგი ხატავდა აგრეთვე ყოფით სურათებს, პეიზაჟებს.

რომანტიზმის უშესანიშნავესი მოვლენაა ფრანგი ფერმწერის *ეჟენ დელაკრუას* (1798-1863) შემოქმედება, რომელმაც შექმნა ტილოები ბაირონის პოეზიის მოტივებზე და ისტორიულ მოვლენებზე. 1830 წ. რევოლუციური მოვლენების ჭარბეცხლში შეჭრილ შედევრ – ნახატში „*თავისუფლება, ბალბის წინამძღოლით*“ მხატვარმა ოსტატურად გამოხატა ამბოხის პათოსი, რომანტიკული ოცნება თავისუფლებაზე.

დელაკრუას შემოქმედებაში დაუცხრომელი ფანტაზიის წყალობით გადმოცემულია ისტორიული საზეები, აღმოსავლეთის, კლასიკური და მისი თანამედროვე ლიტერატურისა („*ალჟირული ქალები*“, „*ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის აღება*“, „*ბოცვა-ულუტა ქიოსზე*“). დელაკრუა სამართლიანად ითვლება ახალი დროის ისტორიული ფერწერის შემქმნელად.

რომანისტების დამსახურება გახდა გრაფიკული ხელოვნების დემოკრატიზაცია, მისი გადაქცევა მასობრივად, ავრეთვე ლიტოგრაფიაში და წიგნის ხეზე გრავიურების უფრო მოჭრილი ფორმების შექმნა.

განსაკუთრებული ადგილი წიგნის ილუსტრატორ-გრაფიკოსთა შორის უკავია ფრანგ მხატვარს *გუსტავ დორეს* (1832–1883). დღემდე გამოიცემა ბიბლია, დანტეს „*ღვთაებრივი კომედია*“, სერვანტესის „*დონ-კიხოტი*“, რაბლეს „*გარგანტუა და პანტაგრუელი*“ დორეს ილუსტრაციებით.

რომანტიკულ სკოლასთან კავშირშია უდიდესი გრაფიკოს-კარიკატურისტის, დიდი მხატვრის *ონორე დომიეს* (1808-1879) შემოქმედება. ხელოვნებაში ლიტოგრაფიის შემოტანასთან ერთად ფართო გავრცელება ჰპოვა მისმა ნაწარმოებებმა („*ტრანსნონენის ქუჩა*“, „*სჯულმდებელთა სტომაჭი*“, „*მშეხდავი იცავს ბეჭდის თავისუფლებას*“). მან შექმნა ავრეთვე სურათები და აკვარელები („*ბურლაკი*“, „*სუპი*“, „*III კლასის რონოდა*“, „*მრეცხავი*“ და სხვა).

რომანტიზმის ესთეტიური პრინციპები ახასიათებს გამოჩენილი გერმანელი მხატვრის *კასპარ დავით ფრიდრიხის* (1775-1840)

შემოქმედებაში, რომელიც თავის სურათებში გამოხატავდა გარემომცველი სამყაროს შეუცნობელ საიდუმლოებებს (*„იმედის დაღუპვა“*, *„სოფელი ჰოლდაუ ცუგსკის ტბაზე“*).

XIX საუკუნის არქიტექტურაში რომანტიზმმა ვერ შექმნა საკუთარი სკოლები, თუმცა ინდუსტრიულ ქვეყნებში, განსაკუთრებით ინგლისში, სწრაფად ვითარდება *საშრეწველო არქიტექტურა*. XIX საუკუნის 30-40 წწ-ში აშენებული სადგურები, ხიდები, ფაბრიკები დროდადრო ისე იყო გადაწყვეტილი, როგორც დამახასიათებელი იყო XIX ასწლეულის ბოლოსათვის. ქალაქების სწრაფმა ზრდამ გამოიწვია ძველი კვარტალების ხელახალი დაგეგმარების აუცილებლობა და ახალი სატრანსპორტო არტერიის და პროსპექტების მშენებლობა. ასე, მაგალითად, 1853 წ. პრეფექტ ოსმანის ინიციატივით დაიწყეს პარიზის ხელახალი დაგეგმვა, რომელმაც საოცრად შეცვალა ქალაქის სახე.

განსაკუთრებით მკვეთრი გამოხატულება პოვა რომანტიზმმა ბალეტში. საფრანგეთში რომანტიკული ბალეტი ჩამოყალიბდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში და გავრცელდა მთელს ევროპაში. საბალეტო სპექტაკლში რომანტიზმის დამკვიდრებამ განაპირობა მოცეკვავე ქალის წამყვანი პარტიები, განვითარდა ხტომის ტექნიკა, წარმოიქმნა თითის წვერებზე ცეკვის ტექნიკა, – რამაც საბალეტო ხელოვნებას ახალი გამომსახველობის უზარმაზარი შესაძლებლობები გაუხსნა.

ცეკვა პუანტებზე პირველმა გამოიყენა ამ მიმართულების ბრწყინვალე წარმომადგენელმა ბალეტში, ყველაზე სახელგანთქმულმა იტალიელმა მოცეკვავემ *მარია ტალიონიმ* (1804-1884). მან შექმნა მრავალი როლი, მათ შორის უმთავრესი *„სილფიდაში“*, რომლის პირველი დადგმა შედგა პარიზის ოპერის თეატრში.

რომანტიკული ბალეტიდან სათავეს იღებენ *ანსამბლური ცეკვები* – კორდებალეტის უნისონური ცეკვის ფორმით, რომელიც მთელი XIX საუკუნის მანძილზე ვითარდებოდა. ანსამბლური ცეკვა სინქრონულად მომქმედ მოცეკვავეთა მასას წარმოადგენს, რომლებიც წარმოქმნიან სიმეტრიულ ჯგუფებს, მოცეკვავე სოლისტს უკეთებენ აკომპანიმენტს. ცეკვის ეს მხარე განსაკუთრებულად წარმოჩინდა კომპოზიტორ ა. ადანის ბალეტ *„ჟიზელში“*, რომელიც დადგეს ბალეტმეისტერებმა *ჟ. პეროთ* და *ჟ. კორალიმ* პარიზში 1841 წელს.

ამგვარად, მთლიანად რომანტიზმი ხელს უწყობდა უფრო ღრმა ფილოსოფიურ შემეცნებას, ადამიანის და სამყაროს მრავალმხრივ მხატვრული განზოგადებისა და განვითარების პროცესს მისთვის

დამახასიათებელი ყველა წინააღმდეგობებით. მან გაამდიდრა მსოფლიო კულტურა სულიერი ფასეულობებით და დასახა ახალი გზები მისი განვითარებისათვის.

რეალიზმი (შუა საუკუნიდან ლათ. realis – ნივთიერი, გვერდით მხატვრულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში მკვიდრდება რეალიზმი და XIX საუკუნის შუა პერიოდში ხდება მმართველი, გაბატონებული მიმართულება მთელს ევროპულ კულტურაში.

რეალიზმი ლიტერატურასა და ხელოვნებაში – ეს არის სინამდვილის მართალი, ობიექტური ასახვა სპეციფიური შესაძლებლობებით, დამახასიათებელი მხატვრული შემოქმედების ამა თუ იმ საზეობისთვის.

რეალიზმი წარმოიშვა საფრანგეთსა და ინგლისში ბურჟუაზიული წეს-წყობილების აღზევების პირობებში. სოციალურმა ანტაგონიზმმა და კაპიტალისტური წყობის ნაკლოვანებებმა განსაზღვრა მწერალ-რეალისტების მხრიდან მისდამი მკვეთრად კრიტიკული დამოკიდებულება. ისინი ამხელდნენ ანგარებას, ეგოიზმს, უთანასწორობას, პირმოთნეობას. თავისი იდეური მიზანმიმართულებით ის ხდება კრიტიკული რეალიზმი. ამასთან ერთად, უდიდესი რეალისტების შემოქმედება განმსჭვალული იყო ჰუმანიზმისა და სოციალური სამართლიანობის იდეით.

30-40-იან წწ-ში საფრანგეთში თავის საუკეთესო რეალისტურ ნაწარმოებებს ქმნიან მწერლები, რომლებმაც მოიპოვეს მსოფლიო აღიარება, ესენია: ბალზაკი, მერიმე, სტენდალი, მოპასანი, ფლობერი.

ონორე დე ბალზაკის (1799-1850) შემოქმედება არის დასავლეთევროპული რეალიზმის განვითარების უმაღლესი მწვერვალი. 95 ტომიან ეპოპეაში *„ადამიანური კომედია“* რომანები ერთმანეთთან დაკავშირებულია საერთო ჩანაფიქრით და მრავალი პერსონაჟით. ეპოპეაში შესულია ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა *„შაგრენის ტყავი“*, *„ევგენი გრანდე“*, *„მამა გორიო“*, *„აკეშარი ბიროტო“*, *„ჭაცრუებული ოცნებები“*, *„კუზინა ბეტია“*, *„უცნო შედევრი“* და სხვა. *„ადამიანური კომედია“* გრანდიოზულია რეალისტური სურათის აღქმის მოცულობით, რომელიც გამოხატავდა ფრანგული საზოგადოების ცხოვრების ზნეობრიობას და წინააღმდეგობებს. ბალზაკის გმირები გამოირჩევიან ფსიქოლოგიური უტყუარობით, მაგრამ ისინი გამოხატულნი არიან როგორც სხვადასხვა საზოგადოებრივი ტიპები, რომელთა საკუთარი განსაზღვრება კლასობრივი ინტერესებითა და წინააღმდეგობებით.

კრიტიკული რეალიზმის უბრწყინვალესი წარმომადგენელია *სტენდალი* (ნამდვილი სახელია ანრი ბეილი, (1783-1842). მისი ნაწარმოებების გმირები აღორძინების მოღვაწეები არიან („*იტალიური ქრონიკები*"), თანამედროვენი – რომანები „*წითელი და შავი*", „*პარმის სავანე*", სადაც ავტორი იძლევა თავის პირადულ განსჯას პირფერობასა და მაცდური გარეგნული შეხედულებების შესახებ.

XIX საუკუნის საფრანგეთში რეალისტური პოეზიის ნიმუში იყო *პიერ ჟან დე ბერანჟეს* (1780-1857) შემოქმედება, რომელიც თავის სიმღერებში კიცხავდა ნაპოლეონის სამხედრო ავანტიურებს. იგი იყო ნამდვილი პოეტი-მებრძოლი რესტავრაციის პერიოდისა. ბერანჟე აგრეთვე ავტორია სატირული ლექსებისა სიყვარულზე, ღვინოზე, ცხოვრებისეულ ფილოსოფიაზე.

რეალისტური ნოველის შესანიშნავი ოსტატია – *პროსპერ მერიმე* (1803-1870). მისი ნოველები ლაკონური, მკაცრი, მოხდენილია, მისი პერსონაჟები – ძლიერი და ნათელი პიროვნებები არიან („*კარმენი*", „*კლოდომბა*", „*ფალკონე*" და სხვ.). მერიმე ერთადერთი დიდი რომანის „*კარლ IX დროის ქრონიკის*" ავტორია, რომელიც მიუძღვნა ბართლომეს ღამის მოვლენებს.

1848 წლის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ ფრანგულ ლიტერატურაში ყალიბდება რეალიზმის ახალი ტიპი. ახლა მწერლები ქმნიან არა ყოვლისშემძლე სახეებს, არამედ უფრო უახლოვდებიან ცხოვრებას, ტიპიურის გაგება უახლოვდება უფრო გავრცელებულს, საშუალოს.

რეალიზმის ახალი ეტაპის უდიდესი წარმომადგენელი იყო *გუსტავ ფლობერი* (1821-1880). ფლობერის შეფასება სოციალური პრობლემების მიმართ არაერთგვაროვანია: იგი ყოველთვის მტრულად იყო განწყობილი ბურჟუაზიისადმი, ეზიზღებოდა საბალხო მასები, უაზრობად თვლიდა პოლიტიკით დაინტერესებას. იგი მოუწოდებდა მხატვრებს „წასულიყვნენ სპილოს ძვლის კოშკში" და ემსახურათ სილამაზისათვის. ასეთი პოზიცია, რასაკვირველია, არ არის მუდმივი. მიუხედავად ამისა, ფლობერმა მოგვცა სინამდვილის შესანიშნავი კრიტიკული გამოსახვა. იგი არ დარჩა განზე განდგომილი საზოგადოებრივი ბრძოლიდან. მისი საუკეთესო რომანებია – „*მადამ ბოვარი*", „*გრძნობათა აღზრდა*", „*სალამბო*".

სოციალური ანალიზის სიმახვილით გამოირჩევა *გი დე მოპასანის* (1850-1893) შემოქმედება, მან, ნოველებისა და მოთხრობების ოსტატმა, მართლად ასახა ადამიანის ჭეშმარიტი გრძნობები, რომელიც უპირისპირდება ბურჟუა-მესაკუთრის სულიერ

მზაკვრობას და ცრუ მორალს. მწერლის საუკეთესო რომანებია – „*ცხოვრება*", „*ლამაზი მეგობარი*", „*პიერი და ჟანი*", „*მონტ-ორიოლი*".

ინგლისში რეალისტური მიმართულების ლიტერატურა სათავეს იღებს შოტლანდიელი *უოლტერ სკოტის* (1771-1832) შემოქმედებიდან, თუმცა პირველ ხანებში იგი წერდა რომანტიულ პოემებს, აგროვებდა შოტლანდიური ფოლკლორის მასალებს, ინტერესს აცლენდა შუასაუკუნეების მიმართ, რაც აახლოებდა მას რომანტიკოსებთან.

მსოფლიო აღიარება მოუტანა მას რეალისტურმა პროზამ. სკოტი ახალი, ისტორიული რომანის ჟანრის შემქმნელია, რომელიც რეალისტურ და რომანტიულ ტენდენციებს უთავსებდა ერთმანეთს („*ივენჰო*", „*კვენტინ დორვარდი*", „*პურიტანები*", „*ლეგენდა მონტროზეზე*" „*გეგერლეი*" და სხვ.).

XIX საუკუნის 30-40 წწ-ში ინგლისში რეალიზმი ვალიბდება მთავარ მიმართულებად. ინგლისური კრიტიკული რეალიზმის მწვერვალია *ჩარლზ დიკენსის* (1812-1870) რომანები, იგი შემქმნელია ე.წ. „*ალმზრდელობითი რომანებისა*" („*ოლივერ ტვისტი*", „*მძიმე დროება*", „*დევიდ კოპერფილდი*", „*დიდი მოლოდინები*", „*დომბი და შვილი*", „*ცივი სახლი*", „*სიძულვილთა დუქანი*"). დიკენსის ნაწარმოებები ღრმად დრამატულია, მწერალი ქმნის საზოგადოებრივი ბოროტების მატარებელთა გალერეას, რომლის წარმომადგენლები გამოდიან ბურჟუაზიული კლასიდან. დიკენსის უდიდესი მიღწევაა – ოსტატ დომბის სახე – ადამიანისა, რომლის ყველა გრძნობა ჩამკვდარია, ხოლო მისი თვითკმაყოფილება, ეგოიზმი, სიჩლუნგე, გულქვაობა განკუთვნილია მესაკუთრეთა სამყაროსთვის.

დაუცხრომელი ოპტიმიზმი, მკაფიო და ძალიან ნაციონალური იუმორი, ცხოვრების რეალისტური აღქმა – ყველა ეს თვისება დიკენსის თანამდევრია და მათ აქციეს იგი ინგლისის საბალხო მწერლად, შექსპირის შემდეგ.

მისი თანამედროვეა *უილიამ მეიკპის თეკერეი* (1811-1863). თავის რომანში „*ამაოების ბაზარი*", ისტორიულ ნაწარმოებებში „*ჰენრი ესმონდის ისტორია*", სატირული ესსეების კრებულში „*სნობების წიგნი*", პაროდიების ციკლში „*საბელგანთქმული მოხეტიალეების რომანები*" მან სრულად აჩვენა ბურჟუაზიული საზოგადოების მანკიერებანი.

XIX საუკუნის ბოლოსათვის ინგლისურ ლიტერატურაში რეალისტური მიმართულება ძირითადად წარმოდგენილი იყო სამი მწერლის შემოქმედებით, რომლებმაც მსოფლიო აღიარება მოიპოვეს: გოლსუორსი (ნობელის პრემიის ლაურეატი, 1932), შოუ (ნობელის

პრემიის ლაურეატი, 1925 წ.) და უელსი. მათ შემოქმედებაში რეალიზმმა შემდგომი განვითარება ჰპოვა.

ჯონ გოლსუორსმა (1867-1938) ტრილოგიაში „*ფორსაიტების საგა*“ და „*თანამედროვე კომედია*“ მოგვცა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის ბურჟუაზიული ინგლისის ყოფა-ცხოვრების ეპიკური სურათი.

ჯორჯ ბერნარდ შოუ (1856-1950) არის „ფაბიანური საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, *დრამა-დისკუსიების* შემქმნელი, რომელთა ცენტრში ყოველთვის იყო ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილი იდეოლოგიების შეჯახება, სოციალურ-ეთიკური პრობლემების უკომპრომისო გადაწყვეტილებები (*„კლაბატონ უორენის პროფესია“, „ქვრივის საბლები“, „ურიკა ვაშლებით“*). მის პიესებში კომედია შერწყმულია პოლიტიკასთან, ფილოსოფიურ და პოლემიკურ ასპექტებთან, მათი მიზანია საზოგადოების შეგნებასა და მათ ემოციებზე ზემოქმედების მოხდენა.

ჰერბერტ ჯორჯ უელსი (1866-1946) — სამეცნიერო-ფანტასტიკური ლიტერატურის კლასიკოსია. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პრობლემებს იგი აკავშირებს საზოგადოების განვითარების სოციალურ და ზნეობრივ პროგნოზებთან. რომანებში *„დროის მანქანა“, „უჩინმაჩინი ადამიანი“, „სამყაროთა ომები“*, უელსი ეყრდნობა უახლეს სამეცნიერო კონცეფციებს.

XIX ს. ბოლოს მსოფლიოს ყურადღებას იპყრობს სკანდინავიური ქვეყნების ლიტერატურა. ეს, უპირველეს ყოვლისა, ნორვეგიელი მწერლების: იბსენის, ბიერნსონის, ჰამსუნის ნაწარმოებებია.

თავის მწვავე სატირულ *სოციალურ-რეალისტურ დრამებში „თოჯინების სახლი“* („ნორა“), *„მოჩვენებები“, „ხალხის მტერი“ ჰენრიკ იბსენი* (1828-1906) მოუწოდებდა ადამიანის, პიროვნების, ბურჟუაზიული, პირფერული მორალისაგან ემანსიპაციისკენ. მისი ნაწარმოებები დასავლეთევროპული რეალისტური დრამატურგიის უმთავრესი მონაპოვარია. ნორვეგიული დრამატურგიისა და კრიტიკული რეალიზმის ფუძემდებელია ნობელის პრემიის ლაურეატი (1903) *ბიერ მარტინიუს იერნსონი* (1832-1910), რომელმაც თავისი სოციალურ-კრიტიკული შეხედულებები ასახა დრამებში *„ჯაკობრება“, „ჩვენს ძალებს ზევით“*, აგრეთვე ლექსებშიც. *კნუტ ჰამსუნის* (1859-1952) კალამს მიეკუთვნება ფსიქოლოგიური რომანები *„შიმშილი“, „პანი“, „მისტერიები“, „ვიქტორია“*, რომლებშიც ასახა პიროვნული ამბოხი ობივატელური გარემოს მიმართ. გასული საუკუნის ბოლოს ამ სამი ნორვეგიელი მწერლის შემოქმედებამ შესამჩნევი ზემოქმედება

მოახდინა საზოგადოების თვითშეგნებაზე და სხვა ხალხების ლიტერატურულ შემოქმედებაზე.

XIX საუკუნეში მუსიკალურ საოპერო ხელოვნებაში რეალიზმის მწვერვალი დაიპყრო დიდი იტალიელი კომპოზიტორის *ჯუზეპე ვერდის* (1813-1901) შემოქმედებამ. მისი შესანიშნავი ისტორიულ-ჰეროიკული ოპერები *„სიცილიური სალამოები“, „ტრუბადური“, „ბალ-მასკარადი“, „ბედის ძალა“, „სიმონ ბოკანეგრა“* ეძღვნებოდა იტალიის ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას. გმირების პირადი დრამა მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებთან. მათთვის დამახასიათებელია მასიური სცენების სიმკვეთრისა და დინამიზმის შერწყმა ღრმა ფსიქოლოგიზმთან. მათთვის დამახასიათებელია საორკესტრო შესრულების მდიდრული ფერები.

ცნობილ ოპერებში *„რიგოლეტო“* და *„ტრავიატა“* მუსიკალური ენის უბრალო გამომსახველობით ვერდიმ შესძლო ღრმად შეეღწია გმირების შინაგან სამყაროში. მათთვის დამახასიათებელია მღერადობა, რომელიც დაფუძნებულია იტალიურ ხალხურ მუსიკაზე, უმაღლესი ჰუმანიზმი, მიმართული სოციალური უსამართლობის მხილებაზე.

ვერდის უმნიშვნელოვანესი ქმნილებებია ოპერები *„დონ კარლოსი“* (შილერის დრამის მიხედვით) და *„აიდა“* (ოპერა დაიწერა ეგვიპტის მთავრობის შეკვეთით სუეცის არხის გახსნის დღისათვის). *„აიდაში“* კომპოზიტორმა გამოიყენა დიდი ოპერის ჟანრის ელემენტები — განვითარებული ანსამბლები, გაშლილი მასობრივი სცენები, სადღესასწაულო მსვლელობები, ბალეტი.

საოპერო რეალიზმის შედევრად ითვლება მუსიკალური დრამა *„ოტელო“* და კომიკური ოპერა *„ფალსტაფი“*, რომელიც ვერდიმ შექსპირის მიხედვით შექმნა. ამ ოპერებში მან უარი თქვა ტრადიციულ არიებსა და დუეტებზე, შეცვალა ისინი მონოლოგებით, დიალოგიანი სცენებით, რითაც მიაღწია მუსიკისა და დრამატული მოქმედებების სრულ შერწყმას.

ვერდის შემოქმედების დემოკრატიულობამ, ღრმა ადამიანურობამ კომპოზიტორს დიდი პოპულარულობა მოუტანა. მისი ოპერები მუდმივად არის მსოფლიო საოპერო თეატრების რეპერტუარში.

XIX საუკუნის დასასრულს იტალიურ ოპერაში გაჩნდა ახალი მიმართულება — *ვერიზმი* (იტალ. verismo vero-დან — ჭეშმარიტი, მართალი). მას მიეკუთვნებოდნენ *რუჯერო ლეონკავალო* (1857-1919), *პიეტრო მასკანი* (1863-1945), *უმბერტო ჯორდანო* (1867-1948), *ჯაკომო პუჩინი* (1858-1924). ვერიზმის ესთეტიკაა — აჩვენოს „ცხოვრება როგორიც არის“. ვერისტების ოპერები გამოირჩეოდა

პრემიის ლაურეატი, 1925 წ.) და უელსი. მათ შემოქმედებაში რეალიზმმა შემდგომი განვითარება ჰპოვა.

ჯონ გოლსუორთმა (1867-1938) ტრილოგიაში „*ფორსაიტების საგა*“ და „*თანამედროვე კომედია*“ მოგვცა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის ბურჟუაზიული ინგლისის ყოფა-ცხოვრების ეპიკური სურათი.

ჯორჯ ბერნარდ შოუ (1856-1950) არის „ფაბიანური საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, *დრამა-დისკუსიების* შემქმნელი, რომელთა ცენტრში ყოველთვის იყო ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილი იდეოლოგიების შეჯახება, სოციალურ-ეთიკური პრობლემების უკომპრომისო გადაწყვეტილებები („*ქალბატონ უორენის პროფესია*“, „*ქერივის საბლები*“, „*ცრიკა გაშლებით*“). მის პიესებში კომედია შერწყმულია პოლიტიკასთან, ფილოსოფიურ და პოლემიკურ ასპექტებთან, მათი მიზანია საზოგადოების შეგნებასა და მათ ემოციებზე ზემოქმედების მოხდენა.

ჰერბერტ ჯორჯ უელსი (1866-1946) — სამეცნიერო-ფანტასტიკური ლიტერატურის კლასიკოსია. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პრობლემებს იგი აკავშირებს საზოგადოების განვითარების სოციალურ და ზნეობრივ პრობლემებთან. რომანებში „*დროის მანქანა*“, „*უჩინმაჩინა ადამიანი*“, „*სამყაროთა ომები*“, უელსი ეცდინობა უახლეს სამეცნიერო კონცეფციებს.

XIX ს. ბოლოს მსოფლიოს ყურადღებას იპყრობს სკანდინავიური ქვეყნების ლიტერატურა. ეს, უპირველეს ყოვლისა, ნორვეგიელი მწერლების: იბსენის, ბიერნსონის, ჰამსუნის ნაწარმოებებია.

თავის მწვავე სატირულ *სოციალურ-რეალისტურ დრამებში* „*თოჯინების სახლი*“ („*ნორა*“), „*მოჩვენებები*“, „*ბალთის მტკვრი*“ *ჰენრიკ იბსენი* (1828-1906) მოუწოდებდა ადამიანის, პიროვნების, ბურჟუაზიული, პირფერული მორალისგან ემანსიპაციისკენ. მისი ნაწარმოებები დასავლეთევროპული რეალისტური დრამატურგიის უმთავრესი მონაპოვარია. ნორვეგიული დრამატურგიისა და კრიტიკული რეალიზმის ფუძემდებელია ნობელის პრემიის ლაურეატი (1903) *ბიერ მარტინიუს იერნსონი* (1832-1910), რომელმაც თავისი სოციალურ-კრიტიკული შეხედულებები ასახა დრამებში „*ცაკოტრება*“, „*ჩვენს ძალებს შევით*“, აგრეთვე ლექსებშიც. *კნუტ ჰამსუნის* (1859-1952) კალამს მიეკუთვნება ფსიქოლოგიური რომანები „*შიმშილი*“, „*პანი*“, „*მისტერიები*“, „*ვიქტორია*“, რომლებშიც ასახა პიროვნული ამბოხი ობივატელური გარემოს მიმართ. გასული საუკუნის ბოლოს ამ სამი ნორვეგიელი მწერლის შემოქმედებამ შესამჩნევი ზემოქმედება

მოახდინა საზოგადოების თვითშეგნებაზე და სხვა ხალხების ლიტერატურულ შემოქმედებაზე.

XIX საუკუნეში მუსიკალურ საოპერო ხელოვნებაში რეალიზმის მწვერვალი დაიპყრო დიდი იტალიელი კომპოზიტორის *ჯუზეპე ვერდის* (1813-1901) შემოქმედებამ. მისი შესანიშნავი ისტორიულ-ჰეროიკული ოპერები „*სიცილიური სალამოები*“, „*ტრუბადური*“, „*ბალმასკარადო*“, „*ბედის ძალა*“, „*სიმონ ბოკანეგრა*“ ეძღვნებოდა იტალიის ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას. გმირების პირადი დრამა მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებთან. მათთვის დამახასიათებელია მასიური სცენების სიმკვეთრისა და დინამიზმის შერწყმა ღრმა ფსიქოლოგიზმთან. მათთვის დამახასიათებელია საორკესტრო შესრულების მდიდრული ფერები.

ცნობილ ოპერებში „*რიგოლეტო*“ და „*ტრავიატა*“ მუსიკალური ენის უბრალო გამომსახველობით ვერდიმ შესძლო ღრმად შეეღწია გმირების შინაგან სამყაროში. მათთვის დამახასიათებელია მღელვარება, რომელიც დაფუძნებულია იტალიურ ხალხურ მუსიკაზე, უმაღლესი ჰუმანიზმი, მიმართული სოციალური უსამართლობის მხილებაზე.

ვერდის უმნიშვნელოვანესი ქმნილებებია ოპერები „*დონ კარლოსი*“ (შილერის დრამის მიხედვით) და „*აიდა*“ (ოპერა დაიწერა ეგვიპტის მთავრობის შეკვეთით სუეცის არხის გახსნის დღისათვის). „*აიდაში*“ კომპოზიტორმა გამოიყენა დიდი ოპერის ჟანრის ელემენტები — განვითარებული ანსამბლები, გაშლილი მასობრივი სცენები, სადღესასწაულო მსვლელობები, ბალეტი.

საოპერო რეალიზმის შედევრად ითვლება მუსიკალური დრამა „*ოტელო*“ და კომიკური ოპერა „*ფალსტაფი*“, რომელიც ვერდიმ შექსპირის მიხედვით შექმნა. ამ ოპერებში მან უარი თქვა ტრადიციულ არიებსა და დუეტებზე, შეცვალა ისინი მონოლოგებით, დიალოგიანი სცენებით, რითაც მიაღწია მუსიკისა და დრამატული მოქმედების სრულ შერწყმას.

ვერდის შემოქმედების დემოკრატიულობამ, ღრმა ადამიანურობამ კომპოზიტორს დიდი პოპულარულობა მოუტანა. მისი ოპერები მუდმივად არის მსოფლიო საოპერო თეატრების რეპერტუარში.

XIX საუკუნის დასასრულს იტალიურ ოპერაში გაჩნდა ახალი მიმართულება — *ვერიზმი* (იტალ. verismo vero-დან — ჭეშმარიტი, მართალი). მას მიეკუთვნებოდნენ *რუჯერო ლეონკავალო* (1857-1919), *პეტრო მასკანი* (1863-1945), *უმბერტო ჯორდანო* (1867-1948), *ჯაკომო პუჩინი* (1858-1924). ვერიზმის ესთეტიკაა — აჩვენოს „ცხოვრება როგორიც არის“. ვერისტების ოპერები გამოირჩეოდა

ცხოვრებისეული სიუჟეტებით, უბრალო ხალხის სულიერი სამყაროს მართალი გამოხატვით. მათი ოპერის გმირები არიან გლეხები (მასკანის „*სოფლის პატიოსნება*“), მოხეტიალე მსახიობები (ლეონკავალოს „*ჯამბაზები*“), ოსტატები, მხატვრები (პუჩინის „*ბოჰემა*“). სასიმღერო მკვეთრ ვოკალურ მელოდიურობასთან ერთად კომპოზიტორები ფართოდ იყენებდნენ დრამატულ რეჩიტატივებს, მოკლე არიოზოს, ორპირ სიმფონიურ განვითარებას.

საფრანგეთში, მუსიკალური და საოპერო ხელოვნების უმაღლესი მიღწევა იყო *ჟორჟ ბიზეს* (1838-1875) შემოქმედება. მის მიერ შექმნილი ოპერები „*კარმენი*“, „*მარგალიტების მაძიებელნი*“, „*ჯამილე*“, აღიარებულია ფრანგული რეალისტური ოპერის მწვერვალად – შესულია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საოპერო რეპერტუარში.

საფრანგეთში, ფერწერაში რეალისტურმა მიმართულებამ თავისი პოზიციები გაიმაგრა XIX ს. შუა პერიოდში *ჟ. ფ. მილეს* (1814-1875) შემოქმედებაში, რომელმაც შექმნა გლეხების ცხოვრების გამომხატველი რეალისტური ტილოების ციკლი, („*თავთავების შემგროვებლები*“, „*ანჟელიუსი*“) და აგრეთვე, ჟანრული ფერწერის გამოჩენილი ოსტატის *გუსტავ კურბეს* (1819-1877) ტილოებში, რომელიც ხატავდა ცხოვრებას შელამაზების გარეშე („*დაკრძალვა ორნანში*“). ამ მხატვრების შემოქმედება იყო შესამჩნევი მოვლენა მეორე იმპერიის ეპოქის პომპეზური აკადემიური ფერწერის ფონზე. მილე და კურბე გახდნენ იმპრესიონისტების წინამორბედები, რომლებისგანაც იწყება ახალი ეტაპი მხატვრული შემოქმედების განვითარებაში.

განსაოცარი გამჭრიახობით და სიახლით არის გადმოცემული პარიზის მცხოვრებთა დახასიათება *ედუარდ მანეს* (1832-1883) შემოქმედებაში „*საუზმე საბელოსნოში*“, „*ჩაის სმა*“, „*ნავში*“, „*ნანა*“, „*ოლიმპია*“. მისი უკანასკნელი სურათი „*ბარი ფოლი ბერჟერში*“ – ადამიანის არსებობის მარტოობაზე – არის უძლიერესი ფურცელი ფრანგული კრიტიკული რეალიზმის ისტორიაში. მანე მსოფლიო ხელოვნების ერთ-ერთი ბრწყინვალე კოლორისტია. განჭვრიტა რა იმპრესიონიზმი, იგი მიუბრუნდა ნათელ გამჭირვალე ფერწერას („*არყანტეი*“).

ინგლისელი მხატვრებიდან სახელი გაითქვა *უილიამ ტიორნერმა* (1775-1851), როგორც ისტორიულმა ფერმწერმა. მან შექმნა ცნობილი ტილოები „*ბომალდის დაღუპვა*“, „*დადონა, კართაგენის მშენებელი*“ და სხვა.

ღრმად რეალისტური იყო უდიდესი ინგლისელი მხატვრის *ჯონ კონსტებლის* (1776-1837) მართალი, ბუნების ჰუმანისტური ლირიკის

მონათესავე ხელოვნება. მან ფერწერის ისტორიაში პირველმა შემოიტანა ეტიუდები. მხატვარი თავისი ნახატებით ადიდებდა ადამიანს, მის შრომისუნარიანობას, ბუნების სიმშვენიერეს, („*ფონს გამწვალი თივის გადასაზიდი ფორანი*“, „*მოხტუნავე ცხენი*“, „*პურის ყანა*“ და სხვა).

გენიალური ესპანელი ფერმწერის და გრავიურის ოსტატის *ფრანცისკო გოიას* (1746-1826) ხელოვნება გამოირჩეოდა თამამი ნოვატორობით, მძაფრი ემოციურობით, ფანტაზიითა და სოციალური მიმართულებების გროტესკით. გოიამ შექმნა დიდი რაოდენობის შესანიშნავი ფრესკები, ნახატები, ოფორტები, ლიტოგრაფიები. იგი უსიტყვოდ დადგა ხალხის მხარეს, რომლებიც იბრძოდნენ ნაპოლეონის ინტერვენციის წინააღმდეგ („*აჯანყებულთა დახვრეტა*“). იმ ტრაგიკულ დროს, ხალხის ბედის ფილოსოფიურ-ისტორიულად გააზრების შემდეგ შეიქმნა ოფორტების სერია „*ომის უბედურება*“. მას ეკუთვნის რეალისტური სულისკვეთების ნაწარმოებები, რომლებიც ხოტბას ასხამდა ესპანელ ხალხს („*ცოვონა დოქით*“, „*სამშვილდლო*“) და მის სილამაზეს („*ქსელი ყვითელი მოსასხამით*“, „*შიშველი მაჯა*“, „*ჩაცმული მაჯა*“, „*იასამნელ კობოს დე პორსელი*“). გოიას შემოქმედება განშსჭვალულია ნამდვილი, ეროვნული სულით. მათში ასახულია მისი დრო. გოიამ შექმნა შესანიშნავი გრავიურული ნაწარმოებები, გამოიყენა *ოფორტის* ტექნიკა. ესპანელი მხატვრის უკვდავ ქმნილებად იქცა ოფორტები „*კაპრიჩოსი*“ (80 ფურცელი მხატვრის კომენტარებით), რომელზეც გოიამ 5 წელი იმუშავა. მათში მხატვრის მახვილი სოციალური სატირა მიმართულია უუფლებობის, ცრურწმენის, უკოდინარობის, სიბრიყვის, გაუთლელობის წინააღმდეგ. მათში დადანაშაულებულია ეკლესია, დიდებულები, ქვეყნის მმართველები.

ნატურალიზმი (ფრ. naturalisme, ლათ. naturalis – ბუნებრივი, ჭეშმარიტი)

ხელოვნებაში ნატურალისტური მიმართულების წარმომადგენლები გამოდიოდნენ წარმოდგენიდან, რომ შეიძლება ადამიანის ბედის, ნების, სულიერი სამყაროს წინასწარი განსაზღვრა სოციალური გარემოს, ყოფის, მემკვიდრეობითობის, ფიზიოლოგიის გათვალისწინებით. XIX საუკუნის 80-იან წლებში ნატურალიზმი ხდება გავლენიანი მიმართულება ფრანგულ ლიტერატურაში. ამ მიმდინარეობის უდიდესი წარმომადგენელი და თეორეტიკოსი იყო *ემილ ზოლა* (1840-1902). თავის მთავარ შრომაში – რომანების 20 ტომიან სერიაში („*რუგონ მაკარი*“) ზოლამ თავისი რომანული თეორიის საფუძველზე (რომანი აგებული უნდა იყოს

სამეცნიერო საფუძველზე, ხოლო გმირების ხასიათის განმსაზღვრელი ფაქტორები უნდა იყოს მემკვიდრეობითობა და გარემო) ასახა პერიოდი 1852-1870 წ. საფრანგეთის ცხოვრებისა. ზოლა ადამიანს აღიქვამს როგორც მემკვიდრეობითობის, გარემოსა და ისტორიული სიტუაციის პროდუქტს. სწრაფვამ, რომ ზუსტად გადმოეცა სინამდვილე, ზოლა მიიყვანა დეტალურ აღწერასა და სალაპარაკო მეტყველების გამოყენებამდე.

თეატრში უკომპრომისო ნატურალიზმს თანმიმდევრულად იცავდა გერმანელი დრამატურგი, ნობელის პრემიის ლაურეატი (1912) *გერჰარდ ჰაუპტმანი* (1862-1946). მისი ერთ-ერთი საუკეთესო პიესა „*ფეხშრები*“ – თავისებური ანგარიშია 1844 წ. სილეზიაში ამბოხებული ფეიქრებისა. საქვეყნოდ ცნობილია ჰაუპტმანის პიესები „*ძმის ჩასვლის წინ*“, „*ძმის ამოსვლისას*“, „*როზა ბერნდი*“ და სხვა.

ამერიკელმა მწერალ-ნატურალისტმა *ფრენკ ნორისმა* (1870-1902) რომანში „*მაკტიგი*“ წარმოადგინა უხეში დანტისტი, რომელიც ყველა ხერხით ცდილობს ხელი მოითბოს, ხოლო რომანებში „*რვაფეხა*“ და „*მორვეი*“ მოთხრობილია ხორბლის მწარმოებელთა და ჩიკაგოს ხორბლის ბირჟის კონკურენციაზე.

თეატრალურ ხელოვნებაში ნატურალიზმით გაჟღენთილი იყო *ანდრე ანტუანის* (1858-1943) სარეჟისორო შემოქმედება. მან ჩამოაყალიბა „*თავისუფალი თეატრი*“, სადაც ფრანგებს გააცნო გ. იბსენის, ა. სტრინდბერგის შემოქმედება, დადგა რა „*მოჩვენებანი*“ და „*ფრიოკენ ჟიული*“.

ნატურალიზმმა თავისი ასახვა ჰპოვა გერმანელი მხატვარი ქალის, სკულპტორის *კეთე კოლვიცის* (1867-1945) შემოქმედებაში. მის მიერ შექმნილმა გრავიურებმა აღბეჭდა მუშები და მათი გარემო მკვეთრ გამომსახველობით კომპოზიციებში.

ნატურალისტური მიმართულება ხელოვნებაში არაერთგვაროვანი იყო. რეალისტური და დემოკრატიული ხასიათის გვერდით ხშირად იგრძნობოდა *დეკადენტური* ტენდენციები, მისთვის დამახასიათებელი უიმედობით, ამორალიზმით, სულის დაცემით. „დეკადენტიზმის“ მცნებას ხშირად უკავშირებდნენ XIX საუკუნის ბოლო პერიოდის ხელოვნებას – სიმბოლიზმს.

სიმბოლიზმი (ბერძ. symbolon – ნიშანი, ამოსაცნობი საგანი)

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ევროპის ხელოვნებაში ყალიბდება ახალი მიმართულება – *სიმბოლიზმი*. პოეტი სიმბოლისტები იყენებდნენ სიტყვებს სიმბოლურად და არა კონკრეტული

მნიშვნელობით. პოეტი-სიმბოლისტების აღიარებული ლიდერები იყვნენ *პოლ ვერლენი* (1844-1896) და *არტურ რემბო* (1854-1891).

სიმბოლიზმი გავრცელდა მრავალ ქვეყანაში. ფრანგული სიმბოლიზმის ძლიერი ზეგავლენა განიცადა გერმანელმა პოეტმა *სტეფან გეორგემ* (1868-1933). მისი, როგორც გერმანული სულის მატარებლის კონცეფცია გამოიწვია წიგნში „*ცხოვრების გობელენი*“, ხოლო შემდეგ კრებულში „*მეშვიდე რგოლი*“.

სიმბოლისტურ პიესებს წერდა ბელგიელი დრამატურგი *მორის მეტერლინკი* (1862-1949). მისი პიესა-ზღაპრები „*პრინცესა მალეინი*“, „*პელეასი და მელისანდრა*“ ეძღვნებოდა მარტოობისთვის, სიკვდილისთვის ადამიანის ყოველდღიურ საიდუმლო განწირვას, ცნობილი „*ლურჯი ფრინველი*“ – ბოროტ ბუნებრივ და ცხოვრებისეულ სტიქიებზე გამარჯვების შესაძლებლობას.

ხელოვნებაში ამ მიმართულების მიმდევრები ყურადღებას ამახვილებდნენ მხატვრულ გამოსახვაზე სიმბოლოების „საგნები საკუთარ თავში“ და იდეების საშუალებით, რომლებიც იმყოფება ადამიანის გრძნობადი აღქმის საზღვრებს მიღმა. ისინი ცდილობდნენ სიმბოლოების დახმარებით გაერღვიათ ხილული სინამდვილე და მიეღწიათ „ფარული რეალობისათვის“, სამყაროს ზედროული იდეალური არსისათვის, მისი „უჯრედი სილამაზისათვის“. ისინი თავისი ხელოვნებით გამოხატავდნენ წუხილს სულიერი თავისუფლების გამო, ტრაგიკულ წინააღმდეგობას მსოფლიო სოციალურ-ისტორიულ ძვრებთან დაკავშირებით, უნდობლობას მარადიული კულტურული და სულიერი ფასეულობების, როგორც დედამიწის ყველა ხალხის გამაერთიანებელი საწყისის მიმართ.

იმპრესიონიზმი (ფრ. impression – შთაბეჭდილება)

ფერწერის კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლების გავლენით (კურბე, დომიე) 1874 წ. ფრანგულ ხელოვნებაში გაჩნდა ახალი მიმართულება – იმპრესიონიზმი. კლოდ მონეს მიერ შექმნილი ნახატი „*შთაბეჭდილება. ამომავალი მზე*“, წარმოდგენილი იყო 1874 წ. „განკიცხულთა სალონში“, სადაც თავიანთი ნახატები წარმოადგინეს იმ მხატვრებმა, რომლებიც უარყოფილი იყვნენ ოფიციალური სალონის მიერ, ამან დასაბამი მისცა ხელოვნებაში ახალ მიმართულებას – *იმპრესიონიზმს*.

იმპრესიონისტები *კლოდ მონე* (1840-1926), *ოგიუსტ რენუარი* (1841-1919), *ედგარ დეგა* (1834-1917), *კამილ პისარო* (1830-1903)

და სხვები გაერთიანდნენ ხელოვნების გადასახალისებლად და მხატვრულ შემოქმედებაში ოფიციალური სალონური აკადემიზმის გადასალახავად ბრძოლისათვის. ამ მიზნით მათ რვა გამოფენა მოაწყვეს. 1886 წ. მერვე (პირველი წარმატებული) გამოფენის შემდეგ ეს ჯგუფი დაიშალა, ამოწურა რა თავისი განვითარების შესაძლებლობები, როგორც ერთიანი მიმართულების სისტემამ ფერწერაში. იმპრესიონისტთა სტილი განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, მაგრამ სიახლე — საღებავთა მრავალფეროვნება, მერყევი მონახაზი — აერთიანებდა ამ მიმართულების მხატვრებს.

იმპრესიონიზმმა სასიკეთო გავლენა იქონია არა მხოლოდ ფერწერაზე, არამედ ხელოვნების სხვა დარგებზეც, კერძოდ სკულპტურაზე. ამგვარად, იმპრესიონისტების თანამებრძოლი იყო უდიდესი ფრანგი სკულპტორი *ოგიუსტ როდენი* (1840-1917). მისი დრამატული, ვნებიანი, ამაღლებული ხელოვნება ადიდებდა სილამაზეს და ადამიანის კეთილშობილებას („*ამბორი*", „*მოაზროვნე*", „*კალეს მოქალაქენი*" და სხვა).

იმპრესიონიზმის გავლენა იგრძნობა არა მხოლოდ ლიტერატურასა და ფერწერაში, არამედ მუსიკაშიც.

მუსიკაში „იმპრესიონიზმის" გაგება პირველად გამოყენებული იქნა ფრანგი კომპოზიტორის *კლოდ დებიუსის* (1862-1918) შემოქმედების მიმართ, რომლის მუსიკამაც ხორცი შეასხა წამიერ, წარმავალ შთაბეჭდილებებს, ადამიანური ემოციების უმნიშვნელო ელფერს და ბუნების მოვლენებს. მუსიკალური იმპრესიონიზმის მანიფესტად აღიარებულია პრელუდია „*ფავნის დასვენება ნაშუადღევს*". აქ არის მერყეობა, განწყობის უცაბედი შეცვლა, დახვეწილობა, მელოდიკის ჟინიანობა. დებიუსი ავტორია ოპერის „*პელეასი და მელისანდა*", რომელიც მ. მეტერლინკის დრამის მიხედვით შეიქმნა. მისი ყველაზე მსხვილი სიმფონიური ნაწარმოებია — სამი სიმფონიური ესკიზი „ზღვა".

იმპრესიონიზმის სფეროში, მუსიკაში ძიება გააგრძელა ფრანგმა კომპოზიტორმა და პიანისტმა *მორის რაველმა* (1875-1937), იგი ავტორია ბალეტის „*დაფნისი და ქლოე*", განთქმული ბოლეროსი ორკესტრისთვის. მისი ნამუშევრებისთვის დამახასიათებელია მგრძნობელობა, ეგზოტიური ჰარმონიულობა და შესანიშნავი საორკესტრო ეფექტები.

XIX საუკუნის ბოლო მესამედის არქიტექტურაში საინჟინრო კონსტრუქციის ახალმა ტიპმა, რომელმაც არ ისურვა მოკაზმვა სამასკარადო ჩასაცმელში, თავისი გამოხატულება ჰპოვა ისეთ

ნაგებობებში, როგორიცაა ინჟინერ *ა. გ. ეიფელის* (1832-1923) მიერ აგებული ცნობილი 300 მეტრიანი რკინის კოშკი, პარიზში. XIX ს. მეორე ნახევრის ინჟინრები გახდნენ ახალი, ფუნქციონალური არქიტექტურის ძირითადი შემოქმედნი.

პოსტიმპრესიონიზმი (ლათ. post — შემდეგ და იმპრესიონიზმი)

იმპრესიონიზმის ძირითადმა ნიშნებმა განვითარება ჰპოვეს *პოსტიმპრესიონიზმში*. ამ მიმართულების ბრწყინვალე წარმომადგენლები იყვნენ ფრანგი მხატვრები სეზანი, ვან გოგი და ჰოლანდიელი გოგენი. მათ იმპრესიონისტებთან ერთად დაიწყეს მუშაობა და განიცადეს მათი ზეგავლენა თავიანთ ხელოვნებაზე. მაგრამ თითოეული მათგანი წარმოადგენდა თავის მკაფიოდ გამოხატულ ინდივიდუალურ შემოქმედებას და საკუთარი კვალი დატოვა ხელოვნებაში.

იმპრესიონისტ პისაროს გავლენით *პოლ სეზანმა* (1839-1906) დაიწყო ხატვა პლენერზე. შუქის და ფერის შესაძლებლობებით მოხიბლული, იგი აგებს თავის ფერწერას (პორტრეტები, ნატურმორტები, პეიზაჟები) სუფთა ტონებში და ფერთა კონტრასტებზე, მყარ კომპოზიციურ წყობაზე, საგანთა სამყაროს უცვლელ ხარისხზე, მის პლასტიკურ სიმდიდრეზე, ბუნების დიდებულებაზე, ლოგიკის სტრუქტურაზე და ფორმათა ორგანულ ერთობლიობაზე („*შარნის ნაპირებთან*", „*ატმები და მსხალი*" და სხვა).

პოლ გოგენი (1848-1906) იყო პოსტიმპრესიონიზმის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი, ახლოს მდგომი სიმბოლიზმთან და *მოდერნის*[1] სტილთან; იყენებდა ფერის და ხაზის სინთეტიურ განზოგადოებას (კონტრასტული ტონი, კონტურები, შუქი ჩრდილების გარეშე, ნახატის აბსტრაქცია და ფერები). იგი თავისი ხელოვნებით ცდილობდა გაეხსნა ოკეანეთის ხალხთა ყოფითი თეშები და ლეგენდები, შექმნა ადამიანისა და ბუნების პოეტური სამყაროს ჰარმონია („*შენ ეჭვიანობ?*", „*ფონი*" და სხვა).

თავისებური იყო *ვინსენტ ვან გოგის* (1853-1890) ხატვითი ხელოვნება. მის ფერწერაში იკვეთება ძირითადად ორი პერიოდი: 80-იანი წლების პირველი ნახევარი და სიცოცხლის ბოლო სამი წელი, როცა ის მძიმე ავადმყოფი იყო. პირველი პერიოდის ფერწერისათვის,

---

1 მოდერნი (უახლესი, თანამედროვე) — XIX-XX საუკუნეებში სტილისტური მიმართულება. მოდერნის სტილში შექმნილი ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელი იყო ინდივიდუალიზმისკენ სწრაფვა, ერთიანი, ორნამენტული და სიმბოლური ჩანაფიქრი, ხაზების მოქნილობა, სტილიზებული მზარდი მოხატულობა.

რომელიც შესრულებულია მუქ, მძიმე ტონებში, დამახასიათებელია ემოციურობა, ცხოვრების მძაფრი დრამატული აღქმა, სოციალური პროტესტი, მშრომელი ხალხის თანაგრძნობა (*„ჭვლეფი ქალი“*, *„კარტოფილის ჭამელები“*). 1888 წლიდან მხატვრის შემოქმედებაში ჩნდება ავადმყოფურად ექსპრესიული სტილი, ფერთა კონტრასტი, აჩქარებული რიტმი, ფუნჯის მოსმის თავისუფალი დინამიკა (*„ადამის კაცე“*, *„პეიზაჟი ტბაში წვიმის შემდეგ“*, *„წითელი ვენაბები არლეში“*).

პოსტიმპრესიონისტებმა სეზანმა, ვან გოგმა და გოგენმა დიდი გავლენა იქონიეს XIX-XX საუკუნეების ზღვარზე მხატვრული კულტურის განვითარებაში.

ძირითადი ტერმინები და ცნებები

ანსამბლური ცეკვა
ბურჟუაზიული აკადემიზმი
ვერიზმი
„აღმზრდელობითი რომანი“
დეკადენტობა
დრამა-დისკუსია
იმპრესიონიზმი
ისტორიული რომანი
კლასიციზმი
კონსერვატული რომანტიზმი
კრიტიკული რეალიზმი
ლირიკული რომანტიზმი
ლიტოგრაფია
მოდერნი
ნატურალიზმი
ოფორტი
პლენერი
პოსტიმპრესიონიზმი
სამრეწველო არქიტექტურა
ფსიქოლოგიური რომანი
პუანტები
რეალიზმი
რეალისტური ნოველა
რევოლუციური კლასიციზმი
რომანტიზმი
სიმბოლიზმი
სიმფონიური პოემა
სოციალურ-რეალისტური დრამა
ეტიუდი

კითხვები გამეორებისათვის

1. დაასახელეთ და დაახასიათეთ XIX საუკუნის ძირითადი მხატვრული სტილები.
2. დაახასიათეთ ხელოვნების სხვადასხვა დარგის კლასიციზმის ნაწარმოებები, დაასახელეთ მათი ავტორები.
3. ევროპის რომელი ქვეყანა შეიძლება დადგეს პირველ ადგილზე მხატვრული შემოქმედების საერთო განვითარების დონით, რომელი ქვეყნები იყვნენ წამყვანი მუსიკის ხელოვნებაში, ფერწერაში, ლიტერატურაში?
4. ხელოვნების რომელი ახალი მიმართულებები გაჩნდა ევროპაში XIX საუკუნის ბოლოს; ხელოვნების რომელი დარგებს მოიცავენ ისინი; ვინ არიან მისი წარმომადგენლები?

თავი 14

რუსეთის კულტურა XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში



მოსკოვის ანსამბლური განაშენიანება. ტვერის ქუჩა. გადასახედი კრემლის მხარეს



მოდერნი. მინდოვსკის სახლი პოვარსკის ქუჩაზე (მოსკოვი)

კულტურული განვითარების ძირითადი ფაქტორები და ტენდენციები

XIX საუკუნე რუსეთის ისტორიაში შევიდა, როგორც კულტურის არნახული აყვავების პერიოდი და მასთან მიმართებაში მყარად დამკვიდრდა „კლასიკური დროის“ ეპითეტი. ამ პერიოდში დასრულდა რუსული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების, ნაციონალური კულტურის ფორმირების პროცესი. მისი წარმომადგენლების მიერ შეიქმნა ნაწარმოებები, რომლებიც თავისი მაღალი მხატვრული დონის მეოხებით მომდევნო თაობებისთვის ხელოვნების უკვდავ ნიმუშებად იქცა.

XIX საუკუნის რუსეთის კულტურული განვითარების მეორე თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მხატვრული შემოქმედების არნახული აღმაფრენის მიღწევით რუსეთმა მსოფლიოს შესძინა ხელოვნების დიდებული ძეგლები სულიერი კულტურის პრაქტიკულად ყველა სფეროში — ფერწერაში, მუსიკაში, არქიტექტურაში, მეცნიერებაში, ტექნიკაში, ფილოსოფიაში, თეატრალურ ხელოვნებასა და, განსაკუთრებით, ლიტერატურაში. XIX საუკუნე გამოირჩევა დიდი მიღწევებით ბევრი ევროპული ქვეყნისა და აშშ-ის მხატვრული შემოქმედების განვითარებაში, მაგრამ არსად სხვაგან არ შეიმჩნეოდა ხელოვნების ყველა სფეროს ასეთი არნახული ერთდროული აყვავება. XIX საუკუნეში ლიტერატურას ევროპის ქვეყნებში წამყვანი როლი ეკავა, მაგრამ რუსული ლიტერატურის მიღწევები იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ XIX საუკუნეს უწოდეს რუსული ლიტერატურის *ოქროს ხანა*.

კულტურის ასეთი აყვავება მთელ რიგი ფაქტორებით იყო განპირობებული. ლიტერატურულ-მხატვრული ცხოვრება განისაზღვრებოდა და მჭიდროდ იყო დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკურ წყობაში მიმდინარე ძვრებთან, საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების განვითარებასთან, განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებებთან, საზღვარგარეთის ქვეყნებთან რუსეთის ურთიერთობის გაფართოებასთან.

XIX საუკუნის რუსული კულტურის განვითარების ზოგადი პირობების შეფასებისას არ შეიძლება იმ სოციალური ძვრების დაეწყება, რაც განიცადა ამ საუკუნეში რუსული საზოგადოების წამყვანმა კლასმა — თავად-აზნაურთა ფენამ — თავიდან მიწაზე, ხოლო შემდეგ — გლეხურ შრომაზე (ბატონყმობის გაუქმება) მონოპოლიის დაკარგვის სახით. XIX ს. წარმოადგენს ინდუსტრიული

ცივილიზაციის ფორმირების პერიოდს — რუსეთში მიმდინარეობდა სამრეწველო გადატრიალება და საგრძნობლად ამაღლდა მისი ტექნიკური დონე. მზარდი სამრეწველო წარმოების მოთხოვნები გახდა სამეცნიერო ტექნიკური აზროვნების სტიმული. XIX საუკუნეს სამართლიანად შეიძლება ეწოდოს რუსეთის მეცნიერული აზროვნების უმაღლესი აღმაფრენის ეპოქა. სამეცნიერო ძიებებს შორის გამოირჩეოდა ფუნდამენტური გამოკვლევები მეცნიერების მრავალ სფეროში, როგორიცაა მათემატიკა, ქიმია, ფიზიკა, ფიზიოლოგია და სხვა. რუს მეცნიერთა შორის ბევრი გახდა ნობელის პრემიის ლაურეატი (მეცნიერების შესახებ იხ. თავი 15).

XIX საუკუნე გახდა განათლების სისტემის რეფორმირების ხანა. და თუმცა იგი არ იყო მთლად თანმიმდევრული (საუკუნის პირველ ნახევარში გაძლიერდა განათლების წოდებრიობა), მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ალექსანდრე II-ის ლიბერალურმა იდეებმა.

განსაკუთრებით ძლიერი ბიძგი მიეცა განათლების დაწყებითი საფეხურის განვითარებას. მოქმედ ერთწლიან საეკლესიო-სამრევლო სკოლებთან ერთად ყველგან იხსნებოდა სამწლიანი *საერო სკოლები*, სადაც ასწავლიდნენ ადგილობრივი პროგრესული ინტელიგენციის წარმომადგენლები. განათლების საშუალო საფეხური მოიცავდა ჰუმანიტარულ *კლასიკურ გიმნაზიებსა* და *რეალურ სასწავლებლებს*. გოგონები სწავლობდნენ *ქალთა გიმნაზიებსა* და *ეპარქიულ სასწავლებლებში*.

1863 წლის საუნივერსიტეტო წესდებამ ქვეყნის უნივერსიტეტებს მიანიჭა ავტონომიის ფართო უფლებები. იგი გამოიხატებოდა სტუდენტთა რაოდენობის მატებით, მოსწავლეთა კონტიგენტის დემოკრატიზაციითა და კურსდამთავრებულთა ცოდნის დონის ამაღლებით. პეტერბურგსა და მოსკოვში პირველად გაიხსნა *ქალთა უმაღლესი კურსები*, რომლებიც ამზადებდნენ მასწავლებლებსა და ექიმებს.

საუკუნის ბოლოს განათლების საშსაფეხურიან სისტემას დაემატა ახალი სტრუქტურები — შეიქმნა *კომერციული სასწავლებლების ქსელი*, რომელიც იძლეოდა საშუალო განათლებას.

XX საუკუნის დასაწყისში დიდი ცვლილებები შეეხო უმაღლეს სკოლას. ქვეყნის რევოლუციური ალმავლობის პირობებში ხელისუფლებამ აღადგინა უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ავტონომია, რაც აკრძალული იყო ალექსანდრე III-ის მეფობის წლებში. გაფართოვდა უნივერსიტეტთა ქსელი. ქვეყანაში იმჟამად

ფუნქციონირებდა 9 უნივერსიტეტი. ქვეყნის მსხვილ ცენტრებში შეიქმნა ახალი ტექნოლოგიური, პოლიტიკური და პედაგოგიური ინსტიტუტები. ფართო გავრცელება ჰპოვა კერძო უმაღლესმა სასწავლო დაწესებულებებმა.

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის საზოგადოების სულიერი განვითარების აღმავლობაზე უდიდესი გავლენა იქონია 1812 წლის სამამულო ომში გამარჯვებამ. მხოლოდ რუსმა ხალხმა შეძლო ფელდმარშალ *მ. ი. კუტუზოვის* მეთაურობით ნაპოლეონის აგრესიის შეჩერება და დაეხმარა ევროპას ბონაპარტეს ბორკილების დამსხვრევაში. ამის შემდგომ ნაპოლეონის ვარსკვლავი ჩაქრა, ხოლო რუსეთის საერთაშორისო ავტორიტეტი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამ ომში გამარჯვებამ გრანდიოზული ისტორიული მოვლენებით შეპყრობილი მრავალი რუსი ადამიანის პატრიოტული აღმავლობა და ნაციონალური თვითცნობიერების გაზრდა გამოიწვია.

XIX საუკუნეში რუსეთის კულტურის აღმავლობა დაემთხვა აქტიური რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყისს. მისი ყველა სფერო დაემსგავსა გამძვინვარებული იდეური ბრძოლის არენას. ლიტერატურა და ჟურნალისტიკა დაკავებული იყო ეროვნებათა და ქვეყნის ბედ-იღბლის საკითხების განხილვით და იკავებდა მკვეთრ მამხილებელ პოზიციას თვითმპყრობელობის მიმართ. *ა. ს. პუშკინის* ოდამ „თავისუფლება“ და „წერილები ციმბირში“, *ჰ. ი. ლერმონტოვის* ლექსმა „*პოეტის სიკვდილი*“, *ვ. გ. ბელინსკის* ცნობილმა წერილმა *ნ. ვ. გოგოლისადმი* – სამამულო სიტყვა-კაზმულობის ამ საუკეთესო ნიმუშებმა განსაზღვრა რუსული ლიტერატურის განვითარების *კრიტიკული* ხასიათი.

ეპოქის მოწინავე მოღვაწეთა ცნობიერების კრიტიციზმი აღრმავებდა *კულტურის დემოკრატიზაციის* ფართოდ გაშლილ პროცესს, რაც დაკავშირებული იყო მის რიგებში არაპრივილეგირებული ფენების წარმომადგენელთა ე.წ. რ ა ზ ნ ო ჩ ი ნ ც ე ბ ი ს შემოსვლასთან, რომლებიც ცხოველ ინტერესს იჩენდნენ „უბრალო ადამიანთა“ თემასთან მიმართებაში. ასე შემოვიდა *კულტურაში ხალხის თემა*. ამ დროიდან იგი ხდება რუსული ინტელიგენციის სულიერი ძიებების განმსაზღვრელი.

ფოლკლორისტიკა

კულტურის მიერ ხალხური ფესვების ღრმა შეთვისებას ხელს უწყობდა ფოლკლორით სერიოზული გატაცება. საუკუნის ვერც ერთმა კლასიკურმა ნაწარმოებმა ვერ აარიდა თავი ზეპირი ხალხური შემოქმედების გავლენას. ეს, თავის მხრივ, ხელს

უწყობდა ნაციონალური თვითშემეცნების ზრდას, რუსული და მსოფლიო კულტურების ერთიანობის მოაზრებას.

ხალხური შემოქმედების სისტემური შესწავლის დასაწყისად მოიაზრება XIX საუკუნის 30-40-იანი წლები, თუმცა მისი წინაპირობები უკვე არსებობდა საუკუნის დასაწყისში.

1804 წელს *კორშით დანილოვის* მიერ გამოქვეყნებული იქნა ფოლკლორის პირველი რუსული კრებული „*ძველი რუსული ლექსები*“. 1814 წელს მოსკოვის *უნივერსიტეტთან დაარსდა რუსული სიტყვიერების მოყვარულთა საზოგადოება*. ფოლკლორის შეგროვებისა და შესწავლის საქმეში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს სლავიანოფილმა ძმებმა *კ. ს.* და *ი. ს. აქსაკოვებმა* და *პ. ვ. კირეევსკიმ*. *პ. ვ. კირეევსკის* ხალხური „*სიმღერების*“ ათტომეული მკაცრი საცენზურო შეზღუდვების გამო გამოვიდა მხოლოდ რეფორმების ეპოქაში – 60-70-იან წლებში.

მწერალმა, ეთნოგრაფმა *ვ. ი. დალმა* (1801-1872 წ.წ.) მთელი თავისი სიცოცხლე (50 წელზე მეტი) მიუძღვნა „*ცოცხალი დიდებულიკორუსული ენის განმარტებითი ლექსიკონის*“ (შეიცავს 200 ათასზე მეტ სიტყვას) შექმნას. მწერალმა-მეცნიერმა აგრეთვე შეაგროვა, მოამზადა და გამოსცა კრებული „*რუსი ხალხის ანდაზები*“, რომელიც შეიცავდა 30 ათასზე მეტ ანდაზას, ანდაზურ თქმასა და ნართაულ სიტყვას.

ხალხურ ზღაპრებს აგროვებდა რუსი ლიტერატურისმცოდნე, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, მითოლოგიური სკოლის წარმომადგენელი *ა. ნ. აფანასიევი* (1826-1871 წ.). მან გამოსცა „*რუსული ხალხური ზღაპრების*“ რვა კრებული. მისი მთავარი ნაშრომი „*სლავების პოეტური შეხედულებები ბუნებაზე*“ ეძღვნება სლავური წარმოშობის ხალხთა ენისა და ფოლკლორის ისტორიულ-ფილოლოგიურ ანალიზს.

პრიონეჟიეში ჩაწერილი 200-ზე მეტი ბილინა (სავშიროთქმულება) და ისტორიული სიმღერა გამოაქვეყნა ფოლკლორისტმა *ნ. ნ. რიბნიკოვმა*. ფოლკლორულ წყაროებს აქტიურად აგროვებდა, სწავლობდა და თავის ნაწარმოებებში იყენებდა მწერალი-რევოლუციონერი *ა. ი. ოდოევსკი*.

ლიტერატურა და დრამატურგია

ხელოვნების სხვა დარგებს შორის პირველ ადგილზე გამოდის ლიტერატურა, იგი ელფერს აძლევს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზრსა და საზოგადოებრივ შეხედულებას. კულტურის გასახელმწიფოებრიობის პირობებში ლიტერატურა გადარჩა ისე, რომ არ დაქვეითებულა მისი იდეური

დონე, რაც მან მოახერხა ჭარაგმებისა და მეტაფორულობის მეოხებით. ეს თავისებურებები მას ყველასთან ყველაფრის შესახებ ლაპარაკის საშუალებას აძლევდა. მწერლის ფიგურა ამაღლდა როგორც არასდროს. საზოგადოების გონებრიობაზე თავისი ზემოქმედებით მწერალი თვით ეკლესიის მსახურთაც აღემატებოდა.

რეფორმისშემდგომი პერიოდის ძირითად ფენომენს წარმოადგენდა — *მამხილებლობა*. იგი ნაკარნახევი იყო 60-იანი წლების პირობებით: ლიბერალურმა რეფორმებმა შეასუსტა ხელოვნების ცენზურული და დამსჯელი ფუნქციები. ლიტერატურის ცენტრალური ფიგურა ხდება მეამბოხე, ნიჰილისტი, რევოლუციონერი.

კიდევ ერთი თვისება ახასიათებდა რუსულ ლიტერატურას საუკუნის პირველ შესამედში. ერთდროულად და ერთ სივრცეში გააერთიანა მან ორი ძირითადი სტილის — რომანტიზმისა და რეალიზმის მრავალფეროვნება.

რომანტიზმისთვის დამახასიათებელია ძლიერი ადამიანური ვნებების გამოსახვა, ბუნების განსულიერება, ნაციონალური წარსულის იდეალიზაცია, ძლიერი, არაორდინალური პიროვნებისადმი ინტერესი.

რუსული რომანტიზმის ყველაზე ცნობილი წარმომადგენელია — პოეტი *ვ. ა. ჟუკოვსკი* (1783-1852), რომლის შემოქმედებისთვის დამახასიათებელია მელანქოლიური ოცნებები, ინტერესი ინტიმურ-სულიერი განცდებისა და ხალხური ფანტასტიკის სახეებისადმი. ეს ნიშნები განხორციელდა ისეთ ბალადებში, როგორიცაა „*ლუდმილა*“, „*სვეტლანა*“ და სხვა.

სამოქალაქო რევოლუციური რომანტიზმის წარმომადგენელია *კ. ფ. რილეევი* (1795-1826 წ.) — ავტორი ლირიული ნაწარმოებებისა, ისტორიული „*ფიქრებისა*“, პოემებისა „*კოონაროვსკი*“, „*ნალივაიკო*“, რომლებიც შეიცავს პოლიტიკურ ასოციაციებს. რევოლუციური მოქალაქეობრიობის პათოსი, თვითმპყრობელურ — ბატონყმური წყობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოწოდებაა გადმოცემული *ვ. კ. კიუხელბეკერის* (1797-1846) ოდებსა და პოემებში „*ბაირონის სიკვდილი*“, „*რილეევის აჩრდილი*“ და სხვა.

XVIII საუკუნის ბოლოს ჩასახული *რეალიზმი* რუსულ ნიადაგზე საბოლოოდ დამტკიცდა XIX საუკუნის 30-იან წლებში. იგი პირველად არნახული მხატვრული ძალით გაელერდა რუსული ლიტერატურის სამი ტიტანის *ა. ს. პუშკინის, მ. ი. ლერმონტოვისა* და *ნ. ვ. გოგოლის* შემოქმედებაში.

XIX-XX საუკუნეების რუსული ლიტერატურის სათავეებთან დგას *ა. ს. პუშკინის* (1799-1837) გენია. ის არის ახალი

ლიტერატურის ფუძემდებელი, რუსული სალიტერატურო ენის შემქმნელი. მისი ერთ-ერთი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან თავის თანამედროვეებს შორის ყველაზე ადრე და ყველაზე ღრმად გააცნობიერა ლიტერატურის, როგორც რუსული საზოგადოებრივი აზრის განუყოფელი ნაწილის, როგორც ერის სულიერი განვითარების ფაქტორის, უდიდესი როლი. ნ. გ. ჩერნიშევსკი აღნიშნავდა: „მან პირველმა გამოაცხადა ჩვენში ლიტერატურა ეროვნული ღირსების საქმედ“. პოეტის დანიშნულების შესახებ პუშკინმა დაწერა თავისი ცნობილი ლექსი „*წინასწარმეტყველი*“.

პუშკინმა იცოცხლა მხოლოდ 37 წელი. მაგრამ ისტორიული თვალსაზრისით ასეთი მოკლე დროის განმავლობაში მან ჩაიდინა შემოქმედებითი გმირობა, შექმნა უამრავი სწორუპოვარი ნაწარმოები. განსაცვიფრებელია მისი პოეტური ნიჭის უნივერსალობა — მის მიერ შექმნილი ნაწარმოებები მიეკუთვნება სრულიად განსხვავებულ ჟანრებს (ლირიული და ფილოსოფიური ლექსები, ოდები, პოემები, ზღაპრები, დრამატურგიული და პროზაული ნაწარმოებები, კრიტიკული, პუბლიცისტური და ისტორიული შრომები).

პუშკინის შემოქმედება მეტად მრავალმხრივია მასში წამოყენებული პრობლემების თვალსაზრისით, რომლებიც ეხება როგორც ლიტერატურის, ისე რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ამოცანებს. ასე მაგალითად, ისტორიულ დრამაში „*ბორის გოდუნოვი*“ ამგვარ პრობლემად გვევლინება ხალხის, როგორც ისტორიის მამოძრავებელი ძალის საკითხი. ამ დრამაზე მუშაობისას მოიწიფა პუშკინის მხატვრული რეალიზმი.

პიროვნებისა და სახელმწიფოს პრობლემა — ესაა ძირითადი თემა პოემისა „*სპალერძის მხედარი*“. პოეტის შემოქმედების დემოკრატიული ტენდენციები ნათლად გამოვლინდა „*ძველკონის მოთხრობებში*“, რუსულ ლიტერატურაში პირველად წარმოჩინდა პატარა ადამიანის თემა („*სადგურის მეთვალყურე*“).

ადამიანური ვნებების ფსიქოლოგიის ღრმა წვდომით გამოირჩევა „*პატარა ტრაგედიები*“. მისთვის დამახასიათებელია ხასიათების უტყუარი და მრავალმხრივი გამოსახვა, მწვავე დრამატიზმი და მხატვრული ფორმის განსაცვიფრებელი შეკრულობა. აქ არაჩვეულებრივად გამოვლინდა პუშკინის სხვა ხალხების ცხოვრებაში ჩაწვდომის გენიალური უნარი — იგი ასახავს ნებისმიერი ეროვნებისა და ნებისმიერი ისტორიული ეპოქის ადამიანთა ფსიქოლოგიასა და ზნე-ჩვეულებებს. ბელინსკი აღნიშნავდა, რომ პუშკინი თავისუფლად

იქნებოდა მთელი მსოფლიოს მოქალაქე, იგი პოეტს უწოდებდა *„მსოფლიო გენიას“*.

ლექსად დაწერილ რომანში *„ევგენი ონეგინი“* პუშკინმა გადმოსცა პიროვნებისა (მის მიერ გააზრებულია, როგორც გარემოსა და ვითარების სოციალური პროდუქტი) და საზოგადოების ურთიერთობა. ეს რომანი არის XIX საუკუნის რუსული რეალისტური რომანის ბრწყინვალე დასაწყისი, რომელმაც განსაზღვრა რუსული ხელოვნების ნაციონალური ტრადიცია და მისი შემდგომი განვითარების გზები.

მ. ი. ლერმონტოვი (1814-1841) – არის რუსეთის მეორე უდიდესი პოეტი. 1837 წელს ლექსისათვის *„პოეტის სიკვდილი“* იგი გაგზავნილი იქნა კავკასიაში მოქმედ არმიაში. პუშკინის სიკვდილისადმი მიძღვნილი ლექსები – ესაა არსებული სახელმწიფო წყობისადმი აშკარა ბრალდება. ეს ლექსი ცხადყოფდა რუსულ პოეზიაში პუშკინის ღირსეული მემკვიდრის გამოჩენას.

თუმცა, რუსული პოეზიის ელფერი შეიცვალა, იგი გახდა უფრო ნაღველიანი, ტრაგიკული, რამდენადაც ლერმონტოვის თაობა ჩამოყალიბდა დეკაბრისტთა აჯანყების შემდეგ. ლერმონტოვის ბევრი ნაწარმოები განმსჭვალულია მოქალაქეობრივი პათოსით, პარტიოტული გრძნობით *(„ბოროდინო“, „პოეტი“, „სამშობლო“)*. მის ლირიკაში ერთმანეთში გადახლართულია საზოგადოებრივ-სამოქალაქო, ფილოსოფიური და ღრმად პიროვნული მოტივები *(„მწირი“, „იალქანი“, „ორი გოლიათი“, „ღრუბლები“)*. ყოველი ლექსი გამოხატავს ადამიანის მდგომარეობას გარდატეხის, შეუქცევადი გადაწყვეტილებების საზღვარზე, რაზედაც დამოკიდებულია ცხოვრება.

ლერმონტოვის შემოქმედების ცენტრს წარმოადგენს დემონის სახე, რომელიც ჩანს პოეტის ბევრ ნაწარმოებში, მათ შორის ამავე სახელწოდების პოემაში. ლერმონტოვის პოემების ატმოსფერო – ესაა მოქმედების ბიბლიური კოსმიურობა, რომელიც იშლება პირდაპირ ცის ქვეშ, მთათა მწვერვალების თავზე. მათში შეიგრძნობა ტრაგიკული დაძაბულობა, თითქოს თითოეული ნაბიჯი იდგმება უფსკრულის თავზე, სიცოცხლესა და სიკვდილს შორის არსებულ ვიწრო საზღვარზე.

პოემა *„დემონი“* – ესაა *„მსოფლიო წესრიგის“* უსამართლობის წინააღმდეგ პიროვნების ამბოხის იდეის სიმბოლური განხორციელება, მარტოსულობის ტრაგედია. ამ პოემის, ისევე როგორც ლერმონტოვის ყველა სხვა ნაწარმოების დასასრული, სევდიანია.

ლერმონტოვის რეალისტური შემოქმედების მწვერვალს წარმოადგენს *„ჩვენი დროის გმირი“*, რომელიც აღსავსეა ღრმა საზოგადოებრივი და ფსიქოლოგიური შინაარსით. მისი გმირებიც ტრაგიკულობით გამოირჩევიან, უბედურები არიან, ხოლო მთავარი გმირი – პეჩორინი მივიწყებული რუსეთიდან სპარსეთში მიემართება სიკვდილის საძებნელად.

ნ. ვ. გოგოლის (1809-1852) შემოქმედებაში გამოყოფენ საწყის ეტაპს, რომელიც დაკავშირებულია კრებულის *„ხუტორის ახლოს მდებარე დეკანოზის მახლობლად“* პუბლიკაციასთან. ეს *„მკვირცხლი მოთხრობები“* აღსავსეა უკრაინული ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალით, რომანტიკული განწყობილებებით, სავსეა ლირიკითა და იუმორით. კრებულის მოთხრობები უკრაინული ზღაპრების, სიმღერების, თქმულებების ერთგვარი გამოძახილია. მათ მოუტანეს გოგოლს სახელი და დიდება.

ნ. ვ. გოგოლის შემოქმედების მეორე ეტაპი – რეალისტურია. იგი იწყება მოთხრობებით კრებულიდან *„მირგოროდი“ („ძველებუროვანი მემამულეები“, „ტარას ბულბა“)* და *„არაბესკები“ („პორტრეტი“, „ნევის პროსპექტი“, „ცხვირი“, „მანტელი“, „შენიშვნები ჩანაწერების“)*. მოთხრობაში *„მანტელი“* გოგოლმა ფართოდ გაშალა პატარა ადამიანის დამცირებულობის, თვითმპყრობელურ-ბატონყმურ სისტემაში მისი მარტოსულობის თემა. გოგოლის პერსონაჟები გამოსახულია ისეთი მხატვრული ოსტატობითა და ფსიქოლოგიზმით, რომ მათ საზოგადო მნიშვნელობა მოიპოვეს. გოგოლის მოთხრობასთან *„მანტელი“* ტრადიციულად დაკავშირებულია რუსულ ლიტერატურაში *„ნატურალური სკოლის“* დაარსება.

„ჰეტერბურგული მოთხრობების“ („ცხვირი“, „პორტრეტი“ და სხვა) გროტესკულმა საწყისმა განვითარება ჰპოვა კომედიაში *„რევიზორი“*, სადაც ავტორმა სატირულ დაცინვას დაუქვემდებარა რუსეთის ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიული აპარატი.

გოგოლის რეალიზმის მწვერვალს წარმოადგენს პოემა-რომანი *„მკვდარი სულები“*, რომლის პირველი ტომი გამოიცა 1842 წელს. რომანში მემამულური რუსეთისადმი მიმართული სატირა გაერთიანებულია რუსეთის სულიერი გარდაქმნის პათოსთან.

საზოგადოებრივ მანკიერებებს დაუფარავად ამხილებდა *ა. ს. გრიბოედოვი* (1790/1795?-1829) – ავტორი უკვდავი კომედიისა *„ვაი ჭკუისაგან“*. კომედიამ ასახა არა მხოლოდ ბატონკაცური მოსკოვის ბველი სამყაროს ყოფა და ჩვეულებები, არამედ XIX საუკუნის დასაწყისის რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივი აზრის მიმართება

ჩაცკის სახეში განხორციელებულია აქტიური შემოქმედებითი აზროვნებისა და თავისუფალი ადამიანური გრძნობების იდეა, რომელიც ანგრევს მემამულეთა მძიმე, ბარბაროსულ სამყაროს. კომედია ლეგალურად გამოიცა მხოლოდ 1862 წელს, მისი შექმნიდან ოცდათერამეტი წლისა და მისი ავტორის ტრაგიკული დალუპვიდან ოცდაცამეტი წლის შემდეგ. კომედიის ბევრი სახე გახდა განზოგადებული, ცალკეული ლექსები კი იქცა ანდაზებად და ფრთოსან გამოთქმებად.

ბატონყმური წყობილების, ცხოვრებასა და ადამიანთა ცნობიერებაში მისი გადმონაშთების მხილება, ახალი ბურჟუაზიული საზოგადოების ნაკლოვანებების ჩვენება იყო XIX საუკუნის მეორე ნახევრის რუსული პროგრესული ლიტერატურის ძირითადი მიმართულება. ისეთი გიგანტები, როგორიცაა *ლ. ნ. ტოლსტოი* (1828-1910), *ფ. მ. დოსტოევსკი* (1821-1881), *ი. ს. ტურგენევი* (1818-1883), *მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინი* (1826-1889), *ი. ა. გონჩაროვი* (1812-1891) გამოსახავდნენ რუს ადამიანთა ცხოვრების მთელ ფენებს, მათ სიხარულსა და მწუხარებას, მათი ცხოვრების ნათელ და ბნელ მხარეებს.

ლ. ნ. ტოლსტოის გენიალურმა შემოქმედებამ, რომანებით *„ომი და მშვიდობა“*, *„ანა კარენინა“*, *„აღდგომა“*, ტრილოგიით *„ბავშვობა“*, *„ყრმობა“*, *„სიჭაბუკე“*, უდიდესი გავლენა იქონია მსოფლიო ლიტერატურაზე.

რომანებში *„დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი“*, *„დანაშაული და სასჯელი“*, *„იდიოტი“*, *„ძმები კარამაზოვები“* *ი. მ. დოსტოევსკიმ* რეალისტურად გამოსახა ნათელი, თვითმყოფადი რუსული ხასიათების შეუხებება, გმირების მიერ ადამიანური ბედნიერების, ჰარმონიის დაუცხრომელი ძიება, ქრისტიანული თვალსაზრისიდან გააანალიზა რუსეთის საზოგადოებრივი და სულიერი კრიზისი.

ი. ს. ტურგენევის შესანიშნავ ქმნილებებში ნაჩვენებია რუსი გლეხების მაღალი სულიერი თვისებები და ნიჭიერება *(„მონადირის ჩანაწერები“)*, *„ზედმეტი ადამიანებისა“* და ეპოქის ახალი გმირების — რაზნოჩინცებისა და დემოკრატების სახეები *(„მამები და შვილები“, „რუდინი“)*, რუს ქალთა თავდადება *(„წინა დღეს“, „თავად-აზნაურთა ბუდე“)*.

მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის შემოქმედებაში დემოკრატ-განმანათლებლის პოზიციიდან განიხილება თვითმპყრობელური-ბატონყმური წყობილება, დაცინვის საგნადაა ქცეული მისი წარმონაქმნი — რუსული ბიუროკრატია *(„ჯუბერნიული ნარკვევები“, „პომპადურები“, „პოშეხონელი მოხუცი“)*. *„ერთი ქალაქის ისტორიაში“* შექმნილია ქალაქის მმართველთა გროტესკული — სატირისტული გალერეა, სოციალურ-ფსიქოლოგიურ რომანში *„ბატონი გოლოვლევები“* გამოსახულია მემამულეთა სულიერი და ფიზიკური დეგრადაცია.

გონჩაროვის რომანი *„ობლომოვი“* — ფილოსოფიური გააზრებაა რუსული ნაციონალური ხასიათის, იმ განსაკუთრებული ზნეობრივი გზისა, რომელიც წინ ალუდგება *„ყოველისშთანთქმელ“* პროგრესს, რომანში *„ჩვეულებრივი ისტორია“* *„რეალიზმსა“* და *„რომანტიზმს“* შორის არსებული კონფლიქტი წარმოდგება, როგორც რუსული ცხოვრების არსებული კოლიზია. ზნეობრივი იდეალის ძიებითა და ნიჰილიზმის კრიტიკითაა განმსჭვალული რომანი *„ბრალი“*.

XIX საუკუნის მეორე ნახევარი რუსული დრამატურგიისათვის იყო *ა. ნ. ოსტროვსკის* (1823-1886) პერიოდი. ის აგრძელებდა თავისი წინამორბედების საუკეთესო მამხილებელ ტრადიციებს, გამოსახავდა *„ბნელი სამეფოს“* ბინადართ. მისი პიესები — *„ჭკუა-ეუხილი“*, *„უმზითვო“*, *„მგლები და ცხვრები“*, *„ცოფიანი ფული“*, *„მდუღარე გული“* და სხვა, ხელს უწყობდნენ რუსული დრამატურგიის ახალი სკოლის დაარსებასა და რუსული თეატრის ნაციონალური რეპერტუარის შექმნას.

დრამატურგმა *ა. ვ. სუხოვო-კობილინმა* (1817-1903) დრამატულ ტრილოგიაში *„კრეჩინსკის ქორწინება“*, *„საქმე“*, *„ტარელკინის სიკვდილი“* სატირისტული მხილებით აჩვენა ადამიანის სრული უძლურება სასამართლოს ჩინოვნიკებისა და პოლიციის თავნებობისა და ბიუროკრატიზმის წინაშე.

ა. კ. ტოლსტოიმ (1817-1875) ისტორიულ ტრილოგიაში *„ივანე მრისხანეს სიკვდილი“*, *„შეფე ფიოდორ იოანოვიჩი“* და *„მეფე ბორისი“* წამოაყენა უმწიკვლო და მანკიერი ხელისუფლებისა და *„არეულობის“* ეპოქაში რუსეთის ისტორიული ბედის პრობლემა.

XX საუკუნის დასაწყისში რუსული ლიტერატურა ვითარდებოდა XIX საუკუნის ტრადიციების განმსაზღვრელი გავლენის ქვეშ. ეპოქამ წარმოაჩინა უდიდეს მწერალთა ახალი სახელები: *ა. პ. ჩეხოვი*, *მ. გორკი*, *ი. ა. ბუნინი*, *ა. ი. კუპრინი*, *ვ. გ. კოროლენკო*, *ვ. ვ. ვერესაევი*. ისინი მუშაობდნენ რეალისტურ ტრადიციებზე დაყრდნობით. თითოეულ მათგანს აღელვებდა თანამედროვეობის პრობლემები, რომლებიც მათ მიერ ზოგადადამიანურ სიბრტყეში იქნა მოქცეული. თითოეულმა მათგანმა შექმნა გარდატეხის პერიოდის განუმეორებელი პორტრეტი.

ა. პ. ჩეხოვის (1860-1904) შემოქმედებაში ასახულია რუსი ინტელიგენციის იდეური ძიებები, ყოფიერებით, სულიერი „შემრიგებლობით“ უკმაყოფილება (*„იონიჩი“, „მანდილოსანი ძაღლით“*). მის ნოვატორულ პიესებში (*„თოლია“, „ძია ვანია“, „სამი და“, „ალუბლის ბაღი“*), რომლებიც დაიდგა მოსკოვის სამხატვრო თეატრის სცენაზე, გამოსახულია დამდეგი საუკუნის წინათგრძნობისა და მიმავალ საუკუნესთან განშორების განსაკუთრებით დაძაბული ემოციური ატმოსფერო. ჩეხოვის ფატალიზმს ფსიქოლოგიურმა ოსტატობამ, იუმორისა და ლირიზმის ორგანულმა შერწყმამ უდიდესი გავლენა იქონია რუსული და მსოფლიო ლიტერატურისა და თეატრის განვითარებაზე.

რუსეთის უდიდესი მწერალია *მაქსიმ გორკი* (1868-1936). მის ადრეულ ნაწარმოებებში შექმნილია თავისუფლებისმოყვარე ადამიანების რომანტიული სახეები (*„მოხუცი ივერგილი“. „სიმღერა შეყვარდენზე“. „სიმღერა ქარიშხალზე“*). რომანებში *„თომა გორდეევი“, „დედა“, „არტამონოვების საქმე“* ნაჩვენებია XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში რუსეთში მიმდინარე ისტორიული პროცესის თავისებურებები, პროლეტარული მოძრაობის აღმოცენება, მოცემულია ბურჟუაზიული საზოგადოების სოციალური საფუძვლებისა და მისი ფილოსოფიის კრიტიკა.

გორკი არის მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი დრამატურგი. მის პიესებში *„მტრები“, „შუშხანები“, „ბარბაროსები“, „მოხუცარაკები“, „უკანასკნელნი“, „ეგორ ბულიჩოვი და სხვები“, „დოსტიგაევი და სხვები“, „ვასა ჟელეზნოვა“* ასახულია XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების წინააღმდეგობრიობის პრობლემები, ოჯახის, საზოგადოებაში ქალის მდგომარეობის, მამათა და შვილთა ურთიერთობისა და სხვა საკითხები. რევოლუციამდელ ნაწარმოებებს შორის საუკეთესოთა რიცხვს მიეკუთვნება მისი ავტობიოგრაფიული თხზულებები *„ბავშობა“, „ბალში“*.

ი. ა. ბუნინის (1870-1953) ნაწარმოებებში ძირითადი თემაა თავად-აზნაურთა გაღატაკება, სოფლის მძიმე ცხოვრება, ბურჟუაზიის სულიერი სიცარიელე (*„სოფელი“, „ატლანტი სან-ფრანცისკოდან“*). ახალი მოტივებიდანაა ასახული უსულგულო მეშჩანური ყოფა, ქალაქის ვულგარშულები, ადამიანურ ენებათა *„ბნელი ხეივნები“* (*„კარვი ცხოვრება“, „ლაქტიანი ყურები“, „მიტიას სიყვარული“* და სხვა). რომანში *„არსენიევის სიცოცხლე“* აღდგენილია რუსეთის წარსული. ლირიულ კრებულში *„ფითთოლეცვენა“* მწერალმა გააგრძელა

კლასიკური ტრადიციები. 1920 წელს ბუნინი ემიგრაციაში წავიდა (ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა 1933 წელს).

ა. ი. კუპრინმა (1870-1938) ადრეულ ნაწარმოებებში *„მოლოხი“* რეალისტურად ასახა ადამიანის კაპიტალისტური დამონება. სოციალური კრიტიციზმი გაძლიერდა თხზულებებში *„ორთაბრძოლა“, „ორმო“*. მის ამბებსა და მოთხრობებში (*„ოლესია“, „ვაჭრისწული“, „ძოწის ბამკური“*) ნაჩვენებია ფაქიზად მოხაზული ტიპებისა და ლირიული სიტუაციების მრავალფეროვნება.

ვ. გ. კოროლენკოს (1853-1921) ნაწარმოებები (*„მკარის საზმარი“, „ბრმა მუსიკოსი“, „უეხოდ“, „პალოიური ნარკვევები“, „მდინარე თამაშობს“*) განმსჭვალულია დემოკრატული და ჰუმანური იდეებით. ამ ნაწარმოებთა გმირები ესწრაფიან თავისუფლებასა და სამართლიანობას.

XIX-XX საუკუნეების ზღვარზე ინტელიგენციის ძიებებს ეძღვნებოდა *ვ. ვ. ვერესაევის* (1867-1945) მოთხრობები *„ჭის გარეშე“, „ექიმის ჩანაწერები“*. იგია ავტორი კრიტიკულ-ფილოსოფიური ნაწარმოებებისა ლ. ტოლსტოის შესახებ, ავრეთვე დოკუმენტური ნაწარმოებებისა *„პუშკინი ცხოვრებაში“, „პუშკინის თანამედროვენი“, „ცოცხალი ცხოვრებაში“*.

საზოგადოებრივი და ზნეობრივი დაცემის განწყობილება უფრო თვალსაჩინოდ აისახა პოეზიაში. ფართოდ გაიშალა დეკადენტობა — მიმდინარეობა, რომელიც გამოირჩეოდა საბოქალაქო თემატიკის უარყოფითა და ინდივიდუალური განცდების სფეროს დატვირთულობით. დაცემის მოტივები გახდა მოდერნიზმის მხატვრული მიმდინარეობის მახასიათებელი ნიშანი. *მოდერნიზმი* — ესაა XIX-XX საუკუნეების ზღვარზე ლიტერატურულ-მხატვრული მიმდინარეობა, რომლისთვისაც დამახასიათებელია რეალიზმთან განხეთქილება. რუსულ პოეზიაში ის გამოვლინდა სიმბოლიზმის, აკმეიზმისა და ფუტურიზმის სახით.

სიმბოლიზმს აღქმა გრძნობითი ფორმების საზღვრებიდან გამოჰყავდა იდეათა, სახეებისა და სიმბოლოების სამყაროში. სიმბოლისტთა უფროს თაობას მიეკუთვნებოდნენ *ვ. ბრიუსოვი, კ. ბალმონტი, ფ. სოლოგუბი, დ. მერეჟკოვსკი, ზ. გიპიუსი*, უმცროს თაობას კი — *ა. ბლოკი, ა. ბელი, ვიაჩ. ივანოვი*.

სინამდვილის ესთეტიზაცია დამახასიათებელია *აკმეისტების* ძიებისთვის. ისინი ცდილობდნენ დაებრუნებინათ პოეზიისათვის მსოფლაღქმის სინათლე და სიხალისე. ამ მიმართულებას ეკუთვნიან

პოეტები ნ. გუმილევი, ა. ახმატოვა, ო. მანდელშტამი, ა. გოროდეცკი, მ. კუზმინი.

ფუტურიზმი — ესაა XX საუკუნის 10-20-იანი წლების ხელოვნებაში ავანგარდული მიმდინარება, რომელიც ახდენდა ქალაქისა და ინდუსტრიის ესთეტიკის დანერგვას. ესწრაფოდნენ რა შეექმნათ „მომავლის ხელოვნება“, ფუტურისტები უარყოფდნენ ტრადიციული კულტურის სულიერ-ზნეობრივ ფასეულობებს. მათ ნაწარმოებებში დოკუმენტური მასალა გადაბლართული იყო ფანტასტიკასთან, ბუნებრივი ენა — ახლადგამოგონილთან. ფუტურიზმით იყო განმსჭვალული ვ. მაიაკოვსკის, ვ. ხლებნიკოვის, ი. სევერიანინის, ბ. პასტერნაკის, ნ. ასეევის ადრეული შემოქმედება.

ნათელი შემოქმედებითი ინდივიდუალურობით იყო აღბეჭდილი მ. ვოლოშინის, მ. ცვეტაევას, ნ. კლიუევის, ს. ესენინის პოეტური ბედი. შეუძლებელია მათი შემოქმედების მიკუთვნება პოეზიის ერთ-ერთი რომელიმე მიმდინარეობისათვის.

მ უ ს ი კ ა

რუსული ნაციონალური ოპერისა და ინსტრუმენტული მუსიკის სათავეებთან იდგა მ. ი. გლინკა (1804-1857). გლინკას ოპერებმა „ივან სუსანინი“ („სიცოცხლე მეფისათვის“) და „რუსლან და ლუდმილა“ საფუძველი ჩაუყარა რუსული ოპერის ორ მიმდინარეობას — ხალხურ მუსიკალურ დრამას და ოპერა-ზღაპარს, ოპერა-ბალეტს. გლინკა ითვლება რუსული კლასიკური სიმფონიზმის მამამთავრად („კამარინსკაია“, „ესპანური უვერტიურები“ — „არაგონული ხოტა“ და „ღამე მადრიდში“).

გლინკა არის რუსული რომანსის პირველი კლასიკოსი, შემქმნელი ისეთი ცნობილი რომანსებისა, როგორიცაა „მე მახსოვს მშვენიერი წამი“ (პუშკინის სიტყვებზე), „ეჭვი“. იგი ავტორია ეპოკალური ციკლისა „ვაძოთხოვება პეტერბურგთან“. გლინკას შემოქმედება მოწმობს ნაციონალური კულტურის ძლიერ ალმავლობას.

ა. ს. დარგომიჟსკი (1813-1869) — არის რუსული კლასიკური მუსიკალური სკოლის ერთ-ერთი დამფუძნებელი, მუსიკაში კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელი. სოციალური უთანასწორობის თემა კომპოზიტორის მიერ განხორციელებულია ოპერაში „რუსალკა“ (პუშკინის დრამის მიხედვით) — ესაა ხალხურ-ფოფითი დრამის ახალი ჟანრი. დარგომიჟსკის შემოქმედებაში ინდივიდუალური სახის შექმნის ძირითად საშუალებას წარმოადგენდა ცოცხალი ადამიანური მეტყველების ინტონაციის ხელახალი წარმოქმნა. ეს შემოქმედებითი პრინციპები ავტორმა გამოიყენა

ნოვატორულ ოპერაში „ქვის სტუმარი“ (პუშკინის „პატარა ტრაგედიის“ ტექსტზე). იგია ავტორი ოპერისა „ესმერალდა“, ოპერა-ბალეტისა „ვაკანის ზეიმი“ და სხვა. წერდა რომანსებს: „მე თქვენ მიყვარდით“, „ქორწილი“, „ღამის ზეფირი“ (პუშკინის სიტყვებზე), რომლებიც გამოირჩევა ფსიქოლოგიური გამომსახველობის სიღრმით, ნათელი ხატოვნებით. იგია ავტორი დრამატული სიმღერისა „მოხუცი კაპრალი“. თუ დარგომიჟსკის სახელთან დაკავშირებულია სატირულ-კომიკური სიმღერის დაბადება („ჭია“, „ტიტულოვანი მრჩეველი“), კომპოზიტორების ა. ა. ალიაბიევის, ა. ე. გარლამოვის და ა. ლ. გურილევის სახელებთან დაკავშირებულია ახალი ჟანრის — ქალაქური რომანსის დაბადება.

ა. ა. ალიაბიევი (1787-1851) — არის ავტორი პოპულარული რომანსისა „მერცხალი“, მუსიკაში ა. ს. პუშკინის პოეზიის ერთ-ერთი პირველი ინტერპრეტატორი („მე თქვენ მიყვარხართ“, „ზამთრის გზა“ და სხვა).

დაახლოებით 200 რომანსია შექმნილი ა. ე. გარლამოვის (1801-1848) მიერ. ხალხურ სიმღერად იქცა „წითელი სარაფანი“, პოპულარულია „ქუჩაში ქარბუქი ქრის“, „ვანთიადიასა მას ნუ აღუძებ“, „თეთრი ალვანი“, რომლებიც აგებულია რუსული ქალაქური და გლეხური ფოლკლორის ინტონაციებზე.

რუსულ რომანსში დემოკრატიული მიმართულება წარმოდგენილია ა. ლ. გურილევის (1803-1858) შემოქმედებით. მეტად პოპულარულია რუსული ქალაქური ფოლკლორის ტრადიციებზე შექმნილი სიმღერები („დედიკო — საყვარელო“, „ზანზალაკი“, „სარაფანი“, „მერცხალა“), აგრეთვე რომანსები („ვანშორება“, „სიჭაბუკის ნისლიან განთიადზე“, „თქვენ გერ მიბედებით ჩემს სევდას“, „ნუ ბმაუროთ შენ, ჭაჟო“ ა. კოლცოვის სიტყვებზე და ა. შ.).

არნახულ წარმატებებს მიაღწია მუსიკალურმა ხელოვნებამ რეფორმის შემდგომდროინდელ ეპოქაში. მ. ი. გლინკასა და ა. ს. დარგომჟისკის ტრადიციები გააგრძელეს „ძლავრი ჯგუფის“ კომპოზიტორებმა: მ. ა. ბალაკირევმა, ც. ა. კიუიმ, მ. პ. მუსორგსკიმ, ა. პ. ბოროდინმა, ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვმა. ჯგუფის შემოქმედებითი მოღვაწეობის აყვავების ადგილი ჰქონდა 60-70-იან წლებში. მას საფუძვლად ედო ინტერესი სამამულო მუსიკის ხალხური სათავეებისადმი.

მ. ა. ბალაკირევი (1836/37-1910) იყო „ძლავრი ჯგუფის“ მეთაური და ორგანიზატორი. მისი ძირითადი მუსიკალური

ნაწარმოებებია — უვერტიურა სამი რუსული სიმღერის თემაზე, სიმფონიური პოემები *„თამარი“*, *„რუსეთი“*, *„ჩეხეთში“*, აღმოსავლური ფანტაზია ფორტეპიანოსათვის *„ისლამი“*, აგრეთვე რომანსები.

ც. ა. კიუი (1835-1918) — იყო კომპოზიტორი, მუსიკალური კრიტიკოსი, მეცნიერი ფორტიფიკაციის სფეროში, მ. ი. გლინკასა და ა. ს. დარგომიჟსკის შემოქმედების პროპაგანდისტი, ავტორი ოპერებისა *„მანდარინის ძე“*, *„უილიამ რატკლიფი“* და სხვა. ქმნიდა რომანსებს.

მონუმენტური *ბალბური მუსიკალური* დრამები *„ბორის გოდუნოვი“* და *„ხოვანშჩინა“* შექმნილია *მ. პ. მუსორგსკის* (1839-1881) — გენიალური რუსი კომპოზიტორის მიერ. იგი ავტორია დაუმთავრებელი ოპერისა *„სოროჩინსკის ბაზრობა“*, სიმღერებისა, რომლებშიც აღბეჭდილია ცოცხალი ადამიანური სახეები და მიმართულია ხალხის ცხოვრების სოციალურად მწვავე თემებისკენ *(„კალისტრატე“*, *„ობოლი“* და *სხვა)*. მის კალამს ეკუთვნის საფორტეპიანო ციკლი *„სურათები გამოფენიდან“*, ვოკალური ციკლები *„უმზეოდ“*, *„სიკვდილის ცქვეები და სიმღერები“*, *„საბავშვო“*, რომლებიც გამორჩეულია ფსიქოლოგიური გამომსახველობის სიღრმითა და სიძლიერით. მუსორგსკი ავტორია სატირიკული *„შეიხსტოველის სიმღერებისა“*, რომელიც შექმნილია გოეთეს *„ფაუსტის“* ტექსტის მიხედვით.

კომპოზიტორი, მეცნიერ-ქიმიკოსი *ა. პ. ბოროდინი* (1833-1887) — ავტორია ოპერისა *„თავადი იგორი“* (დასრულებულია ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვისა და ა. კ. გლაზუნოვის მიერ), რომელიც წარმოადგენს მუსიკაში ნაციონალური გმირული ეპოსის ნიმუშს. იგია ერთ-ერთი ფუძემდებელი რუსული კლასიკური სიმფონიზმისა. მისი *მეორე* (*„გოლიათური“*) სიმფონია არის ეპიკური სიმფონიზმის მწვერვალი. ბოროდინი ავტორია სიმფონიური სურათისა *„შუა აზიაში“*, მან შექმნა რუსული კლასიკური სიმებიანი კვარტეტი. არის ვოკალური ლირიკის ოსტატი (ცნობილი რომანსი *„მშრალის შორეული ნაპირებისთვის“* პუშკინის სიტყვებზე). ბოროდინმა რომანსში შეიტანა გოლიათური ეპოსის სახეები *(„მძინარე თავადის ქალი“*, *„ბნელი ტყის სიმღერები“)*.

ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვის (1844-1908) შემოქმედებისათვის დამახასიათებელია მუსიკის ფერწერული-გამომსახველობითი ხასიათი, საორკესტრო და ჰარმონიული საშუალებების ოსტატური გამოყენება. ძირითადი ჟანრია ოპერა-ბალადა, სადაც ხაზგასმულია ზნეობრივ-ფილოსოფიური და სოციალური თემატიკა. მის მიერ დაწერილია 15

ოპერა, რომელშიც შექმნილია წარმტაც ქალთა სახეები — ფიფქია (*„ფოფქია“*), ზღაპრული მეფის ასული-გედი (*„ზღაპარი სალთან-შუეზე“*), რუსი ქალების — მართას და ლიუბაშას (*„შუის საცოლე“*) ხასიათის მიზანდასახულობით გამორჩეული სახეები.

რიმსკი-კორსაკოვის საორკესტრო ნაწარმოებების მწვერვალებია *„ესპანური კაპრიჩიო“* და *„შეჰერეზადა“*. მის შემოქმედებით მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კამერულ-ვოკალურ მუსიკას. მის მიერ შექმნილია 79 რომანსი, მათ შორის ვოკალური ციკლები *„ვაზაფხულია“*, *„პოეტისადმი“*, *„ზღაპართან“*.

პეტერბურგის კონსერვატორიის პროფესორმა რიმსკი-კორსაკოვმა აღზარდა ტალანტური ახალგაზრდა კომპოზიტორები: *ა. კ. გლაზუნოვი* (ავტორი ბალეტისა *„რაიმონდა“*), *ა. კ. ლიადოვი* (ავტორი სიმფონიური სურათებისა *„ბაბა-იგა“*, *„კიკიმორა“*), *ნ. ი. მასკოვსკი*, რომელმაც შექმნა 27 სიმფონია.

„ეკუთვისტებთან“ მჭიდრო კავშირში იყვნენ ძმები *ანტონ რუბინშტეინი* (რუსული მუსიკალური საზოგადოებისა და პეტერბურგში პირველი ნაციონალური კონსერვატორიის დამაარსებელი) და *ნიკოლაი რუბინშტეინი* (მოსკოვის კონსერვატორიის დამფუძნებელი), აგრეთვე მუსიკალური კრიტიკოსები *ა. ნ. სეროვი* და *ვ. ვ. სტასოვი*.

ა. გ. რუბინშტეინი (1829-1894) — ავტორია ოპერებისა *„დემონი“* (მისი ყველაზე ცნობილი ქმნილება) და *„ნეერონი“*. მის მიერ დაწერილია სულ 17 ოპერა, ორი ორატორია, ერთი ბალეტი, ექვსი სიმფონია, დაახლოებით 200 რომანსი. ოპერა *„დემონი“* ნათელი ემოციური მელოდიურობისა და მიმზიდველი სიუჟეტის წყალობით გახდა მსმენელთა ფართო წრის ერთ-ერთი საყვარელი ოპერა. კომპოზიტორი აწარმოებდა ფართო საკონცერტო მოღვაწეობას რუსეთსა და საზღვარგარეთ. ფ. ლისტის მსგავსად იგი აღიარებულია ევროპის უდიდეს პიანისტად. წარმატებით გამოდიოდა ამერიკაში — ამ კონცერტებზე ალებული თანხა მან მოახმარა მსოფლიოში პირველი საერთაშორისო მუსიკალური კონკურსების ორგანიზებას.

ამ წლებში მუსიკალური ოლიმპოს ცენტრალურ ფიგურად რჩებოდა *პ. ი. ჩაიკოვსკი* (1840-1893). სამშობლო საკომპოზიტორო სკოლის საამაყესა და სწორუპოვარ ნიმუშებს წარმოადგენს მისი ოპერები: *„მაზეპა“*, *„იოლანტა“*, *„ევგენი ონეგინი“*, *„პიკის ქალი“*, *„ორლეანელი ქალწული“*, *„მაისის ღამე“*, *„ბალეტები „გედის ტბა“*, *„მძინარე მშვენიერება“*, *„მშვილდუნბიკი“* *(„მაკრატუნა“)*.

ჩაიკოვსკი არის უდიდესი სიმფონისტი, მუსიკალური დრამატურგი და ლირიკოსი. მისი ექვსი სიმფონია მიეკუთვნება

მსოფლიო შედევრების რიცხვს. სიმფონიური მუსიკის უმაღლეს მიღწევად ითვლება მისი სინფონია „*მანფრედი*“, უვერტიურა-ფანტაზია „*რომეო და ჯულიეტა*“, ფანტაზია „*ფრანჩესკა და რიმინი*“. მის მიერ შექმნილია საფორტეპიანო და სავიოლინო კონცერტები, კამერული მუსიკალური ნაწარმოებები, 100 რომანსი[1].

საუკუნეთა გასაყარზე შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში გამოჩნდა ახალგაზრდა კომპოზიტორების ახალი პლეადა. მათი შემოქმედებისთვის დამახასიათებელია მუსიკალური გამომსახველობის ნოვატორული საშუალებების ძიება. *მოდერნიზმის* ბლიერი ნიშნებით გამოირჩეოდა *ა. კ. სკრიაბინის, ს. ვ. რახმანინოვის, ი. თ. სტრავინსკის* შემოქმედება.

რთულ რევოლუციისწინა ვითარებაში აღმოცენებული იდეები და სახეები მუსიკაში განხორციელდა *ა. კ. სკრიაბინის* (1871/72-1915) მიერ. მისი უდიდესი ნაწარმოებებია (საორკესტრო) — *მესამე სიმფონია* („*ღვთაებრივი პოემა*“) „*ექსტაზის პოემა*“, „*პრომეთეოსი*“ („*ცეცხლის პოემა*“), მის მიერ დაწერილია 10 საფორტეპიანო სონატა, პოემები, პრელუდიები, ეტიუდები, ექსპრომტები. სკრიაბინის მუსიკაში აისახა მისი დროის მეამბოხე სული. მისთვის დამახასიათებელია დაძაბული დინამიური ექსპრესია, გმირული ზეიმი. კომპოზიტორის შემოქმედებაში თავისებურად შეერწყა ერთმანეთს გვიანი რომანტიზმის ტრადიციები, მუსიკალური იმპრესიონიზმის, სიმბოლიზმისა და აგრეთვე ექსპრესიონიზმის მოვლენები. პირველად მუსიკალურ პრაქტიკაში სკრიაბინმა სიმფონიურ პარტიტურაში შეიტანა სინათლის სპეციალური პარტია („*პრომეთეოსი*“), რითაც მან *ფერად სმენას* მიმართა.

ს. ვ. რახმანინოვი (1873-1943) — ავტორია ოპერებისა „ალეკო“, „ძუნწი რაინდი“, „*ფრანჩესკა და რიმინი*“, სამი სიმფონიის, ფანტაზიისა „კლდე“, პოემისა „*მკვდართა კუნძული*“. გუნდისა და ორკესტრისათვის შექმნილია მისი კანტატა „*ვაზაფხული*“, პოემა „ზარები“. რახმანინოვის „*ოთხი ლიტურგია*“ და „*მწუხრის ურვა*“ არის XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის საეკლესიო მუსიკის განვითარების მწვერვალი. კომპოზიტორმა დაწერა ოთხი კონცერტი ფორტეპიანოსათვის ორკესტრთან ერთად, *რაფსოდია პაგანინის თემაზე*. რახმანინოვის მუსიკისათვის დამახასიათებელია უშრეტი მელოდიური სიმდიდრე,

[1] ჩაიკოვსკის რომანსების სრული ციკლი კონცერტებზე შესრულებულია სსრკ სახალხო არტისტის *სერგეი ლემეშევის* მიერ.

სუნთქვის მოცულობა და თავისუფლება, რაც ერწყმის რიტმულ ენერგიას. იგია ავტორი ბევრი რომანსისა, რომელთა შორისაა „*ვაზაფხულის წყლები*“.

თ ე ა ტ რ ი

XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთის თეატრალური და მუსიკალური ხელოვნება ვითარდებოდა რომანტიზმისა და რეალიზმის ჩარჩოებში. კლასიციზმი და სენტიმენტალიზმი წარსულს ჩაბარდა. პუშკინის დროის უდიდესი ტრაგიკოსი მსახიობი იყო *ე. ს. სემიონოვა* (1786-1849), რომელიც დიდი წარმატებით თამაშობდა რასინის, ვოლტერის, ლონჟენიერის ტრაგედიებში. მის ხელოვნებას უმაღლეს შეფასებას აძლევდა პუშკინი. პეტერბურგის სცენაზე კლასიციზმის უკანასკნელი დიდი წარმომადგენელი იყო ტრაგიკოსი *ვ. ა. კარატიგინი* (1802-1853), რომელიც მთავარ როლებს ასრულებდა ვ. ა. ოზეროვის, კორნელის, შექსპირის, შილერის ტრაგედიებში.

თეატრალური ხელოვნების აყვავებას ხელი შეუწყო სახელგანთქმული დრამატული თეატრების დაარსებამ მოსკოვსა (*მცირე თეატრი*, 1824) და პეტერბურგში (*ალექსანდრეს თეატრი* 1832). მოსკოვის თეატრის სცენაზე წამყვანი ფიგურები იყვნენ აქტიორ-რომანტიკოსი *პ. ს. მოჩალოვი* და რეალისტური სკოლის დამფუძნებელი *მ. ს. შჩეპკინი*.

მცირე თეატრის წამყვანი მსახიობი *პ. ს. მოჩალოვი* (1800-1848) წარმოადგენდა იმ დროის რუსული თეატრის რევოლუციურ რომანტიზმს. მან შექმნა უსამართლო სამყაროს წინააღმდეგ მებრძოლ მგზნებარე მეამბოხეთა სახეები. მისი საუკეთესო როლები შექსპირის, შილერის, გრიბოედოვის (ჩაცკი), კორნელის პიესებში მგზნებარებითა და შთაგონებით გამოირჩეოდა.

მ. ს. შჩეპკინმა (1788-1863) შექმნა ფამუსოვისა და გოროდნიჩის შესანიშნავი რეალისტური სახეები. ჰეშმარიტი ჰუმანიზმით იყო განხორციელებული „პატარა ადამიანების“ სახეები (კუზოვკინი-ტურგენევის „*ძველ ბერში*“).

ალექსანდრეს თეატრის სცენის აღიარებული რეალისტი — ოსტატი იყო *ა. ე. მარტინოვი* (1816-1860). მისი შემოქმედების მთავარი თემაა — „პატარა“, დამცირებული, შეურაცხყოფილი ადამიანისადმი ჰუმანური დამოკიდებულება. შსახიობის გენიალური ქმნილება იყო ტიხონის სახე ოსტროვსკის „*ჭექა-ქუხილში*“.

თეატრალური ხელოვნების განვითარების ახალი ეტაპი დაკავშირებულია *ა. ნ. ოსტროვსკის* დრამატურგიასთან, მისი

პიესების გამოჩენით რუსულმა თეატრმა მიიღო ფართო რეალისტური ნაციონალური რეპერტუარი.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში სამსახიობო სამსახურში ხელოვნება ვითარდებოდა ცხოვრებისეული კონკრეტულობის, ყოფითი სიმართლის, სოციალური ტიპიზაციის მიმართულებით. უდიდესი მსახიობი გახდა *ა. მ. სადოვსკი* (1818-1872).

XIX საუკუნის ბოლოს პროგრესული საზოგადოებრივი მიზნებით იყო განმსჭვალული ტალანტური დემოკრატი-მსახიობების შემოქმედება, რომლებიც გამოდიოდნენ პროვინციულ სცენაზე. ცნობილმა ტრაგიკოსმა მსახიობმა *პ. ა. სტრეპეტოვამ* (1850-1903) შექმნა უბრალო რუსი ქალის სახე, რომელიც პროტესტს აცხადებს უუფლებობისა და დამცირების წინააღმდეგ.

XIX საუკუნის ბოლოს თეატრალური რეპერტუარი შეივსო ხელოსნური პიესებით, მაგრამ სცენის მოწინავე მოღვაწეები იბრძოდნენ იდეურად და მხატვრულად სრულფასოვანი დადგმებისთვის და რეალიზმის განვითარებისათვის. თეატრალურ სცენებზე გამოჩნდა *ლ. ნ. ტოლსტოის* პიესები („*ბნელეთის ხელისუფლება*“, „*ცოდნის ნაყოფნი*“). საუკეთესო ტრადიციებს ავითარებდა მცირე თეატრი. განმათავისუფლებელი სწრაფვები აღმოცენდა უდიდესი ტრაგიკოსი მსახიობის *მ. ნ. ერმოლოვას* (1853-1928) შემოქმედებაში, რომელმაც შექმნა გმირ ქალთა სახეები (ეშლია ჰალოტი, ლაურენსია, კატერინა, იოანა, მარიამ სტიუარტი და სხვა).

საუკუნეთა გასაყარში კულტურის დემოკრატიული ტენდენციების ზრდამ განაპირობა თეატრალური ხელოვნების არნახული აღმავლობა. 1898 წ. მოსკოვში გაიხსნა *კ. ს. სტანისლავსკისა* (1863-1938) და *ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს* (1858-1943) მიერ დაფუძნებული საზოგადო მხატვრული თეატრი.

დედაქალაქში შეიქმნა აგრეთვე *ე. ბ. ვახტანგოვის* მოსკოვის მხატვრული აკადემიური თეატრის *(მხატი)* მე-3 სტუდია და *ა. ი. ტაიროვის კამერული თეატრი*. პეტერბურგში *ვ. ფ. კომისარჟევსკაიას* მიერ დაარსდა *დემოკრატიული თეატრი*. კლასიკურ ტრადიციებზე აგრძელებდნენ სასცენო მოღვაწეობას მცირე და ალექსანდრეს დრამატული თეატრები. ქვეყნის ყველაზე ცნობილ მუსიკალურ მოედნებად იქცა მოსკოვის *დიდი თეატრი* და პეტროგრადის *მარინის* თეატრი. მათთან ერთად ფუნქციონირებდა *ს. ი. მამონტოვის კერძო ოპერა*. 1902-1912 წლებში პარიზში *ს. პ. დიაგილევის* მიერ ეწყობოდა „რუსული სეზონები“, რომელიც უცხოელ მაყურებელს აცნობდა რუსული საოპერო და საბალეტო სცენის ცნობილ და

ახალგაზრდა ოსტატებს. მსოფლიო აღიარება მოიპოვა *ფ. ი. შალიაპინის, ლ. ვ. სობინოვის, ნ. ვ. ნეჟდანოვას, მ. მ. ფოკინის, ვ. ი. ნიჟინსკის, ა. პ. პავლოვას* შემოქმედებამ.

არქიტექტურა

XIX საუკუნის პირველი მესამედის არქიტექტურა განისაზღვრება სტილისტური მიმართულებით — *ამპირით*, რომელმაც დაასრულა კლასიციზმის განვითარება. ამპირის სტილის შენობები გამოირჩეოდა მონუმენტური ფორმებით, დეკორატიული მორთულობის საუზვით, რომელიც მოწოდებული იყო ხაზელმწიფოს სიძლიერისა და მისი საომარი გამარჯვების დასამტკიცებლად. ამპირის ადრეული ნიმუშებია არქიტექტორ *ა. ნ. ვორონიხინის* ყაზანის ტაძარი პეტერბურგში. *ა. დ. ზაბაროვის* საადმირალო შენობა და *ჟ. ტომ დე ტომონის* ვასილიევსკის კუნძულის ბირჟის ანსამბლი პეტერბურგში.

ამპირის სტილში მომუშავე გამოჩენილი არქიტექტორები იყვნენ *კ. ი. როსი, ო. ი. ბოვე* და *დ. ი. ჟილიარდი*. *კ. ი. როსმა* (1775-1849) სახელი გაითქვა სასახლისა და სენატის მოედნების მონუმენტური ამპირული ანსამბლებით პეტერბურგში. *ო. ი. ბოვემ* (1784-1834) განახორციელა 1812 წლის ხანძრის შედეგად დამწვარი წითელი მოედნის რეკონსტრუქცია და შექმნა თეატრალური მოედნის ანსამბლი. მასვე ეკუთვნის ნაპოლეონზე გამარჯვების აღსანიშნავი ტრიუმფალური თაღი მოსკოვში. *დ. ჟილიარდიმ* (1788-1845) ხელახლა ააშენა ომის დროს დამწვარი მოსკოვის კაზაკური უნივერსიტეტი, უფრო მეტად მონუმენტური გახდა მისი გუმბათი და პორტიკი, რომელმაც სახე იცვალა იონურიდან დორიულ სტილში. *დ. ჟილიარდი* არქიტექტორ *ა. გრიგორიევთან* ერთად მუშაობდა საკარმიდამო არქიტექტურაში (უსაჩოეთა კარ-მიდამო იაუზში, გოლიცინელთა მამული „კუზმინკები“, ლუნინების სახლი ნიკიტის კარებთან).

30-იანი წლების დასაწყისში არქიტექტურაში *ანსამბლურმა* აზროვნებამ თავისი თავი ამოწურა. ამპირი ადგილს უთმობს ახალ მიმართულებას — *ეკლექტიკას*. ეკლექტიკის სტილში შენობები იგებოდა განსხვავებულ სტილთა ელემენტების თავისუფალი შერწყმით და მთავარ მიზანს შეადგენდა წარსულისადმი მიბაძვა. ეკლექტიკისათვის დამახასიათებელია რომანტიზმი. ასე მაგალითად, არქიტექტორ *ა. მონფერანის* ისაკის ტაძარი პეტერბურგში გადაწყვეტილია კლასიციზმის სტილში იტალიური აღორძინების ელემენტებით, ხოლო *კ. ა. ტონის* მიერ აგებული მოსკოვის მაცხოვრის ტაძარი — რუსულ-ბიზანტიურ სტილში.

ეკლექტიკა გაბატონებულ სტილად დარჩა რეფორმისშემდგომ დროსაც. მისი ყველაზე მეტად პოპულარული სახესხვაობაა — *ფსევდორუსული სტილი* (სხვაგვარად მას უწოდებენ *როპეტოულს* მისი ფუძემდებლის არქიტექტორ *ი. პ. პეტროვის* ფსევდონიმის — *როპეტ*-ის მიხედვით). პეტროვ-როპეტის ყველაზე ცნობილი ნამუშევრებია 1878 წელს პარიზის მსოფლიო გამოფენაზე რუსული განყოფილების ხის შენობა და „კომკი“ აბრამცევოში მოსკოვის მახლობლად. ამ მიმართულების სხვა ცნობილი მოსკოვური ნაგებობებია — მოსკოვის ისტორიული მუზეუმის შენობა (არქიტექტორი *ვ. ო. შერვუდი*), ყაზანის ვაგზლის შენობა (არქიტექტორი *ა. ვ. შჩუსევი*), ტრეტიაკოვის გალერეა (არქიტექტორი *ვ. მ. ვასნეცოვი*), ზედა სავაჭრო რიგები — ბ'შმ-ი (არქიტექტორი *ა. ნ. პომერანცევი*), ქალაქის სათათბიროს შენობა (არქიტექტორი *დ. ნ. ჩიჩაგოვი*).

900-იანი წლებიდან გაბატონებულ არქიტექტურულ სტილად იქცა *მოდერნი*, რომლისთვისაც დამახასიათებელია კლასიკური ფორმების მიუღებლობა. იგი დემონსტრაციულად უსვამდა ხაზს ნაგებობათა ფუნქციონალურ დანიშნულებას, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კონსტრუქციებს, ფასადებს, ექსტერიერებს, მათ დასამშვენებლად იყენებდა ფრესკას, მოზაიკას, ვიტრაჟს, სკულპტურას. ნაგებობები გამოირჩეოდა მკვეთრად ინდივიდუალური სახით, თავისუფალი დაგეგმარებით. პეტერბურგში ამ სტილის შენობებითაა აგებული მთელი პეტროგრადული მხარე. მოსკოვში ასეთი ნაგებობები გაფანტულია ისტორიულ ცენტრში „სადოვოე კოლცოს“-ს შიგნით. მოდერნის სტილის წამყვანი არქიტექტორი იყო *თ. ო. შეხტელი* (1859-1926). მისი პროექტით მოსკოვში აგებულია იაროსლავის ვაგზალი და მეწარმე რიაბუშკინის სახლი ნიკიტის კარებთან. პეტერბურგში მოდერნის სტილმა განიცადა კლასიციზმის დიდი გავლენა. მისგან წარმოიშვა არქიტექტურის *ნეოკლასიკური* სტილი, რომლის ბრწყინვალე წარმომადგენლები იყვნენ არქიტექტორები *ი. ა. ფომინი* და *ი. ვ. ჟოლტოვსკი*.

სკულპტურა

ამპირის სტილისტიკური მიმართულებისათვის დამახასიათებელმა სინთეზურ-ანსამბლურმა აზროვნებამ გამოიწვია XIX საუკუნეში *მონუმენტური ქანდაკების* მასიური ამოფრქვევა. ასწლეულს ზსნის მოსკოვის წითელი მოედნის სიმბოლოდ ქცეული *ი. პ. მარტოსის* (1754-1835) სკულპტურული ჯგუფი — კლასიციზმის სტილში შესრულებული კ. მინინისა და ლ. პოჟარსკის ძეგლი.

მოქანდაკის ძეგლებში, პორტრეტულ ბიუსტებში, მემორიალურ ფილებზე (საფლავის ქვებზე) ჰარმონიულადაა შერწყმული მოქალაქეობრივი პათოსი, სახეთა იდეალური სიდიადე და ცხოველმყოფელობა.

ქალაქის პეიზაჟში ორგანულად ჩართული მონუმენტურ-დეკორატიული ქანდაკების უდიდესი ოსტატი იყო გვიანი რუსული კლასიციზმის წარმომადგენელი *პ. კ. კლოდტი* (1805-1867). მონუმენტურ არქიტექტურაში (ცხენების ოთხი ჯგუფი ანიჩკოს ხიდზე პეტერბურგში, მეიგავე *ი. ა. კრილოვის* ძეგლი საზაფხულო ბაღში და ცხენზე ამხედრებული იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ქანდაკება ისაკის ტაძრის წინ პეტერბურგში) იგი მიისწრაფოდა ცხოვრებისეული დაკვირვების უშუალო ფიქსაციისაკენ.

XIX საუკუნის უკანასკნელ მონუმენტურ ნამუშევრებს შორის ყველაზე წარმატებულია — არქიტექტორ *ვ. ო. შერვუდის* (1833-1897) ძეგლი გრენადერებისადმი — პლევნის გმირებისადმი, მოქანდაკე *ა. მ. ოპეკუშინის* (1838-1923) მიერ შექმნილი *ა. ს. პუშკინის* ძეგლი ტვერის მოედანზე და მოქანდაკე *მ. ო. მიკეშინის* (1835-1896) ძეგლი *„რუსეთის ათასი წლისთავი“*.

დაზგური ქანდაკების[1] სფეროში საუკუნის შუაწლებში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა *მ. მ. ანტოკოლსკის* (1843-1902) შემოქმედებამ. მისი ნაწარმოებები ყოველთვის იწვევდნენ თანამედროვეთა მღელვარებას თავიანთი აქტუალურობით იმისგან დამოუკიდებლად, თუ საიდან მომდინარეობდა მისი თემატიკა — საღმრთო ისტორიის სიუჟეტებიდან თუ რუსეთის ნაციონალური ისტორიიდან. მის ყველაზე ცნობილ ნამუშევართა შორის აღსანიშნავია: *„პეტრე I“*; *„ივანე მრისხანე“*; *„ქრისტე“*; *„მეფისტოფელი“*.

XX საუკუნის სკულპტურული შემოქმედება ვითარდებოდა იმპრესიონიზმის ძლიერი გავლენით, ოსტატები მუდმივად ეძიებდნენ ახალ პლასტიკურ მოცულობებს, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ სახეთა დინამიკას. ამ მიმართულებით განვითარდა პეტერბურგში ალექსანდრე III-ის ბრინჯაოს ქანდაკების ავტორის *პ. პ. ტრუბეცკოის* (1866-1938), მოსკოვში ნ. ვ. გოგოლის ძეგლის ავტორის *ნ. ა. ანდრეევისა* (1873-1932) და *ა. ს. გოლუბკინას* (1864-

[1] დაზგური ხელოვნების ნაწარმოებები ატარებენ დამოუკიდებელ ხასიათს და არ გააჩნიათ პირდაპირი უტილიტარული ან დეკორატიული მნიშვნელობა (სურათები, ჩანახატები, სტატიები, ესტამპები და სხვა).

1927) შემოქმედება, რომლის დაზგური ნაწარმოებები გამორჩეულია განსაკუთრებული ზეშთაგონებულობითა და დინამიზმით.

სტილისტური და ჟანრული მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა *ს. ტ. კონენკოვის* (1874-1971) შემოქმედება. მარმარილოსა და ხის ქანდაკებებში მან შექმნა განზოგადოებულ-სიმბოლური, მათ შორის ფოლკლორულ-ზღაპრული სახეები (*„ნიკე“*, *„სტრიბოგი“*), ფსიქოლოგიური პორტრეტები (1905 წლის მებრძოლი მუშა ივანე ჩურკინი), მონუმენტური კომპოზიციები (*„მშვიდობისა და ხალხთა ძმობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა“* მემორიალური დაფა).

ფერწერა

XIX საუკუნის დასაწყისის ფერწერაში, ისევე როგორც კულტურის სხვა სფეროებში, შეიმჩნეოდა კლასიციზმის ჭრობა და რომანტიზმისა და რეალიზმის დამკვიდრება. ძველისა და ახლის ელემენტები ჯერ კიდევ ერთმანეთში იყო გადახლართული. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია აკადემიური ისტორიული ფერწერის წარმომადგენლის *კ. პ. ბრიულოვის* (1799-1852) შემოქმედებაში (*„პომპეის უკანასკნელი დღე“*). საკუთრივ რომანტიზმია დამახასიათებელი მხატვარ *ო. ა. კიპრენსკის* პორტრეტებისა და *ს. ფ. შჩედრინის* პეიზაჟებისთვის.

XIX საუკუნის ფერწერაში ერთ-ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს *ო. კიპრენსკის* (1782-1836) შემოქმედებას. ჯერ კიდევ სამხატვრო აკადემიაში სწავლის დროს სურათისათვის *„მამაზე გამარჯვებული დიმიტრი დონელი“* მხატვარმა მიიღო დიდი ოქროს მედალი და საზღვარგარეთ პენსიონერული მოგზაურობის უფლება. კიპრენსკი გამოირჩეოდა ფართო ინტელექტუალური ინტერესებით, რაც შეამჩნია თვით გოეთემ.

პორტრეტები *„ე. ნ. როსტოპჩინა“*, *„ლ. ნ. ბეთსკოვი“*, *„ა. ა. ჩელიშჩევი“* გადმოცემენ ადამიანთა ფსიქოლოგიურ მდგომარეობებს, შეიცავენ ახალ შეხედულებას ადამიანზე, როგორც შინაგანად დამოუკიდებელ პიროვნებაზე. სახის რომანტიკული ამაღლებულობა 1812 წლის ომის გმირის პორტრეტში (*„ე. ვ. დავიდოვი“*) მიიღწევა გამოხედვის ჩაფიქრებულობით, პოზის დაუდევრობით, ჭექა-ჭუხილიანი პეიზაჟის ფონით, პეიზაჟთან კონტრასტული მყელერი ფერებით. კიპრინსკის მიერ შესრულებული *ა. ს. პუშკინის* პორტრეტი ითვლება გენიალური პოეტის საუკეთესო პორტრეტად. მის შესახებ პუშკინი აღნიშნავდა: „მასში საკუთარ თავს ვხედავ, როგორც სარკეში, მაგრამ ეს სარკე მეპირფერება“.

კიპრინსკი — შესანიშნავი მხატვარია, მისი ნამუშევრები ვირტუოზული და ნატიფია.

ს. ფ. შჩედრინი (1745-1804) იყო პირველი მხატვარი რუსეთში, რომელიც ხატავდა ღია ჰაერზე (პლენერზე). თავის ნახატებში იგი ხოტბას ასხამდა იტალიურ ნავსადგურებს: შეთევზებს, დამსვენებელ და უბრალოდ მოსაუბრე ადამიანებს. მისი ნაწარმოებებისთვის დამახასიათებელია შუქ-ჰაეროვანი გარემოს ურთიერთზემოქმედება, ცერცხლისფერი-რუხი ტონების შერევა, რომლებიც მხატვრის მიერ როგორც წესი, გაერთიანებულია წითელი ფერით (ტანსაცმელი, თავსაბურავები და სხვა).

რომანტიზმით დატვირთული ჟანრული ელემენტები შეიტანა პორტრეტში *ვ. ა. ტროპინინმა* (1776-1857). მისი საუკეთესო ნაშრომები — ვაიშვილის — არსენის პორტრეტი, პ. ა. ბულახოვის პორტრეტი მხატვრული თვალსაზრისით სრულყოფილია. ტროპინინის ნაწარმოებები გამოირჩევა უბრალოებით, გამოსახვის სიწრფელით, ხასიათების სიმართლით, ყოფითი დეტალების უტყუარობით. ყოველივე ეს იზიდავს მაყურებელს.

ყველა ეს თვისება დამახასიათებელია *ა. ს. პუშკინის* პორტრეტისათვის — პოეტი გამოსახულია მაგიდასთან მჯდომი თავისუფალ პოზაში. შემოსილია საშინაო ტანსაცმლით, რითაც მიღწეულია მისი გარეგნული სახის ბუნებრიობა.

ტროპინინმა შექმნა *პორტრეტ-ნახატის* განსაკუთრებული ტიპი (*„მეგობარი“*, *„მრთველა“*, *„ვიტარისტი“*, *„ოქროთმკერდით მჭარგავი“*). მათში მოცემულია ტიპიზირებული და იდეალიზებული სახეები, მაგრამ არც კონკრეტული ნიშნებია დაკარგული.

ფერწერაში საკუთრივ *ყოფითი ჟანრის* ფუძემდებელია *ა. გ. ვენეციანოვი* (1780-1847), რომელმაც გლეხური ყოფის პოეტიზირება მოახდინა სენტიმენტალიზმის სულისკვეთებით (*„გაზაფხული. ნახნავში“*, *„კალო“*, *„გლეხი ქალი სოკოებით“*, *„მკა. ბაფხული“*). მისი ნაწარმოებები ნაციონალურია, მათში ასახულია გლეხების შრომაც და რუსული ბუნების სიმშვენიერეც.

ჟანრულ ფერწერაში *რეალიზმის* პირველი მცდელობა იყო *პ. ა. ფედოტოვის* (1815-1852) ტილოები. თავის შემოქმედებაში მხატვარი გადადის კარიკატურულიდან ტრაგიკულ სახეებამდე. დეტალებით გადატვირთულობიდან (*„ახალი პაპალური“*) — ზღვრულ ლაკონიზმამდე (*„ერთი ქალი“*). თავის უკანასკნელ სურათში *„ანკორი, კვლავ ანკორი!“* მხატვარმა გამოხატა არსებობის უაზრობის ტრაგიკული განცდა.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მხატვარ *ა. ა. ივანოვს* (დაახ. 1776-1848), რომელიც არის ავტორი მონუმენტური ტილოსი *„ქრისტეს გამოსვლა ბალობთან“* (1837-1857). ეს ნაწარმოები — პროგრამულია. მისი საფუძველი კლასიცისტურია — ტილოზე დაცულია სიმეტრია, იოანე ნათლისმცემლის გამომსახველი ფიგურა განთავსებულია ცენტრში, ჯგუფი ძირითადად განლაგებულია ბარელიეფურად. მხატვარი აგების დინამიურობასა და სივრცის სიღრმულობას გადმოცემს ქრისტეს ფიგურის საშუალებით, რომელიც გამოჩნდა სიღრმეში და უახლოვდება ხალხს. ყველაზე მნიშვნელოვანი — ესაა განსხვავებულ პერსონაჟთა უტყუარობა, რომელთაგან თითოეული შემოსილია მხატვრის მიერ თავისი ფსიქოლოგიური მახასიათებლით. ამიტომ მთელი სცენა სიმართლით აღსავსეა. აქედან მომდინარეობს რწმენა გმირთა სულიერი გარდაქმნისა. ამ სურათზე ხანგრძლივი მუშაობის პერიოდში ივანოვი მიდიოდა კონკრეტული-რეალისტური სცენიდან მონუმენტურ-ეპიკურ ტილომდე.

მხატვარ-სამოცდაათიანელთა აღიარებული ლიდერი იყო *ი. ნ. კრამსკოი* (1837-1887), რომელიც თანამედროვეთაგან გამოირჩეოდა გონებით, განათლებით, კრიტიციზმითა და შემოქმედებითი გენიით. მისი ხელმძღვანელობითა და მეცენატ *პ. მ. ტრეტიაკოვის* (1832-1898) მონაწილეობით 1870 წელს პეტერბურგში დაარსდა *მოძრავი მხატვრული გამოფენების ამხანაგობა*. მხატვართა ეს გაერთიანება აწყობდა გამოფენებს რუსეთის დიდ ქალაქებში, გახდა სამამულო მხატვრული ცხოვრების ცენტრი და ამ თვალსაზრისით უკანა პლანზე გადასწია სამხატვრო აკადემია. ყველა ცნობილი რუსი ოსტატი ამა თუ იმ დროს იყო ამხანაგობის წევრი. ამხანაგობის აყვავების ხანა დაემთხვა 70-80-იან წლებს, რომლის განმავლობაში ორგანიზებული იქნა 48 გამოფენა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ფერწერის ჟანრული მრავალფეროვნება არნახულად დიდია. ისტორიულ ჟანრში ლიდერობდნენ *ვ. ი. სურიკოვი, ვ. მ. ვასნეცოვი* და *ნ. ნ. გე*. ყოფითი ფერწერის ჟანრში გამოჩნდა: *ვ. მ. მაქსიმოვი, ვ. ე. მაკოვსკი, გ. გ. მიასოედოვი, ნ. ა. იროშნიკოვ, კ. ა. სავიცკი, ს. ვ. ივანოვი*. პეიზაჟის ჟანრში გამოჩნდა ტალანტური მხატვრების მთელი პლეადა: *ი. ი. შიშკინი, ა. კ. სავრასოვი, ვ. დ. პოლენოვი, ა. ი. კუინჯი, მ. ა. ვრუბელი*. სახარებისეულ თემებს ავითარებდნენ თავიანთ შემოქმედებაში *ი. ნ. კრამსკოი, ნ. ნ. გე* და *ვ. დ. პოლენოვი*.

პერედვიჟნიკების (მეომბრავეთა) იდეებს უცხოეთში გამოხატავდა *ვ. ვ. ვერეშჩაგინი*. მისი ნახატების თემები იყო

აღმოსავლეთის ხალხთა ომი და ცხოვრება *(„ტამერლანის კარვები“, „ომის აპოთეოზი“, „ბალკანური სერია“,* ნახატების სერია *„1812. ნაპოლეონი რუსეთში“)*.

პორტრეტებს ხატავდა თითქმის ყველა მხატვარი, მაგრამ ამ ჟანრმა განსაკუთრებულ სიღრმეს მიაღწია *ი. ნ. კრამსკოის, ვ. გ. პეროვის, ნ. ნ. გეს* და *ი. ე. რეპინის* შემოქმედებაში.

ი. ნ. კრამსკოი (1837-1887) — ავტორია შესანიშნავი პორტრეტებისა *„ლ. ტოლსტოი“, „წკრასოვი“, „შტყედე“*, რომლებშიც მოცემულია რუსული კულტურის მოღვაწეთა და გლეხების ღრმა სოციალური და ფსიქოლოგიური დახასიათება. ფილოსოფიურ-ეთიკურ პრობლემებს ეძღვნება მხატვრის სურათი *„ქრისტე უდაბნოში“*; რთული სულიერი განცდებია გადმოცემული ტილოზე *„უნუგეშო დარდი“*.

XIX საუკუნის მომდევნო ათწლეულებში ფერწერაში დიდი ადგილი დაიკავა *ჟანრისშმა*. მისი ყველაზე ბრწყინვალე წარმომადგენელი *ვ. გ. პეროვი* (1833/34-1882) ავტორია მთელს რუსეთში ცნობილი მამხილებელი ტილოებისა *„სოფლის ჯვრით მსვლელობა აღდგომაზე“, „ჩაიზე მიტინგებში“, „საშეული“, „გაბნეულის გაცილება“, „წყალში დამბრჩვალი ქალი“*, რომლებშიც მოცემულია უბრალო ადამიანების ცხოვრების სხვადასხვა მხარეები. პეროვის პორტრეტები აღსანიშნავია სოციალური დახასიათების სიზუსტით, კომპოზიციის, პოზისა და ჟესტის ადამიანის ფსიქოლოგიურ მდგომარეობასთან ერთიანობით *(„უცნაური კაცი“, „ა. ნ. ოსტროვსკი“, „ფ. მ. დოსტოევსკი“)*.

რუსული რეალისტიკური პეიზაჟის ერთ-ერთი ფუძემდებელია *ა. კ. სავრასოვი* (1830-1897). თავის ნახატებში მან გადმოსცა ყოველდღიური ქალაქური და სოფლური მოტივების პოეტური სილამაზე და მნიშვნელობა *(„სოფლის შარა“, „ეზო“)*. ერთ-ერთი მისი საუკეთესო ნაწარმოები *„ჭილყვავები მოფრინდნენ“* — გახდა რუსული პეიზაჟური ფერწერის განვითარებაში ეტაპური ნაწარმოები.

ვ. დ. პოლენოვი (1844-1927) — შემქმნელია პლენერული პეიზაჟებისა *(„მოსკოვური ეზო“, „ტბორი“)*. მწერალი ხატავდა ყოფით და ისტორიულ *(„ძატონის ძალაუფლება“)* სურათებს, მიმართავდა სახარებისეულ სიუჟეტებს, ხაზს უსვამდა მათ ზნეობრივ პრობლემატიკას *(„ქრისტე და ცოდვილი ქალი“)*.

სამამულო რეალისტურმა ფერწერამ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია მისი აღიარებული ლიდერის *ი. ე. რეპინის* (1844-1930) შემოქმედებაში. მისი ტილოებისთვის დამახასიათებელია ღრმა

ფსიქოლოგიზმი. ისე როგორც არავინ მან შეძლო ხალხური ცხოვრების ტრაგიზმის ასახვა ისე, რომ არ გადაეარდნილა არც ნატურალიზმში და არც შელამაზებაში. მისი ტილოების პერსონაჟები დაუვიწყარია, იქნებიან ისინი გლეხები, ბურლაკები თუ ეპოქის უდიდესი მოღვაწეები.

ხალხის ჩაგვრის მხილებასთან ერთად მხატვარი აჩვენებს მის უდიდეს ძალას და სულიერ მშვენიერებას („*ბურლაკები ვოლგაზე*“, „*ეკვირით სვლა კურსკის გუბერნიაში*“). მის ტილოებზე ასახა რუსული რევოლუციური მოძრაობა („*პროპავანდისტის დაკავება*“, „*არ ელოდნენ*“). ისტორიულ სურათებში რეპინი ასახავდა ტრაგიკულ კონფლიქტებს („*ივანე მრისხანე და მისი შვილი ივანე*“), ადიდებდა ხალხის თავისუფლებისმოყვარეობას („*ზაპოროჟელები წერილს წერენ თურქეთის სულთანს*“). რეპინის მიერ შექმნილია სოციალური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით შესანიშნავი პორტრეტები („*მთავარდიაკონი*“, „*მ. პ. მუსორგსკი*“, „*პ. ა. სტრეპეტოვა*“). რეპინი – არის ნახატის შესანიშნავი ოსტატი.

XIX – საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის რუსული ფერწერა გამოირჩეოდა სტილთა და მიმართულებათა მრავალფეროვნებით. საერთო ჯამში მისთვის დამახასიათებელი იყო რეალიზმიდან განსვლა პოეტური რეალიზმისკენ *(ვ. ა. სეროვი)*, იმპრესიონიზმისკენ *(კ. ა. კოროვინი)*, პოსტიმპრესიონიზმისკენ *(ვ. ე. ბორისოვ-მუსატოვი)*, სიმბოლიზმისკენ *(მ. ა. ვრუბელი)*.

გაჩნდა ახალი ჟანრული მიმართულებები: *განწყობილების პეიზაჟი (ი. ი. ლევიტანი), ისტორიული პეიზაჟი* (ა. მ. ვასნეცოვის ძველი მოსკოვის არქიტექტურული სახეები და *მ. ვ. ნესტეროვის* მიერ წყნარი, მშვიდი რუსული პეიზაჟის ფონზე განხორციელებული ამქვეყნიური ამაოების უარმყოფელ ადამიანთა გასხივოსნებული სახეები, – „*მეუდაბნოე*“, „*ყრმისადმი ბართლომეს გამოცხადება*“), *ისტორიულ-ყოფითი ჟანრი* (ა. პ. რიაბუშკინი – „*საქორწილო მატარებელი მოსკოვში*“, „*მოდიან*“).

ვ. ი. სურიკოვის (1848-1916) შემოქმედებაში ისტორიულმა ფერწერამ ახალი თანამედროვე შინაარსი შეიძინა. მის ნახატებში მხატვრული ხერხებით აღდგა ნაციონალური (სამამულო) ისტორია, რომლის მთავარი გმირია ხალხი. მხატვრის პირველ ტილოზე „*სტრელეცკური წამების დილა*“ გამჟღავნდა მხატვრული აზროვნების ულრმესი ისტორიზმი და ამოსავალი მომენტების, ისტორიის ძირითადი მიმართულებების ზუსტი ხედვის უნარი.ეს უდიდესი უნარი მას არც შემდგომში გაუკარგავს. მხატვრის ნახატები „*მენშიკოვი*

ბერეზოვოში“, „*ბოიარინა მოროზოვა*“, „*ერმაკის მიერ ციმბირის დაპყრობა*“, „*სუვოროვის ალპებზე გადასვლა*“ გამოირჩევა კომპოზიციის მოცულობითა და პოლიფონიურობით, ნათელი და დატვირთული კოლორიტით.

რუსულ ფერწერაში „განწყობილების პეიზაჟის“ შემქმნელია *ი. ი. ლევიტანი* (1860-1900). ისეთი ტილოებისათვის, როგორიცაა „*მარტი*“, „*ტბა*“, „*რუსეთი*“, დამახასიათებელია პოეტური ასოციაციების სიმდიდრე, მაყორულობა, პეიზაჟისთვის – „*სამარადისო სიწყნარე*“ – მწუხარე ზეშთაგონებულობა, სურათს „*ვლადიმირკა*“ გააჩნია სოციალურ-კრიტიკული შეფერილობა. მხატვარი ფლობდა პლენერულსა, ფაქიზი ნიუანსების მქონე ფერწერული საშუალებებით ბუნების მდგომარეობის აღწერის უნარს.

ვ. ა. სეროვის (1865-1910) ადრეული ნაწარმოებებისთვის დამახასიათებელია ცხოვრების ხალისი, პლენერული კოლორიტის სიმდიდრე („*ჟოგონა ატმებით*“, „*მზით განათებული ქოგონა*“). უდიდესი გამომსახველობა და ლაკონიზმი, ხასიათის ხაზგასმული სიმძაფრე დამახასიათებელია სიმწიფის პერიოდის პორტრეტებისათვის („*მ. ნ. ერმოლოვა*“, „*ვ. ო. გირშმანი*“). გვიანდელი ნაწარმოებები („*იდა რუბინშტეინი*“) ახლოსაა *მოდერნის* სტილთან.

კ. ა. კოროვინი (1861-1939) – ავტორია ემოციური პეიზაჟებისა („*ზამთარი*“), ჟანრული სურათებისა („*ივანთან*“). მხატვარი – ბრწყინვალე კოლორისტია. იმპრესიონისტური ხელწერაა დამახასიათებელი მისი ფრანგული პეიზაჟებისთვის („*პარიზული ცქვიტი*“). მისი უხვი ფერწერული ნიჭი გამომჟღავნდა თეატრალურ-დეკორატიულ ფერწერაში.

ვ. ე. ბორისოვ-მუსატოვი (1870-1905) ავტორია ელეგიური, დახვეწილი დეკორატიული ნამუშევრებისა, რომლებიც გამოსახავს ოცნებას ადამიანისა და ბუნების ჰარმონიის შესახებ. *(„წვალსატევი“, „მოჩვენებები“, „ცომპლექსი“).*

დეკორატიულობითა და კოლორიტის დრამატული დაძაბულობით, სახეთა სიმბოლურ-ფილოსოფიური განზოგადებისაკენ სწრაფვით გამოირჩევა *მ. ა. ვრუბელის* (1856-1910) ნაწარმოებები („*დემონი*“, „*დამბობილი დემონი*“, „*იასამანი*“, „*პანი*“ *(მეშამულე)*). დემონის სახე, ლერმონტოვის მსგავსად, ვრუბელის მთელი შემოქმედებისთვის ცენტრალური ფიგურაა. ვრუბელის დემონი – ესაა ტანჯული არსება და მისი ტანჯვა ჭარბობს ბოროტობას.

ტრაგიზმი დამახასიათებელია ვრუბელის მიერ შექმნილი პორტრეტებისთვისაც („*შაშინტოვი*“, „*მეფის ასული – გედი*“).

მხატვარი მოღვაწეობდა მონუმენტურ და დაზგურ ფერწერაში, კერამიკაში, ბევრს მუშაობდა თეატრში.

პეტერბურგის მხატვრები, რომლებიც ეყრდნობოდნენ სიმბოლიზმის ესთეტიკას და აიდეალებდნენ წარსულს, გაერთიანდნენ შემოქმედებით ჯგუფში *„ხელოვნების საამყარო“* (მირ ისკუსტვა). ჯგუფი შეიკრიბა იმავე სახელწოდების ჟურნალის ირგვლივ და მას ხელმძღვანელობდა მხატვარი *ა. ნ. ბენუა*. ჯგუფის საქმიანობის ორგანიზაციაში უდიდეს როლს ასრულებდა *ს. პ. დიაგილევი*, რომლის მეოხებით „მირ ისკუსტნიკები“ გახდნენ პარიზში *„რუსული სეზონების“* მონაწილენი.

ჯგუფის მხატვრები, რომლებიც თავიანთ შემოქმედებაში მიისწრაფოდნენ გრაფიკული სტილიზმისაკენ, უარყოფდნენ როგორც აკადემიურ ფერწერას, ასევე პერედვიჟნიკების ტრადიციებს. მათი დამსახურებაა წიგნის გრაფიკის, ესტამპის ხელოვნების შექმნა, მხატვრული კრიტიკის განვითარება, ფართო საგამომცემლო და საგამოფენო მოღვაწეობა. „მირ ისკუსტვას“ ცნობილი წარმომადგენლები იყვნენ: *კ. ა. სომოვი, ე. ე. ლანსერე, ლ. ს. ბაქსტი, მ. ვ. დობუჟინსკი, ბ. მ. კუსტოდიევი, ზ. ე. სერებრიაკოვა, ი. ი. ბილიბინი.*

მას უპირისპირდებოდა *„რუს მხატვართა კავშირი“*, რომელიც მიმართული იყო ნაციონალური თემატიკისა და პლენერისაკენ, განავითარა იმპრესიონიზმის რუსული ვარიანტი, მოახდინა ყოფითი ჟანრის სინთეზი არქიტექტურულ პეიზაჟთან. მისი ბრწყინვალე წარმომადგენლები იყვნენ *ი. ე. გრაბარი, ფ. ა. მალიავინი* და *კ. ფ. იუონი.*

მოდერნის ესთეტიკის ძლიერი გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ მხატვართა გაერთიანებები *„ცისფერი ვარდი“*, *„აგურის ვალეტი“*. *„ცისფერი ვარდის“* მხატვართა (*პ. ვ. კუზნეცოვი, ნ. ნ. საპუნოვი, ა. ტ. მატვეევი, მ. ს. სარიანი, ს. ი. სუდეიკინი*) ხატვის მანერისათვის დამახასიათებელი იყო სიბრტყულობა, ფორმათა დეკორატიული სტილიზაცია, ორიენტალისტური მოტივები და სახეთა ლირიზმი.

„აგურის ვალეტი“ უფრო მეტად მიისწრაფოდა კუბიზმისა და ფუტურიზმის ესთეტიკისკენ, მიმართული იყო ხალხური ტრადიციებისაკენ. მხატვრები ფორმებს აგებდნენ ფერებით, საგანს უპირისპირებდნენ სივრცეს. არაცოცხალი ნატურისადმი ინტერესმა განსაზღვრა მათთან ნატურმორტის უპირატესობა. გამოსახვის ერთ-ერთი ხერხი იყო საგანთა მონტაჟი, რომლებიც განლაგებული იყო სხვადასხვა თვალსაზრისით. ამ გაერთიანებას მიეკუთვნებოდნენ

მხატვრები: ი. ი. მაშკოვი, პ. პ. კონჩალოვსკი, ა. ვ. ლენტულოვი, მ. ფ. ლარიონოვი.

მხატვრული სტილისტური მიმართულების *პრიმიტივიზმის* განვითარება დაკავშირებულია ისეთ ფერმწერთა შემოქმედებასთან, როგორიცაა *მ. ფ. ლარიონოვი, ნ. ს. გონჩაროვა, მ. ზ. შაგალი, პ. ნ. ფილონოვი.* რუსეთში ფერწერის *აბსტრაქტული* მიმართულების ფუძემდებლები იყვნენ *ვ. ვ. კანდინსკი* და *კ. ს. მალევიჩი.*

აბსტრაქტული სიმბოლიკისა და მხატვრული გამომსახველობის დეკორატიული ძიებებისადმი იმ წლებში ხარკი გაიღო *კ. ს. პეტროვ-ვოდკინმა*, იგი ავტორია ცნობილი სურათ — სიმბოლისა *„წითელი ცხენის ბანაობა“*. წარმართული სიძველისადმი ინტერესითაა გამორჩეული ტილოები, რომელთა საფუძველს ყოველთვის წარმოადგენდა ნატურული პეიზაჟი.

XIX-XX საუკუნის დასაწყისის პერიოდმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსული კულტურის ისტორიაში. მან შეაჯამა ახალი დროის მთელი ეპოქა, გამოავლინა კულტურის ფარული პოტენციები. რუსული კულტურის დინამიკამ ახალ დროში, რომელიც გაიხსნა პეტრე I-ის ეპოქით, გამოავლინა მდგრადი ტენდენცია და საბოლოოდ ჩამოაყალიბა იგი კულტურული განვითარების უმაღლეს ვარიანტში, რამაც დასრულებულ სახეს მიაღწია XX საუკუნის დასაწყისში. სამეცნიერო-ტექნიკური აზრის აღმაფრენამ განსაზღვრა მსოფლმხედველობრივი განწყობების ცვლა, ხელი შეუწყო რელიგიურიდან სამყაროს მეცნიერულ შეცნობაზე გადასვლას. კულტურის აყვავება აისახა სტილისა და ჟანრების მრავალფეროვნების ზრდაში, გამომსახველი ხერხებისა და ტექნიკის სწრაფ ცვლაში. ხელოვნება სულ უფრო მეტად ესწრაფოდა გარეგან ფორმათა სპეციფიკის გამოვლენას და მათთან თამაშს. მაგრამ ზედაპირულობამ, სადამდეც მივიდა ადამიანი ფუფიერების არსის დაუკითხელ ძიებაში, ვერ შეძლო მისი სრულყოფილად დაკმაყოფილება. ახალი ეპოქის კულტურის ტრაგიზმმა ასახა ადამიანის მდგომარეობა გზათა გასაყარში. ძველი ღირებულებები უკვე აღარ აკმაყოფილებდა, ახალი ფასეულობები კი, მართალია, გარეგნულად მიმზიდველად გამოიყურებოდა, მაგრამ მთლიანობაში არ შეესაბამებოდა ადამიანური სულის სიღრმისეულ მოთხოვნებს. ერთის მხრივ სამყაროს ესთეტიზაცია და მეორე მხრივ — მისი გაუზეშება — აშკარა დადასტურებაა დაბნეულობისა მის წინ გადაშლილი სამყაროს უსასრულობის წინაშე.

მეცნიერების ცნებები და ფუნქციები

ადამიანური საქმიანობის განსხვავებულ სახეთა შორის განსაკუთრებულ სფეროს შეადგენს *მეცნიერება*, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმას. მისი ძირითადი — *შემეცნებითი* — ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ გამოიმუშაოს და თეორიული სისტემატიზაცია გაუკეთოს სინამდვილის შესახებ ობიექტურ ცოდნას. მეცნიერებას აქტივობაში მოჰყავს მოქმედება ახალი ცოდნის მიღებისა და აგრეთვე ადრე მიღებული მეცნიერული ცოდნის მოგროვების მიზნით. მეცნიერების სხვა ფუნქციებია — *ცოდნის შენახვა და გავრცელება.*

წინა ეპოქებში მიღებული ახალი ცოდნა შეადგენს მთლიანობაში *სამყაროს სამეცნიერო სურათს*, რომელშიც მოიაზრება ბუნების ზოგადი თვისებებისა და კანონზომიერებების შესახებ შეხედულებების ერთიანი სისტემა, რომელიც წარმოიქმნება ძირითადი საბუნებისმეტყველო ცნებებისა და პრინციპების განზოგადებისა და სინთეზის შედეგად. მეცნიერულისაგან განსხვავებით არსებობს სამყაროს არამეცნიერული ან მეცნიერებამდელი სურათი. მეცნიერული სურათი იქმნება ცალკეულ მეცნიერებათა მიღწევების საფუძველზე, როგორიცაა, მაგალითად, ფიზიკა, ასტრონომია, ბიოლოგია, ფილოსოფია და სხვა. შეიძლება შეიქმნას აგრეთვე *სამყაროს ზოგადსამეცნიერო სურათი*. ასეთ შემთხვევაში სამყაროს სურათის წარმოსადგენად განმსაზღვრელი ელემენტი იქნება შემეცნების ის სფერო, რომელსაც ლიდერული მდგომარეობა უჭირავს. ასე მაგალითად, ანტიკურ ეპოქაში ასტრონომიაში გაბატონებული იყო არისტოტელე—პტოლემეოსის გეოცენტრული სისტემა, რომელიც მთელ სამყაროში ცენტრალურ მდებარეობას დედამიწას ანიჭებდა. შუა საუკუნეების ეპოქაში ალმოცენდა კოპერნიკის ჰელიოცენტრული სისტემა, რომელიც მიიჩნევდა, რომ სამყაროში ცენტრალური ადგილი მზეს უჭირავს. თანამედროვე მეცნიერება აღიარებს სამყაროში (მეტაგალაქტიკაში) მილიარდობით გალაქტიკების — გიგანტური ვარსკვლავური სისტემების არსებობას, რომლებიც მსგავსია ჩვენი მზის სისტემისა.

თანამედროვე სამეცნიერო-საბუნებისმეტყველო შემეცნებაში მთავარი ადგილი უჭირავს *სამყაროს ფიზიკურ სურათს*. მეცნიერული რევოლუციის შემდგომ XVII საუკუნიდან თითქმის XIX საუკუნის ბოლომდე სამყაროს ფიზიკური სურათი აიგებოდა კლასიკური მექანიკის ბაზაზე. სამყაროს თანამედროვე ფიზიკური სურათი XIX

საუკუნის ბოლოს აიგო კვანტური მექანიკისა და ალბათობის თეორიის საფუძველზე.

მეცნიერების უშუალო მიზნები მდგომარეობს გარემომცველი სამყაროს პროცესებისა და მოვლენების აღწერაში, წინასწარ განჭვრეტასა და პროგნოზირებაში. მეცნიერება ფართო გაგებით — არის სინამდვილის თეორიული ასახვა.

მეცნიერება, როგორც ადამიანური მოქმედების ერთ-ერთი სფერო, წარმოადგენს სამყაროს ათვისების საშუალებას. მაგრამ ეს არის მოქმედების სპეციფიკური, განსაკუთრებული ფორმა და მოქმედების სხვა ფორმებისაგან განსხვავდება როგორც მატერიალური წარმოების, ისე სულიერ სფეროში.

ასე მაგალითად, მატერიალური წარმოება შეუძლებელია ცოდნის გამოყენების გარეშე, მაგრამ იგი მოცემულ შემთხვევაში გამოყენებულია იდეალური საშუალებების სახით მაშინ, როდესაც მეცნიერებისთვის ცოდნის მიღება წარმოადგენს მთავარ და უშუალო მიზანს. მეცნიერული მიზნის შედეგი შეიძლება იყოს ტექნოლოგიური პროცესის თეორიული აღწერა ან სქემა, ან ექსპერიმენტული მონაცემების შეჯამება, ანდა ქიმიური პრეპარატის ფორმულის მიღება და ა. შ. თუ მატერიალური წარმოების შედეგი არის ესა თუ ის ნივთიერი ნაწარმი, სამეცნიერო მოღვაწეობის შედეგს წარმოადგენს ცოდნის ნამატი. ამავე დროს, სამეცნიერო ცოდნა და საზოგადოებრივი განვითარების პროცესში მისი გამდიდრება რევოლუციურ ზემოქმედებას ახდენს ადამიანური მოქმედების ყველა სხვა სფეროზე, მათ შორის მატერიალურ წარმოებაზე.

მეცნიერების შემეცნებითი ფუნქციები მჭიდრო კავშირშია *აღმშრდელობით ფუნქციასთან*. იგი წარმოქმნის გარკვეულ ღირებულებით ორიენტაციებსა და ზნეობრივ თვისებებს. მეცნიერების, როგორც ცოდნის სისტემისათვის, უმაღლეს ღირებულებას წარმოადგენს *ჭეშმარიტების მიღწევა*, ჭეშმარიტება კი, მორალურ-ეთიკური თვალსაზრისით, ნეიტრალურია. ამიტომ ზნეობრივი შეფასებები არ შეიძლება გამოყენებული იქნას თვით ჭეშმარიტების მიმართ, ისინი შეიძლება შეეხოს მხოლოდ ცოდნის მიღების საშუალებას — მეთოდს (იყო თუ არა მკვლევარი პატიოსანი, სამართლიანი, დამოუკიდებელი, ვაჟკაცური), ანდა კვლევის შედეგების გამოყენებისაკენ მიმართულ მოქმედებას. აქ ჩნდება მეცნიერებისა და ზნეობის ურთიერთმიმართულების პრობლემა, რომლის შესახებ დასკვნა შეიძლება გამოტანილი იქნას ატომური ენერგიის გამოყენების მიზნებთან მიმართებაში. მეცნიერი თავის თავზე იღებს მორალურ

ძირითადი ტერმინები და ცნებები

აკმეიზმი
ამპირი
ანსამბლი
ქალთა უმაღლესი კურსები
ქალაქური რომანსი
დეკადენტურობა
კულტურის დემოკრატიზაცია
ჟანრიზმი
საერო სკოლა
ოქროს ხანა
ისტორიულ-ყოფითი ჟანრი
ისტორიული პეიზაჟი
კლასიკური გიმნაზია
მოდერნი
მონუმენტური სკულპტურა
სახალხო მუსიკალური დრამა
სახალხო-ყოფითი დრამა
ნატურალური სკოლა
ნეოკლასიციზმი
მამხილებლობა
ოპერა-ზღაპარი
„განწყობილების პეიზაჟი“
პორტრეტი-სურათი
ფსევდორუსული სტილი (როპეტოული)
რეალიზმი
რეალური სასწავლებელი
რომანტიზმი
რუსული რომანსი
სიმბოლიზმი
დაზგური ხელოვნება
ფოლკლორისტიკა
ფუტურიზმი
ეკლექტიკა

კითხვები გამეორებისათვის

1. რით აიხსნება XIX საუკუნის რუსეთის კულტურულ განვითარებაში ლიტერატურის პირველ ადგილზე წამოწევა?
2. კულტურის მდგომარეობაზე როგორ იმოქმედა რუსეთის შესვლამ კაპიტალისტური განვითარების სტადიაში?
3. რა თემებით ასახა რუსულმა ლიტერატურამ რეფორმის შემდგომ პერიოდში ცხოვრების წყობის ცვლილებები?
4. XIX საუკუნეში სახვითი ხელოვნების რომელმა დარგმა დაიკავა პირველი ადგილი და რატომ?
5. მუსიკალური ხელოვნების რომელი სახეობები განვითარდა წარმატებით რუსეთში XIX საუკუნეში? რომელი კომპოზიტორების შემოქმედება იყო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი?

თავი 15

მეცნიერება და კულტურა



არქიმედე



ნ. კოპერნიკი



ი. ნიუტონი




მ.ვ. ლომონოსოვი



ნ.ი. ლობაჩევსკი



დ.ი. მენდელეევი



ა. ეინშტეინი

მეცნიერების პროგრესი განისაზღვრება სწავლულთა შრომებით და მათი აღმოჩენების ღირებულებით.

ლ. პასტერი

პასუხისმგებლობას მისი გამოგონების ანტიჰუმანური გამოყენების სოციალური შემადგენლობის მიმართ.

მეცნიერების, როგორც ადამიანური მოქმედების განსაკუთრებული ფორმის თავისებურება შეიძლება თვალსაჩინოდ იქნას წარმოდგენილი მოქმედების სხვა სახეებთან მისი შედარების გზით. ასე მაგალითად, მეცნიერებისა და ხელოვნების შედარებისას აშკარაა, რომ სამეცნიერო მოღვაწეობა განსხვავდება მხატვრული შემოქმედებისაგან. თუ ხელოვნება მიმართულია სამყაროს აღქმაში სუბიექტური საწყისის განმტკიცებაზე, მეცნიერული ცოდნის შინაარსი ობიექტურია და რაც მთავალია ობიექტურობის ხარისხი, მით უფრო კარგად ასრულებს მეცნიერება თავის შემეცნებით ფუნქციას. მეცნიერებაში ნებისმიერი ცოდნა გამოდის როგორც გაუპიროვნებელი, მაქსიმალურად განზოგადებული. ხელოვნებისთვის დამახასიათებელია ხატოვანი, მეცნიერებისათვის კი — ცნებითი აზროვნება. განსხვავებულია ხელოვნებისა და მეცნიერების ზემოქმედება ადამიანზე. თუ ხელოვნება მოიცავს ადამიანის შემოქმედებითი შესაძლებლობების გრძნობად-ხატოვან მხარეს, მეცნიერება მოიცავს ინტელექტუალურ-ცნებით ასპექტს.

მეცნიერებისა და რელიგიის შედარებისას აშკარაა, რომ რელიგიის საფუძველს წარმოადგენს ზნეობრივი საწყისის რწმენა, იგი მიმართულია ზეგონებრივი მოსაზრებისკენ, ეყრდნობა სულიერ ზეშთაგონებას.

მეცნიერება შეისწავლის გარემომცველ სამყაროს თვით მისგანვე გამომდინარე, ახდენს რა მის მიერ მიღებული ცოდნის არგუმენტირებასა და პრაქტიკულ დადასტურებას.

მეცნიერებას, თავის მხრივ, მოიცავს კულტურის უფრო ფართო ცნება, რომელიც განიყოფა სულიერ და მატერიალურ სფეროებად (იხ. თავი I).

მეცნიერება, როგორც კულტურის ელემენტი და ფენომენი

მეცნიერება არის *კულტურის ელემენტი*, მისი ერთ-ერთი ქვესისტემა. მეცნიერების გარეშე კულტურა ვერ შესძლებს თავისი ძირითადი სოციალური ფუნქციების წარმატებით განხორციელებას. ცნებები „მეცნიერება“ და „კულტურა“ არაიგივეობრივია. „კულტურის“ ცნება უფრო ფართოა. მეცნიერება არ გულისხმობს მატერიალური კულტურის მთელ სფეროს და სულიერი კულტურის ისეთ ნაწილს, როგორიცაა ხელოვნება, ზნეობრივი თეორიები და შეხედულებები.

მეცნიერება — *კულტურის ფენომენია*. იგი ამდიდრებს ადამიანს, მის სულიერ სამყაროს და ამით ხელს უწყობს მის განვითარებას.

მეცნიერება გამოიმუშავებს ახალი თაობისადმი ცოდნის გაცემის შესაბამის მექანიზმს. ამავე დროს, მეცნიერება, მისი შემეცნებითი მოქმედება დამოკიდებულია საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის პირობებზე, მათ შორის მის კულტურაზე. კულტურა თითოეულ კონკრეტულ ისტორიულ ეპოქაში ქმნის სინამდვილის ხედვის ზოგად საშუალებას. მეცნიერება აღმოცენდება საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მხოლოდ გარკვეულ დონეზე, როდესაც ჩნდება მეცნიერული ცოდნის მოთხოვნილება, და კულტურის განვითარების შესაბამის დონეზე, რომელიც ქმნის სამეცნიერო ცოდნის აღმოცენებისა და განვითარებისათვის ხელსაყრელ ატმოსფეროს. ეს ნიშნავს იმას, რომ მეცნიერება იბადება განსაზღვრული კულტურის წიაღში. ამიტომ მეცნიერების განვითარებისადმი საჭიროა ისტორიული მიდგომა.

ადრეულ ადამიანურ საზოგადოებებში შემეცნებითი და საწარმოო მოქმედებები განუყოფელი იყო, პირველყოფილი ცოდნა პრაქტიკულ ხასიათს ატარებდა, ასრულებდა რა ადამიანური მოქმედების განსაზღვრული სახეებისადმი ერთგვარ ხელმძღვანელ როლს. ასეთი ცოდნის შეგროვება წარმოადგენდა მომავალი მეცნიერების მნიშვნელოვან წინაპირობას.

საკუთრივ მეცნიერების აღმოცენებისთვის საჭირო იყო შესაბამისი პირობები: წარმოებისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების განსაზღვრულ დონე, გონებრივი და ფიზიკური შრომის განაწილება და ფართო კულტურული ტრადიციების არსებობა, რაც ხელს უწყობს სხვა ხალხებისა და კულტურების მიღწევათა აღქმას.

მეცნიერების განვითარება ძველ მსოფლიოსა და შუა საუკუნეებში

მეცნიერების განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობები ყველაზე ადრე შეიქმნა *ძველ საბერძნეთში* (იხ. თავი 3), სადაც პირველი თეორიული სისტემები აღმოცენდა ჩვ-წ.აღ.-მდე VI საუკუნეში. ისეთი მოაზროვნეები, როგორიცაა *თალესი* და *დემოკრიტე*, მითოლოგიისაგან განსხვავებით, უკვე იძლეოდნენ სინამდვილის ახსნას ბუნებრივი საწყისიდან გამომდინარე. ძველმა ბერძენმა მეცნიერმა *არისტოტელემ* პირველმა აღწერა ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების კანონზომიერებები, წინა პლანზე წამოსწია რა ცოდნის ობიექტურობა, ლოგიკურობა, დამაჯერობლობა. შემეცნების მოძენტში შეცვანილი იქნა აბსტრაქტულ ცნებათა სისტემა, საფუძველი ჩაეყარა მასალის გადმოცემის მტკიცებით წესს. დაიწყო ცოდნის ცალკეული დარგების განცალკევება,

როგორიცაა: გეომეტრია (*ევკლიდე*), მექანიკა (*არქიმედე*), ასტრონომია (*პტოლემეოსი*).

ცოდნის მთელი რიგი სფეროები შუა საუკუნეების ეპოქაში გამდიდრდა არაბული აღმოსავლეთისა და შუა აზიის მეცნიერთა – *იბნ სინა ანუ ავიცენას, იბნ რუშდისა და ბირუნის* მიერ.

იბნ სინამ – (980-1037) შექმნა „კანონი" – უდიდესი სამედიცინო ნაშრომი. რამდენადაც ისლამის კანონი კრძალავდა ადამიანის სხეულის ოპერირებას, ამდენად ეს ნაშრომი ეძღვნება დაავადებათა დიაგნოსტიკასა და მკურნალობას წამლების საშუალებით. თემათა უფრო ფართო წრეს (ფილოსოფიიდან მათემატიკასა და ფიზიკამდე) მოიცავს მისი ნაშრომი „*ჯანკურნება*".

იბნ რუშდი (1126-1198) – არაბი ფილოსოფოსი და ექიმი – აღმოსავლური არისტოტელიზმის წარმომადგენელია. მან შექმნა ტრაქტატი „*უარყოფის უარყოფა*". ორმხრივი ჭეშმარიტების შესახებ მოძღვრების ავტორი რელიგიას გამოყვანდა „რაციონალურად" – განათლებულთათვის ხელმისაწვდომად და „ხატოვან-ალეგორიულად", რომელიც ხელმისაწვდომია ყველასათვის. იგი ავტორია, აგრეთვე, ენციკლოპედიური სამედიცინო ნაშრომისა.

აბუ რეიხან ალ-ბირუნი (973-1050) მოღვაწეობდა ასტრონომიაში (მან შექმნა შრავალი მოწყობილობა მზეზე, მთვარესა და ვარსკვლავებზე დასაკვირვებლად), გეოგრაფიაში, მათემატიკაში, ოპტიკაში, მედიცინაში, დაინტერესებული იყო წამლების დამზადებით, ძვირფასი ქვებითა და ასტროლოგიით. მას ეკუთვნის უდიდესი ნაშრომი მინერალოგიაში „*ძვირფასი ქვების შესახებ დაუშრეტელი ცოდნის წიგნი*".

ალქიმიკოსი ალ-რაზი (დაახლ. 854-935) – არის IX-X საუკუნეების მედიცინის ერთ-ერთი უდიდესი ფიგურა. მისი ყველაზე ცნობილი ნაშრომი „*დაწვრილებითი აღწერილობა*" აშუქებს იმდროინდელ პრაქტიკულ მედიცინას, ითვალისწინებს რა საბერძნეთის, ინდოეთისა და ჩინეთის ექიმთა გამოცდილებას.

სამეცნიერო ცოდნის ბევრ სფეროში დიდ წარმატებებს მიაღწიეს ძველ და შუასაუკუნეების ჩინეთში. აქ (≈ 1000) ფეიერვერკებისა და სიგნალთა გადაცემისათვის გამოიყენებოდა დენთი. ლი ჩენმა გამოიგონა (≈ 1045) დასაშლელი შრიფტი. შეიქმნა საჭიანი მართვის მოწყობილობა, გამოიგონეს სეისმოგრაფი, საჭე, კომპასი, ქალალდი და მრავალი სხვა.

დასავლეთ ევროპაში რელიგიის ბატონობის მეოხებით შეიქმნა განსაკუთრებული ფილოსოფიური მეცნიერება – *სქოლასტიკა*.

განვითარება ჰპოვა, აგრეთვე, ალქიმიამ და ასტრონომიამ. ალქიმია ხელს უწყობდა მეცნიერების (ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით) ბაზის შექმნას, რამდენადაც ეურდნობოდა ბუნებრივი ნივთიერებების და ნაერთების ცდისეულ შესწავლას და შექმნა ნიადაგი ქიმიის ჩამოსაყალიბებლად. *ასტრონომია* დაკავშირებული იყო ცის ციურ მნათობებზე დაკვირვებასთან და ხელს უწყობდა მომავალი ასტრონომიისთვის საცდელი ბაზის შექმნას.

შუა საუკუნეების ევროპაში განხორციელებულ მნიშვნელოვან გამოგონებებს შორის უნდა აღინიშნოს ღვთისმსახურ ბერის მიერ 999 წელს პირველი მექანიკური საათის გამოგონება. 1280 წელს იტალიაში შეიქმნა პირველი წყვილი სათვალე. თვლიან, რომ იგი დაამზადა ფიზიკოსმა *სალვინო დელი არმატიმ* (1245-1317).

XV საუკუნის უდიდესი გამოგონება იყო *იოჰან გუთენბერგის* (1397-ს და 1400-1468 წლებს შორის) ბეჭდვითი წნეხი. 1450 წელს გუთენბერგმა მაინცში დაბეჭდა 42 სტრიქონიანი ბიბლია – პირველი სრული მოცულობის ნაბეჭდი გამოცემა ევროპაში, რომელიც აღიარებულია ადრეული ბეჭდვითი საქმის შედეგად (1282 გვერდი). ეს იყო რევოლუცია წიგნის ბეჭდვაში, რამაც ხელი შეუწყო ახალი აღმოჩენებისა და გამოგონებების შესახებ ინფორმაციის გაურცელებას.

მრავალრიცხოვანი აღმოჩენები, პროექტები, ექსპერიმენტული გამოკვლევები ჩატარდა და შესრულდა აღორძინების ეპოქის უდიდესი მხატვრის *ლეონარდო და ვინჩის* (1452-1519) მიერ. ის იყო არქიტექტორი, მეცნიერი, ინჟინერი, მუშაობდა მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მექანიკის სფეროებში, სწავლობდა სინათლის თვისებებს და წყლის მოძრაობას, ბუნების შემეცნებაში გადამწყვეტ მნიშვნელობას ცდას ანიჭებდა. მისი ანატომიური ატლასები სიზუსტით აღემატებოდა მანამდე შექმნილ ყველა ატლასს. მან გამოიგონა ფრინველის ტიპის ფრთებიანი მფრინავი მანქანა, წყალქვეშა ნავი, უდიდესი მშვილდი, მქნეველა ბორბალი, ვერტმფრენი და მძლავრი ქვემეხები. ლეონარდო და ვინჩის მიერ დატოვებული იყო დაახლოებით 7 ათასი ხელნაწერი ფურცელი და უბის წიგნაკი. მაგრამ მისი ნაშრომები უცნობი იყო მისი თანამედროვეებისათვის და რამდენიმე საუკუნის განმავლობაში გაიფანტა.

პირველი სამეცნიერო რევოლუცია

მეცნიერების განვითარების მნიშვნელოვან ეტაპად წარმოჩინდა ახალი დრო – XVI-XVII საუკუნეები. აქ განმსაზღვრელ როლს თამაშობდა ახლად აღმოცენებული კაპიტალიზმის მოთხოვნები. ამ პერიოდში

შერყეული იქნა რელიგიური აზროვნების ბატონობა და კვლევის წამყვან მეთოდად დამკვიდრდა *ექსპერიმენტი* (ცდა), რომელმაც დაკვირვებასთან ერთად რადიკალურად გააფართოვა შეცნობილი სინამდვილის სფერო. ამ დროს თეორიული განსჯა შეუერთდა ბუნების პრაქტიკულ ათვისებას, რამაც მკვეთრად გააძლიერა მეცნიერების შემეცნებითი შესაძლებლობები. XVI-XVII საუკუნეებში მიმდინარე ამ ღრმა გარდაქმნას თვლიან *პირველ სამეცნიერო რევოლუციად*, რომელმაც მსოფლიოს მისცა ისეთი სახელები, როგორიცაა *ნ. კოპერნიკი, გ. გალილეი, ჯ. ბრუნო, ი. კეპლერი, უ. ჰარვეი, რ. დეკარტი, ბ. პასკალი, ი. ნიუტონი* და სხვა.

XVII ს. სამეცნიერო რევოლუცია დაკავშირებულია საბუნებისმეტყველო რევოლუციასთან. საწარმოო ძალების განვითარება მოითხოვდა ახალი მანქანების შექმნას, ქიმიური პროცესების დანერგვას, მექანიკის კანონების ცოდნას, ზუსტ მოწყობილობებს ასტრონომიული დაკვირვებებისთვის.

სამეცნიერო რევოლუციამ გაიარა რამდენიმე ეტაპი და მისი ჩამოყალიბება მიმდინარეობდა საუკუნენახევრის განმავლობაში. მას სათავე დაუდეს *ნ. კოპერნიკმა* (1473-1543) და მისმა მიმდევრებმა: ბრუნომ, გალილეიმ, კეპლერმა. 1543 წ. პოლონელმა მეცნიერმა ნ. კოპერნიკმა გამოაქვეყნა წიგნი *„ცაების სფეროთა ბრუნვის შესახებ“*, რომელშიც დაამტკიცა შეხედულება იმის შესახებ, რომ დედამიწა მზის სისტემის სხვა პლანეტების მსგავსად ბრუნავს მზის გარშემო, რომელიც წარმოადგენს მზის სისტემის ცენტრალურ სხეულს. კოპერნიკმა დაადგინა, რომ დედამიწა არ არის განკერძოებული ცაური სხეული. ამით მან დარტყმა მიაყენა ანთროპოცენტრიზმსა და რელიგიურ ლეგენდებს, რომელთა თანახმად, დედამიწა თითქოს ცენტრალურ ადგილს იკავებს სამყაროში. უარყოფილი იქნა მრავალი საუკუნის განმავლობაში მიღებული პტოლემეოსის გეოცენტრული სისტემა. მაგრამ კოპერნიკის თხზულება 1616 წლიდან 1828 წლამდე აკრძალული იყო კათოლიკური ეკლესიის მიერ.

კოპერნიკის მოძღვრება XVI საუკუნეში განავითარა იტალიელმა მოაზროვნემ *ჯ. ბრუნომ* (1548-1600), ავტორმა თავის დროის ნოვატორული თხზულებისა: *„უსასრულობის, სამყაროსა და მსოფლიოთა შესახებ“*, *„ძიზეზის, საწყისისა და მთლიანობის შესახებ“*. იგი თვლიდა, რომ სამყარო უსასრულო და უზომოა, რომ იგი წარმოადგენს უთვალავ ვარსკვლავთა სიმრავლეს, რომელთაგან თითოეული ჩვენი მზის მსგავსია და რომელთა გარშემო ბრუნავენ მათი პლანეტები. ბრუნოს შეხედულება ამჟამად მთლიანად

დამტკიცებულია მეცნიერების მიერ. მაშინ კი, შუა საუკუნეებში, ამ თამამი მოსაზრებების გამო ჯ. ბრუნო ერესში მხილებული და ინკვიზიციის მიერ დასჯილი იქნა.

გ. გალილეის (1564-1642) ეკუთვნის უდიდესი მიღწევები ფიზიკის სფეროში და ყველაზე ფუნდამენტური პრობლემის — მოძრაობის — დამუშავება. უდიდესია მისი მოღვაწეობა ასტრონომიაში: ჰელიოცენტრული სისტემის დასაბუთება და დამტკიცება, აღმოჩენა იუპიტერის ამჟამად ცნობილი 13-დან 4 ყველაზე დიდი თანამგზავრისა, ავრეთვე ვენერას ფაზებისა, აღმოჩენა პლანეტა სატურნის უჩვეულო სახისა, რომელიც, როგორც ეხლაა ცნობილი, წარმოადგენს მყარ სხეულთა ერთობლიობით შემდგარ რგოლებს. მასვე ეკუთვნის შეუცვალებელი თვალისათვის უხილავი უამრავი ვარსკვლავის აღმოჩენა. სამეცნიერო კვლევებში გალილეიმ მნიშვნელოვან წარმატებებს იმის გამო მიაღწია, რომ იგი ბუნების შემეცნებისას ამოსავალ პუნქტად მიიჩნევდა დაკვირვებას, ცდას.

გალილეი იყო პირველი, ვინც ცას ტელესკოპით აკვირდებოდა (32-ჯერ გადიდების შესაძლებლობის მქონე ტელესკოპი დამზადებული იქნა თვით მეცნიერის მიერ). გალილეის ძირითადი შრომებია — *„ვარსკვლავთა მცნე“*, *„დიალოგი სამყაროს ორი სისტემის შესახებ“*.

ახალი დროის ასტრონომიის ერთ-ერთი შემოქმედი იყო *ი. კეპლერი* (1571-1630), აღმომჩენი პლანეტების მოძრაობის კანონებისა, რომელთაც ეწოდა მისი სახელი (*კეპლერის კანონები*). მის მიერ შედგენილია ე.წ. რუდოლფური პლანეტური ცხრილები. კეპლერმა საფუძველი ჩაუყარა დაბნელების თეორიას, გამოიგონა ტელესკოპი ორმხრივ ამოზნექილი ლინზებით. თავისი თეორიები მან გამოაქვეყნა წიგნებში *„ახალი ასტრონომია“* და *„კოპერნიკის ასტრონომიის მოკლე მიმოხილვა“*.

ინგლისელი ექიმი *უ. ჰარვეი* (1578-1657) ითვლება თანამედროვე ფიზიოლოგიისა და ემბრიოლოგიის დამაარსებლად. მისი მთავარი თხზულებაა: *„ანატომიური გამოკვლევა ცხოველებში გულისა და სისხლის მოძრაობის შესახებ“*. მან აღწერა სისხლის მიმოქცევის დიდი და პატარა წრე. მისმა მოძღვრებამ უარყო ძველი რომაელი ექიმის *გალენის* (დაახლ. 130 — დაახლ. 200) მანამდე არსებული შეხედულებები. ჰარვეიმ პირველმა გამოთქვა შეხედულება იმის შესახებ, რომ *„ყველა ცოცხალი წარმოიქმნება კვერცხისაგან“*, მხოლოდ, ღიად რჩებოდა საკითხი იმის შესახებ, თუ გულიდან ვენებით გამოსული სისხლი როგორ ბრუნდება მასში არტერიების საშუალებით. სისხლძარღვების უწვრილესი მაკავშირებლების შესახებ

მისი ვარაუდი 1661 წ. დამტკიცებული იქნა იტალიელი მკვლევარის *მ. მალპიგის* (1628-1694) მიერ, რომელმაც მიკროსკოპის ქვეშ აღმოაჩინა ვენებისა და არტერიების დამაკავშირებელი კაპილარები.

რ. დეკარტის (1596-1650) — ფრანგი მეცნიერის (მათემატიკოსი, ფიზიკოსი, ფილოლოგი, ფილოსოფოსი) დამსახურებათა შორის არის საკოორდინატო ღერძის შემოტანა — რომელმაც დააკავშირა ალგებრა და გეომეტრია. მან შემოიტანა ცვლადი სიდიდის ცნება, რაც საფუძვლად დაუდო ნიუტონისა და ლეიბნიცის დიფერენციალურ და ინტეგრალურ აღრიცხვას. დეკარტის ფილოსოფიური პოზიციები დუალისტურია. იგი აღიარებდა სულს და სხეულს, რომელთაგან სული — „გონიერი", ხოლო სხეული — „განფენილი" სუბსტანციაა. ის თვლის, რომ ღმერთი არსებობს, რომ ღმერთმა შექმნა მატერია, მოძრაობა და სიმშვიდე. დეკარტის მთავარი თხზულებებია *„გეომეტრია", „განსჯა მეთოდის შესახებ", „ფილოსოფიის საწყისები"*.

ნიდერლანდელმა მეცნიერმა *ბ. ჰიუიჰენსმა* (1629-1695) გამოიგონა ქანქარიანი საათი, დაადგინა ქანქარის მოძრაობის კანონები, საფუძველი ჩაუყარა დარტყმის თეორიას, სინათლის ტალღურ თეორიას, ახსნა ორმაგი სხივთტეხა. მოღვაწეობდა ასტრონომიაში — მან აღმოაჩინა სატურნის რგოლი და მისი თანამგზავრი ტიტანი. მის მიერ მომზადდა ალბათობის თეორიის ერთ-ერთი პირველი შრომა.

კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მეცნიერია ინგლისელი *ი. ნიუტონი* (1643-1727). მას ეკუთვნის სამეცნიერო შრომების უდიდესი რაოდენობა მეცნიერების სრულიად განსხვავებულ სფეროებში (*„ნატურალური ფილოსოფიის მათემატიკური საწყისები", „ოპტიკა"* და სხვა). მის სახელთან დაკავშირებულია ოპტიკის, ასტრონომიის, მათემატიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპი. ნიუტონმა შექმნა მექანიკის საფუძვლები, აღმოაჩინა მსოფლიო მიზიდულობის კანონი და მის საფუძველზე დაამუშავა ციურ სხეულთა მოძრაობის თეორია. ამ მეცნიერულმა აღმოჩენამ სამარადისოდ განადიდა ნიუტონი. მას ეკუთვნის მექანიკის სფეროში ისეთი აღმოჩენები, როგორიცაა ძალის, ენერგიის ცნებები, მექანიკის სამი კანონის ფორმულირება, ოპტიკის სფეროში — შუქის რეფრაქციის, დისპერსიის, ინტერფერენციის, დიფრაქციის აღმოჩენა, მათემატიკის სფეროში კი — ალგებრა, გეომეტრია, ინტერპოლაცია, დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვები.

XVIII საუკუნეში რევოლუციური აღმოჩენები იქნა გაკეთებული ასტრონომიაში *ი. კანტისა* და *პ. ლაპლასის* მიერ, აგრეთვე ქიმიაში, რომლის საწყისი დაკავშირებულია *ა. ლ. ლავუაზიეს* სახელთან.

გერმანელი ფილოსოფოსის, გერმანული კლასიკური ფილოსოფიის მამამთავრის *ი. კანტის* (1724-1804) მიერ დამუშავებული იქნა პირველსაწყისი ნისლოვანებიდან მზის სისტემის წარმოშობის კოსმოგონიური ჰიპოთეზა (ტრაქტატი *„ზოგადი ბუნებისმეტყველო ისტორია და ცის თეორია"*).

პ. ლაპლასი (1749-1827) — ფრანგი ასტრონომი, მათემატიკოსი, ფიზიკოსი — ავტორია კლასიკური შრომისა ალბათობის თეორიისა და ციური მექანიკის შესახებ (განიხილავდა მზის სისტემის დინამიკას მთლიანობაში და მის მდგრადობას). ლაპლასმა დაწერა *„ტრაქტატი ციური მექანიკის შესახებ"* და *„ალბათობის ანალიტიკური თეორია"*. მან, ისევე როგორც კანტმა, წარმოადგინა კოსმოგონიური ჰიპოთეზა, რომელმაც სახელწოდება მისი სახელის მიხედვით მიიღო (*ლაპლასის ჰიპოთეზა*).

ფრანგი ქიმიკოსი *ა. ლ. ლავუაზიე* (1743-1794) ითვლება თანამედროვე ქიმიის ერთ-ერთ დამაარსებლად. გამოკვლევებში იგი იყენებდა რაოდენობრივ მეთოდებს. აღმოაჩინა ჟანგბადის როლი დუღილის, მეტალთან წვის და სუნთქვის პროცესებში. იგი არის თერმოქიმიის ერთ-ერთი დამფუძნებელი. ავტორია კლასიკური კურსისა *„ქიმიის დაწყებითი სახელმძღვანელო"*, აგრეთვე თხზულებისა *„ქიმიურ ელემენტთა სახელწოდების მეთოდები"*.

სამრეწველო გადატრიალება და მეცნიერება

XVIII ს. კაცობრიობის ისტორიაში შეეცდა როგორც *სამრეწველო რევოლუციის* დასაწყისის საუკუნე. სამრეწველო რევოლუციის (საწარმოო გადატრიალების) სამშობლო გახდა ინგლისი, სადაც უკვე ამ საუკუნის 30-40-იან წლებში დაიწყო ხელით შრომის მანუფაქტურიდან ფაბრიკებსა და ქარხნებზე გადასვლა, სადაც გამოიყენებოდა მანქანები.

სამრეწველო გადატრიალებამ, ე. ი. წარმოებაში მანქანების დანერგვამ მოიცვა ინგლისური მრეწველობის ისეთი წამყვანი სფეროები, როგორიცაა ბამბის წარმოება, ენერგეტიკის, მეტალურგიის, ტრანსპორტის სფეროები. იგი დამთავრდა XIX ს. პირველ მეოთხედში. სამრეწველო გადატრიალების ეპოქის უმნიშვნელოვანეს გამოგონებათა რიცხვშია: *„მფრინავი მაჯო"* (*ჯ. კეი*), სართავი ჯარა *„ჯენი"* (*ჯ. ჰარგრივზი*), ვატერული მანქანა (*თ. ჰაისი*), მიულმანქანა

(*ს.კ. რომშტორი*), ქსოვილების გათეთრების მეთოდი (*კ. ბერთოლე*), ქსოვილთა მოხატვის მეთოდი (*თ. ბელი*), პუდლინგვის მეთოდი (*გ. კორტი*), თბომავალი (*ჯ. სტეფენსონი*) და ბევრი სხვა.

XIX საუკუნეში სამრეწველო გადატრიალებამ (სამრეწველო რევოლუციამ) მოიცვა მსოფლიოს ყველა წამყვანი ქვეყანა (აშშ, საფრანგეთი, გერმანია, იაპონია და სხვა). ამ ქვეყნების (გარდა იაპონიისა) გამომგონებელთა შორის იყვნენ: *ე. უითნი* (ბამბის გამწმენდი მანქანა), *რ. ფულტონი* (თბომავალი), *ჯ. ჯაკარდი* (სახეებიანი ქსოვილების დაზგა), *ფ. ჯირარი* (ხელსართავი მანქანა), *ნ. ლებლანი* (ზღვის წყლისაგან სოდის წარმოების მეთოდი), *მაკკორმიკი* (სამკელი მანქანა), *ე. ვ. სიმენსი* (დინამო – მანქანა), *ფ. კენიგი* (ორთქლის წნეხი წივნის ბეჭდვისათვის). ეს ჯერ კიდევ არ არის ყოველივე ის, რაც კაცობრიობას მისცა სამრეწველო რევოლუციამ. ხელის შრომის მანქანურით შეცვლამ მსოფლიო მიიყვანა ინდუსტრიული ცივილიზაციის ფორმირებამდე, რაც ეყრდნობოდა გამოყენებითი, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების წარმატებით გამოყენებას და თავის მხრივ სტიმულს აძლევდა ახალ დიდ ძვრებს მეცნიერებაში.

XIX საუკუნეში მოხდა უწყვეტი რევოლუციური გადატრიალებები ბუნებისმეტყველების ყველა სფეროში.

XIX საუკუნის დასაწყისისთვის მეცნიერების მიერ დაგროვილი გამოცდილება და მასალა ცალკეულ სფეროებში უკვე აღარ ეტეოდა ბუნებისა და საზოგადოების მექანიკური ახსნის ჩარჩოებში. საჭირო გახდა სამეცნიერო ცოდნის ახალი ხვეულა და უფრო ღრმა და ფართო სინთეზი, რომელიც გააერთიანებდა ცალკეულ მეცნიერებათა შედეგებს. ამ ისტორიულ პერიოდში მეცნიერება განადიდეს *ი.რ. მაიერმა* (1814-1878), *ჯ. ჯოულმა* (1818-1889), *ჰ. ჰელმჰოლცმა* (1821-1894), რომლებმაც აღმოაჩინეს ენერგიის შენახვისა და გარდაქმნის კანონები, რამაც უზრუნველყო ერთიანი საფუძველი ფიზიკისა და ქიმიის ყველა ნაწილისათვის.

სამყაროს შეცნობაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა *თ. შვანისა* (1810-1882) და *მ. შლეიდენის* (1804-1881) მიერ უჯრედული თეორიის შექმნას, რომელმაც აჩვენა ყველა ცოცხალი ორგანიზმის ერთგვაროვანი სტრუქტურა.

ჩ. დარვინმა (1809-1882), რომელმაც შექმნა ევოლუციური მოძღვრება ბიოლოგიაში, ბუნებისმეტყველებაში დანერგა განვითარების იდეა.

გენიალური რუსი მეცნიერის *დ. ი. მენდელეევის* (1834-1907) ელემენტთა პერიოდული სისტემის წყალობით დამტკიცებული იქნა შინაგანი კავშირი ნივთიერებათა ყველა ცნობილ სახეთა შორის.

კლასიკური ბუნებისმეტყველების აყვავებამ ხელი შეუწყო მეცნიერებათა ერთიანი სისტემის შექმნას.

მეორე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ცვლილებებს სამეცნიერო აზროვნების საფუძვლებში, მექანისტურმა მსოფლმხედველობამ თავისი თავი ამოწურა, რამაც ახალი დროის კლასიკური მეცნიერება კრიზისამდე მიიყვანა. ამას, ზემოთ აღნიშნულ ვითარებასთან ერთად, ხელი შეუწყო ელექტრონისა და რადიაქტიულობის აღმოჩენამ. კრიზისის გადაჭრის შედეგად ადგილი ჰქონდა ახალ სამეცნიერო რევოლუციას, რომელიც დაიწყო ფიზიკაში და რომელმაც მოიცვა მეცნიერების ყველა ძირითადი სფერო. იგი დაკავშირებულია უპირველეს ყოვლისა *მ. პლანკის* (1858-1947) და *ა. აინშტაინის* (1879-1955) სახელებთან. ელექტრონის, რადიუმის, ქიმიური ელემენტების გარდაქმნის აღმოჩენა, ფარდობითობის თეორიისა და კვანტური თეორიის შექმნა მოასწავებდა გარღვევას მიკროსამყაროსა და მაღალი სიჩქარეების სფეროში. ფიზიკის მიღწევებმა გავლენა იქონია ქიმიაზე.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის სამეცნიერო აზრის მიღწევებმა საფუძველი დაუდეს ამ პერიოდის ტექნიკურ რევოლუციას, რომელმაც მიიღო *მეორე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის* (სტრ) სახელწოდება.

მეორე **სტრ**-ის გამოჩენილი გამომგონებლები იყვნენ: *ე. ვ. სიმენსი* (დინამომანქანა), *თ. ედისონი* (თანამედროვე გენერატორი), *ჩ. პარსონსი* (ორთქლის ტურბინა), *გ. დაიმლერი* და *კ. ბენცი* (შიგაწვის ძრავა), *რ. დიზელი* (დიდი შიგაწვის ძრავა), *ა. ნ. ლოდიგინი* (ვარვარანათურა), *პ. ნ. იაბლოჩკოვი* („ელექტრონული სანთელი"), *ტ. ედისონი* და *დ. იუზი* (მიკროფონი), *ა. ბ. სტროიჯერი* (ავტომატური სატელეფონო სადგური), *ა. ს. პოპოვი* (რადიო), *გ. მარკონი* (ელექტრონული იმპულსების გადაცემა სადენის გარეშე), *ჯ. ა. ფლემინგი* (დიოდი), *გ. ბესემერი*, *პ. მარტენი*, *ს. თომასი* (ფოლადის გამოდნობის ახალი ხერხები), *გ. დაიმლერი* და *კ. ბენცი* (ავტომობილი), *ჯ. დენლოპი* (რეზინის სალტეები), *დ. ი. მენდელეევი*, *კ. ე. ციოლკოვსკი*, *ნ. ე. ჟუკოვსკი* – ჰაერნაოსნობის საკითხები, *ა. თ.*

მოჟაისკი, კ. ადერი — თვითმფრინავმშენებლობა ორთქლის ძრავით, *ჯ. ბაიეტი* (ცელულოიდი) და მრავალი სხვა.

მეორე სტრ-ის უმნიშვნელოვანესი სფერო გახდა *ენერგეტიკა* — ელექტრობისა და შიგაწვის ძრავის გამოგონება, რამაც წინასწარ განსაზღვრა ორთქლისა და ქვანახშირისგან ელექტრობასა და თხევად საწვავზე გადასვლა. გადატრიალებამ ენერგეტიკაში, შორ მანძილზე ელექტროობის გადაცემის საშუალების გამოგონებამ განაპირობა ტრანსპორტის ახალი სახეების — ავტომობილის, თვითმფრინავის, ელმავლის, თბომავლის, ტრამვაის დაბადება.

ავტომობილმა და თვითმფრინავმა არა მხოლოდ რევოლუცია მოახდინა ტრანსპორტში, არამედ ბიძგი მისცეს ყველა მოსაზღვრე სფეროების — მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, ქიმიის გარდაქმნას. გამოგონილი იქნა ლითონის გამოდნობის ახალი ხერხები, განვითარება ჰპოვა სხვადასხვა სახის ხარისხიანი ფოლადების წარმოებამ, წინ წავიდა ფერადი ლითონების წარმოება.

მეორე სტრ-მ განაპირობა კავშირგაბმულობის ისეთი ახალი საშუალებების სწრაფი განვითარება, როგორიცაა ტელეგრაფი, ტელეფონი, რადიო, რამაც უდიდესი როლი შეასრულა მთელს მსოფლიოში ინფორმაციის გავრცელებაზე. კატალიზატორების, საღებავების, წამლების, მინერალური სასუქების მასიური წარმოება იყო ქიმიურ მრეწველობაში პროგრესის შედეგი.

ადგილი ჰქონდა ტექნიკურ გადატრიალებას სოფლის მეურნეობაში, სადაც ფართო გამოყენება ჰპოვა ქიმიურმა სასუქმა, მანქანებმა (ტრაქტორები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები). ყოველივე ამის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, საქონლის პროდუქტიულობა, შრომის ნაყოფიერება, რისი წყალობითაც ეკონომიკის ამ სექტორმა გამოათავისუფლა ინდუსტრიისათვის აუცილებელი მუშახელის მნიშვნელოვანი მასა. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები გადავიდნენ დატვირთულობის სამრეწველო (ინდუსტრიულ) ტიპზე.

მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები გახდა მორიგი *სამხედრო-ტექნიკური რევოლუციის საფუძველი*. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში გაჩნდა სამხედრო ავიაცია და ტანკები, შეიქმნა მძლავრი სამხედრო-საზღვაო გემები (ლაინკორები, დრედნოუტები), ავტომატური საარტილერიო იარაღი, გამოგონილი იქნა ახალი ფეთქებადი ნივთიერებები, მომწამვლელი გაზები, ფართო გამოყენება ჰპოვა რადიოკავშირგაბმულობამ. ცნობილია, რომ ამ პერიოდში მსოფლიოს წამყვანმა ქვეყნებმა გააძლიერეს გაძალებული

შეიარაღება, რამაც მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოამზადა ჯერ პირველი, შემდეგ კი მეორე მსოფლიო ომისათვის.

მესამე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების სტადიაზე დაიწყო მესამე სამეცნიერო-ტექნიკური (სამეცნიერო ტექნოლოგიური) რევოლუცია. იგი დაკავშირებულია კარდინალურ ცვლილებებთან საწარმოო ძალების სფეროში ატომური ენერგეტიკის, კოსმონავტიკის, გამოთვლილი ტექნიკის, ბიოტექნოლოგიის, ახალი კონსტრუქციული მატერიების წარმოების განვითარების საზით. უნდა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით არ არსებობს ამ სტრ-ის საზოგადოდ მიღებული პერიოდიზაცია. ჩვენ მესამე სტრ-ს განვითარებაში გამოვყობთ ორ ეტაპს: 1) 40-იანი წლების შუა ხანებიდან 60-იანი წლების შუა პერიოდამდე; 2) 60-იანი წლების შუახანებიდან ამჟამინდელ დრომდე. ამ ეტაპებს შორის საზღვრად მიღებულია წამყვანი ქვეყნების სამეურნეო სისტემაში მეოთხე თაობის ეგმ-ის შექმნა და დანერგვა.

პირველი ეტაპის გამოგონებებია: ტელემაუწყებლობა, ტრანზისტორები, კომპიუტერები, რადარი, რაკეტები, ატომური ბომბი, სინთეტიკური ბოჭკოები, წყალბადის ბომბი, დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები, რეაქტიული ავიაცია, ელექტროენერგეტიკული მოწყობილობები ბირთვული რეაქტორის ბაზაზე, დაზგები რიცხვითი პროგრამული მართვით, ლაზერები, ინტეგრალური სქემები, კავშირგაბმულობის თანამგზავრები, ჩქაროსნული ექსპრესები. დავახასიათებთ ამ გამოგონებათაგან მხოლოდ რამდენიმეს.

1942 წ. იტალიელმა მეცნიერმა *ე. ფერმიმ* (1901-1954) ააშენა *ბირთვული რეაქტორი*, რომელშიც განხორციელდა მართვადი ბირთვული რეაქცია. პირველი ატომური ბომბი შექმნილია ამერიკელი ფიზიკოსის *რ. ოპენჰაიმერის* (1904-1967) მიერ. პირველი ატომური ბომბი 1945 წელს იქნა ჩამოგდებული იაპონიის ქალაქებში ჰიროსიმასა და ნაგასაკში.

რადიოტალღების საშუალებით სხეულთა აღმოჩენის სისტემა — რადარი შექმნილია შოტლანდიელი ფიზიკოსის *რ. უ. უატის* (1892-1973) მიერ. 1935 წ. მის მიერ აგებული რადარის მოწყობილობა იძლეოდა თვითმფრინავის აღმოჩენის შესაძლებლობას 64 კმ მანძილზე. ამ სისტემამ დიდი როლი შეასრულა გერმანული ავიაციის თავდასხმებისაგან ინგლისის დაცვაში მეორე მსოფლიო ომის წლებში.

ვ. ფონ ბრაუნის (1912-1977) მიერ შექმნილი დიდი სიშორის *რაკეტის* „ფაუ-2“-ის პირველი გაშვება მოეწყო 1942 წელს. „ფაუ-2“-

ის სიჩქარე რამდენჯერმე აღემატებოდა ბგერის სიჩქარეს. აფრენის სიშორე შეადგენდა 320 კმ-ს, ეხლა კი ზოგიერთი რაკეტის აფრენის სიშორე 9600 კმ-ს აღწევს.

ლაზერი — არის ოპტიკური კვანტური გენერატორი. თარგმანში „ლაზერი" აღნიშნავს „სინათლის გაძლიერებას იძულებითი გამოსხივების შედეგად". თავიდან ლაზერები გამოიყენებოდა მრეწველობაში ბურღვისათვის, შედუღებისა და გრავირებისათვის. ამჟამად მათ იყენებენ ქირურგიულ ოპერაციებშიც. ლაზერის თეორია 1958 წელს დამუშავებული იქნა ამერიკელი ფიზიკოსების *ჩ. თაუნსისა* და *ა. შელაუს* მიერ. პირველი ლაზერი შექმნილი იქნა *თ. მეიმენის* მიერ1960 წ..

1918 წელს *პ. ლანჟევენის* (1872-1946) ხელმძღვანელობით ფრანგი მეცნიერების მიერ დამუშავებული ბგერითი ლოკაციის სონარ-სისტემის საფუძველზე (აგზავნის ბგერით ტალღებს და გზად შემხვედრი ნებისმიერი ობიექტი ბაძავს მათ) XX საუკუნის 50-იან წლებში შოტლანდიელმა ექიმმა *იან დონალდმა* შექმნა მეთოდი ადამიანის და აგრეთვე დედის საშოში ბავშვის ჩანასახის გამოკვლევისათვის. *ამ პროცესს უწოდეს ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა.*

ერთ-ერთი პირველი *კომპიუტერი* ENIAC (ელექტრონული რიცხვითი ინტეგრატორი და კალკულატორი) დაამუშავეს *ჯ. მოჩლიმ* (1907-1980) და *ჯ. ეკარტმა* აშშ-ს არმიისთვის. თანამედროვე ЭВМ-სთან შედარებით იგი ვეებერთელა იყო, იკავებდა მთელ დარბაზს და ასრულებდა გაცილებით ნაკლებ ოპერაციებს. ЭВМ-ის ტექნოლოგიები თანდათან სრულყოფილ სახეს იღებდა. კომპიუტერების ზომები მცირდებოდა, შესაძლებლობები კი იზრდებოდა.

1964 წ. ამერიკულმა კომპანიამ IBM გამოუშვა პირველი ტექსტური კომპიუტერი. 1978 წ. ამერიკულმა კომპანია „კვიკს"-მა შექმნა კომპიუტერი, რომელიც ტექსტის ჩასაწერად იყენებდა მაგნიტურ დისკებს. 80-იან წლებში პერსონალურმა კომპიუტერებმა სპეციალური პროგრამებით დაიწყეს საბეჭდი მანქანების გამოდევნა.

მესამე სტრ-ის მ ე ო რ ე ეტაპზე გამოგონებული იქნა მიკროპროცესორები, ინფორმაციის ბოჭკოვან-ოპტიკური გადაცემა, სამრეწველო რობოტები, ბიოტექნოლოგია, ზედიდი და მოცულობითი ინტეგრალური სქემები, უმტკიცესი კერამიკა, მეხუთე თაობის კომპიუტერები, გენური ინჟინერია, თერმობირთვული სინთეზი.

სტრ-ის ამ ეტაპის ბირთვი გახდა სინთეზი სამი საბაზისო სამეცნიერო-ტექნიკური მიმართულებისა, როგორიცაა მიკროელექტრონიკა, ბიოტექნოლოგია, ინფორმატიკა. სწორედ ისინი ასახავენ

კვანტური ფიზიკის, მოლეკულური ბიოლოგიის, კიბერნეტიკისა და ინფორმაციის თეორიის ფუნდამენტურ მიღწევებს.

XX ს. ბოლოს დამთავრდა რკინის ხანა, რომელიც იყო თითქმის სამი ათასწლეულის ძირითადი კონსტრუქციული მასალა. XX ს. სტრ მიღწევების წყალობით კაცობრიობას უკვე შეუძლია უპირატესობა მისცეს მასალებს მინიჭებული თვისებებით — კომპოზიტებს, კერამიკას, პლასტმასებს და სინთეტიკურ კუპრს, მეტალური ფხვნილებისგან დამზადებულ ნაწარმს.

XX ს. დასასრულს ინტენსიურად ფორმირდება *პოსტინდუსტრიული ცივილიზაცია.* ძირეული გარდატეხა ხორციელდება კავშირგაბმულობის ტექნიკაში და ტრანსპორტში. ფართო გამოყენება ჰპოვა ბოჭკოვან-ოპტიკურმა კავშირმა (კავშირგაბმულობის ხაზები), კოსმოსურმა კავშირმა (თანამგზავრულმა), ფაქსიმილურმა და ფიჭურმა.

XX საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს აღმოჩენად მეცნიერებს მიაჩნიათ ДНК *მოდელის* შექმნა. ბიოლოგიამ, განსაკუთრებით მოლეკულურმა, XX ს. შუაწლებში ბუნებისმეტყველების ერთ-ერთ პირველ ადგილზე გადმოინაცვლა.

ამერიკელი მეცნიერები *ფ. კრიკი* და *დ. უოთსონი*, იყენებდნენ *რა რ. ფრანკლინისა* და *მ. უილკინსის* მასალებს, იკვლევდნენ ДНК-ს X-სხივების საშუალებით და 1953 წელს შექმნეს ДНК მოლეკულის მოდელი. მისი ფორმაა ორმაგი გადახლართული სპირალი. მოდელმა აჩვენა როგორ ხდება ДНК მოლეკულების დაყოფა და მათი ახალი ასლების წარმოქმნა. 1962 წელს კრიკს, უოთსონსა და უილკინსს მიენიჭა ნობელის პრემია მედიცინის დარგში.

თანამედროვე მსოფლიოში მეცნიერება იძენს სულ უფრო მეტ მნიშვნელობას და ვითარდება სულ უფრო მეტად სწრაფი ტემპებით. განსაკუთრებით ძლიერდება ფუნდამენტური, თეორეტიკული მეცნიერების როლი და ეს პროცესი დამახასიათებელია მეცნიერების ყველა დარგისთვის.

რუსეთის სამეცნიერო და ტექნიკური მიღწევები

მსოფლიო მეცნიერების ისტორიაში საპატიო ადგილი უკავიათ რუსეთის მეცნიერებსა და გამომგონებლებს. მეცნიერების ყველა სფეროში არის ამ ქვეყნის გამოჩენილი წარმომადგენელი. რუსი თვითნასწავლი მექანიკოსი *ი. პ. კულიბინი* (1735-1818) — ავტორია მრავალი გამოგონებისა (პროექტორის პროტოტიპი — „სარკიანი

ფანარი", სემაფორის ტელეგრაფი, მდინარე ნევაზე 298 მ ფართის ერთთაღიანი ხიდის პროექტი და მოდელი).

რუსეთში პირველი უნივერსალური ძრავის კონსტრუქტორი და შემქმნელი იყო რუსი გამომგონებელი *ი.ი. პოლზუნოვი* (1728-1766). პოლზუნოვის მიერ პროექტის სახით წარმოდგენილი მანქანა რომ აგებულიყო, იგი შეძლებდა მუშაობის წარმოებას უწყვეტად, რამდენადაც გამომგონებელი ითვალისწინებდა ორი ცილინდრის გამოყენებას, რომელთა დგუშები მორიგეობით (მონაცვლეობით) გადასცემდნენ სამუშაოს საერთო ლილვს. პოლზუნოვის მიერ პირველად წამოყენებულმა ამ პრინციპმა ფართო გამოყენება პოვა, მათ შორის შიგაწვის ძრავებში, რომლებიც შეიქმნა XIX ს-ის მეორე ნახევარში. გარდა ამისა, პოლზუნოვმა დაამუშავა სპეციალური ავტომატური მოწყობილობა ორთქლისა და წყლის გასანაწილებლად.

XVIII საუკუნის ტექნიკურ მიღწევათა შორის უნდა აღინიშნოს რუსი გამომგონებლის *კ.დ. ფროლოვის* (1726-1800) ხელმძღვანელობით აგებული უნიკალური ჰიდროტექნიკური ნაგებობა წყლის ამოსაქაჩად, მაღაროდან მადნის ამოსაღებად და ხე-ტყის სახერხი ქარხნის ასამუშაებლად ალტაის ვერცხლის საბადოებზე.

პირველი თბომავლები რუსეთში აწყობილი იქნა 1834-1835 წლებში რუსი ყმა მექანიკოსების და გამომგონებლების მამა-შვილი *ჩერეპანოვების* (ეფიმ ალექსის ძის, 1774-1842 და მირონ ეფიმის ძის, 1803-1849) მიერ. ჩერეპანოვებმა შექმნეს დაახლოებით 20 სხვადასხვა ორთქლის მანქანა. მამა-შვილს და მათ ცოლებს გამოგონების გამო თავისუფლება ებოძათ.

XIX საუკუნის რუს მეცნიერ-გამომგონებლებსა და ტექნიკოსებს შორის უნდა აღინიშნოს, უპირველეს ყოვლისა, *ვ. ვ. პეტროვი*, *ა. ს. პოპოვი*, *მ. ა. პავლოვი*.

ვ.ვ. პეტროვი (1761-1834) – იყო მრავალმხრივი მეცნიერი, რომელიც მოღვაწეობდა მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, მეტეოროლოგიაში. მისი უდიდესი მიღწევაა 1802 წ. ელექტრული რკალის (ვოლტის რკალი) აღმოჩენა. წიგნში *„ცნობა გალვანო-ვოლტურ ცდებზე“* ფართოდაა გაშუქებული ელექტრული მოვლენები.

ა. ს. პოპოვი (1859-1906) – არის გამოჩენილი რუსი ფიზიკოსი და ინჟინერ-ელექტროტექნიკოსი, ელექტრული, უგამტარო კავშირგაბმულობის (რადიოკავშირგაბმულობის) გამომგონებელი. მის მიერ გამოგონილი მსოფლიოში პირველი რადიომიმღები დემონსტრირებული იქნა 1895 წელს.

მეტალურგიის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აკადემიკოსმა *მ. ა. პავლოვმა* (1863-1958), მის მიერ დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული ბრძმედული პროცესისა და თუჯის მეტალურგიის სრულყოფისათვის.

მსოფლიო მნიშვნელობის პირველი რუსი მეცნიერი-ბუნებისმეტყველი არის *მ. ვ. ლომონოსოვი* (1711-1765). მისმა აღმოჩენებმა გაამდიდრეს მეცნიერების ბევრი სფერო: ფიზიკა, ქიმია, გეოგრაფია, მეტალურგია, ასტრონომია, ისტორია. ლომონოსოვის შემოქმედებითი გენიის მრავალმხრივობა შეერწყა ფუნდამენტურობას, მატერიალისტურ მსოფლმხედველობას, დიდ პრაქტიკულ მოღვაწეობას. მან შეძლო მატერიისა და მოძრაობის შენახვის პრინციპის ფორმულირება, საფუძველი ჩაუყარა ფიზიკურ ქიმიას, აღმოაჩინა ატმოსფერო ვერერაზე, ახსნა ბევრი სასარგებლო წიაღისეულის და მინერალის წარმოშობა, დაამტკიცა ნივთიერებათა კორპუსკულარული აღნაგობის კონცეფცია, წინ წამოსწია მოძღვრება ფერის შაესახებ. მან შექმნა მექანიკური მრიცხველები და რეგისტრები და ეს არ არის ყოველივე, რითაც ლომონოსოვმა განადიდა თავისი სამშობლო.

XIX საუკუნემ მსოფლიოს მისცა ისეთი დიდი მეცნიერები, როგორიცაა ნ. ი. ლობაჩევსკი, დ. ი. მენდელეევი, გ. ი. გესი, კ. ა. ტიმირიაზევი, ი. ი. მეჩნიკოვი, ო. მ. სეჩენოვი და სხვები.

დიდმა რუსმა მათემატიკოსმა *ნ.ი. ლობაჩევსკიმ* (1792-1856) გადატრიალება მოახდინა სივრცის ბუნების შესახებ წარმოდგენაში და შექმნა არაევკლიდური გეომეტრია (რომელმაც შემდეგ მიიღო ლობაჩევსკის გეომეტრიის სახელწოდება). მიუხედავად იმისა, რომ არ იყო აღიარებული თანამედროვეების მიერ, არაევკლიდური გეომეტრია იყო დიდი აღმოჩენა და მასთან მიიყვანა ფარდობითობის ზოგადმა თეორიამ, შექმნილმა XX საუკუნის დიდი მეცნიერის *ა. აინშტაინის* მიერ, რომელიც მიიდა იმ დასკვნამდე, რომ რეალური სივრცე არის არაევკლიდური. ამრიგად, მან ლობაჩევსკის თეორიას ფიზიკური აზრი მისცა.

დიდმა რუსმა ქიმიკოსმა *დ. ი. მენდელეევმა* (1834-1907) 1869 წ. აღმოაჩინა ქიმიურ ელემენტთა პერიოდულობის კანონი, რომლის თანახმად, ელემენტთა ატომური მასის ზრდის შესაბამისად მათი ქიმიური და ფიზიკური თვისებები პერიოდულად იცვლება. მენდელეევმა შექმნა ელემენტთა პერიოდული სისტემა, რომელსაც შემდეგ მისი სახელი მიენიჭა.

XIX საუკუნეში რუსეთი ასახელა *გ. ი. გესმა* (1802-1850) თერმოქიმიურ გამოკვლევათა დამფუძნებელმა, რომელმაც შეისწავლა

პლატინის კატალიტიკური თვისებები და აღმოაჩინა კანონი, რომელმაც მისი სახელი მიიღო.

ბიოლოგიის (მეცნიერება ცოცხალი ბუნების შესახებ) სფეროში რუსეთმა მსოფლიოს მისცა ბევრი მნიშვნელოვანი სახელი: *ა.ნ. ბეკეტოვი* (1825-1902) – მცენარეთა მორფოლოგიისა და გეოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, *ა.ნ. სევერცოვი* (1866-1936) – ცხოველთა ევოლუციური მორფოლოგიის ფუძემდებელი, ფილემბრიოგენეზის თეორიის ავტორი; *კ.ა. ტიმირიაზევი* (1843-1920) – მცენარეთა ფიზიოლოგების რუსული სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი, რომელმაც აღმოაჩინა ფოტოსინთეზის, როგორც მცენარეში ორგანულ ნივთიერებათა წარმოქმნისათვის სინათლის გამოყენების პროცესის ენერგეტიკული კანონზომიერებები; *ა.ო. კოვალევსკი* (1840-1901) – შედარებითი ემბრიოლოგიისა და ფიზიოლოგიის, ექსპერიმენტული და ევოლუციური ჰისტოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, რომელმაც დაადგინა ხერხემლიან და უხერხემლო ცხოველთა საერთო ზოგადი კანონზომიერებები და დაამტკიცა ცხოველთა ამ ჯგუფების ევოლუციური ურთიერთნათესაობა; ზოოლოგი *ვ.ო. კოვალევსკი* (1842-1883) – პალეონტოლოგიის ფუძემდებელი, ჩლიქოსან ცხოველთა განვითარების ისტორიის შესახებ კლასიკურ ნაშრომთა ავტორი; *ი.ი. მეჩნიკოვი* (1845-1916) – შედარებითი პათოლოგიის, ევოლუციური ემბრიოლოგიის, იმუნოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, რომელმაც აღმოაჩინა ფაგოციტოზის მოვლენა, შექმნა მრავალუჯრედიან ორგანიზმთა წარმოშობის თეორია (*პ. ერლიხთან* ერთად ნობელის პრემიის ლაურეატი 1908 წ.); *ი.მ. სეჩენოვი* (1829-1905) – რუსული ფიზიოლოგიური სკოლის დამაარსებელი, რომელმაც დაასაბუთა ცნობიერი და არაცნობიერი მოქმედების რეფლექტორული ბუნება, აღმოაჩინა ცენტრალური შეკავების, ნერვულ სისტემაში სუმაციის მოვლენა; ფიზიოლოგი *ი. პ. პავლოვი* (1849-1936) – უმაღლესი ნერვული მოქმედების მატერიალური მოძღვრების ავტორი. მას ეკუთვნის კლასიკური შრომები სისხლის მიმოქცევის და საჭმლის გადამუშავების ფიზიოლოგიაში, პირობითი რეფლექსების მეთოდის დამუშავებაში (ნობელის პრემიის ლაურეატი 1904 წ.).

მრავალმხრივია გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერის *ვ. ი. ვერნადსკის* (1863-1945) შემოქმედება, იგი არის გეოქიმიის, ბიოქიმიის, რადიოგეოლოგიის დამფუძნებელი, რუსეთის ბუნებრივი საწარმოო ძალების შემსწავლელი კომისიის ორგანიზატორი. მისი შემოქმედებისთვის დამახასიათებელია ინტერესთა მრავალფეროვნება, კარდინალურ პრობლემათა დაყენება, მეცნიერული წინასწარმეტყველება.

ვერნადსკის შრომები–ესაა გარემომცველი სამყაროს პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი.

გენეტიკა განუყოფლად დაკავშირებულია მიკრობიოლოგ *გ. ა. ნადსონის* (1867-1940) სახელთან, რომელმაც დაადგინა სოკოების მემკვიდრეობით ცვალებადობაზე რადიოგამოსხივების ზემოქმედება, აგრეთვე *მ. ნ. მეისელის*, *ვ. ვ. სახაროვის* (1902-1969), *მ. ე. ლობაშევის* (1907-1970) – მეცნიერ-გენეტიკოსთა სახელებთან, რომლებმაც აღმოაჩინეს ორგანიზმებზე ზოგიერთი ქიმიური ნივთიერების ზემოქმედება.

სელექციის სფეროში მნიშვნელოვანია *ი. ვ. მიჩურინის* (1855-1935) მიღწევები, რომელმაც შექმნა 300 სახეობაზე მეტი ხილკენკროვანი კულტურა და ფართოდ გამოიყენა დაშორებული ჰიბრიდიზაციის მეთოდი, აგრეთვე, *პ. პ. ლუკიანენკოს* (1901-1973) და *ვ. ნ. რემესლოს* (1907-1983) მოღვაწეობა, რომლებმაც შექმნეს ხორბლის მაღალპროდუქტიული სახეობები.

ფიზიკის სფეროში მნიშვნელოვანია საბჭოთა მეცნიერების *ვ. ა. ფოკის*, *ლ. დ. ლანდაუს*, *ა. ა. ფრიდმანის* წვლილი. *ვ. ა. ფოკი* (1898-1974) – იყო ფიზიკოსი-თეორეტიკოსი, რომელმაც შექმნა ფუნდამენტური შრომები კვანტურ მექანიკასა და ელექტროდინამიკაში, ფარდობითობის ზოგად თეორიაში. *ლ.დ. ლანდაუ* (1908-1968) – არის ერთ-ერთი დიდი საბჭოთა ფიზიკოსი-თეორეტიკოსი. მეცნიერის შრომები მოიცავს ფიზიკის სრულიად განსხვავებულ სფეროებს (მაგნიტიზმი, ზეგამტარობა, ზემდინარება, მყარი სხეულის, ატომის ბირთვის, ელემენტარული ნაწილაკების, პლაზმის ფიზიკა). იგი მუშაობდა ასტროფიზიკის, კვანტური ელექტროდინამიკის სფეროში. ე. მ. ლივშიცთან ერთად მან შექმნა თეორიული ფიზიკის კლასიკური კურსი. *ლ. დ. ლანდაუ* არის ნობელის პრემიის ლაურეატი (1962). *ა. ა. ფრიდმანმა* (1888-1925) – საბჭოთა მათემატიკოსი და გეოფიზიკოსი, აღმოაჩინა ფარდობითობის ზოგადი თეორიის განტოლება ჩაკეტილი არასტაციონარულად განვრცობადი სამყაროსათვის, რომელიც არის უწყვეტი ევოლუციის მდგომარეობაში, სადაც არა მხოლოდ არსებობენ ყველა ასაკის ვარსკვლავები, არამედ ადგილი აქვს ახალი ვარსკვლავების წარმოქმნას.

ენერგეტიკის და ატომური მეცნიერების სფეროს მიღწევები დაკავშირებულია *ი.ვ. კურჩატოვის* (1902-1960) და *ა.პ. ალექსანდროვის* (1903-1993) სახელებთან.

გამოთვლითი ტექნიკის განვითარება მ. ვ. ლომონოსოვის შემდეგ გაგრძელებული იქნა *ჩ. ბებიშევის* (1821-1894) მიერ, რომელმაც

XIX საუკუნის 60-90-იან წლებში შექმნა რამდენიმე მექანიკური გამომთვლელი. 1874 წელს რუსი ინჟინრის *ვ. ტ. ოდნერის* მიერ კონსტრუირებული იქნა ორიგინალური კონსტრუქციის არითმომეტრი, რომლის მოწყობილობის იდეა გამოყენებული იქნა ათობით გამომთვლელი მანქანის წარმოებაში, რომლებიც მუშაობდა ოდნერის პრონციპით („ოდნერის ბორბალი").

ინფორმაციის თეორიის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბჭოთა მეცნიერების — *ა. ნ. კოლმოგოროვის* (1903-1987) და *ა. ი. ხინჩინის* (1894-1959) შრომებმა. *ს. ა. ლებედევის* (1902-1974) ხელმძღვანელობით 1947 წ. დაიწყო მეხსიერების პროგრამის მქონე პირველი სამაშულო ემმ — პატარა ელექტრონული გამომთვლელი მანქანის დამუშავება. რუსეთში კოსმოსური გამოთვლების სათავეში იდგა *კ. ე. ციოლკოვსკი* (1857-1935) — ბალისტიკური რაკეტების ძირითადი პრინციპების დამმუშავებელი. მის შრომებში ნაჩვენებია სარაკეტო ტექნიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულებები — სწორედ ამ შრომებმა განაპირობა კოსმოსის კვლევის განვითარება. ციოლკოვსკიმ წარმოადგინა თხევადი სარაკეტო ძრავის სქემა, მისი რეაქტიული ძალის განმსაზღვრელი კანონზომიერებები, კოსმოსური ზომალდების სქემები და რაკეტების კონსტრუირების პრინციპები.

კოსმოსის ათვისების საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვით გამოჩენილ მეცნიერებს *კ. პ. გლუშკოს* (1908-1989) — კონსტრუქტორს, რომელმაც 1929 წ. შეიმუშავა თხევადი და ელექტრული სარაკეტო ძრავები, *ს. პ. კოროლიოვს* (1907-1966) — კონსტრუქტორს, რომელსაც ეკუთვნის წამყვანი როლი საბჭოთა რაკეტმშენებლობის დაბადებაში.

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲢᲔᲠᲛᲘᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲪᲜᲔᲑᲔᲑᲘ

ალჭიმია
ასტროლოგია
ბიომუნოლოგია
ბიოქიმია
გეოფიზიკა
გეოქიმია
დნმ
თხევადი სარაკეტო ძრავი
იმუნოლოგია
სამეცნიერო რევოლუცია
სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია
მსოფლიოს ზოგადმეცნიერული სურათი
პალეონთოლოგია
სამრეწველო გადატრიალება
რადიოგეოლოგია
რაკეტთმშენებლობა
სქოლასტიკა
ფარდობითობის თეორია
ხელოვნური ინტელექტი
კვანტური მექანიკა
კლასიკური მექანიკა
ლაზერული ტექნიკა
მეტაგალაქტიკა
მიკრობიოლოგია
მიკროელექტრონიკა
მეცნიერება
ფაგოციტოზი
მსოფლიოს ფიზიკური სურათი
ფილებრიოგენეზი
ემმ
ექსპერიმენტი
ელექტრონიკა
ელექტროქიმია

ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲔᲝᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

1. რა შესძინა კაცობრიობას XVII ს. სამეცნიერო რევოლუციამ?
2. რით ხასიათდება სამრეწველო გადატრიალება, მისი ძირითადი მიღწევები?
3. ისაუბრეთ XIX ს. სამეცნიერო რევოლუციის თავისებურებებზე, რითაც იგი განსხვავდება XVII ს. სამეცნიერო რევოლუციისაგან.
4. რა შესძინა კაცობრიობას მესამე სტრ-მ?

თავი 16

კულტურა და რელიგია



ბორობუდურის სატაძრო კომპლექსი (ინდონეზია) ეკუთვნის ბუდიზმის მსოფლიოში ყველაზე დიდ საკულტო ნაგებობათა რიცხვს. ზარისმაგვარ ყოველ გუმბათში ინახება ბუდას თითო ქანდაკება.

კულტურისა და რელიგიის ურთიერთმიმართების პრობლემა ყოველთვის იწვევდა სხვადასხვა სამეცნიერო სკოლებისა და მსოფლმხედველური ორიენტაციების მოაზროვნეთა დიდ ინტერესს. მასზე წერდნენ ყველაზე ავტორიტეტული საზღვარგარეთელი და რუსი ავტორები: *ნ.ა. ბერდიაევი, ბ.ა. რიბაკოვი, ე.ბ. ტაილორი, ჯ.დ. ფრეზერი* და სხვა. კულტურისა და რელიგიის პრობლემის სხვადასხვა ასპექტებს განიხილავდნენ ისეთი ისტორიკოსები და ფილოსოფოსები, როგორიცაა *ა.ვ. გორსკი, ა.ვ. კარტაშევი, პ.ა. ფლორენსკი*. თანამედროვე სამამულო ლიტერატურაში ამ ასპექტებს ეძღვნება მრავალი სხვადასხვა პუბლიკაცია. ჩვენს ეპოქაში ამ თემისადმი განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი არ არის შემთხვევითი: ბევრი რუსეთის აღორძინებას სწორედ კულტურას უკავშირებს, ხოლო კულტურის აღორძინებას კი – რელიგიას.

კულტურისა და რელიგიის ურთიერთმიმართების შესახებ მეცნიერებს შორის ერთიანი მოსაზრება არ არსებობს. პირველი კულტუროლოგიური კონცეფცია არის – *ღვთისმეტყველებო*, ანუ *რელიგიური*. მისი პრაქტიკულად ყველა წარმომადგენელი რელიგიას აცხადებდა კულტურის საფუძვლად. ამ მოსაზრებას მთელი სისრულით გამოთქვამდა ცნობილი ინგლისელი ეთნოგრაფი *ჯ. ფრეზერი*. იგი მიიჩნევდა, რომ „მთელი კულტურა – ტაძრიდან მოდის".

აღნიშნულ მიდგომას ეწინააღმდეგება მეორე – *ათეისტური* შეხედულება, რომელიც რელიგიას მთლიანად გამორიცხავდა კულტურის ცნებისგან, მათ მიიჩნევდა სხვადასხვა, ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენებად. ამ შეხედულებათა სათავეები ამოდის „განმანათლებლური კონცეფციიდან" (*ჰოლბახი, ჰელვეციი, დიდრო, ლამეტრი, ფეიერბახი* და სხვა), რომლის თანახმად, რელიგია ეწინააღმდეგება სულიერ პროგრესს. ფეიერბახი მიიჩნევდა, რომ რელიგია წარმოიქმნება „მხოლოდ უმეცრების, გაჭირვების, უმწეობის, უკულტურობის წყვდიადში" და ამიტომ, შესაბამისად, მოიცავს განათლებულობის არსებითად საწინააღმდეგო ელემენტებს.

როგორც ვხედავთ, ეს მოსაზრებები უკიდურესად, დიამეტრულად ურთიერთსაწინააღმდეგო და, შესაბამისად, ურთიერთგამომრიცხველია. მათ გარდა, არსებობს კიდევ სხვა შეხედულებებიც.

რელიგიის სათავეები

რელიგია (ლათ. religio – ღვთისმოსაობა, წმიდათა წმიდა, ღვთისმოშიშობა, კულტურის საგანი) წარმოადგენს მსოფლმხედველობას და მსოფლშეგნებას,

აგრეთვე შესაბამის ქცევას და სპეციფიკურ მოქმედებებს, რომლებიც დაფუძნებულია ღმერთის არსებობის რწმენაზე.

რელიგიამ გაიარა განვითარებისა და ფორმირების გრძელი და რთული გზა. კაცობრიობის განვითარების საწყის სტადიებზე დამკვიდრდა რელიგიური რწმენები, რომლებშიც ალბეჭდა ადამიანების მხრიდან ბუნებრივი ძალებისადმი დამოკიდებულების გაცნობიერება. რამდენადაც განვითარების დონე ჯერ კიდევ დაბალი იყო, ადამიანი თავის თავს არ აცალკევებდა ბუნებისაგან და მასზე გადაჰქონდა პირველყოფილ საზოგადოებაში არსებული ურთიერთობები. მას არ ესმოდა მრავალი ბუნებრივი მოვლენის არსი, თავს უმწეოდ გრძნობდა მათ წინაშე, შიშს განიცდიდა მათ მიმართ, ცდილობდა მოეძებნა ამ საიდუმლო ძალებზე ზემოქმედების ხერხები.

რელიგიურ მიმართებათა ობიექტი, წმიდათა წმიდად აღიარებული, თავიდან იყო რომელიმე არსებული საგანი, ცხოველი, რომელსაც მიკუთვნებული ჰქონდა ზეგრძნობადი თვისებები. მას ეთაყვანებოდნენ და *ფეტიშებს* ხდიდნენ. რამდენადაც ადამიანს სურდა, რომ თაყვანისცემის საგანს მოეხდინა მისთვის (ადამიანისთვის) საჭირო ქმედებები, ამდენად განვითარება ჰპოვა *მაგიამ*, წარმოიშვა ჯადოსნური წეს-ჩვეულებები, შელოცვები.

ასე აღმოცენდა რწმენა იმისა, რომ სული არსებობს დამოუკიდებლად, სხეულისაგან განცალკევებით. ასეთ რწმენას *ანიმიზმი* ეწოდება. ამდენად რელიგიურ მიმართულებათა შემდგომმა განვითარებამ განაპირობა სამყაროს ორ ნაწილად — რეალურად არსებულად და იმქვეყნიურად, ზებუნებრივად — დაყოფა. მოგვიანებით აღმოცენდა და განვითარდა უფრო რთული რელიგიური სისტემები. მსოფლიო დონის ე.ი. ყველაზე მეტად გავრცელებული რელიგიები — *ბუდიზმი, ქრისტიანობა, ისლამი* — ჩამოყალიბდა ფეოდალურ საზოგადოებასთან ერთად.

რელიგიას და ხელოვნებას გააჩნია საერთო სათავეები, ფესვები. ხელოვნების სათავეები ადამიანურ პრაქტიკაშია, მის იმ მხარეში, სადაც გამოვლინებას ჰპოვებს *ადამიანური ინიციატივა*. რამდენადაც შემოქმედების თავისუფლება არის განვითარებადი და გაღრმავებული შრომითი საქმიანობის გამოხატულება, რომლის პროცესში და რის შედეგადაც ადამიანი ქმნის შრომის იარაღებს, ითვისებს გარემომცველ სამყაროს, აღრმავებს თავის მსგავსებებთან ურთიერთობას, ახდენს საკუთარი თავის, თავისი შესაძლებლობების რეალიზებას, ესთეტიკურად ითვისებს სამყაროს.

რელიგიის სათავეებიც ადამიანურ პრაქტიკაშია, მაგრამ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მის იმ მხარეში, რომელიც გამოსახავს *არა თავისუფლებას, არამედ ადამიანის გარესამყაროზე დამოკიდებულებას*. სწორედ მაშინ გაჩნდა ადამიანში სურვილი დახმარებისთვის მიემართა სხვა, მასზე უფრო ძლიერი ძალებისთვის. აქედან წარმოიშვა მაგია, ფეტიშიზმი და სხვა პირველყოფილი რწმენები. მაგრამ პირველყოფილ საზოგადოებაში მაგია და ხელოვნება აღმოცენდა ერთდროულად, ერთმანეთთან შერწყმულად და გადაჯაჭვულად. ეს შეიმჩნეოდა პირველყოფილ ჩვეულებებში. ერთის მხრივ, ისინი წარმოადგენდა ადამიანის გარემომცველ სამყაროზე მაგიური ზემოქმედების საშუალებას და მეორეს მხრივ — ესთეტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებას.

რელიგიის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ფორმაა *ფეტიშიზმი* (ფრანგ. fetiche — კერპი, თილისმა). იგი გამოვლენილი იყო როგორც თაყვანისცემა უსულო მატერიალური საგნებისადმი, რომელთაც უძველესი ადამიანების შეხედულებით, საიდუმლო თვისებები გააჩნდა. რელიგიის ადრეულ ფორმათა რიცხვს მიეკუთვნება *ანიმიზმი* (ლათ. anima — სული) — სულის არსებობის რწმენა და *ტოტემიზმი* (სიტყვისაგან „ოტოტემ", რაც ორჯიბვის ენაზე აღნიშნავს „მის მოდგმას") — ადამიანთა და ცხოველთა მოდგმებს შორის ზებუნებრივი ნათესაობის რწმენა. ისინი ტიპიური იყო პირველყოფილი თემური წყობისათვის და შედიოდნენ იმ კულტურის შემადგენლობაში, რომელიც შეესაბამებოდა ამ სტადიას.

საზოგადოების განვითარების შესაბამისად აღმოცენდა პოლითეიზმი, სახალხო — ეროვნული რელიგიები. *პოლითეიზმის* (პოლი — ბევრი და ბერძნ. theos — ღმერთი, ე.ი. მრავალღმერთიანობა, მრავალი ღმერთის რწმენა) კლასიკური ძველი ბერძნული და რომაული რელიგიები ღმერთების მრავალრიცხოვანი პანთეონით.

ბალხურ-ეროვნულ რელიგიებს მიეკუთვნება ბუდიზმი, ინდუიზმი, სინტოიზმი, კონფუციანელობა და სხვა. ამ რელიგიათა მატარებლები, როგორც წესი, არიან ერთი და იმავე ეთნოსის (თუმც შესაძლებელია სხვადასხვა ეთნოსი) წარმომადგენლები.

სახალხო-ეროვნული რელიგიები არის სპეციფიკური რელიგიები, გამოვლენილი რელიგიური კულტურის სისტემის კონკრეტულ ფორმებში. მათთვის დამახასიათებელია ყოველდღიური ქცევის (საკვების მიღება, ჰიგიენური წესების დაცვა) დეტალური რიტუალიზაცია, სპეციფიკური წეს-ჩვეულებები, რელიგიური წესების

და აკრძალვების, საზოგადოებაში ფასეულობათა ორიენტაციის მორალური ნორმების მკაცრი სისტემა.

ამრიგად, საზოგადოებრივი ორგანიზმის, მისი მატერიალური და სულიერი კულტურის გართულებასთან ერთად რთულდება თვით რელიგიური სისტემები, რომლებიც ქმნიან ღირებულებების თავისებურ ქვესისტემას.

მსოფლიო რელიგიები

მსოფლიო-ისტორიულ პროცესში სხვადასხვა რელიგიები განსხვავებულ როლს თამაშობენ. უფრო გამორჩეულ როლს, როგორც აღნიშნული იყო, მათ შორის ისინი ასრულებენ, რომლებიც მორწმუნეთა რაოდენობის გამო ცნობილია *მსოფლიო* რელიგიების სახელწოდებით: ბუდიზმი, ქრისტიანობა, ისლამი. სწორედ ამ რელიგიებმა გამოავლინეს მაქსიმალური შეგუებადობა საზოგადოებრივი ურთიერთობების ცვალებადობისადმი და შორს გასცდნენ მათი აღმოცენების პირველადი ტერიტორიების საზღვრებს. მსოფლიო რელიგიები არასოდეს არ რჩებოდნენ უცვლელი, არამედ ტრანსფორმაციას განიცდიდნენ ისტორიის მიმდინარეობის შესაბამისად. მსოფლიო რელიგიების წარმოშობა არ განსხვავდება ზოგადად რელიგიის წარმოშობისგან. ისინი მსოფლიო რელიგიები არიან არა თავიდანვე, არამედ ისტორიული პროცესის მსვლელობის შედეგად.

ბუდიზმი აღმოცენდა ინდოეთში ჩვ.წ.აღ.-მდე VI-V სს. მონათმფლობელური ურთიერთობების ბატონობის პირობებში. ადრეული ბუდიზმისათვის დამახასიათებელია მიდრეკილება იქითკენ, რომ აჩვენოს ადამიანთა ძნელი მდგომარეობიდან გამოსავალი მათი სულიერი თანასწორობის აღიარების პირობებში, რამეთუ ხსნის შესაძლებლობას აძლევს ყველას მიუხედავად მათი სოციალური მდგომარეობისა. ბუდიზმი თავიდან ჩამოყალიბდა როგორც ჩრდილოეთ ინდოეთის მრავალრიცხოვან სექტებიდან (ან ფილოსოფიურ სკოლათაგან) ერთ-ერთი, შემდეგ ფართოდ გავრცელდა მთელს ინდოეთში, მოგვიანებით კი – სამხრეთ, სამხრეთ – აღმოსავლეთ და ცენტრალური აზიის ქვეყნებში. მან გამოავლინა დიდი პლასტიკურობა, მოიცვა რა თავის თავში სხვადასხვა ქვეყნების რელიგიური სარწმუნეობა და კულტურა (იხ. აგრეთვე თავი 3).

ქრისტიანობა (ბერძნ. christos – ცხებული), თავდაპირველად აღმოცენდა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში ებრაულ ეთნიკურ გარემოში, როგორც იუდაიზმის ერთ-ერთი სექტა, შემდგომში კი,

თუმცა არა მაშინვე, მაგრამ გადამწყვეტად გაარღვია მშობლიური საფუძველი და დაუპირისპირდა მას. თავისი საშობლოდან შევიწროვებულმა და თითქმის განდევნილმა ქრისტიანობამ შეიძინა ექსპანსიის უჩვეულო ძალა. ჩვ.წ.აღ.-მდე I საუკუნეში იგი გავრცელდა თავისუფლებამინიჭებულ მონებში, ღარიბებსა და უუფლებო ადამიანებში, რომის დამორჩილებულ თუ დაქსაქსულ ხალხებს შორის. შემდეგ კი ისტორიული პროცესის მსვლელობისას დედამიწის ყველა ზონაში შეაღწია.

ამას დიდად შეუწყო ხელი ქრისტიანობის მიერ ეთნიკური, სოციალური შეზღუდვებისა და მსხვერპლშეწირვის უარყოფამ. ქრისტიანობის ძირითადი იდეებია – იესო ქრისტეს მხსნელი მისია, ქრისტეს მეორედ მოსვლა, საშინელი სამსჯავრო, ზეციური მისაგებელი, ზეციური სასუფევლის დამყარება.

ქრისტიანობას გააჩნია სამი მიმართულება: *კათოლიკური, მართლმადიდებლური* და *პროტესტანტული*, რომელიც თავის მხრივ მოიცავს *ლუთერანულ, კალვინისტურ* და *ანგლიკანურ* მიმართულებებს.

ისლამი აღმოცენდა არაბეთში ჩვ.წ.აღ.-მდე VII საუკუნეში განსხვავებულ სოციალურ პირობებში. ბუდიზმისა და ქრისტიანობისგან განსხვავებით, იგი წარმოიშვა არა სტიქიურად, არამედ არაბული ფეოდალური მაღალი წრის მიზანმიმართული მოქმედებების შედეგად, რომელიც დაინტერესებული იყო ძალების გაერთიანებით ტერიტორიების მისაკუთრებისა და სავაჭრო ექსპანსიის განსახორციელებლად. ისლამი ფართოდ გავრცელდა აზიისა და აფრიკის მრავალ ქვეყანაში.

სამივე მსოფლიო რელიგიას არაერთგვაროვანი ისტორიული გარემოს პირობებში განსხვავებული ისტორიული ბედი ჰქონდა. თავდაპირველად ერთ განსაზღვრულ ეთნიკურ კულტურულ გარემოში აღმოცენებული, თითოეული მათგანი შემდეგ ფართოდ გავრცელდა სხვადასხვა ქვეყნებში, მოხვდა განსხვავებულ პირობებში, მოეწონა და იმავდროულად ზემოქმედება მოახდინა მათზე. თუნდაც ეს გარემოება უკვე ხაზგასმით მიუთითებს მოცემული რელიგიებისა და სხვადასხვა ხალხების კულტურათა ურთიერთქმედების შესახებ.

რელიგიის ისტორიის შესწავლა მნიშვნელოვანწილად ეფუძნება *რელიგიური ძეგლების* შესწავლას, რომლებიც წარმოადგენს რელიგიისა და კულტურის ურთიერთკავშირის თვალსაჩინო მაგალითებს.

რელიგიურ ძეგლებში, უპირველეს ყოვლისა, მოიაზრება საკულტო ძეგლები: რელიგიური ხელოვნების (ფერწერის, მუსიკის), რელიგიური ლიტერატურის, რელიგიური არქიტექტურის ძეგლები, რომელთა შემოქმედნი საკუთრივ ემსახურებოდნენ საკულტო მიზნებს.

ფუნქციონალური ხასიათის მქონე ბევრი რელიგიური ძეგლი იმავდროულად წარმოადგენს მსოფლიო კულტურის მიღწევას. მათ შექმნაში მონაწილეობდნენ გენიალური არქიტექტორები, მხატვრები, ფრესკული ფერწერის ოსტატები, ხატმწერები, კომპოზიტორები. ამავე დროს რელიგიამ უდიდესი გავლენა იქონია ხელოვნების ყველა დარგის და, შესაბამისად, ზოგადად კულტურის განვითარებაზე.

ლიტერატურულ-წერილობითი რელიგიური ძეგლები

კულტურის ისტორიამ შემოინახა ბევრი ლიტერატურულ-წერილობითი რელიგიური ძეგლი, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია ვედები, ბიბლია, ყურანი.

ვედები (სანსკრიტულად სიტყვა-სიტყვით – წმიდა ცოდნა) არის ინდური რელიგიური ლიტერატურის უძველესი ძეგლი, რომელიც იქმნებოდა მრავალი საუკუნის (II ათასწ. ბოლო – I ათასწლ. ჩვ.წ.აღ-მდე) განმავლობაში. ვედები შედგება 4 კრებულისაგან;

რიგვედა – მითოლოგიური და კოსმოლოგიური შინაარსის ჰიმნები;

სამვედა – საგალობლები, რომლებიც იმეორებს რიგვედას ტექსტებს და მათ უმატებს რიტუალურ-წესჩვეულებრივ დარიგებებს;

იაჯურვედა – ვედური რიტუალების, მსხვერპლშეწირვის აღსრულების წესების აღწერა;

ათხარვავედა – მაგიური შელოცვები და ფორმულები.

მათ საფუძველზე წარმოიქმნა ვედური რელიგიური ტრადიცია, რომლის მრავალი სახე და ფილოსოფიური კონცეფციები შემდგომ შევიდა ისეთ რელიგიურ-ფილოსოფიურ სისტემაში, როგორიცაა *ბრაჰმანიზმი, ინდუიზმი, ჯაინიზმი, ბუდიზმი.*

ყურანი (არაბ. ალ-კურ'-ან – კითხვა, დეკლამაცია) – არის არაბულ-მუსულმანური და მსოფლიო კულტურის ძეგლი. გადმოცემის თანახმად, ყურანის შედგენა და რედაქტირება დაიწყო პირველი არაბი ხალიფების ზედამხედველობით *მოციქულ მუჰამედის* დროს გაკეთებული ჩანაწერების ჩართვით. მასში არის სხვადასხვა მოცულობის 114 *სურა* (თავი), დაწყებული 286 *აიათით*

(ზეშთაგონება, ლექსი) მეორე სურაში და დამთავრებული შემდგომი სურების 36 აიათით.

ყურანი, მუსულმანთა მტკიცებით, არის ღმერთის პირდაპირი სიტყვა ხალხისადმი, რითაც იგი მათ აყენებს ჭეშმარიტ რწმენაზე, ცოდვილებს აფრთხილებს მარადიული ტანჯვის შესახებ, ხოლო ღვთისმოშიშებს პირდება მარადიულ ნეტარებას. ყურანი შეიცავს მუსულმანური ღვთისმეტყველების და სამართლის საფუძვლებს. ღვთისმსახურებაში ყურანს იყენებენ მხოლოდ არაბული ტექსტით, რამდენადაც სხვა ენებზე თარგმნისას მახინჯდება გამოცხადების აზრი.

ყურანში არის მოთხრობები სამყაროს წარმოშობისა და მოწყობის, ადამიანის შექმნის შესახებ, დიდი ადგილი უკავია სოციალურ-სამართლებრივი ხასიათის ვითარებებს. ყურანი საშუალებას იძლევა თვალყური ვადევნოთ VI საუკუნის ბოლოსა და VII საუკუნის პირველი მეოთხედის განმავლობაში ძველი არაბული ტომებისა და სხვა ხალხების გავლენას სხვადასხვა ხალხების კულტურის განვითარებაზე.

ქრისტიანული ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ძეგლია – ბიბლია, რომელიც შეიქმნა I ათასწლეულ. ჩვ.წ.აღ.-მდე. წიგნს სახელწოდებით *„ბიბლია"* აქვს ქვესათაური *„ძველი და ახალი აღთქმის წმიდა წერილის წიგნები"*, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ეს არის არა ერთიანი წიგნი, არამედ კრებული 77 წიგნისა (მათ შორის *ძველი აღთქმის* არაკანონიკური წიგნების ჩათვლით).

ძველი აღთქმა – ბიბლიის პირველი ნაწილი, იუდაიზმის და ქრისტიანობის მიერ მიჩნეული როგორც *წმიდა წერილი* – მოიცავს კანონიკურად აღიარებულ 39 წიგნს. გარდა ამისა, *ძველ აღთქმაში* არის აგრეთვე 11 წიგნი, რომლებიც არაა მიჩნეული კანონიკურად. *(ტობითი, იუდითი, იესო ძე ზირაქისა, მაკაბელთა და სხვა).*

ახალი აღთქმა – არის *ბიბლიის* ნაწილი, რომელიც ქრისტიანების მიერ აღიარებულია წმინდა წერილად. სახელწოდება დაკავშირებულია მოძღვრებასთან ღვთის მიერ ადამიანებისადმი იესო ქრისტეს საშუალებით მოცემული აღთქმის შესახებ. შეიცავს 27 წიგნს: *ევანგელიეს* –სახარებას (მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს), *მოციქულთა საქმეებს*, მათ 21 *ეპისტოლეს*, *იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებას, ათოკალიფსს.*

ბიბლიის ტექსტის შინაარსი მრავალფეროვანი და ერთობ სხვადასხვაგვარია. მისი ცალკეული ნაწილები დაიწერა სხვადასხვა დროს, თანდათანობით, მთელი ათასწლეულის განმავლობაში. ძველი

აღთქმის თავდაპირველი ტექსტი დაიწერა ძველებრაულ ენაზე (მცირე ფრაგმენტები – არამეულზე), ახალი აღთქმის თავდაპირველი ტექსტი – ძველ ბერძნულ ენაზე.

ბიბლია სხვა რელიგიური ძეგლების მსგავსად სხვადასხვაგვარადაა შეფასებული განსხვავებული მსოფლმხედველობრივი ორიენტაციის მქონე ადამიანთა მიერ: ერთნი მას მიიჩნევენ წმიდად, სხვები თვლიან, რომ იგი არის შესანიშნავი კულტურულ-ისტორიული ძეგლების ნაკრები, შექმნილი განსაზღვრულ ისტორიულ პირობებში. ნებისმიერ შემთხვევაში საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ბიბლია არის რთული, მრავალფენიანი, მრავალასპექტიანი, შეიცავს უდიდეს შემეცნებით მასალას.

რელიგია და არქიტექტურა

კაცობრიობის ისტორიული განვითარების განმავლობაში შექმნილია მრავალრიცხოვანი სხვადასხვა ტიპის ნაგებობანი, რომლებიც წარმოადგენს სხვადასხვა ეპოქებისა და ხალხების *არქიტექტურულ მემკვიდრეობას.*

ფეოდალურ საზოგადოებაში ეკლესია წარმოადგენდა არსებული ფეოდალური წყობილების განზოგადებასა და სანქციას. ამიტომ შუა საუკუნეების ეპოქაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა *საკულტო ნაგებობებს* – ეკლესიებს, ტაძრებს, საბატოებს – დასავლეთ ევროპაში, მეჩეთებს, მინარეთებს – მუსულმანური აღმოსავლეთის ქვეყნებში.

არქიტექტურის განვითარებაში მნიშვნელოვანი ეტაპია ბიზანტიური ხუროთმოძღვრება. ბიზანტიის დედაქალაქ კონსტანტინეპოლში ახალი სახელმწიფოს განმტკიცებისა და სახელმწიფო კულტის-ქრისტიანობის განდიდების მიზნით იქმნებოდა *გრანდიოზული ნაგებობები:* ტაძრები, სასახლეები, სიმაგრეები. ქრისტიანული ტაძრის ყველაზე მეტად გავრცელებული ტიპი იყო *ბაზილიკა* (ბერძ. სამეფო სახლი). ქრისტიანული ბაზილიკა, როგორც წესი, ორიენტირებულია აღმოსავლეთზე. მინაშენი განიე ნავის სახით ტაძარს აძლევს ჯვრის ფორმას. ბაზილიკებთან ერთად აგებდნენ აგრეთვე გუმბათოვან ტაძრებს, ასევე ჯვრის ფორმით (ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი).

ბიზანტიის ხუროთმოძღვრებამ სრულყვეს გუმბათოვანი ნაგებობების შენების ხელოვნება, შექმნეს თვითმყოფადი არქიტექტურული სტილი, განსაკუთრებით საეკლესიო ნაგებობებში, რომელთაგან უდიდესი იყო *წმ. სოფიის ტაძარი* კონსტანტინეპოლში. მისი გუმბათი ფარავდა 31,4 მ. სიგანის ფართს, შენობის სიმაღლე გუმბათის

წვეროძდე – 55,6 მ-ია. წმიდა სოფია – გუმბათით დაგვირგვინებული სამნავიანი ბაზილიკაა. მრავალსაფეხურიანი სისტემა ნაგებობას აძლევს განუმეორებელ სახეს და ქმნის განსაკუთრებული სიმსუბუქის შთაბეჭდილებას. ტაძარი შიგნით მოოთულია მრავალფერი მარმარილოთი, ხელოვნური ინკრუსტაციებით, მოზაიკითა და ჭანდაკებებით.

ფეოდალური აზლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, აგრეთვე ესპანეთში, რომელიც იმყოფებოდა არაბული ექსპანსიის ზონაში, ჩამოყალიბდა საკულტო (ისევე როგორც სხვა) ნაგებობათა თავისებური ტიპები, რომლებშიც ასახული იყო ეროვნული კულტურისა და მუსულმანური კულტის ნიშნები – *მეჩეთი, მცზოლეუმი, ქარვასლა.* ასეთი არქიტექტურის მეტად საინტერესო ძეგლია *დიდი მეჩეთი* 860 კოლონით მავრიტანულ სტილში *კორდოვაში* (ესპანეთი), კორდოვის საამიროს ყოფილ დედაქალაქში.

ბუდისტური და ბრაჰმანული საკულტო ტაძრების თავისებური არქიტექტურული ტიპები შეიქმნა ინდოეთში: ბუდისტურ რელიქვიათა საცავი – *სტუპა,* გამოქვაბულისა და მიწისზედა ტაძრები – *ჩაიშები,* მონასტრები – *ვიხარა,* მაღალი კოშკის მაგვარი ტაძრები *შიკხარა* და *გოპურა* (მაგ., ტაძრები კაჯურაჰოსა და ტანჯორაში).

სტუპა წარმოადგენდა მერის მთის – სამყაროს მითოლოგიური ცენტრის – სიმბოლოს. სტუპას გარშემო ნაგებობები ორიენტირებული იყო ქვეყნის მხარეებზე. სტუპა შედგებოდა ცილინდრული ცოკოლის ნაგებობისაგან, რომელზეც აღმართული იყო ნახევარსფეროსებური ზედა ნაწილი. სტუპას საფუძველზე მოგვიანებით აღმოცენდა პაგოდები.

კუნძულ იავას ცენტრალურ ნაწილში VIII ს. ბოლოსა და IX ს. დასაწყისში აგებული იქნა *ბუდისტური ტაძარი ბორობუდური.* ტაძარი აიგო *ბორეულის* ფერდობებზე ათიარუსიანი, კვადრატული საფუძვლის მქონე პირამიდის სახით (სიმაღლე 31,5 მ, საყრდენის სიგრძე 123 მ). ტერასები გარშემოვლებულია მოარშიებული გალერეებით, რომელთა ქვის რელიეფები გამოსახავენ სცენებს ბუდას ცხოვრებიდან (სულ 1460 რელიეფი, 564 ქანდაკება). საფეხურებიანი ტერასები სიმბოლოა ადამიანის სულიერი განწმენდისა და მიწიერი სიღატაკისგან თავის დაღწევისა, თვით ტაძარი კი სამყაროს ცენტრის სიმბოლოა.

ჩინეთში საკულტო დანიშნულების შენობები იყო კოშკისმაგვარი პაგოდები, რომლებიც შედგებოდა მრავალი ერთნაირად მოწყობილი

სართულებისაგან სახურავის მოლუნული ბოლოებით (ამგვარ „დრაკონის სილამაზეზე"), აგრეთვე ტაძრები.

საფრანგეთში *რომანული სტილის* საკულტო ძეგლთაგან ცნობილია ტაძარი კლიუნის სააბატოში, წმ. სტეფანეს ეკლესია კანში, სენ-სერნენის ეკლესია ტულუზაში. იტალიაში რომანული არქიტექტურის მეტად მნიშვნელოვანი ძეგლებია — ტაძარი პიზაში, სან-მინიატოს ეკლესია ფლორენციაში.

საეკლესიო *გოთიკური არქიტექტურის* უძველესი ძეგლებია XII-XIV სს შექმნილი ნორტ-დამისა და სენ-შაპელის ტაძრები პარიზში, ტაძრები შარტრში, რეიმსში, ამიენში, სენ-დენის სააბატოს ეკლესია და სხვა. ამ ეპოქაში გოთიკური სტილი წამყვანი იყო არა მხოლოდ საფრანგეთში, არამედ სხვა ქვეყნებშიც. მაგალითად, გერმანიაში — ტაძრები კიოლნში, ულმში, ინგლისში — ტაძარი ლინკოლნში, იტალიაში — ტაძარი მილანში. ამ ქვეყნებიდან თითოეულში გოთიკას ჰქონდა განმასხვავებელი ეროვნული თავისებურებები. გოთიკური ტაძრების ზესწრაფულ შპილებს ცოდვილი მიწისათვის უნდა დაეპირისპირებინა მბრწყინავი ზეცა.

მსოფლიო მნიშვნელობისაა იტალიური საკულტო არქიტექტურა. ადრეული აღორძინების ეპოქაში არქიტექტურა წვდება გოთიკის სახეებსა და ფორმებს. ამ ვითარებას სათავე დაუდო *ფ. ბრუნელესკიმ* (იხ. თავი 9). მის მიერ ფლორენციაში აგებული სანტა-მარია დელ ფორეს ტაძარი დაგვირგვინებულია გუმბათით. მთელი მისი შემოქმედება (სან-ლორენცოს, სან-სპირიტოს და სხვა ტაძრები) გამოირჩევა ნათელი და ცოცხალი სახეებით.

დიდი აღორძინების (XVI ს. პირველი ნახევარი) ეპოქის უდიდესი არქიტექტორი იყო *დ. ბრამანტე*, რომელმაც ააგო რომში მცირე ტაძარი ტემპიეტო და ვატიკანის დიდებული სასახლეები. მას ეკუთვნის აგრეთვე რომში წმ. პეტრეს გრანდიოზული ტაძრის პროექტი. მისი მემკვიდრეები იყვნენ *რაფაელი* და *მიქელანჯელო*, რომელმაც გააგრძელა წმ. პეტრეს ტაძრის მშენებლობა, შექმნა ახალი, პლასტიკურად გამომსახველი, თუმცა ბრამანტეს ჩანაფიქრთან მიახლოებული ფორმები. მიქელანჯელოს დროს ტაძარი აიგო გუმბათამდე. ტაძრის შენება დასრულეს მოგვიანებით მისი ნააზრევის მიხედვით.

საკულტო ნაგებობათა მსოფლიო არქიტექტურის მონაპოვართა შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს *რუსულ არქიტექტურას*. მრავალი საუკუნის განმავლობაში რუსმა ხალხმა შექმნა მთელი რიგი თვითმყოფადი არქიტექტურული სკოლები და სტილები.

კიევის რუსეთის ეპოქის ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლია *წმ. სოფიის ტაძარი* (XI ს.), რომელსაც აქვს პირამიდულად განლაგებული 13 თავი. ასეთი არქიტექტურა ხაზს უსვამდა სახელმწიფოს ძლიერებისა და დამოუკიდებლობის იდეას. ესაა ხუთნავიანი ჯვარგუმბათოვანი ტაძარი და ასეთი გააზრება, ცხადია, მომდინარეობს რუსული ხეზე ქვეთის ტრადიციიდან (989 წ. ხისგან აგებული სოფიის ტაძარს ნოვგოროდში ჰქონდა 13 გუმბათი). მთავარი გუმბათის დერეფნის ქვეშ სივრცე წარმოადგენს თაღებით შემოხაზულ უზარმაზარ ჯვარს. ყოელისმპყრობელი ქრისტე გამოსახულია გუმბათში, ცაში და თვალუწვდენელ სივრცეში, ხოლო საკურთხეველში, ცენტრალური აფსიდის კედელზე — ღვთისმშობლის დაძაბული და მკაცრი ფიგურაა, რომელსაც ხელები განუწყვეტელი ლოცვით ზემოთ აქვს აღპყრობილი.

XI ს. ძველ რუსულ არქიტექტურაში არის „სამი სოფიის" ეპოქა (კიევის, ნოვგოროდის, პოლოცკის).

ნოვგოროდის სოფიის ტაძარში კიევის ტაძართან შედარებით უფრო ნაკლებადაა ხორციშესხმული ბიზანტიური არქიტექტურული ცნობიერება; მაგრამ გამომსახველობითა და ლაკონურობით ჩრდილოეთის ბუნების ხასიათთან მონათესავე ნოვგოროდის ტაძარი სოფიის ტაძარს ერთნახევარჯერ აღემატება, თაღები უფრო სოფიის ტაძარს ერთნახევარჯერ აღემატება, თაღები უფრო წაგრძელებულია, მსხვილი მალალი სვეტები „კვეთენ" ტაძრის შიდა სივრცეს და მას ყოფენ გრანიტის კუბისებურ ზონებად.

პოლოცკის სოფიის ტაძარი აგებულია 1044-1066 წლებში (ხელმეორედ აშენდა XVIII ს.) ესაა კვადრატული დაგეგმარების ხუთნავიანი სამაფსიდიანი ტაძარი. მისი კედლები ფერწერითაა დამშვენებული. თავისი არქიტექტურით იგი ახლოს იყო ცნობილ ტაძართან კიევში. XII საუკუნეში პოლოცკში ზუროთმოძღვარ იოანეს მიერ აგებული იქნა მაცხოვრის და ევფროსინეს მონასტერი. იგი მნიშვნელოვანია თავისი დინამიური კომპოზიციით, რაც მოწმობს რუსული ზუროთმოძღვრების თვითმყოფადი ეროვნული ნიშნების ფორმულირებას.

არა მხოლოდ რუსული, არამედ მსოფლიო მნიშვნელობის ცნობილი ძეგლებია ღვთისმშობლის საფარველის ეკლესია ნერლიში, დიმიტრისა და მიძინების ტაძრები ვლადიმირში (XII ს.). მასშტაბურობით, კომპოზიციის სირთულით, მდიდარი პლასტიკური დამუშავებით ეს ტაძრები არის უშუალო წინამორბედი ისეთი მონუმენტური ძეგლებისა, როგორიცაა მოსკოვის ტაძრები.

ღვთისმშობლის საფარველის (პოკროვის) ტაძარი ნერლიში მომცროა და საოცრად ჰარმონიული, ეკლესია დაგვირგვინებულია ნახევარწრისებრი თავებით, რომლებიც გუმბათს მოგვაგონებს. ტაძარი მშვენიერი ჩუქურთმებითაა შემკობილი. ყოველი ფასადის ცენტრში, ზემო მზარეს არის ფსალმუნთმგალობელი მეფე დავითის რელიეფური ფიგურა. მეფე დავითი მღერის, ლომები, ფრინველები და გრიფები კი უსმენენ. ფრინველები — უმველესი სიმბოლოა ადამიანის სულისა, ხოლო ლომი კი — ქრისტესი.

XIII საუკუნეში თათარ-მონღოლთა შემოსევების შედეგად შეფერხებულმა რუსული არქიტექტურის განვითარებამ ახალი აღმავლობა განიცადა XV საუკუნეში. ამ პერიოდის მშენებლობების ცენტრად იქცა მოსკოვი. XIV-XVII საუკუნეებში აღგა ახალი კრემლი მონუმენტური ტაძრებით და ერთ-ურთი უდიდესი არქიტექტორული ანსამბლით — *მიძინების ტაძრით.* კრემლის ანსამბლის მყარი ვერტიკალური ღერძი გახდა მრავალიარუსიანი კოშკი — *ივანე დიდის სამრეკლო.*

მოსკოვთან ახლოს სოფელ კოდომენსკოე 1532 წ. აგებულ იქნა რუსული არქიტექტურის ერთ-ერთი უმშვენიერესი ძეგლი — ამაღლების სვეტისებრი ტაძარი, დაგვირგვინებული ქვის მაღალი კარვისებრი გუმბათით.

1555-1560 წწ ივანე მრისხანეს მიერ ყაზანის აღების აღსანიშნავად მოსკოვში ააგეს ღვთისმშობლის ეკლესია, აგრეთვე *ნეტარი ვასილის ტაძარი* (ხუროთმოძღვრები *.ბარმა* და *პოსტნიკი*).

XVII ს. მოსკოველმა ხუროთმოძღვრებმა შექმნეს *სამონასტრო სიმაგრეების ანსამბლები* — ნოვოდევიჩის, დონის, სერგი-სამების, კირილე-ბელოზერსკის, იოსებ-ვოლოკოლამსკის; კრემლი იაროსლავში, როსტოვში, ტულაში, კოლომნაში, სმოლენსკში და სხვა. ეს არის რუსული არქიტექტურული ანსამბლების გამორჩეული ნიმუშები, რომლებიც ორგანულადაა შერწყმული გარემომცველ სამყაროსთან და შეიცავს თავდაცვით, რელიგიურ და საცხოვრებელ ნაგებობებს.

XVII ს. ბოლოს მოსკოვში იგებოდა მრავალიარუსიანი ეკლესიები მდიდრული დეკორატიული მორთულობით, რაც მიღწეულია წითელი აგურისა და თეთრი ქვის კედლების ერთობლიობით (*ნარიშკინული ბაროკო*) — ესაა ღვთისმშობლის საფარველი ფილში, სატრაპეზო სერგი — სამების ლავრაში და სხვა.

XVI-XVIII ს. შეიქმნა რუსული ხის ხუროთმოძღვრების ისეთი შედევრები, როგორიცაა ეკლესიები კონდოპოგში, კიჟსა და ვარზუგში.

XVIII-XIX სს. ტაძრებსა და ეკლესიებს აგებდნენ გამოჩენილი რუსი არქიტექტორები: *კ.ი. ბაჟენოვი* (მოწამეთა ეკლესიის სამრეკლო და სატრაპეზო, მოსკოვში), *მ.ფ. კაზაკოვი* (ფილიპე მეტროპოლიტის ეკლესია, ამაღლების ტაძარი გოროხოვოს ველზე, კუზმასა და დამიანეს ეკლესია მოსკოვში), *ა. ნ. ვორონიხინი* (ყაზანის ტაძარი სანკტ-პეტერბურგში).

კათოლიკური ეკლესია და მუსიკა

რელიგიამ უდიდესი გავლენა იქონია მუსიკის განვითარებაზე. რელიგიური სიუჟეტები საფუძვლად დაედო საერო მუსიკის მრავალ ნაწარმოებს (საოპერო, სიმფონიური). თითქმის XVII საუკუნემდე, ანუ ახალი დროის დასაწყისამდე მუსიკალური პროფესიონალიზმის მთავარი ცენტრი იყო ეკლესია.

ადრექრისტიანული საეკლესიო მუსიკის ფორმირება მიმდინარეობდა ისეთ კულტურათა ტრადიციებთან მჭიდრო კავშირში, როგორიცაა იუდეისტური, ეგვიპტურ-სირია პალესტინური, გვიან ანტიკური. თანდათან ყალიბდებოდა სხვადასხვა მუსიკალური ჟანრები, ვითარდებოდა მუსიკის თეორია, მისი სწავლების მეთოდიკა. საეკლესიო საგალობლებს შორის იყო — *ფსალმოდია, ჰიმნები, ლიტურგია, მწუხრის ლოცვა.*[1]

ადრექრისტიანული გალობა იყო *ერთხმიანი.* დროთა განმავლობაში საღვთისმსახურო გალობაში აიკრძალა ქალების მონაწილეობა, I ათასწლეულის ბოლომდე არ გამოიყენებოდა მუსიკალური ინსტრუმენტები.

ეკლესიის დასავლურ-კათოლიკურად და აღმოსავლურ-მართლმადიდებლურად დაყოფა ოფიციალურად დამტკიცდა 1054 წელს. აღმოცენდა კათოლიციზმის მთელი რიგი ადგილობრივი ცენტრები *ლიტურგიის* საკუთარი ვარიანტებით. მაგრამ თანდათანობით ყველა რეგიონალური ტრადიცია განდევნილი იქნა *რომაული ქორალით (გრიგორიანული გალობა).* ყველა გალობა იყოფოდა ორ ჯგუფად: მესა (კათოლიკური ეკლესიის მთავარი ღვთისმსახურება) და *ოფიციები* (სადღეღამისო ციკლის მსახურება). IX საუკუნემდე

---

[1] *ფსალმოდია* — ფსალმუნების შესრულება წყნარი, მელოდიური დეკლამაციით. *ჰიმნები* — საზეიმო სიმღერა, ღვთის წინაშე ლოცვა შეწევნის თხოვნით. *ლიტურგია* — მართლმადიდებელი ეკლესიის უმნიშვნელოვანესი ღვთისმსახურება, კათოლიკური მესის ანალოგიური. *მწუხრის ლოცვა* — *საყოველთაო* — მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთისმსახურება, რომელიც სრულდება აღდგომის, თუ სხვა სადღესასწაულო დღეების მიჯნაზე.

კათოლიკური საეკლესიო გალობა ერთხმიანი იყო. IX-XIII სს. აღმოცენდა *მრავალხმიანობის* განსხვავებული ფორმები.

XVI საუკუნის II ნახევარი – XVII ს. დასაწყისი – არის საეკლესიო მუსიკის განვითარების ეტაპი, რომელიც დაკავშირებულია იტალიელ კომპოზიტორთა შემოქმედებასთან. რომის სკოლის კლასიკური ნიმუში, რომელიც განასახიერებდა მკაცრ საეკლესიო სტილს, იყო *დ.პ. პალესტრინის* (1525-1594) შემოქმედება. ახალი საკონცერტო სტილი ჩამოყალიბდა ვენეციაში, სადაც ცნობილი *მრავალხმიანი კომპოზიციები ა. გაბრიელის* (≈ 1485-1562) და მისი მოწაფეებისა და მიმდევრების – *კ. დე რორეს* (1515 ან 1516-1565), *კ. მერულოს* (1533-1604) მდიდარი ინსტრუმენტული თანხლებით.

XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე საეკლესიო მუსიკამ განიცადა ახლად აღმოცენებული საოპერო სტილის გავლენა, საეკლესიო კომპოზიციებში გაჩნდა გენერალ-ბასი, სოლო-არიოზი, რეჩიტატიული გალობა, გაძლიერდა ინსტრუმენტული საწყისის როლი. XVII ს. საეკლესიო მუსიკის მწვერვალია *კ. მონტევერდის* შემოქმედება, განსაკუთრებით მისი „*ქალწულ მარიამის მწუხრის ლოცვა*“. XVIII ს-XIX ს. დასაწყისში ოპერისა და სიმფონიის განვითარების გავლენით მოხდა საეკლესიო ჟანრის დრამატიზება და სიმფონიზება, შესუსტდა საღვთისმსახურებო ფუნქცია და საეკლესიო მუსიკა დამოუკიდებელ საკონცერტო ნაწარმოებად იქცა.

საეკლესიო მუსიკის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვით ვენის კლასიკური სკოლის კომპოზიტორებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია *ი. ჰაიდნის მესები*, *ვ.ა. მოცარტის* „*რექვიემი*“, *ლ. ბეთჰოვენის* „*სადღესასწაულო მესა*“, *ფ. შუბერტის*, *რ. შუმანის*, *ჰ. ბერლიოზის მესები*. მუსიკალურ საეკლესიო (საკულტო) ხელოვნებაში უდიდესი წვლილი შეიტანა *ი.ს. ბახმა*, რომლის ვოკალურ-ინსტრუმენტულ შემოქმედებაში წამყვანი ჟანრი იყო *კანტატა*. მან შექმნა კანტატების 5 წლიანი ციკლი, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება საეკლესიო კალენდრისადმი მიკუთვნებით, ქორალის როლით, ტექსტური წყაროებით. ბახის საუკეთესო ქმნილებებია მესები („*მათეს ვნებანი*“, „*იოანეს ვნებანი*“, „*დიდი მესა h-moll*“ და სხვა).

XIX ს. დაიწყო საეკლესიო კომპოზიციებში საოპერო-საკონცერტო სტილის მოძალების წინააღმდეგ მოძრაობა და პალესტინისა და რომაული ეპოქის ქორალის მკაცრი პოლიფონიის აღორძინება. ეს ტენდენციები გამოვლინდა „რექვიემში“ და ფ. ლისტის გვიანდელ ნაწარმოებებში.

მართლმადიდებლური ეკლესია და მუსიკა

რუსეთში საეკლესიო მუსიკამ განვითარება ჰპოვა X საუკუნეში ქრისტიანობის მიღებასთან ერთად. საგალობლების ჟანრობრივი სისტემის მხრივ იგი, ისევე როგორც ბიზანტიური მუსიკა, მხოლოდ ვოკალური იყო (*სტიხირები, ტროპარი, კონდაკი, კანონი, სადიდებელი*).

XI-XVII სს. ძველრუსულ საეკლესიო მუსიკაში გაბატონებული იყო ე.წ. „*ზნამენნი*“ *მოტივი*. XVI ს. სასიმღერო კულტურამ განიცადა აღორძინების პერიოდი, წარმოიქმნა ახალი მოტივები და მრავალხმიანი გალობა. აღიარება მოიპოვეს *მომღერლებმა ივანე ნოსმა*, *ფეოდორ კრესტიანინმა*, *მარკელ ბეზბოროდიმ*, *ი.ტ. ლუკოშკომ*. XVII ს. წარმოიქმნა ადგილობრივი გალობები – *უსოლსკის*, *სმოლენსკის* და სხვა. საგუნდო სიმღერის განვითარებას ხელი შეუწყო სახელმწიფო მომღერალი დიაკვნებისა და საპატრიარქოს მომღერალი დიაკვნების *ორმა გუნდმა*. მათ საფუძველზე შეიქმნა *სამეფო კარის სასიმღერო კაპელა პეტერბურგში* და *სინოდის გუნდი მოსკოვში*.

XVII ს. შუაწლებიდან გავრცელდა *მრავალხმიანი პარტესნური* გალობა 3-დან 12-მდე (ცალკეულ შემთხვევებში – 16, 24 და 48) ხმათა რაოდენობით. XVIII ს. მეორე ნახევარში *მ.ს. ბერეზოვსკისა* და *დ.ს. ბორტნიანსკის* მიერ შეიქმნა *რუსული სასულიერო კონცერტის კლასიკური ტიპი*.

მრავალრიცხოვანი სასულიერო კონცერტი, სხვადასხვა საღვთისმსახურო გალობანი და ძველრუსული გალობების გადამუშავებები შეიქმნა XIX ს. რუსი კომპოზიტორების *ა. ფ. ლვოვის* (1798-1870), *ნ.ი. ბაზჰუტოვის* (1807-1891), *პ.მ. ვოროტნიკოვის* (1804-1876) და სხვათა მიერ.

საეკლესიო მუსიკის ნოვატორული მონუმენტური ნაწარმოებები გახდა *პ.ი. ჩაიკოვსკის* „*ლიტურგია*“ და „*მწუხრის ლოცვა*“. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის საეკლესიო მუსიკის განვითარების მწვერვალია *ს.ვ. რახმანინოვის* „*იოანე ოქროპირის ლიტურგია*“ და „*მწუხრის ჟრვა*“.

XX ს. საეკლესიო მუსიკის ჟანრებში მოღვაწეობდა *იგორ სტრავინსკი* (1882-1971), „*მესის*“, „*წმინდა გალობის*“, „*სულის მოსახსენებელი გალობის*“, „*ფსალმუნთა სიმფონიის*“ ავტორი.

ხატწერა

რელიგიური კულტურის ძეგლებს წარმოადგენს *ხატები* – იესო ქრისტეს, ღვთისმშობლისა და წმინდანთა გამოსახულებები, რომელთაც მიეწერებათ წმინდა მნიშვნელობა.

ფართო გავრცელება ჰპოვა ხატწერამ ბიზანტიაში ანტიკურიდან შუასაუკუნეების ეპოქაზე გადასვლის პერიოდში, რამაც განაპირობა საზვითი ხელოვნების გარკვეული ფორმებისა და ჟანრების მოსპობა და სხვათა აღმოცენება. ბიზანტიური ხატწერის ერთ-ერთი პირველი ნიმუში „*სერგი და ვაკხი*“ (VI ს). ინახება დასავლური და აღმოსავლური კულტურის კიევის მუზეუმში.

საეკლესიო მოძღვრების თანახმად, ხატის სახე აღემატებოდა პირველსახეს. ე.ი. წარმოადგენდა ბევრი აღთქმის და სახარებისეული პირების, მოვლენებისა და გამოცხადებების არა მხატვრის მიერ პიროვნულ აღქმას, არამედ ერთგვარად აღბეჭდილ სულიერ ჭეშმარიტებას. ამიტომ მხატვარს (*ჰაგოგრაფს*) უნდა დაეცვა იკონოგრაფიის ხერხები, რაც იქნებოდა წმინდა წერილთან და ეკლესიასთან გამოსახულების მიმსგავსებაში სიმართლის გარანტი. ძველი რუსი ხატმწერები იყენებდნენ *კანონს* – სიუჟეტების მდგრად კრებულს, გამოსახულების ტიპებსა და კომპოზიციურ სქემებს, რომლებიც დამტკიცებული იყო ტრადიციითა და ეკლესიით.

ხატწერის კონსტანტინეპოლის სკოლას, რომელმაც დაამუშავა ბიზანტიური ფერწერის ზოგადი პრინციპები, მიეკუთვნება ადამიანური გრძნობების სიღრმით გამორჩეული ხატი – „*ვლადიმირის ღვთისმშობელი*“ (XII ს.), რომელიც იმყოფება ტრეტიაკოვის გალერეაში და წარმოადგენს რუსული მიწის სიმბოლოს.

დიდი რუსი ხატმწერების *ანდრეი რუბლიოვის, თეოფან გრეკის, დიონისეს, პრონორის* და სხვათა ჭმნილებები მოწმობენ, რომ ოსტატთა გენია და შემოქმედებითი ნება კანონის დაურღვეველად, წარმატებულად გადალახავდა მას.

კიევის რუსეთის უცნობი ოსტატების (XI-XIII ს) მიერ შექმნილი ხატები „*ჯაჭვიელ მთავარანგელოზი. Ангел Златые Власы*“, „*ღვთისმშობლის სასწაული*“, „*წმინდა გიორგი*“ და სხვა; ნოვგოროდის, ფსკოვის, ტვერის სკოლების ოსტატთა მიერ შექმნილი ხატები („*ილია მოციქული*“, „*ღვთისმშობლის დაბადება*“, „*გოლგოთაში ჩასვლა*“ და სხვა), *დიდი ანდრეი რუბლიოვის* ნამუშევრები („*სამება*“, „*ხარება*“, „*ფერისცვალება*“, „*პავლე მოციქული*“ და სხვა), *თეოფან გრეკის* („*დონის ღვთისმშობელი*“, „*ღვთისმშობელი*“ და სხვა), *დიონისეს* („*კვარცხლი*“, „*მიტროპოლიტი ალექსი*“, „*ღვთისმშობელი ოდიგიტრია*“ და სხვა), XVI-XVII სს. ხატები, რომელთაც დაგვირგვინეს ძველი რუსული ხატწერის შვიდსაუკუნოვანი ისტორია (*პ. ჩირინი „ნიკიტა-მუომარი“, ს. უშაკოვი „მიქაელ მთავარანგელოზი“, „სამება“*), – ესაა რუსი ხატმწერების

სულიერი და მხატვრული ძიებების ამსახველი ცოცხალი, ფასდაუდებელი მემკვიდრეობა.

რელიგია დასავლეთევროპელი მხატვრების შემოქმედებაში

რელიგიურ კულტურაში უდიდესი წვლილი შეიტანეს აღორძინების ეპოქის მხატვრებმა, რომელთა ნაწარმოებების სიუჟეტად კვლავინდებურად რჩებოდა ბიბლიური თემები. *გოტოს*, რომლის სახელთან დაკავშირებულია ფერწერაში ახალი ეპოქის დასაწყისი, ეკუთვნის ფრესკები სანტა კროჩეს ეკლესიაში, დელ არენას კაპელის ფრესკები „*საშინელი სამსჯავრო*“, „*ხარება*“, „*იუდას კოცნა*“ პადუაში და სხვა. მხატვარი წმინდანებს გამოსახავდა რეალურ ადამიანებად, ანიჭებდა რა მათ გამოძსახველობას. ერთ-ერთ ფრესკაზე მან გამოსახა ბეთლემის ვარსკვლავი კომეტის სახით (ჰალეას კომეტა ცაზე გამოჩნდა 1303 წ. – ფრესკის დამთავრებამდე ორი წლით ადრე).

აღორძინების ოქროს ხანის შედარებით მოკლე პერიოდის იტალიელი მხატვრების შემოქმედება განმსჭვალული იყო ადამიანის შემოქმედებითი ძალების, მისი უზენაესი დანიშნულების რწმენით. მხატვრები უბრუნდებიან სამოქალაქო ვალდებულებების, უზენაესი ზნეობრივი ნორმების, ადამიანის ჰარმონიული განვითარების პრობლემებს.

ლეონარდო და ვინჩის, რაფაელის, *მიქელანჯელოს* შეუქმნეს უდიდესი ნაწარმოებები, რომლებშიც რელიგიური თემების გავლით გადაწყვიტეს სიყვარულისა და სიმულვილის, ერთგულებისა და ღალატის, თავდადებისა და ანგარების მარადიული ადამიანური საკითხები. ესაა *ლეონარდო და ვინჩის* „*საიდუმლო სერობა*“, რომელიც ასახავს ქრისტეს 12 მოციქულის რეაქციას მის სიტყვებზე: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, ერთი თქვენგანი მიღალატებს მე“, *რაფაელის* „*სიწმინდის მადონა*“, სადაც გადმოცემულია ტრაგიზმი ახალგაზრდა დედისა, რომელმაც ადამიანთა ცოდვების გამოსახსნელად შესწირა შვილი – ღმერთი. ესაა *მიქელანჯელოს* „*სამყაროს შექმნა*“ და „*საშინელი სამსჯავრო*“ (სიწმინდის კაპელა ვატიკანის სასახლეში), რომლებშიც ასახულია ადამიანთა მოდგმის სიხარული და ტრაგიზმი.

შესანიშნავი ნაწარმოებები, რელიგიური კულტურის ძეგლები დაუტოვეს კაცობრიობას *ვან დეიკმა* „*წმ. პეტრეს კვარცხლი*“, „*შესვენება ეგვიპტის გზაზე*“, *იოანე ნათლისმცემელი* და *იოანე მახარობელი*“, *ალბრეხტ დიურერმა* („*მარიამი ყრმით*“, „*ოთხი მოციქული*“, „*სამებისადმი თაყვანისცემა*“, „*მოგვთა თაყვანისცემა*“);

ლუკას კრანახმა („ჯვარცმა“, „წმ. ეკატერინეს საკურთხეველი“), რემბრანტმა („გარდამოხსნა“, „ქრისტე, სნეულთა მკურნალი“, „წმინდა ოჯახი“), პაულ რუბენსმა („ჯვრის აღმართვა“, „გარდამოხსნა“, „საშინელი სამსჯავრო“).

ძირითადი ტერმინები და ცნებები

ანგლიკანობა
ანიმიზმი
ბაზილიკა
ბუდიზმი
მწუხრის ლოცვა
ჰიმნი
სადღესასწაულო მოტივი
იზოგრაფი
ხატი
ინდუიზმი
იუდაიზმი
კალვინიზმი
კანონი
პომეტიზმი
მართლმადიდებლობა
პროტესტანტიზმი
ფსალმოდია
რელიგიური ძეგლი
რელიგია
რომაული ქორალი
სინთოიზმი
კათოლიციზმი
კონდაკი
კონფუციანელობა
საკულტო არქიტექტურა
ლიტერატურულ-წერილობითი
რელიგიური ძეგლი
ლიტურგია
ლუთერანობა
მავზოლეუმი
მესა
მეჩეთი
ოფიციები
პაგოდა
სტიხები
სტუპა
ტოტემიზმი
ტროპარი
ფეტიში
ფეტიშიზმი
ქრისტიანობა

კითხვები გამეორებისათვის

1. რომელი სარწმუნოებები და რელიგიის ადრეული ფორმები არსებობდა პირველყოფილ ეპოქაში?
2. როგორ წარმოიშვა, რა როლს ასრულებდნენ და ასრულებენ რელიგიები, რომლებიც მსოფლიო რელიგიებად იწოდებიან?

3. გვიამბეთ რელიგიურ სიუჟეტებთან დაკავშირებული ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების შესახებ (თქვენი არჩევანის მიხედვით).
4. გვიამბეთ რუსეთში ქრისტიანობის ისტორიის და რუსულ კულტურაზე მისი როლის შესახებ.

თალესის გამონათქვამიდან

ყოველივე არსებულზე უძველესია — ღმერთი, რამეთუ იგი არ დაბადებულა.
ყოველივეზე მშვენიერია — სამყარო, რამეთუ იგი ღმერთის ქმნილებაა.
ყოველივეზე დიდი — სივრცეა, რამეთუ იგი მოიცავს ყოველივეს.
ყოველივეზე სწრაფი — გონებაა, რამეთუ იგი ყოველივეს შემოირბენს.
ყოველივეზე ძლიერი — გარდაუვალობაა, რამეთუ იგი ყოველისმპყრობელია.
ყოველივეზე ბრძენი — დროა, რამეთუ იგი ნათელს ჰფენს ყოველივეს.
თალეს მილეთელი (VI ს. ჩვ.წ.აღ-მდე)

თავი 17

XX საუკუნის ევროპის კულტურა



გენიალურმა ანტონიო გაუდიმ ბარსელონაში (ესპანეთი) ააგო წმიდა ქალწულისადმი მიძღვნილი გრანდიოზული შენობა კასა მილა.

XX საუკუნის დასავლური კულტურა – ფაქტობრივად არის კულტურა სამი დამოუკიდებელი ეპოქისა. ესაა: საუკუნის პირველი თორმეტი წლის „მოქათქათე ეპოქა“ („Бель эпок“), ორ მსოფლიო ომს შორის „დაკარგული თაობის“ ეპოქა და ომისშემდგომი (მეორე მსოფლიო ომის 1939-1945 შემდგომი) მშვიდობიანი ორმოცდაათწლიანი ეპოქა.

ეს არის უდიდესი ფილოსოფიური, ლიტერატურული, ფერწერული, მუსიკალური, არქიტექტურული და კინოხელოვნების შედევრების შექმნელი კულტურა, რომელიც აღინიშნა მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში უმნიშვნელოვანესი მიღწევებით. ამავე დროს ესაა ძლიერი *ანტიკულტურის* შემქმნელი ეპოქა, რომელმაც მოახდინა ისტორიის მითოლოგიზირება და მილიონობით ადამიანს აიძულებდა ათწლეულების განმავლობაში ეცხოვრა მითიურ წარმოსახვათა პირობებში.

ყოფა-ცხოვრების ფორმების სირთულე და დაპირისპირებულობა მოითხოვდა კულტურის ფორმათა რთულ ინტეგრაციას. ამ ფორმათა შორის პირველ და განსაკუთრებულ ადგილზე დადგა ფილოსოფია.

XX საუკუნის დასავლური ფილოსოფია

უდიდესი ევროპელი ფილოსოფოსი, იტალიელი მოაზროვნე *ბ. კროჩე* (1866-1952), რომელიც კულტურას მიიჩნევდა რა „ადამიანის სინათლისაკენ მიმავალ უწყვეტ გზად“ და ხატავდა, რომ ეს გზა სავსეა წინააღმდეგობებით, ფილოსოფიის მისიას ჭვრეტდა „წყვდიადის, ნისლის, დაბნეულობის“ გაფანტვაში, ნათელი განსჯისა და შესაბამისი ქმედების გზის პოვნაში, აღნიშნავდა, რომ ამ მოსაზრებით ფილოსოფოსი არის ის, ვინც წარმატებულად გადალახავს... რთულ ბარიერებს და გზას უკვალავს სხვებს“. „კულტურა და მორალური ცხოვრება კი, მათი ძალისხმევის წყალობით მოიპოვებს შეტ სტაბილურობას, გაიზრდება უფრო საიმედოდ და ინტენსიურად.“

ფილოსოფიისა და ფილოსოფოსების მიერ აღნიშნული მისია მიიღწევა იმის წყალობით, რომ ფილოსოფია სულ უფრო მეტად მოიპოვებს ხელოვნების სტატუსს, რომელიც აანალიზებს ადამიანის არსებობის პრობლემებს და ახდენს თანამედროვე კულტურის სიმბოლოთა ინტერპრეტირებას. XX ს. დასავლურ ფილოსოფიაში ისეთი მიმართულებების არსებობის პირობებში, როგორიცაა *ნეოპოზიტივიზმი* მისი სხვადასხვა ფორმით, *ფენომენოლოგია*, *ჰერმენევტიკა*, *სტრუქტურალიზმი* და *პოსტსტრუქტურალიზმი*, XX ს. ევროპელ ფილოსოფოსთა უმეტესობა, როგორიცაა *ა. ბერგსონი*,

ორტეგა – და – გასეტი, ჟ.პ. სარტრი, ა. კამიუ, მ. მერლო-პონტი, ჟ. მარიტენი თავიანთ ნაწარმოებებში ფილოსოფიურ პრობლემებს ანალიზებდნენ, როგორც კულტურის პრობლემებს, არსებითად, ცვლიდნენ ონტოლოგიურ პრობლემატიკას აქსიოლოგიური და კულტუროლოგიური პრობლემატიკით, რის გამოც ცვლილებებს განიცდის მათი კატეგორიული აპარატიც. ფილოსოფია პირდაპირი გაგებით ხდება რეზიუმე თანამედროვე კულტურისა, რომელშაც ადამიანური პრობლემები პირდაპირ კავშირში მოიყვანა მის ყოველდღიურ ყოფასთან და ყოფით ცნობიერებასთან და თუ წინა საუკუნეთა ფილოსოფოსთათვის ტიპიური იყო ფილოსოფიური საქმიანობის შეთავსება მეცნიერის საქმიანობასთან (*დეკარტი, ლეიბნიცი*), XX ს. ფილოსოფოსი იმავდროულად არის ცნობილი მწერალი (*სარტი, კამიუ*), ანდა მისი ფილოსოფიური კონცეფცია სტიმულს იძლევა ლიტერატურული მხატვრული ნაწარმოებების შესაქმნელად (*ანრი ბერგსონი – მარსელ პრუსტი*).

ს.ა. ბერგსონთანაა (1859-1941) დაკავშირებული არა მარტო მ.პრუსტის, არამედ შ. პეგის (1873-1914) – შესანიშნავი ფრანგი პოეტის („*მისტერიები ჟან დარკზე*", „*ევა*") შემოქმედება, რომელიც ერთ-ერთი პირველი იყო პირველ მსოფლიო ომში დაღუპულ ჯარისკაცთაგან. ბერგსონის ფილოსოფიის გავლენა განიცადა დიდმა ინგლისელმა დრამატურგმა ბ. შოუმ.

თავის ერთ-ერთ ძირითად ნაწარმოებში – „*შემოქმედებითი ევოლუცია*" – ბერგსონი შეეცადა დაემტკიცებინა, რომ ყოველგვარი ევოლუციის სტიმულია ცხოვრებისეული აღტყინება, ხოლო დრო („ხანგრძლივობა") – გამოცდილების გაგრძელება.

ბერგსონმა ფილოსოფიურ აზრში შეიტანა ახალი იდეები და ცნებები და თანამედროვე ფილოსოფია უბრალოდ უაზრობაა ისეთი ბერგსონისეული ცნებების გარეშე, როგორიცაა „*ხანგრძლივობა*", „*ცხოვრებისეული აღტყინება*", „*შემოქმედებითი ინტუიცია*", „*ღია საზოგადოება*", „*ცნობიერების ნაკადი*" და სხვა.

მაგრამ ახალ საინტერესო იდეებთან ერთად, თავისი დროის აზრსა და ლიტერატურაზე ბერგსონმა გავლენა იქონია თავისი სტილის შეუდარებელი ბრწყინვალებითაც. 20-იან წლებში მის საჯარო ლექციებზე პარიზში თავს იყრიდა ხალხის დიდი მასები და პარლამენტში სერიოზულად განიხილებოდა საკითხი პარიზის ოპერის შენობაში მისი გადატანის შესახებ, რამეთუ ხალხმრავლობის გამო რამდენიმე საათით არ გადაკეტილიყო ქუჩის მოძრაობა. 1927 წ. ბერგსონს მისი ფილოსოფიური შრომების გამო მიენიჭა ნობელის

პრემია როგორც „ბრწყინვალე სტილისტს" – ისტორიის მანძილზე ერთადერთი პრემია ფილოსოფიაში. შემდგომში სარტრსა და კამიუს ნობელის პრემია მიენიჭათ მათი მხატვრული ლიტერატურული ნაწარმოებებისათვის.

„ცხოვრების ფილოსოფიის" მეორე დიდი წარმომადგენელია – ესპანელი კულტუროლოგი *ორტეგა-და-გასეტი* (1883-1955). იგი თავის ბევრ შრომაში წერდა კრიზისზე, რომელიც განიცადა კულტურამ XX საუკუნეში. ასეთი კრიზისის მიზეზებზე მიუთითებდა შრომაში „*ბელოვნების დეჰუმანიზაცია*", უკავშირებდა რა მას მასების მტრულ დამოკიდებულებას XIX ს ბოლოსა და XX ს. დასაწყისში ალმოცენებული *მოდერნიზმისადმი*. მოდერნიზმის ხელოვნება, თვლის გასეტი, გაუგებარია მასებისთვის, რამდენადაც ეს არ არის ხელოვნება ყველასათვის, როგორც, მაგალითად, რომანტიზმი. ის მიმართულია განსაკუთრებით ნიჭიერი და განათლებული უმცირესობისადმი, „აქედან კი ჩნდება – გალიზიანება მასებში".

ორტეგა-და-გასეტმა თავის შრომებში დააყენა თანამედროვე კულტურის მნიშვნელოვანი წინააღმდეგობის პრობლემა. *ელიტა მასობრივ და ელიტარულ კულტურათა შორის წინააღმდეგობის პრობლემა.* მან აჩვენა კულტურისათვის „მასების ამბოხის" საშიშროება როგორც ტოტალიტარიზმის, ისე დემოკრატიის პირობებში, როცა მხოლოდ გრძნობადი კმაყოფილებისა და განცხრომისაკენ სწრაფვით განმსჭვალული, მასებისათვის მიუწვდომელი ელიტარული კულტურისადმი მტრული, მასობრივი კულტურა თვითდაჯერებული და აგრესიული, სულ უფრო მეტად ვრცელდება. საბაზრო კანონებით არსებული, მაქსიმალურად ფართო გასაღებაზე და შესაძლებელია ბრძოლის მარტივ მოთხოვნილებებსა და გემოვნებაზე ორიენტირებული ასეთი კულტურა გასართობია, ხელმისაწვდომი და ადვილად აღქმადი, მოკლებულია უნიკალურობას. მასობრივ კულტურას აქვს მოქმედების ფართო არეალი: პოპმუსიკა, როკი, რეკლამა, ეროტიკული და კრიმინოლოგიური კინემატოგრაფია, ეროტიკული და დეტექტური ლიტერატურა, საგაზეთო და საჟურნალო სენსაციები, ყოველისშემძლე მისტიკა და ოკულტიზმი, ასტროლოგია, სოციალური უტოპიები.

მასობრივი კულტურის გავრცელების ფაქტისა და მისი საზოგადოებისათვის საშიში შედეგის კონსტატირებას ახდენს მეორე ევროპელი კულტუროლოგი – ა. შვეიცერი (1875-1965), რომელიც ამ მოვლენას აფასებს, როგორც კულტურის კრიზისის გამოვლენას და მას ხსნის სულიერ მზარესთან შედარებით ცხოვრების მატერიალური მხარის უპირატესი განვითარებით. მეცნიერებისა და ტექნიკის

განვითარებასთან ერთად ადამიანის არსებობის მატერიალური უზრუნველყოფის ადრე მოუაზრებელი პერსპექტივების აღმოჩენამ გამოიწვია ყურადღების მიპყრობა სულიერი საწყისის მნიშვნელობისადმი. ხოლო

> – კულტურა, – აღნიშნავს შვეიცერი, – რომელიც ავითარებს მხოლოდ მატერიალურ მხარეს სულიერის შესაბამისი პროგრესის გარეშე, ემსგავსება ხომალდს, რომელიც საჭის მართვას მოკლებული, კარგავს მანევრირებას და შეუჩერებლად მიექანება კატასტროფისკენ.

გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ XX საუკუნის ყველაზე გავლენიანი ფილოსოფიური მიმართულება გახდა *ეგზისტენციალიზმი*. ეს ფილოსოფია დაიბადა ევროპაში ორ მსოფლიო ომს შორის შუალედში, როგორც ორიენტირების ცდა გაიმარის რესპუბლიკის (რესპუბლიკა გერმანიაში 1919-1933) ადამიანებისა, რომლებიც არსებული ღირებულებებისა და წესების მიმართ ეჭვით იყვნენ შეპყრობილნი. მისი პირველი თეორეტიკოსი იყო *მ. ჰაიდეგერი* (1889-1976), რომელმაც თავის შრომაში „*ყოფა და ცხოვრება*“ დააყენა სუბიექტივიზმის და ამ უცხო სამყაროში ადამიანის ეულობის, მარტოობის პრობლემა.

ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდგომ რომანებში, ესეებში, დრამებში, კინოსცენარებსა და საესტრადო სიმღერებშიც კი შეიჭრა საკმაოდ აბსტრაქტული *მეტაფიზიკა*, მორალითა და ფსიქოლოგიით განზავებული, სპეციალურ მომზადებას მოკლებული მკითხველისათვის ძნელად ხელმისაწვდომი. ეს მეტაფიზიკა ვრცელდებოდა ან პროფესიონალი ფილოსოფოსების მიერ, რომლებიც იყვნენ ამავდროულად ტალანტური მწერლები, როგორიცაა *ჟ. პ. სარტრი, გ. ო. მარსელი, ე. შუნიე, სიმონა დე ბოვუარი, გ. გაშლარი, შერლო ჰონტი*, ანდა ლიტერატურის მოღვაწეების, მწერლების მიერ, როგორიც იყვნენ *ა. მალრო* და *ა. კამიუ*, რომელთა ნაწარმოებებმა მიიღეს ფილოსოფიურ ღირებულებათა ხასიათი მათში განხილული პრობლემების მნიშვნელობის გამო, იმ მიზეზით, თუ რაოდენ სერიოზულობით წერდნენ ისინი ხელოვნების ნაწარმოების წარუვალ ხასიათზე, ადამიანთა და სამყაროს, სიცოცხლესა და სიკვდილს, ბედნიერებასა და მწუხარებას შორის ურთიერთობაზე. ნაწარმოებებში წარმოდგენილი თვით ყველაზე საშინელი სინამდვილის სურათებიდან, როგორიცაა ომი, წამება, საკონცენტრაციო ბანაკები, ყალიბდებოდა წარმოდგენა ყოფიერების თანამედროვე ზღვრულ საფუძვლებზე, თანამედროვე მეტაფიზიკაზე და ყველას ახსენებდა „ბოროტების მოუშორებელი თანაარსებობის“ შესახებ.

სამყაროში არსებული ბოროტებისაგან თითოეული ადამიანის დაცვისადმი სწრაფვა აიძულებდა ფილოსოფოს-ეგზისტენციალისტებს არ უგულვებელყოთ ნებისმიერი ჟანრი, როგორც იდეის გამოხატვის საშუალება: რომანი, დრამა, კრიტიკული ესსე, ჟურნალისტური პრაქტიკა – ყველაფერი მისაღებად ითვლებოდა.

ამ მხრივ სამაგალითოა სარტრის თხზულებები, რომლებიც იძლევიან XX საუკუნის ფილოსოფიის სახეს და გამოხატავენ მის სინამდვილეს, ისევე, როგორც ვოლტერის ნაწარმოებები გვაცნობენ XVIII საუკუნის ცხოვრების მრავალრიცხოვან ასპექტებს.

XX საუკუნის ევროპული ლიტერატურა

საუკუნის დასაწყისში ევროპაში მოღვაწეობდა გამოჩენილ მწერალთა დიდი პლეადა, რომელმაც დიდი გავლენა იქონია საუკუნის მთელი ლიტერატურის განვითარებაზე. საფრანგეთში – ესაა *ა. ფრანსი* (1844-1924), *რ. როლანი* (1866-1944), *პ. კლოდელი* (1868-1955), *შ. პეგი* (1874-1914); ინგლისში – *დ. კონრადი* (1857-1924), *კონან დოილი* (1859-1930), *ე. გოინიჩი* (1864-1960), *ბ. შოუ* (1856-1950), *ჰ. უელსი* (1866-1946), *ჯ. გოლსუორთი* (1867-1933), *ჯ. ჯოისი* (1882-1941); გერმანიაში – *თ. მანი* (1875-1955), *ჰ. მანი* (1871-1950), *რ.მ. რილკე* (1875-1926); იტალიაში – *ლ. პირანდელო* (1867-1936), *გ.დ. ანუნციო* (1863-1938), *დ. კარდუჩი* (1835-1907), *ჯუ ამიჩისი* (1846-1908). მათგან უმრავლესობა შემდგომში გახდა ნობელის პრემიის ლაურეატი, ხოლო რამდენადაც თავიანთი შემოქმედებითი საქმიანობა დაიწყეს ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, XX საუკუნის დასაწყისის ლიტერატურაში რადიკალურ ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია, რეალისტური და რომანტიკული ნაწარმოებების გვერდით არსებობდა *მოდერნის* სტილი. და მაინც, სწორედ მოდერნის სტილში იყო შექმნილი ისეთი ნიშანდობლივი ნაწარმოებები, როგორიცაა *მ. პრუსტის* 14 ტომეული ნაშრომი „*დაკარგული დროის ძებნაში*“ და *ჯ. ჯოისის* რომანი „*ულისე*“, რომელმაც იტალიელი მწერლის ა. მორავიას სიტყვებით, *ჰ. ჰაკსლის* პირველი ნახატებისა და *ი. სტრავინსკის* ბალეტის „*პეტრუშკას*“ მსგავსად „გააღო კარი“ XX საუკუნის კულტურაში.

პრუსტის რომანს საფუძვლად დაედო ა. ბერგსონის ფილოსოფიურ კონცეფციაში ფორმულირებული „ადამიანური არსების მამოძრავებელი რეალობის“ იდეა. შრომა, რომელიც წარმოადგენს რომანების ციკლს, არის ასახვა გმირის ბავშვობის მოგონებებისა, რომლებიც ამოტივტივდა ქვეცნობიერიდან, ბერგსონის განმარტებით,

„*აცნობიერების ნაკადის*“ ფორმით. ნაწარმოების მეორე ნაწილისათვის მწერალმა 1919 წ. მიიღო საფრანგეთში ლიტერატურის დარგში ყველაზე პრესტიჟული — *გონკურის პრემია.*

XX ს. ლიტერატურის მეორე შედევრია — რომანი „*ულისე*“ — ეს არის გმირის — უბრალო დუბლინელი მოქალაქის ცხოვრების ერთი დღის აღწერა, რომელშიც ავტორმა წარმოსახა ოდისევსის უძველესი მითის მთელი რიგი მოვლენები. მწერალმა გააანალიზა ადამიანის ყველა მახასიათებელი — სულიერი, ფსიქიკური, პათოლოგიური და სექსუალურიც კი და შექმნა XX საუკუნის ევროპული კულტურის ადამიანის სიღრმისეული სურათი.

ჟანრისა და სტილის მიუხედავად, XX საუკუნის ლიტერატურაში ადამიანი და მისი სამყარო რჩებოდა ნაწარმოებთა მთავარ საგნად, მაგრამ პირველი მსოფლიო შემდეგ ევროპაში სოციოკულტურული ვითარება რადიკალურად შეიცვალა: დაირღვა ტრადიციული წარმოდგენები ჰუმანიზმზე, ადამიანზე, სიკეთესა და ბოროტებაზე. შეირყა გონიერების რწმენა და სამყაროს გონიერი ონტოლოგიური საფუძვლები, დაიწყო ფასეულობათა გლობალური გადაფასება. იგი გაიშალა ორი დიამეტრულად დაპირისპირებული მიმართულებით:

1. რაციონალიზმის, ინტელექტუალიზმის, კლასიციზმის, რწმენისა და გონიერების უარყოფა, რასაც ხაზს უსვამდნენ თავიანთ ნაწარმოებებში გერმანელი რომანტიკოსები *ე.თ. არნდი* და *ჰიორვი*, რომლებთანაც გონიერების მნიშვნელობა დაკნინებული იყო ნაციონალური გრძნობების წინაშე, აგრეთვე ისტორიკოსები *ი.ჰ. შიულერი, ი.ი. ბაჰოფენი*, რომლებმაც წარმოაჩინეს ინსტინქტების აღმატებულობა ადამიანურ ცნობიერებაზე და რომელთა იდეებიც საფუძვლად დაედო ნაცისტურ ტოტალიტარიზმს.

2. ახალი ჰუმანიზმის ფორმირება, რომლის მაგალითია *თ. მანის* შემოქმედება. საოჯახო ეპოპეის „*ბუდენბროკების*“ ავტორი (ნობელის პრემია, 1929) თ. მანი ნათლად ხედავდა, თუ რა საშიშროებას წარმოადგენს კაცობრიობისთვის XX საუკუნის რეაქციული მითიური შემოქმედება, რომელსაც ძალუძს ადამიანურ ყოფაში ცივილიზაციური საწყისის მოსპობა და მმართველი ელიტის ბატონობის სისხლისმიერი დამყარება.

1933-1942 წ.წ. ის ქმნის ტეტრალოგიას „*იოსები და ძმანი მისნი*“, რომლის ლეიტმოტივს შეადგენს ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბება, გააზრება იმისა, თუ რომელი საწყისი ბატონობს ადამიანში — კეთილი თუ ბოროტი. მითის ჰუმანიზაციამ („*იოსები და ძმანი მისნი*“ — არის რომანი მითი, მოქმედება მიმდინარეობს ეგვიპტეში ჩვ.წ.აღ-მდე XIV საუკუნეში) თ. მანი მიიყვანა რეაქციული მითოლოგიური შემოქმედების ძირითადი პრინციპების მსხვრევამდე. გონიერება წინ უსწრებს სინამდვილეს, ასეთია რომანის პათოსი, რომლის უარყოფას, სინამდვილის რეციდივების დაყენებას გონიერების წინ, რაც მის მიერ დაძლეულია ათასწლეულების წინ, — თან მოჰყვა აურაცხელი უბედურება და მწუხარება.

XX საუკუნის რომანის გავრცელებული ფორმა გახდა რომანი, რომელიც *ფ. მარიაკის* მიერ განსაზღვრულია როგორც *რომან-მდინარე*. ამ ჟანრს განეკუთვნება *თ. მანის* („*ბუდენბროკები*“), *რ. როლანის* („*ჯან-კრისტოფი*“), *ჯ. გალსუორთის* („*ფორსაიტების საგა*“), *მ.მ. ჰარის* (1881-1958, „*ტიბოს ოჯახი*“), *ჟ. დიუამელის* (1884-1966, „*სალავენის ცხოვრება და თავგადასავალი*“ და „*პასკუს ოჯახის ქრონიკა*“), *ჟ. რომენის* (1885-1972, „*კეთილი ნების ადამიანები*“) ნაწარმოებები.

ამ შესანიშნავ ნაწარმოებებზე დაყრდნობით გაცილებით სრული წარმოდგენა გვექმნება XX საუკუნის ევროპული ქვეყნების ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებზე, ვიდრე შესაბამის თემებზე სამეცნიერო ტრაქტატების საშუალებით.

ჟულ რომენის ნაწარმოებები მოწმობენ მისი აზრის ლოგიკურ თანმიმდევრულობასა და ნიჭის განსაკუთრებულ მრავალფეროვნებას. რომენი ავტორია *უნანიმიზმის* კონცეფციისა, რომელიც მაახლოებით ითარგმნება რუსულ ენაზე როგორც „*ერთსულოვნება*“. მისი კონცეფციის თანახმად, „*ბუნებრივი და სპონტანური ჰარმონია*“ ჩნდება იმ ადამიანთა ჯგუფში, რომლებიც საერთო განცდით არიან შეპყრობილნი. ამ კოლექტიური სულით აღმოცენებული გრძნობებითაა შთაგონებული თითოეული ინდივიდი, ჯგუფის წევრი, და ორიენტირებულია მათი ქცევა.

პოეტის, დრამატურგის, რომენის სატირული ფარსის მოლიერისეული ტრადიციების გამავრძელებელია *რომანი მდინარე „კეთილი ნების ადამიანები“*, რომელშიც აღწერილია ფრანგული საზოგადოების ცხოვრება საუკუნის პირველი მეოთხედის განმავლობაში. თავისი უნანიმიზმის შესაბამისად რომენი ამ საზოგადოებას წარმოადგენს, როგორც „ფართო ადამიანურ ანსამბლს განსხვავებული ინდივიდუალური ბუდით“.

მისი ნაწარმოების თითოეული ტომი (12 ტომია) ბუნებრივად ორგანიზდება გარკვეული „ხარისხობრივი“ ატმოსფეროს ირგვლივ, სადაც მონაწილეობენ „თავიანთი საკუთარი გზით მიმავალი“ ინდივიდები და „დიდი დროის განმავლობაში ვერ აშენებენ ერთმანეთს“. თითოეული თავის სიმაღლეზეა თავისი ტემპერამენტის შესაბამისად.

ფორმათა ფლობის სრულყოფილებით, თითოეული ტომის საფუძველად მდებარე ტონალობის წვალობით და შესაბამისად მის მიერ შექმნილი ატმოსფეროთი ქართულ რომანი ხაზს უსვამს ამ ბუნებრივ ერთიანობას.

ის გვიჩვენებს, რომ დიდი მწერლისთვის არ არსებობს პატარა სიუჟეტები. ეს ჩანს ნაწყვეტიდან, სადაც იგი აღწერს მაკარის ძაღლის გასეირნებასა და „საზრუნავს“, რომელმაც გადაწყვიტა პატრონის ნებართვის გარეშე პარიზის ქუჩებში გასეირნება. ფაქიზი იუმორი, ელემენტარული ფსიქოლოგიის შეხსენება, ძაღლის შთაბეჭდილებების ირგვლივ ორგანიზებული გარე სამყაროსადმი, მკითხველისათვის უჩვეულო აღქმასთან ერთად საუხებით შეგრძნობადსა და მისაღებს ხდის უნანიშნიზმის რომენისეულ პოზიციას.

ფაშიზმმა მძიმე წნეხით გადაუარა XX ს. ევროპას და მრავალმა ევროპელმა მწერალმა მოქმედ არმიაში, პარტიზანულ რაზმებში და წინააღმდეგობის მოძრაობაში შეიძინა მასთან ბრძოლის გამოცდილება. ასეთი გამოცდილება შეიძინა ა. კამიუმაც, რომელიც იბრძოდა წინააღმდეგობის მოძრაობაში. მწერალ, მსახიობ, დრამატურგ, ჟურნალისტ კამიუს სძულდა ფაშიზმი და მოუწოდებდა ადამიანებს მასთან მიმართებაში სიფრთხილისაკენ. თავისი მოსაზრებები მან გადმოსცა რომანში „შავი ჭირი“, სადაც ხაზგასმით მიუთითებს, რომ ფაშიზმი – არის სენი, რომელსაც განუწყვეტლივ უნდა ებრძოლო.

XX ს. დასავლეთევროპული ხელოვნერბის ახალი მიმართულებები

XX საუკუნე ევროპაში დაიწყო „მოქათქათე ეპოქის“ („Belle Epoque“) სახელწოდების მქონე კულტურის აყვავების ბრწყინვალე მეთორმეტე წლისთავით. ინტელექტუალური და მხატვრული შემოქმედება, ცოცხალი და ბრწყინვალე, ვითარდებოდა სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის იმ წარმატებებით გამოწვეული საერთო ეიფორიის შესაბამისად, როგორიც იყო: კინემატოგრაფის პირველი წარმატებები, ავიატორების პირველი გაფრენები, 1900 წ. პარიზის მსოფლიო გამოფენა. ამ პერიოდში XIX საუკუნის ფერწერის ფრანგული სკოლის დიდებით მოსილი მთელი მსოფლიოს მხატვრები იკრიბებიან პარიზში, რომელიც მოწმე ხდება ხელოვნებაში ახალ მიმართულებათა დაბადებისა.

ესაა ნაბიზმი, რომლის წარმომადგენლები არიან პ. ბონარი, მ. დენი, ჟ. ვიალარი, პ. სერიუზე და სხვები, რომლებიც 1888 წ. გაერთიანდნენ წრეში როდესაც არც ერთი მათგანი ჯერ კიდევ 20 წლისაც არ იყო, მიზნად დაისახეს გამხდარიყვნენ ხელოვნების საკითხებში

წინასწარმეტყველები. აქედანაა სახელწოდება ნაბიზმი, რაც ებრაულად „წინასწარმეტყველს“ ნიშნავს. ამ მიმართულების დამფუძნებლად ითვლება სერიუზე. დენისთან ერთად იგი იყო საზოგადოების თეორეტიკოსი და დაწერა მცირე დამხმარე სახელმძღვანელო სათაურით: „ფერწერის ABC“. ხაზს უსვამს რა ნატურის უპირველეს როლს, სერიუზე აქვე საუბრობს მხატვრის ორგანიზატორულ როლზე, რომელსაც შეაქვს ნახატში პროპორციები, პირველ, ყველაზე მარტივ რიცხვებზე, მათ წარმოებულებზე, კვადრატებზე. ცხადია, ნაბისტების დოქტრინაში ადგილი აქვს ძალიან რთულ სიმბოლიზმს, რომელიც დაკავშირებულია როგორც ფილოსოფიურ, ისე თეოსოფიურ დოქტრინებთან. ნაბისტებთან რიცხვი სამი აღნიშნავს ღმერთს, შემოქმედს, რიცხვი ოთხი – „მატერიის წონასწორობას“, რიცხვი შვიდი – სამი პლიუს ოთხი – „გამოხატავს შემოქმედისა და ქმნილების ერთიანობას. ივი სტერილურია, რადგან წარმოადგენს განხორციელებული ქმნილების რიცხვს“. ნაბისტების სახელმძღვანელოდან მოყვანილი ციტატა გვაგონებს ანტიკური დროის პითაგორელთა კავშირს, რომელთანაც ასევე არსებობდა რიცხვების მისტიკა.

ამავე დროს ნაბიზმის ფილოსოფიაში ჩადებული იყო ღრმა აზრი: საზოგადოებაში გაბატონებული დაპირისპირების: მათემატიკის – ხელოვნებასთან, მსგავსად, რელიგიის – მეცნიერებასთან, დაპირისპირების, გადალახვის მცდელობა. ეს იყო, როგორც თვით ნაბისტები მიუთითებდნენ, ხელოვნების კოსმოსთან დაკავშირების მცდელობა მასში (ხელოვნებაში) მათემატიკური პროპორციების შეყვანის გზით.

ნაბიზმი ფაქტობრივად გახდა დამაკავშირებელი რგოლი ავანგარდის ახალი ხელოვნებისა XIX საუკუნის კულტურის სიმბოლიზმთან.

საუკუნის მეორე მიმართულება იყო ფოვიზმი. რამდენიმე ახალგაზრდა მხატვრის – ა. მატისი, რ. დიუფი და სხვები – ფერწერამ ეს სახელწოდება მიიღო კრიტიკოს ლუკა ვოკსელისგან მათი ნამუშევრების 1905 წ. პარიზული გამოფენის შემდეგ იმ ემოციური ძალისა და სტიქიური დინამიკის გამო, რითაც გამოირჩეოდა ამ მხატვართა ნამუშევრები.

მთელ ჯგუფში (ვლამინკი, ჟ. რუო, ვან დონგენი, ა. მარკე, ა. მატისი, რ. დიუფი და სხვები), ყველაზე ტალანტური აღმოჩნდა ანრი მატისი (1859-1954), რომელმაც პიკასოსთან ერთად განასახიერა XX საუკუნის ევროპული ფერწერა. ძნელია, რამდენიმე სიტყვით დაახასიათო ისეთი სიმდიდრე, როგორიცაა ა. მატისის შემოქმედება.

მთავარი, რასაც მატისში სპეციალისტები ხედავენ — ესაა მისი მუდმივი ნება და განახლება და მისი „უკადრისური ხელის სიმსუბუქე“. ამასთან ერთად, არაერთხელ აღინიშნა, რომ ერთი შეხედვით მის თავად ყველაზე „მსუბუქ“ ნამუშევრებსაც ყოველთვის წინ უძღვოდა მრავალრიცხოვანი მოსამზადებელი ეტიუდები. ამბობენ, რომ მატისს არა აქვს „სიუჟეტური თხრობა“, მაგრამ თითოეულთან — თავისებურია. დიახ, მატისი მივიდა ბრტყელ ფორმებამდე, მაგრამ მან აღმოაჩინა შუქის არარსებული, უხილავი კონცენტრაცია, ნათელი და მკლერი და ამის წყალობით შექმნა თავისი პოეტიკა, თავისი პოეტური სამყარო. მისი ტექნიკური და სტილისტური ძიებები, რაც მისი შემოქმედების კიდევ ერთი თავისებურებაა და ყოველთვის იყო პოეტიკის სამსახურში. მხატვარი აღფრთოვანებულია წარმტაცი აქსესუარებით, მცენარეებით, ყვავილებით, ფრინველებით, მან შექმნა ბედნიერი, დაძაბულობის გამქარვებელი ჰუმანიზმი — თანამედროვე ფერწერაში გამონაკლისი მოვლენა, რასაც ვერ ვხედავთ რუოს ტრაგიზმში, პიკასოს ღვზნებულ დაძაბულობაში, კანდინის ლირიზმში. საკმარისია შევადაროთ ნაბისტების მშვენიერი ნახატები (დენის „*მუზები*“, „*საუზმე პულდში*“), ბონარის „ვესტალი“ (ჭურჭლი ქალი) კოსმიური ასოციაციების გამომწვევ განზრახ მკრთალ ფერებს, მატისის დამაბრმავებელ ნატურმორტებს, რათა ჩავწვდეთ არაგონის აზრის სიმართლეს, რომელიც წერდა, რომ ასეთი მხატვრები „ღია ფანჯარაა ცხოვრების წყვდიადში, მისი საშუალებით ახალგაზრდა ადამიანებს წარმოდგენა ექმნებათ მზეზე“.

საუკუნის დასაწყისში ფერწერის კიდევ ერთმა მიმართულებამ გამოიწვია დიდი ინტერესი — ესაა კუბიზმი, რომლის პირველი მხატვრები იყვნენ *ჟ. ბრაკი* და *პ. პიკასო* (1881-1973), *ფ. ლეჟე* (1881-1955) — მათ ტილოებზე ჩნდება კუბები, ცილინდრები, კონუსები, როგორც ფერწერის გაღრმავების ცდა. ფოტოგრაფიის განვითარებასთან ერთად მხატვრები თავიანთ ნახატებში უარს აცხადებენ სინამდვილის დეტალურ ასახვაზე და ამიერიდან თავიანთ ამოცანად მიიჩნევენ თავიანთი ტილოებით არა სინამდვილის, არამედ თვით ფერწერის, კულტურის პრობლემების წამოყენებას, რაც ამა თუ იმ მიზეზით ჩიხში ექცეოდა, კრიზისს განიცდიდა. კუბისტები ფერწერის სიღრმისეულ შინაარსს იდეებში ხედავდნენ. ისინი მათ მიერ გაგებული იყო როგორც მხატვრის ცნობიერებაში არსებული რეალობა. შეგრძნებებისგან განსხვავებით, რაზედაც ორიენტირებული იყვნენ იმპრესიონისტები, იდეები, მათი შინაარსი ირეალურია, ზოგჯერ — შეუძლებელიც. კუბიზმი არის *აბსტრაქციონიზმის* ერთ-

ერთი სახესხვაობა. იგი ნაწარმოების შინაარსს ათავისუფლებს საგნობრივი სახეებისგან და ცვლის მათ გეომეტრიული აბსტრაქციებით. კუბისტისთვის რეალურ მოვლენას წარმოადგენს აზროვნება, რომელიც მიმდინარეობს შემოქმედში ან შნახველში, თვით გამოსახული ცილინდრი კი — ირეალური საგანია — კუბისტების ნამუშევრებში სხეულებრივი ფორმები იცვლება გეომეტრიული, გამოგონილი სახეებით, რომელიც სინამდვილესთან მხოლოდ მეტაფორულადაა დაკავშირებული. სეზანიდან მოყოლებული, მხატვრები *გამოსახვას იდეებს*. ესაა XX საუკუნის ახალი ხელოვნების მნიშვნელოვანი მახასიათებელი. ნაწარმოებები ამიერიდან იქმნება არა მხოლოდ საბაზრო მოთხოვნილების, არამედ კულტურის მოთხოვნილებათა საპასუხოდ.

პიკასო ახდენს სტილიზებას, სიმბოლიზირებას, განჭვრეტას. ამიტომ დამცირებულებისა და შეურაცხყოფილებისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებში (*„აკრობატთა ოჯახი მაიჰუნით“, „ფორგლიორთა ოჯახი“, „დედა და ბავშვი“, „აქტიორი“* და სხვა), ჭრება ცხოვრების ტკივილი, რჩება ამ ტკივილის ფიგურები, ელეგანტურად განლაგებული მათ მანერულ სივრცეში. თანამედროვე ახალგაზრდა ადამიანისთვის ძალიან მნიშვნელოვანია პიკასოს შემოქმედების გაგება არა მხოლოდ იმიტომ რომ მან განსაზღვრა XX საუკუნის ევროპული ხელოვნების ხასიათი, არამედ იმიტომაც, რომ საუკუნის დასაწყისიდან პრაქტიკულად მის დასასრულამდე შვიდი ათწლეულის განმავლობაში განვითარებისას, იგი იყო მისი ფილოსოფიურ და ესთეტიკურ იდეათა კატალიზატორი, გენიალური მხატვრის რეფლექსია ამ არაჰუმანური საუკუნის ტენდენციებისა და წინააღმდეგობების საბაბით.

ევროპული ფერწერის სხვა, თავისი დროის ხმაურიანი მიმართულებები იყო დადაიზმი და სიურეალიზმი.

დადაიზმი აღმოცენდა შვეიცარიაში 1916 წ. ტერმინ „დადაიზმის“ (სიტყვისაგან დადა — ბავშვური ტიტინი) ავტორი იყო *თ. თზარა*, პირველი დადაისტები კი იყვნენ — ა. ბრეტონი, მ. დიუშანი, თვით *თ. თზარა*. პარიზში გადანაცვლებისას მათ შეუერთდნენ მხატვრები *ბ. მირო, ფ. პიკაბია* და პოეტები *ლ. არაგონი* და *პ. ელუარი*. თვით მიმდინარეობის მომხრეებს იგი მიაჩნდათ ლოგიკას მოკლებულ ქაოტურ მიმდინარეობად. დადაისტები თავიანთ ხელოვნებას თვლიდნენ სამყაროს განახლების მიზნით ქვეცნობიერების გამოთავისუფლების საშუალებად.

დადაიზმი არსებობდა 1922 წლამდე, შემდეგ კი მის ნაცვლად აღმოცენდა *სიურეალიზმი*, რომლის პრინციპები ჩამოყალიბდა ა.

ბრეტონის „სიურეალიზმის მანიფესტში“, ტერმინი კი მოიფიქრა პოეტმა *გ. აპოლინერმა*. ლიტერატურაში აღმოცენებული სიურეალიზმი შემდგომ გადავიდა ფერწერაში, თეატრსა და კინოში.

სიურეალიზმმა ყველაზე ფართო გავრცელება ჰპოვა ფერწერაში, რამდენადაც თვალსაჩინოება, დანაწევრებისა და მონტაჟის შესაძლებლობა, ურთიერთსაწინააღმდეგო საგანთა გაერთიანების მკვეთრი ეფექტურობა ანიჭებდნენ მას უპირატესობას კულტურის სხვა სახეებთან შედარებით.

„სიურეალისტებმა“ თავიანთი შემოქმედების წყაროდ აღიარეს ქვეცნიერებისა და სიზმრების სფერო. მთავარი მხატვარი — სიურეალისტები იყვნენ *ს. დალი, გ. არპი, ხ. მირო, ი. ტანგი, მ. ერნსტი*.

სიურეალიზმი — ეს არის არა მხოლოდ ხელოვნების ერთ-ერთი საზეობის შემოქმედებითი მეთოდი, არამედ — მთელი ფილოსოფია, რამაც საშუალება მისცა სიურეალიზმს საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყოფილიყო მთელი ევროპული კულტურის მეთოდოლოგია.

სიურეალიზმის მეთოდოლოგიის საფუძველია ბერგსონის ინტუიტივიზმი, ფროიდის ფსიქოანალიზი, დილტეის ჰერმენევტიკული პრინციპები. ფანტაზია, ინტუიცია, არაცნობიერი სინთეზირდება შემოქმედებით აქტში, რომელიც, თავის მხრივ, უშვებს „შეუერთებელთა შეერთებას“, „შეუსაბამობის წვეს“, „თავისუფალ ასოციაციებს“. საჭიროა სამყაროს „განახლება“, მისი პირობითი კავშირის რღვევა, რათა გონება გავაფხიზლოთ „უმაღლესი რეალურობისთვის“, ზერეალობისთვის. სკანდალი და მკრეხელობა წარმოადგენს სიურეალიზმის არსს.

მხატვარი-სიურეალისტი თავისი შემოქმედებითი აქტის ამოსავალი პუნქტის სახით ირჩევს გარეგანი სამყაროს სახეებს. და რაც უფრო მეტი რეალიზმითაა აღდგენილი ეს საგნები, მით უფრო უჩვეულო გამოჩნდება მათგან შექმნილი ნებისმიერი კომბინაციები და მით უფრო გადამწყვეტი და დამანგრეველი იქნება მხატვრის მიერ ამ გარე სამყაროსადმი მიყენებული დარტყმა. აქედან გასაგები ხდება *ს. დალის* (1904-1989) ტილოების ზედმიწევნილობა და ფოტოგრაფიული სიზუსტე, აგრეთვე შოკი, რასაც ისინი ბადებენ, და მათგან გამოწვეული გამოუვალი სევდა. სახეთა ეს კომბინაციები მხატვრებს აძლევს თავიანთი წარმოსახვის ყველა რესურსის ამოწურვის საშუალებას. მაგრამ რეალურ სახეებთან ერთად არის არაცნობიერების ირაციონალური სამყაროდან ამოცენებული სახეებიც. ესაა მიშზიდველი ფერის პრიმიტიული და რუდიმენტული ფორმები, რომელთაც *ხ. მირო*

(1893-1983) ჩაუშვებს წარმოსახვით სივრცეში; ესაა სიცოცხლის მღელვარე ჩანასახები, მოქნილი და ტალღისებური, მცურავი *ივ ტანგის* (1900-1955) ტილოთა ირეალურ რძისფერში. ესაა დადაიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის *ხ. არპის* (1887-1966) მრგვალი და მყარი რელიეფები, ესაა *ა. მასონის* (1896-1987) „ელემენტარული“, ტრაგიკული ბრძოლები, პოეტური ბოდვა გამოდის უბრალო თამაშისა და ფარსის ჩარჩოებიდან. ახალი სინათლე ანათებს ამ აპოკალიფსისებს: მკვდარ სახელოვანთა აჩრდილისებრი ანარეკლი. ესაა კოშმარის შუქი და ქმნის *მ. ერნსტის* (1891-1976) ტილოთა უჩვეულობას.

ფერწერის სხვა მიმდინარეობათაგან უნდა აღინიშნოს აბსტრაქციონიზმი და ექსპრესიონიზმი.

აბსტრაქტული ხელოვნების (*აბსტრაქციონიზმის*) წარმატებას, უცილობლად, ხელი შეუწყო ფერწერის კომერციალიზაციამ, მაგრამ არსებობდა სხვა მიზეზებიც: ცნობილი სნობიზმი, არაფიგურალური დეკორატიულობის მოთხოვნილება. აბსტრაქციონიზმი გახდა კუბისტებისა და სიურეალისტების მიერ დაწყებული ექსპერიმენტული დეშარშის დასასრული. ამ უკანასკნელებმა ბოლომდე ამოწურეს რეალობის შესწავლა, რომლის შემცვლელად გამოჩნდა ჰოლანდიელი *პ. მონდრიანის* (1872-1944) ნახაზები. ესაა ერთ-ერთი პირველი აბსტრაქციონისტი, რომელიც თვლიდა, რომ წმინდა გეომეტრიული ფიგურებია სწორედ ჭეშმარიტი მშვენიერება.

რეალური ფორმისგან გათავისუფლების რამდენადმე განსხვავებულ გაგებას ვხვდებით რუსი მხატვრის *ვ. კანდინსკის* (1866-1944) შემოქმედებაში, რომელმაც 1910 წ. შექმნა პირველი აბსტრაქტული აკვარელი. ეს იყო სიუჟეტისგან, გარე სამყაროს ყველა შემთხვევითობისგან, ზოგადად ყველა შინაგანი რიტმის ფერადოვანი და მუსიკალური გამოსახვა და როგორც მწერლები წერდნენ ამ სურათის შესახებ, „ფარული კოსმოსის აუწერელი გზავნილი“. აბსტრაქციონიზმის ფერწერას სპეციალისტები უწოდებენ „მეტაფიზიკურს“, „პიუწვდომელს“.

დროთა განმავლობაში აბსტრაქტული ხელოვნება გადაიქცა უნივერსალურ ენად. ზოგიერთისთვის კი იგი გახდა სპონტანური ინსტინქტური ყუსტების გაგრძელება, რამაც ისეთი აბსტრაქციონისტები, როგორიცაა *ჰართუნგი* და *მატიე*, მიიყვანა ფერწერაში თავისებური კალიგრაფიული სიმბოლოების შექმნამდე. სხვათაშორის ეს აღმოჩნდა სულიერი ცდა, რომლის გამო წარმოიქმნა ჩიხი. ამასთან

მიმართულებაში სამაგალითოა 1955 წელს აბსტრაქციონისტ *ნ. დე სტალის* თვითმკვლელობა, რომლის ნაწარმოებები გამოხატავდნენ სამყაროში არსებობით გამოწვეულ შემზარავ დაურწმუნებლობას, აყენებდნენ საკითხებს, რომლებზედაც არ არსებობს პასუხი, წარმოადგენენ რეფლექსიას შემაშფოთებელზე, სულის შემძვრელზე და საბოლოო ჯამში, გამანადგურებელზე.

აბსტრაქციონიზმი იყო ფერწერის ხერხებით ეგზისტენციალიზმის ფილოსოფიის იდეების გამოხატვის თავისებური ცდა.

აბსტრაქციონიზმთან ახლო პოზიცია ეჭირათ *ექსპრესიონიზმის* მომხრეებს, ეს არის XX საუკუნის პირველი ათწლეულის ევროპული ფერწერის უდიდესი მიმდინარეობა. მსოფლმხედველობითი და მხატვრული პროგრამის განუსაზღვრულობამ განაპირობა ექსპრესიონიზმის თავისებური პლურალიზმი. მისთვის დამახასიათებელი ემოციური სიმძაფრე გამოვლინდა ისეთი დიდი ფრანგი ექსპრესიონისტების შემოქმედებაში, როგორიცაა *ჟ. რუო, მ. გრომერი, ა. მარშანი, ბ. ბიუფე*. ევროპულ ფერწერაში მოდერნიზმის ზოგიერთი სხვა მიმდინარეობის მსგავსად, პირველი მსოფლიო ომის შედეგების საფუძველზე აღმოცენებულმა ექსპრესიონიზმმა მსოფლიოს დაანახა მისი ულმობლობა. მრავალი მხატვარი თავის ნამუშევრებში გამოხატავდა შეძრწუნებას, რასაც ომი ბადებდა მათ გულში.

ექსპრესიონისტები ესწრაფიან ბუნებრივი გარეგნობის დამახინჯებასა და გაზვიადებას შინაგანი სამყაროს გამოსახვის მიზნით (ამის ნათელი მაგალითია — ნორვეგიელი მხატვრის *ე. მუნკის* ნამუშევარი „*შეძახილები*“).

XX საუკუნის ევროპის მუსიკალური კულტურა

კონსერვატორიის სტუდენტებისთვის განკუთვნილ მუსიკის ისტორიის ფრანგულ სახელმძღვანელოში წერია:

თანამედროვე მუსიკის სურათის აღწერა ისეთივე ამაო ცდა იქნებოდა, როგორც უზარმაზარი ფრესკის გაანალიზება, მისგან თუნდაც მრავი ნაგიჭით უკან დახევის შესაძლებლობის გარეშე.

მიუხედავად ამ მტკიცების სამართლიანობისა, შეიძლება შევეცადოთ თანამედროვე მუსიკის განვითარების ზოგიერთი ზოგადი მახასიათებლის გამოყოფა.

XX საუკუნის მუსიკას უპირველეს ყოვლისა ახასიათებს ბგერითი გამოხატვის ახალი ხერხებისაძიება „დახარბება“. იგი მათ მოიპოვებს ყველგან: არქიტექტურაში, პოეზიაში, ყოველდღიური ცხოვრების ბგერებსა და ხმაურში.

მაგრამ „ხელოვნებათა შერწყმის“ ძველი იდეალი მისთვის მიუღებელია, ცდილობს თავისი სახის „სიწმინდის“ შენარჩუნებას. ასე მაგალითად, თანამედროვე მუსიკის თვალსაჩინო წარმომადგენელი *ოლივიე მესიანი*, რომლის ნაწარმოებები დაფუძნებულია რთულ სტრუქტურულ წყობაზე, თავის „*ბუთ სასაუბრო გამეორებაში*“, ესესხება სასაუბრო ენას, ათავისუფლებს ყოველგვარი ვერბალური მნიშვნელობისგან, ქმნის მდიდარ და დატვირთულ ორკესტრირებას.

პარიზის კონსერვატორიაში საუკუნის დასაწყისში აღმართული „პროგრესული სქოლასტიკის“ ალამი შემდგომში გაფორმებული იქნა XX საუკუნის დიდი კომპოზიტორის *ა. რუსელის* (1869-1937) მიერ. მის მიერ შექმნილია თავიდან იმპრესიონიზმის სტილის („*ობობის ზეიმი*“, ოპერა-ბალეტი „*ჰადმავატი*“) შემდგომ კი ნეოკლასიციზმის (ბალეტი „*ეროსი და არიადნა*“) ნაწარმოებები.

ვაგნერის, ვერდის, სენ-სანსის ნაცვლად ყალიბდება ახალი ესთეტიკური იდეები, მოდის მუსიკოსთა ახალი თაობა, რომლებიც განეკუთვნებიან ისეთ მუსიკალურ მიმართულებებს, როგორიცაა *ვერიზმი, სიმბოლიზმი, ექსპრესიონიზმი* და *იმპრესიონიზმი*.

საუკუნის დასაწყისში ახალ მუსიკალურ იდეათა გამომხატველები იყვნენ ფრანგი კომპოზიტორები *კლოდ დებიუსი* (1862-1918) — მუსიკალური იმპრესიონიზმის ფუძემდებელი და *მორის რაველი* (1875-1937), გერმანელი კომპოზიტორი *რიხარდ შტრაუსი* (1864-1949), ნორვეგიელი კომპოზიტორი *ედვარდ გრიგი* (1843-1907) და ფინელი კომპოზიტორი *იან სიბელიუსი* (1865-1957).

XX საუკუნის მუსიკის განვითარების ერთ-ერთი ტენდენცია იყო ექსპრესიონიზმის გადასვლა ნეოკლასიციზმში, რომელმაც გამოხატულება ჰპოვა *რ. შტრაუსის* შემოქმედებაში. მან საუკუნის დასაწყისში ექსპრესიონიზმის სტილში შექმნა სიმფონიური პოემები „*დონ ჟუანი*“ და „*დონ კიხოტი*“, მოცარტისეული ტიპის ოპერა „*ვარდთა კავალერი*“.

ექსპრესიონიზმი ვითარდებოდა არა მხოლოდ ნეოკლასიციზმის, არამედ *დოდეკაფონიის* მიმართულებითაც, რომლის ფუძემდებელი იყო ექსპრესიონიზმის თეორეტიკოსი *ა. შენბერგი* (1874-1951) — *ატონალური მუსიკის* შემქმნელი. პირველი მსოფლიო ომის შემდგომ შენბერგმა დაამუშავა მუსიკალური კომპოზიციის თორმეტტონალური სისტემა — დოდეკაფონია. თავის ვოკალურ ნაწარმოებებში მან სიმღერები შეცვალა ნოტირებული ლაპარაკით (რალაც შუალედური ჩვეულებრივ მეტყველებასა და მუსიკალურ რეჩიტატივს შორის).

სასურველი ჟღერადობის მისაღწევად დოდეკაფონისტები იყენებდნენ მაგნიტურ და ელექტრონულ ინსტრუმენტებს.

XX საუკუნის მუსიკაში მოდერნიზმის სტილის მეორე მიმართულებაა — *კონსტრუქტივიზმი*. კონსტრუქტივისტთა შეხედულებით თანამედროვე კომპოზიტორი — არის ტექნიკოსი მაშინაც კი, თუ იგი არის ესთეტიკური შთაგონების მისეულ სამყაროში. იგი ფიქრობს მეცნიერის მსგავსად, იყენებს ექსპერიმენტულ მეთოდს და ფორტეპიანოს აღიქვამს ლაბორატორიული ინსტრუმენტის სახით, რომლის საშუალებითაც ქმნის გონებით წინასწარ გააზრებულ ყველა შესაძლო ბგერით ერთობლიობას. მაგალითისთვის, გამოდგება რამდენიმე დამოუკიდებელი მელოდიური ხაზის გაერთიანება, რომლის წარმომადგენელი იყო *პ. ჰინდემიტი* (1895-1963) — გერმანელი კომპოზიტორი, დირიჟორი და თეორეტიკოსი, ნეოკლასიციზმის მიმდევარი, ავტორი ოპერებისა *„კარდილაკი“*, *„მშვენიერი მატისი“*, *„მსოფლიო ჰარმონია“*.

თანდათანობით, მას შემდეგ, რაც ევროპულმა ცნობიერებამ გადალახა პირველი მსოფლიო ომისგან მიღებული შეძრწუნება, დასავლურ მუსიკაში სულ უფრო მეტად იწყო გაჟღერება ბუნების მოტივებმა. ესაა *მილიოს „პასტორალური სიმფონია“*, *ონეგერის „ზაფხულის პასტორალი“*, *რუსელის „ტყის პოემა“* და სხვა. ეს იყო ყოველგვარი ხაზის ექსპერიმენტებისაგან მსოფლიო პირველქმნილ ჰარმონიის სათავეებთან დაბრუნება, საიდანაც იღებდნენ პირველი ცივილიზაციები თავიანთი მუსიკალური გამომსახველობის სიმდიდრეს. ეს იყო იმის დადასტურება, რომ მუსიკალური მოდერნიზმი არ იყო დასავლური მუსიკის შესაძლებლობათა ზღვარი. ამის ნათელი მაგალითია ინგლისელი კომპოზიტორის *ბ. ბრიტენის* (1913-1976) შემოქმედება, რომელმაც წარმატებით გააერთიანა თავის ნაწარმოებებში (ოპერა *„პიტერ გრაიმსი“*, *„ზაფხულის ღამის სიზმარი“*). ეროვნული მუსიკალური ტრადიციები, კლასიკური ევროპული ტრადიციები და თანამედროვე მუსიკალური საშუალებები.

XX საუკუნის არქიტექტურა

XX საუკუნის დასაწყისში ევროპაში ზოგადი სოციოკულტურული სიტუაციის ცვლილებები უპირველეს ყოვლისა არქიტექტურაზე აისახა. წარმოჩინდა სამეცნიერო ტექნიკური რევოლუციის შედეგები, ახალი სამშენებლო მასალები, როგორიცაა რკინაბეტონი, სამშენებლო მასალად მეტალის უშუალო გამოყენების ცდა (ეიფელის კოშკი პარიზში); აგრეთვე სოციალური წყობის ცვლილებები: დემოგრაფიული პრობლემა,

სამრეწველო წარმოებისა და ქალაქების ზრდა. სწრაფად, მტკიცედ, მრავლად და იაფად მშენებლობის აუცილებლობამ გაავლენა მოახდინა არქიტექტურაზე, განაპირობა მისი ხასიათი და განვითარების ტენდენციები ახალ საუკუნეში.

ზემოაღნიშნულმა განაპირობა აგრეთვე ტექნიკის ინტეგრაცია მშენებლობის ხელოვნებასთან, მაგრამ ამ უკანასკნელის უტილიტარული და ფუნქციური ხასიათის გაფართოებით გაჩნდა არქიტექტურული ესთეტიკის ახალი პრობლემები, რომელთა შორის პირველ ადგილზე წამოიწია პრობლემამ, რომელსაც ფრანგმა არქიტექტორებმა უწოდეს „სასარგებლო სილამაზე“ და „წმინდა სილამაზე“, რომლის გარშემო კამათი დღევანდლამდე გრძელდება.

საუკუნეთა გასაყარზე აღმოცენებულმა არქიტექტურულმა სტილმა — *მოდერნმა* დაძლია საუკუნის მეორე ნახევარში ფართოდ გავრცელებული *ეკლექტიზმი*, რომელმაც განსაზღვრა არქიტექტურის შემდგომი განვითარება. თავისი ჩანაფიქრების გამოხატვისათვის იდეალურ მასალად ამ სტილმა რკინა მიიჩნია. მისი განმასხვავებელი გარეგანი ნიშანი გახდა მრუდი ხაზების სიმრავლე და დეკორატიულ ელემენტთა დახვავება. ამ სტილის მთავარი გამომსახველები იყვნენ *ჰექტორ ჰიმარი* (1867-1942) საფრანგეთში და ესპანელი არქიტექტორი *ანტონიო გაუდი* (1853-1926).

ჰიმარმა, რომელიც იყო ერთდროულად არქიტექტორიც და დეკორატორიც, სპეციალისტთა აზრით, საუკეთესოდ მოახდინა ამ სტილის კონცეფციის და ქმედების განპიროვნება — პერსონიფიცირება. მისთვის არქიტექტურა იყო ყველაფერი: საცხოვრებელი ადგილი, მისი დეკორი, პრაქტიკული გამოყენების ელემენტები (მაგალითად, ავეჯი) და საცხოვრისისაგან განუყოფელი ყველა ჩვეული საგანი. სწორედ ამ სულისკვეთებით დააგეგმარა და ააშენა ჰიმარმა პარიზში ლაფონტენის ქუჩაზე მდებარე №14 სახლი, სადაც ყველაფერი ყველაზე მცირე დეტალის ჩათვლით (კონსტრუქცია, ორნამენტი, შიდა დამუშავება) მას ეკუთვნის. ასე განახორციელა თავისი ოცნება „ტოტალური არქიტექტურული ნაწარმოების“ შესახებ.

მოდერნის სტილის სხვა შედევრებად ითვლება ესპანელი არქიტექტორის *გაუდის* ნაგებობანი: ბარსელონაში *ლა საგრადა ფამილიას ტაძარი* და საცხოვრებელი კომპლექსის პროექტი *„კასა მილა“*, რომელიც გვაოცებს სახასიათო ორიგინალობითა და თავისი ფორმების ფანტასტიკურობით.

ამ მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ მოდერნი მეტალთან და რკინაბეტონთან ერთად მოსაპირკეთებლად იყენებდა კერამიკას, მინას,

ხესა და ესთეტიკურად გააზრებულ შორენკეცებს. ნაგებობათა დამუშავებაში ფართოდ გამოიყენებოდა წყალმცენარეებისა და ჩამოშლილ თმებიანი ქალთა თავების მოტივები.

მაგრამ ამ სტილისთვის ნაგებობათა გარეგან დამუშავებაში ასევე დამახასიათებელია სერიოზული გადაჭარბებულობა. მაგალითისათვის გამოდგება პარიზში, ელისეს მინდვრებზე დიდი და მცირე სასახლეები, რომელთა ფასადებზე უხვადაა პრეტენციოზული, ღელარჭნილი ორნამენტული მორთულობა. სწორედ ამან განაპირობა მოდერნის თანდათანობითი შეცვლა ფუნქციონალიზმით, რომლის საფუძველს წარმოადგენდა რაციონალიზმის, ტექნიციზმისა და უტილიტარიზმის იდეები.

ფუნქციონალიზმში ძირითადი ყურადღება მიმართულია ფასადის სიბრტყის პროპორციებზე, ფანჯრებზე, იაქთაღებზე (შუაკედლისები), ძირითადი კონსტრუქციული ელემენტების გამომსახველობაზე. მისი „საშენებლო მეფეები“ გახდა ბეტონი და რკინაბეტონი, რომელთა თავისებური ესთეტიკა გამოავლინეს ძმებმა – *ოგიუსტ და გუსტავ პერეებმა თავის* შემოქმედებაში.

XX საუკუნის ფუნქციონალიზმის წამყვანი წარმომადგენელია *ლე კორბიუზე* (1887-1965), რომელმაც ბრწყინვალედ გაიაზრა დემოგრაფიული პრობლემა და მისი გათვალისწინებით შექმნა მშენებლობის ურბანისტული თეორია. ამ თეორიის საფუძვლად უდევს ორი იდეა – მიუხედავად ადამიანთა რიცხობრივი ზრდისა, მათთვის ნორმალური ცხოვრების პირობების შექმნა, და გარემომცველი ბუნების დაცვა, რომელთა ჰარმონიაში უნდა ეცხოვრათ ამ ადამიანებს. კორბიუზეს კონცეფციით, ორივე ეს პირობა უზრუნველყოფილი იქნებოდა მრავალსართულიანი, მრავალბინიანი ნაგებობების მშენებლობით, ბრტყელი გადახურვით სახურავებზე ბაღების გასაშენებლად და შენობის ქვედა სართულებზე ღია ბურჯებით. ეს იდეები საფუძვლად დაედო პარიზის ცენტრის რეკონსტრუქციის კორბიუზეს პროექტს.

კინემატოგრაფია

საუკუნეთა მიჯნაზე აღმოცენდა „*მეშვიდე ხელოვნება*“ – კინემატოგრაფი, რომელიც 1927 წლამდე იყო „დიდი მუნჯი“, ხოლო მასში ისეთი დიდი პიროვნების მოსვლის შემდეგ, როგორიცაა კინორეჟისორი *მ. კარნე* (დაბ. 1909) – „*ნისლების სანაპირო*“, „*სალამოს სტუმრები*“, „*რაიკის შვილები*“, „*მკვლელები წესრიგის საბელით*“, *ჟ. რენუარი* (1894-1979) – „*დიდი illუზია*“, „*მარსელიოზა*“, „*ცხოვრება ჩვენ გვეკუთვნის*“ და სხვა, კინემატოგრაფი თავიდან

იწყებს დამოუკიდებლობის მოპოვებას კულტურის სხვა სახეების მსგავსად.

ევროპის კინემატოგრაფიაში ასახვა ჰპოვა XX საუკუნის ყველა ძირითადმა შემოქმედებითმა მეთოდმა, როგორიცაა: *რეალიზმი, ნეორეალიზმი, რომანტიზმი, მოდერნიზმი, მელოდრამატიზმი, ინტელექტუალიზმი.* გამოჩენილ ოსტატთა მიერ შეიქმნა ცნობილი ფილმები, როგორიცაა: *რ. როსელინის* („*რომი – ღია ქალაქი*“), *მ. კარნეს* რეალისტური ფილმები, *ფ. ლანგის* ფილმები მოდერნის სტილში („*დიდი სიცბე*“, „*შეწამული ქუჩა*“), *ა. კორდის* მელოდრამატული ფილმები („*ლედი ჰამილტონი*“, „*რიჩარდ III*“) და სხვა ღრმად ფილოსოფიური და მაღალინტელექტუალური ფილმები *პ. პაზოლინისა* („*თეორემა*“, „*მათეს სახარება*“, „*დეკამერონი*“), *ი. ბერგმანისა* „*მარწყვის მდელო*“, „*შემოდგომის სონატა*“, *ლ. ვისკონტისა* „*ლმერთების დაცემა*“, „*როკო და მისი ძმები*“.

ევროპული და მსოფლიო კინოს უდიდესი ალიარებული ოსტატი იყო *ფ. ფელინი* (1920-1995), რომელმაც თავის მრავალრიცხოვან ფილმებში („*ვარიეტეს ჩირაღდნები*“, „*თეთრი შეიხი*“, „*დედიკოს ბიჭები*“, „*საკორწინო კანტორა*“, „*გზა*“, „*თაღლითი*“, „*კაბირიას ღამეები*“, „*ტკბილი ცხოვრება*“, „*დოქტორ ანტონიოს ცდუნება*“, „*8 1/2*“, „*ჯულიეტა და სულები*“, „*სატირიკონი*“, „*რომი*“, „*ამარკორდი*“, „*ორკესტრის რეპეტიცია*“ და სხვა) შექმნა სრულყოფილი სახე ომისშემდგომი იტალიისა. 20 წლის ასაკში კინოში თავისი მოღვაწეობის დასაწყისში ფელინმა, როგორც სცენარისტმა, დაწერა სცენარი ისეთი ცნობილი ფილმებისათვის, როგორიცაა *რ. როსელინის* „*რომი – ღია ქალაქი*“. შემდეგშიც თავისი ფილმების უმრავლესობა ფელინიმ გადაიღო საკუთარი სიუჟეტებისა და სცენარების მიხედვით. მან თავის ფილმებში შექმნა საკუთარი ფანტასტიკური სამყარო, რომლითაც ყველასთვის ხელმისაწვდომი კინემატოგრაფიული ხერხებით გამოსახა არა მხოლოდ იტალიის, არამედ მთელი ევროპის ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური კულტურული და ისტორიული პრობლემები.

საუკუნის მეორე ნახევრის ევროპული კინემატოგრაფიის ისტორია ერთობ მრავალფეროვანი იყო: ინტელექტუალურ ფილოსოფიურ ფილმებთან ერთად იქმნებოდა ბრწყინვალე კომედიები, მთავარ როლებში უდიდესი მსახიობების – *ლუი დე ფიუნესის, ბურვილის, მ. მასტროიანისა* და სხვების მონაწილეობით („*დიდი გასეირნება*“, „*დოლაპაა*“, „*ჟორჟინება იტალიურად*“ და სხვა). ეკრანიზებული იქნა ოპერები და ბალეტები, ბიოგრაფიები, მელოდრა-

მები, გარდასული წლების მსოფლიო ლიტერატურული კლასიკის შედევრები, ფანტასტიკა, იდგმებოდა პოლიციის ბოევიკები ამ ჟანრის ოსტატთა *ა. დელონის, ჟ.პ. ბელმონდოს* და *ჟ. ტრენტინიანის* მონაწილეობით („*პროფესიონალი*“, „*სპეციალისტი*“ და სხვა).

ხელოვნების შედარებით ახალმა სახეობამ – კინომ, რომელმაც თავის თავში გააერთიანა კულტურის სხვა მიმართულებათა ელემენტები, მილიონობით მაყურებლის წინაშე წარმოაჩინა რეჟისორთა მაღალი პროფესიონალიზმი და ისეთი ცნობილი მსახიობების ბრწყინვალე ოსტატობა, როგორიცაა *ჯ. მაზინა, ს. ლორენი, ა. მანიანი, მ. მასტროიანი* (იტალია), *ლ. ოლივიე, ვ. ლი* (დიდი ბრიტანეთი), *მ. დიტრიხი, ც. ლეანდრი* (გერმანია), *გ. გარბო, ი. ბერგმანი* (შვეცია), *ა. ეშე, ა. ჟირარდო, ი. აჯანი, ფ. ნუარე, ჟ. ტრენტინიანი, ჟ. დეპარდიე, ი. მონტანი, ს. სინიორე, ჟ. მარე და სხვები* (საფრანგეთი).

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲢᲔᲠᲛᲘᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲪᲜᲔᲑᲔᲑᲘ

ანტიკულტურა
ვირტუალური საგნები
ვიტალობა
ჰერმენევტიკა
ჰერმენევტიკული პრინციპები
დადაიზმი
ხანგრძლივობა
დოდეკაფონია
ცხოვრებისეული აღტყინება
ინტუიტივიზმი
ცნობიერების ნაკადი
„მშვენიერი ეპოქა“
ფსიქოანალიზი
რომანი-მდინარე
სტრუქტურალიზმი
სიურეალიზმი
შემოქმედებითი ინტუიცია
ტექნოლოგია
უნანიმიზმი
კონსტრუქტივიზმი
კულტურის კრიზისი
კუბიზმი
მასობრივი კულტურა
მეტაფიზიკა
მოდერნიზმი
ნაბიზმი
ნეოპოზიტივიზმი
ფასეულობათა გადაფასება
პოსტსტრუქტურალიზმი
ფენომენოლოგია
ფოვიზმი
ფუნქციონალიზმი
ეგზისტენციალიზმი
ეკლექტიზმი
ექსპრესიონიზმი
ელიტა
ელიტარული კულტურა

ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲔᲝᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

1. თანამედროვე კულტუროლოგიური კონცეფციების მიერ როგორაა ახსნილი XX საუკუნის კულტურის კრიზისის მიზეზები და რა არის შემოთავაზებული მათ გადასალახად?
2. ა. ბერგსონის ფილოსოფიური კონცეფციის მაგალითზე დაახასიათეთ ნეოკლასიკური ფილოსოფიის თავისებურებები.
3. განმარტეთ ცნება „რომანი – მდინარე“ და გვიამბეთ მათ სახეებზე XX საუკუნის დასავლურ ლიტერატურაში.
4. გააანალიზეთ XX საუკუნის ხელოვნების ძირითადი მიმართულების ბუნება.
5. როგორ გამოვლინდა მოდერნის სტილი მუსიკასა და არქიტექტურაში?

Ა. ᲑᲔᲠᲒᲡᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ადამიანი თავის მოვალეობას გრძნობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი თავისუფალია, ყოველგვარი მოვალეობა კი, ნებაყოფლობით აღებული საკუთარ თავზე, გულისხმობს თავისუფლებას.

როდესაც მუსიკა ტირის, მასთან ერთად ტირის მთელი კაცობრიობა, მთელი ბუნება.

შექებასა და აღიარებას ვეჭიდებით იმდენად, რამდენადაც ეჭვი გვეპარება საკუთარ ცხოვრებისეულ წარმატებებში.

აწმყო არაფერს არ შეიცავს წარსულის გარდა, და ყველაფერი, რაც შეიძლება მასში აღმოაჩინო, უკვე იყო მის მიზეზში.

თავი 18

სსრკ-სა და პოსტსაბჭოური პერიოდის რუსეთის კულტურა





მოსკოვის უმაღლესი შენობა – საბჭოთა ეპოქის განსახიერება და მაცხოვრის აღდგენილი ტაძარი – რუსეთის აღორძინების სიმბოლო.

XX საუკუნეში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ რუსეთმა ისტორიული განვითარების რთული გზა გაიარა, რაც სავსებით აისახა სამამულო კულტურის მდგომარეობაზე. ამასთან დაკავშირებით ფრიად საყურადღებოა საკითხი იმ ძირეული ცვლილებების წინაპირობებისა და თვისებების შესახებ, რასაც ადგილი ჰქონდა საზოგადოებრივ ცნობიერებაში მინიმუმ ორგზის: 1917 წელს და გარდაქმნის პერიოდში. სამამულო კულტურის ისტორიაში არაერთმნიშვნელოვნად მოიაზრება 20-იანი და 60-იანი წლები. ეს იყო ცვლილებების, საზოგადოებრივი აღმავლობის, სიახლეების პერიოდი.

კულტურული პროცესის დინამიკაში შეიმჩნევა თავისებური რხევითი მოძრაობა. ხალხის შემოქმედებითი ძალისხმევის უმაღლესი დაძაბულობის წერტილები ემთხვეოდა რევოლუციურ ეპოქებს, რომლებმაც უმოწყალოდ გაანადგურა ძველი წეს-წყობილება, კულტურის დრომოჭმული სტერეოტიპები. კულტურული განვითარების შედარებით მშვიდი ფაზებია დამკვრელური შრომის პერიოდები – 30-იანი, 50-იანი, 70-იანი წლები. კულტურული დულილი ნეპისა და „დათბობის“ პერიოდში წარმოადგენდა ცვლილებების კარიბჭეს და მათ გამოძახილს. საზოგადოების კულტურული ევოლუციის პოსტსაბჭოთა ფაზა მთლიანად შეიძლება შევაფასოთ როგორც კრიზისი. რამდენადაც ჩვენ მისი თანამედროვენი და უშუალო მონაწილენი გახლავართ, შეუძლებელია ჩვენი მხრიდან სამამულო კულტურის მომავლის შესახებ ცალსახა დასკვნების გამოტანა. შეიძლება მხოლოდ გამოვთქვათ იმედი, რომ მისი საუკეთესო ტრადიციები – მაღალი სულიერ-ზნეობრივი და სამოქალაქო-პატრიოტული პოტენციალი და მდიდარი მემკვიდრეობა არ დაუშვებენ რუსული კულტურის წყაროს დაშრეტას.

რევოლუციის შემდგომი პირველი ათწლედის საბჭოთა კულტურა

1917-1927 წლების ეპოქის მთავარი სოციოკულტურული შემადგენელი ნაწილი გახდა *კულტურული რევოლუცია*. ესაა საზოგადოებრივი ცნობიერების ადრე დამკვიდრებული სტერეოტიპების, ადამიანის ქცევის სულიერ-ზნეობრივი ორიენტირების ძირეული მსხვრევის პროცესი. ამასთან ერთად, კულტურული რევოლუცია იყო სახელმწიფო პოლიტიკა, მიმართული რევოლუციის შემდგომი ინტელიგენციის სოციალური შემადგენლობის ცვლილებებისა და კულტურული წარსულის ტრადიციების რღვევისკენ. ლოზუნგ „კულტურული რევოლუციის“ ავტორი *ვ. ი. ლენინი*

ნაშრომში „ფურცლები დღიურიდან“ ასე განმარტავს მის ძირითად ამოცანებს: ქვეყნის მოსახლეობის კულტურული ჩამორჩენილობის და უპირველეს ყოვლისა უწიგნურობის ლიკვიდაცია, მშრომელთა შემოქმედებითი ძალების განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობების უზრუნველყოფა, სოციალისტური ინტელიგენციის ფორმირება და მეცნიერული კომუნიზმის იდეოლოგიის განმტკიცება ფართო მასების ცნობიერებაში.

უწიგნურობის ლიკვიდაციის მიმართულებით მუშაობა დაიწყო 1919 წ. 26 დეკემბრის სამთავრობო დეკრეტის მიღებით: „რსფსრ მოსახლეობაში უწიგნურობის ლიკვიდაციის შესახებ“. იგი ავალდებულებდა ქვეყნის ყველა მოსახლეს 8-დან 50 წლამდე წერა-კითხვის შესწავლას რუსულ ან მშობლიურ ენაზე. ამ მოძრაობის სათავეში იდგნენ *მ. ი. კალინინი, ნ. კ. კრუპსკაია, ა. ვ. ლუნაჩარსკი*. უკვე 1926 წელს რუსეთის წერა-კითხვის მცოდნე მოსახლეობის რიცხვი რევოლუციამდელთან შედარებით თითქმის გაორმაგდა და შეადგინა 61%. 1927 წელს საბჭოთა კავშირს წერა-კითხვის ცოდნის დონის მიხედვით ევროპაში მე-19 ადგილი ეკავა. 12 წლის ასაკის ზევით წერა-კითხვის უცოდინარი ჯერ კიდევ 50 მლნ ადამიანზე მეტი რჩებოდა.

ახალი წყობილების თეორეტიკოსებსა და პრაქტიკოსებს განსაკუთრებით აღელვებდათ საკითხი *სოციალისტური კულტურის* ფორმათა შესახებ, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ პოლიტიკური წყობის განმტკიცებას და უზრუნველყოფდნენ ქვეყანაში სოციალისტური ცხოვრების წარმატებულ მშენებლობას. ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ორ საკითხს: ესაა, ერთის მხრივ, კადრების და მეორეს მხრივ — კულტურის სფეროში კლასობრივი ბრძოლის გამწვავების საკითხები. იგი პარტიული თანამებრძოლებისაგან მოითხოვდა უკიდურეს სიფრთხილეს ამ სფეროში, სადაც მტერი იქნებოდა განსაკუთრებით „მოხერხებული, გამოცდილი და ფრთხილი“. ზემოთაღნიშნული ეხებოდა უპირველეს ყოვლისა პედაგოგიკას, საზოგადოებრივ მეცნიერებებს, მხატვრულ შემოქმედებას და ეკლესიასთან ურთიერთობას.

იდეოლოგიური გარდატეხა წარმოადგენდა ახალი ხელისუფლების საქმიანობის ერთ-ერთ ყველაზე რთულ მიმართულებას. იგი მიზნად ისახავდა ადამიანთა მსოფლმხედველობის ძირეულ ცვლილებებს, მათ აღზრდას კოლექტივიზმის, ინტერნაციონალიზმის, პატრიოტიზმის სულისკვეთებით. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა უმაღლეს სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების

გარდაქმნას. 1921 წლის სამთავრობო დეკრეტმა მოახდინა უმაღლესი სასწავლებლების ავტონომიის ლიკვიდაცია და დააკანონა მარქსისტული საზოგადოებრივი დისციპლინების სწავლების აუცილებლობა.

მ.ნ. პოკროვსკის ხელმძღვანელობით მარქსისტული პოზიციიდან იქნა გაშუქებული სამამულო ისტორია, რომელიც განიხილებოდა როგორც მშრომელთა კლასობრივი ბრძოლის პროცესი მთელი ისტორიის მანძილზე.

უმაღლეს სასწავლებელთა საზოგადოებრივი კურსის სავალდებულო დისციპლინების რიცხვში შევიდა: პარტიის ისტორია, ისტორიული და დიალექტიკური მატერიალიზმი, პოლიტეკონომია და მეცნიერული კომუნიზმი.

1922 წელს ქვეყნიდან უმაღლესი სასწავლებლების დაახლოებით 200 ძველი ყაიდის წამყვანი სპეციალისტის გასახლებამ და 1924 წელს წითელი პროფესურის ინსტიტუტის კადრების პირველმა გამოშვებამ განსაზღვრა გარდატეხა საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებაში. 20-იანი წლების შუახანებში ხელისუფლებამ ძირითადად შეძლო ძველ ინტელიგენციასთან პროფესიული თანამშრომლობის უზრუნველყოფა. საბჭოთა წყობის მხარდამჭერთა შორის იყვნენ მეცნიერები: *კ.ა. ტიმირიაზევი, ი.ვ. მიჩურინი, ი.მ. გუბკინი, კ.ე. ციოლკოვსკი, ნ.ე. ჟუკოვსკი*, პოეტები და მწერლები: *ა.ა. ბლოკი, ვ.ვ. მაიაკოვსკი, ვ.ი. ბრიუსოვი*, თეატრალური მოღვაწეები *ე.ბ. ვახტანგოვი, კ.ს. სტანისლავსკი, ვ.ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო, ვ.ე. მეიერხოლდი, ა.ი. ტაიროვი*.

ფართოდ გავრცელდა საავიტაციო — პროპაგანდისტული საგამომცემლო საქმიანობა. რევოლუციის შემდეგ მალევე დაარსდა *რსფსრ სახელმწიფო გამომცემლობა*, გამომცემლობები: „*კომუნისტი*“, „*ცხოვრება და ცოდნა*“. მარქსისტული პოზიციებით ხელმძღვანელობდნენ გამომცემლობები: „*ბოლშევიკი*“, „*რევოლუცია და ეკლესია*“, „*ბეჭდვითი საქმე და რევოლუცია*“, „*წიგნი და რევოლუცია*“. 1922-1944 წლებში გამოდიოდა ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური თეორეტიკული ორგანო ჟურნალი „*მარქსიზმის დროშის ქვეშ*“. გამოიცა *ვ.ი. ლენინის, კ. მარქსის და ფ. ენგელსის* თხზულებათა კრებული. გაიხსნა სოციალისტური აკადემია, *ი.მ. სვერდლოვის* სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტი, *კ. მარქსის და ფ. ენგელსის* ინსტიტუტი, *ვ.ი. ლენინის* ინსტიტუტი. ახალი იდეოლოგიის პოპულარიზაციის მიზნით მარქსისტი მეცნიერები გაერთიანდნენ ნებაყოფლობით საზოგადოებებში: მებრძოლი მატერიალისტების საზოგა-

დოება, მარქსისტ ისტორიკოსთა საზოგადოება, მებრძოლ უღმერთოთა კავშირი.

ქვეყანაში ფართოდ გაიშალა ათეისტური პროპაგანდა, თუმცა რელიგიური გრძნობების მიმართ მმართველი ხელისუფლება შეურიგებელი სულისკვეთებით ღიად არ გამოდიოდა. მებრძოლ უღმერთოთა კავშირის აქტივისტების მეოხებით, რომელიც დაახლოებით 3,5 მლნ ადამიანს ითვლიდა, ქვეყანაში გაიხსნა რელიგიისა და ათეიზმის 50-ზე მეტი მუზეუმი. კავშირის რუპორი გახდა ჟურნალი „უღმერთო", რომლის პირველ ნომრებში იბეჭდებოდა მისი თავმჯდომარის *ე. მ. იაროსლავსკის* წიგნი „*ბიბლია მორწმუნეთათვის და ურწმუნოთათვის*". იგი მალე გადაიქცა ათეისტურ ანტიბიბლიად.

ხელისუფლების ბრძოლა ეკლესიასთან გამწვავდა 1922 წელს. 23 თებერვალს გამოვიდა ВЦИК-ის (საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი) დადგენილება, რომელმაც დააკანონა საეკლესიო ძვირფასეულობის, მათ შორის ღვთისმსახურებრივი ხასიათის საგნების ჩამორთმევა. ამან ძლიერ შეურაცხყო მორწმუნეთა გრძნობები. ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის აშკარა დაპირისპირება დაიწყო, საიდანაც ეკლესია დამარცხებული გამოვიდა. წლის პირველ ნახევარში სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული იქნა 700-ზე მეტი ადამიანი, უმეტესწილად ეპისკოპოსები, მღვდლები და ბერები. 1923 წლის დეკემბერში გადასახლებულ უმაღლესი და საშუალო წოდების მღვდელმთავართა რიცხვმა 2000-ს მიაღწია. მღვდელ *ა.ი. გვოდენკის* მეთაურობით მოსკოვში დაარსებულმა ჯგუფმა „ცოცხალი ეკლესია" („живая церковь"), რომელიც საეკლესიო წყობისა და სარწმუნოების ყოველმხრივ რეფორმებს მოითხოვდა, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია დაშლამდე მიიყვანა. პატრიარქ *ტიხონ ბელავინის* სიკვდილის შემდეგ 1925 წელს ხელისუფლებამ არ დაუშვა ახალი პატრიარქის არჩევნები. ეკლესიის მეთაური გახდა მიტროპოლიტი *სერგი*, რომელიც მოუწოდებდა მოძღვრებსა და მორწმუნეებს გამოეჩინათ ლოიალობა საბჭოთა ხელისუფლებისადმი.

მხატვრულმა ცხოვრებამ ქვეყანაში, სხვა სფეროების მსგავსად, რევოლუციის გავლენით მკვეთრად შეიცვალა მიმართულება. შემოქმედებით ცხოვრებას შეუერთდნენ მშრომელთა ფართო მასები. სულ უფრო მეტად დემოკრატიული ხდება მაყურებელთა, მკითხველთა, მსმენელთა შემადგენლობა. ხელოვნება სულ უფრო მეტად ექცეოდა იდეოლოგიის გავლენის ქვეშ. პარტია მხატვრების

წინაშე აყენებდა უბრალო ხალხისათვის ადვილად გასაგებ ახალი კულტურის შექმნის ამოცანას.

სამოქალაქო ომის წლებში განსაკუთრებული პოპულარულობა მოიპოვა მიმართულებამ „*პროლეტარიატის კულტურა*". პროლეტარიატის პოპულარული მასობრივი კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციის (პროლეტკულტი) დევიზი იყო ძველი მსოფლიოსა და მისი კულტურის მსხვრევა, „კართაგენის მსგავსად" დანგრევა.

პროლეტკულტურის საქმიანობამ ძლიერი გავლენა იქონია კულტურაში მემარცხენე მიმართულებაზე, რომლის არსებობა იგრძნობოდა მას შემდეგაც, რაც 20-იანი წლების შუა პერიოდში მათ ამოწურეს თავიანთი თავი. მხატვრული გამომსახველობის ახალი საშუალებების ძიებას აწარმოებდნენ ისეთი ლიტერატურულ-მხატვრული დაჯგუფებები, როგორიცაა „ხელოვნებათა მარცხენა ფრონტი" (ЛЕФ), „სამჭედლო", „სერაფიონის ძმები", „ულელტეხილი" *ვ.ე. მეიერხოლდის* რევოლუციური თეატრი, პროლეტარული მხატვრების ასოციაცია, რუსეთის პროლეტარულ მხატვართა ასოციაცია. მხატვრებს შორის მოწინავე მიმართულებებში მუშაობდნენ *კ.ს. მალევიჩი, პ.ნ. ფილონოვი, ა.ა. კონჩალოვსკი*, კინოხელოვნებაში – *ს.მ. ეიზენშტეინი*, მხატვრული კონსტრუირების სფეროში – *ვ.ე. ტატლინი*.

20-იან წლებში აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას აგრძელებდა *მ. გორკი*. ის აქტიურად ეწინააღმდეგებოდა ლიტერატურული შაბლონის მოძალებას და რევოლუციის უსაფუძვლო კრიტიკას. 1918 წ. სტატიათა სერიაში „*არასდროულია აზრები*", *გორკიმ* რევოლუცია აღწერა საზოგადოების სრულიად სხვადასხვა წარმომადგენელთა თვალთახედვით უიდეალიზაციოდ მაგრამ, ასევე, შელამაზების გარეშე. გორკის „აზრები" განმსჭვალული იყო ადამიანის შემოქმედებითი ძალებისა და ქვეყნის მომავალი აღორძინების ღრმა რწმენით. 20-იან წლებში საზღვარგარეთ სამკურნალოდ ყოფნისას მწერალმა შექმნა რომანი „*არტამონოვების საქმე*", დაასრულა ავტობიოგრაფიული ტრილოგია თხზულებით „*ჩემი უნივერსიტეტები*", შექმნა *ვ.ი. ლენინის, ლ.ნ. ტოლსტოის, ა.პ. ჩეხოვის, ვ.გ. კოროლენკოს* ლიტერატურული პორტრეტები, დაიწყო მუშაობა თავის ცენტრალურ ეპოპეაზე „*კლიმ სამგინის ცხოვრება*".

რევოლუციის გააზრება და რევოლუციის შემდგომი რუსეთის ცხოვრების პანორამა – 20-იანი წლების ლიტერატურის ცენტრალური თემაა. რევოლუციის მხატვრული გააზრების პირველი და მეტად ნათელი მცდელობა იყო ა. ბლოკის პოემა „*თორმეტი*". ეპოქამ წარმოაჩინა რევოლუციის მეხოტბე ახალგაზრდა პოეტთა და

პროზაიკოსთა რომანტიკული მაქსიმალიზმი (*ნ. ასეევი, ე. ბაგრაციონი, ა. ბეზიმენსკი, მ. სვეტლოვი, ნ. ტიხონოვი, ი. უტკინი, დ. ფურმანოვი, ა. სერაფიმოვიჩი, ბ. ლავრენევი, ა. მალიშკინი*) და შედარებით უფროსი თაობის წარმომადგენელთა ტრაგიკული მსოფლშეგრძნებები (*ა. ახმატოვა, ვ. ხლებნიკოვი, ო. მანდელშტამი, მ. ვოლოშინი, ე. ზამიატინი*). *ბ. პასტერნაკმა, ვ. მაიაკოვსკიმ, მ. ცვეტაევამ*, რომელთაც რევოლუციამდე სოციალური პრობლემები ჭეშმარიტი პოეზიისათვის შეუთავსებლად მიაჩნდათ, 20-იან წლებში სწორედ მათ მიმართეს. ს. ესენინის შემოქმედებაში აისახა გლეხური ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი წყობის დრამატული მსხვრევა, „სოფლური“ რუსეთის კვდომასთან დაკავშირებული მტანჯველი განცდები.

რევოლუციის შემდგომ ახალი პირობებისადმი ადამიანების ადაპტაცია ფაქიზი, ხშირად სარკაზმში გადასული იუმორით აისახა *მ. ზოშჩენკოს, ა. პლატონოვის, პ. რომანოვის, მ. ბულგაკოვის* ნაწარმოებებში. ტრაფარეტულობის არსებული სტერეოტიპებიდან გამოსვლისა და ახალი სამყაროსა და ახალი ტიპის პიროვნების ჩამოყალიბების მთელი სირთულის აღწერის მცდელობას მიმართავდნენ *ა. ფადეევი* რომანში „*რკინა*“, *მ. შოლოხოვი* „*წყნარი დონის*“ პირველ წიგნში, *კ. ფედინი* რომანში „*ქალაქები და წლები*“.

რევოლუციის შემდგომი ეპოქის აშკარა გამოვლინებაა *რუსული ემიგრაცია*. ნებაყოფლობით ქვეყანა დატოვა 2 მლნ-ზე მეტმა ადამიანმა. მათ შორის იყო შემოქმედებითი პროფესიების მრავალი წარმომადგენელი, საზღვარგარეთ აგრძელებდნენ თავიანთ მოღვაწეობას კომპოზიტორები *ს. რახმანინოვი, ი. სტრავინსკი*, მომღერალი *ფ. შალიაპინი*, ბალერინა *ა. პავლოვა*, ბალეტმეისტერი *გ. ბალანჩინი (გ. ბალანჩივაძე — რედ.)*, მხატვრები *კ. კოროვინი, მ. შაგალი*, მწერლები *ი. ბუნინი, ვ. ნაბოკოვი, დ. მერეჟკოვსკი, ა. კუპრინი*, მეცნიერები *ნ. ანდრუსოვი, ვ. ავაფონოვი, ა. ჩიჩიბაბინი*, ავიაკონსტრუქტორი *ი. სიკორსკი* და მრავალი სხვა.

რუსული ემიგრაციული გარემო რევოლუციისა და მის მიერ გამოწვეული ცვლილებების შეფასებაში ერთგვაროვანი არ ყოფილა. მისი ერთი ნაწილი გამოდიოდა უკიდურესად შეურიგებელი პოზიციიდან. მათი მანიფესტი გახდა *ი. ბუნინის* სიტყვა „*რუსული ემიგრაციის მისია*“, წარმოთქმული პარიზში 1933 წელს, მისთვის ნობელის პრემიის გადაცემის დროს. *კრებულ „გზის შეკვლაში*“ (პარიზი, 1921) გარშემო დაჯგუფებული მეორე ნაწილი კი საჭიროდ მიიჩნევდა რევოლუციის, როგორც არსებული ფაქტის, მიღებას და უარს აცხადებდა ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაზე. განურჩევლად

იმისა, თუ რა პოზიციაზე იდგა, რუსეთის საზღვრებს გარეთ აღმოჩენილმა თითქმის ყველა ინტელიგენტმა გაიარა მეტად ტრაგიკული გზა იმის გაცნობიერებისა, რომ მამულის გარეშე მათი შემოქმედებითი ბედი შეუძლებარი იყო.

ამრიგად, რევოლუციის შემდგომმა პირველმა ათწლეულმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ახალი კულტურის ჩამოყალიბებაში. საფუძველი ჩაეყარა ახალ მსოფლმხედველობას, ჩამოყალიბდა კულტურის ახალი, ნიჭიერ მოღვაწეთა პლეადა, კომუნისტურ იდეალებზე გაიზარდა მოზარდთა პირველი თაობა. ქვეყანაში შეიმჩნეოდა საზოგადოებისა და კულტურის ფართო პოლიტიზირება. ამისათვის ხელშემწყობ პირობებს ქმნიდა უწიგნურობის ლიკვიდაცია წიგნის საგამომცემლო საქმიანობისა და საგიტაციო — პროპაგანდისტულ კომპანიებთან ერთად. ეპოქის კულტურულ განვითარებაში ერთმანეთს შეეჯახა ორი ტენდენცია: ერთი — პირდაპირი რევოლუციური ზეწოლის, რეალობის სქემატიზაციისა და მეორე — გარდატეხის პერიოდის კანონზომიერებების ღრმა და, როგორც წესი, ტრაგიკული გააზრებისა. 20-იანი წლების მეორე მახასიათებელი ნიშანი იყო ლიტერატურულ-მხატვრული ცხოვრების სიჭრელე. საერთო ვაჭრობაში ეს იყო სიახლის, ინტენსიური შემოქმედებითი ძიებების დრო.

კულტურული მშენებლობა 30-იან წლებში

30-იანი წლები — ესაა ერთდროულად ტრაგიკული წინააღმდეგობებისა და საბჭოთა კულტურის უდიდესი მიღწევების დრო. „სოციალიზმის შეტევამ მთელ ფრონტზე“ გარდამჭრელი საქმიანობის არარსებული ენთუზიაზმი გამოიწვია. ცვლილებები შეეხო ცხოვრების ყველა სფეროს. *ა. ტვარდოვსკიმ* მწერლებს უწოდა „ადამიანური სულის ინჟინრები“. ვაშენებთ რა დნეპროჰესს — ავაშენებთ ახალ კულტურას, შევქმნით ახალ ადამიანს. სტახანოველები, ჩელიუსკინელები, პაპანინელები — დაიბადნენ ენთუზიაზმის ტალღაზე. ქალები სხდებოდნენ ტრაქტორზე, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში გაჩაღებული იყო სოციალისტური შეჯიბრება გეგმური ვალდებულებების შესრულებისთვის.

შემოქმედებითი აქტივობის ტალღა მნიშვნელოვნად განისაზღვრებოდა ქვეყანაში უწიგნურობის ლიკვიდაციის პროცესით. 1937 წლისთვის სსრკ-ში წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვმა 81%-ს მიაღწია, ხოლო რსფსრ-ში 88%-ს. ქვეყანაში განხორციელდა საყოველთაო დაწყებითი სწავლება. თუ საბჭოთა წყობილების პირველ ათწლეულში ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებს ყოველწლიურად

დაახლოებით 30 ათასი ადამიანი ამთავრებდა, 30-იან წლებში მათმა რიცხვმა 70 ათასს მიაღწია. ინტელიგენციის რიცხვი 1926 წლის მაჩვენებლით 3 მლნ-დან 1926 წლისათვის 14 მლნ ადამიანამდე გაიზარდა. ამ ფენის აბალმა შევსებამ მისი საერთო შემადგენლობის 90% შეადგინა. შეიცვალა მისი იდეურ-პოლიტიკური სახე და სოციოკულტურული სტატუსი. 1936 წ. კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ მშრომელი სოციალისტური ინტელიგენცია ამიერიდან შეადგენს ქვეყნის მშრომელი მოსახლეობის განუყოფელ ნაწილს.

30-იანი წლების მხატვრული ცხოვრება მმართველობის სადავეებქვეშ მოექცა. თუმც ამ ფაქტის, როგორც მხოლოდ უარყოფითის შეფასება, მართებული არ იქნებოდა. გადახრების მიუხედავად, ინტელიგენციის შემოქმედებითი აქტივობა არა თუ დაიშრიტა, პირიქით, აღმოცენდა ტალანტური ნაწარმოებების ჭეშმარიტად უბადლო ნიმუშები.

1932 წელს საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურმა კომიტეტმა (ЦК ВКП (б)) მიიღო დადგენილება „ლიტერატურულ-მხატვრული ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ“, რომელიც საბჭოთა წყობილების მხარდამჭერ და სოციალისტურ მშენებლობაში მონაწილეობის მსურველ ყველა მწერალს საბჭოთა მწერლების ერთიან კავშირში გაერთიანებისკენ მოუწოდებდა. ანალოგიური ცვლილებების გატარება იგო გათვალისწინებული ხელოვნების ყველა სხვა სფეროშიც. ასე შეიქმნა მწერალთა, მხატვართა, კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირები, რომლებიც იდეურ კონტროლს აწარმოებდნენ ქვეყნის ინტელიგენციის საქმიანობაზე.

1935-1937 წლებში სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით გაიმართა დისკუსია ლიტერატურასა და ხელოვნებაში ფორმალიზმისა და ნატურალიზმის საკითხებზე. ფორმალიზმში ბრალდებული იყვნენ კომპოზიტორები: *დ. შოსტაკოვიჩი, რეჟისორი ვ. მეიერჰოლდი, მხატვარი ა. დაინეკა, ვ. ფავორსკი.* „ფორმალისტურ უცნაურობათა“ ბრალდება წაუყენეს მწერლებს: *ი. ბაბელს, ი. ოლეშს,* პოეტებს: *ბ. პასტერნაკს, ნ. ზაბოლოცკის, კინორეჟისორებს ს. ეიზენშტეინს და ა. დოვჟენკოს.* მკვეთრი კრიტიკა ზოგს სიცოცხლის ფასად დაუჯდა (პოეტები *ბ. კორნილოვი, პ. ვასილიევი, ო. მანდელშტამი, ვ. მეიერჰოლდი*), სხვებთან კი მათ მიერ შექმნილი ნაწარმოებების დავიწყებაში გამოიხატა (*მ. ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა“, ა. ახმატოვას „რეკვიემი“, ა. პლატონოვის „ჩევენგური“ „მოგზაურობა ფანტასტიკურ ქალაქ ჩევენგურში“*).

30-იან წლებში დაფუძნდა საბჭოთა ხელოვნების ახალი მეთოდი — *სოციალისტური რეალიზმი.* მისი თეორია 1934 წელს სსრკ მწერალთა I ყრილობაზე ნ. ი. ბუხარინის მიერ იქნა წარმოდგენილი. სოციალისტური რეალიზმი გამოცხადდა შემოქმედების მეთოდად და სტილად, რომელიც შემოქმედთაგან მოითხოვდა სინამდვილის მართალ, სოციალიზმის სულისკვეთებით ისტორიულად კონკრეტულ გამოსახვას მშრომელთა იდეური გარდაქმნისა და აღზრდის ამოცანასთან შერწყმასთან ერთად.

30-იანი წლების ლიტერატურული ცხოვრება აღინიშნა მნიშვნელოვანი ნაწარმოებების შექმნით, რომელთაც შეადგინეს საბჭოთა ლიტერატურის კლასიკა. ამ დროს გამოვიდა *მ. გორკის „კლიმ სამგინის ცხოვრების“* მეოთხე წიგნი, *მ.ა. შოლოხოვის „წყნარი დონის“* ბოლო წიგნი და რომანი *„ათტეხილი ყამირი“, ა.ნ. ტოლსტოის* რომანი *„პეტრე პირველი“, ლ.მ. ლეონოვის* რომანი *„სოტ“, ნ.ა. ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“.*

დრამატურგიულ ნაწარმოებებს შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა *ნ.ფ. პოგოდინის „ადამიანი თოფით“, ვ.ვ. ვიშნევსკის „ოპტიმისტური ტრაგედია“* და *ა.ე. კორნეიჩუკის „ესკადრის დალუპვა“.* ისტორიისა და თანამედროვეობის ეპიკური გაანალიზება აისახა პოემებში: *ა.ტ. ტვარდოვსკის „ჭურავიას ქვეყანა“,* (*„სისულელეების ქვეყანა“*), *პ.ნ. ვასილიევის* პოემა *ყაზახურ თემაზე „მარილიანი ამბობი“, ნ.ი. რილენკოვის „დიდი გზა“.*

კოლექტიურ-დამკვრელური შრომის ეპოქამ ცხოვრებაში შემოიტანა *მასობრივი სიმღერა და სიმღერა-მარში.* იმ დროს დაიბადა *ვ.ი. ლებედევ-კუმაჩის „დიდია ჩემი მშობლიური ქვეყანა“* (*„შიროკა სტრანა“...*), *ბ.პ. კორნილოვის „სიმღერა შემხვედრზე“, მ.ვ. ისაკოვსკის „კატიუშა“.*

30-იან წლებში ქვეყანაში პირველად შეიქმნა კინემატოგრაფიის საკუთარი ბაზა. ეკრანებზე გამოვიდა კინოკომედიები *„მხიარული ბიჭები“, „ცირკი“, „ვოლგა-ვოლგა“, „წითელი გზა“.* ისტორიისა და რევოლუციის გმირებისადმი მიძღვნილი ფილმების ციკლი: *„პეტრე პირველი“, „ბოვდან ხმელნიცკი“, „სუვოროვი“, „ალექსანდრე ნეველი“, „ჩაპაევი“, „ბალტიკის დეპუტატი“.* მთელ ქვეყანაში ქუხდა კინორეჟისორების *ს. მ. ეიზენშტეინის, მ. ი. რომის, ს. ა. გერასიმოვის, გ. ვ. ალექსანდროვის* სახელები.

30-იანი წლების მუსიკალური მიღწევები დაკავშირებულია *ს. ს. პროკოფიევის, დ. დ. შოსტაკოვიჩის, ა. ი. ხაჩატურიანის, დ. ბ. კაბალევსკის, ი. ო. დუნაევსკის* სახელებთან. 30-იან წლებს ეთხვევა

დირიჟორების *ე. ა. მრავინსკის, ა. ვ. გაუკის, ს. ა. სამოსუდის*, მომღერლების *ს. ი. ლემეშევის, ი. ს. კოზლოვსკის*, პიანისტების *მ. ვ. იუდინის, ი. ვ. ფლიერის* შემოქმედებითი მოღვაწეობის აყვავება.

1932 წ. დაარსდა კომპოზიტორთა კავშირი, შეიქმნა განთქმული ანსამბლები: ბეთჰოვენის სახელობის კვარტეტი, დიდი სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი. 1940 წელს გაიხსნა პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზი.

ფერწერაში, ისევე როგორც კინემატოგრაფიაში, გამოჩნდა სიცოცხლისმოყვარე სურათის ჟანრი, რომელიც უმღეროდა „უბრალო ცხოვრების სიმართლეს". მისი ყველაზე ცნობილი ნიმუშებია *ს. ვ. გერასიმოვის* ტილოები *„საკოლმეურნეო დღესასწაული"* და *ა. ა. პლასტოვის „დღესასწაული სოფელში"*.

სოციალისტური რეალიზმის ერთ-ერთი წამყვანი მხატვარი იყო *ბ. იოჰანსონი*. 30-იან წლებში მის მიერ შექმნილია ქრესტომათიულად ცნობილი ტილოები: *„ურალის ძველ ქარხანაში"* და *„კომუნისტის დაკითხვა"*.

ფართო მშენებლობებმა განაპირობა მონუმენტური ფერწერის წინა პლანზე წამოწევა. ამ მიმართულებით მუშაობდნენ მხატვრები *ე. ე. ლანსერე* (მოსკოვის კაზანის ვაგზლის და სასტუმრო „მოსკოვის" რესტორნების დარბაზთა მოხატულობა, მაიოლიკური პანო *„მეტრომშენებლები"* მეტროს სადგურ „კომკავშირულში"), *ა.ა. დეინეკა* (მეტროს სადგურების „მაიაკოვსკის" და „ნოვოკუზნეცკის" მოზაიკები), *მ.გ. მანიზერი* (მეტროს სადგურ „რევოლუციის მოედნის" სკულპტურული ჯგუფები).

აყვავება განიცადა წიგნის გრაფიკამაც. მხატვრული ნაწარმოებების ილუსტრაციებს ქმნიდნენ მხატვრები *ვ.ა. ფავორსკი, ე.ა. კიბრიკი, დ.ა. შმარინოვი, ს.ვ. გერასიმოვი, ე.ი. ჩარუშინი, ი.ა. ვასნეცოვი, ვ.მ. კონაშევიჩი*.

ომის წინა წლებში მსოფლიო აღიარება მოიპოვა საბჭოთა მეცნიერებამ. დაიწყო მუშაობა ატომის ბირთვის შესწავლის, რადიოფიზიკისა და რადიოელექტრონიკის სფეროებში. 30-იან წლებში აგრძელებდნენ მუშაობას *ვ.ი. ვერნადსკი, ი.პ. პავლოვი, კე. ციოლკოვსკი, ი.ვ. მიჩურინი*. ახალგაზრდა მეცნიერთა შორის გამოირჩეოდნენ *ა.ა. ტუპოლევი, ი.ვ. კურჩატოვი, პ.ლ. კაპიცა*. მსოფლიო აღიარება ჰპოვა *ი.დ. პაპანინის* ხელმძღვანელობით სადგურ „ჩრდილოეთ პოლუსის" გამოკვლევებმა, საბჭოთა თვითმფრინავების შეუსვენებელმა გადაფრენებმა, რომელთაც მართავდნენ *ვ.პ. ჩკალოვი, მ.მ. გრომოვი, ა.ვ. ბელიაკოვი, ვ.კ. კოკინაკი* და ქალთა ეკიპაჟი *მ.მ. რასკოვას, პ.დ. ოსიპენკოს, ვ.ს. გრიზოდუბოვას* შემადგენლობით.

30-იან წლებში გამკაცრდა ხელისუფლების ეკლესიასთან დამოკიდებულება. შეიქმნა რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლის სისტემა. ფართოდ გაიშალა მართლმადიდებლური ტაძრების დახურვის კამპანია. მასიური ხახე მიიღო უძველესი ეკლესიებისა და ტაძრების განადგურებამ. სასულიერო საქმიანობა მკაცრად შეიზღუდა. რელიგიასთან უკომპრომისო ბრძოლის ჩარჩოებში გაიშალა საეკლესიო ზარების განადგურების კამპანია. ამრიგად, ეკლესია საბოლოოდ მოექცა სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ.

საბჭოთა კულტურა დიდი სამამულო ომის წლებში

ფაშისტურ გერმანიასთან ომის წლებში უპირატესობა ენიჭებოდა კულტურული მუშაობის ისეთ ოპერატიულ ფორმებს, როგორიცაა რადიო, კინემატოგრაფია, ბეჭდვითი საქმე. ომის პირველი დღეებიდანვე მყისეულად გაიზარდა რადიოს მნიშვნელობა. საინფორმაციო ბიუროს უწყებები დღეში 18-ჯერ გადაიცემოდა 70 სხვადასხვა ენაზე. არნახულ აყვავებას მიაღწია საპლაკატო ხელოვნებამ. დიდი ემოციური დატვირთვის მატარებელი იყო *ი.მ. თოიძის* პლაკატი *„დედა-სამშობლო გიხმობს!"*, *ვ.ბ. კორეცკის* პლაკატი *„წითელი არმიის მეომარო, გადაარჩინე!"*

1941 წელს ფართო ხასიათი მიიღო კულტურულ დაწესებულებათა ევაკუაციამ. ჯერ კიდევ 1941 წელს მოხერხდა მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინისა და ბელორუსიის 60 თეატრის გადაადგილება. „ლენფილმისა" და „მოსფილმის" ევაკუირებული კინოსტუდიების ბაზაზე ალმა-ატაში დაარსდა ცენტრალური გაერთიანებული კინოსტუდია, სადაც მუშაობდნენ კინორეჟისორები *ს. ეიზენშტეინი, ვ. პუდოვკინი, ძმები ვასილიევები, ი. პირიევი*. ომის წლებში შეიქმნა 34 სრულმეტრაჟიანი ფილმი და თითქმის 500 კინოჟურნალი. მათ შორის *ი.ა. პირიევის „რაიკომის მდივანი"*, *ლ.დ. ლუკოვის „ორი მებრძოლი"*, დოკუმენტური ფილმი: *„გერმანული ჯარების განადგურება მოსკოვთან"*[1].

ფრონტის კულტურული მომსახურების მიზნით იქმნებოდა საფრონტო ბრიგადები და თეატრები. ომის წლებში მათ

[1] ფილმის რეჟისორს თბილისელ ლეონიდ ვარლამოვს პირველს სსრკ-ში 1943 წ. მიენიჭა აშშ-ს პრემია „ოსკარი" (ქართ. ნაწ. რედ. – ს. ბარამიძე).

შემადგენლობაში მუშაობდა 40 ათასზე მეტი კულტურის მუშაკი. მათ შორის იყვნენ მსახიობები *ი.ი. მოსკვინი, ა.კ. ტარასოვა, ნ.კ. ჩერკასოვი, მ.ი. ცარიოვი.*

ათასზე მეტი მწერალი და პოეტი მუშაობდა მოქმედ არმიაში კორესპონდენტად. ათ მწერალს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება: *მ. ჯალილს, პ. გერშევორას, ა. გაიდარს, ა. სურკოვს, ე. პეტროვს, ა. ბეკს, კ. სიმონოვს, მ. შოლოხოვს, ა. ფადეევს, ნ. ტიხონოვს.* ომის წლებში შეიქმნა მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოებები: კ. სიმონოვის მოთხრობა „დღეები და ღამეები“, ა. ტვარდოვსკის პოემა „ვასილი ტიორკინი“, ა. ფადეევის რომანი „ახალგაზრდა გვარდია“.

ეპოქის წამყვანი ლიტერატურული ჟანრი გახდა საბრძოლო ლირიკული სიმღერა: „მიწურა“, „სალამო რიდზე“, „პულკოვნიკები“, „ბნელი ღამე“. ომი და საბჭოთა ადამიანების გმირობა აისახა მხატვართა ტილოებზე: *ა. დეინეკის* „სევასტოპოლის დაცვა“, *ს. გერასიმოვის* „პარტიზანის დედა“, *ა. პლასტოვის* „ფაშისტმა გადაიფრინა“.

ბლოკადაში მყოფი ლენინგრადის კულტურული ცხოვრების ყველაზე ნათელი ფურცელი გახდა ქალაქის დამცველებისადმი მიძღვნილი *დ. შოსტაკოვიჩის შეშვიდე ლენინგრადული სიმფონიის პრემიერა.*

ომის წლებში სამეცნიერო კვლევათა თემატიკა განისაზღვრებოდა სამი ძირითადი მიმართულებით: საბრძოლო-ტექნიკური პროექტების დამუშავება, მრეწველობის, განსაკუთრებით საომარი მრეწველობის სამეცნიერო აღჭურვა, ნედლეული რესურსების მობილიზაცია. 1941 წელს შეიქმნა ურალის, დასავლეთ ციმბირის და ყაზახეთის რესურსთა მობილიზაციის კომისია *ა.ა. ბაიკოვის, ი.პ. ბარდინის* და *ს.ვ. სტრუმილინის* ხელმძღვანელობით. 1943 წელს სპეციალურმა ლაბორატორიამ ფიზიკოს *ი.ვ. კურჩატოვის* მეთაურობით განაახლა მუშაობა ურანის ბირთვის დაშლის მიმართულებით.

მთელი რიგი ცვლილებები განიცადა განათლების სისტემამ. იქმნებოდა ახალი ტიპის სასწავლო დაწესებულებები — *სკოლა-ინტერნატები* მოზარდთათვის და *სალამოს სკოლები* მშრომელი ახალგაზრდებისათვის. სასკოლო პროგრამებში შეიცვა სამხედრო მომზადება, ხოლო უფროსკლასელები სწავლას უთავსებდნენ საწარმოსნოებში, სამრეწველო საწარმოებსა და სოფლის მეურნეობაში მუშაობას. მშვიდობიან პერიოდთან შედარებით 3-ჯერ და მეტად შემცირდა უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების რაოდენობა,

ხოლო 2-ჯერ — მასწავლებლების რიცხვი. სწავლების ვადა საშუალოდ 3-3,5 წელს შეადგენდა. დიდად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1943 წელს რსფსრ პედაგოგიური აკადემიის დაარსება აკადემიკოს *ვ.პ. პოტიომკინის* მეთაურობით.

დამპყრობთა ბოროტმოქმედების შემსწავლელმა კომისიამ კულტურული ქონების განადგურების შეფასებისას ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარე 991 მუზეუმიდან დანგრეულად დაასახელა 430 მუზეუმი, 44 ათასი კულტურის სასახლე და ბიბლიოთეკა. გაძარცული იქნა იასნაია პოლიანაში *ლ.ნ. ტოლსტოის*, მიხაილოვსკში — *ა.ს. პუშკინის*, კლინში — *პ.ი. ჩაიკოვსკის* სახლ-მუზეუმები. სამუდამოდ დაიკარგა XII საუკუნით დათარიღებული ნოვგოროდის სოფიის ტაძრის ფრესკები, ჩაიკოვსკის ხელნაწერები, რეპინის, სეროვის, აივაზოვსკის ტილოები.

ომის წლებში ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობაში ერთგვარი „დათბობა“ შეიმჩნეოდა. 1945 წელს არჩეული იქნა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი *ალექსი* (სიმანსკი). სსრკ სახალხო კომესართა საბჭოს დადგენილებით გამიზნული იყო რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეების საბჭოს შექმნა, მართლმადიდებლური სალვთისმეტყველო ინსტიტუტის, აგრეთვე სალვთისმეტყველო — მოძღვართა კურსების გახსნა. დადგენილებაში იყო დამატებითი შენიშვნა ეკლესიების გახსნის შესახებ. 1945 წლის აგვისტოში საბჭოთა მთავრობამ რელიგიურ ორგანიზაციებს მიანიჭა იურიდიული პირის უფლება საეკლესიო საჭიროებისათვის სახლების, ტრანსპორტისა და ქონების იჯარის, მშენებლობისა და შეძენის ნაწილში.

ამრიგად, ძნელბედობის წლებში საბჭოთა კულტურამ არა მხოლოდ აჩვენა თავისი სიცოცხლისუნარიანობა, არამედ ქმედითად გამოამჟღავნა თავისი საუკეთესო ტრადიციები — მაღალი მოქალაქეობრიობა, პატრიოტულობა, იდეურ-ზნეობრივი სიმაღლე, გულისხმიერება, თანამგრძნობელობა, ხალხურობა. ომისწინა და ომისდროინდელმა ეპოქამ ერთგვარი ისტორიული განაჩენი გამოიტანა. ახალი სოციალისტური კულტურა შესდგა!

კულტურა ომისშემდგომ პირველ ათწლეულში

ომიდან მშვიდობიან პერიოდზე გადასვლამ ხელშემწყობი პირობები შექმნა კულტურის განვითარებისთვის, მნიშვნელოვნად გაიზარდა მისთვის განკუთვნილი სახელმწიფო ხარჯები. კულტურის სფეროების ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის განმტკიცებას ხელი შეუწყო სსრკ

უმაღლესი განათლების სამინისტროს დაარსებამ, სკკპ (ბ) ცკ-თან მეცნიერებისა და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების განყოფილების, აგრეთვე სსრკ კულტურის სამინისტროს შექმნამ.

დიდი ყურადღება ეთმობოდა სამეცნიერო კვლევათა ტერიტორიული ბაზის განმტკიცებას. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ახალი ფილიალები პირველად შეიქმნა იაკუტიაში, დაღესტანში, აღმოსავლეთ ციმბირში. 40-იანი წლების მეორე ნახევარში გაიხსნა ზუსტი მექანიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ინსტიტუტი, რადიოტექნიკისა და ელექტრონიკის ინსტიტუტი, გამოყენებითი გეოფიზიკის ინსტიტუტი, ფიზიკური ქიმიის ინსტიტუტი, ატომური ენერგიის ინსტიტუტი, ბირთვული პრობლემების ინსტიტუტი. მშენებლობის დასახმარებლად 1950 წელს შეიქმნა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის კომიტეტი მისი პრეზიდენტის *ს. ი. ვავილოვის* მეთაურობით.

უკანასკნელ წლებში ცენტრალური ადგილი დაიკავა პარტიის იდეოლოგიურმა მუშაობამ. მრავალრიცხოვანი პარტიული დადგენილებები ეხებოდა პრობლემათა ფართო სპექტრს, მოიცავდა საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს. ძირითადი ძალისხმევა მიმართული იყო ქვეყნის საბალხო მეურნეობის აღდგენის მიღწევების პროპაგანდისა და საბჭოური ცხოვრებისათვის მიუღებელი მოვლენების კრიტიკისაკენ.

ქვეყნის წამყვან იდეოლოგიურ დაწესებულებად რჩებოდა: მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტი, რომელსაც 1956 წ. მიენიჭა სკკპ ცკ-ის მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის სახელი, და უმაღლესი პარტიული სკოლა. მათ დაემატა პარტიის ცკ – თან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია (1946), ორწლიანი პარტიული სკოლები და გადამზადების კურსები. 1947 წელს შეიქმნა პოლიტიკური და სამეცნიერო ცოდნის გავრცელების საკავშირო საზოგადოება („ცოდნა“) სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ს. ი. ვავილოვის მეთაურობით.

ომის შემდგომ იდეურ-პოლიტიკური ვითარება რთული აღმოჩნდა. შეიცვალა საზოგადოების ფსიქოლოგიური კლიმატი. ადამიანებს აუმაღლდათ საკუთარი ღირსების გრძნობა, გაუფართოვდათ თვალსაწიერი. დიდ პრობლემად რჩებოდა ბავშვთა მიუსაფრობა, ბანაკებსა და გადასახლებებში იგზავნებოდნენ ყოფილი საბჭოთა სამხედრო ტყვეები და ოკუპაციის დროს ქვეყნიდან ძალით განდევნილი სამოქალაქო პირები.

ქვეყანაში საზღვარგარეთის მიმართ პირმოთნეობის წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლა განსაკუთრებით ხელისშემშლელი იყო

საერთაშორისო ურთიერთობებისათვის მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში. კვანტური მექანიკისა და კიბერნეტიკის სფეროში უცხოელ მეცნიერთა უდიდესი მიღწევები მატერიალიზმისათვის მტრულად იყო გამოცხადებული. სიცრუედ იყო მიჩნეული გენეტიკა და მოლეკულური ბიოლოგია. ამ სფეროებში გამოკვლევები პრაქტიკულად შეჩერებული იყო. აგრობიოლოგიის დარგში მონოპოლური მდგომარეობა დაიკავა აკადემიკოს *ტ.დ. ლისენკოს* ჯგუფებმა, რომელიც ქვეყნის ხელისუფლების მხარდაჭერით სარგებლობდა.

40-იანი წლების ტიპიურ მოვლენად იქცა წინასამუშაო კამპანიები და იდეური დისკუსიები. ასეთი დისკუსიები ტარდებოდა ფილოსოფიის, ისტორიის, პოლიტეკონომიის, ენათმეცნიერების სფეროში. რიგი ჟურნალები, ზოგიერთი დრამატურგიული დადგმები, *ვ. პურადელის* ოპერა *„დიადი მეგობრობა“*, კინოფილმი *„დიდი ცხოვრება“* აპოლიტიკურად, არაიდეურად, ბურჟუაზიული იდეოლოგიის პროპაგანდად გამოცხადდა. კრიტიკის დარტყმის ქვეშ მოექცნენ *ა. ახმატოვა, მ. ზოშჩენკო, დ. შოსტაკოვიჩი*. ფართო მასშტაბებს მიაღწია კოსმოპოლიტიზმსა და ფორმალიზმთან ბრძოლის კამპანიამ. ფორმალიზმში იქცნენ კვლავ ბრალდებულნი *დ. შოსტაკოვიჩი, ს. პროკოფიევი, ნ. მასკოვსკი, ვ. შებალინი, ა. ხაჩატურიანი*. ხელოვნებაში ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაერთო 1948 წ. დაარსებული სსრკ სამხატვრო აკადემია *ა.მ. გერასიმოვის* მეთაურობით.

შემოქმედებით ინტელიგენციაზე იდეოლოგიური ზეწოლის გაძლიერების პოლიტიკამ გამოიწვია ხელოვნებისა და ლიტერატურის ახალი ნაწარმოებების რიცხვის რამდენადმე შემცირება. ასე მაგალითად, თუ 1945 წ. გამოვიდა 45 სრულმეტრაჟიანი კინოფირი, 1951 წ. – მხოლოდ 9. ავტორები იძულებულნი იყვნენ მუდმივად გადაეკეთებინათ თავიანთი ნაწარმოებები მიცემული მითითებების შესაბამისად. ასეთი ბედი ეწია, მაგალითად, *ა.პ. დოვჟენკოს* კინოფილმს *„მიჩურინი“*, *ნ.ფ. პოგოდინის* დრამას *„მსოფლიოს შუქნა“*. ომისშემდგომი ეპოქის უმნიშვნელოვანეს ლიტერატურულ ნაწარმოებებს შორის აღსანიშნავია *კ.გ. პაუსტოვსკის „შორეული წლები“*, *კ.ა. ფედინის „პირველი სიხარულები“* და *„უჩვეულო ზაფხული“*, *ე.გ. კაზაკევიჩის „ვარსკვლავი“*. საბჭოთა კინოხელოვნების კლასიკაში შევიდა ფილმები – *ს.ა. გერასიმოვის „ახალგაზრდა გვარდია“* და *მ.ე. ჩიაურელის „შეხვედრა ელბეზე“*.

საბჭოთა კულტურა ხრუშჩოვის „დათბობის“ პერიოდში

XX ს. მეორე ნახევარში რუსეთის კულტურულ მდგომარეობას განსაზღვრავდა საბჭოთა პოლიტიკური

სისტემის კარდინალური ძვრები. 1953 წელს ხელისუფლებაში *ნ.ს. ხრუშჩოვის* მოსვლით დაიწყო ფართომასშტაბიანი ლიბერალიზაცია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. გარდატეხა კულტურაში უკვე შეიმჩნეოდა 60-იანი წლების დასაწყისში და იგრძნობოდა ამ ათწლეულის დასასრულამდე. საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის პროცესმა მიიღო „დათბობის“ სახელწოდება, *ი. გ. ერენბურგის* ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით. საბჭოურ საზოგადოებაში ცვლილებების ეპოქა დაემთხვა გლობალურ სოციოკულტურულ გადატრიალებას. 60-იანი წლების II ნახევარში მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში გააქტიურდა ახალგაზრდული მოძრაობა, რომელიც წინ აღუდგა სულიერების ტრადიციულ ფორმებს. პირველად ღრმა გაცნობიერებასა და ახალ მხატვრულ ხედვას დაექვემდებარა XX საუკუნის ისტორიული შედეგები. მთელი სიძლიერით გაჟღერდა რუსეთისათვის საბედისწერო „მამათა და შვილთა“ საკითხი.

საბჭოთა საზოგადოებისათვის ცვლილებების ზღურბლად იქცა სკკპ XX ყრილობა (1956 წ. თებერვალი). სულიერი განახლების პროცესი დაიწყო ოქტომბრის რევოლუციის იდეალებისაგან განდგომის გამო „მამათა“ პასუხისმგებლობის საკითხის განხილვით. დაიწყო ორი საზოგადოებრივი ძალის – განახლების მომხრეებისა და მისი მოწინააღმდეგეების – დაპირისპირება.

მწერალთა გარემოც დანაწევრდა დემოკრატიულ ბანაკად – *ჟურნალების „იუნოსტი“-ს* და *„ნოვი მირ“-ის* ხელმძღვანელობით და კონსერვატიულ ბანაკად – ჟურნალების *„ოქტომბერი“, „ნევა“* და მათი მიმდევარი ჟურნალების *„ნაშ სოვრემენნიკ“* და *„მოლოდაია გვარდია“-ს*, მეთაურობით. რეაბილიტირებული იქნა *ი.ნ. ტინიანოვის* და *მ.ა. ბულგაკოვის* შემოქმედება. 1957 წელს თითქმის ოთხმეტწლიანი შესვენების შემდეგ განახლდა *მ.ა. ბულგაკოვის* პიესის *„ბრბოლა“* დადგმა, ხოლო 1966 წელს პირველად იქნა გამოქვეყნებული 30-იან წლებში დაწერილი რომანი *„ოსტატი და მარგარიტა“*. განახლებული იქნა აგრეთვე ჟურნალის *„ინოსტრანნაია ლიტერატურა“* გამოცემა, რომლის ფურცლებზეც იბეჭდებოდა ახალგაზრდების შორის ძალზედ პოპულარული *ე.მ. რემარკისა* და *ე. ჰემინგუეის* ნაწარმოებები.

50-იანი წლების ბოლოს ქვეყნის ლიტერატურულ ცხოვრებაში აღმოცენდა ახალი მოვლენა – *სამიზდატი*. ასეთი სახელწოდება მიიღო შემოქმედებითი ახალგაზრდობის მანქანაზე ნაბეჭდმა ჟურნალებმა, რომლებიც ოპოზიციურად იყო განწყობილი საბჭოთა სინამდვილის რეალიების მიმართ. პირველი ასეთი ჟურნალი ახალგაზრდა

პოეტის *ა. გინზბურგის* მიერ დაარსებული *„სინტაქსისი“* აქვეყნებდა *ვ. ნეკრასოვის, ბ. ოკუჯავას, ვ. შალამოვის, ბ. ახმადულინას* აკრძალულ ნაწარმოებებს.

„დათბობის“ წლებში შეიქმნა მოქალაქეობრივი გრძნობითა და სოციალისტური სამშობლოს ბედზე ზრუნვით განმსჭვალული მაღალმხატვრული ღირებულების მქონე ლიტერატურული ნაწარმოებები. ესაა *ა.ტ. ტვარდოვსკის* პოემები *„ტიორკინი ამ ქვეყნად“* და *„შორეთის შემდგომ – შორეთი“*, *გ.გ. ნიკოლაევის* რომანი *„ბრძოლა გზაზე“*, *ე.ვ. კაზაკევიჩის* მოთხრობა *„ლურჯი რვეული“*. *ე.ა. ევტუშენკოს* ლექსი *„სტალინის მემკვიდრეები“*. *ა.ი. სოლჟენიცინის* მოთხრობამ *„ივან დენისოვიჩის ერთი დღე“* ძლიერი ტრაგიკული სიმწვავის მეოხებით ავტორს არნახული დიდება მოუტანა. ჟურნალ *„იუნოსტის“* ფურცლებზე დაიბადა *„საალმსარებლო ლიტერატურის“* ახალი ლიტერატურული ჟანრი, რომელიც აღწერდა ახალგაზრდა თაობის ეჭვებსა და შფოთვას.

მიუხედავად დემოკრატიული სიახლეებისა, კულტურის სფეროში შენარჩუნებული იყო კომუნისტური იდეოლოგიის ხელმძღვანელი მდგომარეობა. სახელმწიფოს მეთაური ნ.ს. ხრუშჩოვი აშკარად მიისწრაფოდა მხატვრული ინტელიგენციის პარტიის მხარეზე გადაბრისაკენ, განიხილავდა რა მათ *„მეავტომატეთა“* ხარისხში.

„დამუშავებული“ კამპანიების ტრადიცია შენარჩუნებული იყო. 1957 წელს საზოგადოებრივ განსჯას დაექვემდებარა *ვ.დ. დუდინცევის* რომანი *„არა პურითა ერთით“*, რომელმაც გახსნა ლიტერატურაში რეპრესიების თემა. 1958 წელს ქვეყანაში იქუხა *„პასტერნაკის საქმემ“*. თვითონ პირადად ნ.ს. ხრუშჩოვი გამოვიდა პოეტ *ა.ა. ვოზნესენსკის* წინააღმდეგ, რომლის ლექსები გამოირჩეოდა გართულებული სახიერებით, აგრეთვე კინორეჟისორების *მ.მ. ხუციევის* – ავტორი ფილმებისა *„ვაშაფხებული ბარემნაის ქუჩაზე“* და *„ორი თვალთრე“* და *მ.ი. რომის* – დამდგმელი ფილმისა *„ერთი წლის ცხრა დღე“* წინააღმდეგ. 1962 წლის დეკემბერში მანეჟის მოედანზე ახალგაზრდა მხატვართა გამოფენის დათვალიერებისას ხრუშჩოვმა *„ფორმალისტებსა“* და *„აბსტრაქციონისტებს“* განკითხვა მოუწყო. შემოქმედებითი ინტელიგენციის საქმიანობის კონტროლი ხორციელდებოდა აგრეთვე კულტურის წამყვან მოღვაწეებთან ქვეყნის ხელმძღვანელთა შეხვედრების საშუალებითაც.

ნ.ს. ხრუშჩოვმა კულტურულ პოლიტიკაზე დიდი პირადი გავლენა იქონია. ის იყო *ა.ი. სოლჟენიცინის* გატარების ინიციატორი. 1958 წ. კანონმა ქვეყანაში შემოიტანა სავალდებულო

რვაწლიანი არასრული საშუალო განათლება და სრულ საშუალო სკოლაში სწავლის ვადა გაზარდა 11 წლამდე. შემოღებული იქნა უფროსკლასელთა საველდებულო საწარმოო სწავლება. უმაღლეს სასწავლებლებში მოწყობა შესაძლებელი გახდა მხოლოდ ორწლიანი საწარმოო სტაჟის არსებობის შემთხვევაში.

ქვეყნის ლიდერის ინიციატივით კულტურის სხვა სფეროების მსგავსად მეცნიერების სისტემამაც განიცადა სერიოზული საორგანიზაციო გარდაქმნა. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში დარჩა მხოლოდ ფუნდამენტური გამოკვლევები. გამოყენებითი თემატიკები გადაეცემოდა სპეციალურ ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებს, რომელთა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. დუბნში შეიქმნა ბირთვულ გამოკვლევათა გაერთიანებული ინსტიტუტი, პროტვინოში მოქმედებდა უმაღლეს ენერგიათა ფიზიკის ინსტიტუტი, ზელენოგრადში – ელექტრონული ტექნიკის ინსტიტუტი, ხოლო დაბა მენდელეევში – ფიზიკურ-ტექნიკურ და რადიოტექნიკურ გამოთვლათა ინსტიტუტი. მეცნიერების პრიორიტეტულ სფეროებად იქცა ატომური ენერგეტიკა, ელექტრონიკა და კოსმოსური გამოკვლევები. 1954 წელს ობნინსკში ამუშავდა მსოფლიოში პირველი ატომური ელექტროსადგური. გამოთვლითი ტექნიკის განვითარებაში შეუფასებელი წვლილი შეიტანა საბჭოთა მეცნიერმა *ს.ა. ლებედევმა*, რომელიც იდგა პირველი საბჭოთა ელექტრო გამომთვლელი მანქანის შექმნის სათავეებთან.

50-60-იან წლებში ყველაზე დიდ წარმატებებს საბჭოთა მეცნიერებამ მიაღწია კოსმოსისა და რაკეტმშენებლობის სფეროში. 1957 წლის 4 ოქტომბერს გაშვებული იქნა მსოფლიოში პირველი კოსმოსური თანამგზავრი, რომელმაც გახსნა კაცობრიობის კოსმოსური ერა. 1961 წლის 12 აპრილს პირველად კაცობრიობის ისტორიაში მფრინავმა *ი.ა. გაგარინმა* მოახდინა კოსმოსში გაფრენა ხომალდ „ვოსტოკით“. პირველი კოსმოსური თანამგზავრები, ხომალდები, რაკეტები შეიქმნა მეცნიერ-კონსტრუქტორის *ს.პ. კოროლიოვის* ხელმძღვანელობით. მოსკოვთან ახლოს დაბა „ზვიოზდნიში“ შეიქმნა კოსმონავტთა მომზადების ცენტრი. ყაზახეთში აგებულ იქნა პირველი კოსმოდრომი ბაიკონური.

60-80-იანი წლების ქვეყნის კულტურული ცხოვრება

საბჭოთა ისტორიის ახალი ეპოქა, რომელიც დაკავშირებულია *ლ.ი. ბრეჟნევის* სახელთან, კულტურის სფეროში ხასიათდება ურთიერთსაპირისპირო ტენდენციებით. ერთის მხრივ ადგილი ჰქონდა ქვეყნის კულტურული ცხოვრების ყველა სფეროს ნაყოფიერ

განვითარებას, მეორეს მხრივ კი – კიდევ უფრო მეტად გაძლიერდა ქვეყნის ხელმძღვანელობის იდეოლოგიური კონტროლი შემოქმედებითი ინტელიგენციის საქმიანობაზე. მისი ზოგიერთი წარმომადგენელი გასამართლებული იქნა (*ა. სინიავსკი, ი. დანიელი*), სხვები იძულებით იქნენ ქვეყნიდან გასახლებული *(ა.ი. სოლჟენიცინი)*, ზოგი სამშობლოს ტოვებდა და საზღვარგარეთ მოღვაწეობდა *(ა. ტარკოვსკი, ი. ლუბიმოვი, ვ. ნეკრასოვი, ი. ბროდსკი, მ. როსტროპოვიჩი, გ. ვიშნევსკაია, კ. კონდრაშინი)*. ხელოვნების ავანგარდული მიმართულებები მიჩქმალული იქნა. მაგალითად, არ სრულდებოდა *ა. შნიტკეს* მუსიკალური ნაწარმოებები, ნახევრად აკრძალულ მდგომარეობაში იმყოფებოდა *ბ. ოკუჯავას, ა. გალიჩის, ვ. ვისოცკის*, შემოქმედება. მხატვრული ნაწარმოებების თემატიკის რეგულირების მიზნით 70-იანი წლების შუახანებში შემოვიდა სახელმწიფო შეკვეთების სისტემა, უპირველეს ყოვლისა კინემატოგრაფიის სფეროში. დაიბადა „თაროს ფილმების“ ცნება. ეს იყო გადაღებული, მაგრამ იდეოლოგიური არამდგრადობის გამო ფართო ეკრანზე საჩვენებლად არგაშვებული ფილმები.

იდეოლოგიური წნეხის ზეწოლა თავის მხრივ პასუხი იყო საზოგადოებაში ოპოზიციური განწყობის ზრდისადმი, რამაც გამოხატულება ჰპოვა დისიდენტურ მოძრაობაში. 60-იანი წლების ბოლოს სხვაგვარად მოაზროვნეთა ძირითადი მიმდინარეობები გაერთიანდნენ „დემოკრატიულ მოძრაობაში“. იგი წარმოდგენილი იყო სამი მიმართულებით: „ჭეშმარიტი მარქსიზმ-ლენინიზმით *(ჟორეს მედვედევი)*, ლიბერალიზმით *(ა.დ. სახაროვი)* და ტრადიციონალიზმით *(ა.ი. სოლჟენიცინი)*. სსრკ-ში დისიდენტური მოძრაობის გაელენით 1967-1975 წლებში უპირველესი მნიშვნელობის საერთაშორისო პრობლემას წარმოადგენდა *სსრკ-ში ადამიანის უფლებების საკითხი*.

სირთულეებისა და წინააღმდეგობების მიუხედავად 70-იანი წლების ლიტერატურულ-მხატვრული ცხოვრება ხასიათდებოდა არნახული მრავალფეროვნებითა და სიმდიდრით. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ლიტერატურა და მუსიკა. ლიტერატურისთვის დამახასიათებელია თემატიკის სიმდიდრე. ესაა დიდი სამამულო ომიც *(ი. ვ. ბონდარევი, ბ. ლ. ვასილიევი, კ. დ. ვორობიოვი)*, საბჭოთა სოფლის ცხოვრებაც *(ვ. გ. რასპუტინი, ვ. ა. სოლოუხინი, ვ. პ. ასტაფიევი, ფ. ა. აბრამოვი, ვ. ი. ბელოვი, ბ. ა. მოჟაევი)* და თანამედროვეობის ზნეობრივი პრობლემები *(ი. ვ. ტრიფონოვი)*.

ხელოვნებაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა *ვ. მ. შუკშინის* წიგნებმა და ფილმებმა, რომლებმაც ხალხისგან გამოიყვანა

„უჩვეულო“ ადამიანთა სახეები. 60-იან წლებში აყვავება ჰპოვა ტალანტური პოეტის ნ. რუბცოვის შემოქმედებამ. მისი ლირიკისთვის დამახასიათებელია უსაზღვრო უბრალოება, სულიერება, მღერადობა, მშობლიურ მიწასთან განუყოფელი კავშირი.

პოპულარული გახდა დრამატურგ *ა. ვ. ვამპილოვის* პიესები. ქვეყანაში ფართო გავრცელება ჰპოვა ისეთი ნაციონალური მწერლებისა და პოეტების შემოქმედებამ, როგორიცაა ყირგიზი *ჩ. აიტმატოვი*, ბელორუსი *ვ. ბიკოვი*, ქართველი *ნ. დუმბაძე*, ესტონელი *ი. კროსსი*.

70-იანი წლები იყო თეატრალური ხელოვნების აღმავლობის პერიოდი. მოწინავე საზოგადოებრიობაში განსაკუთრებული პოპულარულობით სარგებლობდა მოსკოვის დრამისა და კომედიის თეატრი ტაგანკაზე. სხვა კოლექტივებს შორის გამოირჩეოდნენ ლენინური კომკავშირის სახელობის თეატრი, თეატრი „სოვრემენნიკი“ და ე. ვახტანგოვის სახელობის თეატრი.

მუსიკალური ცხოვრების ცენტრად კვლავინდებურად რჩებოდნენ აკადემიური დიდი თეატრი, მოსკოვის კონსერვატორია, მოსკოვისა და ლენინგრადის ფილარმონიები. დიდი თეატრის განთქმულ არტისტებს შორის ქუხდა *გ. ულანოვას*, *მ. პლისეცკაიას*, *ე. მაქსიმოვას*, *ვ. ვასილიევის*, *მ. ლიეპას* სახელები. მსოფლიო აღიარება მოიპოვეს ბალეტმეისტერმა *ი. გრიგოროვიჩმა*, მომღერლებმა *გ. ვიშნევსკაიამ*, *ტ. სინიავსკაიამ*, *ი. არხიპოვამ*, *ე. ობრაზცოვამ*, *ზ. სოტკილავამ*, *ვლ. ატლანტოვმა*, *ე. ნესტერენკომ*. სამამულო საშემსრულებლო სკოლას წარმოადგენდნენ მევიოლინეები *დ. ოისტრახი*, *ლ. კოგანი*, *გ. კრემერი*, პიანისტები *ს. რიხტერი*, *ე. გილელსი*. ნაციონალურმა საკომპოზიტორო ხელოვნებამ უმაღლეს აღმავრენას მიაღწია *გ. ვ. სვირიდოვის* შემოქმედებაში, რომლის მუსიკალური ნაწარმოებები ეძღვნებოდა სამშობლოს თემას.

სწრაფი ნაბიჯები გადადგა წინ და მსოფლიო აღიარება მოიპოვა საესტრადო ხელოვნებამ. ესტრადის პირველი რანგის ვარსკვლავები გახდნენ *ე. პიეხა*, *ს. როტარუ*, *ა. პუგაჩოვა*, *ი. კობზონი*, *ლ. ლეშჩენკო*, *მ. მაგომაევი*.

70-იან წლებში დაიწყო აგრეთვე *„მაგნიტოფონური რევოლუცია“*. აღიარებული სიმღერები სახლის პირობებში ჩაიწერებოდა და ხელიდან ხელში გადადიოდა. დიდი პოპულარობით სარგებლობდა *ი. ციბორის*, *ი. კიმის*, *ა. გოროდნიცკის*, *ა. დოლსკის*, *ს. ნიკიტინის*, *ნ. მატვეევის*, *ე. ბაშუროვის*, *ვ. დოლინას* შემოქმედება. ახალგაზრდობის სიმპათიას სულ უფრო მეტად მოიპოვებდნენ ახალგაზრდა საესტრადო ვოკალურ-ინსტრუმენტური ანსამბლები.

ერთ-ერთი ასეთი განთქმული კოლექტივი გახდა ანსამბლი *„აკვარიუმი“ ბ. გრებენშჩიკოვის* ხელმძღვანელობით.

სამამულო კულტურის მდგომარეობა XX საუკუნის დასასრულს

80-იანი წლების მეორე ნახევარში რუსეთში ასწლეულის განმავლობაში მეორედ ჰქონდა ადგილი ნამდვილ კულტურულ რევოლუციას. საბჭოური ცხოვრების სტილის და საბჭოური კულტურის დამკვრელური ფასეულობები არა თუ უბრალოდ დადგა ეჭვქვეშ, არამედ უარყოფილი იქნა როგორც ტოტალიტარული, ანტიჰუმანური და არაპროგრესული. ფასეულობათა მსხვრევის მიზეზი იყო არა იმდენად ინტელიგენციის მოუმზადებლობა რათა დაეცვა სოციალისტური კულტურის საუკეთესო ტრადიციები, რამდენადაც ოქტომბრის რევოლუციის ეპოქის სულიერი იდეალებისაგან რიგითი ადამიანის გაუცხოება. სოციალიზმის სულიერ ორიენტაციათა უმდიდრესი პოტენციალი ღრმად არ შეჭრილა თითოეული მოქალაქის სულში, არ მოუცავა სოციალური ფენები. საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისათვის სოციალიზმის კულტურული ღირებულებები დახურულ სისტემად რჩებოდა. საზოგადოებაში ჩამოყალიბდა სოციალისტური კულტურისა და იდეოლოგიის მიმართ ანტიდამკვრელური სტერეოტიპი პრინციპით: აი ტაძარი, აი მრევლი, აი მთავარი პრობლემა: ტაძარში დასწრება.

კულტურის სფეროში *გარდაქმნის* სტარტს წარმოადგენდა 1987 წელს გამოცხადებული მართვადი საჯაროობის პოლიტიკა. მალე ნათელი გახდა, რომ საჯაროობის საზღვრების გაფართოება გარდაუვალად გამოიწვევდა ინფორმაციის გავრცელების ყოველგვარი ბარიერის მოხსნას. პროცესი თანდათან უმართავი ხდებოდა. იგი დაიწყო შემოქმედებითი კოლექტივების დამოუკიდებლობის გაფართოებით, რომელთა ტრადიციული იდეოლოგიური მეურვეობა ჯერ შესუსტდა, შემდეგ კი მთლიანად შეწყდა. სამთავრობო დონეზე მიღებულმა გადაწყვეტილებამ დასავლეთის რადიოსადგურების ჩაშლობის შეწყვეტის შესახებ ფაქტობრივად მოახდინა იდეათა და მათი გავრცელების სფეროში შეუკიბრის თავისუფლების ლეგალიზაცია. ინფორმაციულმა აფეთქებამ საზოგადოების წინაშე ბევრი ახალი პრობლემა წამოაყენა. როგორ ალკვეთილიყო სოციალისტური პრინციპებიდან უკან დახევა და მასთან ერთად როგორ იქნებოდა გარანტირებული ნების გამოხატვის თავისუფლება? რამდენად იქნებოდა დაცული სახელმწიფოებრივი საიდუმლოს საზღვრები და როგორ დადგინდებოდა მოქალაქეთა პირად

ცხოვრებაში საინფორმაციო სამსახურების ჩარევის საზღვრები? საჯაროობის პროცესის მნიშვნელოვანი ეტაპი იყო 1990 წ. 1 აგვისტოს შემოღებული კანონი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ. მის პირველსავე პარაგრაფში დეკლარირებული იყო მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება და მათი ცენზურის დაუშვებლობა. ამდენად საჯაროობა გახდა უმართავი.

საზოგადოებაში აღმოცენდა კულტურული ცხოვრების ახალი რეალიები. თავისუფალი ბაზრის პირობებში საზღვარგარეთულმა კულტურულმა პროდუქციამ მნიშვნელოვნად შეავიწროვა ადგილობრივი. ამის შემდეგ ადგილი ჰქონდა რუსული პროდუქციის რაოდენობისა და ხარისხის მკვეთრ შემცირებას. საერთოდ გაქრა კულტურის მთელი დარგი — კინოთეატრი. ამან განსაზღვრა საზოგადოების ცნობიერების გადართვა ინდივიდუალურ ყაიდაზე. ღრმად განვითარებული სოციალური აპათია აისახა აგრეთვე ისეთ სხვა ტრადიციულ სანახაობრივ ადგილებში დასწრების შესუსტებითაც, როგორიცაა თეატრები, საკონცერტო დარბაზები თუ სამხატვრო გამოფენები. საზღვარგარეთული კინოპროდუქციის არატრადიციულ სულიერ-ზნეობრივ ორიენტირებზე მდგარი ახალგაზრდა თაობა სულ უფრო ღრმად ისრუტავს უცხო სახეებს. ეკრანიდან დანერგილი იდეალი ძლიერი, წარმატებული, ყოველისმძლეველი პიროვნების, რომელიც ვიჭურ მიიწევს თავისი მიზნის განხორციელებისკენ, ერთობ უცხოა ნაციონალური ცნობიერებისთვის, რომლისთვისაც უფრო მეტად დამახასიათებელია თანაგრძნობა, მოთმინება, სიკეთე. ეს აღრმავებს ნაპრალს თაობათა შორის, შეუძლებელს ხდის ახალგაზრდა და უფროს თაობათა შორის ურთიერთგაგებას. დიდ და სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ქვეყანაში რელიგიური სექტანტური დაჯგუფებების სტიქიურად მასობრივი გავრცელება, რომლებიც თავიანთ ქსელში ითრევენ მოზარდ თაობას ფესვებიანად გლეჯენ რა მათ მშობლიური ნიადაგიდან. ყოველივე ამას ემატება კულტურული კეთილდღეობით სარგებლობის არათანასწორობის მკვეთრი ზრდა, რაც განსაკუთრებით უარყოფითად აისახება მოზარდი თაობის განათლების პროცესზე.

საჯაროობის „ყინულთსვლა" მასობრივ საინფორმაციო საშუალებებზე შეზღუდვის მოხსნასა და შემოქმედებითი საქმიანობის კომერციალიზებასთან ერთად განისაზღვრა აგრეთვე 70-იან წლებში საზღვარგარეთ წასულ კულტურის წარმომადგენელთათვის საბჭოთა მოქალაქეობის ჩამორთმევის გადაწყვეტილების გაუქმებით. 1989 წ. II ნახევრით დაწყებულ პერიოდს შეიძლება ვუწოდოთ „სოლჟენიცინის"

დრო. ჟურნალებში და ცალკეული ტირაჟების სახით გამოქვეყნებული იქნა მწერლის ყველა მნიშვნელოვანი თხზულება, მისი ცნობილი „ჟულაგის არქიპელაგი" და ეპოპეა „წითელი ბორბალი". ქვეყნის ლიტერატურული საზოგადოების მიერ არაერთმნიშვნელოვნად იქნა აღქმული *ვ. პოინოვიჩის, ვ. აქსიონოვის, ა. ზინოვიევის* ნაწარმოებები, რომლებიც გამოირჩეოდა მკვეთრი ანტისაბჭოური მიმართულებით და ამასთანავე წარმოაჩენდნენ მათ შემქმნელთა მაღალ პროფესიონალიზმს.

გარდატეხა სამამულო ლიტერატურაში განსაზღვრა ბევრი ავტორის როგორც ხელახლა გამოცემულმა, ისე ადრე გამოცემული თხზულებების პუბლიკაციამ. ეს იყო *ა. რიბაკოვის, დ. გრანინის, ა. პლატონოვის, მ. შატროვის, ბ. პასტერნაკის, ა. ახმატოვას, ვ. გროსმანის* თხზულებები. პირველად იქნა გამოქვეყნებული დისიდენტების *ა. მარჩენკოსა* და *ა. სინიავსკის* ნაწარმოებები. სინათლეზე გამოვიდა მკვეთრ ანტისაბჭოურ პოზიციებზე მდგომი ისეთ ემიგრანტ-მწერალთა ნაწარმოებები, როგორიცაა *ი. ბუნინი, ა. ავერჩენკო, მ. ალდანოვი.* გარდაქმნისდროინდელი ლიტერატურის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა პუბლიცისტიკა, რომელიც მკითხველის ყურადღებას მიაპყრობდა სსრკ-ს საზოგადოების ადრინდელი თუ ახალი ისტორიის „თეთრი ლაქებისაკენ". პუბლიცისტიკის დემოკრატიულ ნაკადს წარმოადგენდნენ *ნ. შმელევი, ი. კლიამკინი, ვ. სელიუნინი, გ. ბაბინი, ნ. პეტრაკოვი, პ. ბუნიჩი, ა. ნუიკინი, გ. პოპოვი, ი. აფანასიევი, ი. ჩერნიჩენკო, გ. ლისიჩკინი, შ. ბურლაცკი, გ. რიაბოვი.*

ტრადიციონალისტთა ბანაკს შეიძლება მივაკუთვნით *ვ. კოუინოვი, ბ. სარნოვი, გ. შმელევი, მ. კაპუსტინი, ო. პლატონოვი, ა. კაზინცევი, ს. კუნიაევი, ვ. კამიანოვი, ი. შაფარევიჩი, ა. ლანშჩიკოვი.*

ისტორიულ სიუჟეტებზე პუბლიკაციათა შორის გამოირჩეოდა *რ. მედვედევის* სტატიების სერია „*ისინი ფიქრობენ სტალინის გარეშოცვაში*" და *დ. პოლკოვნიკოვის* დოკუმენტური რომანი სტალინის შესახებ „*ტრიუმფი და ტრაგედია*".

ისტორიული თემატიკისადმი მჭიდროვარე ინტერესს განსაზღვრავდა 30-50-იანი წლების რეპრესიებთან დაკავშირებული მასალების შემსწავლელი სკკპ ცკ-ს პოლიტბიუროს კომისიის საქმიანობა. 60 წლის შემდეგ განახლებულ საინფორმაციო ყოველთვიურ ჟურნალში „სკკპ ცკ მოამბე" პირველად იქნა გამოქვეყნებული სტალინური დროის ყველა ძირითადი ოპოზიციური

მასალა, ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება XX ყრილობაზე, პარტიის ცკ ყრილობებისა და პლენუმების ადრე აკრძალული სტენოგრამები.

განახლება შეეხო კულტურის სფეროებსაც. კულტურის ნიჭიერი მოღვაწეები აქტიურად ჩაერთვნენ მსოფლიოს მხატვრულ ცხოვრებაში, გამოდიოდნენ ევროპისა და ამერიკის განთქმულ სცენებზე, მიეცათ საზღვარგარეთ ხანგრძლივი ხელშეკრულებების დადების საშუალება. მსოფლიოს უდიდეს მუსიკალურ სცენებზე გამოდიან მომღერლები *დ. ხვოროსტოვსკა* და *ლ. კაზარნოვსკაია*, ანსამბლი „მოსკოველი ვირტუოზები“ *ვ.* სპივაკოვის ხელმძღვანელობით, ხალხური ცეკვის ანსამბლი *ი. მოისეევის* ხელმძღვანელობით.

რუსეთის ხშირი სტუმრები გახდნენ საზღვარგარეთ მცხოვრები სამამულო მუსიკალური კულტურის წარმომადგენლები: *ძ. როსტროპოვიჩი, გ. კრემერი, ვ. აშკენაზი*. ტაგანკის თეატრის სცენაზე თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობა განაახლა რეჟისორმა *ი. ლუბიმოვმა*. დრამატულ ხელოვნებაში ნოვატორულ ძიებებს აზორციელებს ტალანტური რეჟისორების ახალი თეატრალური ტალღის პლეადა: *პ. ფომენკო, ვ. ფოკინი, კ. რაიკინი, თ. ჩხეიძე, რ. ვიქტიუკი, ვ. გერგიევი*.

დაშლილი შემოქმედებითი კავშირების ნაცვლად კულტურის მოღვაწეთა შეკავშირების ფორმად იქცა სპონსორთა და მეცნიერთა თანხებით ორგანიზებული ფესტივალები, კონკურსები, გამოფენები. კულტურულ ხარჯებში შეზღუდული ფორმით სახელმწიფოც მონაწილეობს. საბსრები, როგორც წესი, გამოიყოფოდა ზოგადეროვნული მასშტაბის საიუბილეო დღესასწაულების ორგანიზებისათვის: დიდ სამამულო ომში გამარჯვების 50 წლისთავი, რუსეთის ფლოტის 300 წლისთავი, მოსკოვის დაარსებიდან 850 წელი. სახელმწიფო სახსრებითა და საზალხო შემოწირულობებით ხდება მოსკოვში მაცხოვრის ტაძრის აღდგენა, საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილი მონუმენტური სკულპტურების აღმართვა: გამარჯვების ობელისკი და მრავალფიგურიანი კომპოზიცია „ბალბთა ტრაგედია“ თაყვანისცემის მთაზე (Поклонная гора), პეტრე I-ის 80-მეტრიანი სკულპტურა მოსკოვში *(ავტორი ზ. წერეთელი)*. უფრო მოკრძალებული და გულშემაწუხებლია სერგი რადონეჟსკის ძეგლი მის სამშობლოში მოსკოვთან ახლოს სოფელ რადონეჟში, მარშალ ჟუკოვის ძეგლი მანეჟის მოედანზე და ნიკოლოზ II-ის ძეგლი (აფეთქებული) მოსკოვთან ახლოს სოფელ ტაინინსკოეში *(მოქანდაკე ვ. კლიკოვი)*.

ამჟამად სამამულო მეცნიერების კრიზისი განპირობებულია ორი ფაქტორით. პირველ რიგში ესაა სახელმწიფოს მხრიდან არასაკმარისი დაფინანსება. მხოლოდ 1992-1997 წლებში მეცნიერებაზე გაწეული სახელმწიფო ხარჯები შემცირდა 20-ჯერ და მეტად. მეორე მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია სამამულო მეცნიერების განვითარების სტრატეგიული პროგრამა. საბაზრო პირობებში მხოლოდ ცალკეულმა კოლექტივებმა თუ შეძლეს თავიანთ საკუთრებაზე მომხმარებლის პოვნა.

საბჭოთა კულტურამ სტარტი აიღო 1917 წ. ოქტომბრის რევოლუციის დღეებში ადრინდელი ეპოქის კერპების წინააღმდეგ გადამწყვეტი პროტესტის გამოცხადებით. თუმცა, მიუხედავად ძველი სამყაროსადმი მკვეთრი დაპირისპირებულობისა, ახალგაზრდა პროლეტარული კულტურა უნებლიედ მაინც ისრუტავდა მის საუკეთესო ტრადიციებს. მან მიიღო გარდასულ ეპოქათა კულტურული მემკვიდრეობის ესტაფეტა, გაამდიდრა იგი ახალი ფორმებითა და შინაარსით. საბჭოთა კულტურამ შექმნა შემოქმედებითი მიღწევების გამომხატველი ფორმების, სამეცნიერო აღმოჩენების თავისი განუმეორებელი არსენალი. მისთვის დამახასიათებელი იყო მოქალაქეობრიობა, უბრალო მშრომელი ადამიანისადმი ინტერესი, დამკვრელური პათოსი. იგი წარმოდგენილი იყო მსოფლიო მასშტაბის მოღვაწეთა სახელებით: *მ. გორკი, ვ. მაიაკოვსკი, ა. ბლოკი, ძ. პასტერნაკი, დ. შოსტაკოვიჩი, ა. პროკოფიევი, დ. ოისტრახი, ს. რიხტერი, კ. სტანისლავსკი*. უდიდესია საბჭოთა მეცნიერთა წვლილი რაკეტმშენებლობის, კოსმოსის კვლევის, ატომური ფიზიკის სფეროებში. საბჭოთა ბალეტმა ღირსეულად მიიღო განთქმული რუსული საბალეტო სკოლის ესტაფეტა. საბჭოთა ზოგადსაგანმანათლებლო სისტემა გამოყენებითი და ფუნდამენტური მეცნიერებების ფართო სპექტრით ახალგაზრდობის სერიოზულ მომზადებას ახდენდა საწარმოო პრაქტიკის შემოღებით, რაც ახალგაზრდა თაობას დამოუკიდებელი შრომითი ცხოვრების გაკვალვაში ეხმარებოდა. საბჭოთა კულტურამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია საზოგადოების მყარი იდეოლოგიური შეკრულობის წყალობითაც.

ნებისმიერი სოციალური მოვლენა, მათ შორის კულტურა, არასოდეს არ არის თავისუფალი უარყოფითი გამოვლინებებისაგან. პრობლემას წარმოადგენს არა იმდენად ეს გამოვლინებები, რამდენადაც ხელისუფლებისა და საზოგადოებრიობის მხრიდან ერთმანეთთან თანხმობის, კონსტრუქციული გზების გამონახვის უნარი. სწორედ აქ ძევს საბჭოური და რუსული სინამდვილისათვის მთავარი

დიდი ქვა შებრკოლებისა. როგორც კი მომწიფდება სასწრაფოდ გადასაჭრელ პრობლემათა კომპლექსი, მაშინვე თითქმის ავტომატურად ჩაირთვება ხოლმე ინტელიგენციასა და ხელისუფლებას შორის შეურიგებელი დაპირისპირების მექანიზმი, რომელიც ადრე თუ გვიან ჩაითრევს მთელ ხალხს და გაწირავს ქვეყანას მისი ისტორიის ახალი ტრაგიკული ხვეულისაკენ. ჩვენს დროში ჩვენც სწორედ ისტორიული სპირალის ამ სავალდებულო ნაწილში გავდივართ.

„რუსეთო, დაიფარე თავი შენი!“ – პოეტ ნიკოლაი რუბცოვის ეს სიტყვები თითოეული ჩვენთაგანისადმი დატოვებულ ანდერძად ჟღერს.

ძირითადი ტერმინები და ცნებები

ანტიუტოპია
აბსტრაქციონიზმი
ათეიზმი
სახელმწიფო დაკვეთა
დისიდენტური მოძრაობა
ჟივოცერკოვნიკები
იდეური დისკუსიები
ინტერნაციონალიზმი
კოსმოპოლიტიზმი
კულტურული რევოლუცია
ლიბერალიზმი
ლიკბეზი
მაგნიტოფონური რევოლუცია
ნატურალიზმი
„დათბობა“
ჭეშმარიტი მარქსიზმ-ლენინიზმი
მართვადი საჯაროობის პოლიტიკა
„თაროს“ ფილმი
პროლეტკულტი
სამიზდატი
სერგიანული ეკლესია
სმენოვეხოვსტვო (გეზის ცვლა)
სოლჟენიცინის დრობა
სოციალისტური რეალიზმი
შემოქმედებითი კავშირი
ტრადიციონალიზმი
ფორმალიზმი
ფრონტული ბრიგადა

კითხვები გამეორებისათვის

1. რა აახლოებს რუსეთის კულტურული გარდაქმნის ბოლშევიკურ იდეალს ნაციონალური ცნობიერების ტრადიციულ ორიენტაციებთან?
2. რა მიზნებს ისახავდა რუსეთში კულტურული რევოლუცია და როგორია მისი შედეგები.

3. რაში გამოიხატა 30-იან წლებში სსრკ კულტურული განვითარების წინააღმდეგობრიობა?
4. რომელი მთავარი პრობლემები დადგა ქვეყნის წინაშე კულტურის სფეროში დიდი სამამულო ომის წლებში და ომისშემდგომი პირველი ათწლეულის განმავლობაში?
5. რამ გამოიწვია XX საუკუნის მეორე ნახევარში კულტურის სფეროში პარტიის პოლიტიკის ლიბერალიზაციის აუცილებლობა?
6. როგორ ვითარდებოდა ხელისუფლებისა და შემოქმედებითი ინტელიგენციის ურთიერთობა ბრეჟნევის პერიოდში?
7. როგორია რუსეთის პოსტსაბჭოური პერიოდის კულტურული რეალიები?

ი. სმელიაკოვის პოეზიიდან

შერეულ დროთაგან მოდგამს და ახლაც,
ვით ზამთრის მზის სხივის სარკმელში ლაციცი,
სიწმინდეს თავის გზამკვლევად სახავს
კაცი ქვეყნისთვის და ქვეყანა კაცისთვის.

თავი 19

XX საუკუნის კულტუროლოგიურ კონცეფციათა მიმოხილვა

სულიერების დიდი ამოცანაა — მსოფლმხედველობის შექმნა.
მსოფლმხედველობაში პოულობენ დასაბუთებას მისი იდეები, მრწამსი და საქმენი. მხოლოდ კულტუროშემოქმედებით მსოფლმხედველობასთან მიახლოვებით შევძლებთ გავხდეთ უნარიანნი იდეებთან, მრწამსთან და საქმეებთან, რაც ესოდენ აუცილებელია კულტურის აყვავებისათვის.

ა. შვეიცერი

XX საუკუნის ევროპაში რადიკალურად შეიცვალა სოციოკულტურული სიტუაცია, რამაც ხელი შეუწყო ცვლილებებს თვით კულტურაში. ეს უკანასკნელი გახდა მრავალი მოაზროვნის თეორიული რეფლექსიის მსჯელობის საგანი, რამაც ისინი მიიყვანა ახალი კულტუროლოგიური კონცეფციების შექმნამდე. აღნიშნული კონცეფციები შეიძლება გადაისინჯოს პრობლემების მიხედვით და მოხდეს შესაბამისი კლასიფიკაცია. ამ პრობლემათაგან შეიძლება გამოვყოთ შემდეგი: კულტურის ბუნება, კულტურა და ცივილიზაცია, კულტურის თანამედროვე კრიზისი, მასების საზოგადოება და მასობრივი კულტურა, როგორც საშიშროება თვით კულტურის არსებობისათვის, კულტურა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი და კულტურის შემდგომი განვითარების პერსპექტივები. განვიხილოთ ავტორთა იდეები და საქმენი, რომლებმაც თავიანთი სიტყვა თქვეს ყველა ამ ჩამოთვლილ კითხვაზე.

ბერდიაევი კულტურის ბუნებისა და ცივილიზაციასთან მისი კავშირის შესახებ

მთელი თავისი შემოქმედების მანძილზე *ნ. ა. ბერდიაევი* (1874-1948) წერდა თავისუფლებასა და კულტურაზე.

მაგრამ ამ თემაზე ყველაზე არაანგაჟირებული ნაწარმოები იყო „უთანასწორობის ფილოსოფია“, მე-13-ე წერილში „*კულტურის შესახებ*“, ბერდიაევმა ძალიან მკაფიოდ, ფორმალურობის სულისკვეთებით და არა დიალექტიკური ლოგიკით გამოთქვა — მოსაზრებები კულტურის საკითხებში — იმ ყველაზე მწვავე „რუსეთის საშინელი წლისათვის“. უპირველეს ყოვლისა ის მკვეთრად ყოფს კულტურას და ცივილიზაციას.

კულტურა და ცივილიზაცია — ერთი და იგივე არ არის. კულტურა აღმოცენდა კულტისაგან. მისი სათავე — საკრალურია. ის ტაძრის ირგვლივ ჩაისახა და თავის ორგანულ პერიოდში დაკავშირებული იყო რელიგიურ ცხოვრებასთან.

თავისი ხასიათით კულტურა არ არის დემოკრატიული და თავისი ბუნებით უცხოა რეალიზმისთვის.

კულტურა კეთილშობილური წარმოშობისაა. მას გადმოეცა კულტის იერარქიული ხასიათი. კულტურას აქვს რელიგიური საფუძვლები. ეს უნდა ჩაითვალოს დაკანონებულად პოზიტიურ-მეცნიერული თვალსაზრისით. თავისი ბუნებით კულტურა სიმბოლურია. სიმბოლურობა მან მიიღო კულტის სიმბოლიკიდან.

კულტურაში არა რეალისტურად, არამედ სიმბოლურადაა ასახული სულიერი ცხოვრება.

ბერდიაევს გამოაქვს კულტურის ძირითადი კანონი – *მემკვიდრეობითობის* და ამით აღიარებს კულტურაში კონსერვატულ საწყისს შემოქმედებითურთან ერთად, რაც მიმართულია მომავლისა და ახალი ღირებულებების შექმნისაკენ.

ცივილიზაციას არა აქვს ისეთი კეთილშობილი წარმოშობა, როგორიც კულტურას. ცივილიზაციას არავითარი კავშირი არა აქვს კულტის სიმბოლიკასთან. ბერდიაევი ხაზგასმით აღნიშნავს ცივილიზაციის მსოფლიო წარმომავლობას.

> ის გაჩნდა ადამიანის ბუნებასთან ბრძოლის შედეგად, ტაძრებისა და კულტის გარეშე. კულტურა ყოველთვის მოდის ზევიდან ქვევით, მისი გზა არისტოკრატულია. ცივილიზაცია მიდის ქვევიდან ზევით, მისი გზა ბურჟუაზიული და დემოკრატიულია. კულტურა არის სიღრმისეული ინდივიდუალური და განუმეორებელი მოვლენა. ცივილიზაცია არის საერთო მოვლენა და ყველგან მეორდება... კულტურას აქვს სულიერება. ცივილიზაციას კი გააჩნია მხოლოდ მეთოდები და იარაღი.

კულტურის კონსერვატული კომპონენტების განვითარება შესაძლებელია, კულტურა და რევოლუცია, ბერდიაევის მიხედვით, შეუთავსებელია.

„კულტურის კრიზისის“ კონცეფცია ო. შპენგლერის მიხედვით

ეს პრობლემა, მხოლოდ ოდნავ სხვა თვალსაზრისით, როგორიცაა კულტურის კრიზისი, ბერდიაევთან თანადროულად იმავე 1918 წელს, თავის შრომაში *„ევროპის დასასრული“* წამოაყენა გერმანელმა კულტუროლოგმა *ო. შპენგლერმა* (1880-1936).

პირველი ნაშრომი დასავლეთ ევროპის კულტურის კრიზისის თემაზე მთელმა მსოფლიომ დადებითად მიიღო, რადგან პესიმისტური განწყობა დაემთხვა თაობების მსოფლშეგრძნებას, რაც გამოწვეული იყო პირველი მსოფლიო ომით და მისი შედეგებით – კრიზისი, ნგრევა, ქაოსი და დაცემა ყველა სფეროში.

შპენგლერი დასავლურ კულტურას თვლის სამი დიდი კულტურიდან ერთ-ერთად, ანტიკურისა და არაბულის გვერდით. მისი მახასიათებელია უსასრულობის სიმბოლო, რომელთანაც შპენგლერი აკავშირებს ევროპელის, როგორც კულტურული ფენომენის თავისებურებებს. სწორედ გარემომცველი სივრცის გაფართოებისკენ სწრაფვა აიძულებდა ევროპელებს წასულიყვნენ ავანტურულ ჯვაროსნულ

ლაშქრობებში, მოეწყოთ მსოფლიოს ირგვლივ მოგზაურობა და მოგზაურობა ევროპელისათვის საერთოდ გადაქცეულიყო ვივენდის მოდუსად (ლათ. ცხოვრების წესი). სწრაფვამ უსასრულობისაკენ ევროპელს გაუღვიძა სურვილი აეშენებინა ზევით მიმართული გოთიკური ტაძრები, გამოეგონებინა გემი და ავტომობილი, მიკროსკოპი და ტელესკოპი.

უსასრულობის სიმბოლო, შპენგლერის აზრით, ძევს თვით ქრისტიანობაში: ქრისტიანული ღმერთი არის უსასრულო და მუდმივი, მისთვის დამახასიათებელია უსაზღვრო სიბრძნე, უსასრულო ძლევამოსილება.

უსასრულობის იდეითაა განმსჭვალული ახალი დროის მეცნიერება და ფილოსოფია. კარტეზიანული ფიზიკა, ნიუტონისეული მექანიკა, ევროპული მათემატიკა უსასრულო სიმრავლის, უსასრულოდ პატარა სიდიდეები და ახალი დროების ყველაზე უდიდესი ფილოსოფიური სისტემები, შპენგლერის აზრით, ამ იდეის მტკიცებულებაა.

ევროპული კულტურის სულიერებას შპენგლერმა უწოდა „ფაუსტისებური სულიერება“, რადგანაც გამიზნულია უსასრულო მოძრაობით გამოურკვევის შესაცნობად, ეს სიმბოლურად წარმოდგენილია გოეთეს „ფაუსტში“.

ამრიგად, შპენგლერის მიხედვით ევროპული კულტურის ყველა მიმართულება – არქიტექტურა, სკულპტურა, ფერწერა, ლიტერატურა, თეატრი, მუსიკა – ხასიათდება „ფაუსტისებური სულიერებით“ და სივრცობრივი უსასრულობით, რაც ორგანულადაა დაკავშირებული დროსთან, რომელიც ნებისმიერი კულტურისათვის არ არის უსასრულო და დასავლეთის კულტურისათვის ეს დასასრული XX საუკუნეში დადგა.

შპენგლერი „კულტურულ სულიერებას“ წარმოგვიდგენს ჩაკეტილ წარმონაქმნებად ლეიბნიცის[1] მონადების მსგავსად. სხვადასხვა სულიერებამ შექმნა სხვადასხვა კულტურები, რომელთაგან თითოეული თავისი აყვავების პერიოდის შემდეგ ჭკნება, გადადის ცივილიზაციაში, რაც შპენგლერის აზრით, არის მომაკვდავი კულტურა.

დასავლეთის კულტურის ახლო და გარდაუვალი დაღუპვა, შპენგლერის აზრით, დაკავშირებულია ცივილიზაციის იმ მახასიათებელთან, რომელიც XX საუკუნეში გადაგვარდა; ამ ცივილიზაციაში ფილოსოფია არავისთვის არ აღმოჩნდა საჭირო,

---

[1] *გ.ვ. ლეიბნიცის* (1646-1716) მოძღვრების თანახმად, მონადები – უბრალო, განუყოფელი არასივრცობრივი სუბსტანციებია, ყოველივე არსებულის ამოსავალი საწყისი.

ხელოვნებაც ალარ იყო ისეთი და გადაგვარდა მასობრივ სანახაობად, მეცნიერება გახდა ტექნიკისა და პოლიტიკის მსახური, ხალხის ინტერესები მიიმართა მხოლოდ ძალაუფლებისა და ფულის გარშემო. ყოველივე ეს შპენგლერს ახსენებდა რომის იმპერიის მდგომარეობას დასასრულის წინ: დიდი ქალაქები, დიდი შენობები, დამანგრეველი ომები, საბელმწიფოები, იმპერიალიზმი.

ე. კასსირერის კულტურის სიმბოლური კონცეფცია

თავის შრომაში „*სიმბოლურ ფორმათა ფილოსოფია*“ გერმანელი კულტუროლოგი *ე. კასსირერი* (1874-1945) გვიჩვენებს, რომ თავისი ევოლუციის გარკვეულ ეტაპზე, თვითშეგნების აღმოცენების ეტაპზე ადამიანი „წყვეტს ჯაჭვს, რომელიც აკავშირებს მას გარე სამყაროსთან“, და თუ „პირველი ნაბიჯები ადამიანის ინტელექტუალურ და კულტურულ ცხოვრებაში შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც თავისებური გონებრივი შეგუება, უშუალოდ მის გარე სამყაროსთან“, მაშინ „კულტურის განვითარების შესაძლებელ ფარგლებში ადამიანის ცხოვრებაში მელავნდება საწინააღმდეგო ტენდენცია“. იგი სრულდება „*სიმბოლური სისტემით*“, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის ყველა კავშირს სამყაროსთან. კასსირერის შეხედულებით, ადამიანი იმყოფება განუწყვეტელ დიალოგში საკუთარ თავთან და ამ დიალოგიდან იბადება სწორედ „სიმბოლური უნივერსალობა“, რომელშიც ადამიანი ამიერიდან ცხოვრობს და რომლის შემადგენელი ნაწილებია ენა, მითოსი, ხელოვნება და რელიგია.

> ადამიანი უკვე ალარ არის დაპირისპირებული უშუალოდ რეალობასთან, იგი არ ეჯახება მას პირისპირ. ფიზიკური რეალობა როგორღაც იმისდაგვარად შორდება, როგორც იზრდება ადამიანის სიმბოლური აქტივობა. იმის ნაცვლად, რომ მიმართოს საგნებს, ადამიანი გამუდმებით მიმართულია საკუთარი თავისაკენ. იგი იმდენად ჩაფლულია ლინგვისტურ ფორმებში, მხატვრულ გამოსახველობებში, მითოსურ სიმბოლოებში ან რელიგიურ რიტუალებში, რომ არ შეუძლია დაინახოს ან იცოდეს რაიმე ამ ხელოვნური შუამავლის ჩარევის გარეშე.

კულტურა, კასსირერის მიხედვით, უნივერსალურია იმ მნიშვნელობით, რომ ის შუამდგომლობს ყველა ურთიერთობებს არა მხოლოდ თეორიულ სფეროში, არამედ ყოველდღიური პრაქტიკული ცხოვრების სფეროშიც. ადამიანი ამ ცხოვრებაშიც არ ცხოვრობს

„მკაცრი ფაქტების სამყაროში“, იგი „წარმოსახვით ეშოციებშია“, „საკუთარი ფანტაზიებისა და ოცნებების ქვეშ“.

კულტურის ფენომენოლოგიური კონცეფცია

ფენომენოლოგიის ფუძემდებელი იყო გერმანელი ფილოსოფოსი *ე. ჰუსსერლი* (1859-1938), რომელმაც „რეალური ფილოსოფიის“ მიზნების ჩამოსაყალიბებლად საფუძველი დაუდო „*სტატიკური ბილვადობის*“ ფილოსოფიურ შენობას. ჰუსსერლი დარწმუნებულია, რომ ნებისმიერი თეორიის შექმნა (მათ შორის კულტუროლოგიაშიც) შეიძლება მხოლოდ უშუალო მონაცემებზე.

ფენომენოლოგიის დევიზია — მიმართვა თვით „საგნებისაკენ“, რომლებიც განწმენდილნი არიან სიტყვიერი ტყვრთისაგან. მაგრამ ამ „საგნების“ მისაღებად აუცილებელია გატარდეს „*ფენომენოლოგიური რედუქცია*“, რათა დატოვოს ფრჩხილებს გარეთ გარე სამყარო, დაეჭვდეს, როგორც დეკარტი, ყველაფერში, გონების გარდა და მიიყვანოს ფილოსოფია ამ მოვლენის ანალიზთან. როგორც ადამიანმა, თვლიდა ჰუსსერლი, ფილოსოფოსმა არ შეიძლება არ დაიჯეროს სამყაროს რეალურობა, მაგრამ, როგორც ფილოსოფოსმა ათვლის წერტილად უნდა აიღოს რაღაც სხვა.

პრობლემა არა სამყაროს არსებობაშია, თვლის იტალიელი ფენომენოლოგი *ე. პაჩი*, პრობლემა — ჩემთვის მის მნიშვნელობასა და სამყაროს დანიშნულებაში, ხოლო შემდეგ სხვებისთვის მის გააზრებაშია. ჰუსსერლი ფენომენოლოგიური რედუქციის პროცესის გამოსახვისათვის იყენებს ცნებას „*ეპოკე*“, რომლის ზეწოლის ქვეშაც რჩება ფენომენოლოგიური ნარჩენი, რომლის რეალობაც ნათელია — ესაა *ცნობიერება*. სწორედ ის არის არა მარტო აბსოლუტური რეალობა, არამედ საფუძველიც ყველა რეალობისა. ცნობიერების ელემენტები, მისი მოვლენები, მისი „ფენომენები“ ყოფის ზღვრული არსებობის საფუძველია. სწორედ ისინი შეადგენენ „ლებენსველტ“-ს — „სასიცოცხლო სამყარო“-ს.

ცნება „*სასიცოცხლო სამყარო*“ — ეს არის ჰუსსერლის ფენომენოლოგიის კულმინაციური პუნქტი. ამ ცნებით ჰუსსერლიმ მოიხმო კულტურის ერთიანი საფუძველი, მოწოდებული იმისთვის, რათა უკუაგდოს მისი აზრით, საუკუნის დასაწყისში დაწყებული კულტურის კრიზისი. ამ კრიზისის გამოვლენას ჰუსსერლი ხედავს სამ მომენტში: 1. ცნობიერების შემოქმედებითი პოტენციალის შელახვა გნოსეოლოგიური ფორმალიზმის; 2. მეცნიერების, შეიძლება ვთქვათ, მთელი კულტურის, დეჰუმანიზაცია, რომლის შემადგენელი ნაწილი

არის მეცნიერება; ფილოსოფიის კრიზისი, მისი მოუმზადებლობა კულტურის კრიზისით გამოწვეული პრობლემების გადასაწყვეტად, „თანამედროვე რაციონალიზმის უძლურება“, როგორც წერს ჰუსერლი თავის ფუნდამენტურ შრომაში „*იდეები წმინდა ფენომენოლოგიისა და ფენომენოლოგიური ფილოსოფიისათვის*“; 3. ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო ცოდნას შორის დაპირისპირება. ჰუსერლის აზრით, მიგნებული ერთიანი საფუძველი კულტურისა, უნდა იქცეს „მთელი სულიერ-კულტურული ფასეულებების ერთობლიობის ფოკუსად“.

მეორე ფენომენოლოგი, გერმანელი ფილოსოფოსი *მ. შელერი* (1875-1928) აკონკრეტებს წამოყენებულ კონცეფციას, რომელიც ეთიკის სფეროში ეკუთვნის ჰუსერლს, სადაც გაკრიტიკებულია კანტის ეთიკა, კანტისგან განსხვავებით, აღმოაჩენს ეთიკის სხვა საფუძველს: არა მოვალეობა, არამედ ღირებულება და იძლევა ამ ღირებულებათა იერარქიას ეთიკური კულტურის საძირკვლის თვისობრიობაში.

ამრიგად, ფენომენოლოგიური კონცეფცია იყო კულტურაში კრიზისის მოვლენის ახსნისა და მის გადალახვის საშუალების ჩვენების ცდა. თუ მოკლედ ჩამოვაყალიბებთ, ამ კრიზისის არსს ფენომენოლოგები ხედავდნენ იმაში, რომ კულტურული სივრცე აღმოჩნდა დაბინძურებული უმოქმედო იდეებითა და კონცეფციებით, რომლის დასაძლევად საჭირო იყო ადეკვატური მეთოდოლოგიის მოძებნა.

კულტურის ნეოფროიდული კონცეფცია

კულტურის ნეოფროიდული კონცეფციის წარმომადგენელია შვედი მეცნიერი *კ. გ. იუნგი* (1875-1961), რომელმაც თავისი შეხედულებები ჩამოაყალიბა შრომაში „*არქეტიპი და სიმბოლო*“, სადაც გააანალიზა ცნება „კოლექტიური არაცნობიერი“ და მისი საბუები – „არქეტიპები“, რომლებიც განსაზღვრა, როგორც ზოგადსაკაცობრიო სიმბოლიკის წყარო (მითები, სიზმრები და სხვა). „*კოლექტიური არაცნობიერი*“ იუნგის მიხედვით, არის თაობათა სიცოცხლის შედეგი, ის დამახასიათებელია ყველა ხალხისათვის, გადადის შთაბეჭდილობით და არის იმის საფუძველი, რაზედაც იზრდება ინდივიდუალური ფსიქიკა. ფსიქიკის სიღრმეებში იმყოფება განწყობებისა და ტიპიური რეაქციების სისტემა, რომლებიც „შეუმჩნეველად“ განსაზღვრავენ ინდივიდის ცხოვრებას. ამ თანდაყოლილი პროგრამების გავლენის ქვეშ იმყოფება ადამიანური აღქმა, აზროვნება და წარმოსახვა. გარეგანი და შინაგანი გამოცდილება ყალიბდება თანდაყოლილ საბეებთან შეთანხმებით.

ცნობიერებაში სუფთა სახით *არქეტიპი* არ შედის, ის ყოველთვის უერთდება გამოცდილების რაიმე წარმოდგენებს და ექვემდებარება ცნობიერ დამუშავებას. არქეტიპთან ყველაზე ახლოს „*არქეტიპული სახეები*“ დგანან სიზმრების, ჰალუცინაციების, მისტიკური ხილვების სახით, როდესაც მინიმალურია ცნობიერი დამუშავება. „ეს არეული, ბნელი სახეებია, აღქმული როგორღაც საშინლად, უცხოდ, და ამავე დროს განცდილია, როგორც ადამიანზე უსასრულოდ აღმატებული“.

„*არქეტიპი და სიმბოლო*“-ში იუნგი გვიჩვენებს, რომ „სიზუსტისათვის აუცილებელია განვასხვავოთ „არქეტიპი“ და „არქეტიპული წარმოდგენა“; *არქეტიპი* თვითონ, თავისთავად არის ჰიპოთეზური, ჭვრეტისათვის მიუწვდომელი გამოხატულება, მაშინ როდესაც „*არქეტიპული წარმოდგენები*“ აღმოჩნდა მითოლოგიის, რელიგიის, ხელოვნების წყარო. ამ კულტურულ გამოხატულებებში მიმდინარეობს დაბლართული და საბიზნარი ნიმუშების თანდათანობითი დახვეწა, „ისინი წარმოჩინდებიან ისეთ ჩარჩოში, რომელიც, როგორც წესი, უშეცდომოდ მიუთითებს მათი გარდაქმნისათვის მსჯელობასა და შეფასებაში ცნობიერების გავლენაზე“, ისინი გარდაქმნებიან ფორმით უფრო ლამაზ და შინაარსით ყველასთვის მისაღებ სიმბოლოებად. ეს პროცესი მიმდინარეობს ცნობიერების განვითარების, არაცნობიერისაგან მისი განსვლის და კულტურის ჩამოყალიბებისა და სულ უფრო მეტი განვითარების შესაბამისად. შრომაში „*კოლექტიური არაცნობიერის სახეების შესახებ*“ იუნგი ყველა წარმოდგენილი პროცესის ილუსტრირებას ახდენს უმდიდრესი კულტურულ-ისტორიული მასალით, რაც მის ნაშრომს არა მარტო კარგად დასაბუთებულ ფილოსოფიურ კონცეფციად წარმოგვიდგენს, არამედ მომხიბლავ წასაკითხად, სადაც მოცემულია არქეტიპის განვითარების პროცესის თავსმოუხვეველი განმარტება არქეტიპულ წარმოდგენებამდე და შემდეგ ჩვენი თანამედროვე კულტურის ფუნდამენტური სახეებისა და იდეების სიმბოლურ ბუნებამდე.

არქეტიპისა და სიმბოლოს კონცეფციის დახმარებით იუნგმა ახსნა არა მარტო კულტურის, არამედ ანტიკულტურის წარმოშობაც, რასაც ის აკავშირებს არქეტიპების შემოსევასთან. ფაშისტების რასობრივი მითოლოგია და კომუნისტური მითი – ძალიან პრიმიტიულია გონებრივი თვალსაზრისით, მაგრამ მათ დაიპყრეს მილიონობით ევროპელის ცნობიერება. მასათა ექსტაზი და ჩირაღდნებით სვლა, გონდაკარგული ბრბოს მიერ ხალხის მტრების ძიება – ანტიკულტურის ყველა ეს გამოვლინება, იუნგის აზრით,

თავის დროს მოწმობდა, იმ ძალთა ზეობას, რომლებიც ბევრად აღემატებოდა ადამიანის გონებას.

კულტურის სტრუქტურალისტური კონცეფცია

იუნგის ანალოგიურად კულტურის საფუძვლების გაგება გადმოცემულია ისეთი თანამედროვე ფილოსოფოსების შრომებში, როგორიც არიან *ჟ. დერრიდა, ჟ. ლაკანი, კ. ლევი-სტროსი, მ. ფუკო, ძ. ბარტი* და სხვა. მათ უწოდებენ *სტრუქტურალისტებს*, რამდენადაც კულტურის ერთიანი საფუძვლების ძიებისას მათ „აღმოაჩინეს" „ფორმები", რომლებშიც ხორციელდება ადამიანის შემოქმედებითი მოღვაწეობა. ამ ფორმებს მათ უწოდეს სტრუქტურები, აღნიშნეს რა მოცემული ცნებით მტკიცე ურთიერთობების ერთობლიობა, რაც არეგულირებს ადამიანის მთელ სულიერ-შემოქმედებით მოქმედებას.

ეს უნივერსალური სტრუქტურები მჟღავნდებიან მითების შესწავლისას, არაცნობიერის ინტერპრეტაციით მისი ტექსტუალური ხასიათის თვალსაზრისიდან, რაც დაფუძნებულია ენაში.

ძ. ფუკი (1926-1984) შეისწავლიდა და იძიებდა იდეების, წეს-ჩვეულებებისა და ძალაუფლების ურთიერთობების ფარულ კავშირებს. *რ. ბარტმა* (1915-1960) გააკრიტიკა ლიტერატურათმცოდნეობაში დამკვიდრებული შეხედულება, რომელიც ტექსტის თეორიას განიხილავდა როგორც ენის მაწარმოებელს და აზრის დამბადებელს. თითოეული სტრუქტურალისტი ცდილობდა კაცობრიობის კულტურის უნივერსალური სტრუქტურის განმარტებას.

სტრუქტურალისტების ნამუშევრების ბაზაზე გამოჩნდა ისეთ მოაზროვნეთა ნაშრომები, როგორიც არიან პოსტსტრუქტურა-ლისტებად წოდებული *ჟ. დელეზი* და *ფ. გვატტარი*,. მათ შექმნეს მცნება „*რიზომა*", რაც არის თანამედროვე კულტურის მეტაფორა მისი მოწესრიგებულობისა და სინქრონულობის უარყოფით. სხვა ცნებით – „*დეცენტრაცია*" – პოსტსტრუქტურალისტებმა გამოხატეს ეთნოცენტრიზმის უარყოფა კულტურათა თანასწორობის სასარგებლოდ, ყურადღება „სხვისადმი".

ძირითადი ტერმინები და ცნებები

უსასრულობის სიმბოლო	კოლექტიური უმეცრება
ვივენდის მოდუსი	არქეტიპები
კულტურული სულები	არქეტიპული ნიმუშები
მონადები	არქეტიპული წარმოდგენები
სიმბოლური სისტემა	სტრუქტურალისტები
სიმბოლური უნივერსუმი	პოსტსტრუქტურალისტები
ფენომენოლოგია	დეცენტრაცია
სტაბილური ალბათობები	რიზომა
ფენომენოლოგიური რედუქცია	სასიცოცხლო სამყარო

კითხვები გამეორებისათვის

1. მოკლედ ჩამოაყალიბეთ ნ.ა. ბერდიაევის შეხედულებები კულტურაზე.
2. ახსენით ო. შპენგლერის კულტურის კრიზისის კონცეფცია.
3. შეადარეთ სიმბოლური და ფენომენოლოგიური კულტურების კონცეფციები.
4. როგორ ხსნიდა კულტურისა და ანტიკულტურის წარმოქმნას კ.გ. იუნგი.
5. როგორ გესმით სტრუქტურალური კონცეფცია?

ნ. ბერდიაევის გამონათქვამიდან

ანარქიზმი, ბოლოს და ბოლოს არის კულტურის წინააღმდეგ რეაქციული აჯანყების ფორმა, კულტურის მიუღებლობა მის უთანასწორობასთან, მის ტანჯვა-წამებასთან და მასთან ერთად მის დიდებულ წიაღსვლებთან და აყვავებასთან, მისი მიუღებლობა იმ პროცესის სახელისათვის, რომელიც აწონასწორებს, ათანაბრებს და წარხოცავს ყოველივე ამაღლებულს.

ნ. ბერდიაევი

თავი 20

ქართული კულტუროლოგია

... და დამარხულ არს ენაჲ ქართული დღემდე მეორედ მოსლვისა მისისა საწამებლად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.

იოანე ზოსიმე



ადამიანები საქართველოს ტერიტორიაზე დაახლოებით მილიონ რვაასი ათასი წლის წინ ცხოვრობდნენ... არქეოლოგებმა დმანისელ ადამიანებს „*პირველი ევროპელები*“ უწოდეს და პირობითად „*მზია*“ და „*ზეზვა*“ („*რე-ვაზი*“) დაარქვეს.



უფლისციხე – კლდეში ნაკვეთი ქალაქი. ქრისტეშობამდე I ათასწლეულის პირველი ნახევრიდან

ქართული კულტურა უძველესი დროიდან ქრისტიანობის ხანამდე

პირველი ევროპელები

საქართველოს ტერიტორია უხსოვარი დროიდან ყოფილა დასახლებული. არქეოლოგებმა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი ნაქალაქარის *დმანისის* გათხრებისას აღმოჩენილი ადამიანთა ძვლების შესწავლით დაადგინეს, რომ ადამიანები საქართველოს ტერიტორიაზე დაახლოებით მილიონ რვაასი ათასი წლის წინ ცხოვრობდნენ და შემდგომში აქედან მოხდა მათი განსახლება ევროპასა და აზიაში. ევროპაში ასეთი ძველი ადამიანების ნაშთები აღმოჩენილი არ არის, ამიტომ არქეოლოგებმა დმანისელ ადამიანებს „*პირველი ევროპელები*“ უწოდეს. უძველესი მამაკაცისა და ქალის თავის ქალების საფუძველზე ფრანგმა მოქანდაკემ *ელიზაბეტ დენიმ* მათი სკულპტურული პორტრეტები შექმნა და ამ უძველეს წყვილს პირობითად „*მზია*“ და „*ზეზვა*“ („*რე-ვაზი*“) დაარქვეს.

საქართველოში აღმოჩენილია კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპის ამსახველი არქეოლოგიური ძეგლი. აქ წარმოდგენილია კულტურის განვითარების უწყვეტი ჯაჭვი, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ცივილიზაციის შემქმნელი ხალხი ერთი ეთნიკური ჯგუფია და ადგილი არ ჰქონია კულტურათა მონაცვლეობას.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ხელოვნების პირველი ნიმუშები ჯერ კიდევ ქვის ხანას მიეკუთვნება. მიუხედავად იმისა, რომ უძველესი დროის ადამიანს მძიმე ბრძოლა უხდებოდა ბუნებასთან ყოველდღიური სარჩოს მოსაპოვებლად და ამ ბრძოლას უთმობდა თავისი დროისა და ძალ-ღონის უდიდეს ნაწილს, მას სხვა მოთხოვნილებაც უჩნდება. იგი აკეთებს სამკაულებს (სამაჯურები, სამკაულად გამოყენებული ლოკოკინის გახვრეტილი ნიჟარები, ცხოველის გახვრეტილი კბილები და სხვა), ხატავს, ძერწავს, აქანდაკებს. ერთი სიტყვით, იწყება ხელოვნება, რომელიც ჯერ-ჯერობით პრიმიტიული ნიმუშებითაა წარმოდგენილი. უკვე *პალეოლითში* (ძვ. ქვის ხანა – დასრულდა 50 ათასი წ. წინ) მოიპოვება ორნამენტით შემკული ნივთები. ნეოლითური (ახალი ქვის ხანა, გაგრძელდა ძვ.წ.აღ. III ათასწლეულამდე) თიხის ჭურჭელი ზოგჯერ შემკულია გარკვეული (მაგ., თავთავისებრი) ორნამენტით. ჩვენამდე მოაღწია *ენეოლითის* (სპილენძ-ქვის ხანის) სპილენძისა და მეტად მრავალფეროვანმა კერამიკულმა ნაწარმმა.

მომდევნო პერიოდში, განსაკუთრებით *ბრინჯაოს ხანის* აყვავების დროს, ხელოვნება საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომებში საგრძნობ განვითარებას აღწევს. ადრეული ბრინჯაოს ხანის *მტკვარ-არაქსის* კულტურა გამოირჩევა ხელით ნაძერწი თავისებური ჭურჭლით (ქრისტეშობამდე IV ათასწლ. II ნახევარი – III ათასწლ.).

ამ ცოტა ხნის წინ *დაბით გარეჯის* უდაბნოში აღმოჩენილი იქნა ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაცია (თარიღდება ქრისტეშობამდე II ათასწლ.). გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ ამ ტერიტორიაზე შორეულ წარსულში ერთობ განვითარებული და დაწინაურებული იყო მეტალურგია, საბოქაულო კულტურა. საქართველო ითვლება მეტალურგიული კულტურის უძველეს კერად. ეს ცივილიზაცია, რომელსაც უდაბნოს *ცივილიზაცია* უწოდეს, აღმოსავლეთით ვრცელდებოდა და ახლოს იდგა სხვა ძველ ცივილიზაციებთან, რომლებიც საფუძვლად დაედო კაცობრიობის შემდგომ განვითარებას.

ე.წ. შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანიდან საქართველოს ტერიტორიაზე ჩვენამდე მოაღწია იმდროინდელი ხელოვნების ბეჭდმა შესანიშნავმა ქმნილებამ. ასეთია, მაგალითად, *თრიალეთში* (წალკის რ-ნი) შუა ბრინჯაოს ხანის ფორღანულ სამარხებში ნაპოვნი ოქროს თასი, ვერცხლის სასმისი, ვერცხლის სარწყული (ძვ.წ. II ათასწლ. შუახანები), აგრეთვე მაღალი მხატვრული გემოვნებით შესრულებული ლითონისა და რთული ფერადი საბეჭდით მოხატული თიხის ჭურჭელი.

ამ ხანაში თრიალეთის მოსახლეობა განვითარების მაღალ დონეზე მდგარა. აქაური კულტურა ადგილობრივ ნიადაგზეა განვითარებული, მაგრამ ზოგი საერთო რამ მოეპოვება *ბეთურ* და *მოთაბურ* კულტურასთან, რადგან ცხოველი ურთიერთობა ჰქონდა ამ სახელმწიფოებთან.

გვიანი ბრინჯაოს ხანის როგორც ლითონის, ისე თიხის ქართული ნაწარმი ხშირად შემკულია მეტად რთული და მაღალმხატვრული ორნამენტით. ზოგ ნივთზე ზღაპრული ცხოველებიცაა გამოსახული. იმდროინდელია სხვადასხვა გამოსახულებებით დამშვენებული სარტყელები და აბზინდები (უმთავრესად აღმ. საქართველოს ტერიტორიაზე), რომლებზედაც ნადირობის სცენებია გამოხატული. ცხოველებს ტანზე ზოგჯერ მზე ან სხვა მნათობი ახატია, რაც ამ გამოსახულებების რელიგიურ ხასიათზე მიუთითებს.

ამ პერიოდიდან ჩვენამდე მოაღწია ბრინჯაოსაგან გაკეთებულმა ცალკეულმა, საკმაოდ მაღალი ხელოვნებით შესრულებულმა ქანდაკებებმაც. ამ დროის მონუმენტური ხელოვნების ნიმუშებს წარმოადგენს

ზოგიერთი ის ციკლოპური ციხე-ქალაქი, რომლის ნაშთებსაც ვხვდებით საქართველოს ცალკეულ, უმეტეს წილად, სამხრეთის რაიონებში.

უძველესი რელიგიური წარმოდგენები

ბუნების ძალების წინაშე უმწეო უძველესი ადამიანის ფსიქიკაში თანდათანობით აღმოცენდა რელიგიური წარმოდგენები. მისი შეხედულებით, სამყარო სავსეა კეთილი და ბოროტი ძალებით, ანუ სულებით. სულთა თაყვანისცემა (ანიმიზმი) იყო რელიგიის ერთ-ერთი უძველესი საფეხური. თაყვანისცემის საგანი იყო ესა თუ ის ცხოველიც (ტოტემიზმი). მატრიარქატის ხანაში, კერძოდ მის განვითარებულ საფეხურზე, კულტის საგანი ხდება ქალი, რომლის ქანდაკებებსაც ხშირად პოულობენ იმ დროის ნაშთებს შორის.

უფრო მოგვიანებით წამყვანი ადგილი დაიკავა ბუნების ძალების გაღმერთებამ. თაყვანისცემის საგანი შეიქნენ მანათობები – მზე, მთვარე, ვარსკვლავები.

ყველა ტომს საკუთარი მფარველი ღვთაება ჰყავდა, შაგრამ ყალიბდება აგრეთვე ღვთაებათა საერთო პანთეონი. რთულდება სარწმუნოებრივი წეს-ჩვეულებებიც. საინტერესო სარწმუნოებრივი ცერემონიაა გამოსახული თრიალეთში აღმოჩენილ შუა ბრინჯაოს ხანის ვერცხლის სასმისზე.

ამ ძველ დროს ქართველ ტომებს უკვე ჰქონდა მრავალი სხვადასხვა მითიური და ეპიკური თქმულება.

მითოლოგია

ქართული მითოლოგია უძველესი მრავალფეროვანი ქართული ხალხური შემოქმედების, რწმენისა და ფილოსოფიური აზროვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა, რომელიც საინტერესოა არა მარტო თავისი სიძველით, არამედ უშუალო ესთეტიკური ღირებულებითა და საძირკვლის თვალსაზრისითაც.

ქართველთა მითოლოგიურ წინაპრად მიჩნეულია *ქართლოსი* – ბიბლიური „ნოეს ძის იაფეთისაგან", თარგამოსის ძე, მცხეთის აშშენებელ მცხეთოსის მამა. თარგამოსს რვა შვილი ჰყავდა: *ჰაოსი, ქართლოსი, ბარდოსი, მოვაკანოსი, ლეკანოსი, ჰეროსი, კავკასოსი* და *ეგროსი* – შესაბამის მხარეთა და ტომთა მამამთავარნი.

ქართველებს ჰყავდათ საერთო დიდი ღმერთებიცა და სატომო ან სატომთაშორისო ღვთაებებიც. ადრეკლასობრივი საზოგადოების დროსაც ქართველთა წინაპრები ყველაზე დიდ პატივსა და თაყვანს სცემდნენ მთვარეს, მზესა და ვარსკვლავებს – საერთო ქართულ ღვთაებებს.

იმ დროის ქართულ ასტრალურ პანთეონს სამეული მეთაურობდა: უზენაესი ღმერთი (ან მორიგე ღმერთი), ქალღმერთი მზე ან მზექალი, და კვირია. უზენაესი ღმერთი – მთვარე ღმერთია, ე. ი. მამა ღმერთი.

იერარქიის მომდევნო საფეხურზე იდგნენ: ჯვარი ან ხატი, ღვთისშვილები.

იმ დროისათვის ქართველთა ყველა ღვთაება ანთროპომორფულ არსებებად არის წარმოდგენილი.

ამირანი – უძველესი წარმართული ეპოსის „ამირანიანის“ მთავარი გმირი, კოლხური მითოლოგიის ცენტრალური ფიგურაა. ბერძნულ პრომეთეს წინამორბედი, დაახლოებით 3500 წლის წინ შექმნილი საკაცობრიო მაშვრალის ტიპი და სიკეთის სიმბოლოა.

ამირანის ეპოსი მრავალმხრივ აისახა ლიტერატურასა და ხელოვნებაში, მაგ., გვიანი ბრინჯაოს ხანის მცხეთის სარტყელზე, სტეფანწმიდის განძის ფიგურებზე. ცნობილია 150 ვარიანტი ლექსად და პროზად.

მრავალ ქართველ და უცხოელ მეცნიერს უმუშავია ამირანის პრობლემაზე (თეიმ. ბაგრატიონი, გ. წერეთელი, შ. ნუცუბიძე, პ. ინგოროყვა, ნ. მარი, ვ. მილერი, დ. დანგო და სხვები). ამირანის თქმულებებს ერთად მოუყარა თავი და გამოსცა მ. ჩიქოვანმა. სვანური ვერსიები ლექსად შეკრა და დაასურათა ვ. ონიანმა. მანვე გამოკვეთა ამირანის გოლიათური ქანდაკება (სილნაღი, სიმაღლე 12 მ.).

კოპალა – ქართული მითოლოგიის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურაა, ღვთისშვილი, დევთა და ქაჯთა რისხვა. მათთან ბრძოლებში თან ახლავს მისი თანამებრძოლი – იახსარი.

კოპალას სახელთან მრავალი ადგილი, ქვა და სალოცავია დაკავშირებული.

კოპალას ქვა (ფშავში, არაგვზე, მაღაროსკართან) – ძლიერების სიმბოლიკის ნიმუშია.

უძილთაურელ ფშაველთა და ლიქოკელ ხევსურთა სათემო ღვთაება, დევებთან მოჭიდავე, ლაბტიანი ღვთისშვილი საკაცობრიო გმირთა რანგში ადის ბოროტებასთან ბრძოლის დიდი მასშტაბით.

გიორგი (სვანურ მითოლოგიაში ჯგირაგი) – მშვენიერი ღვთისშვილი, ხახმატის სათემო ხახეა. არის სხვა გიორგიც – *ლაშარის ჯვარისა. თეთრი გიორგიც* წარმართული ხახეა – მთვარის კულტის სახე. თითოეული მათგანი ებრძვის ბოროტ ძალებს. გიორგი მოკლეს და მისი სხეულის ნაწილები ღმერთმა მიმოაბნია. სადაც წმინდა ნაწილი მოხვდა, ყველგან ტაძრები აღმართეს. გიორგისადმი მიძღვნილი დღესასწაულები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში

სხვადასხვა სახელწოდებით ეწყობოდა: უსანეთობა, გერისთობა, ატოცობა (ქართლში), ილორობა (ილორის ხატზე, სამეგრელოში), ლიგერგი გიორგობა (სვანეთში), ალავერდობა (კახეთში).

ბარბარე – ერთ-ერთი უძველესი წარმართული ქალღმერთი, ქართულ (ძირითადად სვანურ) მითოლოგიაში, მზის მოქცევის ადგილობრივი ღვთაება, დედობისა და ფურობის ასტრალური სახეა.

ბოგაის მინდი – ქართული მითოლოგიის ერთ-ერთი უნათლესი სახეა, ვაჟა-ფშაველას მინდიას პროტოტიპი, ნახევრად ღმერთი. მას აქვს მაგიური ძალა, ჯადოქრობის ნიჭი, ბუნების ენის გაგებისა და განკურნების უნარი. ეს მოტივი საკაცობრიო მნიშვნელობამდე აამაღლა ვაჟა-ფშაველამ. მხატვრულად გადამუშავებული სახე შექმნა კ. გამსახურდიამ ნოველაში „ბოგაის მინდი“.

დალი – კლდის ტურფა ქალი, ნადირობის მაცდური ქალღმერთი სვანურ მითოლოგიაში, ნადირთა და მთაში ასულ მონადირეთა ბედის გამგებელია.

ადგილის დედა – ნადირთა პატრონი. დალზე უფრო წმიდა და უმწიკვლო, პატივით გარემოსილი მფარველი დედა. ფშაველის წარმოდგენით ყველა ადგილს, მთას, გორას, ხევს ჰყავს ადგილის დედა. მას მცირე კოშკს უშენებდნენ, კვერცხებს მიართმევდნენ ბავშვების ხელით. მასზე მითები არ შექმნილა, მაგრამ საკულტო წესებში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს.

ადამიანის ბედის გამრიგენი – ბედის მწერლები. ეს სახე საყურადღებოა იმ თვალსაზრისითაც, რომ უძველეს წარმართულ ლექსებში აღნუსხულია წერის, წიგნის, დავთრის არსებობის ფაქტი („დაუძახეს ბედის მწერლებს, დიდ დავთრებში ჩასწერესო“).

მეზირის კულტი. მეზირი – წმიდა სალოცავი ნივთი (ქვა, კერპი, სიმბოლო), ოჯახის მფარველი, რომლის ხილვის ნებაც მხოლოდ ოჯახის წევრებს ან უფროსს ჰქონდა. იგი მუდმივად ოჯახში უნდა ყოფილიყო. უძველეს წარსულში – ოჯახის მფარველი იყო თეორი გველი.

ფშაში დღესაც მრავალი საკულტო ცენტრი და მითოლოგიური ამბავი, ფრაგმენტი, ლექსი და ტერმინია შემორჩენილი: ლაშარის ჯვარი (ხატი) იახსარი, კოპალა, გიორგი წყაროსთაული, კარატე, მიგრიაულთა, გოგოლაურთის მთავარმოწამე, საკვირაო, დამასტური, თამარ-ღელე, ჭიჩოს და თამარის სალოცავები.

სამღვდელოთა სასახლე, სადროშე, საპურე, სავჯარე, სადასტურო, საქვაბე, სალუდეები მოწმობენ თუ რა ცხოველად სუფევდა

საქართველოს მთაში წარმართული და მერე აქედან საქრისტიანოში გადაზრდილი ძველი სარწმუნეობა, მითი და სინამდვილე.

კოლხური კულტურა

ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულს ადგილი ჰქონდა დიდი ტერიტორიის მომცველი ერთგვაროვანი კულტურის არეების ჩამოყალიბებას, რასაც ხელს უწყობდა ტომთა დიდი კავშირების შექმნა. ერთ-ერთი ასეთი კავშირი იყო *დაოხი* – (რომლის სახელი შემდეგ საქართველოს ერთ-ერთ მხარეს – ტაოს – შემორჩა) – საზოგადოებრივი და კულტურული განვითარების თვალსაზრისით იმ დროს საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დაწინაურებული რაიონი. მეორე იყო *კოლხური ტომების გაერთიანება* (ურარტულად „ქულხა", „კოლხა"), რომელმაც თავისი გავლენა ფართო ტერიტორიაზე განაერცო სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში.

ბერძნები ამ ადგილებს პირველად სწორედ II-I ათასწლეულების მიჯნაზე კოლხური ტომების დიდი გაერთიანების ძლიერების ხანაში გაეცნენ.

ძველი ბერძნული ეპოსის ერთ-ერთ შესანიშნავ ქმნილებაში – ოქმულებაში არგონავტების შესახებ აირეკლა კოლხეთის დიდება და ბრწყინვალება. თქმულებაში საუბარია კოლხეთში დიდი ძლიერი სამეფოს, ბრწყინვალე სამეფო კარის, მონებისა და სხვათა არსებობის შესახებ. ბერძენთა წარმოდგენაში კოლხეთი იყო ოქროს, მედიცინის, მხედრული ძლიერების ქვეყანა. ამას ადასტურებს არქეოლოგთა მიერ აღმოჩენილი საუნჯე, მიწის ღრმა შრეებში ნაპოვნი მატერიალური კულტურის ძეგლები. ასეთია მაგ., ვანში აღმოჩენილი ძვ.წ. V ს. კოლხი ქალიშვილის სამარხი, ნიკეს ქანდაკება, სატირი, მოზუცი პანი და სხვა, მედუზა გორგონას თავი, უზარმაზარი შენობის ნამუსრევი.

კოლხეთში განვითარების მაღალ დონეს მიაღწია ხელოსნობის მრავალმა დარგმა, მაგ., ლითონების, ძვირფასი ლითონების დამუშავება, თიხისა და ხელის წარმოება. იმდროინდელ სამარხებში აღმოჩენილია მდიდრული ნივთები, მაღალი მხატვრული გემოვნებით ნაკეთები უაღრესად ძვირფასი სამკაულები, ლითონის ჭურჭელი და სხვა. პროფესიონალი ხელოსნების არსებობას მოწმობს დაბალგომში (სამტრედიის რ-ნი) აღმოჩენილი კერამიკული ნაწარმი.

ჭიათურის მიწის წიაღში ნახეს ლითონის სადნობი ღუმელები და ყალიბები, რაც მოწმობს რომ საქართველოს მიწა-წყალზე 2400 წლის წინ უკვე ჰქონიათ უმაღლესი ხარისხის ლითონის სადნობი მოწყობილობა, მანგანუმის შენადნობის გამოყენებით.

ბერძნები ძვ.წ. VIII საუკუნეში ეწვივნენ ამ ქვეყანას საალებმიცემო ნიშნებით ვაჭრობისათვის. VII-VI სს. კოლხეთის სანაპიროზე გაჩნდა ტრაპეზუნი, კერასუნტი, ფაზისი (ახლანდელი ფოთი), დიოსკურია (ახლანდელი სოხუმი), ცოტა მოგვიანებით – პიტიუნტი (ახლანდელი ბიჭვინთა) და სხვა დასახლებები.

დასავლეთ საქართველოში ძვ.წ. VII საუკუნეში ძლიერი კოლხეთის სახელმწიფოს არსებობას ადასტურებს „კოლხური თეთრი", რომლის ერთ მხარეზე გამოსახულია ადამიანის თავი, მეორე მხარეზე კი ცხოველის – თავიდან ხარის, შემდგომ კი – ლომის გამოსახულება. კოლხეთის შესახებ საინტერესო ცნობები დაგვიტოვა ძველმა ბერძნებმა ისტორიკოსმა ქსენოფონტემ, რომელმაც ძვ.წ. 401 წ. გაიარა ამ ადგილზე.

კოლხეთისა და აქ მცხოვრებ ქართველურ ტომებს აღწერდნენ იმდროინდელი ბერძენი მოგზაურები და ლოგოგრაფოსები. კოლხეთის ძლიერებაზე მეტყველებდნენ ჰეროდოტე, ესქილე, აპ. როდოსელი და სხვები.

ბერძნულ წყაროებში არის ცნობები აქ მდინარე ფაზისის (რიონის) აუზში ხიდების, დაბლობის მასივზე, განსაკუთრებით ზღვისპირას, იპოდრომებისა და თეატრონების მშენებლობის ტექნიკის შესახებ და მრავალი სხვა ნაგებობის არსებობის თაობაზე. წერილობითი წყაროებით დადასტურებულია აგრეთვე ძველ ციხე-სიმაგრეებში სამსაფეხურიანი წყალსადენის, საყოფაცხოვრებო ნაგებობათა არსებობა, რაც თვალნათლივ დასტურდება ნოქალაქევის (ციხე-გოჯის) არქეოლოგიური გათხრებისა და მეცნიერული შესწავლის შედეგად.

კოლხეთის სატახტო ქალაქი იყო მდ. ფასიდზე (ფაზისზე, რიონზე) მდებარე აია, სადაც აღმართული იყო ამ ქალაქის „მფარველი" ქალღმერთის ქანდაკება. ერთი აღწერით (ახ.წ. 134 წ.) ქალღმერთი იჯდა ტახტზე, ხელთ ეპყრა კიმბალი (საკრავი), ზოლო ტახტს გამოძერწილი ლომები „დარაჯობდნენ". ქანდაკების აღმწერელი მას ადარებს სახელოვანი ბერძენი მოქანდაკე ფიდიასის ერთ-ერთ ნაწარმოებს.

აღმოსავლეთ საქართველოს კულტურა

აღნიშნულ პერიოდში კულტურული და ეკონომიკური განვითარების მაღალ საფეხურს აღწევს აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობაც. ქსნის ზეობაში, ახლანდელი ახალგორის სოფ. საძეგურთან, აღმოჩენილია მრავალი ძვირფასი ნივთი (ძვ.წ. VI-IV სს), რომელიც წარჩინებული

ქალის სამარხს უნდა ეკუთვნოდეს. აქ ნაპოვნია ოქრომჭედლობის მრავალი შესანიშნავი ქმნილება: სამკაული (ოქროს წვრილი სამაჯური, ყელსაბამები, ბეჭდები, საფეთქლის სამკაულები, საყურეები და სხვა), ჭურჭელი, ცხენის აკაზმულობის ნაწილები, სარდიონის, მთის ბროლის, გიშრისა და ქვის მძივები.

სოფელ საძეგურის მდიდრული სამარხის მსგავსი და იმავდროული სამარხები აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ადგილებშიც მაგ., სოფ. წინწყაროსთან (თეთრიწყაროს რ-ნი), აგრეთვე ყაზბეგის რაიონში.

ჯერ კიდევ შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანაში დაწყებული ქართველი ტომების კონსოლიდაციის და ერთგვაროვანი კულტურის არეების ჩამოყალიბების პროცესი დიდად გაცხოველდა ძვ.წ. III საუკუნიდან, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე შეიქმნა *ქართლის სამეფო*, რომლის ფარგლებში აღმოსავლეთ საქართველოს გარდა, დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილიც მოექცა.

ამ დროიდან მოყოლებული, საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილების ნივთიერი კულტურა საოცარ ერთგვაროვნებას იჩენს არა მარტო არსებითად, არამედ დეტალებშიც კი.

ხელოვნება

იბერიის ერმრავლობას, მისი ქალაქების სიმრავლესა და სიკეთეს ახასიათებს ძველი ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი სტრაბონი (ქრისტეშობამდე 66 წ. – ქრისტეშობიდან 24 წ.): „აქ გვხვდება კრამიტის სახურავებიც, სახუროთმოძღვრებო ხელოვნების წესების თანახმად ნაგები შენობები, საბაზრო ადგილები და სხვა საზოგადოებრივი ნაგებობანი“.

უკვე ამ დროს იწყებენ იბერიის ხელისუფლები უზარმაზარი თავდაცვითი და სხვა ნაგებობების შენებას. მცხეთას სამეფო ქალაქად გახდომამდე უკვე კულტურული ცხოვრების ათასწლეული ისტორია ჰქონდა. ქალაქს იცავდა ოთხი ციხე, რომელთა შორის მთავარი სიმაგრე („თავადი ციხე“) იყო *არმაზციხე*.

არმაზციხის ტერიტორიაზე მდგარა ქვის სასახლე: გამოირჩეოდა თლილი ქვის ერთი შენობა ქვის თავ-ძირიანი სვეტებით, ჩუქურთმიანი ლავგარდნებით, ფერადი ნახატებით დამშვენებული. იქ აღმართული ყოფილა ქალაქის მფარველის, ომის ღვთაების – *არმაზის* ქანდაკება – ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული, ზურმუხტისთვალიანი, ხელმახვილიანი.

იბერიის ქალაქთაგან გამორჩეული იყო: *წიწამური, სარკინე ქალაქი, ავრეთვე კასპი, უფლისციხე, ურბნისი, სურამი, ოძრხე* და სხვა.

უფლისციხე – კლდეში ნაკვეთი ქალაქი. ქრისტეშობამდე I ათასწლეულის პირველი ნახევრიდან ვიდრე XIII საუკუნებდე. გადმოცემით უფლისციხე ააშენა *მცხეთოსის შვილმა უფლოსმა*. აქ მოსახლეობა უკვე ძვ.წ. VII-VI სს.-ში ყოფილა. უფლისციხე მდებარეობს საქართველოს ცენტრში გამავალ სატრანზიტო გზაზე. ჩრდილოეთის მთავარი გზა კლდეში იყო გაყვანილი. ნაგებობები იარუსებადაა განლაგებული. ქალაქში გამოყოფილია ორი დიდი კომპლექსი, საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობებით, მეფის და დიდებულების მისაღები დარბაზით. უფლისციხე წყლით მტკვრიდან მარაგდებოდა განიერი და მაღალი გვირაბით.

ჯერ კიდევ წინა ელინისტურ ხანაში ჩასახული ქალაქი უფლისციხე შუა საუკუნეებშიც აგრძელებს ცხოვრებას. უფლისციხის ეკლესიათა შორის აღსანიშნავია VI საუკუნის II ნახევარში ქალაქის ცენტრალურ ნაწილში გამოკვეთილი დიდი ზომის სამნავიანი ბაზილიკა.[1]

საცხოვრებელ ნაგებობათა მსგავსად შენდებოდა ქვის სამარხებიც, მეტადრე მდიდართა აკლდამები (I-III ს. ან.წ.). არქიტექტურითა და დეკორატიული მორთულობით გამოირჩევა მავზოლეუმის ტიპის აკლდამა არმაზის ქედის ძირში.

მცხეთას ჰყოლია „მზატვართუხუცესი და ხურთმოძღვარი“.

მცხეთაში და საქართველოს სხვა ადგილებში მრავლადაა მოპოვებული *ოქრომჭედლობის* ნაწარმი სამკაულები: ოქროს ბეჭდები, საყურეები, სამაჯურები, აბზინდები, დიადემები, გვირგვინები, გულსაკიდები და სუფრის „სამსახურებელნი“ – ვერცხლის ჯამ-ჭურჭელი, დანადგარები, თასები, ფიალები, სურები;

ოქრომჭედლობის ნიმუშები არანაკლები სიუხვით დაუცავთ ბორს, კლდეეთს (ზემო იმერეთი), ურეკს (გურია) და სხვაგან აღმოჩენილ სამარხებს. სამკაულებში გამოირჩევა ისეთი თვლები, ე.წ. გემები, რომლებზედაც ამოკვეთილ-ამოკაწრულია ადამიანთა პორტრეტები, მაგალითად პიტიახშ ასპავრუკისა ან სხვათა გამოსახულებანი.

მწიგნობრობა და განათლება

იბერიაში ფართოდ იყო გამოყენებული არამეული დამწერლობის თავისებური სახე – ე.წ. არმაზული დამწერლობა. ამ დამწერლობის ძეგლთა შორის ერთ-ერთი

[1] კლდეში გამოკვეთილი ეს სამნავიანი ბაზილიკა ერთადერთია საქართველოში. ცალნავიანი თუ გუმბათიანი ეკლესია კი მრავლადაა კლდეში ნაკვეთი.

უმნიშვნელოვანესია არმაზისხევთან ნაპოვნი სერაფიტის წარწერა (II ს. ახ.წ.). ის ამოჭრილია ქვის სვეტზე, რომელიც თავის დროზე აღმართული ყოფილა მაღალი წრის ქალის სამარხზე. წარწერა ორენოვანია: ბერძნული და არამეული. იგი ასე იწყება: „მე ვარ სერაფიტი, ფარსმან მეფის პიტიახშის ზევახის ასული“.

აღმოჩენილია აგრეთვე სხვა იმდროინდელი წარწერები, მაგ., ბორში აღმოჩენილ ვერცხლის ლანგარზე, ასპაყრუკის აკლდამაში ნაპოვნ სარტყლის თვალზე, ოქროს ბეჭდის თავზე და ა.შ.

იბერიასა და კოლხეთში გავრცელებულ ცოდნის დარგთა შორის აღსანიშნავია გეოგრაფია — კარტოგრაფია. კოლხებს ჰქონდათ მამა-პაპათაგან ნაანდერძევი გეოგრაფიული „დაფები“, რომლებზეც „ჩამოთვლილი იყო ყველა არსებული გზა, წყლისა და ხმელის საზღვრები, — მოგზაურთათვის სახმარად“. ქართველ სწავლულებს ძველთაგანვე უფიქრიათ იმ საისტორიო თხზულებათა შექმნაზე, რომელნიც შემდეგ შევიდნენ უძველეს ქართულ მატიანეში.

კოლხეთის კულტურას, ბუნებრივია, აღმოსავლეთ საქართველოს კულტურასთან დიდი სიახლოვე ახასიათებდა.

I-III საუკუნეებში პოლიტიკურმა დასუსტებამ კოლხთა კულტურული ცხოვრება შეაწყვეტა, მაგრამ კოლხეთს შეელოდა დიდი შემოქმედებითი ტრადიციები. არქეოლოგიური გათხრები მოწმობენ, რომ კოლხეთში ისევ მაღალ დონეზე იდგა სამეურნეო კულტურა, ხელოსნობის დარგები, ხუროთმოძღვრება, ხელოვნება. ზემო იმერეთის ფარგლებში, მდ. სუფსის ხეობაში ნიადაგს შემოუნახავს ბევრი სათანადო ძეგლი. კლდეეთის სამარხებიდან, აგრეთვე ბორშიც ამოკრეფილია უამრავი ნივთი: ფაქიზად ნაჭედი ვერცხლის თასები, ლანგრები, სამკაულებიდან: ოქროს სამკაურები, გემიანი ბეჭდები, საყურეები შემკული პატიოსანი თვლებით, წინწკლებიანი ნაჭედობით, ამოკაწრული პორტრეტებით.

საქალაქო მშენებლობა ხასიათდებოდა უმთავრესად აღდგენითი მუშაობით. განუახლებიათ ქუთაისის, ციხე-გოჯის, შორაპნისა და სხვა ციხე-გალავნები. ძველი დიოსკურიის ახლოს აშენდა სებასტოპოლისი, აღდგენილი ჩანს ფაზისიც (ფოთი).

მოწინავე ქვეყნებთან კოლხეთის სააღებმიცემო ურთიერთობა მკაფიოდაა ასახული იმდროინდელ მონეტებში: პართულ, რომაულ, კოლხურ ოქრო-ვერცხლის ფულებში.

კოლხეთში არსებობდა ელინისტური გიმნასიონები („გიმნაზიები“), სადაც იწრთვნებოდნენ ტანვარჯიშში, ფილოსოფიაში. კონსტანტინეპოლელ ფილოსოფოსსა და რიტორ თემისტიოსს (IV

ს.), მისივე მოწმობით, ფაზისის „ახლოს“ ჰქონდა შეთვისებული რიტორიკა. იმ დროს ფაზისში არსებობდა რიტორიკული სკოლა, რომლის წარმოქმნა უფრო ადრეულ ხანას ეკუთვნის — არა უგვიანეს III საუკუნისა. ფაზისის აკადემია აშკარა მოწმობაა დასავლეთ საქართველოში იმ დროის ფილოსოფიური აზროვნებისა და რიტორიკული ხელოვნების მაღალი კულტურისა. ეგრისში იმ დროს გავრცელებული იყო ბერძნული მწიგნობრობა.

წარმართული სარწმუნოება

ძვ. წელთაღრიცხვის I ათასწლეულის შუა ხანებისთვის, საქალაქო ცხოვრების შემდგომმა აღმავლობამ, მონათესავე ქართველ ტომთა ერთი ტალღის — მუშქების (მესხების) ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ გადმონაცვლებამ გამოიწვია სიახლე რწმენის სფეროში. ეს სიახლე უზენაესი ღმერთის — მთვარე ღმერთის ახალი სახელის არმა-არმაზის ქართლში შემოჭრაში გამოიხატა. ტრადიცია არმაზის კულტს ფარნავაზ მეფის მოღვაწეობას უკავშირებს. მას შემდეგ მცხეთასა და სხვა ქალაქებში თაყვანს სცემდნენ წარმართ კერპთა: არმაზის, ზადენის, გაცის, გაეს, აინინას და დანანას, ბოჩის და ბადაგონის კერპებს. ღვთაებათა ქანდაკებებს სხვადასხვა მასალისაგან (სპილენძი, ოქრო, ვერცხლი და ძვირფასი თვლები) ამზადებდნენ. დამზადების ასეთი წესი დამახასიათებელია ურარტული და, საერთოდ, ძველი აღმოსავლეთის ხელოვნებისათვის.

ქართულ მითოლოგიურ სახეთა და სალოცავთა სიმრავლე, მრავალღმერთიანობა, ღვთიშვილთა და კერპთა კულტები დროთა განმავლობაში შეცვალა მონოთეიზმმა. მაგრამ მთის ხალხი დიდი ხნის განმავლობაში ისევ იცავდა თავის ძველ, ძვალსა და რბილში გამჯდარ რწმენას. წარმართული სახეები ხალხის წარმოსახვიდან ბოლომდე არ ამოიშალა. ბევრი წარმართული სახე შერია ქრისტიანულს და ხშირად მათი გარჩევაც ჭირს (წმ. გიორგი, ბარბალე, მარიამი, წვერის ანგელოზი და სხვა). დღესაც რთულ კომპოზიციას წარმოადგენს სვანეთში მურყვამობის (კოშკობის) სადღესასწაულო დრამატული მოქმედება, რომელიც იწყება ფერხულით და ორპირად ჩაბმული რვა-რვა კაცი დასძახებს სავალობელს. ჩვენს დრომდე გადარჩა არა ერთი ამისთანა ნიმუში ხალხური შემოქმედებისა ვოკალური თუ ქორეოგრაფიული კულტურის დარგში.

ძირითადი ტერმინები და ცნებები

„პირველი ევროპელები“	ადამიანის ბედის გამრიგენი
პალეოლითი	მეზირის კულტი
ენეოლითი	დაოხი
ბრინჯაოს ხანა	კოლხა
ციკლოპური ციხე-ქალაქი	არგონავტები
მატრიარქატი	კოლხური თეთრი
ქართლოსი	აია
ასტრალური პანთეონი	ქართლის სამეფო
ამირანი	იბერია
კოპალა	არმაზული დამწერლობა
გიორგი	ელინისტური გიმნასიონები
ბარბარე	მუშქები
ხოგაის მინდი	მონოთეიზმი
ანიმიზმი	ტოტემიზმი

კითხვები გამეორებისათვის

1. რომელ ისტორიულ ხანას მიეკუთვნება საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნივთიერი კულტურის უძველესი ნიმუშები?
2. ისაუბრეთ ქართველურ ტომთა უძველესი რელიგიური წარმოდგენებისა და მითოლოგიის შესახებ.
3. დაახასიათეთ კოლხური კულტურა. მატერიალური კულტურის რომელი ძეგლები ადასტურებენ ისტორიულ წერილობით წყაროებს მაღალგანვითარებული კოლხური კულტურის შესახებ?
4. დაახასიათეთ იბერიის სამეფოს კულტურული ვითარება. ისაუბრეთ იმდროინდელ საქართველოს მწიგნობრობისა და განათლების შესახებ.
5. რომელ წარმართულ კერპებს სცემდნენ თაყვანს ჩვენი წინაპრები?

თავი 21

IV-X საუკუნეების ქრისტიანული ქართული კულტურა



წმინდა ნინო



წმინდა გიორგი



ბოლნისის სიონი (478-493 წწ.) – სამნავიანი ბაზილიკა.



მცხეთის ჯვარი (586-604 წწ) – ტეტრაკონქი

IV საუკუნე საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებასა და კულტურაში დიდმნიშვნელოვანი ძვრებისა და გარდაქმნების საუკუნეა. ამ დროს ადგილი ჰქონდა საქართველოს ისტორიაში უდიდეს მოვლენას – 337 წელს *მირიანის* მეფობის დროს იბერიაში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. V საუკუნემდე ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ანტიოქიის პატრიარქს ექვემდებარებოდა. *კაბტანგ გორგასლის* საეკლესიო რეფორმების (466-468 წწ.) შედეგად ქართულმა ეკლესიამ ავტოკეფალია მოიპოვა. ამ დროს მსოფლიოში მოქმედებდა ექვსი დამოუკიდებელი ეკლესია: *რომის, კონსტანტინეპოლის, ანტიოქიის, ალექსანდრიის, იერუსალიმის* და *ქართული*. ქართულმა ეკლესიამ დიდი როლი ითამაშა ერთიანი ქართული ენის, სულიერი კულტურის, ფსიქიკისა და სახელმწიფოებრივი ერთიანობის იდეის ჩამოყალიბებაში.

მკვეთრად იჩინა თავი ეროვნული თვითშეგნების ზრდამ. ქართველები ამ დროს არა მარტო ბერძნების თანასწორუფლებიანად თელიან თავს, ქართული კულტურა არა მარტო მხარს უსწორებს მსოფლიო ცივილიზაციის მესვეურს – ბიზანტიას, არამედ გარკვეულ მეტოქეობასაც უწევს მას.

სინას მთის ერთ-ერთი გამოჩენილი ქართველი მოღვაწე იოანე-ზოსიმე (X ს) აყენებს ქართული ენის მესიანური დანიშნულების იდეას. ქართული ენის სადიდებლად დაწერილ ჰიმნში „ქებაჲ დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ ავითარებს აზრს, რომ ქართულ ენას აქვს უფლება და შესაძლებლობა არა მხოლოდ ორიგინალური, ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის შექმნისა, არამედ შეუძლია მსოფლიო ენად გადაიქცეს, მსოფლიო კულტურის მესაჭეობა იკისროს.

უკვე IX ს. როგორც ქართლში, ისე ტაო-კლარჯეთში, კახეთში, ჰერეთსა და აფხაზეთის სამეფოში ქართული ენა იყო მწერლობის, სახელმწიფო მართვა-გამგებლობის, სამოქალაქო ურთიერთობებისა და ეკლესიის ერთადერთი ენა. ქრისტიანობის საშუალებით ქართული ენა გადავიდა ჩრდილო კავკასიაშიც, უპირველეს ყოვლისა, – ჩერქეზებსა და ალანებში.

ქართული დამწერლობა და მწერლობა

ქართული დამწერლობა გაცილებით ადრე ჩამოყალიბდა, მაგრამ მისი ინტენსიური გამოყენება უკავშირდება ქრისტიანობის გავრცელების ხანას.

XI ს. ქართველი ისტორიკოსი *ლეონტი მროველი* ქართული ანბანის შემოღებას ფარნავაზ *მეფეს* (ქრისტეშობამდე IV-IIIსს. მიჯნა)

მიაწერს, XX ს. დიდი ქართველი ისტორიკოსის *ივანე ჯავახიშვილის* აზრით კი იგი ქრისტეშობამდე VII საუკუნეშია შექმნილი.

საუკუნეთა მანძილზე ქართულმა ანბანმა თავისი განვითარების სამი ძირითადი საფეხური განვლო:

1. ასომთავრულ-ხუცური, რომელიც ჩვენთვის ცნობილია დაწყებული V საუკუნიდან – IX საუკუნემდე.
2. ნუსხა-ხუცური დამწერლობა (IX ს-დან – XI ს-მდე).
3. მხედრული-ცნობილია XI საუკუნიდან და ხმარებაშია დღემდე.

ნუსხა-ხუცური წარმოადგენს ასომთავრულ-ხუცურის ისტორიულ განვითარებას, ხოლო მხედრული კი მოშდინარეობს ნუსხა-ხუცურისაგან.

დღეისათვის მეცნიერებისთვის ცნობილია ქართული დამწერლობის შემდეგი უძველესი ძეგლები: პალესტინის ქართული წარწერები V საუკუნის 30-იანი წლებისა, *ბოლნისის ტაძრის* წარწერები (492-493 წ.), *მცხეთის წარწერები* (VI-VII ს. მიჯნა), ე.წ. *ბანძული ტექსტები* (VI-VIII ს.ს. სახარების ტექსტები), ე.წ. *ბანძული ლექციონარი* (VI-VII ს.ს).

ისევე როგორც სხვაგან, საქართველოშიც მწერლობა თავდაპირველად საეკლესიო-რელიგიურ ხასიათს ატარებდა. მის განვითარებას საფუძვლად დაედო საეკლესიო ისტორიული ლიტერატურა, ანუ *ჰაგიოგრაფიული* მწერლობა, რომელიც ქართული ეკლესიის ჩამოყალიბებისთანავე აღმოცენდა IV საუკუნეში. ეს ლიტერატურა პირველად ნათარგმნი იყო ბერძნული, ასურული, სომხური და არამეული ენებიდან, მაგრამ პარალელურად მაღალხარისხოვანი ორიგინალური თხზულებებიც იწერებოდა.

ქართული ორიგინალური ლიტერატურის უძველეს ნაწარმოებად ჯერ-ჯერობით „*შუშანიკის მარტვილობა*“ ითვლება. თხზულება დაწერილია V ს. (476-483 წ.წ.), ავტორია *იაკობ ცურტაველი*, პიტიახშის კარის ხუცესი, შუშანიკის პირადი მოძღვარი. ნაწარმოების მხატვრულ-ლიტერატურულ ღირებულებაზე ნათლად მეტყველებს მისი ენა და სტილი. ძეგლი დაწერილია ნათელი, მოქნილი და მდიდარი მხატვრული ენით. ამბის თხრობა წარმოებს განსაზღვრული გეგმის მიხედვით, გვხვდება ბუნების სურათების აღწერა, ავტორი ხშირად მიმართავს მხატვრულ მეთოდებს, ჭარბად ხმარობს ეპითეტებს, შედარებებსა და მეტაფორებს.

ავტორი აღწერილი ამბების თანამონაწილეა. ამიტომ ნაწარმოებში უტყუარი ცნობებია მოცემული V ს. მიწურულის ქართული პოლიტიკური, კულტურული და ყოფაცხოვრებითი საკითხების შესა-

ზებ და სამართლიანად ითვლება უძველეს დიდმნიშვნელოვან საისტორიო თხზულებად.

ეჭვგარეშეა, რომ ამ ნაწარმოებების დაწერამდე ქართულ მწერლობას გავლილი ჰქონდა ინტენსიური განვითარების გზა. ქართულ ენაზე უკვე არსებობდა ბიბლიური წიგნები ძველი და ახალი ალთქმისა.

ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიის ბრწყინვალე ნიმუშებია, აგრეთვე: *ანონიმი ავტორის „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“* (VI ს), *იოანე საბანისძის „აბოს მარტვილობა“* (VIII ს), *ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“* (X ს), *ვითარი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“* (X ს) და სხვა.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ წარმოადგენს ეპოქის ერთერთ უდიდეს მხატვრულ და ბელეტრისტულ ნაწარმოებს. მისთვის დამახასიათებელია სადა, მარტივი ენა, სტილის ვირტუოზობა, ფართო ისტორიული პერსპექტივები, სიუჟეტის რეალისტური და დრამატული განვითარება, მოვლენების სიმართლითა და დეტალურად აღწერა. ავტორი ღრმად წვდება მოქმედ პირთა ფსიქოლოგიურ განცდებს და რელიეფურად გადმოსცემს მათ.

ორიგინალურ მწერლობასთან ერთად აღნიშნულ ხანაში შეჰუშავდა ეროვნული *ეორტალოგიაც*. ეროვნული მოღვაწეებისა და სხვადასხვა მოვლენათა აღსანიშნავად და სადიდებლად დაწესებულ იქნა წმინდა ქართული დღესასწაულები, რომელიც შეტანილია იმ დროს შედგენილ ქართულ კალენდარებში.

VII-VIII სს-დან სათავეს იღებს ქართული *ჰიმნოგრაფია*, ანუ *საკულიერო პოეზია*, რომელმაც განვითარების კულმინაციას X ს. მიაღწია. ცნობილი ქართველი ჰიმნოგრაფები იყვნენ: *იოანე-ზოსიმე, იოანე მინჩხი, იოანე მტბევარი, მიქელ მოდრეკილი, ეზრა, იოანე ქონქოზის ძე, კურდანაძ, ფილიპე, სტეფანე ჭყონდიდელი* და სხვები. მათი შემოქმედება სარწმუნოებრივთან ერთად ეროვნულ მოტივებსაც შეიცავს. ჩვენამდე მოაღწია *მიქელ მოდრეკილის* (X ს.) საგალობელთა კრებულმა ძველი ქართული სანოტო ნიშნებით ე.წ. *„ადგარი“*

VI-X სს. განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია *ისტორიოგრაფიამ*. ამ პერიოდის ფეოდალური ისტორიოგრაფია უმთავრესად საეკლესიო-რელიგიურ ხასიათს ატარებს და ძირითადად წმინდანთა „მარტვილობებითა“ და „ცხოვრებებითაა“ წარმოდგენილი. წმინდანთა ცხოვრება-წამებები თავისი შინაარსითა და ხასიათით რამდენიმე ძირითად ჯგუფად შეიძლება დაიყოს. ერთი ჯგუფი უკავშირდება საქართველოში ირანელთა ბატონობის ხანას: *„მარტვილობა ევსტათი მცხეთელისა“* (VI ს), *„მარტვილობა აბიბოს ნეკრესელისა“* (IX-X სს), მეორე – არაბთა მფლობელობის ხანას: *იოანე საბანისძის „მარტვილობა აბო თბილელისა“* (VIII ს), *„კონსტანტინე – კახას მარტვილობა“* (IX ს) უცნობი ავტორისა, *სტეფანე მტბევარის* (X ს) *„ჟოჟორონის მარტვილობა“*, მესამე – წარმართობასთან ბრძოლისა და ქრისტიანული სარწმუნოების შემოსვლა – დამკვიდრების ხანას: *„ცბრა ძმა კოლაელთა მარტვილობა“* (IX ს) და *„წმინდა ნინოს ცხოვრება“* (IX ს); მეოთხე – ამ ხანის დიდ საეკლესიო მოღვაწეთა ცხოვრების აღწერას: *ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“* (X ს), *ვითარი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“* (X ს), *„ილარიონ ქართველის ცხოვრება“* (X ს).

თავისი ხასიათითა და დანიშნულებით ცალკე დგას *სომხურ-ქართულ საეკლესიო პოლემიკასთან დაკავშირებით აღმოცენებული არსენ კათალიკოსის „სომხური და ქართული ეკლესიების გაყოფის ისტორია“* (IX ს) და ისეთი საერო-საისტორიო თხზულება, როგორიცაა *„მოქცევაი ქართლისაჲ“* (IX ს).

„მოქცევაი ქართლისაჲ“-ს ავტორი უცნობია. მასში მოთხრობილია ქართლში ქრისტიანობის გავრცელების ისტორია. ნაწარმოები ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი წარმოადგენს ძვ.წ. IV ს – ახ. წ. IX ს. ისტორიულ ქრონიკას, მეორე კი – ნინო კაბადოკიელის ცხოვრების აღწერას.

VI–X სს. ქართული ისტორიოგრაფიის ნამდვილ გეირგვინს წარმოადგენს *ვითარი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“* (X ს), სადაც ისტორიული სიზუსტითაა ნაჩვენები VIII-IX სს. სამხრეთ საქართველოში, ტაო-კლარჯეთში სამონასტრო მშენებლობის ამბები, ამ მხარის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრება. სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ნაწარმოებში წამოყენებულია ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა საერო და სასულიერო ხელისუფლების ურთიერთობა.

საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზროვნება

ძველი ქართული კულტურის დარგებს შორის საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზროვნების ისტორიას ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს.

IV საუკუნეში ეგრისელებს მჭერმეტყველებით თურმე არაერთგზის უსახელებიათ თავი ბერძნების სადღესასწაულო კრებებზე. IV საუკუნის II ნახევარში აღმოსავლეთ რომის იმპერიაში კარგად ყოფილა ცნობილი თავისი ჭკუითა და განათლებით ქართველი სეუეწული *ბაკური*.

ძველ იბერიასა და კოლხეთში გავრცელებული იყო ძველი ბერძნული განათლება, ძველი ბერძნული ფილოსოფიისა და პოეზიის ცოდნა. IV საუკუნეში კოლხეთში *ქ. ფაზისის* (ფოთის) მახლობლად არსებობდა ფილოსოფიური სკოლა,[1] სადაც სათანადო განათლების მისაღებად ახალგაზრდებს გზავნიდნენ აღმოსავლეთ რომის იმპერიის სხვა შორეული ადგილებიდანაც. ფაზისის აკადემიაში უსწავლიათ იმდროინდელ გამოჩენილ კონსტანტინეპოლელ რიტორს *ევგენისა* და მის შვილს *თემისტოსს*.

ფაზისის აკადემია აშკარა მოწმობაა დასავლეთ საქართველოში ამ დროის ფილოსოფიური აზროვნებისა და რიტორიკული ხელოვნების მაღალი კულტურისა.

V საუკუნეში მოღვაწეობდა უდიდესი ქართველი ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი *პეტრე იბერი* (411-491 წწ.) — იბერიის მეფის *ძუზმარის* ვაჟი — *მურვანი*, რომელიც კონსტანტინეპოლში საიმპერატორო კარზე გაიზარდა. პეტრე იბერიისა და მისი აღმზრდელის *იოანე ლაზის* სახელთანაა დაკავშირებული იერუსალიმის მონასტრის აგება. იქვე მათ ააშენეს *ქსენონიც* (საავადმყოფო) თანამემამულე მორწმუნეთათვის, დააარსეს სკოლა, სადაც სწავლობდნენ ასურელი მამები, რომლებმაც უდიდესი სამონასტრო მოღვაწეობა გააჩაღეს საქართველოში. პეტრე იბერის სახელთანაა დაკავშირებული გრანდიოზული სატაძრო მშენებლობა *პალესტინაში*, *სირიასა* და *ეგვიპტეში*. იგი იყო *მაიუმის* (პალესტინა) ეპისკოპოსი. მისი მეცნიერული მემკვიდრეობა დაედო საფუძვლად შემდგომში ისეთ დიდ კულტურულ ეპოქას, რომელიც *რენესანსის* ანუ აღორძინების სახელით არის ცნობილი.

იდეოლოგია

იმ დროის ქრისტიანობა ამიერკავკასიაში უპირატესად ორი მიმართულებისა იყო — *მონოფიზიტური* და *დიოფიზიტური* ანუ *ქალკედონისტური*. მათ შორის ბრძოლის შედეგი იყო ის, რომ 607 წელს ქართული და სომხური ეკლესიები ერთი მეორეს გაეთიშნენ. სომხეთისაგან განსხვავებით ქართული ეკლესია ქალკედონისტობას მიემხრო.

სულიერი კულტურის დარგში აღნიშნულ ეპოქაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართლისა და ეგრისის დაახლოება. ეგრისში აქტიურად ვრცელდებოდა ქართული სამწერლო ენა,

[1] ამ სკოლის დაარსება უფრო ადრეულ ხანას ეკუთვნის, მაგრამ ცნობები IV საუკუნისაა.

ქართულმა მწიგნობრობამ აქ მალე დაიჭირა ბერძნულის ადგილი. ქართული კულტურის ყველაზე მნიშვნელოვანი ცენტრი ამ დროის დასავლეთ საქართველოში იყო *ქუთაისი*.

VI-X სს. საქართველოს იდეოლოგიის სფეროში ორი მიმართულება არსებობდა — საერო და საეკლესიო, რომლებიც ძველი ქართული კულტურის ძირითად მიმდინარეობებს შეადგენდნენ. საეკლესიო მსოფლმხედველობისთვის ჭეშმარიტი რეალობა სულიერი და იდეალურია, ხოლო საერო მსოფლმხედველობა რეალობას ამქვეყნიურ, მატერიალურ სამყაროში ხედავს. ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში, როგორც წესი, პირველი შეხედულებაა გაბატონებული. მაგრამ საყურადღებოა ის გარემოება, რომ გიორგი მერჩულეს გაგებით საერო ფილოსოფია ორი, პრინციპულად განსხვავებული ნაწილისაგან შედგება. გრიგოლ ხანძთელი თითოეული მათგანისადმი არსებითად განსხვავებულ დამოკიდებულებას იჩენს: საერო ფილოსოფია გამორჩევით შეუსწავლია და ის, რაც საეკლესიო თვალსაზრისით მისაღები ყოფილა — „შეუწყნარებია“, ხოლო „ჯერკუალი“ — განუგდია.

აღნიშნული პერიოდის საერო აზროვნების წარმომადგენლები იყვნენ VI ს. მოღვაწენი *აეტი* და *ფარტაძი*. ჩვენამდე მოღწეულია ბერძნულ წყაროში დაცული VI ს. პოლიტიკური და სასამართლო მჭერმეტყველების შესანიშნავი ძეგლები.

სამართლებრივი კულტურა

VI-X სს. ქართულ საკანონმდებლო ძეგლებს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ სხვადასხვა წყაროები მიუთითებენ იმდროინდელ საქართველოში ოურიდიული კულტურის მაღალ დონეზე.

ამ პერიოდში ქართულ სამართალს შეთვისებული და შემუშავებული ჰქონდა სისხლის სამართლის ისეთი რთული ცნება, როგორიცაა „ბრალი“. ამ ცნების დამუშავება ქართველი ხალხის მაღალი კულტურის მაჩვენებელია.

საყურადღებო ცნობებია დაცული წყაროებში ამ ხანის ქართული საოჯახო სამართლის შესახებაც.

განათლება და სკოლები

მწერლობის დაწყებასთან ერთად ჩვენში სკოლებიც გაჩენილა, სადაც ამზადებდნენ ეკლესიის მსახურთ. IX-X სს. საღმრთო წერილთან, გალობასთან და საეკლესიო — სამოძღვრო სწავლებასთან ერთად სწავლობდნენ უცხო ენებსა და ფილოსოფიას.

სკოლების გარდა კულტურის განვითარებისათვის მტკიცე ნიადაგს ქმნიდნენ მონასტრები.

მონასტრები, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ჩვენში VI ს-ში ჩნდება, როდესაც აქ სამოღვაწეოდ მოდის ცამეტი ასურელი მამა, *იოანე ზედაზნელმა, დავით გარეჯელმა, შიო მღვიმელმა, აბიბოს ნეკრესელმა, იოსებ ალავერდელმა, ზენონ იყალთოელმა, ანტონ მარტყოფელმა* და სხვებმა დიდად შეუწყვეს ხელი ქართული ქრისტიანული ეკლესიის გაძლიერებას და სამონასტრო ცხოვრებისა და მისი ორგანიზაციის დამყარება-ჩამოყალიბებას. მათ მიერ საქართველოში დაარსებული მონასტრები წარმოადგენდნენ განათლებისა და კულტურული შემოქმედების მნიშვნელოვან კერებს.

ქართული კულტურის ძეგლები საზღვარგარეთ

აღნიშნულ ეპოქაში ქართველებს თავიანთი საკუთარი კულტურული ცენტრები ჰქონდათ საზღვარგარეთაც: *პალესტინაში, სინას მთაზე, შავ მთაზე ანტიოქიის მახლობლად*, ეგვიპტის უდაბნოში. X ს-ში დაარსდა განთქმული მონასტერი *ათონის მთაზე*, საბერძნეთში.

ქართული კულტურის ისტორიაში განსაკუთრებული როლი შეასრულა პალესტინაში არსებულმა *საბაწმინდის ლავრამ*. უმეტესი ნაწილი იმდროინდელი ხელნაწერებისა სწორედ აქ არის შესრულებული, მაგ., საბაწმინდურად ცნობილი საღმრთო წერილის რედაქცია. ამ დროს შემუშავდა ის ხელი, რომელსაც ძველი ძეგლები *საბაწმინდურს უწოდებენ*.

პალესტინაში ქართველებს ჰქონიათ მეორე ცენტრიც – *ბარიტონის ლავრა*. სინას მთაზე *ქართველთა სამონასტრო კოლონია* X ს-ის შუაწლებში ჩნდება.

IX-X სს. არაბებმა ძალზე შეავიწროვეს პალესტინის მონასტრები, განსაკუთრებით კი *საბას ლავრა*. ქართველები ნაწილობრივ აყრილან აქედან და სინას მთაზე გადასახლებულან. სწორედ აქ შენახულა ჩვენი უძველესი ხელნაწერებიც. აქ შემუშავებულა სავანგებო ხელი, რომელსაც *სინას მთის ხელი* ეწოდება.

X ს-ის სინას მთის მოღვაწეთა შორის ცნობილია: *იოანე-ზოსიმე, კვირიკე მიძნაძორელი, იოანე კუმურდოელი, ეზრა მღვდელმონაზონი* და სხვა.

ამ პერიოდში სამონასტრო ცენტრი ქართველებს ბიზანტიაშიც ჰქონდათ. ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი შეუსრულებია *ილარიონ ქართველს*, რომელმაც დააარსა *ულუმბოს მონასტერი მცირე აზიის პითვინიაში*, სადაც იგი 864 წელს მოსულა.

კულტურული ძეგლები საქართველოში

ამ პერიოდში უფრო მნიშვნელოვანი კულტურის ძეგლები იყო თვით საქართველოში, კერძოდ, *ტაო-კლარჯეთში*, სადაც სამონასტრო მოძრაობა განსაკუთრებით მძლავრად VIII ს-ის დამლევიდან გაიშალა *გრიგოლ ხანძთელის* მეთაურობით. ტაო-კლარჯეთში ამ დროს ჩნდება მნიშვნელოვანი საეკლესიო-კულტურული ცენტრები: *ოპიზა, შატბერდი, იშხანი, წყაროსთავი, ტბეთი, ოშკი, ბერთა, პარხალი, ბანა, ხანძთა* და სხვები. ოპიზაში ქართველები VIII ს-ის 30-იან წლებში დამკვიდრდნენ. გრიგოლ ხანძთელის გარდა აქ მოღვაწეობდნენ *მიქელ პარეხელი, გიორგი მაწყვერელი* და *სერაპიონ ზარზმელი*. 913 წ. აქ არის გადაწერილი *ოპიზის სახარება*.

შატბერდის მონასტერში შეიქმნა ცნობილი *შატბერდის კრებული* – ≈ 978 წ. გადაწერილი. მასში მოთავსებულია *„მოკვეთაჲ ქართლისაჲ“* და *„წინოს ცხოვრება“*, აქვეა გადაწერილი *ხადიშის სახარება* (894 წ), *ჯრუჭის სახარება* (936 წ), 973 წ. *პარხლის სახარება, უდაბნოს მონასტრის მრავალთავი* (X ს) და სხვა.

ამავე პერიოდში არსებობდა მონასტერი *ტბა ანუ ტბეთი*. *ამოტ კუხმა* 918 წ. *ტბეთი* გაზადა საეპისკოპოსო კათედრად. აქ მოღვაწეობდა *სტეფანე მტბევარი*, ავტორი თხზულებისა *„ჯობრონის მარტვილობა“*.

ოშკის მონასტერი აშენდა IX ს ბოლოსა და X საუკუნის დამლევს. იგი აუშენებია *ადარნასე კურაპალატს* (881-923). ოშკშია გადაწერილი ერთადერთი ცალი უძველესი ქართული ბიბლიისა, რომელიც გადაწერილია ორ წიგნად *გიორგი, მიქელ* და *სტეფანეს* მიერ 978 წ. აქვეა გადაწერილი *იოანე მოსხის სამოთხე* ან *ლიმონარი* (977 წ).

გრიგოლ ხანძთელის დროს აშენებულ *ბერთას* მონასტერში, სადაც მოღვაწეობდა გრიგოლის მეგობარი *მიქელ მიძნაძორელი*, გადაწერილია *ბერთას სახარება*. X საუკუნეშია აშენებული *პარხალის იოანე ნათლისმცემლის* მონასტერი, რომლისთვისაც *იოანე ბერას* შეუწირავს მის მიერ 973 წ. შატბერდში გადაწერილი სახარება, რომელიც *პარხლის სახარების* სახელითაა ცნობილი.

ტაო-კლარჯეთის მონასტრებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ ქართული კულტურის ისტორიაში. აქ ჩამოყალიბდა *ტაო-კლარჯეთის*

ლიტერატურული სკოლა, რომელმაც შეიმუშავა თავისი გრამატიკა, ენა, ხელი და მიმართულება.

ხუროთმოძღვრება

შუა საუკუნეების ქართულ კულტურაში ხელოვნებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ამ დროს განვითარების განსაკუთრებულ დონეს აღწევს ხუროთმოძღვრებისა და სახვითი ხელოვნების ყველა დარგი.

IV-VII სს. ქართულმა ხუროთმოძღვრებამ განვითარების საინტერესო გზა განვლო. ამ დროის შენობათაგან შედარებით მცირე ნაწილი გადარჩა. რეალურად დღემდე მოაღწია მხოლოდ ქალაქსიმაგრეთა და ცალკეულ ციხეთა ნანგრევებმა. უკეთ ვიცნობთ მაშინდელ საეკლესიო მშენებლობას.

საკულტო არქიტექტურა საქართველოში არსებითად ჩნდება ქრისტიანობის ოფიციალურ სარწმუნოებად აღიარების შემდეგ. ამ გარემოებამ მშენებელთა წინაშე სრულიად ახალი ამოცანები დასახა. საკულტო ნაგებობების ნიმუშად ოფიციალური ეკლესიის მიერ დასახული იქნა პალესტინის უძველესი ბაზილიკები, მაგრამ ქართული ეკლესიები მხოლოდ გარეგნულად იყო მიმსგავსებული ბაზილიკასთან. ქართული მონუმენტური საეკლესიო ხუროთმოძღვრების შემუშავებისათვის არსებითი როლი შეასრულა ქართულმა ტრადიციულმა „დარბაზმა". ქართული ბაზილიკები, ისევე როგორც სომხური, სირიული და მცირეაზიული, *აღმოსავლურ ბაზილიკათა ტიპს* მიეკუთვნებიან და თავისებურ, დამოუკიდებელ ვგუფს ქმნიან. ასეთ ადრინდელ ნიმუშებად შეიძლება დავასახელოთ *წკარესის მონასტრის უძველესი ეკლესია* (IV ს) და *ძველი შუამთის მონასტრის ბაზილიკა* (V ს) — ორივე კახეთშია.

შუა საუკუნეების დასაწყისის ყველაზე მნიშვნელოვანი ქართული საეკლესიო ნაგებობაა *ბოლნისის სიონი* (478-493 წ) — სამნავიანი ბაზილიკა, შიგნით სვეტების ხუთი წყვილით. ბოლნისის კედლებმა შემოგვინახა ყველაზე ძველი წარწერები საქართველოს მიწა-წყალზე აღმოჩენილთა შორის. საინტერესოა მორთულობა: აქ არის სასანურის მონათესავე მცენარეული მოტივებიც, ცხოველთა გამოსახულებებიც და ქრისტიანული სიმბოლოც — ჯვარი, ე.წ. „ბოლნური ჯვარი".

VI ს-ის სხვა მნიშვნელოვანი ქართული ბაზილიკებია: *ურბნისი (ქართლში), წყაროსთაკი* (ჯავახეთში), *თბილისის „ანჩისხატი", კაწარეთის სამება, ვაზისუბანი* (კახეთში) და სხვა. აღნიშნულ ეპოქაში ქართლში შეიქმნა ბაზილიკის სპეციალური ტიპი —

სამეკლესიანი ბაზილიკა. რომლის ნიმუშებია *ქვემო ბოლნისის* და *წკარესის ეკლესიები*, ეკლესია *დმანისის ნასლაყარში*. საქართველოში ამ დროს არსებობდა *ერთნავიანი ეკლესიებიც*, მაგ., *ოლთისი* (თრიალეთში VI-VII სს) და *კაცხის სვეტზე აგებული* ორი სამლოცველო (VI ს).

VI საუკუნიდან თანდათან პირველ ადგილს იჭერს *გუმბათოვანი ეკლესიები*, ქრისტიანულ სამყაროში გავრცელებული „*თაღისუფალი ჯვრისა*" და „*ჩაბაზული ჯვრის*" ტიპები. *გაჩნდა ჯვარ-გუმბათოვანი გეგმის* ვარიანტი, რომელიც *ტეტრაკონქის* სახელითაა ცნობილი, რომლის ნიმუშებია *შიომღვიმის მონასტრის* ძველი ეკლესია (50-60-იან წწ.), *ძველი გავაზის ეკლესია*, *ნინოწმინდის ტაძარი* (VI ს. III მეოთხედი).

მცხეთის ჯვარი (586/87-604/5) — ჩვენი ეროვნული ხელოვნების ერთი ყველაზე შესანიშნავი ნაწარმოებთაგანია. მისი გეგმის საფუძველს *ტეტრაკონქი* შეადგენს. იგი ავსებს პირველი ქრისტიანული საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების შემოქმედებით ძიებას, აქ ეპოქის სტილი თავის სრულ ხორცშესხმას ჰპოვებს.

მცხეთის ჯვრის ტიპის ძეგლებია *ატენის სიონი* (გორთან), *ჭყონდიდელთა საეპისკოპოსო ტაძარი მარტვილში* და *ძველი შუამთის დიდი ეკლესია*. სტილით მცხეთის ჯვრის მონათესავეა *წრომის ტაძარი* და მის მახლობლად აღმართული *სამწყურისის პატარა, კოხტა ჯვრისებრი ეკლესია* (VII ს. ქართლი).

ამ ეპოქის ხუროთმოძღვრების სიამაყეა *ოშკი* და *ბანა* — ორი შესანიშნავი საეპისკოპოსო ტაძარი (ორივე VII ს) — *ტეტრაკონქი* მრგვალი გარშემოსავლელით. ამ ტიპის ეკლესიები მხოლოდ საქართველოსა და სომხეთშია ცნობილი. ადრეული ფეოდალური ხანის სამოქალაქო — სამხედრო არქიტექტურის ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლია *უჯარმის ციხე*. ჩვენს დრომდე მოაღწია მხოლოდ ქალაქის ციტადელის ნანგრევებმა. ამ დროის უმნიშვნელოვანესი ძეგლია *ნოქალაქევი — არქეოპოლისი — ეგრისის* ძველი დედაქალაქი, *ციხე-გოჯი*. გვიან ანტიკურ და ადრეფეოდალურ ხანას მიეკუთვნება ეგრისის ორი სხვა ციხეც — *შორაპანი* და *სკანდა*.

VIII-X საუკუნეებში დიდი სოციალური და პოლიტიკური ძვრების დროს ქართული ხუროთმოძღვრება ახალი სტილის ჩამოყალიბების რთულ, შინაგანი წინააღმდეგობებით სავსე პროცესს განიცდის. ამ დროისათვის დამახასიათებელია ხუროთმოძღვრული თემებისა და ფორმების დიდი მრავალფეროვნება. იმ პერიოდის

ქართლის ძეგლთაგან ალსანიშნავია *სამშვილდის სიონი* ძველ ნაქალაქარში (759-777 წწ), *წირქოლისა* (VIII) და *არმაზის* (864) ეკლესიები ქსნის ხეობაში; კახეთში — *გურჯაანის ყვავილწმინდა* — ერთადერთი ორგუმბათიანი ტაძარი საქართველოში და *ვარნაძიანის ყვავილწმინდა* — ე.წ. *კუპოლასლეს* („გუმბათიანი დარბაზის“) ტიპი; სამხრეთ საქართველოსა და აფხაზეთში — *ოპიზის მონასტრის ეკლესია*, *ჭყჩერის*, *დოლისყანის* ეკლესიები ტაო-კლარჯეთში (X ს), *ბიჭვინთის* დიდი ტაძარი აფხაზეთში (X ს).

X-XI სს. არსებობდა საეკლესიო ნაგებობების კიდევ ერთი ახალი ტიპი — ექვსფსკიდიანი ეკლესიები: *გოგუთას*, *კიაღმისათის* და *ოლთისის* ეკლესიები სამხრეთ საქართველოში, *ძოჭორძის ციხის ეკლესია* გარე კახეთში, *კაცხის ტაძარი* — ჭიათურის მახლობლად.

კუმურდოს ტაძარი — ჯავახეთში 964 წ. აგებული დიდი ქართველი ხუროთმოძღვრის *საკოცარის* მიერ — „აგარდამავალი“ ტიპისაა.

X ს ბოლოსა და XI ს დასაწყისიდან ქართულ არქიტექტურაში სრულიად ჩამოყალიბდა ახალი სტილი — *განვითარებული შუა საუკუნეების* სტილი. შენდება დიდი საეპისკოპოსო ტაძრები, მეფეთა და დედოფალთა სასახლეები, დიდი ციხე-სიმაგრეები. საკულტო ნაგებობათა შორის წამყვან ადგილს იჭერს გუმბათოვანი ტაძარი, სწორკუთხა გეგმით, მაღალ ყელზე შესმული, ოთხბოძზე დამყარებული გუმბათით. იზრდება შენობის მასშტაბიც. ადრინდელ ძეგლთა მკაცრი სისადავე ადგილს უთმობს მეტ მრავალფეროვნებას, დინამიკურობას, ფასადთა მორთულობას. შენობები შემკულია დეკორატიული თაღებით, მოჩუქურთმებული კარნიზებითა და კარ-სარკმელთა საპირეებით, როზეტებით და ჯვრებით. ქვაზე ნაკვეთი ჩუქურთმა მდიდარი და მრავალფეროვანია, შიგნით ტაძრები კედელ-კამარიანად იხატებოდა.

X ს. დასასრულის უმთავრესი ძეგლებია, *კუმურდოს* გარდა, *ოშკისა* და *ბაბულის* საეპისკოპოსო ტაძრები ტაოში.

VIII-X სს. საერო არქიტექტურის ნიმუშები კახეთშია შემორჩენილი, თუმცა ძლიერ დაზიანებული. ესაა ეპისკოპოსთა სასახლეები *წეკრესსა* და *ჭერეთში*, ფეოდალთა სასახლეები *ვარნაძიანში*, *ვანთასა* და *კვლტერის ციხეში*. დაზიანებული სახით შემორჩენილია აგრეთვე *ფყალთოს აკადემიის* შენობა (IX-X სს).

საზეიმო ხელოვნება

შუა საუკუნეების საქართველოში ქანდაკება და მხატვრობა მთლიანად დაკავშირებული იყო არქიტექტურასთან. ქანდაკების დარგთაგან აქ განვითარდა *რელიეფი* — ქვის, ხისა და განსაკუთრებით ლითონისაგან ნაჭედი. რელიეფები შენობათა ფასადებს, ცალკეულ ხუროთმოძღვრულ დეტალებს, ხის კარებს, სტელებს ამკობდა. მხატვრობა და მოზაიკაც კედლებისა და იატაკისთვის იყო განკუთვნილი.

უპირველესი ძეგლი, რომელმაც შემოგვინახა მაშინდელი რელიეფური ქანდაკების ნიმუშები, *ბოლნისის სიონია*. აქ სვეტის თავებზე მცენარეული მოტივებიც გვხვდება, ჯვრის გამოსახულებაც და ფიგურული რელიეფებიც.

სხვა ეკლესიებში გვხვდება უფრო რთული სიმბოლური კომპოზიციები. მაგ., ქრისტესა და ღვთისმშობლის ამაღლება (ქვემო ბოლნისის სამეკლესიანი ბაზილიკა VI ს), ჯვრის ამაღლება (თეთრი წყარო VI ს, მცხეთის ჯვარი), ირმები აუზთან (ატენი) და სხვა; აგრეთვე ერისმთავართა გამოსახულებები მცხეთის ჯვრის აღმოსავლეთ ფასადზე.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ სარწმუნოებრივ-მემორიალური ხასიათის ძეგლები — *სტელები*, მაგ., *დავით გარეჯის* მონასტრის სტელა წმ. ესტატეს ნადირობის სცენით, აგრეთვე *ბურდაძორისა* და *ბაძღინის* სტელები და სხვა.

ამ ხანის მოზაიკის ძეგლთაგან უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია *ბიჭვინთის ტაძრის* იატაკის მოზაიკა (V-VI სს), აგრეთვე ლანჩხუთის მახლობლად, სოფ. შუხუთში აბანოს იატაკის ფრაგმენტები (V-VI ს), საყურადღებოა მოზაიკა პალესტინაში, *ბირ-ელ-კუტში* აღმოჩენილი ქართული მონასტრის იატაკისა (V-VI სს) და *წრომის კონჭის* მოზაიკა (VII ს).

აღნიშნულ ეპოქაში ქანდაკებას ფიზიკური სინამდვილის, ფორმების მიმსგავსებული ჩვენება კი არ აინტერესებს, არამედ სურს გადმოგვცეს თვით დასაბუდი იდეა — ხაზი გაუსვას არამატერიალურ მხარეს, ექსპრესიას, მეტყველებას, ემოციას.

X ს. II ნახევრიდან შესამჩნევია გარკვეული ცვლილებები, ისახება ახალი ამოცანები. ამ ევოლუციის რამდენიმე ნიმუშია: *წებელდის* კანკელის ფრაგმენტები (VII-VIII ს), *აშოტ კურაპალატის რელიეფი ოპიზიდან* (IX ს I ნახევარი), *აშოტ კუბის* გამოსახულება *ტბეთიდან* (X ს პირველი მესამედი).

ოქრომჭედლობის ძეგლთაგან აღსანიშნავია *ზარზმის ფერისცვალების* ბატი 886 წ., სადაც თვალს ხვდება ბრტყელი რელიეფის ბაზოვან-ორნამენტული დაშუშავება და თვით ხაზთა მეტყველება.

X ს. საფასადო სკულპტურის უმნიშვნელოვანესი ნიმუშებია *ოშკისა* და *ბაბულის* ტაძრების რელიეფები.

ოქრომჭედლობასთან ერთად განვითარებულ შუა საუკუნეების ხანაში გავრცელდა *მინანქრის ხელოვნება*, ამზადებდნენ, უმთავრესად, *ტიხროვან მინანქარს* – მედალიონებს, ხატებსა და ჯვრებს, სამკაულებს, მრავალფიგურიან გამოსახულებებს. ეს მინანქრები გვხიბლავს ფერების ულამაზესი შეხამებით, მათი ფერადოვნება თავისებურია, ბიზანტიურ მინანქართაგან განსხვავებული. ყველაზე ძველი ნიმუშები VIII-IX სს. მიეკუთვნება.

შუა საუკუნეების *ქართული მხატვრობა* ორი სახითაა წარმოდგენილი: ერთია *მონუმენტური მხატვრობა* – ფრესკები და მოზაიკები, მეორე – ხელნაწერ წიგნთა დასურათება ე.წ. *მინიატურები.*

ჩვენში ეკლესიების კედელ-კამარათა მთლიანი მოხატვა ამ დროიდან იწყება, ადრე შენობის მხოლოდ ცალკეული მნიშვნელოვანი ნაწილები – განსაკუთრებით საკურთხეველი – იხატებოდა. კვლავ მოიხატა წინანდელი ეკლესიებიც. კედლის მხატვრობაში უმთავრესი ადგილი ეჭირა სახარების სიუჟეტებს. აქაც, ისევე როგორც მაშინდელ რელიეფებში, ფიგურათა პროპორციები დარღვეულია, ხაზგასმულია ექსპრესიული, ემოციური მხარე (VIII-X სს მხატვრობა *თელოვანში*, ქსნის ხეობის *არმაზში*, სვანეთში – *ნესვუნში* და სხვა).

ადრეული ქართული ხელნაწერები (VI-IX სს) მორთული არ იყო. მხოლოდ სათაურები იწერებოდა უფრო მსხვილად და სხვა ფერით.

მინიატურებით შემკული პირველი ხელნაწერებია *ადიშის ოთხთავი* (897 წ) და ე.წ. *ჯრუჭის* პირველი ოთხთავი, რომელსაც 940 წ. დაურთეს მინიატურები.

არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი *კერამიკული* ნარჩენები მოწმობს, რომ ხელოვნების ეს დარგი ჩვენში ფართოდ იყო გავრცელებული. განვითარებული იყო მხატვრული ქსოვილიც, ნაქარგობა.

☙ ძირითადი ტერმინები და ცნებები ❧

ბაზილიკა
ბოლნური ჯვარი
განვითარებული შუა საუკუნეების სტილი
გუმბათოვანი ეკლესია
დიოფიზიტობა – ანუ ქალკედონისტობა
ეორტალოგია
სინას მთის ხელი
სტელა
ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული სკოლა
ტეტრაკონქი
ტიხრული მინანქარი
ქართული „დარბაზი"
ქსენონი
ექვსაფსიდიანი ეკლესია
თავისუფალი ჯვრის ტიპი
კუპელჰალე – „გუმბათიანი დარბაზი"
მარტვილობა
მონოფიზიტობა
სამეკლესიანი ბაზილიკა
ჩახაზული ჯვრის ტიპი
ცამეტი ასურელი მამა
საბაწმინდური ხელი
ჰაგიოგრაფია
ჰიმნოგრაფია

☙ კითხვები გამეორებისათვის ❧

1. რა ტენდენციებია დამახასიათებელი ქართული კულტურის განვითარებისთვის IV-X საუკუნეებში?
2. დაახასიათეთ იმდროინდელი ქართული მწერლობა.
3. რომელი მიმართულებები არსებობდა აღნიშნული პერიოდის საქართველოს იდეოლოგიის სფეროში?
4. დაახასიათეთ IV-X ს. ქართული კულტურის ძეგლები საქართველოში და საზღვარგარეთ.
5. რა ტენდენციებით ხასიათდება IV-X ს-ის ქართული ხელოვნება?
6. დაახასიათეთ ამ პერიოდის საკულტო ნაგებობათა ტიპები.

☙ გამონათქვამები ქართული ანბანის შესახებ ❧

„ქართული ანბანი ყველაზე სრულყოფილია არსებულ ალფაბეტებს შორის."
პეტრე უსლარი

„ქართული ანბანი სავსებით სრულყოფილი ინსტრუმენტია ქართული ენის მრავალფეროვან ბგერათა მთელი სიმდიდრის გადმოსაცემად."
უ. ე. დევიდ ალენი

„ქართული ენა არის თავისი შინაგანი თვისებებით მსოფლიო მნიშვნელობის ენა."
ნიკო მარი

„ჩვენი ანბანი უსრულესი და უმარტივესი ანბანია ყველა ანბანთა შორის."
ი. გოგებაშვილი

„ყოველი საიდუმლოდ ამა ენასა შინა დამარხულ არს."
იოანე ზოსიმე

თავი 22

XI-XII საუკუნეები – საქართველოში კულტურული ცხოვრების აღორძინების ხანა



დავით აღმაშენებელი



თამარ მეფე



შოთა რუსთაველი



დავით აღმაშენებლის ინიციატივით საქართველოში შეიქმნა უმაღლესი სამეცნიერო-საღვთისმეტყველო დაწესებულება – *გელათის აკადემია*



გარძია – უდიდესი ხუროთმოძღვრული ღირებულების კლდეში ნაკვეთი დიდი სამონასტრო ანსამბლებლი

განათლება და სამეცნიერო ცოდნა

XI-XII საუკუნეებსა და XIII საუკუნის დასაწყისში ქვეყნის ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ძლიერებამ ხელი შეუწყო ქართული კულტურის სწრაფ განვითარებას. საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოჩნდა მთელი პლეადა საზოგადო მოღვაწეების, მეცნიერების, მხატვრების, მწერლებისა და პოეტებისა, რომელთაც ახალ სიმაღლეზე აიყვანეს ქართული კულტურა.

იმდროინდელ საქართველოში განვითარდა და დაწინაურდა მეცნიერული ცოდნის ისეთი დარგები, როგორიცაა იურისპრუდენცია, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მედიცინა, გრამატიკა, ასტრონომია. განსაკუთრებით აღორძინდა ისტორიოგრაფია, ფილოსოფია, მხატვრული ლიტერატურა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება, ხუროთმოძღვრება, ფერწერა, ჰედური ხელოვნება, მუსიკა და ხელოვნების სხვა დარგები.

სწავლა-განათლების სისტემა მოიცავდა *საერო* და *სასულიერო* სწავლა-აღზრდის სფეროს. სწავლება, ძირითადად, ეკლესია-მონასტრებთან წარმოებდა. ამავე დროს, გავრცელებული იყო *კერძო სახის საშინაო სწავლება*, რაც, უმთავრესად, კარისა და დიდგვაროვანი ოჯახების შვილების აღზრდასთან დაკავშირებით გვხვდება.

ამ პერიოდში ქართველებმა კარგად გაიცნეს *ბიზანტიური სკოლა*. მრავალი ქართველი დიდგვაროვანი ოჯახის შვილი იქ იძენდა ბერძნულ განათლებას. განათლებისა და მეცნიერების ზრდა-განვითარებას ხელს უწყობდა თვით ქართველ მონარქთა (დავით აღმაშენებელი, დემეტრე I, თამარი) მეცნიერობა.

დავით აღმაშენებლის ინიციატივით საქართველოში შეიქმნა უმაღლესი სამეცნიერო-საღვთისმეტყველო დაწესებულება – *გელათის აკადემია* – მოძღვართ-მოძღვრის (ე.ი. საღვთისმეტყველო მეცნიერებათა მასწავლებელი) მეთაურობით. დავითმა აკადემიაში მოიწვია ქართული კულტურის სახელგანთქმული წარმომადგენლები, რომლებიც იმ დროს *ათონის, პეტრიწონის*, აგრეთვე *კონსტანტინეპოლის* და *ბიზანტიის* სხვა აკადემიებში მოღვაწეობდნენ: *იოანე პეტრიწი, თეოფილე ბუცესმონაზონი, იოანე ტარიჭისძე* და სხვები.

XII ს. საქართველოში გარდა გელათისა, უმაღლესი სასწავლებელი აკადემიის სახით არსებობდა *იყალთოშიც*, რომელსაც *არსენ იყალთოელი* ხელმძღვანელობდა. არსებობს გადმოცემა, რომლის მიხედვითაც აქ სწავლობდა და მოღვაწეობდა შოთა რუსთაველი ასევე, გადმოცემის თანახმად, უმაღლესი სკოლა არსებობდა *გრემშიც*.

იმდროინდელ ქართულ აკადემიაში შეისწავლებოდა: გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა, რიტორიკა, გრამატიკა, ფილოსოფია, ასტრონომია.

ქართული კულტურის ცენტრები საზღვარგარეთ

განათლებისა და, საერთოდ, ქართული კულტურის განვითარების საქმეში დიდი როლი ენიჭებოდა *საზღვარგარეთულ ქართულ სავანეებს*. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: *იერიის მონასტერი– ათონის მთაზე, შავი მთა (ანტიოქიის მონასტერი, სირიაში), ჯვრის მონასტერი (პალესტინაში)* და *პეტრიწონის (ბაჩკოვის) მონასტერი* (დღევანდელ ბულგარეთში).

X საუკუნის II ნახევარში დაარსებულმა *ათონის იერიის მონასტერმა* XI საუკუნეში, *გიორგი ათონელის* (*მთაწმინდელის*, 1009-1065 წ.) დროს მიაღწია თავისი აყვავების უმაღლეს საფეხურს და გადაიქცა ლავრად, მსხვილი სამეცნიერო-სასწავლო ცენტრით, რომელიც ცნობილია, აგრეთვე, *ათონის აკადემიის* სახელით.

ათონის იერთა მონასტერში მოღვაწეობდნენ *გიორგი მცირე* (ხუცესმონაზონი), ცნობილი ქართველი ჰიმნოგრაფები: *ეზრა, ბასილი* და *ზოსიმე*.

ქართველთა *სამონასტრო კოლონიაში შავ მთაზე*, ისტორიულ სირიაში, ანტიოქიის მახლობლად (ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე), სამეცნიერო-კულტურული საქმიანობა განსაკუთრებით გაიშალა XI საუკუნის 30-იან წლებში, როდესაც აქ დასახლდა მრავალი ცნობილი მოღვაწე სამხრეთ საქართველოდან (შატბერდი, ოშკი, ტბეთი და სხვა). აქ ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ *გიორგი დაყუდებული* (გიორგი შავმთელი, XI ს.), *გიორგი ათონელი, ცნობილი ჰგიოგრაფი გიორგი მცირე* (XI ს.). *არსენ კალიპოსელი, საბა ხულაის ძე თუბარელი, ანტონ ტბელი, იოანე მთვარაის ძე* და სხვანი.

XI საუკუნის II ნახევარში შავ მთაზე არსებული ქართული სავანის ლიტერატურულ სკოლას სათავეში ჩაუდგა მწერალი და მეცნიერი, ფილოლოგი და ფილოსოფოსი *ეფრემ მცირე*. შავი მთის ქართველთა განკარგულებაში იყო წიგნსაცავი, სადაც ეფრემ მცირეს დროს 420 წიგნი ყოფილა.

იერუსალიმის ჯვრის მონასტერი XI საუკუნის 40-50-იან წლებში *ექვთიმე მთაწმინდელის* ბრძანებით აუშენებლია ვიწმე *პრობორე ქართველს*, რომელსაც მონასტრის შენებაში მატერიალურ

დახმარებას უწევდა *მეფე ბაგრატ IV*, განსაკუთრებით კი დედამისი *მარიამი*.

იერუსალიმის ჯვრის მონასტერს გაჰქონდა საერთაშორისო ასპარეზზე ქართული კულტურის მონაპოვარი საქართველოს პოლიტიკური პრესტიჟის გაზრდის მიზნით, ამიტომ ქართველი მეუღლები, მათ შორის დავით *აღმაშენებლის* და *თამარი*, დიდად ზრუნავდნენ ჯვრის მონასტრის კეთილდღეობაზე.

პეტრიწონის მონასტერი (ამჟამად ბულგარეთის ტერიტორიაზე) 1083 წ. აუშენებია ტაოელ ქართველს, ბიზანტიის იმპერიის ცნობილ მოღვაწეს *გრიგოლ ბაკურიანის ძეს*. მონასტერთან დაარსებული იქნა სემინარია, სადაც მთელი ოცი წლის განმავლობაში მოღვაწეობდა ქართველი ფილოსოფოსი *იოანე პეტრიწი* – მისი პირველი რექტორი. აქ ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სალიტერატურო სკოლა – *პეტრიწონის სკოლა*, სადაც უმთავრესი ყურადღება ექცეოდა დოგმატიკური და ფილოსოფიური ხასიათის თხზულებათა დამუშავებას, ამ სკოლამ შექმნა მთელი ეპოქა ქართულ მწერლობაში.

XI საუკუნის ბოლოს ქართველები ნაყოფიერ კულტურულ შემოქმედებით მუშაობას აწარმოებდნენ კონსტანტინეპოლის მონასტრებში, როგორიცაა *ჰრომანა, ბორა, ტრიანფულიუსი, მანგანი*, აგრეთვე *კვიპროსზე* არსებულ ქართულ სავანეში და *სინას მთაზე*.

ფილოსოფიური აზრი

ქართული ფეოდალური ხანის *ფილოსოფიური აზრი* განვითარების უმაღლეს მწვერვალს XI-XII საუკუნეებში აღწევს. ყალიბდება ახალი შეხედულება ადამიანსა და მის დანიშნულებაზე. გრძნობებისა და მისწრაფებების უარყოფის ასკეტური იდეალი იცვლება *ჰუმანიზმით*. „*ქართული ნეოპლატონიზმის*“[1] სახელწოდებით ცნობილი ფილოსოფიური მიმართულება (ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი, შ. რუსთაველი) მთავარ მიმართულებას წარმოადგენს და ქვეყნის იდეურ ცხოვრებაში მომხდარ არსებით ცვლილებებს ასახავს.

ეფრემ მცირეს (გარდაიცვალა XI ს. ბოლოს) შემოქმედებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მის მიერ *ფსევდოდიონისე არეოპაგელის*[1] შრომების, ე. წ. *არეოპაგიტული კორპუსის* თარგმნა. *იოანე პეტრიწი* ქართული ფეოდალური აზრის ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. მისი სულიერი სამყარო უმთავრესად ანტიკური კულტურით, მითოლოგიითა და ფილოსოფიით არის განსაზღვრული.

---

[1] ფსევდოდიონისე არეოპაგელი – იგივე პეტრე იბერი (ნუცუბიძე – ჰონიგმანის თეორიის მიხედვით)

ფილოსოფიური აზრის ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო *არსენ იყალთოელი* (გარდაიცვალა დაახ. 1125 წ.). მისი მთავარი თხზულებაა კომპენდიუმი „*დოგმატიკონი*“, რომლის ძირითად მიზანს ორთოდოქსული მიმდინარეობის დაცვა წარმოადგენს.

შოთა რუსთაველი — როგორც ჰუმანისტი — დასავლეთის რენესანსის კულტურის დიდ წარმომადგენელთა შორის დგას და მნიშვნელოვნად უსწრებს კიდეც მათ.

ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარების თვალსაზრისით, *რუსთაველის* შემოქმედება საყურადღებოა როგორც სინთეზი კულტურული შემოქმედებისა და მისი ფილოსოფიური საფუძვლებისა. რუსთაველზე, ამ მხრივ, დიდი გავლენა მოახდინა ნეოპლატონიზმმა, არეოპაგიტულმა მოძღვრებამ და პეტრიწმა. რუსთაველის მიერ მიწიერისა და ადამიანურის ღირებულებებისა და მნიშვნელობის გამარჯვების, სიკეთისა და ბოროტების საკითხები ფართო ფილოსოფიურ პლანშია განხილული.

რენესანსული და *ჰუმანისტური* იდეები იმდროინდელ საქართველოში იმდენად მკაფიოდაა წარმოდგენილი, რომ მეცნიერები XI-XII ს-ის ქართული კულტურის აღმავლობაში *რენესანსს* ხედავდნენ.

„ქართული აღორძინების მკვლევარებმა დაამტკიცეს, რომ ქართველი მოაზროვნეები ევროპაში ნეოპლატონისტური და არეოპაგიტური რენესანსის წამომწყებნი იყვნენ და რომ მათ აქ რამდენიმე საუკუნით გაუსწრეს დასავლეთ ევროპას“[1].

XI-XII სს საქართველოში უმაღლეს განვითარებას მიაღწია *საისტორიო მწერლობამ*. ამ პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიას ცხოვლად აინტერესებდა საკითხები „ნათესავის“ (ხალხის) რაობის, ხალხთა მონათესაობის, ქართული ენის გაჩენის და ქართული დამწერლობის შემოღების, სახელმწიფოს წარმოშობის, წოდებათა გაჩენისა და მეფე — დიდაზნაურთა ბრძოლისა. ამ და მსგავს საკითხთა შესახებ მსჯელობდნენ იმდროინდელი ქართველი ისტორიკოსები: *გიორგი ათონელი, გიორგი მცირე, ლეონტი მროველი* და სხვები.

XI საუკუნის II ნახევრიდან ქართული ისტორიოგრაფია განვითარების ახალ გზაზე დგება. ამიერიდან იქმნება უფრო ფართო მოცულობისა და განზოგადებული ხასიათის შრომები, სადაც საქართველოს ისტორიული წარსული მოთხრობილია უძველესი დროიდან. ასეთია XI საუკუნის ისტორიკოსის *ლეონტი მროველის* „*ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთამთავართა მამათა და ნათესავთა*“. მას ეკუთვნის აგრეთვე თხზულება „*წამება წმიდისა და დიდებულის მოწამისა არჩილისა*“. ამ თხზულებებში საქართველოს ისტორია აღწერილია უძველესი დროიდან V საუკუნემდე.

X საუკუნის ისტორიკოსის *კუანშერის* „*ცხოვრება და მოქალაქეობა ვახტანგ გორგასლისა*“ წარმოადგენს ლეონტი მროველის თხზულების გაგრძელებას — მასში მოთხრობილია ქართველი ხალხის ისტორია V საუკუნის შუა წლებიდან VIII საუკუნის 40-50-იან წლებამდე. XI საუკუნეშია დაწერილი ბაგრატიონთა საგვარეულოს ისტორიკოსის *სუმბატ დავითის ძის* ისტორიული ქრონიკა „*ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა*“. მან შეადგინა ბაგრატიონთა დინასტიის ისტორია და გენეალოგია, სადაც ბაგრატიონთა გენეალოგია გაშუქებულია ბიბლიის — დაბადების მიხედვით.

XI საუკუნის საისტორიო ნაშრომი „*მატიანე ქართლისაჲ*“ მოგვითხრობს საქართველოს ისტორიას VIII საუკუნიდან XI საუკუნის 80-იან წლებამდე.

ე.წ. *პოლიტიკურ-რიტორიკული* მიმართულების ისტორიკოსთა რიცხვს მიეკუთვნებოდნენ „*მატიანე ქართლისაჲს*“ ავტორი (XI ს), *დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი* (XII ს. სახელი უცნობია), რომელსაც ეკუთვნის თხზულება „*ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი*“ (დაწერილი 1123-1126 წ.), *თამარის ისტორიკოსები*, რომელთაც ეკუთვნით „*ისტორიანი და აზმანი*[1] *შარავანდედთანი*“ და „*ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი*“ (დაწერილი 1210-1213 წწ).

XI-XIII საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის უდიდესი მონაპოვარია „*ქართლის ცხოვრების*“ კრებულის შედგენა. პირველად იგი შეადგინეს XII საუკუნეში. იგი მოგვითხრობს ქართველი ხალხის ისტორიას უძველესი დროიდან VIII საუკუნემდე და შეიცავს *ლეონტი მროველისა* და *კუანშერის* თხზულებებს. შემდეგ, XIII ს. დასაწყისისთვის ამ კრებულს დაუმატეს VIII-XII საუკუნეების ისტორიის შემცველი თხზულებები: უცნობი ავტორის „მატიანე ქართლისაჲ“ და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ნაწარმოები, მოგვიანებით — სუმბატ დავითის ძის ნაშრომი. „ქართლის ცხოვრების“ კრებულის შევსება შემდეგ XVI საუკუნეში გააგრძელეს.

აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, რომ „იდეურ-პოლიტიკურად ფეოდალური საქართველოს ცივილიზაცია სამ სვეტს ემყარებოდა — სახარება, „ვეფხისტყაოსანი“ და „ქართლის ცხოვრება“ იყო გამარჯვებული ფეოდალური ურთიერთობის სამი „წმინდა წიგნი“.

[1] ა. თ. ლოსკუი. აღორძინების ესთეტიკა. მ. 1978. გვ. 37

[1] აზმა — ქება, შესხმა, ხოტბა.

XI-XII საუკუნეების ქართული მწერლობა მოიცავდა *სასულიერო* და *საერო-მხატვრულ* სფეროებს. *სასულიერო მწერლობას* ამ დროისათვის უკვე ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა, *საერო* კი ახალი აღმოცენებული იყო და სწრაფად ვითარდებოდა.

ლიტერატურა

ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობა გაჩაღდა როგორც თვით საქართველოში, ისე მის საზღვარგარეთულ კულტურის ცენტრებში: ახდენდნენ წიგნების გადაწერა-გამრავლებას, ქმნიდნენ ორიგინალურ თხზულებებს, თარგმნიდნენ სიტყვაკაზმული ლიტერატურის საუკეთესო ძეგლებს. ამ მოღვაწეობას სათავეში ედგნენ ჩვენი მწერლობის ისეთი გამოჩენილი წარმომადგენლები, როგორიცაა: *გიორგი ათონელი, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი* და სხვა.

მათ ხელი შეუწყვეს კულტურის სხვადასხვა დარგში *საერო მოტივების* დამუშავებას.

XI საუკუნიდან საქართველოს კულტურული ცხოვრება თავისი განვითარების ახალ ფაზაში შევიდა, აღორძინდა ქართული *საერო მხატვრული მწერლობა და პოეზია.*

ქართული საერო მწერლობის აღმოცენების თარიღად ითვლება დავით აღმაშენებლის ხანა – XI საუკუნის დასასრული და XII საუკუნის დასაწყისი. ამ დროს საფუძველი ჩაეყარა *ქართულ სალიტერატურო ენას.* ახალი ქართული სალიტერატურო ენა ქართული საერო მხატვრული მწერლობის ენაა. ძველი ქართული კი საეკლესიო მწერლობას შერჩა და კარგა ხანს ირსება, როგორც სამწერლო ენის საეკლესიო სტილმა, XII ს. შეიქნა *საერო მხატვრული პოეზიაც.* ჩვენს დრომდე მოაღწია იმდროინდელი ნაწარმოებების მხოლოდ მცირე ნაწილმა, როგორიცაა: *მოსე ხონელის* საგმირო-საფალავნო თხზულება – *„ამირანდარეჯანიანი“. „ვისრამიანი“* – სატრფიალო-სამიჯნურო რომანი, რომელიც შუასაუკუნეთა სპარსულ მწერლობაში ცნობილი რომანის *„ვის ო რამინის“* პროზაულ თარგმანს წარმოადგენს. იგი ქართულად გადმოღებულია *სარგის თმოგველის* მიერ.

XI-XII საუკუნეების ქართული ლიტერატურა მდიდარი იყო არა მარტო მონუმენტური ეპიკური ნაწარმოებებით, არამედ *ლირიკული პოეზიითაც,* რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა *საბოტბო ოდებს.* იმ პერიოდის ათეულობით პოეტ-ლირიკოსის პოეტური მემკვიდრეობა დაკარგულია, ისევე როგორც იმ დროის ხალხური ზეპირსიტყვიერების მრავალი ნაწარმოები.

XII საუკუნის ქართული საბოტბო პოეზიიდან ისტორიამ შემოგვინახა მხოლოდ ორი ძეგლი: *ჩახრუხაძის „თამარიანი“* (დაწერილია 1184-1207წწ.) და *იოანე შავთელის „ალდუმბისიანი“* (დაახლ. 1206-1207წწ.). შავთელის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ჩვენთვის ცნობილია აგრეთვე *„ქალაობანი ვარძიის ღვთისმშობლისანი“* და რამდენიმე *საღვთისმეტყველო იამბიკო,* დანარჩენი დაკარგულია.

XII საუკუნის შემამკობელი გვირგვინია *შოთა რუსთაველის* გენიალური ქმნილება *„ვეფხისტყაოსანი“,* რომელმაც უკვდავი ადგილი დაიმკვიდრა შუა საუკუნეების მსოფლიო ლიტერატურის შედევრებს შორის. რუსთაველის მსოფლმხედველობის საფუძველია *პუმანიზმი.* დიდი ქართველი პოეტი-მოაზროვნის ყურადღების ცენტრშია ადამიანი, ადამიანური ცხოვრების დამშვენებელი ზნეობრივი იდეალები. „რუსთაველმა გაცილებით ადრე მკაფიოდ გამოხატა ის იდეური მიდრეკილებები, რაც ჩვეულებრივ ევროპული რენესანსის ნიშანდებლივად დამახასიათებელ თვისებად ითვლება“.[1]

პოემის უდიდეს მხატვრულ-ლიტერატურულ ღირებულებასთან ერთად უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ *„ვეფხისტყაოსანი“* იმდროინდელი საქართველოს ისტორიული სინამდვილის მხატვრულ ასახვასა და მკაფიო ანარეკლს წარმოადგენს.

სამართალი

XI-XII სს. საქართველოში განვითარების მაღალ საფეხურზე ავიდა *იურისპრუდენცია.* განსაკუთრებით მნიშვნელოვანია *ეკვთიმე ათონელის* (955-1028) მოღვაწეობა *სამართლის თეორიის* დარგში. მან თარგმნა *„მცირე სჯულის კანონი“,* რომელიც საეკლესიო სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობის ერთგვარ ენციკლოპედიას წარმოადგენს.

იმდროინდელ საქართველოში განვითარების მაღალ საფეხურზეა *პროცესუალური სამართალიც,* რაზეც თვალსაჩინოდ მეუთითებს *ბაგრატ IV-ის* (1027-1072) ცნობილ *ოპიზის სიგელში* აღწერილი სასამართლო პროცესი. ქართული სამართლებრივი კულტურის საკითხებზე მსჯელობისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ისეთ მნიშვნელოვან მოვლენას, როგორიცაა სიკვდილით დასჯის გაუქმების და დამსახიჩრებელი სასჯელების ამოკვეთის ცდა თამარის ეპოქაში. ამ ეპოქის მართლმსაჯულებასა და კანონმდებლობაში *ეკვთიმე*

---

[1] ქ. კეკელიძე, ა. ბარამიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1969. გვ. 281.

მთაწმინდელმა და შემდეგ ეფრემ მცირემ სცადეს გაეტარებინათ ჰუმანურობისა და გონივრული ღმობიერების პრინციპები, რაც უდაოდ მოწმობს აღნიშნული ეპოქის ქართული კულტურის განვითარების მაღალ დონეს.

ხუროთმოძღვრება XI-XIII საუკუნეები ქართული ხელოვნების არნახული აღმავლობის ეპოქაა. ამ დროს შეიქმნა საერო და საეკლესიო არქიტექტურის, კედლის მხატვრობის, ხელნაწერთა მორთულობისა და მინიატურების, ოქრომქანდაკებლობის, დეკორატიული სკულპტურის მრავალი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები.

XI საუკუნის ხუროთმოძღვრებამ შექმნა შუა საუკუნეთა საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი და დიდი ტაძრები, რომლებშიც მკაფიოდ იჩინა თავი ახალმა სტილისტურმა ნიშნებმა.

ბავრატის ტაძარი – ძველი ქართული ხელოვნების ერთ-ერთი მწვერვალთაგანია. იგი აგებული იქნა გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის *ბავრატ III-ის* დროს (დაამთავრეს 1003 წ.). სამხრეთისა და დასავლეთის მდიდრულად მოჩუქურთმებული კარიბჭეებიც XI ს. პირველი ნახევრისაა. მართალია, ტაძარი ნაწილობრივ დანგრეულია და გუმბათიც ჩამოქცეულია, მაგრამ ძეგლი დღესაც წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს, იგი წინათ შიგნით მოზაიკით ყოფილა მორთული.

მცხეთის სვეტიცხოველი – ახლანდელი ტაძარი XI ს. პირველი ნახევრის ნაგებობაა (1010-1029წ.). ხუროთმოძღვარი, როგორც ტაძრის ორი წარწერა მოწმობს, *არსუკის ძე* ყოფილა. არაერთგზის დაზიანებათა და შეკეთებათა მიუხედავად, სვეტიცხოველმა შეინარჩუნა თავდაპირველი დიდებულება და ფორმათა დახვეწილობა. გუმბათი ოთხ უზარმაზარ ბურჯს ეყრდნობა. მისი სიმაღლე 45 მ.-ს. აღემატება. სვეტიცხოველი ძველი საქართველოს ყველაზე დიდი საეკლესიო ნაგებობაა.

ალავერდის კათედრალი – XI ს. პირველი მეოთხედის ძეგლი ტრიკონქია. აფსიდები მჭიდროდ ეკვრის ერთმანეთს და მძლავრ გუმბათქვეშა ბურჯებს. მთელ ძველ ქართულ ხუროთმოძღვრებაში არ მოიძებნება ისეთი გრანდიოზული შიდა სივრცე, როგორც ალავერდშია. ეს ეკლესია ჩვენს დრომდე ყველაზე მაღალი იყო საქართველოში.

სამთავისის ტაძარი (1030 წ.) ღირსშესანიშნავია არა მარტო მაღალი მხატვრული ღირსებით, არამედ იმითაც, რომ აქ ჩნდება ბევრი სიახლე, რაც XII ს. ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი. ამ მხრივ სამთავისი ხუროთმოძღვრების განვითარების მთელი საფეხურების წინამორბედია.

XI ს. ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანესი ძეგლებია აგრეთვე: *იშხანის ტაძარი, მანგლისის ტაძარი, სამთავროს კათედრალი, ნიკორწმინდის ტაძარი (1010-1014), ერთნავიანი ეკლესიები: ბჭინი (1002 წ), ფოკა, სავანე (1046), ჭორეთი, ებწვევი.*

ეკლესიების ორგანულ ნაწილს შეადგენდა თაბაშირისა და ქვის მოჩუქურთმებული და რელიეფებით მორთული კანკელები[1]. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია *ბპეთის, საფარის, ატენის, ხოვლესა და შიომღვიმის* კანკელები.

XII საუკუნის I ნახევრის ქართული ხუროთმოძღვრების ყველაზე გამორჩეული ძეგლია *გელათის მონასტრის დიდი ტაძარი. 1106 წელს დავით აღმაშენებლის* მიერ დაარსებული მონასტერი XII-XIII სს. მანძილზე იზრდებოდა და დიდ ხუროთმოძღვრულ ანსამბლად გადაიქცა. აქ არის *ღვთისმშობლის სახელობის დიდი ტაძარი, წმ. გიორგის ეკლესია, წმ. ნიკოლოზის პატარა ორსართულიანი ეკლესია, სამრეკლო და აკადემიის შენობა.* უდიდეს ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს ტაძრის მოხატულობა, *საკურთხევლის მოზაიკა: ღვთისმშობელი ყრმითა და ორი მთავარანგელოზი.* კედელ-კამარების მხატვრობა სხვადასხვა დროისაა (XII-XVIII სს). სამრეკლო XIII საუკუნისაა და ერთ-ერთი უძველესია საქართველოში.

XII საუკუნის ძეგლთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია *თიღვის ჯორნისის (ზნაურის რაიონში) გუმბათოვანი ეკლესია* და *საორბისის პატარა სამლოცველო* (თქმანის ხეობაში) მოჩუქურთმებული სარკმლით (ორივე – 1152 წ.).

XII ს. ბოლოსა და XIII საუკუნის I ნახევარს ეკუთვნის აღმოსავლეთ საქართველოს გუმბათოვან ტაძართა დიდი ჯგუფი, რომელთაგან მნიშვნელოვანი ძეგლებია: *იკორთა* (1172), *ძეთანია, ქვათაშენი, ფიტარეთი, წულერუკაშენი, დმანისის კარიბჭე, კაბენი* (ამჟამად აღარ არსებობს), *ერთაწმინდა, ანტკალა, ტიმოთესუბანი, ყინწვისი*, ე.წ. *ლამაზი საყდარი* ხრამის ხეობაში, *მაღალანთ ეკლესია, კაზრეთი, გუდარეხი.*

თამარ მეფის დროინდელია თბილისის *ლურჯი მონასტერიც* (1190-91 წ.). თავიდან გუმბათოვანი იყო, თლილი ქვით მოპირკეთებული და სარკმელთა მოჩუქურთმებული საპირეებით შემკული, მაგრამ

[1] კანკელი – სვეტებითა და თაღებით აღჭურვილი ტიხარი, რომელიც საკუთხეველს ეკლესიის ნავისაგან ყოფს.

დროთა განმავლობაში იმდენად დაზიანდა და XIX ს. კი იმდენად დამაზინჯდა, რომ თავდაპირველი შენობის ფრაგმენტებიღა დარჩა.

უდიდესი ხუროთმოძღვრული ღირებულება გააჩნია კლდეში ნაკვეთ დიდ სამონასტრო ანსამბლებს: *დავით-გარეჯსა* და *ვარძიას*.

დავით გარეჯის მიერ VI საუკუნეში დაარსებული სამონასტრო ანსამბლი არსებობდა და ვითარდებოდა შუა საუკუნეების მთელ მანძილზე.

კლაჟი-მონასტერი – *ვარძია* – შეუღლ კლდეშია ნაკვეთი. რამდენიმე ასეული სენაკი მრავალ სართულადაა განლაგებული. სართულები და სადგომთა ცალკეული კომპლექსები კლდეშივე, ნაკვეთი გასასვლელებით უკავშირდება ერთმანეთს. მტრისაგან ხანგრძლივი თავდაცვის გათვალისწინებით სამონასტრო კომპლექსი უზრუნველყოფილი იყო სასმელი და სარწყავი წყლით (გამოყვანილი იყო წყალსადენი). სენაკების გარდა აქ იყო სამეურნეო დანიშნულების სადგომებიც. ვარძიაში უმთავრესი მნიშვნელობისაა ერთიანად მოხატული დიდი გამოქვაბული ეკლესია (აქაა გიორგი III-ისა და თამარ მეფის პორტრეტები).

ვარძიის მახლობლად მეორე მთაში გამოკვეთილია კიდევ ერთი იმდროინდელი მონასტერი – *ვანის ქვაბები*. ვაკავახეთში არის აგრეთვე კლდეში ნაკვეთი იმდროინდელი სხვა კომპლექსებიც, მაგ., *სამსარის* გამოქვაბულები და სხვა.

აღნიშნულ ეპოქაში სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანს წარმოადგენდა XII საუკუნეში დიდად მოჭარბებული სახელმწიფო საჭურჭლის მოვლა-პატრონობაც. ამ დროს არსებობს მთელი სისტემა *სამლავ-სახიზარი ქვაბებისა*, რომლებიც დიდად საჭირო ხდებოდა ჯერ *თურქ-სელჩუკების დროს* (XI ს.) და მერე *მონღოლების* პერიოდში.

სახიზარ ქვაბთაგან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია *ბვამლის, ბეთლემისა და თრიხვის ქვაბები*.

XI-XII საუკუნეების საერო ხუროთმოძღვრების ნაგებობათაგან აღსანიშნავია, უპირველეს ყოვლისა, *გელათის აკადემია*, რომლის ერთსართულიანი შენობა შედგება დიდი საკრებულო დარბაზისა და ორი შესასვლელი კარიბჭისაგან.

აღორძინების ხანის საქართველოს საერო ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანესი ძეგლია გადარჩენილი სასახლე – *გეგუთის ციხე-დარბაზი* ჭუთაისის მახლობლად. მისი ზოგი ნაწილი XII საუკუნეს მიეკუთვნება, ზოკი კი უფრო ძველია.

ეპოქის საერო ხუროთმოძღვრების საინტერესო ნიმუშებია *სვეტიცხოველის ძველი კარიბჭე* – შესანიშნავი ნაგებობა – დიდი შესასვლელი თაღით, მეორე სართულის თაღოვანი სარკმლებით, კედლის სვეტებითა და სკულპტურული დეკორით.

საინჟინრო ნაგებობათაგან მნიშვნელოვანია *თამარის დროის ხიდალტბა* – *შიომღვიმის წყალსადენი*, XI-XII საუკუნეების *ბესლეთისა* (სოხუმთან), *დონდალოს* (რაჭაში) და *აწყურის* (მესხეთში) ხიდები.

XI-XII საუკუნეებში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა *ციხე-სიმაგრეთა მშენებლობას*. ყოველი მთგანი საინჟინრო ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშია. ასეთია მაგალითად, *სამცხის ციხეები, ბერთუბისა, აწყური, ოქროს ციხე, ციხე-ქალაქი თმოგვი* და სხვა.

სახვითი ხელოვნება – სკულპტურა

XI საუკუნის საქართველოს *სახვით ხელოვნებაში* ჩნდება განსაკუთრებული ინტერესი რეალურად გადმოცემული, სწორი პროპორციებისა და ნამდვილი მოცულობის მქონე ადამიანის ფიგურის მიმართ, ისახება სკულპტურულობა.

სახასადო სკულპტურის ყველაზე განვითარებული და მნიშვნელოვანი ნიმუშია XI საუკუნის დასაწყისის *ნიკორწმინდის სიუჟეტიანი რელიეფები*, რომელიც საღმრთო წერილის სხვადასხვა სცენებსა და ცალკეულ წმინდანებს გვიხატავს.

XI საუკუნის ახალი ტენდენციის საუკეთესო ნიმუშია *საფარიდან ჩამოტანილი ქვის კანკელის ფრაგმენტები „ბარეიბა“ და „ელიასაჭედისა და მარიამის შეხვედრის“* სცენებით – ნამდვილი შედევრი შუა საუკუნეების ქართული პლასტიკისა.

ოქრომჭედლობა

XI საუკუნის შემდეგ ცხოველი ინტერესი ქანდაკებისადმი ცხრება. ეკლესიების ფასადებზე რელიეფების რაოდენობა კლებულობს. XII საუკუნეში დეკორატიული ამოცანები პირველ პლანზე *ოქრომჭედლობაში* (ხატებზე, წიგნების ყდებზე, ჯვრებზე) გამოდის.

X-XI საუკუნეების *ოქრომჭედლობის* ბრწყინვალე ნიმუშებია 973 წლის *ჯვარი ათონიდან*, შესანიშნავი ოსტატის *„ასათ მოქმედის“* მიერ დავით კურაპალატისათვის შესრულებული, *ბედიის ოქროს ბარძიმი* (999 წ.), *ლომზე მჯდომი წმ. მამაის ადგილ-ადგილ ოქროთი დაფერილი ვერცხლის რელიეფი გელათიდან, ღვთისმშობლის ხატი ცავერიდან, ლაკლაკეთა ხატი*.

შემოგვინახა *სვანეთმა*, რომელიც საერთოდ ძველი ქართული ხელოვნების ნამდვილი საგანძურია.

XII ს. ხატებში *ორნამენტის* სიმდიდრე მთავარ მხატვრულ საშუალებად იქცევა, ამის საუკეთესო ნიმუშია *ბაბულის* ხატი *გელათის* ტაძრიდან, რომელიც შუა საუკუნეების მსოფლიო ოქრომჭედლობის ერთი ყველაზე საკვირველი ნაწარმოებია. ხატი უხვადაა შემკული აგრეთვე *ძვირფასი ქვებითა და მინანქრებით.*

XII ს. ბოლოს, თამარ მეფის დროს, მოღვაწეობდნენ სახელგანთქმული *ოქრომჭედლები ბეჭა და ბეშქენ ოპიზარნი. ბეშქენ ოპიზრის* შესრულებულია *ბერთის საბარების ყდა* (ჯვარცმისა და ვედრების სცენებით). *ბეჭას ოპიზარის* მოჭედილია — *წყაროსთავის საბარების ყდა* და *ანჩისხატის მოჭედილობა* — ღვთისმშობლის, იოანე ნათლისმცემლისა და სხვა წმინდანების ფიგურებითა და ორნამენტული არშიებით.

მონუმენტური მხატვრობა

განვითარებული შუა საუკუნეების ხანის ქართულ მონუმენტურ მხატვრობაში ორ საფეხურს გამოყოფენ. ამ ხანას მიეკუთვნება ეკლესიათა *მოზაიკური მოხატულობის* პირველი ნიმუშები. პირველ საფეხურზე (XI-XII ს) დამახასიათებელია მოხატულობის მკაცრი მონუმენტურობა. ამ დროს საქართველოში *ფერწერის* რამდენიმე ადგილობრივი სკოლა შეიძლება გამოიყოს.

ტაო-კლარჯეთის სკოლაროშლის ძეგლებიც განსაკუთრებით *საზეიმო-მონუმენტური ხასიათისაა.* ესაა: *ოთხთა ეკლესია, იშხნის, ბაბულის, ოშკის, ტბეთის ფრესკები.* სრულიად განსხვავებულია თავისი ხასიათით და განწყობილებით *დავით-გარეჯის მონასტრის მხატვრობა* — მცირე გამოქვაბულების მხატვრობის სცენები ნაკლებ მონუმენტურია, ნაკლებ საზეიმო.

სვანეთისა და რაჭის სამხატვრო სკოლა. სვანეთმა შემოგვინახა *„მეფის მხატვრის თეოდორეს“* სახელი, რომლის მიერ შესრულებულია: *იფრარის „თარხნული“* (1096 წ.), *კვირიკესა და იულიტას ეკლესია კალაში* (1112 წ.), *წმ. გიორგისა — ნაკიფარში.*

XII ს. I ნახევარში სვანეთში მუშაობდა მხატვარი *მიქაელ მაღლაკელი*, რომელმაც 1140 წ. მოხატა *მაცხვარიშის ეკლესია.*

მნიშვნელოვანია *რაჭის სოფ. ზემოკრიხის ეკლესიის მხატვრობა (XI ს.).*

XI ს. ქართული *მონუმენტური მხატვრობის* ყველაზე შესანიშნავი ძეგლთაგანია *ატენის სიონის მოხატულობა.*

შუა საუკუნეების მონუმენტური მხატვრობის უბადლო ძეგლია *გელათის დიდი ტაძარი.* გვიანდელ ფრესკებთან ერთად აქ დარჩენილია XII ს. შესანიშნავი *მოზაიკა*, რომლის საკურთხეველის კონქს ამკობს — *ღვთისმშობელი ყრმით და ორი მთავარანგელოზი*, XII ს ფრესკებია დასავლეთის მინაშენში — შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრების სცენებით.

განვითარებული *შუა საუკუნეების ხანის მხატვრობის* მეორე საფეხური XII-XIII სს. მიჯნასა და XIII ს. პირველ ნახევარს მოიცავს. მისთვის დამახასიათებელია კომპოზიციის მეტი დეკორატიულობა და დინამიკურობა, დიდი ადგილი უჭირავს არქიტექტურულ ფონს, უმაღლეს ოსტატობას აღწევს ნახატის დახვეწილობა და ფერების შეხამება. ამ დროის უმნიშვნელოვანესი ძეგლებია — *გარეჯის, ბეთანიის, ყინწვისის, ბერთუბნის, ანტალის ფრესკები.*

სახარებისეული სიუჟეტებისა და წმინდანთა სურათების გარდა, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს *ისტორიულ პირთა პორტრეტები*, კერძოდ, თამარ მეფის ოთხი პორტრეტი შესრულებული მის სიცოცხლეშივე — *გარეჯაში, ბეთანიაში, ყინწვისსა და ბერთუბანში.* ამ პერიოდის მხატვრობაში ვხვდებით ღრმა ადამიანურობისა და ლირიზმის გადმოცემასაც კი. მაგ., *არგელოზის ფიგურა* („აღდგომის“ სცენიდან) *ყინწვისში.*

ხელნაწერი წიგნის გაფორმება

XI-XIII სს. ქართულ ხელოვნებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს *ხელნაწერი წიგნის გაფორმებას, ფურცლის მომზადებასა და მინიატურებს.* იმ ხანამ დაგვიტოვა ამ დარგის ყველაზე მნიშვნელოვანი ნიმუშები. უმრავი ქართული წიგნი მზადდებოდა როგორც საქართველოში არსებულ მონასტრებში, განსაკუთრებით *ტაო-კლარჯეთის სავანეებში*, ისე ქართულ მონასტრებში — *ათონის მთაზე, სინას მთაზე, პალესტინაში.*

არსებობდა *„მწერალთა“* და მინიატურისტთა მთელი დინასტიები, მოღვაწეობდნენ კალიგრაფიისა და ნახატის შესანიშნავი ოსტატები.

X ს. II ნახევრიდან ფურცლის გაფორმება მდიდრდება. ხმარებაში შემოდის *სინგური*, რაც იწვევს ნაწერი ტექსტის აფერადებას, ჩნდება და სულ უფრო მეტად ვრცელდება *ორნამენტული თავსამკაულები* და *ბოლოსართები*, საზედაო *ასოები*, რომელიც გამოყოფილია ხაზით, ფერითა და დამუშავებით. ტექსტის თავში

მოცემულია ე. წ. *კაშრები* საძიებელთა ტექსტისათვის, მრავლდება მინიატურების რიცხვი.

XII ს. ვრცელდება საზეიმოდ გაფორმებული *ბიზანტიური ტიპის ხელნაწერები*, რომლებიც ხშირად უმაღლესი არისტოკრატული ფენების დაკვეთით მზადდებოდა.

ამ პერიოდის მორთული ხელნაწერები უმეტესად სასულიერო შინაარსისაა. დარჩენილია მარტო ერთი, დიდად მნიშვნელოვანი ხელნაწერი, *XII ს. ასტრონომიული ტრაქტატი* (1188), რომელიც დასურათებულია ზოდიაქოს ნიშნებით.

ამ ეპოქის მორთულ ხელნაწერთაგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია *ალავერდის საბარება* (XI ს.), *გრუჭის მეორე ოთხთავი* (XII ს.) და *გელათის საბარება* (XII ს.). *გრუჭის* ოთხთავში 334 მინიატურაა.

გამოყენებითი ხელოვნება

XI-XIII საუკუნეებში, ისევე როგორც ადრე, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა *გამოყენებით ხელოვნებას*. ამ ხანამ დაგვიტოვა *ტიბროვანი მინანქრის* შესანიშნავი ნიმუშები, მათ შორის შუა საუკუნეების უდიდესი მინანქარი – *ხახულის ღვთისმშობლის ხატი*. ქართული მინანქრები კოლორიტის იშვიათი სილამაზით, ფერთა განსაკუთრებული სიღრმითა და ძალით გამოირჩევა.

ხელოვნება ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაშიც ძალუმად იყო შეჭრილი. ამას მოწმობს მაშინდელი *კერამიკული* და *ლითონის მრავალი ჭურჭელი*.

დიდი ადგილი ეჭირა მხატვრულ ქსოვილებსაც, რომლებიც იხმარებოდა სასახლეთა მოსართავად, საერო და სასულიერო პირთა მდიდრული ტანსაცმლისათვის, საეკლესიო ნივთებისათვის და ა.შ. ადგილობრივი ნაწარმის გარდა, ბევრი იყო უცხოეთიდან შემოტანილი საქონელიც.

მუსიკა და სახიობა

XI-XII საუკუნეებში აღმავლობა განიცადა ქართულმა მუსიკალურმა ხელოვნებამაც. მრავალხმიანობის გაჩენასა და განვითარებასთან ერთად, საკომპოზიციო ხელოვნება ცალკე დარგად გამოიყო. საგალობელთა სიტყვებისა და მუსიკის შემთხზველნი სხვადასხვა პირები იყვნენ. მაშინდელი ქართველი კომპოზიტორების მიერ შეთხზული ჰანგები, საკუთარი საგალობო ნიშნებით ჩაწერილი, ნაწილობრივ ჩვენს დრომდეც არის მოღწეული.

ქართული სანახაობითი ხელოვნება ძველი დროიდანვე ვითარდებოდა.

დავით აღმაშენებლის მეფობაში სანახაობანი აკრძალული იქნა როგორც „საშმაკონი“ და მოლაშქრეებში მხოლოდ ისეთ სანახაობა-სახიობას მიეცა სარბიელი, რაც მეომრებს სამშობლოსადმი სიყვარულს, ერთგულებას, ვაჟკაცობას, მხნეობასა და თავდადებას შთააგონებდა.

XII საუკუნის სახალხის კარის სანახაობაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა ისეთ ჟანრს, როგორიცაა ქებანი. იგი სრულდებოდა მუსიკალურ საკრავებზე ხმაშეწყობილი სიმღერითა და ცეკვით, რაც თვალნათლივ დასტურდება იმდროინდელი ფრესკებითა და მინიატურული მხატვრობით.

ამ დროს ქართულ სახიობას მრავალჟანრიანობა ახასიათებს. სახიობის შემსრულებლები იყვნენ მგოსნები, მოთამაშენი, მუტრიბები და მუშაითები. მგოსნები და მოთამაშენი წარმოადგენდნენ დრამატულ, პანტომიმიკურ, ქორეოგრაფიულ ხელოვნებას. მუტრიბები დამკვრელებიც იყვნენ და მომღერლებიც, ხოლო მუშაითები – საცირკო, აკრობატული ხელოვნების წარმომადგენლები.

XI-XIII სს სახიობა იმართებოდა სანახაობრივი დანიშნულების ნაგებობებში. ასეთ ნაგებობებს წარმოადგენდა: „სახლი სათამაშო“, სასახლის „წარულეთი, ანუ დარბაზი“, „სახლი სალხინო“ და იპოდრომი. სახიობა ამასთანავე იყენებდა საკარეო ალკაზმულობას და იგი იმართებოდა სრა-ფარდაში (კარავში).

XII საუკუნის საქართველოში, განსაკუთრებით მის დედაქალაქში, აყვავება განიცადა თეატრალურმა – სანახაობრივმა ხელოვნებამ. ისე როგორც შემოქმედების ყველა დარგში, მასშიც იგრძნობოდა მონუმენტური ფორმებისადმი მიდრეკილება – მცირეში სიდიადის გამოხატვა, საჯარო დღესასწაულებრივი სანახაობებისადმი სიყვარული.

ძირითადი ტერმინები და ცნებები

არეპაგიტული მოძღვრება	აფსიდი
აკადემია	ბიზანტიური ტიპის ხელნაწერები
ბიბლიოლოგია	დეკორატიული თაღები
დოგმატიკა	ეგზეგეტიკა
იპოდრომი	კომპენდიუმი „დოგმატიკონი“
მოთამაშენი	მოზაიკა
მონოფიზიტობა	მონუმენტური მხატვრობა
მუშაითები	მუტრიბები
მცირე სჯულის კანონი	ოპიზის სიგელი

ორთოდოქსული მიმდინარეობა
პეტრიწონის სკოლა
პოლიტიკურ-რიტორიკული მიმართულება
სასულიერო
სწავლა-აღზრდა
საკომპოზიციო ხელოვნება
საღვთისმეტყველო იამბიკო
სახლი სალხინო
სინგური
პატრონიკე
პოლემიკა
რენესასი
სასულიერო, საერო, საერო და საისტორიო მწერლობა
სამალავ-სახიზარი ქვაბები
სახიობა
სინას მთა
სრა-ფარდა
სახოტბო ოდები

კითხვები გამეორებისათვის

1. რა მიზეზებმა განაპირობა XI-XII საუკუნეების საქართველოში კულტურული ცხოვრების აღორძინება?
2. დაახასიათეთ XI-XII საუკუნეების საქართველოს სწავლა-განათლების სისტემა.
3. ქართული კულტურის რომელი საზღვარგარეთული ცენტრები ფუნქციონირებდა XI-XII საუკუნეებში.
4. რომელი ფილოსოფიური მიმართულება ჩამოყალიბდა XI-XII საუკუნის საქართველოში? ვინ იყვნენ მისი წარმომადგენლები?
5. დაახასიათეთ აღორძინების ხანის ქართული მწერლობა.
6. რა მნიშვნელოვანი სიახლეები შეიმჩნეოდა ქართულ სუროთმოძღვრებაში?
7. დაახასიათეთ იმდროინდელი ოქრომჭედლობის და მხატვრობის უმნიშვნელოვანესი ძეგლები.
8. დაახასიათეთ აღორძინების პერიოდის მუსიკა და სახიობა.

თავი 23

ქართული კულტურა XIII-XV საუკუნეებში



იერუსალიმის ჯვრის მონასტერი.



პეტრიწონის ივერთა მონასტერი ბულგარეთში.



საფარის (ქ. ახალციხესთან) წმინდა საბას სახ. მონასტერი.

„იამბე, ცხის ნაშალო, რა დრო გაქვს გამოვლილიო,
ვისი რა აგებული ხარ, ვისი რა ჩამოშლილიო“.

/ბალხური/

მონღოლ-თათართა ასწლოვანმა ბატონობამ, თემურ-ლენგის მრავალგზის გამანადგურებელმა შემოსევებმა საქართველოს ეკონომიკურ დაქვეითებასთან ერთად, ცხადია, მისი კულტურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის შეფერხებაც გამოიწვია. სამწიგნობრო ცენტრების უმრავლესობა (მაგ., ქვათახევის მონასტერი) სასტიკად იქნა დარბეული.

მიუხედავად ძნელბედობისა, საქართველოში, მართალია ძველი მასშტაბით არა, მაგრამ კულტურულ-საგანმანათლებლო და მეცნიერულ-შემოქმედებითი საქმიანობა XIII-XV საუკუნეებში კვლავ გრძელდებოდა.

კულტურულ საგანმანათლებლო კერები

სწავლა-განათლებისა და ლიტერატურულ-კულტურული მუშაობის ყველაზე მნიშვნელოვანი ცენტრები იმ პერიოდში ქართლში იყო. განსაკუთრებულ კულტურულ-შემოქმედებით ცენტრად კვლავ რჩებოდა თბილისი.

კულტურის მნიშვნელოვანი კერა იყო აგრეთვე ქსნის ხეობაში მდებარე სამონასტრო ცენტრი — *ლარგვისი*, სადაც მოღვაწეობდა ავგაროზ ბანდაისძე (XIV ს. II ნახევარი) — კარგი კალიგრაფი, ცნობილი გადამწერი, უბადლო მწიგნობარი და მხატვარი, რასაც მოწმობს მის მიერ 1348-1365 წწ. ლამაზი კალიგრაფიული ნუსხურით გადაწერილი „პარაკლიტონი“ და 1348-1400 წლებში დაწერილი ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე „*ძველი ერისთავთა*“.

ცნობილი მოღვაწე იყო მისი ვაჟი გრიგოლიც (XV ს.), რომელმაც აღადგინა, განაახლა, მოხატა და შეამკო ძველი მონასტერი, შეამატა ახალი დამხმარე ნაგებობანი და შესწირა ხელნაწერები.

XIV-XV სს. ლარგვისის საკანეში არსებობდა საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა.

იმჟამინდელ საქართველოში მნიშვნელოვან საგანმანათლებლო და სამწიგნობრო კერად გვევლინება საციციანოს ცენტრი — *მძოვრეთი*. XV საუკუნის II ნახევარში აქ მოღვაწეობდა ზაზა *ფანასკერტელი-ციციშვილი* — ღრმად განსწავლული მეცნიერი, მედიცინის კარგი მცოდნე და მკურნალი — *კარაბადინის* ავტორი.

საზღვარგარეთული კულტურის ცენტრები

XIII-XV საუკუნეებში არც საზღვარგარეთულ კულტურის კერებს დაუკარგავთ მთლიანად თავიანთი მნიშვნელობა, თუმცა ზოგიერთ მათგანს სერიოზული საფრთხე შეექმნა მუსლიმანთა მხრიდან. 1273 წელს ეგვიპტელ მამლუქთა მიერ მოტაცებული იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაბრუნება ქართველებმა საბოლოოდ 1305 წ. მეფე დავით VIII-ის (1293-1311) მეშვეობით შეძლეს. დავით VIII თანხებითა და ინიციატივით მოხდა მონასტრის შეკეთება-განახლება. იმერთა მეფის კონსტანტინე I (გარდაიცვალა 1327 წ.) სახსრებით კი ჩატარდა სამხატვრო-სამშენებლო მუშაობა.

იერუსალიმის ქართული კოლონიის მიმართ დიდ ზრუნვასა და ყურადღებას იჩენდა გიორგი ბრწყინვალე. ქართველები ამ დროიდან იმდენად გაძლიერდნენ იერუსალიმში, რომ მათ ხელში იყო ქრისტეს საფლავის კლიტე.

XIV ს. ჯვრის მონასტერში კვლავ გაჩაღდა აქტიური შემოქმედებითი მუშაობა. ამ ხანებში შეიქმნა ორიგინალური ქართული თხზულებანი: *ლუკა იერუსალიმელისა და ნიკო დეკალის მარტვილობანი* (XIV ს.). აქვე წარმოებდა სხვადასხვა სახის კრებულების შედგენა, ხელნაწერთა გამრავლება, იქმნებოდა მდიდარი წივნსაცავები. 1400 წელს შეიქმნა *„ჟოლგოთის ხეთნაქსარის“* მნიშვნელოვანი — დოკუმენტი, რომელშიც ჩამოყალიბებულია ქართველთა უფლებები გოლგოთაზე, მათი მონაწილეობა და ვალდებულებანი ღვთისმსახურებისას.

XV ს. II ნახევრიდან, კიდევ უფრო გაძლიერდა ქართველთა ზრუნვა იერუსალიმის ქართულ მონასტერზე. გიორგი VIII-ს (1447-1476) სახლთხუცესი ბენია ჩოლოყაშვილის წყალობით „ფრანგებისაგან“ მიტაცებული გოლგოთა კვლავ ქართველთა სავანედ იქცა.

XIII-XV სს. ქართველები *პეტრიწონის* მონასტერშიც მოღვაწეობდნენ. ამაზე მიუთითებს მონასტრის მთავარ ეკლესიაში დღემდე შემონახული ქართულ (ასომთავრულ) წარწერიანი (1311 წ.) მოჭედილი ღვთისმშობლის ხატი, მონასტრის გუმბათის ქართულწარწერიანი ჯვარი და ჩვენამდე მოღწეული მოზრდილი ხელნაწერი, რომელიც 1300-1340 წწ. თარიღდება.

ისტორიული მწერლობა

XIII-XIV საუკუნეების ისტორია ეკუთვნის XIV ს. ისტორიკოსს, რომლის სახელი უცნობია და ჩვენს ისტორიოგრაფიაში *ყამთაისძისა* სახელითაა შესული. მის თხზულებაში საქართველოს პოლიტიკურ ვითარებასთან ერთად აღწერილია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ვითარებაც, საეკლესიო საქმეებიც და ქვეყნის ზნეობრივი მდგომარეობაც. ჩანს, *ყამთაისძე* კარგად იცნობს მსოფლიო ისტორიას, ქართულ, ბერძნულ, სპარსულ და მონღოლურ წყაროებს. ამავე დროს, წყაროებისადმი იჩენს კრიტიკულ

დამოკიდებულებას. ეს, ივანე ჯავახიშვილის აზრით, *საისტორიო კრიტიკის მეთოდის ჩანასახია ქართულ მწერლობაში.*

ჟამთააღმწერელი სამშობლოს პატრიოტი ისტორიკოსია. მას შთამბეჭდავად აქვს დახატული *ცოტნე დადიანის, დემეტრე თავდადებულის, ივანე და შალვა ათაბაგიანების, გიორგი ლაშას ძეების* და სხვათა გმირობა. იგი ერთიანი, ძლიერი საქართველოს მოტრფიალეა.

XIII საუკუნის შემდგომი ხანის ქართულ ისტორიოგრაფიაში აშკარად შეინიშნება რომანტიკული მოტივი, რომ წარსული სულ უფრო სანატრელი ხდება. ქვეყნის პოლიტიკური ძლიერება, ეკონომიკური მორჭმულობა, კულტურული მიღწევები – ყველაფერი წარსულში – თამარის გარშემო იყრის თავს.

რომანტიკოსები არიან XIV-XV ს. ყველაზე დიდი პოლიტიკური მოღვაწეებიც – *გიორგი ბრწყინვალე* და *ალექსანდრე I*. მათი პოლიტიკური იდეალი „*თამარის ხანის რესტავრაციაა*“.

„*ძეგლი ერისთავთა*“ ქსნის ერისთავების საგვარეულო მატიანეა. იგი დაწერილია იმ დროის ცნობილი ლარგველი მოღვაწის, მწიგნობრისა და მხატვრის *აგვარობ ბანდაისძის* მიერ 1348-1400 წლებში.

„ძეგლი ერისთავთას“ ავტორი ალწერს მხოლოდ ქსნისა და არაგვის ხეობათა ამბებს.

ბაგრატ V (1360-1393) და მისი *ძის კონსტანტინე I* (1407-1411) *მეფობის ისტორია* ცალკე ყოფილა დაწერილი, მაგრამ ამ ნაშრომმა დღემდე არ მოაღწია. იგი გამოუყენებიათ და „ქართლის ცხოვრებაში“ შეუტანიათ.

„*ქართლის ცხოვრება*“ – XIII-XV ს. ისტორიისადმი ინტერესი „ქართლის ცხოვრების“ გადაწერაშიც გამოიხატა. სწორედ XV ს. ეკუთვნის „ქართლის ცხოვრების“ ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერთა შორის უძველესი.

ლიტერატურა

XIII ს. II ნახევრიდან XV საუკუნემდე მხატვრულ მწერლობაში რაიმე მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლი არ შექმნილა, მაგრამ ლიტერატურული შემოქმედება მაინც არ ჩამკვდარა. XIII-XIV ს. მიჯნაზე მაკარ მღვდლის, მესხის მიერ არის თარგმნილი და გადმოკეთებული *„ცხოვრება და მოქალაქეობა წმინდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა პეტრე ქართველისა, რომელი იყო ძე ქართველთა მეფისა“*. თხზულება ეძღვნება V საუკ. ცნობილ ქართველ საეკლესიო მოღვაწეს, ფილოსოფოსს პეტრე იბერს.

XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწეობდა ნიკოლოზი, ქართველთა მნათობად წოდებული, რომელსაც დაწერილი ჰქონია *„მრავალნი კანონნი“*, საგალობლები.

XIV საუკუნეშია დაწერილი ჰაგიოგრაფიული თხზულებები: *„წამებაჲ ლუკა იერუსალიმელისაჲ“*, რომელიც ეძღვნება პალესტინის ჯვრის ქართველთა მონასტრის წინამძღვარს ლუკა ქართველს (აბაშიძეს) (1270-1273 წწ), რომელსაც ეგვიპტელმა მამლუქებმა მუსლიმანობის მიღებაზე უარის გამოცხადების გამო თავი მოჰკვეთეს და *„წამებაჲ ნიკოლოზ დვალისაჲ“*. ნიკოლოზ დვალიც ჯვრის მონასტრის მოღვაწე იყო. ქრისტიანობისთვის 1314 წ. 19 ოქტომბერს მას თავი მოკვეთეს დამასკოში და გვამი ცეცხლში დაწვეს.

კანონმდებლობა

XIII-XV სს. საქართველოში საკანონმდებლო მოღვაწეობა ფართო მასშტაბით იყო გაშლილი.

XIII-XIV სს. მიჯნაზეა შედგენილი ქართული სამართლის მნიშვნელოვანი ძეგლები: *„წიგნი სამართლისა კაცთა შეკოდებისა ყოველისაჲ“*, რომელიც ცნობილია *ბექას სამართლის* სახელით, და XIV ს. II ნახევარში ბექას შვილიშვილის აღაბუღა ათაბაგ ამირსპასალარის მიერ შედგენილი *„სამართალი“*.

ბექა-აღაბუღას სამართლის წიგნი ქართული ფეოდალური სამართლის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სრულყოფილი ძეგლია, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის კანონმდებლობაზე და შეინარჩუნა თავისი სავალდებულო ძალა მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში.

გიორგი ბრწყინვალის (1314-1346 წწ) *„ძეგლის დადება“* წარმოადგენს სისხლის სამართლის კანონთა კრებულს, რომელიც შედგენილია ქართლის მთიანეთის მცხოვრებთათვის. იგი ადგილობრივი ხასიათის სჯულმდებლობაა.

გიორგი ბრწყინვალის დროსაა შექმნილი აგრეთვე *„ბელთწიფის კარის გარიგება“* – შუა საუკუნეების ქართული ფეოდალური სამართლის მნიშვნელოვანი ძეგლი.

„ვახტანის ქებათა გარდება“ – შედგენილია XIII საუკუნეში (1204-1234 წწ). ძეგლის დამდები არის ერისთავთერისთავი თმოგველ-მშარგრძელი, სარგისის ძე. ეს სამონასტრო წესდება, ანუ ტიპიკონი ძველი ქართული საკორპორაციო სამართლის შესანიშნავ ძეგლს წარმოადგენს და კარგად გვაცნობს ძველი საქართველოს სამონასტრო წყობილებას.

XIII-XV საუკუნეებშია შედგენილი აგრეთვე ქართული საერო სამართლის ძეგლები: *„წესი და განგებაჲ“* და *„მთავართა და ერისთავთა დადგინების წესი“*.

ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

XIII ს. II ნახევარი და XIV საუკუნის დასაწყისი, მიუხედავად ქვეყნის მძიმე პოლიტიკური და მატერიალური მდგომარეობისა, ხელოვნების ძეგლების მხრივ კვლავ საკმაოდ მდიდარია, თუმცა თავს იჩენს დაქვეითების ნიშნები. იმ პერიოდში ხუროთმოძღვრულ ძეგლთა უმრავლესობა სამცხეშია, რადგან სამცხის ათაბაგების სამფლობელო საქართველოს სხვა ნაწილებთან შედარებით მაშინ უფრო უკეთეს პირობებში იმყოფებოდა.

იმდროინდელი უმთავრესი ძეგლები, რომლებიც ჯერ კიდევ აგრძელებს „დიდი ეპოქის ტრადიციებს“, არის: *თძილისის მეტეხი*, რომელიც მეფე დიმიტრი თავდადებულის დროს აიგო (1278-1289 წწ. შუა) მანამდე არსებული ეკლესიის ადგილას; აგრეთვე *საფარის წმ. საბას ეკლესია* დიდი მონასტრის ანსამბლში, რომელიც სამცხის ათაბაგის ბექა მანდარტურთუხუცესის მიერ აიგო XIII საუკუნის ბოლოს, ხუროთმოძღვარია ფარეზასძე; *ზარზმის* ტაძარი და სამრეკლო (XIV ს.), რომელიც აშენებულია უფრო ადრინდელი – სერაპიონ ზარზმელის დროინდელი მონასტრის ფარგლებში, *გერგეტის სამება* – ხევის ყველაზე დიდი ეკლესია.

XIV-XV სს მიჯნაზეა აგებული სამცხის ძეგლები: *თიხელი, ბიეთი, ჭულე*. აქ, ისევე როგორც საფარასა და ზარზმაში, იყო სამცხის ათაბაგთა პორტრეტები. მხატვრობა, წარწერის თანახმად, დასრულებულია 1381 წ.

XV ს. I ნახევარში ძირითადად ადგილი ჰქონდა თემურ-ლენგის მიერ დაზიანებული და განადგურებული ნაგებობების (ტაძრების, ციხე-სიმაგრეების, საცხოვრებლების) აღდგენას. ამ დროს აღადგინეს სვეტიცხოველი, სამთავისის, რუისისა და სხვა ტაძრები.

ქვეყნის მძიმე სოციალურმა მდგომარეობამ ძლიერ შეზღუდა ქართული სახვითი ხელოვნების შემდგომი განვითარება, მაგრამ XIV ს. მონუმენტური ფერწერა ჯერ კიდევ ქმნის მხატვრულად საინტერესო ნიმუშებს. ამ დროისთვის დამახასიათებელი იყო ბიზანტიური მხატვრობის, ე.წ. *პალეოლოგოსთა პერიოდის* სიახლეთა შეთვისება, რაც განსაკუთრებით იჩენს თავს დასავლეთ საქართველოში XIII-XIV სს. მიჯნაზე; მაგ., ხობი, შერგილ დადიანის ექვტერი, გელათი, დავით ნარინის, აგრეთვე უბისის (იმერეთში) ტაძრის მოხატულობა (XIV

ს), ლაშთხვერისა და ჩაჟაშის ეკლესიების (სვანეთში) ფასადთა მოხატულობა. აქ არის საერო ხასიათის ფრესკები.

XIV-XV სს. ქართულ ხელნაწერთა შორის ყველაზე საინტერესოა ჯრუჭის დავითნის მინიატურები ომის სცენებით.

XIV ს. ოქრომჭედლობის ნიმუშებიც ცოტაა შემორჩენილი. მათ შორის გამორჩეულია ანჩისხატის კარედის შიდა პირის მოჭედილობა, რომელიც შესრულებულია სამცხის ათაბაგთა შეკვეთით. ხელოვნების ამ სფეროში იგრძნობა ერთგვარი დაქვეითება, მხატვრული ხარისხი და ტექნიკური დონე ჩამოუვარდება წინა საუკუნეებისას. მაგრამ ეს დაქვეითება დროებითი პროცესი იყო, ქართული ხელოვნების გამოცოცხლება და ხელახალი აღორძინება იწყება სულ მალე - XVI საუკუნიდან.

ძირითადი ტერმინები და ცნებები

ბექა – აღაბულას სამართლის წიგნი
გოლგოთის სვინაქსარი
ექვტერი
კარაბადინი
ლარგვისის სავანე
მძოვრეთი
ჟამთააღმწერელი
საისტორიო კრიტიკის მეთოდი
ქართული კოლონია იერუსალიმში
ძეგლი ერისთავთა
ძეგლის დადება

კითხვები გამეორებისათვის

1. რამ გამოიწვია XIII-XV საუკუნეებში საქართველოში კულტურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის შეფერხება?.
2. რომელი ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერები არსებობდა XIII-XV სს-ში საქართველოში და საზღვარგარეთ?
3. დაახასიათეთ XIII-XV სს ქართული მწერლობა.
4. რა არის დამახასიათებელი XIII-XV საუკ. ქართული ხელოვნებისთვის? ხელოვნების რომელი დარგებია განვითარებული იმდროინდელ საქართველოში?

თავი 24

აღორძინების ეპოქა



მეფე თეიმურაზ I



ანანურის ეკლესია

XVI – XVII საუკუნეების საქართველოს კულტურული ვითარება

XVI-XVII საუკუნეებში ქართულმა კულტურამ კვლავ გამოცოცხლება და აღორძინება განიცადა. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში ქართველ ხალხს განუწყვეტელი ბრძოლა უხდებოდა უცხოელ დამპყრობელთა – ყიზილბაშთა და ოსმალთა წინააღმდეგ, ქართველი პროგრესული სახელმწიფო და სასულიერო მოღვაწენი შეძლებისდაგვარად მაინც ზრუნავდნენ სწავლების, აღზრდისა და განათლების განვითარებისათვის.

განათლება და სამეცნიერო ცოდნა

მაშინდელი განათლების სისტემა სასულიერო და საერო განათლებას მოიცავს. თანდათან ძლიერდებოდა საერო მიმართულება. განათლების სისტემაში უფრო მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საოჯახო აღზრდა-განათლებას, მაგრამ ამავე დროს არსებობდა და სათანადო ადგილს იკავებდა სკოლებიც.

XVI ს. თბილისის სიონის ტაძართან არსებულ სკოლაში ასწავლიდა ისააკი – საეკლესიო მოღვაწე, ბევრი საღვთისმეტყველო წიგნის გადამწერი.

მნიშვნელოვანი სიახლე იყო კათოლიკე მისიონერების მიერ სკოლების დაარსება. პირველი კაპუცინები[1] თბილისში 1662-1663 წლებში ჩამოვიდნენ და აქ სკოლა დააარსეს. მისიონერებმა საქმიანობა გააჩაღეს გორში, ახალციხეში, ქუთაისსა და სხვა ქალაქებშიც.

განათლების გავრცელებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარებისთვის ზრუნავდნენ მეფეები ლუარსაბ I, სიმონ I, მარიამ დედოფალი (როსტომ მეფის მეუღლე), ვახტანგ V, გიორგი XI და სხვა.

ცნობილი კალიგრაფები და გადამწერები იყვნენ ისააკი და ელისე თბილელი-საგინაშვილი.

ყველა ეკლესიას თავისი წიგნსაცავი ჰქონდა. თბილისის სიონის ბიბლიოთეკის შექმნაში უდიდესი წვლილი მიუძღვის იოსებ საკაძეს – *„დიდმოურავიანის“* ავტორს, რომელიც 1661-1688 წწ. თბილისის ეპისკოპოსი იყო.

XVII საუკუნის I ნახევრიდან იწყება მეცნიერული ცოდნის აღორძინება. ამ დროს დაიწერა იოსებ თბილელის (საკაძის) (1620-

[1] კაპუცინები – კათოლიკური ბერების ორდენის წარმომადგენლები.

1688 წ) ისტორიული პოემა „დიდმოურავიანი“. ეს ნაწარმოები საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა.

XVII საუკუნის 90-იან წლებში *სულხან-საბა ორბელიანმა* დაასრულა ქართული ლექსიკონის (*სიტყვის კონა*) პირველი რედაქცია. სწავლა-აღზრდის მეცნიერულ დონეზე დაყენებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სულხან-საბა ორბელიანისა და *არჩილის* მოწინავე პედაგოგიკურ შეხედულებებს.

XVII საუკუნის ქართული საზოგადოების მაღალ წრეებში განსაკუთრებით გაძლიერდა ინტერესი „სამოქალაქო მეცნიერებათა“ – პოეზიის, უცხო ენების, ფილოლოგიის, ისტორიის, გეოგრაფია-ასტრონომიის, მედიცინისა და სხვათა სწავლისადმი.

XVI საუკუნის II ნახევარში დავით ბაგრატიონმა, დაუთხანად ცნობილმა, შექმნა სამედიცინო წიგნი – „იადიგარ დაუდ“. XVII საუკუნის 40-იან წლებში როსტომ მეფის მეუღლის *მარიამ დედოფლის* ბრძანებით გადაწერილი იქნა ქართულ საისტორიო თხზულებათა სრული კრებული „*ქართლის ცხოვრება*“, (საქართველოს ისტორია), „*ვეფხისტყაოსანი*“, საერო და სასულიერო მწერლობის მრავალი ბრწყინვალე ნიმუში.

XVII ს. ფარსადან გორგიჯანიძის მიერ შეიქმნა ორიგინალური საისტორიო თხზულება „*საქართველოს ისტორია*“. მანვე შეადგინა *ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი*, თარგმნა სხვადასხვა აღმოსავლური ძეგლები და დაწერა რამდენიმე ორიგინალური თხზულება აღმოსავლეთის პოლიტიკური თუ კულტურის ისტორიიდან.

ბეჭდვითი საქმე

გამუდმებული ომიანობის გამო საქართველოში სტამბის დაარსება ვერ ხერხდებოდა და ამიტომ საზოგადოების პროგრესული ნაწილი ცდილობდა, რომ ქართული სტამბა საზღვარგარეთ მაინც შეექმნა.

1629 წელს მისიონერებმა ქართველი მწიგნობრის ნიკიფორე ჩოლოყაშვილის (ირბაქის) თანამშრომლობით, რომში ქართული სტამბა მოაწყვეს და მისივე თანაავტორობით დაბეჭდეს *ქართულ-იტალიური ანბანი ლოცვებითურთ* და *ქართულ-იტალიური ლექსიკონი*. 1643 წ. რომში დაიბეჭდა „*ქართული გრამატიკა*“.

XVII საუკუნის 80-იან წლებში ქართული სტამბის შექმნისთვის ბრძოლას იწყებს ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე და პოეტი *არჩილი*. მოსკოვში ყოფნის დროს მან ქ. ამსტერდამში ქართული შრიფტი გააკეთებინა და 1705 წ. მოსკოვის სინოდის სტამბასთან ქართული წიგნისაბეჭდავი გამართა.

ლიტერატურა

უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლა ენისა და ლიტერატურის დაცვასა და გადარჩენაშიც წარმოებდა. ირანელი და ოსმალო ასიმილატორები ცდილობდნენ მოესპოთ მდიდარი ქართული ენა, ქართული კულტურა. მაგრამ ქართველმა ხალხმა და საზოგადო მოღვაწეებმა შეძლეს წინააღმდეგობა გაეწიათ მტრის მზაკვრული მიზნებისათვის. მოწინავე ქართველები უცხოურ მიმდინარეობათა წინააღმდეგ ბრძოლაში დაემყარნენ ქართული ლიტერატურის მდიდარ მემკვიდრეობას და, კერძოდ, რუსთველის გენს. ამით აიხსნება ის, რომ XVI-XVII სს. ჩამოყალიბდა „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებათა თუ ჩამატებათა მთელი ციკლი, რომლის ავტორები იყვნენ მანუჩარ მწერალი, იოსებ თბილელი, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი და სხვები.

XVII საუკუნის საქართველოს ლიტერატურული ცხოვრებისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ქართულ პოეზიაში ირანული მიმართულებებისა და გავლენის წინააღმდეგ ბრძოლა.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი თავისი პოლიტიკური მოღვაწეობა ირანის წინააღმდეგ ბრძოლას შეალია, ირანული პოეზიის ძლიერ გავლენას განიცდიდა *თეიმურაზ I*, ავტორი პოემისა „*ქეთევან დედოფლის წამება*“.

თეიმურაზის პოეზიის მიმდევართა შორის იყო ნიდარ ციციშვილი, რომელმაც გადმოაქართულა ირანული „*მარამ-გურიანი*“. თეიმურაზის ლიტერატურული ტრადიციებისა და სკოლის ძლიერი მოწინააღმდეგე იყო არჩილი, რომელიც ირან-ოსმალეთის წამლეკავ გავლენას ლიტერატურის სფეროშიც ბრძოლას უცხადებდა. არჩილის მოღვაწეობამ საფუძველი ჩაუყარა *ეროვნულ-პატრიოტულ* მიმართულებას საზოგადოებრივ აზროვნებასა და პოეზიაში. მის კალამს ეკუთვნის ლიტერატურული „*ჟამთასწორება თეიმურაზ I-სა და მ. რუსთაველს შორის*“.

არჩილის სკოლის მიმდევრები იყვნენ ფეშანგი ხითარიშვილი – ისტორიული პოემის „*შაჰნავაზიანის*“ – (1664-65 წ) ავტორი და იოსებ საკაძე – თბილელი ეპისკოპოსი, „*დიდმოურავიანის*“ ავტორი. გიორგი საკაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ეს პოემა, როგორც ლიტერატურული ნაწარმოები, XVII საუკუნის ქართული პოეზიის საუცხოო ნიმუშს წარმოადგენს. მის კალამს ეკუთვნის „*ანბანთქება*“, „*ალექსის ცხოვრება*“ და სხვა. XVII ს. საქართველოს ლიტერატურულ ცხოვრებაში გამორჩეული ადგილი დაიკავა სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებამ. მისი მოღვაწეობა

უაღრესად პრაქტიკული ხასიათისაა. მან შექმნა ქართული ენის ლექსიკონი – „*სიტყვის კონა*“, 1678-1688 წწ. დაასრულა „*სიბრძნე სიცრუისა*“, საფუძველი ჩაუყარა აღზრდისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ ნაწარმოებთა მთელ სერიას.

ქართულ ლიტერატურას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ხალხურ სიტყვიერებასთან. ხალხი ქმნიდა მნიშვნელოვან ლექსებსა და თქმულებებს. ბევრი კარგი ლექსი მიეძღვნა ბაბტრიონის გმირულ ეპოპეას. ხალხური სიტყვიერების მიერ შექმნილი თემები მომდევნო საუკუნეებში საფუძვლად დაედო არაერთ მნიშვნელოვან ლიტერატურულ ნაწარმოებს.

ხელოვნება

XVI-XVII საუკუნეში *ქართული ბუროთმოძღვრება* კვლავ აგრძელებს ეროვნულ ტრადიციებს. ამასთან, პოლიტიკური ვითარების შესაბამისად, შეიმჩნევა ირანული ხელოვნების გავლენა, რაც, უპირველეს ყოვლისა, თავს იჩენს მეფისა და არისტოკრატთა სასახლეებისა და საცხოვრებლების ხუროთმოძღვრებაში და შიდა მორთულობაშიც. სასახლეების, აბანოებისა და ქარვასლების ინტერიერში უხვად იყენებდნენ მოჭიქულ ფერად აგურს, მინასა და სარკეებს, აღმოსავლურ ხალიჩებს.

საქართველოს დასავლეთი და, განსაკუთრებით, მთიანი კუთხეები ირანული გავლენისაგან თავისუფალი იყო. საეკლესიო არქიტექტურა კვლავინდებურად ეროვნულ ტრადიციებს აგრძელებს, მხოლოდ გარეგნულ მორთულობაში იჩენს თავს (განსაკუთრებით კახეთში და აქა-იქ თბილისში) ირანული ელემენტები: ისრული თაღები, აგურის ხალიჩისებური წყობა. ამ დროისთვის დამახასიათებელია აგურის ფართოდ გავრცელება.

წერილობითი წყაროები გვამცნობენ, რომ იმდროინდელი სასახლეები შესანიშნავად ნაგები, მდიდრულად მორთული და მოხატული ყოფილა. ამაზე მეტყველებენ აგრეთვე ლევან კახთა მეფის სასახლის ნანგრევები ალავანში, არჩილის სასახლე თელავში. როსტომის დროს აშენებული ქარვასლები და მდინარე ჭკიაზე გადებული ხიდი (დღეს „წითელი ხიდი“) თავისი სილამაზით განთქმული იყო. იმდროინდელ მნიშვნელოვან ხუროთმოძღვრულ ანსამბლებს წარმოადგენდნენ: გრემის საქალაქო ანსამბლი ქალაქის უბნებით, აბანოებითა და ეკლესიებით; ანბანურის ციხე-სიმაგრე მრავალსართულიანი კოშკებითა და გუმბათოვანი ეკლესიებით. იმდროინდელ საკულტო ნაგებობათაგან ყველაზე მნიშვნელოვანია ახალი შუამთის მონასტერი (კახეთში),

ანანურის ეკლესია, მჭადიჯვარში (მუხრანსა და დუშეთს შუა) 1668 წ. აშენებული დიდი გუმბათიანი ეკლესია.

ბევრგანაა შემონახული XVI-XVII საუკუნეთა *კედლის მხატვრობის* ნიმუშები. ტაძრების კედლები შემკულია მრავალფეროვანი მოხატულობით, რომელიც საეკლესიო სიუჟეტებთან ერთად შეიცავს ისტორიულ პირთა პორტრეტებსაც. კედლის მხატვრები უმთავრესად ადგილობრივი ოსტატები იყვნენ. მაგ., XVII ს. სვეტიცხოველის ტაძრის ერთ-ერთი მომხატველი ყოფილა გრიგოლ გულჯავარიშვილი. საქართველოს მეფეებსა თუ მთავრებს მხატვრები ზოგჯერ მეზობელი სახელმწიფოებიდანაც მოჰყავდათ.

ჩვენამდე მოაღწია XVI-XVII საუკუნეების დროინდელმა საერო თუ სასულიერო შინაარსის ხელნაწერმა წიგნებმა, რომლებიც დიდი ხელოვნებითაა მოხატული და შემკული. ზოგი მათგანი ტექსტთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი ილუსტრაციებითაა დამშვენებული. ამ მხრივ, განსაკუთრებით ძვირფასია შ. რუსთაველის უკვდავი ქმნილების „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები, შესრულებული 1646 წ. მამუკა თავაქარიშვილის მიერ ოდიშის მთავრის ლევან დადიანის დაკვეთით; 1680 წელს გიორგი XI-ის ბრძანებით კალიგრაფ ბეგთაბეგ თანიაშვილის მიერ შესრულებული. აგრეთვე, კათალიკოს ნიკოლოზ ამილახვრის შეკვეთით 1681 წელს გადაწერილი და დასურათებული ე.წ. ანჩისხატის გულანი, საბა კალიგრაფის მიერ თბილელი ეპისკოპოსის იოსებ საყაბისათვის გადაწერილი ფსალმუნი და სხვა.

XVI-XVII ს. საქართველოში ხელოვნების სხვა დარგებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი კვლავინდებურად უჭირავს *ოქრომჭედლობას*. საქართველოს სიძველეთსაცავებში დღესაც თავმოყრილია იმდროინდელი ოქროსა და ვერცხლის უამრავი ნივთი, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეშია დამზადებული, განსაკუთრებით, კახთა მეფეებისა და სამეგრელოს მთავრის ლევან II-ის დაკვეთით გაკეთებული ჭედური ხელოვნების ნიმუშები.

ხელოვნების ერთ-ერთ დარგს *მხატვრული ქარგაც* შეადგენდა. XV-XVII სს. ნაქარგობის ნიმუშებმა მოაღწიეს ჩვენს დრომდე. მაგალითად, ქართლის დედოფლის მარიამის მიერ შეკვეთილი „გარდამოხსნა“, სხვადასხვა საეკლესიო თუ საერისკაცო სამოსელი და სხვა.

ძირითადი ტერმინები და ცნებები

ანჩისხატის გულანი
ასიმილაცია
ეროვნულ-პატრიოტული მიმართულება
იადიგარ დაუდი
ირანული მიმართულება
კაპუცინები
მოჭიქული ფერადი აგური
ოქრომჭედლობა

კითხვები გამეორებისათვის

1. რა არის დამახასიათებელი XVI-XVII საუკუნის ქართული კულტურისთვის?
2. რაში გამოიხატება მეცნიერული ცოდნის აღორძინება?
3. რა იცით პირველი ქართული სტამბის შესახებ?
4. რა ტენდენციები შეიმჩნევა XVI-XVII სს. ლიტერატურაში, რომელი ორი ძირითადი ლიტერატურული სკოლა არსებობდა?
5. რით ხასიათდება XVI-XVII სს. ქართული ხელოვნება?

ხალხური ზეპირსიტყვიერების სხვა მრავალ ნიმუშთან ერთად XVII საუკუნეში შეიქმნა ქართველი ხალხის დიდი იმედის, ურყევი რწმენისა და უტეხი სულის გამომხატველი ლექსი

„კიდევაც დაიზრდებიან
ალგეთს ლეკვები მგლისანი,
ისე არ ამოწყდებიან,
ჯავრი არ ჭამონ მტრისანი!“

თავი 25

ქართული კულტურა XVIII საუკუნეში



ალდგენილი მცხეთის სვეტიცხოველი



ერეკლე II



სულხან-საბა ორბელიანი

ქართული კულტურის წარმატებები XVIII საუკუნეში XVII საუკუნესთან შედარებით უფრო მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი გახდა. ახლა ადრინდელზე მეტი ნაყოფიერებით გრძელდებოდა ხალხის კულტურულ მონაპოვართა გამოტანა ნანგრევებიდან, მათი მოვლა.

სწავლა–განათლება

სწავლა-განათლების მიღება კვლავინდებურად გრძელდება მონასტრებთან არსებულ სკოლებში ან კერძო ოჯახებში (მღვდლებთან, დიაკვნებთან და სხვა).

ამ პერიოდის სწავლა-აღზრდის საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანა *სულხან-საბა ორბელიანმა* (1658-1725), მონაზვნობაში საბად წოდებულმა. მან საგანგებოდ ყრმათათვის საკითხავად შეადგინა დიდაქტიკურ – აღმზრდელობითი მნიშვნელობის მქონე იგავ-არაკთა კრებული *„სიბრძნე-სიცრუისა“*.

ქართველმა მღვდელმა გერმანემ შეადგინა და დაბეჭდა სახელმძღვანელო წიგნი სათაურით *„სწავლა თუ კითხვა მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა“* (1711). XVIII საუკუნის II ნახევრიდან საქართველოში სახელმწიფო სკოლები დაარსდა. ეს იყო ფილოსოფიის სემინარიები, შექმნილი თბილისსა (1755) და თელავში (1782). სემინარიებს განაგებდნენ რექტორები, რომელთაგან ხალხს ყველაზე მეტად დაამახსოვრდა თელავის სემინარიის მმართველი დავით რექტორი.

თბილისის სემინარია მოთავსებული იყო ანჩისხატთან. იქ ასწავლიდნენ საეკლესიოს გარდა სხვა საგნებსაც: გრამატიკას, პიიტიკას, რიტორიკას, ლოგიკას, კატეგორიებს (არისტოტელისას), ფიზიკას, მეტაფიზიკას, ზნეობით ფილოსოფიას. სემინარიასთან იყო მდიდარი წიგნსაცავი. თბილისში დაარსდა რუსული ენის შემსწავლელი სკოლაც (1778 წ.).

სასკოლო მოღვაწეთა I თაობას ეკუთვნოდნენ ანტონ I, ფილიპე ყაითმაზაშვილი, ანტონის მოწაფე გაიოზი, დავით რექტორი და სხვა. თელავის სემინარიაში აღიზარდა ცნობილი მწიგნობარი იონა ხელაშვილი.

მეცნიერება

უჩვეულო სიცხოველე დაეტყო მეცნიერებას. ვახტანგ VI-მ შეადგინა „მეცნიერ კაცთა“ კომისია ბერი ეგნატაშვილის მეთაურობით. კომისიამ „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერები შეკრიბა, ახლად შეადგინა XIV-XVIII სს ისტორია სიგელ-გუჯარების, წარწერების, ქრონიკების მიხედვით.

ვახტანგის სამეცნიერო სკოლაში აღიზარდა ქართული საისტორიო მწერლობისა და გეოგრაფიული მეცნიერების დიდი წარმომადგენელი, ვახტანგ VI-ის შვილი *ვახუშტი ბაგრატიონი* (დაახლ. 1676-1770). მისი კაპიტალური შრომაა *„საქართველოს ისტორია“*, რომელიც შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: გეოგრაფია, გენეალოგია, ქრონოლოგია და პრაგმატოლოგია (ამბავთა თხრობა). (დაასრულა 1745 წ. მოსკოვში). ვახუშტის დიდი საქმის გამგრძელებლებს შორის ერეკლეს მეფობის დროის აღწერას მიუძღვნეს თავისი შრომები პაპუნა ორბელიანმა, ომარ ბერხეულიძემ და სხვებმა.

მნიშვნელოვანი წარმატებები ჰქონდა გეოგრაფიულ მეცნიერებას რუკათაღმწერლობის ჩათვლით. ვახუშტის კალამს ეკუთვნის სწორუპოვარი გეოგრაფიული ნაშრომი *„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“*. ვახუშტის მიერ შედგენილმა ატლასმა გზა გაიკვლია რუსეთისა და დასავლეთ ევროპის სამეცნიერო თუ პოლიტიკურ წრეებში.

კიდევ უფრო ადრე ს.ს. ორბელიანის მონაწილეობით შედგენილი რუკა (საქართველო და მომიჯნავე მხარეები) გადაეცა საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიას. გარდა ამისა, იმერთა მეფის ალექსანდრე V-ის ბრძანებით შედგა დასავლეთ საქართველოს დეტალური რუკა (1737 წ).

დასავლეთ ევროპის გეოგრაფიისა და ბურჟუაზიული კულტურის ცოდნის დანერგვას საქართველოში ხელს უწყობდა ს.ს. ორბელიანის ნაშრომი *„მოგზაურობა ევროპაში“* (ავტორის მოგზაურობა მოხდა 1713-1716 წწ). ცნობილია ორბელიანის ღვაწლი ფილოსოფიაში, მათემატიკაში. ს.ს. ორბელიანმა დასრულებული სახე მისცა თავის უკვდავ ქართულ ლექსიკონს (1685-1716 წ.), რომელიც ცხადყოფს ქართული ფილოსოფიის მაღალ განვითარებას.

ვახტანგმა სპარსულიდან ათარგმნინა ასტრონომიული შრომა, რომელიც ეკუთვნის თემურ-ლენგის მწიგნობარ შვილიშვილს ულუღბეგს (XV ს.). სპარსულიდან ვახტანგის თარგმნილი კოსმოგრაფიის კურსი *„ცნობულების ცოდნის წიგნი“* დაიბეჭდა თბილისის სტამბაში (1721 წ.). ვახტანგს თავისი წვლილი შეუტანია ქიმიის დარგშიც.

ანტონმა შეადგინა სკოლებში სასწავლებლად *„მოკლე ისტორია საქართველოსი“*, მასვე ეკუთვნის ორიგინალური ლექსად დაწერილი შრომა *„წყობილსითქმაობა“*.

სასწავლო-სამეცნიერო შრომები მიეძღვნა ფიზიკას, მათემატიკას, ასტრონომიას. ანტონმა თარგმნა გერმანული ფილოსოფოსის ვოლფის ფიზიკა (ლომონოსოვის რუსული გამოცემის მიხ.). ჩვენს

დრომდე დაცულია მათემატიკის ვრცელი კურსი (არითმეტიკა, გეომეტრია და სხვა) შედგენილი იოანე ბატონიშვილის მიერ.

ფილოსოფიის დარგში ანტონი იღწვოდა არისტოტელეს (IV ს. ძვ.წ.), პროკლეს (V ს.) და სხვა ფილოსოფოსთა ძველი ქართული თარგმანების აღდგენისათვის ან ახლად თარგმნისათვის.

იოანე ბაგრატიონმა (1772-1830) შექმნა ენციკლოპედია (ანბანზე დაუწყობლად), რომელსაც პირობით სახელად ჰქვია „*კალმასობა*".

განათლებისა და მეცნიერების წარმატების საყრდენი გახდა თბილისში დაარსებული სტამბა. იგი მოეწყო რუმინეთის საეკლესიო-პოლიტიკური მოღვაწის — *ანთიმოზ ივერიელის* აქტიური დახმარებით. ამისთვის მან თბილისში მოავლინა თავისი მოწაფე მიხაილ იშტანოვიჩი.

ქართული სტამბა მოეწყო 1708-1709 წლებში. აქ გამოიცა სასულიერო სახის წიგნები და სასწავლო სახელმძღვანელოები. 1712 წ. გამოიცა შ. რუსთაველის „*ვეფხისტყაოსანი*", ვახტანგ მეფის განმარტებებით და ბოლოსიტყვაობით, რამაც საფუძველი დაუდო მეცნიერულ რუსთველოლოგიას.

იურიდიული ლიტერატურა

ვახტანგ VI-ის მეთაურობით ჩამოყალიბდა 270 მუხლად „*აღწერილი განაწესნი*", ხალხის ენაზე — „*ვახტანგის კანონები*" (1705-1709). ამ კანონთა წიგნში ჩანს ქართველი ხალხის დიდი საკანონმდებლო გამოცდილება, იურიდიული ენის სიზუსტე, ტერმინოლოგიის მრავალფეროვნება, ადგილობრივ ზნე-ჩვეულებათა ხასიათი, ქვეყნის გარკვეული პროგრესი. მის შედგენაში მონაწილეობდნენ უწარჩინებულესი სამღვდელონი და ფეოდალები, ერისთავები ქსნისა და არაგვისა.

ვახტანგმა შეადგინა აგრეთვე სახელმწიფოს მმართველობის მოსაწესრიგებელი წიგნი „*დასტურლამალი*".

მხატვრული ლიტერატურა

მეფე არჩილის, ს.ს. ორბელიანის ლიტერატურული რეალისტური სკოლა დიდი მოვლენა იყო. არჩილის ლექსთა კრებული („*არჩილიანი*") შეიცავს კულტურულ-ისტორიული ინტერესის მქონე ნაწარმოებით „*მეფეთა*". ს. ორბელიანმა „*სიბრძნე-სიცრუისას*" შედგენის გარდა, ვახტანგთან ერთად სპარსული დედნიდან თარგმნა ძველი ინდოეთიდან გავრცელებული არაკთა წიგნი „*ჭაბუკისა და დამანა*". ლირიკულ პოეზიაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა ვახტანგ VI-მ, არჩილის უმცროსმა თანამეკალმემ. მის ლექსებში აღიბეჭდა ავტორის —

სამშობლოდან გადახვეწილი მეფის სულისკვეთება, პატრიოტული მისწრაფებანი, სევდა.

საისტორიო ეპოსს ეკუთვნის იოსებ ტლაშაძის „*ყათალიკოს ბაქარიანი*", სადაც აღწერილია კახეთისა და ქართლის საბედისწერო ურთიერთბრძოლა (1723-1724 წწ). საისტორიო ჟანრის ნაწარმოებია ფავლენიშვილის „*ვახტანგიანი*", იმავე პერიოდის ამბებს განეკუთვნება XVIII-ს II ნახევარში დაწერილი დავით *გურამიშვილის* პოემა „*ქართლის ჭირი*".

XVIII საუკუნის II ნახევარში ქართული მხატვრული ლიტერატურა გამდიდრდა პოეზიის ახალი ნიმუშებით. დავით გურამიშვილის (1705-1792) დიდ პოეტურ შემოქმედებას საპატიო ადგილი უჭირავს მრავალსაუკუნოვან ქართულ ლიტერატურაში. მის კალამს ეკუთვნის ლექსთა ძვირფასი კრებული „*დავითიანი*". ავტორის ნიჭიერება და უტყუარი ალღო ჩანს მის პოემაში „ქართლის ჭირი".

მამუკა ბარათაშვილის კალამს ეკუთვნის პოეტური ფორმების შესასწავლი წიგნი „*ჭაშნიკი*".

ბესიკი — ბესარიონ ზაქარიას ძე გაბაშვილი (1750-1791) თავისი დროის სახელმოხვეჭილი პოეტი იყო. 1777 წლიდან იგი ირიცხებოდა იმერეთის მეფის სოლომონ I-ის კარზე.

პოეტი საიათნოვა (დაახლ. 1712-1801) — განთქმული ამული, ტომით სომეხი, დაიბადა ქვემო ქართლში და აღიზარდა თბილისში, წერდა სომხურად, ქართულად და აზერბაიჯანულად.

ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

XVIII საუკუნეში ხელოვნებასაც ჰქონდა რამდენადმე საყურადღებო მიღწევები. XVIII ს ხუროთმოძღვრებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს საქართველოს კუთხეებში დაზიანებული შენობების აღსადგენად, ახლის შესაქმნელად. კერძოდ, აღდგენა-შეკეთება დასჭირდა მცხეთის სვეტიცხოველს, თბილისში — ციხე-გალავანს, სიონის ტაძარს, რასაც ზედვე მოწმობს ვახტანგის 1710 წლის წარწერა.

თბილისში როსტომის განთქმული სასახლის ახლოს ვახტანგ VI-მ აიშენა ძვირფასი სასახლე სპარსული სტილისა, რომელიც თურმე თურქებმა დააქციეს (1725 წ).

იმდროინდელი ხუროთმოძღვრების ნიმუშები არ არის ისე დიდებული და მოხდენილი, როგორც, მაგალითად, ადრეფეოდალური ხანის ან განვითარებული ფეოდალიზმის საუკუნეთა ძეგლები, მაგრამ მათ მაინც აქვთ დიდი მიმზიდველობა, ეტყობათ ქართველ ხელოვანთა შემოქმედებითი გამბედაობა, ახალი ფორმების ძიების უნარი.

თბილისი დამშვენებული იყო მდიდრული შენობებით. აქაურ სასახლეთაგან დღემდე შემორჩენილია ავლაბარში, ერეკლეს მეუღლის დარეჯან დედოფლის ციხე-კოშკი, რომელსაც „*საჩინო*“ ეწოდა (1776 წ). მას თან ახლავს კარის ეკლესია და სხვადასხვა ნაგებობანი. *ერეკლემ* თელავში ააშენა ციხე და სასახლე.

გამუდმებული ომიანობის ხანაში ხშირი იყო აღდგენითი სამუშაოები. თბილისში მნიშვნელოვანი მუშაობა იქნა ჩატარებული *დედაციხის, ნარიყალას* სიმაგრე-კოშკების აღსადგენად. აღადგინეს მეტეხი და მისი გალავანი (1748 წ).

თბილის-ბოლნისის გზაზე (XVIII ს) აგებული იქნა *ქოლაგირის ციხე*, სწორკუთხა გალავნითა და დიდი ბურჯებით. დუშეთთან არის დიდი ეკლესია, რომლის გალავანი აშენებულია 1746 წ.

1777 წ. აღადგინეს არაერთგზის დაზიანებული *ცაიშის ტაძარი* (სამეგრელოში), 1752 წ. რაჭის ერისთავმა როსტომმა სოფ. წესთან ააშენა *ბარაკონის* ტაძარი-ცენტრალურ-გუმბათოვანი ეკლესია თლილი ქვის პერანგით, მდიდრულად მოჩუქურთმებული.

მრავლად მოიპოვება აღნიშნული ხანის ნიმუშები ტრადიციული ოქრომჭედლობისა, ხატვისა, ქარგვისა — ოქრომჭედლების მიერ გამოსახული არიან, მაგალითად, იმერთა მეფე ალექსანდრე და მისი დედოფალი ქართულ სამოსელში (გელათის ხატზე). ოქრონაჭედი სახეებით შემკულია წიგნების ყდებიც (სახარება). სუფთა ნაქარგის ნიმუშებს წარმოადგენს კახეთის მეფის ერეკლე I-ის ასულის ელენეს ნახელავი — *გარდამოხსნა*. მხატვრების საუკეთესო ნახელავები გადარჩენილან, კერძოდ, ეკლესიებში; მხატვრული სურათებით, ჩარჩოებით, ვინიეტებით, მინიატურებით ამკობდნენ წიგნებს. ისინი გამოყენებული არიან ვახტანგის სტამბიდან გამოსულ წიგნებშიც. ყდებს ალამაზებდნენ ტყავზე გრავირებით.

⁂ ძირითადი ტერმინები და ცნებები ⁂

გენეალოგია
დასტურლამალი
დედაციხე
ვინიეტი
კალმასობა
კოსმოგრაფია
მინიატურა
პიიტიკა
პრაგმატოლოგია
საისტორიო ეპოსი
საჩინო
სიგელ-გუჯარი

⁂ კითხვები გამეორებისათვის ⁂

1. დაახასიათეთ სწავლა-განათლების სისტემა XVIII საუკ. საქართველოში.
2. როგორია ქართული მეცნიერების მიღწევები იმდროინდელ საქართველოში?
3. ისაუბრეთ იმ პერიოდის ქართული ლიტერატურის უდიდეს წარმომადგენელთა შემოქმედების შესახებ.
4. რით ხასიათდება აღნიშნული პერიოდის ქართული ხელოვნება?

⁂

„ვაქოთ, ვადიდოთ ვინაო? — ღმერთი მაღალთა შინაო,
ვინცა შეამკო ქვეყანა, ღამე დღედ გააბრწყინაო;
ზღვით, ხმელით, ხითურთ, ბალახით მთა-ბორცვი
აღმოფინაო,
ყოველი ნივთი — საგანი მაშიგან განაჩინაო;
ჩვენ, კაცი, მიწა და წყალი შეგვზილა, აღგვადგინაო,
მოგვცა სიბრძნე და დაგვიდგა ქმნული ყოველი წინაო.
ჩვენ გვმართებს მსხვერპლი შევსწიროთ — დავით
თქვა — იმისთვინაო.

დავით გურამიშვილი

⁂

თავი 26

საქართველოს კულტურა XIX საუკუნეში



ნიკოლოზ ბარათაშვილი



ილია ჭავჭავაძე



აკაკი წერეთელი



იაკობ გოგებაშვილი



ვაჟა-ფშაველა



თბილისის ოპერისა და
ბალეტის აკადემიური თეატრი

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან:
მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონებთ, რა
კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?“

ილია ჭავჭავაძე

XIX საუკუნეში საქართველოს კულტურული ცხოვრება რუსეთის იმპერიის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის ფონზე მიმდინარეობდა.

განათლება

მეფის მთავრობამ სავსებით უარყო ძველი ქართული სკოლები. 1804 წ. თბილისში გაიხსნა რუსული სკოლა, რომელიც 1830 წ. გიმნაზიად გადაკეთდა. თბილისში ამავე წელს გაიხსნა ქალთა პირველი სკოლა-პანსიონი, რომელიც 1840 წ. გადაკეთდა ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტად. სამაზრო სასწავლებლები გაიხსნა თბილისში, გორში, თელავში, სიღნაღში, ქუთაისსა და სამეგრელოში. 1850 წ. თბილისში მეორე გიმნაზიაც გაიხსნა, გიმნაზია დაარსდა ქუთაისშიც. მიუხედავად განათლების სისტემაში ცარიზმის თვითმპყრობელური პოლიტიკისა, სასკოლო ქსელის გაფართოებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის. გიმნაზიებში იზრდებოდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მომავალი მოღვაწეები.

1817 წ. თბილისში სასულიერო სემინარია გაიხსნა. აღნიშნული სასწავლებლები მაღალი წოდების წარმომადგენელთათვის იყო განკუთვნილი, მაგრამ გლეხობაც ახერხებდა დაწყებითი განათლების მიღებას სოფლის მასწავლებლებთან.

XIX ს. 40-იან წლებში ქართული წიგნის ბეჭდვას წინანდელთან შედარებით ფართო ასპარეზი გადაეშალა, თანდათან ვითარდებოდა საგანმანათლებლო მეცნიერული ლიტერატურა.

ქართველმა მოღვაწეებმა *ნ. ბარათაშვილმა, დ. ყიფიანმა, ვ. ორბელიანმა, ზ. ფალავანდიშვილმა* და სხვებმა საკუთარი თაოსნობითა და ხარჯით მოაწყვეს კერძო სავჯარო სამკითხველო. 1846-1850 წწ. კი თბილისში გაიხსნა სახელმწიფო სავჯარო ბიბლიოთეკა.

60-იანი წლების რეფორმების ხანაში გამრავლდა საშუალო სკოლების რიცხვი და დაბალი წოდების ბავშვებისთვისაც გაიხსნა დაწყებითი *„სახალხო სკოლები“*, საიდანაც 80-იან წლებში სავსებით განდევნეს დედა-ენა.

მიუხედავად იმისა, რომ მეფის თვითმპყრობელობა ხელს უშლიდა ქართველ ხალხში სწავლა-განათლების გავრცელებას, 90-იანი წლების ბოლოს წერა-კითხვის მცოდნეობის მხრივ საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი ეჭირა რუსეთის იმპერიაში.

XIX ს. II ნახევარში ქართველმა ხალხმა წარმოშვა გამოჩენილ პედაგოგთა მთელი თაობა: *იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, ილია წინამძღვრიშვილი, ზაქარია გულისაშვილი, ანთიმოზ ჯულელი, ლუარსაბ ბოცვაძე, ნიკო ჯანაშია, ალექსი ჭიჭინაძე, ივანე რისტომაშვილი* და მრავალი სხვა. ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილმა ჯერ კიდევ 30-40-იან წლებში წამოაყენეს უნივერსიტეტის გახსნის იდეა, შემდეგ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარშიც დიდი შრომა გაწიეს ამისათვის, მაგრამ მეფის მთავრობამ გადაჭრით თქვა უარი საქართველოში უნივერსიტეტის გახსნაზე.

მეცნიერება

XIX ს. 20-იან წლებში, საკმაოდ დიდი ხნით შეფერხების შემდეგ, რაც გამოწვეული იყო ბევრი მოღვაწის რუსეთში გადასახლებით, თბილისში *ს. დოდაშვილის* მეთაურობით კვლავ ჩაიდგა სული მეცნიერულმა მოღვაწეობამ. *სოლომონ დოდაშვილმა* (1805-1836) – 1827 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ-იურიდიული ფაკულტეტი. *სტუდენტობისას* დაამუშავა *„ფილოსოფიის კურსის“* პირველი ნაწილი *„ლოგიკა“*, რამაც უდიდესი მოწონების შედეგად მიიღო სახელმძღვანელოს სტატუსი და ისწავლებოდა რუსეთის რიგ უმაღლეს სასწავლებლებში. თბილისის გიმნაზიაში პედაგოგად მუშაობის პერიოდში სოლომონ დოდაშვილის დამუშავებული *„ქართული ენის გრამატიკა“* იქცა გიმნაზიების სახელმძღვანელოდ. 1832 წ. სოლომონ დოდაშვილის ინიციატივით გამოიცა პირველი ქართული ჟურნალი *„სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“*.

1832 წ. შეთქმულებასთან დაკავშირებით კვლავ ბევრი მამულიშვილი მოწყდა საშობლოს და პეტერბურგში გააგრძელა მოღვაწეობა. მათ შორის გამოირჩეოდნენ იოანე ბაგრატიონი (1772-1830) „კალმასობის“ ავტორი, მისი ძმა *დავითი* (1767-1819) „შემოკლებული ფიზიკის“ სახელმძღვანელოს ავტორი, *პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი* (1818-1876) – გმირი სარდლის პეტრე ბაგრატიონის ძმისწული, ავტორი ოქროს მოპოვება-გადამუშავების (ციანირების) ახალი წესისა, ახალი გალვანური ელემენტისა, აღმომჩენი მინერალ ორთიტის ახალი სახეობისა – რომელსაც 1845 წ. „ბაგრატიონიტა“ ეწოდა. აგრეთვე, თეიმურაზ ბაგრატიონი (1782-1846) – ისტორიკოსი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი.

ძ. ბროსეს, ზ. ფალავანდიშვილის და *დ. ჩუბინაშვილის* მიერ 1841 წ. გამოიცა *ვ. რუსთაველის* „ვეფხისტყაოსანი“ (II გამოცემა). 1845 წ. პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე დაარსდა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა, სადაც მოღვაწეობდა პროფესორი *დ. ჩუბინაშვილი* (1817-1891) – მან შეადგინა ქართულ-ფრანგული, ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები, 1846 წ. დაბეჭდა ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ხოლო 1855 წ. – ქართული ენის გრამატიკა, რუსულად.

XIX ს. II ნახევარში ქართული აზროვნება საგრძნობლად წასწია წინ ისეთი გამოჩენილი მწერლებისა და მოაზროვნეების პუბლიცისტურმა ნაშრომებმა, როგორიც იყვნენ: *ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ა. წერეთელი, ა. ფურცელაძე, ს. მესხი, რ. ერისთავი, ვაჟა-ფშაველა, ა. ყაზბეგი, ე. ნინოშვილი* და სხვები.

განსაკუთრებული წარმატებები იქნა მიღწეული საზოგადოებრივ მეცნიერებათა ისეთ დარგებში, როგორიცაა ფილოსოფია, ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა, ისტორიოგრაფია და ეთნოგრაფია. მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების მქონე ქართული ფილოსოფიური აზროვნება XIX ს. მეორე ნახევარში მნიშვნელოვან წარმატებას აღწევს *ი. ჭავჭავაძის, გ. წერეთლის* და *ნ. ნიკოლაძის* ნაშრომებში.

მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხების მეცნიერული შესწავლისათვის. თერგდალეულებმა, *ი. ჭავჭავაძის* მეთაურობით, ლიტერატურიდან განდევნეს ანტონ I-ისა და მისი მიმდევრების არქაული ენა, საერთოდ მეცნიერო საკითხებისადმი ინტერესი გაძლიერდა. ქართული ენისა და ლიტერატურის პრობლემათა დამუშავებას თვალსაჩინო ნაშრომები უძღვნეს *დავით ჩუბინაშვილმა, ალ. ცაგარელმა, ნიკო მარმა, აგრეთვე დ. ყიფიანმა, თ. ჟორდანიამ, მ. ჯანაშვილმა, ს. ბურდაძემ* და სხვებმა. საქართველოს ისტორიის საკითხების მეცნიერულ დამუშავებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის *დიმიტრი ბაქრაძეს* (1827-1890) და *მოსე ჯანაშვილს* (1855-1934), აგრეთვე *სულხან ბარათაშვილს, თედო ჟორდანიას, ალ. ყიფშიძეს, რაფიელ ერისთავს, ექვთიმე თაყაიშვილს, თედო სახოკიას* და სხვებს. საბუნებისმეტყველო მეცნიერების განვითარებაში მოღვაწეობდნენ: ფიზიკაში ივანე თარხნიშვილი (1846-1908) და ქიმიაში *ვასილ პეტრიაშვილი* (1845-1908) და *პეტრე მელიქიშვილი* (1850-1927). მიუხედავად ცარიზმის კოლონიური პოლიტიკით გამოწვეული უაღრესად მძიმე პირობებისა, ქართველმა ხალხმა შეძლო მე-19 ს. საგრძნობლად წინ წაეწია მეცნიერების და აზროვნების განვითარება.

იაკობ გოგებაშვილი (1840-1912 წ.) – ქართული პედაგოგიკისა და საბავშვო ლიტერატურის ფუძემდებელი, საზოგადო მოღვაწე, განმანათლებელი, პუბლიცისტი – XIX საუკუნის ქართველი მოწინავე საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენელია. 1876 წელს მან

გამოსცა თავისი უკვდავი „დედაენა“, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ქართული კულტურისა და განათლების ისტორიაში. მის მიერ შედგენილი „ძუნების კარი“, „Русское слово“ და სხვა წიგნები დიდხანს ემსახურებოდა და რამდენადმე შეცვლილი სახით დღესაც ემსახურება ქართველი ახალგაზრდობის სწავლებას.

დიდია იაკობის დამსახურება ქართული ხალხური შემოქმედების ნიმუშების შეგროვებასა და გამოცემაში. *ჰეტრე უმიკაშვილთან* ერთად მან ერთ-ერთმა პირველმა გადაალებინა ნოტებზე ქართული ხალხური სიმღერები, თავისი შესრულებით ჩააწერინა გრამფირფიტებზე „*ჯუთნური*“, „*ოროველა*“, „*ურმული*“ და სხვა.

ქართული პრესა

ქართული კულტურის აღმავლობის ერთ-ერთი მაჩვენებელი იყო XIX ს. მეორე ნახევარში პრესის სწრაფი განვითარება.

1852 წ. მწერალმა გიორგი ერისთავმა დააარსა იმ დროისათვის ერთადერთი ჟურნალი „*ცისკარი*“. 1863 წ. გამოვიდა ახალი თაობის მებრძოლი ჟურნალი „*საქართველოს მოამბე*“, რომელიც მძიმე ცენზურული პირობების გამო დაიხურა. 1866 წ. *თერგდალეულებმა* დააარსეს გაზეთი „*დროება*“, რომელიც 1885 წლამდე გამოდიოდა. 1871-1873 წწ. მას თან ერთვოდა სალიტერატურო ჟურნალი „*კრებული*“, რომელმაც დიდი როლი შეასრულა თერგდალეულთა იდეების გავრცელების საქმეში. 1869-1872 წ. გამოდიოდა ჟურნალი „*მწათობი*“, 1868-1880 წწ. თერგდალეულები უშვებდნენ „*საპოფლო გაზეთს*“.

1885 წ. თვითმპყრობელობამ დახურა გაზეთი „დროება“. ამის შემდეგ მოწინავე ქართველმა მოღვაწეებმა თავი მოიყარეს ი. ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიის“ გარშემო, რომელიც 1877 წელს დაარსდა. 1843 წ. დემოკრატიულ პრესას შეემატა გაზეთი „*კვალი*“ და გამოვიდა ჟურნალი „*მოამბე*“ (1894).

მთავრობის ოფიციალური ორგანო ამ დროს იყო გაზეთი „*კავკაზი*“ (1846 წ).

საერთო-დემოკრატიული ქართული პრესის განვითარებაში განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვით: *ი. ჭავჭავაძეს, გ. წერეთელს, ს. მესხს, ნ. ნიკოლაძეს, ა. წერეთელს, ი. მაჩაბელს, კ. ლორთქიფანიძეს, ა. ფუთკარაძეს* და სხვებს.

სწრაფად იზრდებოდა ქართული წიგნის გამოცემა. განსაკუთრებით ყურადღება ექცეოდა ქართული ანბანისა და სხვა სახელმძღვანელოების გამოცემას. მარტო 1868-1892 წწ. დაიბეჭდა 100 ქართული სახელმძღვანელო. დიდი იყო მოთხოვნილება მხატვრულ ლიტერატურაზე. დიდი ტირაჟით იბეჭდებოდა *ნ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლისა* და სხვათა ნაწარმოებები, აგრეთვე რუსეთისა და უცხოეთის მწერლების თხზულებათა თარგმანი. რამდენჯერმე დაიბეჭდა *შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“*. ხალხის წიგნისადმი სიყვარულის გაზრდას მოწმობს ის ფაქტიც, რომ ხალხური „*არსენას ლექსი*“ 1872-1892 წ. ოცდახუთჯერ გამოიცა.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

საქართველოში მეფის რუსეთის გაბატონების შედეგად ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებამ დიდი გავლენა მოახდინა ქართული ლიტერატურის განვითარებაზე.

XIX საუკუნის I ნახევარში ქართულ ლიტერატურაში *რომანტიზმი* გაბატონდა. იგი წარმოადგენდა შექმნილი მძიმე მდგომარეობით გამოწვეული უკმაყოფილების გამომსახველ მიმდინარეობას, რომელსაც ამავე დროს უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის პროგრესული იდეები ამოძრავებდა. რომანტიკოსთა შემოქმედებაში თავი იჩინა რეალისტურმა ტენდენციებმა და ყურადღებამ სოციალური პრობლემისადმი. ქართული რომანტიზმის მამამთავარია პოეტი *ალექსანდრე ჭავჭავაძე* (1786-1846). მისი მეორე დიდი წარმომადგენელია *გრ. ორბელიანი* (1804-1883 წ) — ქართული ლექსის თვალსაჩინო ოსტატი. პოეტმა *ნიკოლოზ ბარათაშვილმა* (1817-1845) ქართული რომანტიკული პოეზია უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა. მის პოეზიაში ერთი მხრივ მკაფიოდ მოჩანს ძიებისა და ბრძოლის მოტივები, ხოლო მეორე მხრივ — მწუხარება, სევდიანი კილო, რომელიც იმ დროის შავბნელი სამყაროს ანარეკლია.

XIX ს. 50-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში საფუძველი ჩაეყარა რეალიზმის განვითარებას, რაც *გიორგი ერისთავის* (1811-1864) შემოქმედებით დაიწყო. მის კომედიებში („*გაყრა*“, „*ძუნწი*“) აისახა ქართველი თავადაზნაურობის თანდათანობითი დეგრადაციის პროცესი და სავაჭრო კაპიტალის როლის ზრდა.

სოციალური უსამართლობის მოსპობისათვის ბრძოლას მიუძღვნა თავისი შემოქმედება ახალი ქართული რეალისტური პროზის ფუძემდებელმა *დანიელ ჭონკაძემ* (1830-1860). ამ შემოქმედების მეორე თვალსაჩინო წარმომადგენელია *ლავრენტი არდაზიანი* (1815-1870).

60-იანი წლებიდან იწყება *ქართული რეალისტური ლიტერატურის* ნამდვილი აყვავების ხანა. ამ დროს დაიწყეს თავიანთი შესანიშნავი მხატვრული ნაწარმოებების გამოქვეყნება ქართული ლიტერატურის კორიფეებმა *ილია ჭავჭავაძემ* (1837-1907) და *ა. წერეთელმა* (1840-1915). ილიას უკვდავი ლექსები, პოემები და

მოთხრობები — „ყვარლის მთებს“, „გუთნის დედა“, „ნანა“, „აჩრდილი“, „კაკო ყაჩაღი“, „განდეგილი“, „კაცია ადამიანი?!“, „გლახის ნაამბობი“, „ოთარაანთ ქვრივი“ და სხვა; აკაკის შესანიშნავი პოეტური და პროზაული ნაწარმოებები — „სალამური“, „ციცინათელა“, „განთიადი“, „ალმართ-ალმართ“, „გაზაფხული“, „ბაში-აჩუკი“, „თორნიკე ერისთავი“, „პატარა კახი“, „ნათელა“, „ხანჯალს“ და სხვები უდიდესი სიღრმითა და სიძლიერით აშუქებენ საქართველოს მაშინდელი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, გამოხატავენ ქართველი ხალხის სულისკვეთებას, მის აზრებს, ფიქრებსა და მისწრაფებებს.

XIX ს. II ნახევარში ილიასა და აკაკისთან ერთად ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდნენ გამოჩენილი ქართველი რეალისტი მწერლები: *პროზაიკოსი გიორგი წერეთელი* (1842-1900) და პოეტი *რაფიელ ერისთავი* (1824-1901).

80-90-იან წლებში ქართული ლიტერატურა ბრწყინვალე მხატვრული ნაწარმოებებით გაამდიდრეს დიდმა ქართველმა მწერლებმა *ვაჟა-ფშაველამ* (1861-1915) და *ალექსანდრე ყაზბეგმა* (1848-1893). ვაჟა-ფშაველას მრავალრიცხოვანი ლექსები და მოთხრობები, მისი უკვდავი პოემები *„გოგოთურ და აფშინა“*, *„ალუდა ქეთელაური“*, *„ბაბატრიონი“*, *„სტუმარ-მასპინძელი“*, *„გველის მჭამელი“* და სხვა ქართული ლიტერატურის ფასდაუდებელი განძია. ქართული პროზის განვითარებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა *ა. ყაზბეგის* შესანიშნავ მოთხრობებს და რომანებს, როგორიცაა *„ელგუჯა“*, *„ელისო“*, *„მამისმკვლელი“*, *„ხევისბერი გოჩა“*, *„მოძღვარი“* და სხვა.

70-80-იან წლებში ქართულ ლიტერატურაში თვალსაჩინო ადგილი დაიჭირეს ხალხოსნური მიმართულების მწერლებმა: *ეკატერინე გაბაშვილმა*, *ანტონ ფურცელაძემ*, *ნიკო ლომოურმა*, *ს. მგალობლიშვილმა* და სხვებმა. 90-იან წლებში სამწერლო ასპარეზზე გამოვიდნენ ნიჭიერი რეალისტი მწერლები: *ეგნატე ნინოშვილი*, *დავით კლდიაშვილი*, *იროდიონ ევდოშვილი*, *ვასილ ბარნოვი*, *შიო არაგვისპირელი*, *დუტუ მეგრელი*, საბავშვო მწერალი *შიო მღვიმელი* და სხვები.

სახვითი ხელოვნება ფეოდალური საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა თავისებური გავლენა მოახდინა ხელოვნებაზე.

XIX საუკუნის I ნახევარში თანდათან იდევნებოდა ქართულ ხელოვნებაში ძველად შემოჭრილი აღმოსავლურ-მაჰმადიანური

ელემენტები, რომლებიც აქა-იქ იჩენდა ხოლმე თავს ხუროთმოძღვრებასა და ხელნაწერთა მორთულობაში.

XIX ს. II ნახევარში საქართველოში შეიქმნა ახალი, ღრმად ეროვნული სახვითი ხელოვნება, რომელიც ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების მნიშვნელოვან საფეხურს წარმოადგენს. განსაკუთრებით თვალსაჩინო წარმატება დაეტყო ფერწერას.

40-იან წლებში გამოავლინა თავისი ნიჭი მხატვარმა *გრიგოლ მაისურაძემ* (1814-1885) — ყოფილმა ყმამ, რომელიც ალ. ჭავჭავაძემ ყმობისგან გაათავისუფლა. იგი 1837-1844 წწ. სწავლობდა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში. ცნობილია მისი ნამუშევრები რელიგიურ თემებზე და პორტრეტები.

ქართული სახვითი ხელოვნება განსაკუთრებით სწრაფად განვითარდა 80-იანი წლების დასაწყისიდან, როდესაც შემოქმედებით სარბიელზე გამოვიდნენ შესანიშნავი მხატვრები *რომანოზ გუგუნიანი* (1859-1884 წწ.) და *ალექსანდრე ბერძე* (1858-1917 წწ.).

ახალი ქართული რეალისტური ფერწერის ფუძემდებელი იყო გამოჩენილი მხატვარი *გივო გაბაშვილი* (1862-1936 წწ). აღსანიშნავია, აგრეთვე, *ალექსანდრე მრევლიშვილის* შემოქმედება (1866-1933 წწ.).

90-იანი წლების ბოლოს იწყებს მოღვაწეობას გამოჩენილი ქართველი მოქანდაკე *იაკობ ნიკოლაძე* (1876-1951), რომელიც ქართული რეალისტური ქანდაკების ფუძემდებელია.

საგრძნობი ცვლილება განიცადა არქიტექტურამ. საქალაქო მშენებლობაში შეა საუკუნეების დამახასიათებელი სტიქიურობის ნაცვლად, გეგმიანობა ინერგებოდა.

ქართული ხელოვნების მდიდარ ტრადიციებს ინარჩუნებდა გლეხობა. ისინი განაგრძობდნენ თავიანთი სახლების შემკობას სხვადასხვაგვარი ქართული ჩუქურთმებით.

თ ე ა ტ რ ი ქართველი მოღვაწეები გამუდმებით ცდილობდნენ XVIII ს. 90-იან წლებში მოშლილი მუდმივი ქართული თეატრის აღდგენას. XIX ს. *გ. ერისთავისა* და *ვ. ორბელიანის* თაოსნობით ითარგმნა და წარმოდგენილი იქნა *ა. გრიბოედოვის* ცნობილი პიესა *„ვაი ჭკუისაგან“*. თბილისში რუსული თეატრი დაფუძნდა.

1850 წ. 2 იანვარს თბილისის ქართული გიმნაზიის სცენაზე დაიდგა *გ. ერისთავის* კომედია *„ვაჟკრა“*, ჩამოყალიბდა მუდმივი დასი და 1851 წ. 1 იანვარს ქართული პროფესიული თეატრიც გაიხსნა. მალე აშკარა გახდა, რომ ქართული თეატრი დიდ როლს

შეასრულებდა სოციალური და კოლონიური ჩაგვრის ქვეშ მყოფი ხალხის გათვითცნობიერებისა და გამოფხიზლების საქმეში. ამიტომ ქართული თეატრი 1856 წ. მთავრობამ დახურა.

მისი განვითარების ახალი, მეტად ნაყოფიერი საფეხური იწყება 1879 წლიდან, როდესაც თბილისში *ი. ჭავჭავაძის* და *ა. წერეთლის* თაოსნობით მოწინავე ქართველ მოღვაწეთა ჯგუფმა მოახერხა პროფესიული დრამატული თეატრის ხელახლა აღდგენა. ერთი წლის შემდეგ დრამატული თეატრი დაარსდა ქუთაისშიც. ამ დროს ქართულ თეატრში მოღვაწეობდნენ გამოჩენილი მსახიობები და რეჟისორები: *ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, ნატო გაბუნია, მაკო საფაროვა-აბაშიძისა, კოტე ყიფიანი, კოტე მესხი, ვალერიან გუნია*. მათ თეატრალური ხელოვნება არნახულ სიმაღლეზე აიყვანეს.

80-90-იან წლებში ქართული თეატრის სცენა განმათავისუფლებელი იდეების პროპაგანდის ტრიბუნად გადაიქცა. დაიდგა *დ. ერისთავის „სამშობლო“* და *ა. ყუმბათაშვილ-აუჯანის „ლალატი“*, რომლებიც უშუალოდ ეხმაურებოდნენ ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლების იდეებს.

მ უ ს ი კ ა

ქართველმა ხალხმა თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე შექმნა უაღრესად მდიდარი, მრავალფეროვანი და ღამაზი მუსიკა. ქართული ხალხური მუსიკა სრულიად ორიგინალური და თვითმყოფადია. მისი დამახასიათებელი თავისებურებაა მრავალხმიანობა. თუ წინათ, ფეოდალიზმის ხანაში, ქართული პროფესიული მუსიკა მთლიანად სასულიერო ხასიათის იყო და უმთავრესად ეკლესიას ემსახურებოდა, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში საფუძველი ჩაეყარა ახალ, საერო პროფესიულ მუსიკალურ ხელოვნებას, რომელიც იზრდებოდა და ვითარდებოდა ხალხური მუსიკის საფუძველზე, რუსეთისა და ევროპის განვითარებული მუსიკალური კულტურის მოღვაწეთა მიღწევების ფართო გამოყენებით.

საქართველოს მუსიკალური ცხოვრება საგრძნობლად გამოცოცხლდა უკვე 50-60-იან წლებში. 1851 წ. თბილისში მოწვეული იქნა იტალიური დასი და გაიხსნა *საოპერო თეატრი*. იმავე დროს გაბლიეარდა ინტერესი ქართული ხალხური მუსიკისადმი. ქართული მუსიკალური კულტურის ერთ-ერთი პირველი გამოჩენილი მოღვაწე იყო ნიჭიერი მომღერალი *ბარლაამი საყვანელი* (1845-1890). მან 1873 წ. დააარსა საგუნდო კურსები, რომელიც შემდეგ გაფართოვდა და მუსიკალურ კურსებად იქცა, 1885 წ. კი გადაკეთდა ქართულ მუსიკალურ სასწავლებლად, რომლის საფუძველზეც შემდეგ შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო *კონსერვატორია*. იმ პერიოდის ცნობილი მოღვაწე იყო აგრეთვე პიანისტი და კომპოზიტორი *ელიოზ მიზანდარი*.

1885 წ. *ლადო აღნიაშვილმა* დააარსა ქართული ხალხური სიმღერების გუნდი, რომლის ხელმძღვანელად მიიწვია ჩეხი მუსიკოსი *ი. რატილი*. გუნდი მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, აწყობდა ეთნოგრაფიულ კონცერტებს. ამავე ხანებში სამოღვაწეო სარბიელზე გამოვიდა გამოჩენილი მუსიკოსებისა და კომპოზიტორების მთელი ჯგუფი: *ფილიმონ კორიძე, მელიტონ ბალანჩივაძე, ია კარგარეთელი, ანდრია ყარაშვილი, ზაქარია ჩხიკვაძე* და სხვები. ისინი აგროვებდნენ ხალხურ სიმღერებს, ეწეოდნენ ქართული მუსიკის პროპაგანდას, ამზადებდნენ და ზრდიდნენ მუსიკოსთა ახალ კადრებს. მათვე გადადგეს პირველი სერიოზული ნაბიჯები კომპოზიციის დარგში.

80-90-იან წლებში შეიქმნა და ფართოდ გავრცელდა ქართველ კომპოზიტორთა რომანსები, მომწიფდა პირობები საოპერო ხელოვნების განვითარებისათვის. 1897 წ. პეტერბურგში დაიდგა ნაწყვეტები *მ. ბალანჩივაძის* ოპერიდან *„თამარ ცბიერი“*, ეს იყო ქართული ოპერის შექმნის პირველი ცდა. *მ. ბალანჩივაძის* მიერ დაწყებული გზა განაგრძეს *ზაქარია ფალიაშვილმა* და *დიმიტრი არაყიშვილმა*, რომლებიც შემოქმედებით ასპარეზზე გამოვიდნენ XX საუკუნის დასაწყისში.

ძირითადი ტერმინები და ცნებები

ეთნოგრაფია
თერგდალეულები
კომპოზიცია
მრავალხმიანობა
ხალხოსნები
პანსიონი
რეალიზმი
რომანტიზმი
ციანირების მეთოდი

კითხვები გამეორებისათვის

1. დაახასიათეთ განათლების სისტემა XIX ს. საქართველოში.
2. ვინ იყვნენ XIX ს. დიდი ქართველი მეცნიერები?
3. ისაუბრეთ იმდროინდელი ქართული პრესის შესახებ.
4. დაახასიათეთ XIX ს. ძირითადი ლიტერატურული მიმდინარეობები. დაასახელეთ მათი წარმომადგენლები.
5. როგორ ჩაისახა პროფესიული ქართული თეატრი და ვინ იყვნენ მისი გამოჩენილი მოღვაწეები?
6. ვინ იდგნენ ქართული კლასიკური მუსიკის სათავეებთან? დაასახელეთ პირველი ქართული ოპერა.



თბილისი უნივერსიტეტი



ივანე ჯავახიშვილი



ზაქარია ფალიაშვილი



გალაკტიონ ტაბიძე



კოტე მარჯანიშვილი



სანდრო ახმეტელი



ნიკო ფიროსმანი



ლადო გუდიაშვილი



ელენე ახვლედიანი

XX საუკუნის ქართული კულტურა

განათლება და მეცნიერება

XX საუკუნის დასაწყისში ქართული კულტურის გავრცელება-განვითარებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენა იყო *„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“* (დაარსდა 1879) და *საქართველოს საეთნოგრაფიო და საისტორიო საზოგადოება*, რომელიც დაარსდა 1907 წ. *ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით.*

1918 წ. 8 თებერვალს თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაში გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი, რომლის დამფუძნებლები იყვნენ სახელგანთქმული ქართველი მეცნიერები: *ი. ჯავახიშვილი, პ. მელიქიშვილი, ი. ყიფშიძე, დ. უზნაძე, ე. თაყაიშვილი, გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, შ. ნუცუბიძე, კ. კეკელიძე* და აგრეთვე *ნ. ცხვედაძე.* პირველი რექტორი იყო პ. მელიქიშვილი. მათ დიდი ფინანსური დახმარება გაუწია ცნობილმა ქართველმა მეწარმემ და ქველმოქმედმა *დ. სარაჯიშვილმა.*

მომდევნო წლებში დაარსდა თბილისის სამხატვრო აკადემია (1922), კონსერვატორია (1924), პოლიტექნიკური ინსტიტუტი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, სამედიცინო ინსტიტუტი, თბილისის, გორის, ბათუმის, თელავისა და ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტები, ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, საქართველოს თეატრალური ინსტიტუტი და სხვა უმაღლესი სასწავლებლები.

მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების შემოქმედებით კონტაქტებს მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ვილნიუსის, ტარტუს, იენის და სხვ. ქალაქების უნივერსიტეტებთან.

ახალგაზრდობის აღზრდის მძლავრ ძალას წარმოადგენდა პრესა, რადიო, ტელევიზია, მასობრივი ბიბლიოთეკები, კლუბები, კულტურის სახლები, სასახლეები, მუზეუმები.

ფართო საქმიანობას აწარმოებდა პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება „ცოდნა“ (დაარსდა 1947 წ.).

ქართული უნივერსიტეტის შექმნამ ხელი შეუწყო საქართველოში მეცნიერების სწრაფ განვითარებას, დაარსდა მრავალრიცხოვანი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები და ექსპერიმენტული ლაბორატორიები.

გიორგი ნიკოლაძის (1888-1931 წ.) ხელმძღვანელობით თბილისში შეიქმნა საცდელი ელექტრომეტალურგიული ქარხანა-ლაბორატორია. აქ დაგროვილი მეცნიერულ-ტექნიკური მონაცემები საფუძვლად დაედო სსრკ-ში ერთ-ერთი პირველი მსხვილი მეტალურგიული საწარმოს — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის აშენებას. თბილისის მაგნიტური ობსერვატორია (1933), რომელიც უძველესთაგანია მსოფლიოში, შევიდა მაგნიტურ ობსერვატორიათა მსოფლიო ქსელში. 1932 წ. მთა ყანობილზე დაარსდა სსრკ-სა და ევროპაში პირველი სამთო ასტროფიზიკური ობსერვატორია — აბასთუმანში.

საყოველთაო აღიარება მოიპოვა ქართულმა მათემატიკურმა, ფსიქოლოგიურმა, ფიზიოლოგიურმა, ფილოსოფიურმა და სხვა სკოლებმა.

ქიმიის მეცნიერების დარგში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს გ. პეტრიაშვილმა და პ. მელიქიშვილმა. ფიზიოლოგიური მეცნიერების ჩასახვა და განვითარება საქართველოში დაკავშირებულია აკადემიკოს ი. ბერიტაშვილის სახელთან.

ქართული მათემატიკური სკოლის (შეიქმნა 1933 წ. ნ. მუსხელიშვილის თაოსნობით) მიღწევების საყოველთაო აღიარების მაჩვენებელია ისიც, რომ აკად. ნ. მუსხელიშვილს 1972 წ. მიენიჭა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის უმაღლესი ჯილდო — მ. ლომონოსოვის ოქროს მედალი.

უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოები მიენიჭა მრავალ ქართველ მოღვაწეს მეცნიერების სხვადასხვა დარგში გაწეული მუშაობისათვის.

განსაკუთრებით საყურადღებოა ქართველ მეცნიერთა მიღწევები მედიცინის სფეროში.

საქართველოში პირველად სსრკ-ში მოეწყო ბაქტერიოფაგის წარმოება.

სერიოზული ყურადღება ეთმობოდა ხალხური მედიცინის შესწავლას. მეცნიერულად შესწავლილი და გამოცემულია ძველი ქართული მედიცინის ძეგლები.

1927 წ. დაარსდა *სამეცნიერო-ფსიქოლოგიური საზოგადოება დ. უზნაძის* თავმჯდომარეობით. განწყობის ფსიქოლოგიის დარგში მიღებულმა შედეგებმა ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლას (ა. ფრანგიშვილი, ა. პოჭორიშვილი, რ. ნათაძე, ალ. ნორაკიძე და სხვები) ფართო საერთაშორისო აღიარება მოუპოვა.

ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარება დაკავშირებულა არ. მიქელაძის, პ. გუგუშვილის, ვ. მელქაძის, გ. ჩანტლაძის, გ. ჭანტურაძის სახელებთან.

ფართოდ გაიშალა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართული მეცნიერული ისტორიოგრაფიის ფუძემდებლის აკად. ივანე ჯავახიშვილის (1876-1940 წწ.) მოღვაწეობა, მან თავის სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში ფართოდ გამოიყენა მრავალი, ადრე ხელმიუწვდომელი ისტორიული წყარო, აღმოაჩინა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის იშვიათი ძეგლები და შექმნა ფუძემდებლური გამოკვლევები საქართველოს პოლიტიკური და სოციალური ისტორიის, ეკონომიკის, სამართლის, მუსიკის ისტორიის, ქართული ჰაგიოგრაფიის დარგებში.

საქართველოს ისტორიის და საერთოდ ქართველოლოგიის დარგში უდიდესი ღვაწლი შეიტანეს მეცნიერებმა სიმონ ჯანაშიამ, სიმონ ყაუხჩიშვილმა, ნიკო ბერძენიშვილმა, გ. ჩიტაიამ, გ. მელიქიშვილმა, ს. ჯიქიამ, ი. ცინცაძემ, პ. ზაქარაიამ და სხვებმა.

განსაკუთრებით განვითარდა არქეოლოგიური მეცნიერება. დიდ არქეოლოგიურ მუშაობას აწარმოებდნენ ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, გ. ჩუბინაშვილი, გ. ნიორაძე, ე. თაყაიშვილი, ო. ლორთქიფანიძე და სხვა მეცნიერები.

ფილოსოფიურ მეცნიერებათა განვითარებაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით: შ. ნუცუბიძეს, დ. უზნაძეს, ს. დანელიას, კ. ბაქრაძეს, შოთა გოგიბერიძეს, დ. გოგიელს და სხვებს.

ქართული ენათმეცნიერების სფეროში უდიდესია აკ. შანიძის, არნ. ჩიქობავას, გ. ახვლედიანის, ვ. თოფურიას, ქ. ლომთათიძის, ვ. ბერიძის, ს. ჯორბენაძის, ე. თოფურიას, ა. ჩიქობავას, გ. წერეთლის, ი. აბულაძის და სხვათა დამსახურებები.

ქართული ლიტერატურის განვითარების საკითხებს საყურადღებო ნაშრომები მიუძღვნეს ალ. ცაგარელმა, მ. ჯანაშვილმა, კ. კეკელიძემ, ა. შანიძემ, შ. ნუცუბიძემ, ა. ბარამიძემ, პ. ინგოროყვამ, ს. ყაუხჩიშვილმა, ვ. კოტეტიშვილმა, მ. ზანდუკელმა, გ. ჯიბლაძემ, ბ. ჯორბენაძემ, გ. ლებანიძემ, ს. დანელიამ, შ. რადიანმა და სხვებმა. ფართოდ გაიშალა სამეცნიერო მუშაობა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი და მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესასწავლად. მეცნიერულად დამუშავდა და გამოქვეყნდა ქართული ლიტერატურის თითქმის ყველა ძეგლი. განსაკუთრებული ინტენსივობით წარმოებდა რუსთაველოლოგიური კვლევა-ძიება. ქართველი მეცნიერების თაოსნობით 1966 წ. ჩატარდა უდიდესი მნიშვნელობის ეროვნული დღესასწაული მიძღვნილი შოთა რუსთაველის 800 წლისთავისადმი. ზეიმმა უჩვეულოდ ფართო საერთაშორისო მასშტაბი მიიღო. 1975 წ. რუსთა-

ველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა რუსთველოლოგიის განყოფილება.

დიდი ყურადღება ეთმობოდა ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შესწავლასა და გამოქვეყნებას (მ. ჩიქოვანი, ქ. სიხარულიძე და სხვ.).

პროფესორ *გ. წერეთლის* ხელმძღვანელობით შეიქმნა სემიტოლოგიის (არაბული, არამეული, ებრაული, აქადური ენები) ძლიერი სკოლა.

ქართული კულტურის შესახებ საუბრისას უნდა მოვიხსენიოთ *ექვთიმე თაყაიშვილის* (1863-1953 წწ.) დიდი ღვაწლი ქართველი ხალხის ეროვნული კულტურის ამაღლების, საქართველოს ისტორიული ცხოვრების წარმოჩენის, მისი განძეულის შეკრებისა და დაცვის დიდ მამულიშვილურ საქმეში. „ერის *მეხსიერებად*“ უწოდა მას კ. გამსახურდიამ, „ისტორიის მეცნიერების რაინდად“ იხსენიებს ნ. ბერძენიშვილი.

მწერლობა

XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, რომელიც წარმატებით ავითარებდა კლასიკური ლიტერატურის შესანიშნავ ტრადიციებს, თვალსაჩინო აღმავლობა განიცადა თითქმის ყველა ჟანრმა, თუ ჟანრის სახემ. ახალ სიმაღლეებს მიაღწია ეპოსმა, ლირიკამ, დრამამ, განსაკუთრებით განვითარდა ქართული რომანი, ნოველა, ლირიკის უანრობრივი სახეები.

ქართველი მწერლების ყურადღების გარეშე არ დარჩენილა ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი მხარე. თანამედროვეობის მძლავრი განცდა, შეუნელებელი ინტერესი სოციალურ-ეკონომიკური, ეროვნულ-ისტორიული, ეთიკურ-მორალური, ჰუმანურ-საკოცობრიო პრობლემებისადმი ნათლად აისახება XX საუკუნის უდიდესი ქართველი მწერლების *კ. გამსახურდიას, მ. ჯავახიშვილის, რ. გვეტაძის, კ. ლორთქიფანიძის, ლ. ქიაჩელის, ლ. გოთუას, ს. კლდიაშვილის, გ. ჩიქოვანის, გ. ლეონიძის* და სხვათა ნაწარმოებებში.

50-იან წლებში ახალი მხატვრული ხილვა მოიტანა ლიტერატურაში ქართველ პროზაიკოსთა ახალმა პლეადამ: *გ. რჩეულიშვილმა, ნ. დუმბაძემ, ო. თოსელიანმა, ა. სულაკაურმა, ო. ჭილაძემ, თ. ჭილაძემ, რ. ინანიშვილმა, ე. ყიფიანმა, ჭ. ამირეჯიბმა, ლ. მრელაშვილმა, გ. ფანჯიკიძემ, გ. გეგეშიძემ, რ. ჭეიშვილმა, მ. ელიოზიშვილმა* და სხვებმა. მათ ახალი სოციალური თუ ყოფითი თემებით გაამდიდრეს

თანამედროვე ქართული ლიტერატურა და ბევრი სიახლე შესძინეს მას რეალობის მხატვრული ათვისების თვალსაზრისით.

უდიდესი განვითარება ჰპოვა ქართულმა დრამატურგიამ *პ. კაკაბაძის, ს. კლდიაშვილის, ი. მოსაშვილის, მ. მრევლიშვილის, გ. გაბესკირიას, გ. შატბერაშვილის, კ. ბუაჩიძის, რ. თაბუკაშვილის, მ. ელიოზიშვილის, ლ. თაბუკაშვილის* და სხვათა შემოქმედებაში.

ახალი მოტივებით, მხატვრული ხერხებითა და გამოსახვის საშუალებებით გამდიდრდა საბავშვო მწერლობა. ფართო ხასიათი მიიღო მთარგმნელობითმა საქმიანობამ. დიდ წარმატებებს მიაღწია ლიტერატურამ, კრიტიკამ, საერთოდ – ლიტერატურათმცოდნეობამ.

პოეზია

მრავალფეროვანი და რთული იყო ქართული პოეზიის განვითარების გზა XX საუკუნეში. ეს პერიოდი ხასიათდება როგორც თემატურ-პრობლემური მრავალფეროვნებით, ასევე ახალი ძიებებით პოეტიკის სფეროში. საუკუნის დასაწყისში ქართული ლექსის რეფორმაცია ხორციელდება არა მარტო კრიტიკული რეალიზმის უშუალო გაგრძელების, არამედ მასში არარეალური (იმპრესიონისტული, სიმბოლისტური, ნეორომანტიკული) პოეტიკის მიღწევათა გამოყენების საშუალებითაც.

ნეორომანტიკულ სიმბოლიზმზე გადასვლის ტენდენციამ XX საუკუნის 20-იან წლებში ლიტერატურული სკოლის სახე მიიღო – („*ცისფერყანწელები*“ – *ტ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, პ. ნაშვილი* და სხვები). მიუხედავად სიმბოლისტური გატაცებისა, *ტ. ტაბიძის* (1895-1937 წ.) შემოქმედებაში აშკარაა კავშირი ქართული პოეზიის რომანტიკულ-პატრიოტულ და ჰუმანისტურ ტრადიციებთან, ქართულ ბუნებასთან, სიცოცხლისმოყვარე ქართველი კაცის სულთან.

ღრმა აზრი, უფაქიზესი განცდა და ვერ არსმენილი მუსიკა მოიტანა უახლეს ქართულ პოეზიაში ლექსის ჯადოქარმა – პოეზიის მეფემ – *გ. ტაბიძემ* (1891-1959). მან საბოლოოდ დაამკვიდრა თანამედროვე ქართული პოეტური კულტურა, ქართულ ლირიკას უნივერსალური მსოფლიო რეზონანსი მოუპოვა.

XX საუკუნის ქართული ლირიკა არის *გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანის* პერიოდი, მაგრამ ამავე დროს, ქართველი პოეტები: *ი. გრიშაშვილი, ა. აბაშელი, ი. აბაშიძე, ა. მირცხულავა, გ. აბაშიძე, გ. ქუჩიშვილი, კ. კალაძე, მ. მაჭავარიანი, შ. ნიშნიანიძე, ო. ჭილაძე, ა. სულაკაური, ჯ. ჩარკვიანი, ტ. ჭანტურია, მ. ქვლივიძე, მ. ფოცხიშვილი, მ. ლებანიძე, რ. აბაშიკელი, მ. კახიძე, ა. კალანდაძე* და

სხვანი თავიანთი შესანიშნავი შემოქმედებით განაპირობებდნენ თანამედროვე ქართული პოეტური ორკესტრის პოლიფონიას.

30-იანი წლების საბჭოური რეპრესიების მსახვრალი ხელი უმკაცრესად შეეხო საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენას, მაგრამ განსაკუთრებით შემოქმედებით ინტელიგენციას. სახელმწიფოსთვის ტროცკისტულ-ზინოვიევური ძირგამომთხრელი საქმიანობის ბრალდებით ბევრი მათგანი დახვრიტეს, ნაწილი გაასამხირეს. პოეტმა პაოლო იაშვილმა მწერალთა კავშირის სხვენში თავი მოიკლა; განსაკუთრებული სისასტიკით აწამეს და მოკლეს უნიჭიერესი დირიჟორი ე. მიქელაძე; რეჟორმატორი რეჟისორი ს. ახმეტელი, აგრეთვე მწერალი მ. ჯავახიშვილი; მხატვარი პ. ოცხელი; პოეტები ტ. ტაბიძე და ნ. მიწიშვილი; პროფესორი ვ. კოტეტიშვილი და სხვა მრავალი გამოჩენილი მოღვაწე. მოგვიანებით, როცა გაიხსნა საიდუმლო არქივები ბევრ საიდუმლოს აეხადა ფარდა და მოხდა მათი სათანადო რეაბილიტირება.

მ უ ს ი კ ა

XX საუკუნის ქართული მუსიკის აღორძინებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 1905 წ. დაარსებული *„ქართული ფილარმონიული საზოგადოების“* მოღვაწეობას.

XIX-XX სს. მიჯნაზე ქართული მუსიკის განვითარება ორი გზით მიმდინარეობდა: ხალხურ-ინდივიდუალური და საგუნდო მუსიკის აღიარებისა და აკადემიურ-ინდივიდუალური, საგუნდო და საოპერო ნაწარმოებების შექმნის გზით. 90-იანი წლებიდან ნაყოფიერად მუშაობდა ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელი რამდენიმე გუნდი *ს. ვასაძის, ა. მეგრელიძის*, შემდგომში – *ვ. სიმონიშვილის, დ. მაღალაშვილის, ე. და მ. თარხნიშვილების, ა. და ვ. ერქომაიშვილების, ლ. კავსაძის* და სხვათა ხელმძღვანელობით. ახალი ქართული მუსიკის თვალსაჩინო მიღწევას წარმოადგენდა *ნ. სულხანიშვილის* (1873-1919 წ.) საგუნდო სიმღერები.

მელიტონ ბალანჩივაძის შემდეგ რომანსის ჟანრს ავითარებდნენ *ი. კარგარეთელი, ა. ყარაშვილი, კ. ფოცხვერაშვილი*, მოგვიანებით – *ა. მაჭავარიანი, რ. გაბიჩვაძე, ა. ჩიმაკაძე, რ. ლალიძე, ს. მირიანაშვილი, ბ. კვერნაძე.*

ქართულ რომანსს გარკვეული ღვაწლი დასდო ზ. ფალიაშვილმა (1872-1933), მისი კლასიკური ნიმუშები შექმნა დ. არაყიშვილმა, მასვე ეკუთვნის პირველი ქართული სიმფონიური ნაწარმოები.

პირველი ქართული ოპერა *მ. ბალანჩივაძის „თამარ ცბიერი“* ფრაგმენტების სახით პირველად 1897 წ. დაიდგა პეტერბურგში.

ფუძემდებლური ქართული ოპერები შექმნა ზ. ფალიაშვილმა – *„აბესალომ და ეთერი“* (1919 წ.) – XX ს-ის ერთ-ერთი საოპერო შედევრი, *„დაისი“* (1923 წ.), *„ლატავრა“* (1928). სხვა უმნიშვნელოვანესი ოპერებია – დ. არაყიშვილის *„თქმულება შ. რუსთაველზე“* (1919), *ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“*.

ქართული ოპერები თანამედროვე თემებზე შექმნეს: *შ. თაქთაქიშვილმა, ი. ტუსკიამ, გ. კილაძემ, ი. გოკიელმა, ა. მაჭავარიანმა, ა. კერესელიძემ, დ. თორაძემ, შ. მშველიძემ, ა. ბუკიამ, ო. თაქთაქიშვილმა, რ. ლალიძემ* და სხვებმა.

1960 წ. *ნ. გივაურის* მიერ შეიქმნა საბჭოთა კავშირში პირველი სატელევიზიო ოპერა *„ვამპირდელი“*.

ინტენსიური განვითარება ჰპოვა ქართულმა ბალეტმა.

1936 წ. *ა. ბალანჩივაძემ* შექმნა პირველი ქართული გმირულ-რომანტიული ბალეტი *„მზეჭაბუკა“*, რომელიც ორი წლის შემდეგ გადაკეთდა *„მთების გულად“*. მთავარი პარტიის დამდგმელი და მთავარი როლის შემსრულებელი იყო *ვ. ჭაბუკიანი*. ქართული ბალეტი განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანა *გ. კილაძის* ბალეტ *„სიმფონიამ“* (1947) დადგმამ ვ. ჭაბუკიანის მიერ. მისი ძირითადი ღირებულება იყო ეროვნული ცეკვებისთვის დამახასიათებელი იღეთების კლასიკურ საბალეტო კომპოზიციებთან შერწყმის ახლებური გადაწყვეტა. ამ მხრივ აღსანიშნავია, აგრეთვე *დ. თორაძის* ბალეტი *„ვორდა“* (1949).

ქართული საბალეტო ხელოვნების ახალ საფეხურს წარმოადგენს *ა. მაჭავარიანის* ბალეტი *„ოტელო“* (1957) ვ. ჭაბუკიანის დადგმითა და მთავარი პარტიის შესრულებით, რომელიც ქართული ქორეოგრაფიის ტრიუმფად იქცა.

ეროვნული სიმფონიზმის ჩამოყალიბებამ XX ს. ქართული მუსიკა მაღალ პროფესიულ დონეზე აიყვანა. ქართული სიმფონიური მუსიკა და ვოკალურ-სიმფონიური ჟანრები მთელი თავისი სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით განვითარდა *ა. ბალანჩივაძის, ა. მაჭავარიანის, ო. თაქთაქიშვილის, შ. მშველიძის, რ. ლალიძის, ა. ჩიმაკაძის, ბ. კვერნაძის, ა. შავერზაშვილის, გ. ყანწელის* და სხვა ქართველი კომპოზიტორების შემოქმედებაში.

კამერული მუსიკის განვითარებაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის *ს. ცინცაძეს*.

60-იანი წლების პერიოდი ქართული ეროვნული მუსიკის ისტორიის თვისობრივად ახალი ეტაპია. იგი ხასიათდება ეროვნულ ტრადიციათა მრავალმხრივი განახლებით. ქართველმა

კომპოზიტორებმა ამ პერიოდში ყურადღება გაამახვილეს ეროვნული მუსიკის ძირითადი მოსამზადებელი წყაროს, ხალხური სასიმღერო შემოქმედების თვისებებზე (შუა საუკუნეების წიაღიდან სათუთად შემონახულ საგალობელთა სილრმეებზე, გურული პოლიფონიის ვირტუოზულ ბრწყინვალებაზე და სხვა). XX საუკუნის შუაწლებიდან იწყება საესტრადო სიმღერების ინტენსიური განვითარება. ალსანიშნავია, აგრეთვე *ა. მაჭავარიანის, ა. კერესელიძის, რ. ლალიძის, დ. თორაძის, ს. ცინცაძის, გ. ყანჩელის* სასიმღერო მუსიკის ნიმუშები შექმნილი ქართული კინოფილმებისათვის.

მუსიკალური კომედიის სფეროში განსაკუთრებული ღვაწლი მიძღვის *შ. მილორავას.*

არნახულ აღმავლობას განიცდის საშემსრულებლო ხელოვნება. ქართულ კულტურას მსოფლიოში გაუთქვა სახელი *სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა* (ნ. რამიშვილისა და ი. სუხიშვილის ხელმძღვანელობით), *ანსამბლებმა „რუსთავი“, „ერისთონი“* და სხვ. საერთაშორისო ასპარეზზე ქართულ კულტურას სახელი მოუხვეჭეს პიანისტებმა — *ე. ჟირსალაძემ, მ. მდივანმა, ე. ბოლქვაძემ,* მევიოლინეებმა: *მ. იაშვილმა, ლ. ისაკაძემ,* მომღერლებმა: *დ. ანდღულაძემ, დ. გაბრეკელმა, ზ. ანჯაფარიძემ, პ. ამირანაშვილმა, ლ. ჭყონიამ, ნ. ანდღულაძემ, ზ. სოტკილავამ, მ. ქასრაშვილმა, ც. ტატიშვილმა, პ. ბურჭულაძემ;* მოცეკვავეებმა: *ნ. ანანიაშვილმა, ი. ნიორაძემ, ნ. ცისკარიძემ* და სხვებმა.

თ ე ა ტ რ ი

XX ს. პირველ ოცწლეულში ქართული პროფესიული თეატრები არსებობდა თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში. ამ დროს თეატრს შეემატა მსახიობთა და რეჟისორთა ახალი თაობა: *ნ. გოცირიძე, ა. იმედაშვილი, შ. დადიანი, ნ. ჩხეიძე, ალ. წუწუნავა, მ. ქორელი, ე. ჩერქეზიშვილი.*

1921 წ. 25 ნოემბერს თბილისის ახალ სახელმწიფო დრამატულ თეატრს მიენიჭა *შ. რუსთაველის სახელი. სამხატვრო* ხელმძღვანელად მოწვეული იქნა *კ. მარჯანიშვილი.*

1922 წ. კ. მარჯანიშვილმა ქართულ თეატრში დადგა ლოპე დე ვეგას *„ცხვრის წყარო“*, შემდეგ — *გ. ერისთავის „ქაჯნა“, მოლიერის „ჟაჟნაურებული მდაბიო“, შექსპირის „ჰამლეტი“* და სხვა.

1926-1935 წწ. რუსთაველის სახელობის თეატრს ხელმძღვანელობდა *სანდრო ახმეტელი.* 1928 წ. კ. მარჯანიშვილმა ქუთაისში დააარსა თეატრი, 1930 წ. საქართველოს მეორე

სახელმწიფო თეატრი ქუთაისიდან თბილისში გადმოიტანეს. მას კ. მარჯანიშვილის გარდაცვალების შემდეგ მისი სახელი მიანიჭეს. 20-იანი წლების ბოლოს შეიქმნა ქართული და რუსული მოზარდ მაყურებელთა თეატრები და თოჯინების საბავშვო თეატრები.

შ. რუსთაველის სახ. დრამატულ თეატრში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ და მოღვაწეობენ ცნობილი რეჟისორები: *ალ. წუწუნავა, აკ. ფალავა, ს. ახმეტელი, დ. ალექსიძე, მ. თუმანიშვილი, რ. სტურუა, თ. ჩხეიძე* და სხვები; მსახიობები: *ა. ხორავა, ა. ვასაძე, თ. ჭავჭავაძე, გ. დავითაშვილი, ვ. ანჯაფარიძე, ც. წუწუნავა, უშ. ჩხეიძე, შ. დამბაშიძე, მ. გელოვანი, ალ. ყორღოლიანი, ემ. აფხაიძე, ე. მანჯგალაძე, გ. გეგეჭკორი, რ. ჩხიკვაძე, ს. ზაქარიაძე, მ. ჩაჩავა, ს. ყანჩელი, ზ. ქვერენჩხილაძე, ე. მალალაშვილი, გ. გეგეჭკორი, გ. სალარაძე, კ. კავსაძე* და სხვები.

მარჯანიშვილის თეატრში მოღვაწეობდნენ ცნობილი რეჟისორები: *ვ. ყუშიტაშვილი, ვ. ტაბლიაშვილი, თ. ჩხეიძე, მ. თუმანიშვილი, ა. ჩხარტიშვილი* და სხვები. მსახიობები: *ვ. ანჯაფარიძე, შ. დამბაშიძე, ა. გომელაური, ა. ყორღოლიანი, ა. კვანტალიანი, გ. შავგულიძე, ვ. გოძიაშვილი, ს. თაყაიშვილი, ვ. ნინუა, ე. ყიფშიძე, ს. ჭიაურელი, მ. ჯაფარიძე* და სხვები.

ქართული თეატრების სცენაზე წარმატებით იდგმებოდა ისეთი ცნობილი საზღვარგარეთული და ქართველი ავტორების ნაწარმოებები, როგორიცაა: *ეგრიპიდე, სოფოკლე, შილერი, შექსპირი, ლორკა, ბ. შოუ, ი. ჭავჭავაძე, ალ. ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა, დ. კლდიაშვილი, შ. დადიანი, კ. ლორთქიფანიძე, პ. კაკაბაძე, ლ. გოთუა, ვ. გაბესკირია, კ. გამსახურდია, კ. ბუაჩიძე, ნ. დუმბაძე* და სხვები.

70-იან წლებში შეიქმნა პანტომიმისა და მინიატურების თეატრები, კინომსახიობთა თეატრი, შემდეგ მარიონეტების თეატრი.

კინემატოგრაფია

2008 წელს ქართულ კინოს 100 წელი შეუსრულდა. 1908-1912 წწ. შეიქმნა რამდენიმე დოკუმენტური ფილმი, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1912 წ. პირველი ქართველი კინოოპერატორის *ვ. ამაშუკელის* მიერ გადაღებული *„აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“*. 1916-1918 წ. *ალ. წუწუნავამ* გადაიღო ფილმი *„ქრისტინე“*. ქართულ კინემატოგრაფიაში მოვიდნენ დიდი აქტიორული კულტურის მქონე მსახიობები და რეჟისორები: *ე. ჩერქეზიშვილი, ც. წუწუნავა, ალ. იმედაშვილი, შ. დადიანი, ვ. გუნია,*

ალ. წუწუნავა, კ. მარჯანიშვილი და სხვები. 1921 წ. განხორციელდა პირველი მხატვრული სრულმეტრაჟიანი ფილმის „არსენა გორგიაშვილის“ გადაღება.

1920-იან წლებში დაიწყეს მოღვაწეობა მ. ჭიაურელმა, ნ. შენგელაიამ, ს. დოლიძემ, ლ. ესაკიამ, დ. რონდელმა და სხვებმა.

საუკეთესო კინოსახეები შექმნეს ნ. ვაჩნაძემ, ვ. ანჯაფარიძემ, ა. ბორაევამ, ა. ვასაძემ, ალ. ცორტოლიანმა, ს. ზაქარიაძემ, შ. ღამბაშიძემ, ნ. ჩხეიძემ, თ. ციციშვილმა, უ. ჩხეიძემ, აკ. კვანტალიანმა, დ. წეროძემ, მ. გელოვანმა, ს. ბაღაშვილმა, ბ. კრავეიშვილმა, აკ. ხინთიბიძემ, ალ. ომიაძემ და სხვებმა.

სახელმწიფო (სტალინური) პრემიები დაიმსახურა ფილმებმა: „არსენა“, „დიადი განთიადი“ (რეჟ. მ. ჭიაურელი), „წარინდვის გელი“ (ნ. შენგელაია).

1943 წ. დამთავრდა მუშაობა ისტორიულ-გმირულ ეპოპეაზე „ცოორგი სააკაძე“. ფილმის დამდგმელ რეჟისორს მ. ჭიაურელს და მთავარი როლების შემსრულებლებს აკ. ბორაევასა და ვ. ანჯაფარიძეს სტალინური პრემია მიენიჭათ.

მეორე მსოფლიო ომის წლებში გაიშალა მებრძოლთა საგმირო საქმეების ამსახველი დოკუმენტურ-ქრონიკური ფილმების წარმოება, რაშიც დიდი როლი მიუძღვით ქართველ კინოდოკუმენტალისტებს. ამერიკის კინოაკადემიის პრემია „ოსკარი“ პირველად სსრკ-ში მიენიჭა თბილისელ ლ. ვარლამოვს ფირისათვის „გერმანელთა ჯარების განადგურება მოსკოვთან“.

50-იან წლებში დაიწყო ქართული კინემატოგრაფიის ახალი აღმავლობა. საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს ამ დროს გადაღებულმა ფილმებმა „საბუდარელი ჰაბუკი“, „სხვისი შვილები“ და სხვ.

ქართულ კინემატოგრაფიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს კლასიკური მხატვრული ლიტერატურული ნაწარმოებების ეკრანიზაციას. რეჟ. თ. აბულაძისა და რ. ჩხეიძის ფილმი „მგდანას ლურჯა“ საპატიო ჯილდოებითა და პრემიით დაჯილდოვდა ქ. კანში და ქ. ვინცერგში (1956) მოწყობილ კინოფესტივალზე.

ი. ქარჩხაძის საიუბილეო დღეებს მიეძღვნა ფილმი „ოთარაანთ ქვრივი“ (რეჟ. მ. ჭიაურელი 1957), რომელიც ვენეციის საერთაშორისო ტრადიციულ ფესტივალზე (1958) დაჯილდოებული იქნა საპატიო დიპლომით. ამ პერიოდის ეკრანიზებულ ნაწარმოებთა შორის გამოირჩევა „ბაში-აჩუკი“ (რეჟ. ლ. ესაკია 1957).

1960-იანი წლების მანძილზე ქართველ კინემატოგრაფისტებს შეემატა ახალი თაობა: მ. კოკოჩაშვილი, ო. იოსელიანი, თ. მელია, ვ. მიქელაძე, ნ. მგებრიშვილი, ლ. ლოლობერიძე, ე. და გ. შენგელაიები და სხვები.

60-70-იანი წლები მეტად უხვმოსავლიანი გამოდგა. საერთაშორისო კინოფესტივალებზე საპატიო ჯილდოები მოიპოვეს მხატვრულმა ფილმებმა: „სხვისი შვილები“, „ხმელი წიფელი“, „ჯარისკაცის მამა“, „ბევრი ბალადა“, „ქორწილი“, „ქოლგა“, „ფიროსმანი“, „ჯვრები“, „ნერგები“, „პირველი მერცხალი“.

საერთაშორისო და საკავშირო ფესტივალებზე არაერთი პრემია მოიპოვეს ქართველმა მსახიობებმა: ს. ზაქარიაძემ, რ. ჩხეიძემ, დ. აბაშიძემ, ვ. კაკაბაძემ, ს. ჭიაურელმა, ლ. აბაშიძემ და სხვებმა. განსაკუთრებულ მოვლენად იქცა თ. აბულაძის ფილმები „ჯვრები“, „ნატვრის ხე“ და „მონანიება“. ქართულ კინემატოგრაფიაში წარმატებით განხორციელდა მრავალი ქართველი მწერლის ნაწარმოებების ეკრანიზაცია.

ქართველი კინემატოგრაფისტების მიერ შეიქმნა მრავალი კომედიური ფილმი: „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „პირველი მერცხალი“, „შურგულები“ და სხვა. 70-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა პირველი ქართული მიუზიკლი „ყვირის უბნის მელოდიები“ (გ. შენგელაია, გ. ცაბაძე), რომელმაც არა ერთი ჯილდო დაიმსახურა. ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას აწარმოებდნენ ქართველი კინოდოკუმენტალისტები.

არაერთი მაღალმხატვრული ფილმია შექმნილი საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიაში, ბევრი მათგანი საერთაშორისო პრემიით აღინიშნა („სერენადა“, „ფეხბურთი“ და სხვა). დიდ წარმატებას მიაღწია ქართულმა მულტიპლიკაციამ, რომლის არაერთმა თვალსაჩინო ნიმუშმა მოიპოვა საერთაშორისო აღიარება.

საბვითი ხელოვნება

XX საუკუნის დასაწყისში ქართულ საბვით ხელოვნებას ავითარებდნენ წინა საუკუნის 80-90-იან წლებში მოღვაწე ცნობილი ქართველი მხატვრები — ა. ბერიძე, ნ. ფიროსმანაშვილი, გ. გაბაშვილი, ა. მრევლიშვილი, მ. თოიძე, ი. ნიკოლაძე და სხვები.

XX საუკუნის დასაწყისში მათ გვერდით ამოუდგნენ მხატვართა ახალი თაობის წარმომადგენლები, შემდგომში უდიდესი ქართველი მხატვრები დ. კაკაბაძე და ლ. გუდიაშვილი, რომლებიც განბანილნი

იყვნენ დასავლეთევროპული მხატვრობის ემბაზში, მაგრამ ევროპული მოდერნიზმი მათ შემოქმედებაში ძველქართული ფრესკული მხატვრობის ტრადიციებს უკავშირდებოდა.

იაკობ ნიკოლაძე – არის ქართული ქანდაკების მამამთავარი. იგი 1904-1910 წლებში პარიზში ცხოვრობდა და როდენის სახელოსნოში მუშაობდა. იქვე დაამთავრა მან ი. ჭავჭავაძის საფლავის ძეგლი *„მწუხარე საქართველო“*, რომელიც 1913 წ. დაიდგა. 30-იან წლების დასაწყისში საქართველოში განსაკუთრებით ვითარდება ფერწერის ისეთი ჟანრები, როგორიცაა პორტრეტი, პეიზაჟი, საყოფაცხოვრებო მხატვრობა. *უ. ჯაფარიძის* და *მ. თოიძის* იმდროინდელ ტილოებთან ერთად, აღსანიშნავია *ა. ციმაკურიძის, ვ. სიდამონ-ერისთავის, ე. ახვლედიანის, ქ. მალალაშვილის, კ. სანაძის* და სხვათა ნაწარმოებები.

ამ პერიოდში განსაკუთრებული განვითარება ჰპოვა ქართულმა გრაფიკამ. *ლ. გუდიაშვილი, ე. ახვლედიანი, ს. მაისაშვილი, თ. აბაკელია, დ. ქუთათელაძე, ლ. გრიგოლია, ვ. ქუთათელაძე, ს. ჯობულაძე, ი. თოიძე* ღირსშესანიშნავი ქმნილებებით ამდიდრებენ ჩვენს გრაფიკულ ხელოვნებას (წიგნის გაფორმება, ილუსტრაცია და დაზგური ფერწერა, მუშაობა ქართული მხატვრული შრიფტის შექმნაზე).

1937 წ. რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით გამოცხადებულ კონკურსზე პირველი პრემია დაიმსახურა *მ. მერაბიშვილის* მიერ შექმნილმა რუსთაველის ძეგლის ესკიზმა. აღსანიშნავია ქართული მონუმენტალისტების *თ. აბაკელიას, ვ. თოფურიძის, შ. მიქელაძისა* და სხვათა მოღვაწეობა.

50-იან წლებში იწყება ქართული საბჭოთა ჭედური ხელოვნების განვითარება – *გ. ოჩიაურის* შემოქმედებაში.

ფართო განვითარება ჰპოვა გამოყენებითი ხელოვნების საგნებმა, მათ შორის სამკაულებისა და დეკორატიული კერამიკის წარმოებამ.

60-70-იანი წლების ქართული სახვითი ხელოვნებისათვის დამახასიათებელია სწრაფვა მონუმენტურობისაკენ, საზეიმო განწყობილება, ადამიანის შემოქმედებითი ძალით შთაგონებული სიამაყის გრძნობა. პორტრეტის ჟანრში ღვაწლმოსილი მხატვრების გვერდით მუშაობდნენ *ზ. ნიჟარაძე, ა. ვარაზი* და სხვები.

დაზგურ ფერწერაში განზოგადებისადმი სწრაფვა ახასიათებს *გ. თოთიბაძეს, ზ. ნიჟარაძეს, ლ. ცუკიაშვილს* და სხვებს.

განზოგადების ამოცანამ დაზგური ფერწერა ლოგიკურად მიიყვანა *ტრიპტიქონის კომპოზიციის* ფართო გამოყენებასთან. ამგვარ

კომპოზიციას მიმართავს *ზ. ნიჟარაძე, რ. თორდია, კ. ივანტოვი* და სხვები. განსაკუთრებული განვითარება ჰპოვა მონუმენტურმა ფერწერამ (*უ. ჯაფარიძე, რ. სტურუა, ე. ბერძენიშვილი*). მოზაიკის ტექნიკას მიმართავს *ზ. წერეთელი*. განვითარების რთული და საინტერესო გზა განვლო თეატრალურ-დეკორატიულმა ხელოვნებამ. ამ დარგში წარმატებით მოღვაწეობდნენ ცნობილი მხატვრები: *პ. ოცხელი, ი. გამრეკელი, ე. ახვლედიანი, ს. ვირსალაძე, დ. კაკაბაძე, ფ. ლაპიაშვილი, ი. სუმბათაშვილი, თ. ლითანიშვილი*, მხატვართა სამეული: *ო. ჭოჩაკიძე, ა. სლოვინსკი, ი. ჩიკვაიძე*.

მ. ბერძენიშვილის, მ. მერაბიშვილის, ე. ამაშუკელის და სხვა გამოჩენილი ქართველი მოქანდაკეების ნამუშევრებთან ერთად ბოლო წლებში თბილისი დაამშვენა *ზ. წერეთლის* მიერ შესრულებულმა *წმ. გიორგის* უბადლო სკულპტურულმა ნამუშევარმა.

არქიტექტურა

XIX საუკუნის დასასრულიდან საქართველოში მცირე ხნით გავრცელებას იწყებს დასავლეთ ევროპაში იმ დროს შემუშავებული ხუროთმოძღვრული *„მოდერნის“* სტილი. XX საუკუნის დასაწყისში ხუროთმოძღვრებაში ისევ შეიმჩნევა ქართული ტრადიციების აღორძინება. ამის მაგალითია 1904-1910 წწ. აშენებული *ქაშუეთის ეკლესია*, რომელსაც საფუძვლად დაედო *სამთავისის* XI ს. ტაძრის ფორმა. ბევრ შემოქმედებით ელემენტს შეიცავს *ქართული ბანკის* (ამჟამად ეროვნული ბიბლიოთეკის) შენობა (1913-1916).

ქართული იერი შერჩა თბილისის, ქუთაისის, განსაკუთრებით – სიღნაღისა და თელავის საცხოვრებელ სახლებს.

განსაკუთრებული არქიტექტორული სამუშაოები გაჩაღდა თბილისში. საუკუნის პირველ ნახევარში თბილისელმა არქიტექტორებმა: *მ. შავიშვილმა, ა. ჭურჭიანმა, ნ. ჭურჭიანმა, გ. ლეჟავამ* და სხვებმა შექმნეს გრანდიოზული ნაგებობები – ადმინისტრაციული შენობები, ფაბრიკა-ქარხნები, თეატრები, კლუბები, ბიღები და სტადიონები.

ახალი ეპოქის მოთხოვნების პარალელურად ქართველი ხუროთმოძღვრები და არქიტექტორები ხშირად მიმართავდნენ ეროვნულ მემკვიდრეობას, ხალხური მონუმენტური ხუროთმოძღვრების ტრადიციებს, ცდილობდნენ კლასიკა შეეხამებინათ ქართული ხუროთმოძღვრული ხერხებისა და მოტივებისათვის. დიდი სამუშაოები

შესრულდა საქართველოს მთელი რიგი ქალაქების: სოხუმის, ბათუმის, ფოთის, ცხინვალის, ქუთაისის რეკონსტრუქციისთვის, კურორტების: გაგრის, ბიჭვინთის, ქობულეთის, ბორჯომ-ლიკანის, ბაკურიანის, წყალტუბოს განვითარებისათვის.

50-60-იანი წლებიდან საქართველოში ფართოდ გაიშალა საბინაო მშენებლობა ტიპური პროექტებით, მაგრამ, ამავდროულად საქართველოს არქიტექტურაში ახალ ნიადაგზე ვითარდებოდა ტრადიციული დეკორატიული მოტივებისა და ელემენტების გამოყენების ტენდენციაც. აღორძინება დაიწყო ჭედურობამ, ჭედური პანოები ფართოდ იქნა გამოყენებული *ქორწინების სახლის* (არქ. შ. ყავლაშვილი, რ. კიკნაძე 1965), *მუსიკალური კომედიის თეატრის ინტერიერში* (არქ. ო. ლითანიშვილი, თ. მაჭავარიანი 1965) და სხვა ნაგებობებში.

XX საუკუნის ქართული არქიტექტურის მნიშვნელოვანი ნაწარმოებებია *„დინამოს“* სტადიონი, *სპორტის სასახლე*, *საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია*, *საჰადრაკო კლუბის შენობა*, *რიტუალების სასახლე* და სხვები.

XX საუკუნის შენაძენად უნდა ჩაითვალოს *თბილისის მეტროპოლიტენი* (1965).

XX საუკუნის ქართული არქიტექტურისა და საერთოდ ქართული ხელოვნების გვირგვინს წარმოადგენს *წმინდა სამების ტაძარი*, რომელიც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის თაოსნობით აშენდა თბილისში *წმ.* ილია *წინასწარმეტყველის მთაზე* მაცხოვრის შობის 2000 და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის 1500 წლისთავთან დაკავშირებით.

წმ. სამების ტაძარი ყველაზე მაღალია ქართულ ტაძრებს შორის. პირველად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ქართული ეკლესია ოქროსფრად გაბრწყინდა. ჩვენს ქალაქს და სრულიად საქართველოს წმინდა სამების საკათედრო ტაძრის გუმბათი მოჰფენს ნათელს.

ძირითადი ტერმინები და ცნებები

ასტროფიზიკური ობსერვატორია
ბაქტერიოფაგი
გრაფიკა
დრამა
ეპოსი
იმპრესიონიზმი
ნატურმორტი
ნეორომანტიზმი
პეიზაჟი
პოლიფონია
პანტომიმა
სიმბოლიზმი

„მოდერნის“ სტილი
მიუზიკლი
სიმფონიზმი
სტრიპტიქონის კომპოზიცია

კითხვები გამეორებისათვის

1. დაახასიათეთ XX საუკუნის ქართული განათლებისა და მეცნიერების მიღწევები.
2. რა ტენდენციები აღინიშნება XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში?
3. მუსიკალური ხელოვნების რომელმა ჟანრმა განიცადა განსაკუთრებული განვითარება XX საუკუნის საქართველოში?
4. ვინ იყვნენ XX საუკუნის ქართული თეატრის კორიფეები?
5. ქართული კინემატოგრაფიის რომელმა ნაწარმოებებმა მოიპოვეს განსაკუთრებული მსოფლიო აღიარება?
6. რა ტენდენციებია დამახასიათებელი XX საუკუნის ქართული არქიტექტურისთვის?



თბილისის ზედი, ცენტრში სამების საკათედრო ტაძარი

☙ რეკომენდებული ლიტერატურა ❧

ალპატოვი მ.ვ. და სხვ. ხელოვნება. საკითხავი წიგნი. ფერწერა, ქანდაკება, გრაფიკა, არქიტექტურა – მ.; განათლება, 1969.

ბალაკინა ტ.ნ. რუსული კულტურის ისტორია. – მ.: საგამომცემლო ცენტრი, 1996.

ბალეტი. ენციკლოპედია – მ.: საბჭოთა ენციკლოპედია, 1981.

ბიდერმანი გ. სიმბოლოების ენციკლოპედია: თარგმნ. გერ. – მ.: რესპუბლიკა 1996.

ბონარი ა. ბერძნული ცივილიზაცია – მ.: ხელოვნება, 1992.

ბონარი ა. ძველი რომის კულტურა – მ.: მეცნიერება, 1985. ტ. 1.

ბუდიზმი: ლექსიკონი. – მ.: რესპუბლიკა, 1992.

კულტუროლოგიის შესავალი. / ე.ვ. პოპოვას რედ., – მ.: ვლადოსი, 1995.

ტერმინოლოგიის ლექსიკონი. ტ.ხ. სტაროდუბის რედ., – მ.: ელის ლაკი 1997.

მსოფლიო ისტორია. 13 ტ. – მ.: სახელმწიფოპოლიტგამი. 1995-1983.

ვინოგრადოვა ნ.ა., კაპტერევა პ., სტაროდუბი ტ.ხ. აღმოსავლეთის ტრადიციული ხელოვნება.

გრიბუნინა ნ.გ. მსოფლიოს მხატვრული კულტურის ისტორია. 4 ნ. – ტვერი, 1993.

დმიტრიევა ნ.ა. ხელოვნების მოკლე ისტორია. გამოც. I-IV – მ., 1993.

ერასოვი ბ.ს. სოციალური კულტუროლოგია. 2 ნ. – მ., ასპექტ პრესს, 1994.

ზეზინა მ.რ., კომშმანი ლ.ვ., შულვინი ვ.ს. რუსული კულტურის ისტორია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის. – მ., უმაღლესი სკოლა, 1990.

ილინა ტ.ვ. ხელოვნების ისტორია. სამამულო ხელოვნება. – მ.: უმაღლესი სკოლა, 1994.

ილინა ტ.ვ. ხელოვნების ისტორია. დასავლეთ ევროპის ხელოვნება. – მ., უმაღლესი სკოლა, 1993.

ჩინეთის ისტორია და კულტურა – მ., მეცნიერება, 1976.

კერტმანი ლ.ე. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების კულტურის ისტორია – მ., 1987.

კინო. ენციკლოპედიური ლექსიკონი – მ., საბჭოთა ენციკლოპედია, 1986.

კონფუციზმი ჩინეთში. თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები – მ., მეცნიერება, 1982.

ფილოსოფიის მოკლე ენციკლოპედია. – მ., პროგრესი, 1994.

ქუკარკინი ა.ვ. ბურჟუაზიული მასობრივი კულტურა – მ., პოლიტიზდატი, 1978.

კულაკოვი ა.ვ. მსოფლიოს რელიგიები – მ., ასტ, 1996.

ალმოსავლეთის ხალხთა კულტურა. ძველი ბაბილონის კულტურა. – მ., მეცნიერება, 1988.

კულტუროლოგია. მსოფლიო კულტურის ისტორია. / ა.ნ. მარკოვას რედაქციით. – მ.; ЮНИТИ, 1998.

კულტუროლოგია / შემდ. და პასუხისმგებელი რედ. ა.ა. რადუგინი. – მ.; ცენტრი, 1996.

ლუბიმოვი ლ. ძველი მსოფლიოს ხელოვნება – მ.; განათლება, 1971.

ხელოვნების მოკლე ისტორია – მ., ხელოვნება, 1978.

მაძონტოვი ს. კულტუროლოგიის საფუძვლები. – მ.; 1994.

მატიე მ.ე. ძველი ეგვიპტის ხელოვნება. – მ.; ხელოვნება, 1970.

მილიუკოვი პ.ნ. რუსული კულტურის ისტორიის ნარკვევები. ტ. 1. – მ.; კულტურა, 1993.

მსოფლიოს ხალხთა მითები. ენციკლოპედია. 2 ტ. – მ.; რუსეთის დიდი ენციკლოპედია, 1997 წ.

მოკიკო ი.ვ. 37 საოცრებიდან 7. მე-2 გამოც. – მ.; მეცნიერება 1983.

მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი. – მ.; საბჭოთა ენციკლოპედია, 1990.

პავლოვსკი ა.ი. ბიბლიის პოპულარული ლექსიკონი. – მ.; 1994.

პოპულარული მხატვრული ენციკლოპედია. 2 ტ. – მ.; საბჭოთა მხატვარი, 1986.

სკვორცოვა ე.მ. კულტურის თეორია და ისტორია. – მ.; ЮНИТИ, 1999.

ხელოვნების ლექსიკონი: ინგლ. თარგმ. – მ.; საგარსიგმა, 1996.

სოროკინი პ.ა. ადამიანი. ცივილიზაცია. საზოგადოება. – მ.; 1992.

თეატრალური ენციკლოპედია. 5 ტ. – მ; საბჭოთა ენციკლოპედია, 1961-1967.

ტიაჟელოვი ვ.ნ. შუა საუკუნეების კულტურა. – მ.; სახვითი ხელოვნება, 1993.

უდალცოვა ე.ვ. ბიზანტიური კულტურა. – მ.; სსრკ მეცნ. აკადემია, 1988.

ჭოლლი დ. ხელოვნებაში სიუჟეტებისა და სიმბოლოების ლექსიკონი. თარგმნ. ინგლ. – მ.; 1996.

ქრისტიანობა. ლექსიკონი. – მ.; რესპუბლიკა, 1994.

☙ რეკომენდებული ლიტერატურა ქართული კულტუროლოგიისათვის ❧

აფაქიძე ა. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. წიგნი I. თბ. 1963 წ.

ამირანაშვილი შ. საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამეზეიმო განძეულობა და მისი დაბრუნება. თბ. 1968 წ.

ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორია. ტომი I და II. თბ., 1958-1962 წ.

ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტომი I-V.

ბარამიძე ა. შოთა რუსთაველი და მისი პოემა. თბ. 1966 წ.

ბერიძე ვ. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. თბ. 1974 წ.

ბერიძე ვ. სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები. თბ. 1970 წ.

ბერიძე ე. ადრექრისტიანული ხანის ქართული ხუროთმოძღვრება. თბ. 1971 წ.

ბერიძე ვ. ქართული ხუროთმოძღვრება 1865-1921 წწ. თბ. 1967 წ.

ბიზანტიური მწერლობის ცნობები საქართველოს შესახებ. თბ. 1952 წ.

გელოვანი ა. მითოლოგიური ლექსიკონი. თბ. 1983 წ.

გვრიტიშვილი დ., მესხია შ. თბილისის ისტორია. თბ. 1952 წ.

გრძელიშვილი ი., ტყეშელაშვილი ო. თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები. თბ. 1961 წ.

გუგუნავა ალ. მოგზაურობა ისტორიულ სამხრეთ საქართველოში. თბ. 1996 წ.

ზაქარაია ჯ. ქართული ციხე-ქალაქები, ციხე-სიმაგრეები, ციხე-დარბაზები, ციხე-გალავნები, კოშკები. თბ. 2001 წ.

ინგოროყვა პ. ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელნი ნ. ბარათაშვილი, იჭავჭავაძე, ა. წერეთელი. თბ. 1973 წ.

კეკელიძე კ., ბარამიძე ა. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. თბ. 1969 წ.

კოკანძე ზ. ქართულ მითოლოგიურ გადმოცემათა სისტემა. თსუ 1985 წ.

თბილისის ისტორია ტომი I. მეცნიერება 1990 წ.

ლომოური ნ. ეგრისის სამეფოს ისტორია. თბ. 1968 წ.

ლორთქიფანიძე ო. არგონავტიკა და ძველი კოლხეთი. თბ. 1986 წ.

მენაბდე ლ. ქართული კულტურის კერა ათონზე. თბ. 1982 წ.

მეტრეველი ე. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის. თბ. 1962 წ.

ნუცუბიძე შ. ქართული ფილოსოფიის ისტორია. ტომი I, თბ. 1956 წ.

ნოქალაქევი-არქეოპოლისი. არქეოლოგიური გათხრები 1978-1982 წ. თბ. 1987 წ.

ჟორდანია გ. დაბრუნებული საუნჯე. თბ 1983 წ.

რადიანი შ. XX საუკუნის ქართული ლიტერატურა. თბ. 1959 წ.

სურგულაძე ა. ექვთიმე თაყაიშვილი. თბ. 1977 წ.

საბჭოთა საქართველოს თეატრალური ხელოვნების ღირსშესანიშნავი თარიღები. თბ. 1946 წ.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები. I-VIII ტომი. თბ. 1980 წ.

ფილმოგრაფია. თბ. 1978 წ.

ქართული მითოლოგია. თბ. 1992 წ.

შანიძე ა. ქართველთა მონასტერი ბულგარეთში. თბ. 1971 წ.

ჩუბინაშვილი გ. ქართული ხელოვნება. თბ. 1936 წ.

ჩუბინაშვილი გ. ქართული ოქროშჭედლობა. თბ. 1958 წ.

ცისკიშვილი ი. ქართული არქიტექტურის ისტორია. თბ. 1955 წ.

ცინცაძე ვ. ბაგრატის ტაძარი. თბ. 1964 წ.

წერეთელი გ. უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან. თბ. 1960 წ.

ჭილაია ს. ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზა. თბ. 1959 წ.

ჯიბლაძე გ. ეტიუდები. წიგნი III. თბ. 1959 წ.

ჯორბენაძე ს. ცხოვრება და ღვაწლი ივ. ჯავახიშვილისა. თბ. 1981 წ.

ჯავახიშვილი ივ. ქართული სამართლის ისტორია. ტომი II, თბ. 1928 წ.

ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, ტომი I-II, თბ. 1965 წ.

Шервашидзе Л .А. К вопросу о средневековой Грузинской светской миниатюре. Тб. 1964 г.

Чубинашвили Г. Грузинское чеканное искусство. Тб. 1959 г.

Лосев А. Ф. Эстетика Возрождения. М. 1978 г.

☙ ძირითადი ქრონოლოგიური თარიღები ❧

პირველყოფილი საზოგადოება

ქვის ხანა — 2 მლნ.-ზე მეტი წლის წინ – ჩვ.წ.აღ.-მდე IV ათასწლეული
სპილენძის ხანა (ენეოლითი) — ჩვ.წ.აღ.-მდე IV ათასწ. – ჩვ.წ.აღ.-მდე II ათასწლ.
ბრინჯაოს ხანა (ეპოქა) — ჩვ.წ.აღ.-მდე II ათასწ. – ჩვ.წ.აღ.-მდე I ათასწლ.
რკინის ხანა (ეპოქა) — ჩვ.წ.აღ. I ათასწ. შუა

ძველი მსოფლიო

ძველი აღმოსავლეთი

ძველი მესოპოტამია (შუამდინარეთი) — *ჩვ.წ.აღ.-მდე IV ათასწ. – ახ.წ.-ის ზღვარზე*
ძველი ეგვიპტე — *ჩვ.წ.აღ.-მდე IV– III ათასწ. – ახ.წ.-მდე ზღვარზე*
ძველი ინდოეთი — *ჩვ.წ.აღ.-მდე III ათასწ. – ახ.წ.-ის ზღვარზე*
ძველი ჩინეთი — *ჩვ.წ.აღ. II ათასწ. – ახ.წ.-ის ზღვარზე*

ანტიკური სახელმწიფოები

ძველი საბერძნეთი — *II ათასწ. ჩვ.წ.აღ.-მდე – ჩვ.წ.აღ.-ის IV სკ.*
ელინური სახელმწიფოები — *ჩვ.წ.აღ.-მდე IV – I საუკუნეები*
ძველი რომი — *ჩვ.წ.აღ.-მდე VIII სკ. – V სკ. ჩვ.წ.-მდე*

სლავური სიძველე (V – IX საუკუნეები)
შუა საუკუნეები (V საუკუნიდან – XVII საუკუნის შუამდე)

ადრეული — *V – X საუკუნეები*
კლასიკური — *XI – XV საუკუნეები*
გვიანი — *XV – XVII საუკუნეები*

აღორძინების ეპოქა — XIV – XVI სს. (კლასიკურსა და გვიანი შუა საუკუნეების ჩარჩოში)

ადრეული — *XIV – XV საუკუნეები*
მკვიდრი — *XV – XVI საუკუნეები*
გვიანი — *XVI ს. 40-იანი წლ.-XVII სკ.-ის პირველი წლები*

ახალი დრო (XVII საუკუნის შუა – XIX ს.)

განმანათლებლობის ეპოქა 1689 – 1789

უახლესი დრო (XX სკ. – დღევანდლამდე)

სარჩევი

მკითხველისადმი 5
თავი 1. კულტუროლოგია: საგანი, არსი, ძირითადი ფუნქციები 8
თავი 2. პირველყოფილი ეპოქის კულტურა 18
თავი 3. ძველი აღმოსავლეთის კულტურა 28
ძველი ეგვიპტის კულტურა 29
ძველი მესოპოტამიის (შუამდინარეთის) კულტურა 36
ძველი ინდოეთის კულტურა 46
ძველი ჩინეთის კულტურა 55
თავი 4. ძველი საბერძნეთის კულტურა 66
თავი 5. ძველი რომის კულტურა 91
თავი 6. ძველი სლავების კულტურა. კიევის რუსეთის კულტურა. რუსეთის მიწების კულტურა 106
თავი 7. რუსეთის კულტურა XIV-XVII სს. 132
თავი 8. შუა საუკუნეების ევროპის კულტურა 157
თავი 9. აღორძინების ეპოქის კულტურა 173
თავი 10. ევროპის კულტურა XVII სკ. 189
თავი 11 განმანათლებლობის ეპოქის კულტურა 206
თავი 12. რუსეთის კულტურა XVIII საუკუნეში 226
თავი 13. ევროპის კულტურა XIX საუკუნეში 241
თავი 14. XIX–XX საუკუნის დასაწყისის რუსეთის კულტურა .. 265
თავი 15. მეცნიერება და კულტურა 297
თავი 16. კულტურა და რელიგია 320
თავი 17. XX საუკუნის ევროპის კულტურა 340
თავი 18. სსრკ-სა და პოსტსაბჭოური პერიოდის რუსეთის კულტურა 362
თავი 19. XX საუკუნის კულტუროლოგიურ კონცეფციათა მიმოხილვა 390
თავი 20. ქართული კულტუროლოგია. ქართული კულტურა უძველესი დროიდან ქრისტიანობის ხანამდე 400
თავი 21. IV-X საუკუნეების ქრისტიანული ქართული კულტურა 413
თავი 22. XI-XII საუკუნეები – საქართველოში კულტურული ცხოვრების აღორძინების ხანა 428
თავი 23. ქართული კულტურა XIII-XV საუკუნეებში 445
თავი 24. XVI-XVII საუკუნეების საქართველოს კულტურული ვითარება - აღორძინების ეპოქა 452
თავი 25. ქართული კულტურა XVIII საუკუნეში 459
თავი 26. საქართველოს კულტურა XIX საუკუნეში 466
თავი 27. XX საუკუნის ქართული კულტურა 476
რეკომენდებული ლიტერატურა 492
ძირითადი ქრონოლოგიური თარიღები 496



ქვაზე
აგესანდრე, აფინოდორი, პოლიდორი
ლაოკოონი და მისი ვაჟები ჩვ.წ.აღ.-მდე I ს.ს. (ვატიკანი)

ლაოკოონი – ტროელი ქურუმი, რომელიც ღმერთების ნებასურვილის საწინააღმდეგოდ ცდილობდა გადაერჩინა ტროა. ერთხელ ტროელებმა დაინახეს, რომ აქაველებმა, რომლებსაც ალყა ჰქონდათ შემორტყმული მათი ქალაქისათვის, მიატოვეს იქაურობა და დატოვეს მხოლოდ ვეებერთელა ხის ცხენი. ლაოკოონმა გააფრთხილა თანაქალაქელნი, რომ მისი ქალაქში შეტანა არ შეიძლება. მასში ისხდნენ აქაველელი მზვერავები. მან ცხენს გვერდში შუბიც კი შეურჭო, რაც კინაღამ გამოედო შიგ მჯდომი მებრძოლის თავს. ღმერთებმა ზღვით გამოაგზავნეს ორი ვეებერთელა გველი. მათ სასიკვდილოდ დაგესლეს ლაოკოონი და გაგუდეს მისი ვაჟები.

კულტუროლოგია

გამომცემლობა **„სამართლიანი საქართველო“**
მისამართი: ქ. თბილისი 0177, ვაჟა-ფშაველას გამზ. №45
ტელეფონი: 42-12-07 / 42-12-08

მთავარი რედაქტორი **ნოდარ ერიაშვილი**
რედაქტორები: **სერგო ბარამიძე**
მანანა სულხანიშვილი
მენეჯერი: **ანა კლდეისელი** 8(93) 28-00-29

გამომცემლობა „იუნიტი-დანა“
გენერალური დირექტორი **ვ. ნ. ზაქაიძე**

КУЛЬТУРОЛОГИЯ

ИЗДАТЕЛЬСТВО «СПРАВЕДЛИВАЯ ГРУЗИЯ»
Адрес: г. Тбилиси 0177, пр. Важа-Пшавела №45
Т/Факс: 42-12-07 / 42-12-08

Главный редактор **Н. Д. Эриашвили**
Редакторы: **С. И. Барамидзе**
М. Г. Сулханишвили
Менеджер: **А. З. Клдеисели** 8(93) 28-00-29

ИЗДАТЕЛЬСТВО «ЮНИТИ-ДАНА»
генеральный директор В. Н. Закаидзе

გონიერებას მოკლებული ფანტაზია წარმოშობს საზარლობას; მასთან შეკავშირებით, იგი – ხელოვნების დედაა და მისი საოცრებათა წყარო

ფ. გოია

ის არქიტექტორი იმსახურებს დიდ ქებას, რომელსაც შესწევს ძალა მშენებლობაში ერთმანეთს შეურწყას სილამაზე და ცხოვრებისათვის მოხერხებული პირობები.

დ. ბერნინი

ვისაც აქვს ცოდნა და იქცევა ისე, თითქოს უცოდინარია, ის სიმაღლეს ინარჩუნებს. ვინც უცოდინარია და იქცევა ისე, თითქოს მცოდნეა, ის ავადმყოფია.

ლაო-ძი

სისადავე, სიმართლე და ბუნებრიობა – აი სამი დიდებული პრინციპი მშვენიერებისა ხელოვნების ყველა ნაწარმოებში.

კ. გლუკი

კულტუროლოგია



ЮНИТИ
UNITY

www.unity-dana.ru

ISBN 978-99940-985-2-1